# თბილისელები

საქართველო ბ... ჭაჯაღლო და თბილისი – შიგ ... დახში

tbiliselebi.ge

№29(708) 1,50 ლარი ...-27 ივლისი



გვ. 83

რატომ თქვა ია ფარულავამ უარი მეზოთერაპიაზე და როგორ გეგმავს ის 15 წლით გაახალგაზრდავებას

გვ. 82

როგორ გადაურჩა დაჭერას ლონდონელი „დეზის“ გამო დათო დარჩია და რატომ ვერ ეტევა აკვარიუმში მისი თევზი „მაილი“

გვ. 16

რის გამო „ქოლავენ“ მეგობრები ქეთი ორჯონიკიძეს და სად და ვისთან ერთად აპირებს ის საბერძნეთში სამყაროდან მოწყვეტას

გვ. 70

როგორი პრეზიდენტია ნიკა გრიგოლია და რომელი გადაცემის წამყვანად ვიხილავთ მას სულ მალე „რუსთავი 2-ზე“

ISSN 1987-569X



როდის ამთავრებენ ბიჭებთან ურთიერთობას ნინი სუხიტაშვილი და სოფო საააკაშვილი და რაში აქვთ მათ დანესებული „ამერიკული მორიგეობა“

გვ. 14



გვ. 78

რას სწერენ ზურა ნიჟარაძეს მის „სადღეგრძელოებზე“ შეყვარებულები სოციალურ ქსელში და რას იხსენებს ის კოტე მახარაძის, გოგი ქავთარაძისა და გურამ საღარაძის თამადობებიდან



რა მანძილი განვლო მარიკა სამანიშვილმა „გამგაზიის სამოთხიდან“ „ჩემი ცოლის დაქალებამდე“ და როგორ მუშაობს ის ცნობისმოყვარე მადონას მანერებზე

გვ. 23

გვ. 2

როგორ გახდა ჯინო არაბი შეიხი და რატომ არ რეაგირებს ის საკუთარ სახელზე

## იღბლიან კვირას გისურვებთ!



**ა ქ ც ი ა**
**სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრ**

**„ანთროპოსში“**
**უ ფ ა ს ო დ**

გულსისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევა კომპიუტერულ-დიაგნოსტიკური სისტემა „ანთროპოსის“ მეშვეობით.

დისპანსერულ მეთვალყურეობაზე აყვანა.

დაკვირვება თქვენს ჯანმრთელობაზე მთელი წლის განმავლობაში.

*გამოკვლევაზე ჩაწერა ხდება წინასწარ*

*ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დაგეხმაროთ!*

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 2 74 61 00; 5 71 74 61 00.
მისამართი: თბილისი, მეტრო „ისანთან“, ნავთლუღის ჩიხი №9.



## რატომ უნდა შეარჩიოთ და განაახლოთ აკუმულატორი სწორად თქვენი ავტომობილისთვის „ოტოგეორგიაში“




დღითი დღე იზრდება ავტომანქანებისა და ახალბედა მძღოლების რიცხვი. თავისთავად, იზრდება გარემოს დაბინძურების ალბათობაც, რაც საკმაოდ დასაფიქრებელი ფაქტია.

კომპანია „ოტოგეორგია“ უკვე წლებია, რაც ავტომფლობელებისგან ძველ აკუმულატორებს იბარებას და მათ მაგივრად სთავაზობს ახალ, გარემოზე მორგებულსა და გარანტირებულს. აქ, ყველაზე ხელმისაწვდომი ფასები და სერვისია. დღევანდელ დღეს კი, როცა საკმაოდ დიდია კონკურენცია და, არ იცი, რამდენად სანდო პროდუქციას გთავაზობენ სხვები, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.ასევე, გასათვალისწინებელია, რომ „ოტოგეორგია” იბარებს ნებისმიერი მარკის, წონისა და ფირმის აკუმულატორებს. ამიტომ, მასთან ურთიერთობა, თქვენთვისაც საკმაოდ მომგებიანი და კომფორტულია.

ალბათ, გაგიჩნდებათ კითხვა: რატომ უნდა ჩავაბარო ძველი აკუმულატორი, ან განვაახლო როცა, ჯერ კიდევ მემსახურება და მუშაობსო?

ნუ დაგავიწყდებათ, რომ აკუმულატორი მანქანის „გულია” და რაც მეტხანს მუშაობს, თანდათან, მეტად გროვდება მასში სახიფათო, ტოქსიკური და მომწამვლელი შემადგენლობები და ლითონები, რაც საფრთხეს უქმნის, არა მარტო ავტომობილს, არამედ თქვენს ჯანმრთელობას და ზოგადად, გარემოს. მანქანას რომ თავი დავანებოთ, არ არის გამორიცხული, სწორედ ეს საშიში და ტოქსიკური ნივთიერებები გახდეს ადამიანისთვის ისეთი დაავადებების გამომწვევი, როგორიცაა: კიბო, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, იმუნური სისტემის დაქვეითება და ასე შემდეგ.

აკუმულატორები, რომელიც თქვენს ავტომობილშია, შეიცავს ტყვია-მჟავას. ტყვია კი საკმაოდ საშიში, ტოქსიკური მომწამვლელი ლითონია. საგულისყუროა, რომ თუ ის ადამიანის ორგანიზმში მოხვდა, იწვევს ძვლის დაშლას. ასევე, არანაკლებ საშიშია მჟავაც.

„ოტოგეორგიაში“ კი პრობლემას, იოლად გადაგიჭრიან – ჩაიბარებენ თქვენს ძველ აკუმულატორს და შეცვლიან მას ახლით. ამით მავნე ზემოქმედებისგან დაზღვეული იქნება, როგორც თქვენი, ასევე, თქვენი ახლობელი ადამიანების და მომავალი თაობის ჯანმრთელობა, ისევე, როგორც თქვენი ავტომობილისა და გარემოსი, რომელშიც გიწევთ ყოფნა.

ასე რომ, თუ ხვდებით, თქვენი აკუმულატორი უკვე მოძველდა, საჭიროებს განახლებას და გსურთ, შეცვალოთ, უმაღლესი ხარისხის, უსაფრთხო და გარანტირებული აკუმულატორით, მაშინ აუცილებლად დაუკავშირდით „ოტოგეორგიას“, გაეცანით მის პირობებს და ენდეთ გამოცდილ პროფესიონალებს, მათი პროდუქციის ხარისხსა და სერვისს!

რაც მთავარია, მომსახურება ხდება, როგორც ოფისში, ასევე ადგილზე მიტანით, თქვენთვის სასურველ დროს.

**„ოტოგეორგიას“ მისამართია: თბილისი, წერეთლის გამზირი №95. ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №7; კახეთის გზატკეცილი №3. საკონტაქტო ტელეფონები: + 995 555 11 22 44; +995 597 11 22 44; + 995 557 531 318.**
Email: info@otogeorgia.ge; Web-site: www.otogeorgia.ge; Skype: www.otogeorgia.ge


# ალექსანდრე (ალიკო) გეფერიძის გახსენება



ალიკო, მესამედ გილოცავთ დაბადების დღეს ცრემლიანი თვალებით. 26 ივლისს 54 წელი შეგისრულდებოდა. მეორე დაბადების დღეს უკვე მამასთან ერთად ხვდები – მარტო არ დაგტოვა და შენთან წამოვიდა. გამწარებული დედა კი სანთლებს გინთებთ და ლოცულობს თქვენთვის.

არაფერია თურმე წუთისოფელში სიკვდილზე საშინელი და მონატრებაზე ძნელი. დრო მიდის, მაგრამ თქვენი წასვლით გამოწვეულ სევდასა და ტკივილს ვერაფერი შეგვიცვლის, მონატრებას ბოლო არ უჩანს.

სადაც გაივლიდი, ყველგან ღიმილს, სიკეთესა და სიყვარულს ტოვებდი. უზომოდ იყავი შეყვარებული შენს საქმეზე და უზარმაზარი კვალიც დატოვე.

ძალიან ძნელია, შეეგუო იმ აზრს, რომ არასოდეს გვეყოლება ჩვენი ერთადერთი, გამორჩეულად თბილი, მზრუნველი და მოსიყვარულე ძმა.

გკოცნით და გილოცავთ დაბადების დღეს შენზე უზომოდ შეყვარებული დები!

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს საყვარელი მამა და ძმა!

**ნანა და ნონა**

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რა წვლილი შეიტანეს ქართული სახელმწიფოს განვითარებაში ზვიად გამსახურდიამ, ედუარდ შევარდნაძემ და მიხეილ სააკაშვილმა და რატომ იყო გარდაუვლად საბედისწერო მათი საპრეზიდენტო ბედი ..................... 6



რატომ აკრძალეს რუსეთში მაქმანებიანი საცვლები, რატომ აღარ მიჰყიდიან 40 წლამდე ასაკის ქალებს თამბაქოს ნაწარმს და როდიდან აპირებენ უცხოური ფილმებისთვის კვოტის დაწესებას კინოგაქირავებაში ..................................... 8

რამდენი ავტომანქანა ჰყავს და რამდენი ანაბარი აქვს სხვადასხვა ვალუტაში ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილეს, გიორგი თაბუაშვილს ............................................. 9

რატომ ვეღარ დააწერენ პირველი აგვისტოდან ადგილობრივი მწარმოებლები საკუთარი შეხედულებისამებრ თავიანთ პროდუქციას „ბიოს“, „ეკოსა“ და „ეკოლოგიურად სუფთას“ .................... 10

რა სასწაულები ხდებოდა მათხოჯის მონასტერში და რა ემართებოდათ ათონის მთაზე ასვლის მსურველ ქალებს ............................................................... 12

როგორ აქირავებენ ქალები სხეულს სექსის გარეშე და რას ყვება რუსეთში მოღვაწე ექსმოდელი........................17



რატომ სთხოვეს აჩიკო ზარნაძეს პატრიკ სვეიზის შოუში მონაწილეობა და როგორ მუშაობს ქართველი გარემოს დაცვის მეცნიერი ამერიკის ეკოლოგიაზე................18

უნდა ვაკონტროლოთ თუ არა ქმარი და როდის გრძნობს ქალი ღალატს ......... 20

დაკარგული კავშირი აღდგა. ვინ იპოვა ნათესავები რუსეთიდან საქართველოში ............................................ 21



როდის მიდის ადამიანი სულიერ აშლილობამდე და როგორი უნდა იყოს ქრისტიანის დასვენების დღეები .................. 24

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის რეკორდები და გმირები ................. 26

ლეონარდო დიკაპრიო – ჰოლივუდის უოსკარო ლეგენდა ................. 27

არსენი იაცენუკი – უკრაინის ახალი პრემიერ-მინისტრი ................................ 27

რა აკავშირებს ბაადურ წულაძეს ვაჟა-ფშაველასთან ................................................ 30

რას ხედავს ადამიანი გარდაცვალების წინა პერიოდში და სად იწერება ჩვენი ბედისწერა დაბადების მომენტში ....... 32

რამდენი ხანი გავიდა ივანე მაჩაბლის გაუჩინარებიდან და რომელი ვერსიაა სარწმუნო ................................................... 38

როგორ გახსნა საბჭოთა უშიშროებამ თეირანში ფაშისტური შეთქმულება და რა სიურპრიზი მოუმზადა დაბადების დღეზე სტალინმა ჩერჩილს ................. 39

შეკითხვა ასტროლოგს ......................... 40

როგორ შევძლოთ უცხო ენის ადვილად და უპრობლემოდ შესწავლა ჩვენი ზოდიაქოს ნიშნის გათვალისწინებით ..... 40

როგორ იგერიებდა ცოლშვილიან კაცებს ასმათ ტყაბლაძე და რა ჩამოჰქონდა მას უცხოეთიდან გასაყიდად ........................................................ 41

ადვოკატი გირჩევთ................................. 54

ფლორის სამყაროში .............................. 54

ვეტერინარის რჩევები ........................... 55

როგორ უნდა დავიცვათ ძრავა მოსალოდნელი პრობლემებისგან ....... 55

სიკვდილმისჯილი, არალეგალი ქართველი ბიზნესმენი ორთაჭალის ჯურღმულიდან მილიონ მანეთად გააქციეს ......................................................... 64

რის გამო მოუკლა მამაკაცმა ყოფილ შეყვარებულს დედა და შვილი ............ 65



ქართველი მოფარიკავეები იტალიიდან გამარჯვებულები დაბრუნდნენ............71

რას წარმოადგენენ ქართველი გოთები და რის გამო ირჩევენ ისინი ამ გზას .....................72

როგორია ანი ცინცაძისა და ნიკა მურმანიშვილის მშვილდიდან ისრის გასროლით დაწყებული სიყვარულის ისტორია ................................................... 73



როგორ მოხვდა მანჰეტენზე, ცნობილ გალერეაში გულნარა წიკლაურის ნახატები და რომელი ნამუშევრები აღმოჩნდა ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკასა და ბილ ქლინტონის ფონდში ....... 74

რა საგანძური დაუტოვა ქართველებს გიორგი მთაწმინდელმა და როგორ გახდა გიორგი მთაწმინდელი ათონის მთაზე ივერიის მონასტრის წინამძღოლი ............................................... 76

რატომ კლავდნენ მეფეს მესოპოტამიაში ახალი წლის დღესასწაულზე .............. 77

რა ღირს ვიზა ქვეყანა „კაზანტიპში“, სადაც, კონსტიტუციის მიხედვით, ყოველი დღე დღესასწაულია .............. 79

როგორ მოიხიბლა ინდოელი კშიტიჯ კუმარი მეგრული ქორწილით და რას ფიქრობს ის ქართველ გოგოებზე ....... 80



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა:
tbiliselebi2001@gmail.com

# ახალსტატუსიანები

## „არ გეკუთვნით, მაგრამ, გეკუთვნით“

თუკი **ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შემდეგ საქმე ჩვენს მარიფათზეა, რათა ევროკავშირულ მარაქაში გავერიოთ, „ნატოსთან“ მიმართებით** გაცილებით რთულადაა: **ან უნდა მიგვიღონ, ან – არა,** თუმცა გაირკვა, რომ მთლად ასე შავ-თეთრადაც არ ყოფილა.

სახელდობრ, **აშშ-ის კონგრესმა რუსული აგრესიის პრევენციის შესახებ ორი ახალი კანონპროექტი მიიღო** (უკვე ორი მოსმენით), რის მიხედვითაც, **მოლდოვა, უკრაინა და საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირის სტატუსს „ნატოში“ გაწევრიანების გარეშე მიიღებენ** (ესეც ასე – **„ქორწილშიც დავუპატიჟებივართ“! –** ).

ჩვენი სულზე უტკბესი **ვაშინგტონის მიერ მოკავშირის სტატუსის მინიჭება იმ პერიოდზეა გათვლილი, ვიდრე აღნიშნულ**



**სამ ქვეყანაში თავდაცვის სფერო გარდაიქმნება**. კონგრესმენები თვით პრეზიდენტ **ობამასაც აძლევენ რეკომენდაციას, უფრო მჭიდროდ გვეთანამშრომლოს ჩვენ სამთა.**

კერძოდ: „არაუგვიანეს 90 დღისა კანონის მიღებიდან, სახელმწიფო მდივანმა თავდაცვის მდივანთან ერთად **მოლაპარაკებისათვის მზადება უნდა დაიწყოს უკრაინასთან, საქართველოსთან, მოლდოვასთან, აზერბაიჯანთან, ბოსნია-ჰერცეგოვინასთან, კოსოვოსთან, მაკედონიასთან, მონტენეგროსთან და სერბეთთან, რომ დაიწყოს ახალი ან განამტკიცოს უკვე არსებული ორმხრივი თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში**, რაც ასევე გულისხმობს შეთანხმებებს კიბერუსაფრთხოებაშიც.“

**ქართულ მედიაში ამ ფაქტს ჯეროვნად არ გამოხმაურებიან** (სიცხის ან იქნებ იმის გამო, რომ ჩემს კოლეგათა ყურადღება სხვა რამე-რუმეებზე იყო გადატანილი, მაგალითად, იმაზე, დაესწრებოდა თუ არა პრეზიდენტი პარლამენტის მიერ ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებას და ვინ ვისზე რას იტყოდა), **სამაგიეროდ, რუსულმა დაუთმო ფართო ასპარეზი.**

ასეა თუ ისე, რაკი **დაპირისპირებულ მხარეებს შორის დაძაბულობა კულმინაციას აღწევს,** ფაქტია, რომ ბანაკების წევრთა ვინაობა საბოლოოდაა დადგენილი. ახლა მთავარია, **ამ ჩვენმა ახალმა მფარველმა ეს უკვე მოკავშირისსტატუსიანები ბრძოლის ველზე არ მიგვატოვოს!**

# მოტივაციანაკლული

## „სიკვდილშიც არ ჰქონიაო ბედი მეფე გიორგის“

მსოფლიოსა და ჩვენს სამშობლოში ისეთი ამბები დატრიალდა, რომ **თვით ყოფილი მაღალჩინოსნების სასამართლო პროცესებიც კი დაიჩრდილა** (პრინციპით: **სიკვდილშიც არ ჰქონიაო ბედი მეფე გიორგის** – ), ამიტომ თითქმის **უმტკივნეულოდ გადაიტანა საზოგადოებამ ბრალდებულ ვანო მერაბიშვილის მიერ სასამართლო დარბაზის პროტესტის ნიშნად დატოვება.**



თუმცა **ბრალდებულის პროტესტს დამსწრე საზოგადოებაც შეუერთდა**. მათ შორის, **უკრაინის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვინმე ლუცენკო** (სხვათა შორის, უკრაინის შს სამინისტრო ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული უწყება იყო, თურმე). რომელიც, ოდნავ **მოგვიანებით, „რუსთავი 2-ის“ უსაყვარლეს რესპონდენტად იქცა**. მე თავს არ შეგაწყენთ ბ-ნი ლუცენკოს მოსაზრებების პერიფრაზებით, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ, **თუ ამ ტემპით გააგრძელა აზრთა ფრქვევა,** შესაძლოა, **უკრაინას, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან, გულშემატკივარი აღარ დაუტოვოს.**

მაგრამ, როგორც კლასიკოსი ამბობს, **ჩვენ ჩვენს ცხოვრებას მივხედოთ**. კერძოდ, **ბრალდებულმა მერაბიშვილმა პროცესის დატოვებამდე ასე ბრძანა:** „მე **ვიქნებოდი ძალიან ბედნიერი, რომ ვიყო თავისუფალი**. მე დღეს **ვიქნებოდი უკრაინაში და ჩემს მეგობრებთან ერთად იარაღით ხელში ვიბრძოლებდი უკრაინის გასათავისუფლებლად**... მე ვამაყობ და **ბედნიერი ვარ, როდესაც ვუყურებ თითოეულ გათავისუფლებულ სოფელს, გათავისუფლებულ ქალაქს უკრაინაში.“**

**სურვილი სავსებით მისაღები და კეთილშობილურია**, ოღონდ, **ლოგიკურად იბადება კითხვა: 2008-ში** (მაშინ თავისუფალიც იყო და ხელს თანამდებობაც უწყობდა), **ვითომ, იარაღის ხელში ასაღებად და ქართული სოფელ-ქალაქების გასათავისუფლებლად მოტივაცია არ ეყო?!**

# ბედნიერი ფინალი

## „ნაციონალური“ ლოგიკა VS არისტოტელეს ლოგიკა

თუმცა **ბოლო წუთამდე გაურკვეველი იყო, დაესწრებოდა თუ არა პრეზიდენტი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებას**, საბოლოოდ, **ისტორიას ინდური ფილმივით** (გნებავთ, ვენესუელური სერიალივით) **ბედნიერი ფინალი ჰქონდა.**

პარლამენტის სხდომას პრემიერ-მინისტრიც დაესწრო და პრეზიდენტიც, მთავრობის წევრებიც და მოწვეული სტუმრებიც.

თავისთავად, **ნახელისუფლარი ოპოზიციაც,** რომელმაც, **ჩვეულებისამებრ, მომენტი არ გაუშვა** და **„რეჟიმის“ „არადემოკრატიულობაზე“ ისაუბრა** (ეს ის შემთხვევაა, როდესაც უძლურია გამონათქვამი, ენას ძვალი არა აქვსო!), **სხდომათა დარბაზი კი წარწერებით დაამშვენა**: „ევროკავშირში – პოლიტიკური პატიმრების გარეშე“!



ზედაც, მანამდე განაცხადეს, რომ, **მიუხედავად რატიფიცირებისა, საქართველოს ხელისუფლება პრორუსულია** და რუსულ ინტერესს ატარებსო (არადა, სინოპტიკოსებს თუ დავუჯერებთ, მაღალ-მაღალი ტემპერატურა აგვისტოს ბოლომდე შენარჩუნდება, შესაბამისად, **მსგავსი „გენიალური“ დასკვნებისთვის ნოყიერი ატმოსფერო, მინიმუმ, აგვისტოს ბოლომდე გველის.** – ).

რაც შეეხება პლაკატებს: **რაკი, „ნაციონალური“ ლოგიკით, ჩვენში პოლიტპატიმრები ყოფილან** (და მერე რა, რომ მათ პოლიტპატიმრებად მხოლოდ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ?!), **რის შესახებ ევროკავშირის წარმომადგენლებს, მაინცდამაინც, ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებისას აცნობეს**, გამოდის, რომ **აფრთხილებენ, საქართველოს ადგილი ევროკავშირში არ არისო**. აქედან გამომდინარე კი, **იბადება რიტორიკული კითხვა:** ანუ, ვინ ატარებს რუსულ ინტერესს? **რომელსაც საკმაოდ ნათელი პასუხი აქვს:** რა თქმა უნდა, **პლაკატის დამჭერებს** ( არისტოტელე).

# დასპეცებულები

## ანუ „თვალს გავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ“

თუმცა ყველა იმას **უჩივის, რომ მათ სატელეფონო საუბრებსაც უსმენენ** და **დაინტერესებულ პირებს სოციალურ ქსელებში გახსნილი პირადი პროფილების წვდომის საშუალებაც აქვთ**, ტელეფონითაც ხშირად ვლაპარაკობთ და სოციალურ ქსელებსაც აქტიურად ვიყენებთ (შესაძლოა, ისე **მივეჩვიეთ გამჭვირვალობას, რომ ამის გარეშე უკვე წუთითაც**



**ვერ წარმოგვიდგენია გაძლება,** ან, ისიცაა, რომ **მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო!).**

ასეა თუ ისე, ცნობილია, რომ **სოციალური ქსელი „ფეისბუქი“** (ამის შესახებ „ფეისბუქის“ წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს) **ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურებს დაუბრკოლებლად მიაწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას მომხმარებლების შესახებ.**

ხოლო **„მოთხოვნილ ინფორმაციაში“ იგულისხმება IP მისამართები და სხვა პერსონალური ინფოცნობები**. რაკი ეს ნორმა ოფიციალურად 2013 წლის იანვრიდან ამოქმედდა, ისიც ცნობილია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში **სოციალური ქსელის წარმომადგენლებს 74 ქვეყნის შესაბამისმა ორგანომ მიმართა 38 000 მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.**

როგორც აღმოჩნდა, **ყველა მოთხოვნა არ დაუკმაყოფილებიათ**, თუმცა **ყველაზე მეტი აშშ-ს წარუდგენია, მაგრამ მას არც გერმანია, საფრანგეთი და იტალია ჩამორჩენილან.**

გაირკვა, რომ **საქართველოდან „ფეისბუქს“ არც ერთი განაცხადი არ მიუღია**, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ **ან ჩვენს სპეცსამსახურებს ეს სფერო სრულად თვითდინებაზე მიუშვიათ**, ან **ინფორმაციის მოსაპოვებლად**, როგორც ძველ დროსა, **„ფეისბუქის“ ადმინისტრაციის დახმარება, უბრალოდ, არაფერში დასჭირვებიათ.** – .

# მთავარსარდლობის მოლოდინში

## „ამ ქალბატონს მე გავჩხრეკ“

შესაძლოა, რადგან **მანამდე გაგვიმხილა, რომ გაუხედნავი ცხენია** და, მიუხედავად პრეზიდენტობის ორი ვადისა, **ენაზე კბილის დაჭერის ხელოვნებას ვერა და ვერ დაეუფლა**, ჩვენმა **ექსპრეზიდენტმა, არც აცია, არც აცხელა** და **მალაიზიის კუთვნილი თვითმფრინავის ჩამოგდებაში ევროპა დაადანაშაულა,** კერძოდ, რომ ყველაფერში დამნაშავე ევროპის **დუმილია.**



მომყავს ციტატა: **„ევროპის თვალწინ რუსულმა ჯავშანტექნიკამ და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის საშუალებებმა გადალახეს სუვერენული უკრაინის საზღვარი,** ევროპა კი ურცხვად სხვა მხარეს იყურება.“

იქვე კი, **ბრიუსელში, საკუთარი და, როგორც თავად ამბობს, „ერთ-ერთი დიდი ევროპული ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის“ გასაუბრება გაიხსენა**: „აგრესიულად მკითხა: **„თქვენ, რა, გვთავაზობთ, რუსეთი დავბომბოთ?“.** მე ვუპასუხე: **„არა, დაელოდეთ, ვიდრე თვითონ დაგბომბავთ“.**

აშკარაა, რომ **ყოფილმა პრეზიდენტმა ევროპის და, ზოგადად, დასავლეთის,** რაღა კრიტიკას, **ლანძღვას მოუხშირა,** თუმცა, **თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს იგივე ევროპაა** (რომელიც, ურცხვად თუ მორცხვად, მაგრამ მაშინაც სხვა მხარეს იმზირებოდა), სავარაუდოდ, ბ-ნი **სააკაშვილის გაავფთრებაში პირადი მოტივებიც იკვეთება.** – .

ხოლო, თუ მისი **კომენტარის ბოლოკუდით ვიმსჯელებთ** (კვლავ ციტატას მოვიშველიებ): „რა თქმა უნდა, ამ ყველაფერში დამნაშავე კრემლში ზის, მაგრამ **ბერლინში, ბრიუსელში, რომში და ასე შემდეგ თანამზრახველების გარეშე, საეჭვოა, მას ყოველდღიური სისხლიანი ნადირობა გაებედა,“** სავსებით ნათელია, რომ **რფ-ევროპის ომში მთავარსარდლობას დიდი სიამოვნებით ითავებდა** (პრინციპით: „ამ ქალბატონს მე გავჩხრეკ!“).

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

# ინიციატივათა მარათონში

## ყველაზე ჯანმრთელი „ავადმყოფი“

ჩვენს მეზობელ **რფ-ში არც გასულ კვირას ჩაუვლია ახალი და გენიალური ინიციატივის გარეშე**. ამჯერად **პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა მოაწერა ხელი დადგენილებას,** რის მიხედვითაც, **რფ-ის სახსტრუქტურებს ეკრძალებათ უცხოური ავტომანქანებისა და ტექნიკის შესყიდვა.**



კერძოდ, **იგი უზნობს: „საქონლისა და მომსახურების შესაძენად ფედერალური ბიუჯეტიდან კოლოსალური თანხა გამოიყოფა** და, რა თქმა უნდა, **უმჯობესია, თუ ის მოხმარდება სამამულო კომპანიებს და არა – უცხოელ მწარმოებლებს“.** ოღონდ დასძენს, რომ **სამამულო წარმოების ტექნიკის ფასი და ხარისხი ადეკვატური უნდა იყოსო.**

მეორე მხრივ, დიმიტრი მედვედევი იქვე შენიშნავს, რომ **მთლად სრულადაც არ ამბობენ უარს უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობაზე**, პირიქით, აპირებენ, **განავითარონ რუსული წარმოების კოოპერაცია უცხოურთან.**

ანუ, **უცხოურ ბრენდებს რუსეთშივე თუ ვაწარმოებთ, უცხოური აღარ იქნებაო**, რაც იმას ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, **უცხოური ინვესტიციების მოზიდვას გეგმავენ**, მეორე მხრივ კი, ამ უცხოური ფულითვე **რუსეთში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.**

მე, ბუნებრივია, **არ ვიცი** (ავტომანქანები იქით იყოს), **როგორ და რამდენ ხანში ჩაანაცვლებენ, მაგალითად, თანამედროვე სამედიცინო ტექნიკას სამამულო, რუსულით** ან **ჩანაცვლებამდე რა წყალს მისცემენ თავს,**



თუმცა, **თუ დანარჩენი სამყაროსგან რფ-ის იზოლაციის მცდელობებს გავიხსენებთ,** არ გამოვრიცხავ, **საკუთარ მოქალაქეებს სამ თვეში ერთხელ სუნთქვა დაუწესონ**, რომ **საზიზღარი კაპიტალისტების ამონასუნთქი წმინდა რუსულ ფილტვებში დოზირებულად მოხვდეს.** – .

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**დამოუკიდებლობის დღიდან დღემდე ჩვენს ქვეყანას ოთხი პრეზიდენტი ჰყავს, ორი მათგანი უკვე გარდაიცვალა და ისტორიის კუთვნილებად იქცა. ისე მოხდა, რომ ტრაგიზმი უნებლიეთ დაჰყვება მათ ბედს (მეოთხეზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით, რადგან ჯერ პოსტზე ერთი წელიც არ გასრულებია): დღემდე უცნობია დანამდვილებით პირველი პრეზიდენტი მოკლეს თუ თავი მოიკლა; მეტიც, მისი ცხედარი რამდენჯერმე გადაასვენეს და რამდენიმე წლის განმავლობაში უცხო მიწასაც იყო მიბარებული. საბოლოოდ, წლების შემდეგ სამშობლოში დააბრუნეს და ზვიად გამსახურდია მთაწმინდაზე დაკრძალეს – ცერემონიალი ადგილობრივ დამსწრეთა ნაკლებობას არ უჩიოდა. მეორე პრეზიდენტი საკუთარი სიკვდილით, მხცოვან ასაკში გარდაიცვალა, უკანასკნელ გზას სამების საკათედრო ტაძრიდან გაუყენეს, ცერემონიალი უცხოელ დამსწრეთა ნაკლებობას არ უჩიოდა, თუმცა ადგილობრივთა ნაკლებობა თვალში საცემი იყო – საზოგადოება ცნობისმოყვარეობის გამოც არ მისულა პანაშვიდებზე. ედუარდ შევარდნაძე კრწანისის რეზიდენციის ეზოში მიაბარეს მიწას – იქნებ იმიტომაც, რომ მისი საჯარო ადგილას დაკრძალვა მთლად უსაფრთხოც არ არის. მესამე პრეზიდენტი, თუმცა 9 წელს იყო ქვეყნის პირველი პირი, სამშობლოში ვერ ჩამოდის. რატომ აღმოჩნდა საბედისწერო საქართველოს პრეზიდენტის სკამი? – თემას რამაზ საყვარელიძესთან ერთად განვიხილავთ.**

# რა წვლილი შეიტანეს ქართული სახელმწიფოს განვითარებაში ზვიად გამსახურდიამ, ედუარდ შევარდნაძემ და მიხეილ სააკაშვილმა და რატომ იყო გარდაუვლად საბედისწერო მათი საპრეზიდენტო ბედი

**– რა სჭირს ასეთი საქართველოს პრეზიდენტის სკამს, ტრაგიზმი გარდაუვლად სდევს თან მათზე მსხდომებს.**

– დანამდვილებით მსჯელობისთვის ფუნდამენტური ფიქრის საშუალება უნდა იყოს, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ვარაუდებით ვისაუბრებთ. ალბათ, ეს მაინც ტახტის პრობლემას უკავშირდება. ფეოდალიზმის ეპოქას სჩვეოდა მამაშვილს შორისაც კი შუღლი ძალაუფლების გამო. ანუ ამის გასაღები ისევ ძალაუფლებაშია. პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, შემთხვევაში ხელისუფლებაში მოვიდა ძალაუფლებაში გამოუცდელი ელიტა. მანქანის მართვის დროს ყველაზე ხშირად ავარია პირველ პერიოდში მოგდის, როდესაც გგონია, რომ მანქანის მართვა იცი, მაგრამ აღმოჩნდება, რომ მართვის ყველა საიდუმლოს არ ფლობ და ეს ხდება ავარიის მიზეზი. ეს დაემართა იმდროინდელ ელიტასაც. მხოლოდ საჭის პყრობა არ არის საკმარისი, ამ საჭის გამოყენებაც უნდა იცოდე.

**– გამოადგა მეორე პრეზიდენტს საჭის გამოყენების გამოცდილება?**

– მეორე პრეზიდენტი მართვაში გამოცდილი იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, მას ჰქონდა საბჭოთა მართვის გამოცდილება, საბჭოთა სისტემაში კი ცენტრი იყო ხელისუფლების საფუძველი და იმ საქართველოში, სადაც შევარდნაძე პრეზიდენტი გახდა, ასეთი აშკარა ცენტრი არ არსებობდა, თუმცა რუსეთი ფარულად იბრძოდა. ამან გამოავლინა დემოკრატიული და არა მხოლოდ დემოკრატიული წყობის თავისებურება, რომ ერთ-ერთი ფაქიზი თემაა, თუ როგორ ააგებ შენს ელიტას, იმიტომ რომ შემდეგ ეს ელიტა იქცევა შენს მთავარ საფრთხედ. ელიტის პრობლემა ჰქონდა გამსახურდიასაც: ბოლოს და ბოლოს, თავისივე ელიტა დაუპირისპირდა, ისევე, როგორც შევარდნაძესაც თავისივე ელიტა დაუპირისპირდა.

**– თუმცა სააკაშვილთან ცოტა სხვა სურათი გვქონდა.**

– აბსოლუტურად სხვა, ანუ მან შეკრა ელიტა.

**– ოღონდ ნაწილი ჩარეცხა.**

– ჩვენ გვახსოვს „მოქალაქეთა კავშირის“ გაქრობა, მაშინ, როდესაც ზვიადის მომხრეებიც დამარცხდნენ, მაგრამ ისინი არ გამქრალან, დღემდე არსებობენ. შევარდნაძის მიერ დაშვებულმა იმავე შეცდომამ, რაც დაუშვა გამსახურდიამ – დაუდევრობამ საკუთარი ელიტის აწყობაში, გამოიწვია ის, რომ შევარდნაძისავე ელიტაში იშვა მისი ოპოზიცია. იმ ელიტას ჰქონდა თავისი არგუმენტები, რომ იყო კორუფცია და ასე შემდეგ, თუმცა შემდგომ აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ საბაბი იყო და არა მიზეზი. ვარდების რევოლუციის შემდეგ კორუფცია ელიტური გახდა, თორემ არ გამქრალა. გამოცდილებამ შევარდნაძეს უშველა დროის თვალსაზრისით: გახანგრძლივდა მისი ძალაუფლება, თორემ, ფაქტობრივად, ის პრობლემა, რაც ძალაუფლებას ახლავს, ვისაც ძალაუფლება უჭირავს, მას ფეხებში უყურებენ, შევარდნაძისთვისაც გადაუწყვეტელი იყო. შევარდნაძესაც ჰქონდა განცდა, რადგან ძალაუფლება ჰქონდა, მოვლენებზე ზემოქმედების მეტ საშუალებასაც ფლობდა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მთლად ასე მის შემთხვევაშიც არ გამოვიდა. ძალაუფლებამ თავბრუ დაახვია სააკაშვილის გუნდსაც და ესეც გამოუცდელი გუნდი იყო.



ჩვენ გვახსოვს „მოქალაქეთა კავშირის“ გაქრობა, მაშინ, როდესაც ზვიადის მომხრეებიც დამარცხდნენ, მაგრამ ისინი არ გამქრალან, დღემდე არსებობენ

**– გამოუცდელი რატომ იყო, ხომ იყვნენ ხელისუფლებაში? თუ სრული ძალაუფლების ფლობის გამოცდილება არ ჰქონდათ?**

– ხელისუფლებაში რომ იყვნენ, ეს გამოცდილება გამოადგათ. ძალაუფლების კონცენტრაცია საკმაოდ ეფექტიანად განახორციელეს, მაგრამ შემდეგ უკვე აღარ უფიქრიათ, მე რომ დავსუსტდები, რა მოხდებაო. საერთოდ, ეს იშვიათად ხდება ხოლმე, რადგან ძალაუფლების მფლობელს განცდა აქვს, რომ მუდმივად იქნება.

**– ხომ იციან, რომ მაქსიმუმი არის 8 წელიწადი, 4 წელიწადში კი ისევ თავიდან მოუწევთ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლა?**

– ივანიშვილის ეფექტი რომ არ ყოფილიყო, სააკაშვილის ხელისუფლება ისევ იქნებოდა. შესანიშნავად ჰქონდათ გადაზომილ-გადმოზომილი ყველაფერი: კონსტიტუცია შევლილი, არჩევნების მექანიზმი იდეალურად მორგებული და ასე შემდეგ. რას უნდა შეეშალა ხელი?!

**– დიქტატურას რესურსი სჭირდება, ამდენი რესურსი ამ ღარიბ ქვეყანას აქვს? თუ ფიქრობთ, რომ დასავლეთი გააგრძელებდა მათ კვებას?**

– რატომ არ გააგრძელებდა?! ხომ ვნახეთ, რომ ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ?! როგორც ჩანს, რუსეთისთვისაც კომფორტული პარტნიორი იყო. გაუხსნა კარი ვაჭრობას და იმავე ომის დროსაც კი რუსეთიდან შემოსულმა ფირმებმა დამატებითი სირთულეები არ შექმნეს.

**– არც იმ ფირმებმა შექმნეს და არც იმ ფირმებს შეუქმნეს დამატებითი სირთულეები ომის დროს.**

– ასე რომ, ომი ისეთი სიმწვავით არ წავიდა, როგორც უნდა წასულიყო, რაც მიუთითებს, რომ რუსეთთან მათ არ ჰქონიათ ისეთი რადიკალური ურთიერთობა, როგორიც ერთი შეხედვით ჩანდა. რუსეთთან ურთიერთობაში ურთიერთგაგების არსებობა ჩანს იმ ფაქტით, რომ აჭარა დაუთმეს სააკაშვილის ხელისუფლებას და ძალიანაც კარგი, მაგრამ უბრალოდ რუსეთი არ იყო ისეთი მეტოქე, როგორსაც ხატავდა სააკაშვილი და რუსეთთან „ნაციონალების“ ურთიერთობა ცალკე შესწავლის საგანია. ამ ყველაფერს იმიტომ მოგახსენებთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ძალიან მყარად იდგა თავის იმ ხაზზე, რომელსაც უნდა მიეყვანა ეს ხელისუფლება ფინიშამდე და მართლაც დაუგეგმავი მოვლენა მოხდა ივანიშვილის გამოჩენით, თორემ კიდევ დიდხანს იქნებოდნენ. ოღონდ სააკაშვილს უმტყუნა ერთმა რამემ: მოსახლეობას აღარ გაუწია ანგარიში და მოსახლეობის აგრესია აღმოჩნდა ის გადამწყვეტი მუხტი, მარტო ივანიშვილი ვერაფერს შეძლებდა.

**– გამსახურდია მოსახლეობას უფრო უყვარდა, ვიდრე შევარდნაძე, თუმცა ფაქტორი არ აღმოჩნდა სიყვარული, ამან ვერ შეანარჩუნებინა ძალაუფლება პირველ პრეზიდენტს, თუმცა არსიყვარულმა გამოამშვიდობა სკამს როგორც შევარდნაძე, ისე სააკაშვილი. უარყოფითი ემოცია უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია ასეთ დროს?**

– მიჭირს იმის თქმა, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს მოსახლეობის დამოკიდებულების ამსახველად ის, რაც გამსახურდიას გარშემო ხდებოდა. რაღაც ნაწილი ინდიფერენტული იყო, რაღაც ნაწილს არ უყვარდა – ინტელიგენციას, მაგალითად.

**– მე ვგულისხმობ საშუალო სტატისტიკური ამომრჩევლის სიყვარულს. ძალიან დიდხანს უწევდნენ წინააღმდეგობას შევარდნაძის ხელისუფლებას ფიზიკური საფრთხის მიუხედავად.**

– ეს ყველაფერი მაინც უფრო უკავშირდება ძალაუფლების უცოდინრობას. ანუ სახელმწიფო საჭესთან ყოფნის გამოცდილება რადგან აკლდა თითოეულ მათგანს და ქვეყანასაც.

**– თავისი არმისვლით პანაშვიდებზე რა გამოხატა მოსახლეობამ?**

– არაფერი, გარდა თავისი ემოციური ნეიტრალობისა. შევარდნაძე არ ყოფილა ემოციური ლიდერი, ის არც აპელირებდა ემოციებით გამოსვლებისას და როდესაც პოლიტიკურ ლიდერს არ აქვს ემოციური სტილი, ემოციური სტილი არ აქვს მის მრევლსაც. ასე რომ, გასაკვირი არ არის.

რაც შეეხება გამსახურდიას, 90-ანი წლების ბოლოს ჩავატარე ექსპერიმენტი, გამოვიკითხე თბილისელები და გამოკითხულთა 70-მა პროცენტმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირში კომფორტულად გრძნობდა თავს. აი, აქ შეასრულა გამსახურდიამ კარდინალური როლი. ეროვნული მოძრაობა და გამსახურდია რომ არა, ჩვენ მივიღებდით, ალბათ, დამოუკიდებლობას, მაგრამ, დაა-

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**მზევინარ ბაშარელი** *(58 წლის, ყაზბეგი).*

**დიაგნოზი**: ***პოლიოსტეოართროზი.*** ყველაფერი ერთიანად მტკიოდა – ასეთი მოვედი აქ სამკურნალოდ. სოფელში ბევრია სამუშაო. ოთხი შვილი ობლობაში გავზარდე, კაცის ტვირთი მედგა მხრებზე. აქ შვილებიო, ოჯახიო... იქ კიდევ – საქონელი, მიწის სამუშაო და... ან ასეც როგორ ვიყავი... ჩვენთან ბევრი ვიმკურნალე, ექიმებთანაც და ისეც, მაინც ვერ დავდიოდი, წელში ვიხრებოდი, ვკოჭლობდი. აქ მოსვლამ თავიდან დამბადა – ერთი კვირაა, ვმკურნალობ და ისე დავქრივარ, შვილები ვერ მეწევიან ***(იცინის).*** წელში გავიმართე, მისივდებოდა მაჯები, მუხლები, ახლა კი სულ დამიცხრა. დილა რომ თენდება ტკივილის გარეშე, იცოცხლე, მიხარია.

**მარინე ბრეგვაძე** *(49 წლის, დიასახლისი. თბილისი).*

**დიაგნოზი**: ***რევმატოიდული პოლიართრიტი.*** ამ დაავადებით ხუთი წელია, ვიტანჯები. ყველა სახსარი მტკიოდა. დილით საშინელი შებოჭილობა მქონდა, დაბალი სიცხეები, მისივდებოდა მაჯები და თითები, მტკიოდა ფეხები, მუხლები... ველარ ვიმუშავე და სახლში ჩავჯექი. ბევრი მაქვს ნამკურნალევი, პრედნიზოლონზე დამსვეს. დავსივდი, წნევები დამეწყო, ამერია კუჭ-ნაწლავი... ძალიან ცუდად ვიყავი, ძალიან... მერე აქ ახლობელმა მომიყვანა. ვტიროდი, ისე ვუხსნიდი მანანა ექიმს ჩემს გასაჭირს. ასე მითხრა, ხვალვე უკეთესად მოხვალო. არ დავიჯერე, მაგრამ, მართლა ერთ დღეში მივიღე საგრძნობი შეღავათი. მას მერე დღითი დღე უკეთ ვარ. 10-12 დღეა, დავდივარ, ვმურნალობ. ტკივილებმა მთლიანად ამიშვა, თავისუფლად ავმოძრავდი, შეშუპებები დაცხრა, აღარც სიცხეები მაქვს და აღარც დილის შებოჭილობა. ჩემს მადლიერებას სიტყვები ვერ დაიტევს, ამ სიკეთისთვის ღმერთმა დაგლოცოთ, ქალბატონო მანანა!



# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედა-შვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**რეზო და როლანდ სორდიები** *(ზუგდიდი).*

**დიაგნოზი**: ***ჰემოროიდული დაავადება.*** მე და ჩემი ძმა ერთად ვიტარებთ მკურნალობას. ორივეს მრავალი წელია, გვაწუხებს ეს დაავადება. ჩემმა ძმამ რამდენიმე წლის წინ ოპერაციაც გაიკეთა, მაგრამ, ერთ-ორ წელიწადში ისევ გაუმეორა. მე, ამ ყველაფერთან ერთად, მაწუხებდა, ქოლეცისტიტი, გასტრიტი, შეკრულობა. ძალიან კმაყოფილები ვართ ორივე. პირველივე კურსზე მივიღეთ ძალიან მაგარი შედეგი. ბოლომდე ჩავამთავრებთ მკურნალობას. ულრმესი მადლობა მანანა ექიმს და მის შვილს – სოსო ექიმს!

**თამთა თუთბერიძე** *(27 წლის, თბილისი).*

**დიაგნოზი**: ***ჰემოროიდული დაავადება, მესამე ხარისხი. ანალური ნაპრალი.*** სამი კვირის წინ ვიმშობიარე, მეძუძური დედა ვარ. არა, მანამდეც მაწუხებდა შეკრულობა, ზოგჯერ მცირეოდენი სისხლდენაც მქონდა. მერე ორსულობამ გამირთულა, მშობიარობაზე კი უარესი დამემართა. აქ უმწვავესი ტკივილებით მომიყვანეს, უძლიერესი გამაყუჩებელიც კი არ მიხსნიდა ტკივილს. მანანა ექიმმა თავისი უებარი მალამოები გამატანა ბალახების ნახარშებთან ერთად; ზუსტად ერთ დღეში გამინახევრდა ტკივილი, ჩაცხრა კვანძები, მეორე-მესამე დღეს კი მთლიანად ალაგდა. პირველივე კურსზე მომიწესრიგდა შეკრულობაც. მადლობა, ქალბატონო მანანა, დახმარებისთვის. ჩემი ბაია გიხდით მადლობას, რომ დედიკო მოურჩინეთ.

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

---

ხლოებით, იგივე სიტუაცია გვექნებოდა, რაც ბელორუსიასა და შუა აზიის ქვეყნებშია. დემოკრატიისკენ სწრაფვა არ იქნებოდა, ეს იქნებოდა საბჭოთა კავშირი საბჭოთა კავშირის გარეშე.

**– კულტურული შოკი მივიღე რამდენიმე წლის წინათ მინსკის ცენტრში ლენინის ძეგლი რომ თაიგულებით შემკული დავინახე და იქვე დიდი წარწერა წითელ ნაჭერზე: ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის რომელიღაც წლისთავი. რატომღაც გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ყველგან დასრულდა პოსტსაბჭოთა სივრცეში.**

– იმდენად განსხვავებულია ჩვენი აზროვნება, რომ დღეს ეს ვერ წარმოგვიდგენია, მაგრამ ისეთები ვიქნებოდით ჩვენც და ლენინის ძეგლსაც შევამკობდით ყვავილებით, რომ არ ყოფილიყო გამსახურდია. ანუ მენტალური დამოუკიდებლობა არ გვექნებოდა. ხშირად ამბობენ, რა საჭირო იყო ამდენი ბრძოლა, ხომ მაინც მივიღებდით დამოუკიდებლობასო. მივიღებდით, ოღონდ მივიღებდით პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მაგრამ კაცმა არ იცის, მივიღებდით თუ არა მენტალურ დამოუკიდებლობას, რომ არ ყოფილიყო ეროვნული მოძრაობა.

შევარდნაძე, რა თქმა უნდა, შეიძლება, თავის შეცდომებსაც შეეწირა, შეიძლება, გარდაუვალი იყო: აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს რუსი მაინც წაგვართმევდა, მაგრამ რა გაუკეთა საპასუხოდ რუსეთს შევარდნაძემ?!

**– მილსადენები გაიყვანა და ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუპარტნიორდა.**

– დიახ, თან, ამერიკის არა მხოლოდ შემოყვანა, აქ დაყენება. დავამატებ, აფხაზეთი რომ დაგვამხეს თავზე, ევროპას ყური არ შეუბერტყავს, ნავთობსადენის შემდეგ გავხდით ევროპისთვის საინტერესო. ის, რომ დასავლეთისთვის საინტერესო გავხდით, შევარდნაძის გარეშე არ მოხდებოდა. უბრალოდ შიგნით იყო რთული ვითარება. კარგად მახსოვს, შევარდნაძე ამბობდა, ერთი მილიარდი რომ მომცენ სესხად, მეტი არ მინდა, ქვეყანას ფეხზე დავაყენებო.

**– მას არ მისცეს, მაგრამ სააკაშვილს უფრო მეტიც მისცეს.**

– დიახ, მისცეს. მან დაამყარა ეს ურთიერთობა და ქვეყნის შიგნით მკაცრი ადმინისტრირება გაატარა, თუმცა საგარეო ვალი 10 მილიარდამდე ავიდა.

**– შევარდნაძის დროს საგარეო ვალი ორი არასრული მილიარდი იყო, სააკაშვილმა კი გაახუთმაგა.**

– ეს სააკაშვილის უპრეცედენტო გემოვნებიანობაა. მაგრამ სააკაშვილს ვერ დავუკარგავთ ადმინისტრირებას, კანონის პატივისცემას...

**კარგად მახსოვს, შევარდნაძე ამბობდა, ერთი მილიარდი რომ მომცენ სესხად, მეტი არ მინდა, ქვეყანას ფეხზე დავაყენებო**

**– ოღონდ ამ კანონს თვითონ არ სცემდნენ პატივს.**

– რა თქმა უნდა. მოსახლეობა სულ ელის, რომ მასზე მზრუნველი ხელისუფლება ჰყავდეს, მაგრამ ასეთი რამ არ ხდება. რასაც ახლა ვამბობ, არ არის თითოეულის მოღვაწეობის შეფასება. ისევე, როგორც საბჭოთა კავშირს პოზიტიურად ვერ შევაფასებ, მაგრამ საბჭოთა სისტემაში ყოფნამ გამოასწორა ჩვენი დემოგრაფია და ასე შემდეგ. ანუ მხოლოდ ცუდი არაფერში არ არის, ისევე, როგორც არ არის მხოლოდ კარგი. ყველაფერს თავისი შავი და თეთრი მხარეები აქვს. ამ თვალსაზრისით, ვამბობ, რომ თითოეულმა მმართველმა თავისი პოზიტივი შეიტანა საქართველოს ისტორიაში და თითოეულმა რაღაც დონემდე წინ წასწია ქვეყანა. ოღონდ თითოეულ მათგანს თავისი ხარვეზი ჰქონდა. არც ერთი არ არის ამ ისტორიაში ამოსაგდები, მოტივით, რა კარგი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყოო, თითოეულს თავისი ფუნქცია ჰქონდა.

**– რატომ დაჰყვა ტრაგიკული ბედი სამივეს?**

– არ შეიძლებოდა, ტრაგიკულები არ ყოფილიყვნენ. ამერიკის შეერთებულ შატტებზე აწყობილი ქვეყანა რთული წარმოსადგენია, მაგრამ იქ მოკლეს კენედი. რატომ? იმიტომ რომ ძალაუფლებაა ასეთი ბუნების. შენ შენი ძალაუფლებით ვიღაცას გზას უკეტავ, ვისაც სხვა არაფერი რჩება გარდა იმისა, რომ ტრაგიკულად დაასრულოს შენი ისტორია.

**– მეოთხე პრეზიდენტსაც ემუქრება ტრადიციული ტრაგიზმი?**

– ღმერთმა დიდხანს ამყოფოს, მაგრამ, ამ მხრივ, უფრო სახიფათო პოსტი ღარიბაშვილს უჭირავს, რადგან მას აქვს ძალაუფლება და ვისაც აქვს ძალაუფლება, ის უფრო რთულ სიტუაციაშია. ძალაუფლებაა სახიფათო და არა – პოსტი. ჩვენს საზოგადოებას ახირებული ბავშვის ხასიათი აქვს და ასეთი ხალხის პირველი პირობა ძალიან რთულია. სამივე შემთხვევაში რა შეცდომაც შეიძლებოდა, ყველაფერი დავუშვით და ამ დროს სამივეს მიმართ პრეტენზიები გვაქვს. მძიმე ბედი ერგო სამივე პრეზიდენტს, მაგრამ მათი ბედი არალოგიკური არ ყოფილა. ამ პირობებში ხელისუფლების პირველი პირი კომფორტული ფინალით ვერ დაამთავრებს, როდესაც ეს მოხდება, იმის ნიშანი იქნება, რომ სტაბილურობაა. ჩვენ ჯერ არ გვაქვს ამის მოთხოვნის უფლება, ჯერ ჩვენ თვითონ არ გარდავქმნილვართ, ამიტომ ჩვენს ხელში ჩაცვენილი პრეზიდენტები არიან მძიმე ხვედრის მქონე.

**ნინო ხაჩიძე**

**ამ ბოლო დროს ჩვენს ჩრდილოეთით მეტად საინტერესო ამბები ხდება, დაახლოებით, ასეთი შინაარსისა და დინამიკის: საბაჟო კავშირის ქვეყნებში, რა თქმა უნდა, რუსეთშიც აიკრძალა აჟურული ქვედა საცვლები, იმიტომ რომ ხელოვნური მატერია ვნებს ქალების ჯანმრთელობასო; მეტიც, აპირებენ აკრძალონ 40 წლამდე ქალბატონებისთვის, თუკი ბავშ-ვებთან ერთად იქნებიან, თამბაქოს ნაწარმის მიყიდვაც, მიზეზი იგივეა. ასევე, მუშაობენ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომ ქვეყნის კინოგაქირავებაში უცხოური წარმოების ფილმები მხოლოდ 50 პროცენტს შეადგენდეს; უკვე აიკრძალა ფულის შენახვა აშშ დოლარში და ორიოდე კვირის წინათ „დუმის" დეპუტატი ასეთი ინიციატივითაც გამოვიდა: აიკრძალოს იმ პირთა დანიშვნა თანამდებობებზე, რომლებსაც ნათესავები ჰყავთ უცხოეთში (იმიტომ რომ ეს მათი სუსტი წერტილია და შეიძლება, იქცნენ აშშ-ს სპეცსამსახურების მანიპულირების ობიექტებადო); ასევე, საგარეო საქმეთა მინისტრმა მოუწოდა თავის მოქალაქეებს, თავი შეიკავონ იმ ქვეყნებში დასვენებისგან, რომლებსაც აშშ-სთან ურთიერთგაცვლის შეთანხმება აქვს, რადგან ასეთ ადგილებში რუსეთის მოქალაქეებს, თურმე, აშშ-ს სპეცსამსახურები დაიჭერენ და ოთხ კედელში გამოამწყვდევენ. აკრძალვებს აშკარა საბჭოური სუნი ასდის, თუმცა ფაქტია, რომ უდრტვინველად იღებს თავად რფ-ის მოსახლეობა. ამის მიზეზების გარკვევას აკაკი ასათიანთან ერთად შევეცდებით.**

# რატომ აკრძალეს რუსეთში მაქმანებიანი საცვლები, რატომ აღარ მიჰყიდიან 40 წლამდე ასაკის ქალებს თამბაქოს ნაწარმს და როდიდან აპირებენ უცხოური ფილმებისთვის კვოტის დაწესებას კინოგაქირავებაში

**– რამდენად შორს შეიძლება, წავიდეს რუსეთი უკან, საბჭოთა კავშირისკენ?**

– სქემა ისეთია, რომ ყირიმის ამბის შემდეგ რუსეთი ვა-ბანკზე მიდის. დოლარების აკრძალვა გასაგებია, კარგა ხანია, საუბარია ერთიანი ვალუტის შემუშავებაზე, რომ ენერგორესურსები იმ ვალუტაზე გაყიდონ და დოლარი ამოაგდონ. მაგრამ დასაწყისში რაც ჩამოთვალეთ: მაქმანებიანი საცვლების აკრძალვა და 40 წლამდე ქალის ამოცნობა, ირაციონალური სფეროდანაა და გაი რიჩის ფილმებს უფრო ჰგავს, ოღონდ იქ პოლიტიკა ნაკლებია, უფრო სოციალურ თემებს ეხება. დოლარებზე მოგახსენეთ: ეს მათი პოლიტიკაა და ლოგიკა გასაგებია, დოლარი ქაღალდია, მათ აწუხებთ, რომ ამ ქაღალდით მართავს ამერიკა მსოფლიოს, თან, მარტო მათ არა, სხვა ქვეყნებსაც. რაც შეეხება უცხოურ ფილმებს: ისინი მართლაც მნიშვნელოვანია. სხვათა შორის, „შესანიშნავმა შვიდეულმა", ჯინსებმა და ფირფიტებმა დაშალეს საბჭოთა კავშირი. არ აწარმოებდა ჯინსს ქვეყანა, მაინც იყო; ფირფიტები არ შემოდიოდა, მაინც ტრიალებდა; ერთი-ორი ფილმი გამოდიოდა და უცბად ხედავდნენ ადამიანები, რომ იქ სხვა სამყარო იყო. აქამდე რუსეთი მეტნაკლებად მოქცეული იყო ცივილიზებულ სივრცეში. თუმცა იმ ცივილიზებულ სივრცეშიც ინტერესების სერიოზული დაპირისპირებაა. ჩვენ ვხედავთ ამერიკა-გერმანიის დაპირისპირებას, დიდი ბრიტანეთი საერთოდაც გადის ევროკავშირიდან, მაგრამ რაღაც საერთო თამაშის წესი დათქმულია და ვისაც რა გამოუვა ამ ფარგლებში, იმას ცდილობს. რუსეთის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები სწორედ ამ სისტემაში მისი ჩართულობის გამო ვერ მიიღეს. თავადვე დაზარალდებოდნენ: გერმანია და საფრანგეთი წინააღმდეგნი წავიდნენ. ფრანგებმა გასულ კვირას აღლუმი გახსნეს ცნობილი რუსული მარშით, ანუ კოჭი გაუგორეს. დასუსტებულ იმპერიას სიამოვნებს ასეთი ჟესტები, იმიტომ რომ წვრილმანი პატივმოყვარეობა აქვს. ჩვენი ხელისუფლების მიმართაც შერბილდა რუსეთის დამოკიდებულება მას შემდეგ, რაც ჩვენები ისე უაზროდ არ ილანძღებიან, როგორც სააკაშვილი: ასოცირების შეთანხმებაზე „გენიალური" საგარეო პოლიტიკით იმას მივაღწიეთ, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს ეხვეწებოდნენ, ხელი მოგვიწერეთო, ჩვენ გვამადლიდნენ. ამდენად, ჩვენი ხელისუფლება სწორად მოიქცა რუსეთთან მიმართებაში და დაუფასდათ, მინიმუმ, იმით, რომ რუსეთი აგრესიულ განცხადებებს არ აკეთდებს, ასოცირების შეთანხმებამდე არ მომხდარა არაფერი. იმიტომ ვთქვი, რომ ამას ყურადღებას აქცევენ რუსები, მაგრამ ახლა თავად აპირებენ იზოლირების რეჟიმში გადასვლას.



**უკრაინის ხელისუფლებაში ის ხალხია, რომლებიც ჩვენი ხელისუფლების მსგავსად ამბობს, რუსეთი განწირულია, უნდა დაიშალოსო. თუ უნდა დაიშალოს, დალოცვილო, მოიგე 10-15 წელი**

**– ეს ძალიან საშიში არ იქნება?**

– მე ეს არ მიხარია: იზოლირებული და გამხეცებული რუსეთი გვინდა ჩვენ და დასავლურ სამყაროს?! მგონია, რომ დასავლეთის პოლიტიკოსებს ესმით ეს ამბავი, მაგრამ დღეს იმ ტიპის ლიდერები აღარ არიან, რომლებიც ნიქსონივით შორს გაიხედავდნენ. მაგალითად, ნიქსონმა 15 წლით წინ გაიხედა, როდესაც ჰელსინკის ხელშეკრულებაში საბჭოთა კავშირს ჩაუდეს მუხლი ადამიანის უფლებებზე. ნიქსონი აქ რომ ჩამოვიდა, ზვიადს უთხრა, მე რომ მაშინ იმ შეთანხმებას ვაწერდი ხელს, ვიცოდი, რომ ერთხელაც აქ შენ დამხვდებოდიო. რადგან დღეს დასავლეთში ამ ტიპის ლიდერები არ არიან, ჩვენ მათ ვატყობთ დაბნეულობას: ერთი მხრივ, უნდათ, რომ რუსეთი დარჩეს დათქმული საერთო თამაშის წესის მონაწილე და, მეორე მხრივ, ხედავენ, რომ რუსეთი ვერ ელევა იმპერიულ ამბიციებს და ითხოვს, ყოფილი საბჭოეთი მაინც დამიტოვეთო. ამასაც ველარ ითხოვს და ნაწილების ჩაკბეჩაზე გადავიდა. ეს, ფაქტობრივად, თქვა პუტინმა – ჩვენ ვიბრუნებთ რუსულ მიწებს, ანუ აღარ ვდაობთ მთელი საბჭოეთის დაბრუნებაზეო. ჩვენთვის ამას მნიშვნელობა აქვს, რადგან აფხაზეთსა და ცხინვალს ისინი ნამდვილად ვერ დაარქმევენ რუსულ მიწებს.

**– აბა, როგორ გითხრათ: მაგალითად, ეკატერინე მეორემ თითქმის იმავე პერიოდში დაიპყრო ყირიმის სახანო და შეუერთა რუსეთს, როდესაც ჩვენთან გააფორმა გეორგიევსკის ტრაქტატი, ანუ, ფაქტობრივად, დაგვიპყრო.**

– საბჭოთა პერიოდშიც კი ითქვა, რომ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც რუსეთთან შეერთებისას სახელმწიფოებრიობა ჰქონდა, იყო საქართველოო და მართლაც ასეა. მაგრამ დღეს სხვა რამ ხდება: ახლახან პუტინს ვოიაჟი ჰქონდა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში და ლაპარაკია კუბაში, ვენესუელასა და ნიკარაგუაში სამხედრო ბაზების განლაგებაზე.

**– აქვს ამდენი ხარჯის გაღების თავი?**

– სწორედ ამას ვამბობ – ამდენს საბჭოთა კავშირმაც ვერ გაუძლო. ზვიად გამსახურდიამ, გორბაჩოვ-შევარდნაძემ და მასონებმა კი არ დაშალეს საბჭოთა კავშირი, არამედ ამბიციების შეუსაბამობამ შესაძლებლობებთან და მრავალეროვანი იმპერია, როგორც წესი, დიდხანს ვერ ძლებს. მათი ტრაგედია არის ის, რომ მათი პოლიტიკური ელიტა, მაგალითად, მათი „დუმა" ყოვლად წარმოუდგენელი დონეა. არადა ამ ხალხს ჰყავს მართლაც შესანიშნავი ელიტა, რომლებსაც არავინ ყურადღებას არ აქცევს და არ უსმენს.

**– 6-დან 10 წლამდე ბავშვები შეამოწმეს კითხვისა და ამასთან დაკავშირებულ უნარებში და რუსეთი გავიდა მეორე ადგილას, ჩვენ საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი გვაქვს. წიგნიერების პრობლემა არ აქვთ და ამ დროს მოსახლეობა მშვიდად იღებს ასეთ ჭკუიდან გადამყვან გადაწყვეტილებებს.**

– ერთია, რომ წიგნებს კითხულობენ და მეორე, რომ საშუალო ფენა გაჩნდა და ის 30 პროცენტს აჭარბებს, მაგრამ ამას დასჭირდება დრო. ახლა შთაბეჭდილება ისეთია, რომ გადახვევა ხდება ამ კურსიდან. პუტინი ცდილობდა, კონსოლიდირებული ყოფილიყო დასავლეთთან, იქ კაბელურ არხებზე, წიგნებში, გაზეთებში არის კრიტიკა, რაც აქამდე არ ხდებოდა, ელცინის პერიოდს არ ვგულისხმობ – ის ამოვარდნილია კონტექსტიდან და მაშინ რუსეთი, ალბათ, ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა იყო, თუმცა სწორედ მაშინ მოხდა ჩეჩნეთის ომი და ისიც გვახსოვს, ჩვენ რა მოგვიწყვეს. ძალიან არ მომწონს, რომ რუსეთში პუტინის გარდა ჭკუა არავის მოეკითხება. ის საკმაოდ რაციონალური კაცია, მაგრამ ის მაინც უშიშროების ოფიცერია. საბჭოთა კავშირის დროს რუსი უშიშროების თანამშრომელი მხოლოდ დისიდენტისა და ინტელექტუალისთვის იყო საძრახისი, რუსი მოსახლეობისთვის აგენტი მოვლენა იყო, ისევე, როგორც ინგლისელისთვის, იმიტომ რომ ისინი თავიანთ ქვეყანას ემსახურებოდნენ. როდესაც უკვირთ მისი ზოგიერთი განცხადება და მოქმედება, არ ითვალისწინებენ, რომ, მართალია, პუტინი საბჭოთა პატრიოტი აღარ არის, მაგრამ მას რუსული იმპერიული პატრიოტიზმი აქვს. ლაპარაკობენ, ფული და ძალაუფლება უნდაო და არ ითვალისწინებენ, რომ ის ელემენტიც არის, რაზეც მოგახსენეთ და ეს ყველაზე სახიფათო ელემენტია, რადგან იდეოლოგიური ელემენტია და, თან, ირაციონალური. ერთხელ გიორგი ლეონიძემ მოიტანა ასეთი ფრაზა: დიდი ერის პატრიოტიზმი შოვინიზმში გადადის, პატარა ერის შოვინიზმიც კი პატრიოტიზმიაო. გარდა ფულისა და ძალაუფლებისა, პუტინს ესეც ამოძრავებს: ნაწილობრივ მაინც ახერხებს იმის აღდგენას, რაც სხვებმა გაანიავეს, ყირიმი იქნება, ჩვენთან წარმატებული ომი თუ ევრაზია და ეს მისი მხოლოდ პროპაგანდისტული გათვლა კი არ არის, იმ ადამიანს სჯერა ამის. მეორე მხრივ, ეს სახიფათოა რუსეთისთვისაც, იმიტომ რომ ისინი განწირულ რამეს ებღაუჭებიან: არ დგებიან ნორმალურ კალაპოტში. მაგალითად, დე გოლს ეყო პრინციპულობა, რომ ალჟირი გაეშვა. ჩერჩილი ამას ვერაფრით დაუშვებდა, ამიტომაც ჩერჩილის შემდეგ მოხდა დეკოლონიზაცია. ახლა რუსეთში ის პროცესი მიდის, რაც ევროპამ დიდი დეკოლონიზაციის სახით გაიარა. რუსეთი რაღაც სხვა სტადიაში გადადის და იმედი მაქვს, დასავლეთის ლიდერები თუ არა კოლექტიური გონი რაღაცნაირად მოძებნის დამოკიდებულებას რუსეთთან. იმედი მაქვს, რუსეთი რაღაცნაირად გააცნობიერებს რეალობას და, რაც მთავარია, ყველაზე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენ მივხვდებით, რომ ამ ვითარებაში ძალიან ფრთხილად და გონივრულად უნდა ვიმოქმედოთ.

**– გაურკვეველი ვითარებაა უკრაინაში, უცებ რუსეთ-უკრაინის ომი რომ დაიწყოს ყირიმის გამო?**

– დონბასთან დაკავშირებით დღე-დღეზე სერიოზული ბრძოლაა მოსალოდნელი. უკრაინას ისეთი მთავრობა ჰყავს, უკეთეს შემთხვევაში, ავანტიურისტები, რომლებიც დასავლეთისგან ჯილდოდ 15 მილიარდს ელოდებიან რუსეთთან ომის გამო, იმიტომ რომ დასავლეთში ისევ არის ხალხი, რომლებსაც რუსეთის ომში ჩათრევა უნდათ. ანუ ის ხდება, რაც ჩვენს ომთან დაკავშირებით ხდებოდა. მეორე მხრივ, როგორც იანუკოვიჩს უნდოდა 15 მილიარდი

# რამდენი ავტომანქანა ჰყავს და რამდენი ანაბარი აქვს სხვადასხვა ვალუტაში ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილეს, გიორგი თაბუაშვილს

საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი თაბუაშვილი 1973 წელსაა დაბადებული თბილისში. უმაღლესი განათლება თსუ-ში მიიღო (1991-1996 წლებში) და ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხიც მოიპოვა. სამწლიანი სწავლის შემდეგ კი იმავე თსუ-ში (1993-1996 წლებში) სამართალმცოდნის დიპლომიც აიღო. 2000-დან 2002 წლამდე ილინოისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, სპეციალიზაციით – სახელმწიფო ფინანსები. მისი შრომითი ბიოგრაფია 1993 წელს იწყება საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში, სადაც გამგეობის წევრი 1996 წლამდე იყო. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, 1996 წელს, პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე გახდა ეკონომიკურ საკითხებში; 1997 წელს ეკონომიკური განვითარების მინისტრის თანაშემწედ გადაიყვანეს; 1998 წლიდან 1999 წლამდე ფისკალური რეფორმების პროექტის ფისკალური ანალიტიკოსი იყო; 1999-2000 წლებში – პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის აპარატის უფროსი. 2002-2004 წლებში კი – სავალუტო ფონდის ადგილობრივი წარმომადგენლობის ფისკალური ეკონომისტი; 2004 წლის იანვრიდან მაისამდე ფინანსთა მინისტრის მოადგილედ მუშაობდა; 2004-დან 2007 წლამდე – სახელმწიფო ხაზინის უფროსად; 2007 წელს საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციის ფინასურ დირექტორად გადავიდა. 2008-2012 წლებში „პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის" გენერალურ დირექტორად მუშაობდა; ასევე, 2009-2012 წლებში – „მარაბდა-კარწახის რკინიგზის" (ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი) ფინანსურ დირექტორად; 2012 წლის 30 ოქტომბრიდან ფინანსთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, 2013 წლის 3 იანვრიდან კი პირველ მოადგილედ დაწინაურდა.

რაკი სტაჟიანი და, აგერ უკვე მესამე მთავრობის ჩინოვნიკია, პირველი დეკლარაცია ბ-ნმა თაბუაშვილმა 2004 წელს შეავსო, სხვათა შორის, როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ და, ოჯახის წევრებად მიუთითა მეუღლე – ვაწში დაბადებული ნატო ორმოცაძე და 2002 წელს აშშ-ში დაბადებული ქალიშვილი – ანა. იმხანად გიორგი თაბუაშვილს ეკუთვნოდა 60 000 ლარად ღირებული საცხოვრებელი სახლი თბილისში, ხომლელის ქუჩაზე და 10 000-ლარიანი ავტომანქანა, ხოლო შემნახველ ანაბარზე 21 000 ლარს ინახავდა. 2003 წლის განმავლობაში გიორგი თაბუაშვილმა, როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, 3 300 ლარი



აიღო, როგორც სავალუტო ფონდის ეკონომისტმა – 33 000 ლარი. 2005 წელს მან უკვე ხაზინის უფროსის ამპლუაში შეავსო დეკლარაცია. მისი ოჯახის წევრთა რაოდენობაც უცვლელია და უძრავი ქონებისაც, ოღონდ, ახლა უკვე 4 500-დოლარიანი „ფოლკსვაგენი" ჰყავდა, ბანკში 8 100 დოლარს ინახავდა, ხოლო ნაღდ ფულად 12 000 აშშ დოლარი ჰქონდა. 2004 წლის განმავლობაში მან, როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, 13 632 ლარი აიღო, როგორც ხაზინის უფროსმა – 22 928 ლარი. 2006 წელს შევსებული დეკლარაციით, ბ-ნ თაბუაშვილი ბანკში 12 000 დოლარს ინახავდა, ნაღდ ფულად კი 30 000 დოლარი ჰქონდა. რაც შეეხება შემოსავლებს: 2005 წლის განმავლობაში ხაზინის უფროსის წლიურმა შემოსავალმა 38 000 ლარამდე შეადგინა. 2007 წელს შევსებული დეკლარაციის თანახმად, გიორგი თაბუაშვილს ერთადერთი უძრავი ქონება აქვს – 8 500 ლარად ღირებული აგარაკი ახატანში, ანაბარზე – 10 000 დოლარი, ხოლო ნაღდ ფულად – 1 000-ოდე დოლარი. მუშაობა დაუწყია მის მეუღლესაც – გარემოს დაცვის სამინისტროში საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს სპეციალისტად. ბინის მშენებლობაც წამოუწყიათ, რაშიც 34 383 აშშ დოლარი ჩაუდევთ. 2006 წლის განმავლობაში ბ-ნი თაბუაშვილის სახელფასო შემოსავალს 40 367 ლარი შეუდგენია, მის მეუღლეს კი მხოლოდ 3 500 ლარის აღება მოუსწრია. 2007 წელს მეორე შვილი – ელენეც შესძენიათ. რაც შეეხება შემოსავლებს: 2007 წლის განმავლობაში გიორგი თაბუაშვილმა, როგორც ხაზინის უფროსმა, 17 588 ლარი აიღო; როგორც ნავთობისა და გაზის კორპორაციის ფინანსურმა დირექტორმა – 40 202 ლარი; მისმა სპეციალისტმა მეუღლემ კი – კვლავაც 3 600 ლარი. ასევე, გიორგი თაბუაშვილს 25 000 დოლარის ოდენობის იპოთეკური სესხიც გამოუტანია. 2009 წელს წყვილს მესამე შვილი – ანდრია შეეძინა. ბოლო დეკლარაცია ბ-ნმა თაბუაშვილმა 2013 წელს შეავსო როგორც ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ. უძრავ ქონებად მიუთითა: ბინა ვაჟა-ფშაველაზე (132 კვ. მ.), მიწის ნაკვეთი წავკისში (800 კვ. მ.), საცხოვრებელი სახლი (120 კვ. მ.) და მიწის ნაკვეთი ახატანში (600 კვ. მ.); ასევე, ორი ავტომანქანა: 2004 წლის „ტოიოტა კამრი" და 2003 წლის „მიცუბიში პაჯერო". ამას გარდა, გიორგი თაბუაშვილი ფლობს „საქართველოს სახალხო ბანკის" თეთრად ღირებულ 100 000, ხოლო 2 თეთრად ღირებულ 134 967 აქციას. აქვს სამი დეპოზიტი, რომლებზეც ინახავს: 18 400 ლარს, 32 048 დოლარსა და 10 042 ევროს. ხოლო, დეკლარაციის შევსების დროს, ნაღდ ფულად გიორგი თაბუაშვილს 20 000, მის მეუღლეს კი 5 000 ლარი ჰქონდათ. რაც შეეხება შემოსავლებს, ნატო ორმოცაძემ, როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს სპეციალისტმა, 2012 წლის განმავლობაში 18 916 ლარი აიღო; ხოლო გიორგი თაბუაშვილმა: როგორც მარაბდა-კარწახის რკინიგზის კოორდინატორმა – 7 035 ლარი; როგორც პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ-ჯგუფის აღმასრულებელმა დირექტორმა – 3 000 ლარი; როგორც „პი ემ სი" კვლევითი ჯგუფის ექსპერტმა – 13 895 ლარი; როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ – 20 897 ლარი; როგორც საქართველოში „ფაიაზერის" წარმომადგენლობის ფინანსურმა მენეჯერმა, 39 375 ლარი.

**ნინო ხაჩიძე**

---

რუსეთისგან, რომ პუტინის საქმე გაეკეთებინა, ისე უნდათ ამათ 15 მილიარდი დასავლეთისგან ამათ და წარმოგვიდგენია, რას უზამენ იმ 15 მილიარდს.

**– და დასავლეთი საკმაოდ მშვიდად უყურებს, როგორ იხოცება ხალხი უკრაინაში.**

– ყველა უყურებს: თუ თავი არ გენანებათ, მაშინ დაიხოცეთო. კიდევ კარგი, ჩვენ ამ ამბავს შევეშვით, როდესაც სხვისი ამოცანების გადაწყვეტა ჩვენს ხარჯზე ხდებოდა. სამწუხაროდ, ახლა უკრაინა არის ამ სიტუაციაში. ყირიმი ძალიან სპეციფიკური ამბავია. თუ ვინმეს უნდოდა უკრაინის ერთიანობა, რა პრობლემა იყო ფედერალიზმი?! უკრაინის ხელისუფლებაში ის ხალხია, რომლებიც ჩვენი ხელისუფლების მსგავსად ამბობს, რუსეთი განწირულია, უნდა დაიშალოსო. თუ უნდა დაიშალოს, დალოცვილო, მოიგე 10-15 წელი. ხომ ვხედავთ, რომ პუტინის შემდეგ რუსეთს პერსპექტივა არ აქვს?! სტალინის ამბავია, ოღონდ უფრო დაბალ დონეზე. ის გენიალური მმართველი იყო, მაგრამ ის მმართველი მიდის და დამთავრდა. პუტინს რა გაგრძელება ექნება? არანაირი. ამიტომ აქ დროის მოგებაზეა ლაპარაკი, მერე კი – ან ისეთი კარგი ხდება რუსეთი, რომ შესაძლებელი იქნება მასთან ურთიერთობა, ან მართლაც განწირულია და სალაპარაკოა, შემდეგ ჩვენ რა გვეშველება, ისეთი სიტუაცია შეიქმნება ჩრდილოეთ კავკასიაში.

მაქმანების აკრძალვის გამო ომი არ დაიწყება, მაგრამ აქ ძალიან სერიოზული ამბებია მოსალოდნელი. ამ ხელისუფლების, რაც მომწონს, ეს არის რუსეთთან კორექტული დამოკიდებულება და, თუ ობიექტურები ვიქნებით, უნდა ვთქვათ, რომ მათგანაც ძალიან თავშეკავებული დამოკიდებულებაა. რადგან ისინი ასეთ რამეებს ანგარიშს უწევენ, თუმცა ძლიერი იმპერია ასეთ რაღაცეებს არ აქცევს ყურადღებას.

**– არასრულფასოვნების კომპლექსი არ აქვთ.**

– თუმცა მათაც გაუჩნდებათ ეს კომპლექსი, თუ ასე გააგრძელეს. მაგრამ ჯერჯერობით არ აქვთ. იმავე სტალინს ნაკლებად ადარდებდა, ვინ აქებდა და აძაგებდა ქვეყნის გარეთ. ამათ ეს გამახვილებული აქვთ. რუსები ამას „ტშესლავიეს" უწოდებენ და სწორედ ეს არის წვრილმანი პატივმოყვარეობა. მათ ეს წვრილმანი პატივმოყვარეობა აქვთ გამახვილებლი, მაგრამ მაქმანების აკრძალვით, დარწმუნებული ვარ, რაღაც სერიოზულთან აგუებენ მოსახლეობას და ეს უკრაინასთან დაკავშირებით მოხდება.

**– და ეს აუცილებლად შეეხება ევროპას.**

– ნახეთ, რა მოხდა: ჩეხებმა და სლოვაკებმა, „ნატოს" წევრმა ქვეყნებმა, როგორც კი „ნატომ" გადაწყვიტა, ჯარი და თვითმფრინავები უნდა გადავისროლოთო, უარი უთხრეს, არ გვინდაო. მათ გაიგეს პუტინის ნათქვამი: ვიბრუნებთ ჩვენს ისტორიულ მიწებსო და სლოვაკი და ჩეხი ფიქრობს, იბრუნებს და დაიბრუნოსო. გერმანელმა ხალხმაც გაიგო პუტინის ნათქვამი: იმედი მაქვს, გერმანელ ხალხს ახსოვს, რომ ჩვენ მათი გაერთიანების მომხრეები ვიყავით, როდესაც გერმანიის მოკავშირეები წინაალმდეგნი იყვნენ. და ეს მართლაც ასე იყო. და თქვენ ხედავთ, გერმანიის პოზიციას. ამას წინათ, ერთმა ამერიკელმა ექსპერტმა თქვა, ლაპარაკი არ არის პრორუსებზე, ლაპარაკია რუსებზეო. ამიტომ არ აქვთ ისეთი შიშები, როგორიც ჩვენ. ჩვენთან გადაჭარბებით წარმოუდგენიათ მოვლენების განვითარება, ევროპელები გამორიცხავენ იმის შესაძლებლობას, რომ რუსეთი გასცდეს არათუ ყოფილი საბჭოეთის, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მიმდებარე ტერიტორიებს.

**– ვაიდა გასცდა, მერე სად მიდიან?**

– ეს უკვე, როგორც კახეთში ამბობენ, მეორე სტაქანია, ანუ ეს უკვე სხვა თემაა. მეც მგონია, რომ არა, თუმცა ალბათობა, მცირე თუ დიდი, მაინც რჩება, მაგრამ ევროპელებს ამის არ სჯერათ, ამიტომ აქეზებს მათ ამერიკა ასე გამწარებული, თუმცა ევროპელები არ რეაგირებენ. ახლახან რუსეთში „ბრითიშ პეტროლიუმს" ხელი მოუწერეს ძნელად დასამუშავებელი საბადოების ათვისებაზე. უნდა გენახათ, როგორ ელაქუცებოდნენ. ფრანგების სახელმწიფო კომპანიაც დასაქმდა რუსეთის ტერიტორიაზე, გერმანული ეკონომიკა ხომ საერთოდ კრიზისს გადაურჩა რუსეთის ბაზრის გამო. ამის გათვალისწინებით, ვინ დაუპირისპირდება რუსეთს?! უნგრეთი ლამის საერთოდ გავიდეს ევროკავშირიდან და რუსეთს შეუერთდეს, არადა, უნგრელებს ვერავინ დააბრალებს პრორუსობას. მაგრამ ყველა ამოდის თავისი იდეოლოგიური ინტერესიდან. რუსების უდიდესი შეცდომა იქნება, თუ ისინი ისევ იდეოლოგიურ ბარიერს დააწესებენ, ამ შემთხვევაში ისევ თოფით დარაზმავენ ყველას თავიანთ წინააღმდეგ.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ პირველი აგვისტოდან გენმოდიფიცირებული პროდუქციის მარკირება სავალდებულო გახდება, თუმცა ინფორმაცია არაზუსტია, ვინაიდან გენმოდიფიცირებული პროდუქციის მარკირებისთვის თავის არიდების გამო ჯარიმები იმპორტიორებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს ჯერ კიდევ 2014 წლის პირველი იანვრიდან დაუწესდათ. შესაბამისად, ნებისმიერი პროდუქტის ეტიკეტზე ქართულად უნდა იყოს მითითებული, შეიცავს თუ არა გენმოდიფიცირებულ შემადგენელს (აღნიშვნა შემდეგნაირია: „გმო“), წინააღმდეგ შემთხვევაში პროდუქტის პატრონი დაჯარიმდება. ჯარიმა, მაინცდამაინც დიდი არ არის, თუმცა სულ არაფერს, სჯობია. კერძოდ, პირველ ჯერზე – 400 ლარი, მეორე და შემდეგ ჯერზე – 1 200 ლარი. პირველი აგვისტოდან კი, წესით, უნდა ამოქმედდეს ბიოწარმოების შესახებ დადგენილება, რის მიხედვითაც „ბიო,“ „ეკო“ და, ასევე, „ეკოლოგიურად სუფთა“ წარწერები იკრძალება ისეთ პროდუქციაზე, რომელიც სინამდვილეში არ არის ბიოწარმოების და ეკოლოგიურად სუფთა. ეს ნორმა იანვრიდან უნდა შესულიყო ძალაში, თუმცა მწარმოებლებმა, რომლებსაც თავიანთი პროდუქტების სახელწოდებაში მითითებული აქვთ „ბიო“ და „ეკო“, ითხოვეს დრო რებრენდლინგისთვის. მთავრობამაც, რატომღაც, კეთილი ნება გამოიჩინა და ნორმის ამოქმედება გადაავადა, თუმცა ეს ვადა პირველ აგვისტოს იწურება. პირველი აგვისტოდან ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რომელი პროდუქტია ბიო და რომელი – არა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, იმას ნამდვილად არ მივირთმევთ, რაც გვგონია და პროდუქტის ეტიკეტს აწერია. რას მოუტანს მომხმარებელს პირველ აგვისტოს ასამოქმედებელი ცვლილება, ხომ არ გაძვირდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი მოიპოვება ჩვენს სამომხმარებლო ბაზარზე და არის თუ არა ქვეყანაში შესაბამისი ლაბორატორიული სიმძლავრეები ეკოლოგიურად სუფთა და არასუფთა პროდუქტის გამოსავლენად? ამ საკითხის გარკვევაში სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მომხმარებელთა დაცვის პროგრამის ხელმძღვანელი ლია თოდუა დაგვეხმარება.**

# რატომ ვეღარ დააწერენ პირველი აგვისტოდან ადგილობრივი მწარმოებლები საკუთარი შეხედულებისამებრ თავიანთ პროდუქციას „ბიოს“, „ეკოსა“ და „ეკოლოგიურად სუფთას“

**– იანვრიდან ამოქმედდა ჯარიმები გენმოდიციფირებულ პროდუქციაზე გენმოდიფიცირებული შემადგენლის არმითითების გამო. 7 თვე გავიდა უკვე, გამოვლინდა დარღვევები?**

– ჩვენ შევძელით სოიის შემოწმება, იმიტომ რომ, ჯერჯერობით საქართველოში ერთადერთი ლაბორატორია იკვლევს პროდუქტში გენმოდიფიცირებული შემადგენლის არსებობას. ისიც მხოლოდ ხარისხობრივად, რაოდენობრივად ვერ ამოწმებენ. თან, ძალიან ძვირია, 450 ლარი დაგვიფასა ერთი შემოწმება და ისიც, ფასდაკლებაა თქვენთვისო.

**– რას ნიშნავს რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაზომვა?**

– ეტიკეტირებისას დადგენილი წესია, რომ თუ ერთ პროცენტზე მეტია გენმოდიფიცრებული შემადგენელი პროდუქტში, მაშინ უნდა იყოს მითითებული, მაგრამ ჩვენი ლაბორატორია ვერ გვპასუხობს, ერთ პროცენტზე მეტია თუ ნაკლები. გვეუბნება, რომ არის ან არ არის, ამდენად, ფაქტობრივად, პრეტენზიას ვერ წაუყენებ მეწარმეს, დაიტანოს ეტიკეტზე ეს მონაცემი, იმიტომ რომ არ იცი, გენმოდიფიცირებული შემადგენელი ერთ პროცენტზე ნაკლებია თუ მეტი.

შესაბამისად, როდესაც აღმოვაჩინეთ, რომ იყო, სინჯები გავაგზავნეთ გერმანიაში რაოდენობრივ კვლევაზე, სადაც ზოგ პროდუქტზე გვითხრეს დადებითი პასუხი, ზოგზე – უარყოფითი. ყოველ შემთხვევაში, გერმანულმა ლაბორატორიამ გვითხრა, რომ პროდუქტების ნაწილში გენმოდიციფირებული შემადგენელი მათი დეტექციის ზღვარს ქვემოთ იყო. შესაბამისად, თუ ჩვენთან არ მოწესრიგდა რაოდენობრივი გაზომვის პრობლემა და არ გაიაფდა, შემოწმება გართულდება. რამდენიმე ლაბორატორიამ გვითხრა, რომ აპირებენ აკრედიტაციის გავლას. ალბათ, ეს გააიაფებს შემოწმებას, თორემ წარმოუდგენლად ძვირია.

**– პროდუქტში ერთ პროცენტზე ნაკლები გენმოდიფიცირების შემადგენელი მავნე არ არის?**

– თავის დროზე ერთი პროცენტი იყო დეტექციის ზღვარი და ასეც დარჩა. თუ 0,9 პროცენტი ან ამაზე ნაკლებია, არ ითვლება გენმოდიფიცირებულად. თუმცა, რა თქმა უნდა, რა რაოდენობაც უნდა იყოს, მოდიფიცირებული გენი ან ცილა თუ არის პროდუქტში, საშიშროება არის. მაგრამ, სუფთა ფორმალური თვალსაზრისით, ვალდებულება ასეთია და ვერ მოსთხოვ მეწარმეს, დააწეროს პროდუქტს, თუ მასში გენმოდიფიცირებული შემადგენელი 0,9 პროცენტზე ნაკლებია.



**წესით, ბიოპროდუქტი უფრო მეტი უნდა ღირდეს და სხვანაირი მარკეტინგი სჭირდება. ჩვენთან ჩვეულებრივი პროდუქტები იყიდება, როგორც ეკოლოგიურად სუფთა და ამიტომ ეკოლოგიური პროდუქტისთვის არ იყო ადგილი**

**– უცხოეთშიც ასეთი ნორმაა?**

– დიახ, ევროპაშიც ასეა, მაგრამ ევროპაში ცოტა განსხვავებული ვითარებაა. ჩვენთან, თუ პროდუქტი შეიცავს გენმოდიფიცირებულ შემადგენელს, მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა დააწეროს, მაგრამ თუ გენმოდიფიცირებული პროდუქტისგანაა წარმოებული, ამის აღნიშვნის ვალდებულება აღარ არსებობს. ევროპაში კი, არსებული ნორმით, ამის მითითებაც სავალდებულოა. მაგალითად, თუ კარტოფილის სახამებელი გენმოდიფიცირებული კარტოფილისგანაა წარმოებული, ამას ვეღარ გამოავლენ ლაბორატორიულად, რადგან მასში აღარც მოდიფიცირებული გენია და აღარც ცილა, მაგრამ ევროპული კანონი მაინც ითხოვს მითითებას.

**– როგორ უნდა შემოწმდეს მეწარმე, თუ ლაბორატორიული შემოწმება ამას ვერ ავლენს?**

– უნდა იყოს მიკვლევის შესაძლებლობა. ყანამდე მიკვლევაც უნდა იყოს შესაძლებელი და იქ უკვე გასაგები ხდება, არის თუ არა პროდუქცია გენმოდიფიცირებული. ჩვენთან ეს მოთხოვნა არ არის, ევროპაში არის, მაგრამ, სამაგიეროდ, ამერიკაში საერთოდ არ არის სავალდებულო, მიეთითოს პროდუქტის ეტიკეტზე გენმოდიფიცირებული შემადგენელი. ჩვენ შევამოწმეთ სოია, თვითონ სოიოს თესლი კი არა, ნახევარფაბრიკატები: სოიის ფარში და სოიის ფხვნილი. კარგი ის არის, რომ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოსული, ძვირად ღირებული სოია იყო გენმოდიფიცირებული; ხოლო უფრო იაფი – რუსული, ინდური, ჩინური წარმოების არც ერთი არ იყო გენმოდიფიცირებული. ჩვენთან უფრო დიდი ალბათობაა, რომ იაფიანი იყიდოს ჩვენმა მოსახლეობამ და ამიტომ, ამ მხრივ, დაცულიცაა და, მაინცდამაინც საგანგაშო სიტუაცია არ გვაქვს. თუმცა ეს ჯერ კიდევ გამოსაკვლევია და ველოდებით, როდის გაიხსნება დამატებითი ლაბორატორიები.

**– გასაგებია, რომ თქვენ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები პერიოდულად შეამოწმებთ პროდუქციას, მაგრამ, როდესაც კანონი აწესებს ჯარიმებს, ვინ უნდა შეამოწმოს, არღვევს თუ არა მეწარმე თუ იმპორტიორი კანონს? არის მექანიზმი?**

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სააგენტომ გამოაცხადა ტენდერი და იმ ლაბორატორიამ, რომელშიც ჩვენ შევამოწმეთ სოია, მოიგო. ერთადერთი იყო და ცხადია, მოიგებდა. წელს სააგენტო გეგმავდა 30 პროდუქტის შემოწმებას.

**– ყველას შეამოწმებს სააგენტო?**

– არა, ყველას ვერ შეამოწმებს.

**– აბა, რა მეთოდი არსებობს, შერჩევითი შემოწმება?**

– შერჩევით უნდა შეამოწმოს. ჩვენთვის უცნობია, რა სქემით გააკეთებს. ჩვენ ავირჩიეთ სოია, რადგან ვიცოდით, რომ სოიის გენმოდიფიცირებულობის ალბათობა ყველაზე მაღალი იყო. მსოფლიოში სოიის ბაზრის ორი მესამედი გენმოდიფიცირებულია. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, როგორ შეარჩევს შესამოწმებელ პროდუქციას სააგენტო.

**– ევროპაში რა სქემით ამოწმებენ, თუ იქ მეწარმეები უფრო კეთილსინდისიერები არიან და არ მალავენ გენმოდიფიცირებულ პროდუქტს?**

– იქ ბაზარი უფრო მოწესრიგებულია, ვიდრე ჩვენთან. გარდა ამისა, მიკვლევის სისტემაა აწყობილი. ყოველთვისაა შესაძლებელი, შეამოწმო, რისგან დამზადდა პროდუქტი. ჩვენთან ეს მოწესრიგებული არ არის. არავინ იცის, რომელი ყანიდანაა შემოსული პროდუქტი, რა ხორბლით თუ სოიით მზადდება. შემოწმების მასშტაბი ევროპაში გაცილებით დიდია, არათუ რამდენიმე ათეულჯერ, რამდენიმე ასეულჯერ მეტი შემოწმება ხდება.

**– გარდა სოიისა, რომელია გენმოდიფიცირებული პროდუქტი რისკ-ჯგუფში?**

– ალბათ, კარტოფილი, მაგრამ თავს ვერ დავდებ, სანამ არ გამოვიკვლევთ.

**– თუმცა ჩვენს ბაზარზე ბევრ პროდუქტს აქვს მითითებული, რომ ეკოლოგიურად სუფთაა. პირველი აგვისტოდან ბიო, ანუ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს უნდა მიეთითოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მართლაც ასეთია. ეს ნორმა ნამდვილად შევა ძალაში?**

– ყოველ შემთხვევაში, როდესაც გადაიდო მთავრობის დადგენილება, გამოდიოდა, რომ პირველ აგვისტოს უნდა ამოქმედებულიყო. ამის შემდეგ არ გადაუდიათ. რადგან არ გადადებულა, პირველი აგვისტოდან უნდა ამოქმედდეს.

**– და რას ითვალისწინებს ეს ახალი ნორმა?**

– რომ წარწერები: „ბიო”, „ორგანული”, „ეკო” ვერ გაკეთდება პროდუქციაზე, რომელსაც არ აქვს შესაბამისი სერტიფიკატი.

**– სერტიფიკატი ვინ უნდა გასცეს?**

**(გაგრძელება მე-13 გვერდზე)**

# ცხადდება მიღება ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე

ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის კვალდაკვალ, საქართველო კიდევ უფრო მეტად დგება ევროპისმცოდნეობის მიმართულებით მაღალკვალიფიციური კადრების საჭიროების წინაშე და ამ პროცესში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამას გადამწყვეტი როლი ენიჭება.

ევროკავშირის მხარდაჭერით დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 2014-2015 სასწავლო წლისთვის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე ევროპისმცოდნეობაში, ევროპულ უნივერსიტეტებში მობილობის შესაძლებლობითა და საჯარო თუ კერძო სექტორებში სტაჟირების შეთავაზებით.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტი დაარსდა 2007 წელს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და ეფუძნება თსუ-ს ოთხ ფაკულტეტს:

- **იურიდიული ფაკულტეტი**
- **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**
- **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**
- **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.**

ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი და კურსის სილაბუსები შედგენილია უცხოელი ექსპერტების მიერ ევროპისმცოდნეობის წამყვანი, ევროპული პროგრამების გათვალისწინებით.

ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი მოიცავს ოთხ ძირითად საგანს დამფუძნებელი ფაკულტეტებიდან:

- **ევროკავშირის სამართალი**
- **ევროკავშირის ეკონომიკა**
- **ევროპის ისტორია**
- **ევროკავშირის ინსტიტუტები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი ევროკავშირში.**

ჩამოთვლილი საგნების გარდა, კურიკულუმში შესულია შემდეგი სავალდებულო და არჩევითი კურსები:

- **ევროპული ინტეგრაციის თეორიები**
- **თანამშრომლობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის**
- **აღმოსავლეთ ევროპის ევროპიზაცია**
- **ევროკავშირის განვითარება და მოსახლეობა**
- **ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი**
- **ევროპის კულტურული მოზაიკა**
- **ევროპული პოლიტიკა**
- **საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი**
- **საერთაშორისო საჯარო სამართალი**
- **საჯარო პოლიტიკის ანალიზი**
- **სტატისტიკა**
- **სამართლის თეორია**
- **კვლევის დიზაინი**

მაგისტრატურაში მიღების ვადები:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატთა საბუთების მიღება (რეგისტრაცია) – *1-4 სექტემბერი;*
ბ) გამოცდა უცხო ენაში (იმ საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებსაც მოეთხოვებათ უცხო ენის გამოცდის ჩაბარება) – *8 სექტემბერი;*
გ) გამოცდის შედეგების გამოცხადება – 9 სექტემბერი;
დ) გამოცდის შედეგების გასაჩივრება – 10-12 სექტემბერი;
ე) აპელაციის შედეგების გამოცხადება – 15 სექტემბერი;
ვ) გამოცდა სპეციალობაში (წერითი კომპონენტი) – 10 სექტემბერი;
ზ) გამოცდა სპეციალობაში (იმ საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებსაც მოეთხოვებათ ზეპირი კომპონენტის ჩაბარება) – 12 სექტემბერი;
თ) გამოცდის (წერითი კომპონენტი) შედეგების გამოცხადება – 11 სექტემბერი;
ი) გამოცდის შედეგების გასაჩივრება – 12-16 სექტემბერი;
კ) აპელაციის შედეგების გამოცხადება – 17 სექტემბერი;
ლ) ხელშეკრულების გაფორმება მაგისტრანტობის კანდიდატებთან -18 - 23 სექტემბერი;
მ) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტისათვის მაგისტრანტობის კანდიდატთა სიის წარდგენა – 24 სექტემბერი;
ნ) ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება – 29 სექტემბერი.

მიმღებ კომისიაში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

ა) განცხადება რექტორის სახელზე;
ბ) ფოტოსურათი (3X4) – ბეჭდური 2 ცალი და ელექტრონული ვერსია CD-ზე;
გ) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (2014 წლის კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე);
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი;
ე) უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ვ) ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ზ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
თ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
ი) სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამა.

ევროპული კვლევების ინსტიტუტის ზოგიერთი პარტნიორი უნივერსიტეტი ევროკავშირში, საიდანაც ხდება უცხოელი პროფესორების მოწვევა და წარმატებული სტუდენტების მივლინება:

- **თრინითის კოლეჯი დუბლინი**
- **ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი**
- **გრაცის უნივერსიტეტი, ავსტრია**
- **ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი**
- **სლოვენიის ლუბლიანას უნივერსიტეტი**
- **გრენობლის პიერ მენდესის საფრანგეთის უნივერსიტეტი;**
- **ათენის პანთეონის ბერძნული უნივერსიტეტი**
- **ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი**

**სწავლის ღირებულება – სემესტრულად შეადგენს 1500 ლარს**

დიპლომს გასცემს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი

**ჩაბარების მსურველებს ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ საერთო სამაგისტრო გამოცდები, რის საფუძველზეც მოპოვებული გრანტი, საფასურის დაფარვის ნაწილში მოქმედებს.**

*სამაგისტრო პროგრამაზე სწავლება სრულად ინგლისურენოვანია.*

## ჩაბარების მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ევროპული კვლევების ინსტიტუტი, ჭავჭავაძის გამზ. №3, თსუ მე-2 კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 406.
ტელ: (+995 32) 2 22 78 99; მობ.: 599 65 95 77 (ნინო ფარსადანიშვილი), 595 77 01 10 (მარიამ ქველაძე); ელ-ფოსტა: info.ies@tsu.ge

**მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში, როდესაც საქართველოში იკრძალებოდა ეკლესიაში სიარული, ლოცვა, იხურებოდა ეკლესია-მონასტრები, სხვადასხვა კუთხეში ზოგ მონასტერში მაინც მიმდინარეობდა აქტიური მონაზვნური ცხოვრება და საქმიანობა. ერთ-ერთი ასეთი, მათხოჯის მონასტერი იყო, სადაც მონაზვნები, დედები ქართველი ხალხისთვის მუდმივად ლოცულობდნენ და იღვწოდნენ. ამ საკითხის, ასევე ათონის მთის მონასტრის ბერების შესახებ, რომლებიც ამ წმიდა ადგილიდან ხშირად ქრებოდნენ, გვესაუბრება პროფესორი, მხატვარი, მრავალი ცნობილი სიმღერისა და მელოდიის ავტორი, დავით გაჩეჩილაძე:**

# რა სასწაულები ხდებოდა მათხოჯის მონასტერში და რა ემართებოდათ ათონის მთაზე ასვლის მსურველ ქალებს

– 1893 წელს იმერეთის ეპისკოპოსის, წმიდა გაბრიელის კურთხევით, სოფელ მათხოჯში დაარსდა დედათა სავანე. იქ შეკრებილ 45 დას დაუწყია სავანის მშენებლობა. ჯერ საცხოვრებლის ხის სენაკები ააშენეს და ერთ-ერთი სენაკი საშინაო ტაძრად ჰქონდათ გადაქცეული. 1895 წლიდან ამ სავანის „ბლაღოჩინად“ სასულიერო მთავრობამ დანიშნა დეკანოზი დავით ღამბაშიძე. 1898 წლის მაისიდან ყოვლადსამღვდელო ბესარიონის ლოცვა-კურთხევით, დაიწყეს წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის მშენებლობა სავანის ეზოში. იმ ადგილას მეცამეტე საუკუნეში ეკლესია მდგარა, რომლის ნანგრევები იმ დრომდე შემორჩენილი ყოფილა. 1901 წლის 4 ნოემბერს ტაძარი უკურთხებია იმერეთის მაშინდელ ეპისკოპოსს, ლეონიდე ოქროპირიძეს. ეპისკოპოს ლეონიდეს წარდგენით, 1901 წელს უწმიდეს სინოდს მათხოჯის დედათა სავანე უშტატო მონასტრად დაუმტკიცებია. შტატიანი მონასტრის სტატუსი კი 1914 წელს მიუციათ. მისი წინამძღვრისთვის, მონაზონ ანასტასიასთვის კი, 1916 წლის 6 მაისს იღუმენობა უბოძებიათ. მაგრამ, ხელისუფლების სათავეში კომუნისტების მოსვლის შემდეგ, მათი ხელი მათხოჯის მონასტერსაც შეეხო.

**– რას გულისხმობთ?**

– წმიდა ბასილის ცნობილი ხატი ხელისუფლებას, სავარაუდოდ, „ულმერთობის მუზეუმში“ ჩაუბარებია, მონასტრის ქონება მიუთვისებია. საყოველთაო გაჭირვების ჟამს, დედები თავს საბნის კერვით ირჩენდნენ. განთქმული იყო მათხოჯის მონასტრის საბნები და ამბობენ, ისინი დღესაც შემორჩაო. დედებს პატარა მეურნეობაც ჰქონდათ, ძროხები და ქათმები ჰყავდათ, ბოსტანსაც ამუშავებდნენ, მცენარეებისგან წამლებს ამზადებდნენ. დიდი შესაწირი გაულია მონასტერს მეორე მსოფლიო ომის დროს. რაც შეეხება მონასტრის დედათა სულიერ ცხოვრებას, წლების განმავლობაში მას მამა დავით ჯინჭარაძე წარმართავდა, რომელიც იყო ცნობილი მგალობელი და ათონზე გაზრდილი, განათლებული ადამიანი. მან მონაზვნებს გალობა ასწავლა. მამა დავითს არ ასვენებდნენ, ლამის ყოველ პარასკევ საღამოს იჭერდნენ და ორშაბათს უშვებდნენ, რათა ეკლესიაში არ ეწირა. მოგვიანებით, იღუმენი დავითი გურიაში დაბრუნებულა, ის ჯიხეთის დედათა მონასტერში დაუკრძალავთ. მათხოჯის მონასტრის პატრონობა კი, ილორის მონასტრის არქიმანდრიტს, იოაკიმე შენგელიას უკისრია. ილორის მონასტერში ღვთისმსახურება 1945 წელს განახლდა პატრიარქ კალისტრატეს ძალისხმევით და ლავრენტი ბერიას დედის ჩარევით. სწორედ მაშინ აუყვანიათ არქიმანდრიტის ხარისხში მამა იოაკიმე. ის ხშირად ჩადიოდა მათხოჯელ მონაზვნებთან და ეხმარებოდა მათ, წირავდა. უკვე მოხუცი, ავადმყოფი მონაზვნების მდგომარეობა რთული იყო, არ იცოდნენ, როდის გავიდოდნენ ამქვეყნიდან. მამა იოაკიმეს ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა უკანასკნელ იღუმენია ელენე წივწივაძესთან. დედა ელენე 1889 წელს იყო დაბადებული – თავის დროზე ულამაზესი ქალი, 21 წლის დაქვრივებულა. ქმრის სიკვდილი ძალიან განუცდია და დასნეულებულა კიდეც. ექიმს უთქვამს: წადი, მათხოჯის მონასტერში, იქაური ჰაერი მოგიხდებაო. მონასტერში მისვლისთანავე, სასწაული გადახდა – ხუცური კითხვა ძილში ისწავლა. გაღვიძებისთანავე მისულა მღვდელთან, ხუცური წიგნი მოუთხოვია და თავისუფლად წაუკითხავს. ამ სასწაულის გარდა, სხვა ხილვებიც ჰქონდა, რომელმაც გადააწყვეტინა მას მონასტერში დარჩენა. 1922 წელს ის მონაზვნად აღიკვეცა. ჰქონდა დიდი რწმენა, ღვთისმოშიშება და ბავშვური მორჩილება. ამ თვისებების გამო, გამოარჩიეს მონასტრის დებმა იღუმენიად. დედა ელენეს სიტყვას დიდი ძალა და გასავალი ჰქონდა. 1954 წელს სექტემბერში მამა იოაკიმე მოულოდნელად გარდაიცვალა. ფილტვების ანთება ჰქონდა, მაგრამ მომაკვდავის საზიარებლად მაინც გაჰყოლია ავადმყოფის ნათესავებს. კოკისპირულ წვიმებს ხიდები წაუღია, მამა იოაკიმე შესულა გაყინულ წყალში, გადაულახავს ის, უზიარებია მომაკვდავი. უკან დაბრუნებული ჩაწოლილა და მეტად ველარც ამდგარა. ღირსი მამის გარდაცვალების შემდეგ, მათხოჯის მონასტერში წირვის ჩასატარებლად რამდენჯერმე მოსულან ის განდეგილი მეუდაბნოე ქართველი მამები, რომელთაც მამა იოაკიმე უვლიდა. მათი წმიდა სახელები მხოლოდ ღმერთმა იცის. მათ



**მონასტერში მისვლისთანავე, სასწაული გადახდა – ხუცური კითხვა ძილში ისწავლა. გაღვიძებისთანავე მისულა მღვდელთან, ხუცური წიგნი მოუთხოვია და თავისუფლად წაუკითხავს**

ერთ-ერთ სტუმრობას შეესწრო მონასტერში ნათესავთან მისული პატარა გოგონა, რომელიც წლების შემდეგ ყვებოდა: საღამო ხანი იყო, მონასტერს გრძელწვერა, საწყლად ჩაცმული კაცები მოადგნენ. ერთ მათგანს ფეხსაცმლის მაგივრად, ნაბადი ჰქონდა შემოხვეული. თავიდან გლეხკაცები მეგონენ და გამიკვირდა, როცა მონასტრის მცველი – ავი ძაღლი მათ კუდის ქიცინით შეეგება. იღუმენიამ მუხლი მოიდრიკა მათ წინაშე და კურთხევა ითხოვა. დიდი პატივით მიესალმნენ მათ სხვა დედებიც. ერთი მათგანი მივიდა ეკლესიის კართან, ჯვარი გადასახა და ის თავისით გაიღო. არადა, დაკეტილი იყო და გასაღები მე მქონდა. შევიდნენ ეკლესიაში და ათონიდან მათხოჯში გამოგზავნილი „ღირს არსის“ ხატი მოილოცეს. შემდეგ ერთ-ერთი უსიტყვოდ შევიდა საკურთხეველში. შეიმოსა სამღვდელოდ და მწუხრ-ცისკრის ლოცვა დაიწყო. დაღამდა, ჩამობნელდა. სასწაული ის იყო, რომ ერთი სანთელიც არ აგვინთია, მაგრამ ტაძარი მაინც კაშკაშებდა. მათ მამა იოაკიმე აკითხავდა ხოლმე. თუმცა, მათკენ სავალი გზა გასაიდუმლოებული იყო. მამა იოაკიმეს რამდენიმე სულიერმა შვილმა იცოდა გამოქვაბულის გზა. ერთხელ, მისკენ მიმავალი სანოვაგით დატვირთული ყმაწვილები სოხუმის მილიციას საეჭვოდ მოეჩვენა, დაიჭირეს და მილიციის უფროსს მიჰგვარეს. ბიჭები დუმდნენ, უფროსმა მათი დაპატიმრების ბრძანება გასცა. იმავე ღამეს, მილიციის უფროსს საშინელმა ტკივილებმა შეუტია, ლოგინად ჩააგდო. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი, სადღაც მიყრუებულ ადგილას, უცნობ ხალხში აღმოჩნდა. ვინ ხართ, აქ რა გინდათო – ეკითხებოდა მათ. ღმერთს ვემსახურებით, ვლოცულობთო, უპასუხეს. რა ღმერთი, რის ღმერთი, ხომ არ გაგიჟდით, სად არის ღმერთიო. უცნობებს უთქვამთ – თუ ღმერთი არ არსებობს, ვინ ჩაგაგდო ამ დღეში? გირჩევნია, ის დამწყვდეული ბიჭები გაუშვა, თორემ განკურნებას ვერ ეღირსებიო. მართლაც, გონზე მოსვლისთანავე, ბრძანა, დაჭერილი ბიჭების გაშვება, თვითონ კი მყისვე განკურნებულა. ამბობენ, შემდგომში ეს კაცი ფარულად ეხმარებოდა ეკლესიასო. მათხოჯის მონასტრის დედები ნელ-ნელა გარდაიცვალნენ, ახალგაზრდა არავინ მიდიოდა. დარჩენილი დედები მოხუცდნენ, დაუძლურდნენ, მღვდელიც არავინ გამოჩნდა, რომ მათხოჯში დასახლებულიყო. დედა ელენემ იგრძნო, რომ მონასტერი იშლებოდა, იქირავა მანქანა, შიგ ჩააწყო მონასტრის სიწმიდეები და პატრიარქ ეფრემს ჩამოუტანა. მათხოჯის მონასტრის „ღირს არსის“ ხატი წლების განმავლობაში სიონის საკათედრო ტაძარში იყო დაბრძანებული. ხონის ეპარქიის აღდგენის შემდეგ, ჯერ ხონის წმიდა გიორგის საკათედრო ტაძარში გადაასვენეს, შემდეგ აღდგენილ მათხოჯის მონასტერს დაუბრუნდა. მონასტერს გულისტკივილით ტოვებდნენ დედები. 80 წელს გადაცილებული მონაზონი, ევპრაქსია ქუთაისში წმიდა გიორგის ეკლესიაში შესულა, დაუჩოქებია ხატების წინ და სული უფლისთვის ჩაუბარებია. დედა ელენესაც დიდხანს არ უცოცხლია მონასტრის გარეშე.

**– მინდა, აქვე ვისაუბროთ ათონის მთა-**


**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**

***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***

***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***

„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

**ზე არსებულ მონასტრის შესახებ, სადაც ქალებს დღემდე არ აქვთ იქ შესვლის უფლება. გარდა ამისა, გამიგია, როგორ ქრებოდნენ ათონის მთიდან წმიდა მამები.**

– უკვე მრავალი საუკუნეა, ამ მთაზე ქალის ასვლა აკრძალულია. გადმოცემის თანახმად, ერთხელ, რომის იმპერატორ კონსტანტინე პლაკიდას ცოლმა ათონზე ასვლა გადაწყვიტა. მეუღლის თანხმობის შემდეგ, ის ათონზე ვატოპედის მონასტერში მივიდა, მაგრამ ზეციდან მრისხანე ხმა მოისმა, რომელიც უბრძანებდა, სასწრაფოდ დაეტოვებინა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სავანე. ათონის მახლობლად არსებული ერთ-ერთი ქალაქის მცხოვრებლები ყვებიან იმის შესახებ, როგორ უჭრის გზას უხილავი ძალა ათონის მთისკენ მიმავალ ქალებს. ერთხელ, როცა მეთევზეთა ნავში, მეთევზე ძმები დასთან ერთად იმყოფებოდნენ, უცებ ქალიშვილს ათონის მთასთან მისვლა უთხოვია. მაგრამ, როგორც კი ნავიდან გადასულა, მაშინვე ფერდობიდან ქვებს დაუწყია ცვენა. მიწისძვრით შეშინებულ მენავეებს სწრაფად გაუცურავთ ზღვაში. 1941 წელს ღირსმა პეტრე ათონელმა თავის ორ მორჩილს უთხრა, რომ კუნძულ სამოსზე აპირებდა წასვლას, მაგრამ კელიიდან ბერი გაქრა და მის კვალს ვერსად მიაგნეს – ვერც მკვდარი იპოვეს და ვერც ცოცხალი. 1984 წელს ივერიის სკიტის კელიიდან გაქრა ბერი სერგი, ფრიად ღვთივსათნო, მდუმარე და ქველმოქმედი მოღვაწე. მისი კელიის კარი დიდი ხნის განმავლობაში იყო ღია. მოგვიანებით, ასევე, ვატოპედის მონასტრის კელიიდან, გაქრა ბერი ნექტარიოსი. ის ვერც ცოცხალი იპოვეს და ვერც მკვდარი. ასევე, დაიკარგა რამდენიმე ბერი და როგორც ამბობენ, ათონის მთაზე ძირითადად გამორჩეული ბერები იკარგებოდნენ. ბერების გაქრობას ათონის მთის სხვა დიდ საიდუმლოსაც უკავშირებენ – ეგრეთ წოდებულ „უხილავ მოსაგრეებს“. წმიდა მთაზე ასეთი თქმულებაც არსებობს: როდესაც ვინმე იკარგება, ამბობენ, ის „უხილავმა მოსაგრეებმა“ წაიყვანესო. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში უცნობ „მოსაგრეებს“ თავისთან იღებდა ბერი ქრისტოფორი იანაკოპულის კალივიდან. „უხილავი მოსაგრეები“ მისგან ქრისტეს წმიდა საიდუმლოებებს ეზიარებოდნენ. რაც შეეხება იმას, თუ ვინ არიან „უხილავი მოსაგრეები“, ამ საკითხზე რამდენიმე მოსაზრება არსებობს.

**– როგორია ეს მოსაზრებები?**

– ზოგი ვარაუდობს, რომ „უხილავი მოსაგრეები“ ძველი წმიდანები არიან, რომლებიც ოდესღაც მოღვაწეობდნენ წმიდა მთაზე, ახლა კი ხალხს ეცხადებიან. მეორენი – საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, თითქოს ისინი თანამედროვე მოღვაწეები არიან, რომლებიც ათონის უშორეს და მიუდგომელ გამოქვაბულებში ცხოვრობენ, სამყაროსგან განცალკევებით. ისინი „უხილავნი“ იმიტომ გახდნენ, რომ სხვა შემთხვევაში, მათი გამოქვაბულები არა მხოლოდ მონაზვნებით, არამედ ცნობისმოყვარე უცხოელი ტურისტებითაც გაივსებოდა. „უხილავი მოსაგრეები“ შვიდნი იყვნენ. ათონის გამოქვაბულში ცხოვრობდნენ. როდესაც ერთ-ერთი მათგანი გარდაიცვლებოდა და ისინი ექვსნი რჩებოდნენ, მაშინ, რაღაც საიდუმლო სახით, მთიდან მოდიოდა სხვა სათნო ბერი და იკავებდა გათავისუფლებულ ადგილს და ისინი კვლავ შვიდნი ხდებოდნენ. 1835 წელს ათონის მთაზე რამდენიმე მონადირე უცნობ მოხუც ბერს შეხვდა, რომელთანაც მცირე ხანს ისაუბრეს. მან მონადირეებს უთხრა, რომ მასთან ერთად გამოქვაბულში კიდევ ექვსი ღრმად მოხუცი ბერი ცხოვრობდა. როდესაც მონადირეებმა ამის შესახებ წმიდა ანას სკიტში მყოფთ მოუთხრეს, ადგილობრივმა ბერებმა საგზალი აიღეს და უცნობ „მოსაგრეთა“ საძებნელად გაემართნენ, მაგრამ ვერავის მიაგნეს.

**– დღესაც ხდება ასეთი რაღაცეები?**

– მეოცე საუკუნეში წმიდა მთაზე ერთი ბერი მოღვაწეობდა, რომელიც თავისი სიწმიდით ათონელთათვის ჭეშმარიტად იყო „უხილავი მოსაგრე“, მაგრამ ათონელი მამები ვერ ხედავდნენ ამას. ის ყველას ჩვეულებრივ მშრომელ ბერად მიაჩნდა, ის კი, ანუ წმიდა სილუან ათონელი, ლოცვით წმიდა მამებს მიემსგავსა და უფალს მთელი კაცობრიობისთვის ევედრებოდა. წყაროების თანახმად, ერთ-ერთ ლიბანელს ათონზე ასვლა სურდა, მაგრამ გზა დაებნა. გზაზე ვიღაც უცნობი ბერი შეხვდა, რომელიც ლელვით გაუმასპინძლდა. როდესაც ლიბანელმა ამის შესახებ წმიდა ანას სკიტში მყოფთ უამბო, ბერები უცნობი მოღვაწის საძებნელად წავიდნენ, მაგრამ ვერავინ ნახეს. წმიდა ანას სკიტის ერთ-ერთი ბერის ნათესავს სკიტისკენ მიმავალ ბილიკზე გზა აბნევია, გამოქვაბულს მიდგომია, სადაც ვიღაც გარდაცვლილი ბერის დასვენებული სხეული უნახავს. მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს თითო სანთელი ენთო. როდესაც კრეტელმა ამის შესახებ თხრობა დაიწყო, რამდენიმე ბერმა ირგვლივ მიდამოები მოათვალიერა, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. კვიპროსის კიკოსის მონასტრის ბერ-დიაკონი ეფრემი ერთხელ, ათონის მთაზე ყოფნის დროს, დიონისიატის მონასტრიდან წმიდა პავლეს მონასტერში მიდიოდა და ბილიკზე უცნობ მოღვაწეს შეხვდა. ისინი შეჩერდნენ, ერთმანეთს მიესალმნენ და საუბარი დაიწყეს. უცნობი „მოსაგრე“ ძველი კაბით იყო შემოსილი, გრძელი წვერი კი ქამარში ჰქონდა ჩატანებული. ახალგაზრდა კვიპროსელმა მას რამდენიმე შეკითხვა დაუსვა ზიარების შესახებ. ბერმა უპასუხა. შემდეგ თითოეული თავის გზაზე წავიდა. რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ, ეფრემი მობრუნდა, რათა ერთხელ კიდევ შეეხედა მოხუცი ბერისთვის, მაგრამ მხოლოდ ველური ბუჩქები და ცარიელი ბილიკი დაინახა. ცნობილი მოღვაწე ბერი პაისი ათონელი ამბობდა, რომ ათონზე არცთუ ცოტა უცნობი წმიდა ბერია, რომლებიც ხალხს თავიანთ ადგილსამყოფელს უმალავენ.

**ნათია უტიაშვილი**

# რატომ ვეღარ დააწერენ პირველი აგვისტოდან ადგილობრივი მწარმოებლები საკუთარი შეხედულებისამებრ თავიანთ პროდუქციას „ბიოს“, „ეკოსა“ და „ეკოლოგიურად სუფთას“

**(მე-10 გვერდიდან)**

– ნებისმიერმა ორგანომ, რომელიც აიღებს სერტიფიკატს იმაში, რომ გასცემს სერტიფიკატს ბიოწარმოებაში. ანუ ბიოპროდუქტის ლაბორატორიულად შესწავლა ან გამოვლენა შეუძლებელია. ამიტომ უნდა იყოს ვიღაც, ვინც მთელ პროცესს გააკონტროლებს. სერტიფიცირების ორგანო მოულოდნელად ამოწმებს მთელ პროცესს, რომ ეს ნამდვილად ბიოლოგიური წარმოებაა, შემდეგ სვამს თავის ნიშანს და არის იმის გარანტი, რომ ეს არის ბიოლოგიურად სუფთად წარმოებული პროდუქტი. აი, მხოლოდ ასეთ პროდუქტს შეიძლება, დაეწეროს, რომ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტია.

**– არის ჩვენთან ასეთი ორგანო?**

– ამაზე პასუხი უფრო „ელკანას“ ექნება. ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც კონკრეტულად ბიოწარმოებაზეა ორიენტირებულები და მათი ინფორმაციით, რამდენიმე მეწარმეს ასეთი სერტიფიკატი აღებულიც აქვს შესაბამის ორგანოში. მთავარია, ეს მოწმდებოდეს და მართლაც ბიოწარმოება იყოს, მაგრამ ჩემს კომპეტენციას სცდება იმის თქმა, რამდენი მეწარმეა ასეთი და რა წარმოება აქვთ.

**– როდესაც ეს ნორმა ამოქმედდება, ჩვენ, მომხმარებლები, როგორ მივხვდებით, რომ პროდუქტი ბიოლოგიურად სუფთაა?**

– ეს ძალიან მარტივად შესამოწმებელია. თუ პროდუქტს აწერია „ბიო“, მაშინ იქ მითითებული უნდა იყოს სასერტიფიკაციო ორგანოს ნომერი, რომელიც დაადასტურებს, რომ ეს ბიოწარმოებაა. დაურეკავ იმ სასერტიფიკაციო ორგანოს და ჰკითხავ, არის თუ არა ესა თუ ის წარმოება ნამდვილად ბიო. ჩვენ ვერ შევამოწმებთ სასერტიფიკაციო ორგანოს სანდოობას, ამაზე პასუხს აგებს სასერტიფიკაციო ორგანო.

**– გამოდის, სიტყვაზე უნდა ვენდოთ, იმიტომ რომ, სხვა ამოსაცნობი ნიშანი არ არსებობს?**

– გაზომვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თუ ვიღაცამ არ მოგაწოდა ინფორმაცია, რომელიც აღმოგაჩენინებს ისეთ რამეს წარმოებაში, რაც არ შეიძლება, იყოს ბიოპროდუქტში.

**– რას გულისხმობს ბიოპროდუქტის წარმოება და მოყვანა?**

– მათ აქვთ თავიანთი ძალიან ბევრი წესი: ძირითადი ის არის, რომ მოყვანის პროცესში გამოყენებული უნდა იყოს შედარებით რბილი ქიმიკატები და მხოლოდ ბუნებრივი საშუალებები. მაგრამ არა პესტიციდები, ჰორმონები და ასე შემდეგ. იმის გამო, რომ ასეთი ნორმა არ მოქმედებდა, არავინ სჯიდა „ეკოფუდს“ იმის გამო, რომ აშკარად არაეკოლოგიურ პროდუქტს ჰყიდიდა, როგორც ეკოს და ამით ბევრი მომხმარებელი ტყუვდებოდა. ამ ნორმის არარსებობის გამო ბიოპროდუქტის ადგილი, ფაქტობრივად, აღარ იყო ბაზარზე.

**– ეს ნორმა გააძვირებს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტებს?**

– წესით, ბიოპროდუქტი უფრო მეტი უნდა ღირდეს და სხვანაირი მარკეტინგი სჭირდება. ჩვენთან ჩვეულებრივი პროდუქტები იყიდება, როგორც ეკოლოგიურად სუფთა და ამიტომ ეკოლოგიური პროდუქტისთვის არ იყო ადგილი. ამ ნორმის ამოქმედების შემდეგ, გაჩნდება ადგილი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისთვის ბაზარზე და შემდეგ გამრავლდება, თორემ ბიოპროდუქციის მწარმოებლები, ფაქტობრივად, გარიყულები იყვნენ. ბიოპროდუქტის ფასი უფრო მაღალი უნდა იყოს, იმიტომ რომ, მისი მოყვანა უფრო რთულია. ვერ გამოიყენებ იაფიან პესტიციდებს, ჰერბიციდებს, თუნდაც, გენმოდიფიცირებულ თესლს. იძულებული ხარ, გამოიყენო ყველაფერი ბიოლოგიურად სუფთა, რაც უფრო ძვირია.

**– მაგრამ თქვენ ბრძანეთ, რომ ამერიკიდან შემოტანილი გენმოდიფიცრებული სოიის პროდუქტი უფრო ძვირი ღირდაო. რატომ?**

– ეს მეც ძალიან მიკვირს, ვერ მივხვდი, რით იყო მაღალი ფასი განპირობებული. შესაძლოა, იმიტომ რომ, სუფთა პროდუქტია, მოთხოვნაა დიდი.

**– ან იმიტომ, რომ, რადგან ამერიკულია, კარგი იქნება.**

– შეიძლება, ამიტომაც.

**– ეს ნორმა ხელს შეუწყოს ევროკავშირის ბაზარზე ქართული ბიოპროდუქციის გატანას?**

– რა თქმა უნდა, იმიტომ რომ ბიოპროდუქციას თავისი ნიშა აქვს ევროპის ბაზარზეც და თუ იქნება ნდობა, რომ ჩვენი ორგანული პროდუქცია მართლაც ბიოლოგიურად სუფთადაა წარმოებული, მაშინ, ფაქტობრივად, ცალკე ხაზი იქნება ევროპაში გასატანი პროდუქტების, ოღონდ ისინი, მართლაც, ბიოლოგიურად სუფთა უნდა იყოს. გვერდით არ უნდა იყოს ყანა, სადაც ტონობით ქიმია შეაქვთ. ძალიან ბევრი მოთხოვნაა და იმედი მაქვს, ჩვენი სასერტიფიკაციო ორგანოები სოლიდური იქნება და სათანადოდაც შეამოწმებს.

**ნინო ხაჩიძე**

**ნინი სუხიტაშვილი და სოფი სააკაშვილი ერთმანეთს რამდენიმე წელია, იცნობენ და დღეს საუკეთესო მეგობრები არიან. სოფი ახლო მომავალში ნიუ-იორკში აპირებს წასვლას და ნინისაც ამას სთავაზობს. როგორც მან მითხრა: ორივეს სურს, კარიერა მიუზიკლის ჟანრში განაგრძოს და სოფი ნიუ-იორკში ამ საკითხის მოგვარებასაც გეგმავს.**

# როდის ამთავრებენ ბიჭებთან ურთიერთობას ნინი სუხიტაშვილი და სოფი სააკაშვილი და რაში აქვთ მათ დაწესებული „ამერიკული მორიგეობა“

**ნინი**: ერთმანეთი ერთ-ერთ სტუდიაში გავიცანით, დაახლოებით 3 წლის წინ. თუმცა, თავიდანვე არ დავმეგობრებულვართ. როცა, სწავლა დავამთავრეთ და სტუდიაში აღარ დავდიოდით, მაშინ დავმეგობრდით.

**სოფი**: ნინი ადრე ასეთი კონტაქტური არ ყოფილა. თავისთვის იჯდა და არავის ეკონტაქტებოდა

**ნინი**: ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ არავისთან ვმეგობრობდი. მივდიოდი, საქმეს ვაკეთებდი და მოვდიოდი. ამაზე ვიყავი კონცენტრირებული.

**სოფი**: საქმის კეთებაზე იყო კონცენტრირებული. ამ ლეიბლში გავიცანი თიკა ბალანჩინიც, რომელიც ჩემთან ერთად იყო „იქს ფაქტორში“. დღეს სამივე მეგობრები ვართ. მერე, სწავლა რომ დავამთავრეთ, რატომღაც გადავწყვიტე, ნინისთვის „ფეისბუქზე“ მიმეწერა. პეკინზე შევხვდით და „მაკდონლადსში“ წავედით. მოკლედ, მოვიარეთ ყველაფერი და იმის მერე ერთად ვართ.

**– ნინი, შენ რატომ არ გამოხვედი „იქს ფაქტორში“?**

**სოფი**: ზარმაცია, ხომ ვამბობ.

**ნინი**: შრომის მხრივ არ ვარ ზარმაცი. უბრალოდ, ერთი ნაბიჯის წინ გადადგმა მეზარება, მირჩევნია, ჩემთვის წყანარად ვიყო და ჩემი საქმე მშვიდად ვაკეთო.

**სოფი**: ვილაც რომ გადის ასეთ პროექტში, ხშირად აზრადაც არ მოსდის, ვინმეს უთხრას, თუნდაც მეგობარს. მე ყველას დავურეკე: არ გინდა გამოვიდეთ, წავიდეთ სასტავი. ნინისაც „ვკერავდით“, მაგრამ ცოტა ხანს დაფიქრდა და უარი გვითხრა. „სვეცკად“ გამოგვცადა, ნახა, რა როგორ ხდებოდა და მერე დალაგებულზე გამოვა.

**– ნინი, სოფის ყოველ გამოსვლაზე ძალიან ნერვიულობდი, მხარს უჭერდი...**

**ნინი**: მე უფრო ვნერვიულობდი, ვიდრე ეს, რადგან სოფი გააკეთებს თავის საქმეს, არაფერს მოერიდება და ჩვეულებრივ მიიღებს ყველაფერს. მე დარბაზში ვიჯექი და ყველა თითის ფრჩხილი მოჭმული მქონდა. ხალხს ვურტყამდი: ადექით, იყვირეთ, დაამესიჯეთ, ხალხო... მთელი გამოსვლები მქონდა.

**სოფი**: ჩემი სადაქალოდან ნინი, ქეთი შაფათავა, ნინი შაფათავა, ლუკა ნოზაძე, ნათია ასანიძე – ეს 5 კაცი იყო, განსაკუთრებულად რომ მუშაობდნენ.

**– ნინის, ოჯახიც კი აქტიურად იყო სოფის ამბებში ჩართული.**

**ნინი**: რადგან ჩემი მეგობარია, იმიტომ არ გულშემატკივრობდნენ. ძალიან მოსწონდათ და ყველა მიკერძოების გარეშე გულშემატკივრობდა. მამაჩემი რუსეთიდან გაბრაზებული რეკავდა: ეს ძალიან მაგარი გოგოა, მაგას დიდი მომავალი აქვს, რატომ იყო აუტსაიდერებშიო.

**სოფი**: ნინი განსაკუთრებულად ნერვიულობდა. ზოგჯერ, რომ მირეკავდა: რა ქენი, აირჩიეთ სიმღერა, რა გაცვია, რას მღერი, ვეუბნებოდი: ნინი, მაცადე. პირველად რომ გამოვვარდი, მეუბნებოდა: ახლა რა გავაკეთოო – ჩემზე ჰქონდა ცხოვრება აწყობილი. რომ დამაბრუნეს პროექტში, პირველი, რაც გავიფიქრე, ეს იყო: ნინის საქმე კიდევ მიეცემა-მეთქი.

**– გავხართ ერთმანეთს რაღაც თვისებებით, თუ არა?**

**ნინო**: ორივე პირდაპირები ვართ. ისე, არც ერთი არ ვართ მურაბა და შაქარი, ორივე ფიცხები და უჟმურები ვართ.

**სოფი**: ზოგადად, ყველა საკითხს რეალურად ვუყურებთ, რეალურად ვაფასებთ, განვიხილავთ. ვარდისფერი სათვალე არ გვიკეთია. ყველანაირად შევეწყვეთ და გავუგეთ ერთმანეთს. შეიძლება, ერთმანეთს უცებ ვუყვიროთ, მერე მოვტრიალდეთ და ვთქვათ: ახლა რა ვქნათ, სად წავიდეთო. ანუ, მომენტალური ყვირილები გვაქვს, აფექტური, რომელსაც გაგრძელება არ აქვს.

**ნინი**: სოფი ნიუ-იორკში რომ იყო წასული, სულ სკაიპით ვესაუბრებოდით ერთმანეთს. მიყვებოდა რაღაცეებს, იმდენი ტანსაცმელი ჩამომიტანა... დღეს ბიჭებს რომ ვუყურებ, საერთოდ არ აქტიურობენ, სიურპრიზი მოგიწყონ. ჩვენ უფრო ვუკეთებთ ერთმანეთს სიურპრიზებს, საჩუქრებს. ოქროს ჯვარი მაჩუქა ცოტა ხნის წინ ჩვენი მეგობრობის ნიშნად. სიურპრიზს მიკეთებდა, მაგრამ დედამისმა ჩაუშვა.



ნინი: „ანგელოზის სახელს ვიკითხავო – აქ ყველაფერი მთავრდება, წაგიხდება შთაბეჭდილება. საერთოდ აღარ მოგინდება რომანტიკული ურთიერთობა, გული გერევა“

**სოფი**: დავურეკე – სერიოზული საქმე მაქვს-მეთქი. ამოვიდა და უცებ დედაჩემი ამბობს: გამოუტანე ის საჩუქარიო. ჩამიშალა გეგმები, ველარ მოითმინა. ასე ვერთობით და ვიხალისებთ ცხოვრებას. ერთი კვირაა მარტო ვარ. დედაჩემს დაბადების დღე ჰქონდა და ქმარმა საჩუქარი გაუკეთა, პარიზში წაიყვანა. მე და ნინი მარტო ვართ და „ვგუალობთ“.

**ნინი**: მაია წავიდა თუ არა, მეორე დღესვე სახლში ფართი მოაწყო. კარგად გავერთეთ.

**სოფი**: ერთი დღეა, „ვანაში“ ვარ შესული, ღამეა და მესმის: ხან ტელეფონი რეკავს, ხან „ფეისბუქში“ მომდის მესიჯები. მოკლედ, არც კომპიუტერი ჩერდება და არც ტელეფონი. ამ დროს მხვდება ნინის ესემესი: დამირეკე, სიკვდილ-სიცოცხლის ამბავია. დავურეკე, მეუბნება: მეგობრობის სადღეგრძელოს ვსვამო.

**ნინი**: იმ ღამეს მეგობრებს ძილი არ ელირსათ, ყველას დავურეკე. დედაჩემი ავიყოლიე, ერთად ვსვამდით სახლში და თან, ვურეკავდი ყველას.

**– ერთადაც სვამთ ხოლმე?**

– კი და ორივე მაგრად ვაფრენთ. არც ერთი არ ვსვამთ ბევრს, რასაც ვსვამთ, ისიც გვყოფნის. რაც მთავარია, მეორე დღეს ყველაფერი გვახსოვს.

**– სახლში, მარტო რომ ხართ, მორიგეობა გაქვთ დაწესებული?**

**სოფი**: საჭმელებს მე ვაკეთებ. დღეს ჭურჭელი მას უნდა დაერეცხა, მაგრამ მე დავრეცხე.

**ნინი**: რომ ცხელა, ნერვი არ მაქვს. ჩემი ჯერი იყო, მაგრამ სოფიმ დაიწყო რეცხვა – მოიცა, ვგრილდებო და მეც გავიპარე, გავიძურწე. ამან დარეცხა მთლიანად.

**სოფი**: ამას ჰქვია „ამერიკული მორიგეობა“. საჭმელს არ ვაკეთებინებ, რადგან მე უფრო კარგად ვაკეთებ, თან სწრაფი ვარ. ამას რომ დაველოდო ერთ კვერცხს 5 საათის განმავლობაში შეწვავს, თორემ კარგად კი გამოსდის.

**ნინი**: სამაგიეროდ, ლამაზი და გემრიელი იქნება.

**სოფი**: არ მომაყოლო ბორშჩის გაკეთების ამბავი. ყველაფერი რომ ჩაყარა ლამაზად და წყალი არ დაასხა.

**ნინი**: 5-6 წლის წინ მოხდა ეს ამბავი. დედაჩემს ეჩქარებოდა და მითხრა: ასე გააკეთე და 40 წუთი გააჩერეო. დავდგი გაზზე, დამავიწყდა წყლის დასხმა და გავედი გარეთ, 40 წუთში მოვალ-მეთქი. რომ ვბრუნდებოდი, ვხედავ, ჩემს კორპუსს ბოლი ასდის. მივდივარ – ჩემი სახლიდან გამოდის. ვერაფერს მივხვდი, გავაღე კარი და არაფერი ჩანდა, ქვაბი – დანახშირებული იყო. გადავრჩი, ხანძარი რომ არ გაჩნდა. ეტყობა, იმ დროს შეყვარებული ვიყავი, არ ვიცი, რა დამემართა.

**– როგორი ბიჭები მოგწონთ?**

**სოფი**: ყველა ნორმალურ გოგოს სიმპათიური ბიჭი მოსწონს. მაგრამ, საქართველოში ამის ნაკლებობას განვიცდით.

**ნინი**: თუ სიმპათიურია, მაშინ სხვა პრობლემები აქვს.

**სოფი**: ძირითადად, ერთნაირი ტიპაჟები მოგვწონს, მაგრამ ამ ბოლო დროს არ დაემთხვა ჩვენი აზრები. მე ვინც მომეწონა, ამას არ მოეწონა. რა კარგი ბიჭია, – ვიტყვით და გაივლის ეს ამბავი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორივეს იმასთან გვაქვს ფლირტი. ასეთი რამ არც ყოფილა და არც იქნება. თუმცა, ისეთი შემთხვევა ყოფილა, ნინის ვინც მოსწონებია, მე არ მომწონებია და ბევრი მიჩალიჩია, რომ იმ საზიზღართან არ ყოფილიყო.

**ნინი**: ყოფილა ისეთი შემთხვევა, მე ვინც მომწონებია, ჩემ ირგვლივ არავის მოსწონდა. ერთ დღეს კი გავილვიძე და მივხვდი, რომ მეც საერთოდ არ მომწონდა. სოფის შემთხვევაშიც ყოფილა ასეთი რამ. ამ დროს ორივე ვუსმენთ ერთმანეთს, მაგრამ მერე შეიძლება, ჩვენებურად გადავწყვიტოთ.

**– ამ მხრივ ახლა ხდება რამე?**

**სოფი**: არაფერი, რადგან მე არ მინდა, რომ მოხდეს. ამიტომაც, სერიოზული ურთიერთობა არავისთან გვაქვს.

**ნინი**: თვალსაწიერი დიდი გვაქვს, მაგრამ არჩევანი დიდი არ არის.

**სოფი**: „ფეისბუქში” რომ მოგწერს: ლამაზო, შენი სახელი მითხარი.

**ნინი**: და ანგელოზის სახელს ვიკითხავო, იქ ყველაფერი მთავრდება, წაგიხდება შთაბეჭდილება. საერთოდ აღარ მოგინდება რომანტიკული ურთიერთობა, გული გერევა და თან, ყოველდღე ასეთი სახის 60 წერილი გვხვდება. მერე, პასუხს რომ არ მისწერ, გწერენ: რა იყო, სანზონელებს არ ეკონტაქტები?! ამაზე მხოლოდ გვეცინება და ძალიან მწყდება გული, რომ განათლების დონე დაბალია, არ იციან გოგოსთან მოქცევის წესები.

**სოფი**: და იმის უნარი აქვთ დაქვეითებული, იბრძოლონ შენთვის, რაღაც გააკეთონ. გაივლიან და სხვა მილიონიაო – ასეთი ფსიქოლოგია აქვთ. იყვნენ კარგად იმ სხვა მილიონთან, მე ერთი კი კარგად ვიქნები ჩემთვის.

**ნინი**: ვიზუალზე უკვე აღარ არის საუბარი, იმდენად საშინელი თვისებები აქვთ და საოცარი მენტალიტეტი. სიმპათიურიც რომ არ არის და შიგნიდან ცარიელია, ეს საშინელებაა და ჯობია, საერთოდ არ გყავდეს.

**სოფი**: ამას ჯობია, სტატუეტი გქონდეს სახლში, ხმას მაინც არ ამოიღებს, რომ დაარტყამ. „ლამაზოო,“ არ გეტყვის.

**ნინი**: იცი, რა მაღიზიანებს ყველაზე მეტად, რომ არ გიცნობს და ისე შემოდის კონტაქტში, თითქოს 5 წლის ურთიერთობა გქონდეს. არ იციან, ვის როგორ მოექცნენ.

**სოფი**: მქონია ისეთი შემთხვევა, ადამიანს რამდენიმე თვე ემეგობრები და მერე ისე გითამამდება, ძმაკაცურად გელაპარაკება... მე არავის ძმაკაცი არ ვარ და ასეთ ლაპარაკს, არავისგან მოვითმენ.

**ნინი**: ახლანდელ ბიჭებს ხვეწნა უყვართ: მოდი, სადმე წავიდეთ. ჩვენ კი არ ვართ ისეთი ტიპები, ვინმეს ვეხვეწოთ.

**ნათია უტიაშვილი**

# საუკეთესო საკვები ჩვენი თმისთვის

ჯანმრთელ საკვებსა და დიეტური კვების რეჟიმზე ბევრჯერ გსმენიათ. დღეს იმ საკვებზე მოგიყვებით, რომელიც ჯანმრთელი თმისთვისაა საჭირო.

თმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი პროტეინია, რასაც დიდი ოდენობით შეიცავს ორაგული და ამიტომაც არის სასარგებლო თმისთვის. ამას გარდა, ორაგულის შემადგენლობაში შემავალი ცხიმოვანი მჟავები არანაკლებ დადებითად მოქმედებენ თავის კანის ჯანმრთელ მდგომარეობაზე.

ორაგულის გარდა, პროტეინების კარგი წყაროა კვერცხი და რძის პროდუქტები. კვერცხი $B_{12}$ ვიტამინს შეიცავს და თმის გარდა, ზოგადად, ჩვენი სილამაზისთვისაც ძალიან სასარგებლოა.

იმისათვის, რომ თმები არ იმსხვრეოდეს და საკმარისზე მეტი რაოდენობით არ დაგვცვივდეს, საჭიროა, ორგანიზმმა საკმარისი რაოდენობით ცინკი მიიღოს. ცინკის კარგი წყაროა თხილი, ნიგოზი. ცინკის გარდა, თხილეული B ჯგუფის ვიტამინებითაც არის მდიდარი.

ძალიან სასარგებლოა ბოსტნეული, ბროკოლი და ისპანახი. ისინი თქვენი კვებითი რაციონის საუკეთესო დამხმარეა, ვინაიდან ბროკოლისა და ისპანახის მუქი მწვანე ფოთლები დიდი რაოდენობით A და C ვიტამინებს შეიცავს, რომლებიც ჩვენი თმების ტენიანობას უზრუნველყოფს.

ხშირად მიიღეთ ზეითუნის ზეთი, ვინაიდან ის ჩვენს ორგანიზმს E ვიტამინის საჭირო რაოდენობით ამარაგებს. ასე რომ, განაგრძეთ სალათების ზეითუნის ზეთით შეკაზმვა.

და ბოლოს, არ დაგავიწყდეთ დღის განმავლობაში საკმარისი, უფრო სწორად, დიდი რაოდენობით „ბაკურიანის“ დალევა. ხომ გახსოვთ ოქროს წესი: საშუალოდ 1,5 ლიტრი წყალი დღის განმავლობაში. ორგანიზმის გაუწყლოვანება, რომელიც ძალიან ნელ-ნელა და შეუმჩნევლად შემოგვეპარება ხოლმე, ყველაფერთან ერთად, თმის მდგომარეობაზეც ძალიან ცუდად აისახება.

**ნინო მდივანი**



**ბოლო დროს, მომღერალმა ქეთი ორჯონიკიძემ იმიჯი შეიცვალა. თუმცა, თუ პროექტ „ერთი ერთში" გავიხსენებთ, მისი იმიჯის ცვლილება არ უნდა გვიკვირდეს. ქეთი ხომ ცხრაჯერ „შეძვრა" ცნობილი მომღერლების ტყავში და მისი გარდასახვა ნინო ქათამაძედ, დამეთანხმებით, ქართველ მაყურებელსა და მსმენელს დიდხანს ემახსოვრება. ამ პროექტში, ქეთი მეოთხე ადგილის მფლობელი გახდა და საკმაოდ სოლიდური პრიზებითაც დაჯილდოვდა. თუ რატომ შეეშვა ის მწერლობას, სად აპირებს მოგებული თანხის დახარჯვას და ვისთან ერთად აპირებს ამ ზაფხულს საბერძნეთში დასვენებას, ამაზე თავად მოგიყვებათ.**

# რის გამო „ქოლავენ" მეგობრები ქეთი ორჯონიკიძეს და სად და ვისთან ერთად აპირებს ის საბერძნეთში სამყაროდან მოწყვეტას

**ქეთი ორჯონიკიძე**: მეგონა, ჩემი შეცვლილი თმის ფერი და ვარცხნილობის სტილი ხალხს არ გაუკვირდებოდა, რადგან ამ მხრივ სულ ექსპერიმენტებში ვარ. მაგრამ, ბოლო დროს, ყველა მეკითხება, როგორი შეცვლილი ხარ, ქეთი, რა ხდებაო ***(იცინის).*** არაფერიც არ ხდება, უბრალოდ, ვარცხნილობა შევიცვალე, თმა ყვითლად გადავიღებე და ცოტა მოვიმატე, სულ რაღაც სამი-ოთხი კილო. სადაც მივდივარ, ყველა წუწუნებს: აუ, გახდომა გვინდაო. მე კიდევ ვწუწუნებ: ცოტა მომატება მინდა-მეთქი და მქოლავენ ***(იცინის).*** ვფიქრობ, ეს ოთხი კილოს მომატება კმარა და მეტს აღარ დავიწუწუნებ, ცოტა კილოგრამები მომემატოს-მეთქი ***(იცინის).*** ბოლო დროს, აუზზე დავიწყე სიარული და ჯანმრთელი წესით ვცხოვრობ. ახლა დასასვენებლად ვაპირებ წასვლას საბერძნეთში, კერძოდ როდოსზე და იქიდან რომ ჩამოვალ, უფრო დასვენებულის შეხედულება მექნება ***(იცინის).***

**– საბერძნეთში დასვენება იმ პრიზებს შორის ერთ-ერთი იყო, რომელიც პროექტში, „ერთი ერთში" მოიგე. ვისთან ერთად აპირებ, თუ საიდუმლო არ არის, იქ წასვლას და დასვენებას?**

– საბერძნეთში, როდოსზე, ჩემს მეგობარ გოგონასთან ერთად მივდივარ და იმედია, კარგ დროს გავატარებთ. დაგეგმილი მაქვს, სამყაროს მოვწყდე და მხოლოდ დასვენებაზე ვიყო ორიენტირებული. ძალიან მიყვარს მეგობრებთან ერთად დასვენება და მათთან ერთად „გიჟობა". წელიწადში ერთი თვე ხომ უნდა აჩუქო ადამიანმა საკუთარ თავს დასვენების დღეები. სხვათა შორის, როცა დასასვენებლად მივდივარ, სულ მაქვს განცდა, რომ იმ დროს ვკარგავ. სულ იმაზე ვფიქრობ დასასვენებლად მყოფი: რამე ხომ არ ხდება სადაც მე არ ვარ, იქ რომ ვიყო ამას გავაკეთებ-მეთქი და ფიქრით დაღლილი ჩამოვდივარ ***(იცინის).*** არასდროს დამავიწყდება ურეკში დასვენება. ვიყავი მეგობრებთან ერთად, ვიფიქრე, დავისვენებ-მეთქი და ისე დავიწვი მზეზე, ჩემი მეგობრები, იმის მაგივრად, რომ დაესვენათ, ჩემს მოვლას მოუნდნენ. წუწუნებდნენ, მოსავლელი გაგვიხდი, რას წვებოდი ამდენ ხანს მზეზეო. არადა, მე მათ გვერდით მინდოდა ყოფნა და ის კი არ გავთვალე, თეთრი კანი რომ მაქვს და მათი თავში სახლელი გავხდებოდი. ახლა ვხვდები, ასეთი მსხვერპლის გაღება მეგობრების ხათრით, არ ღირს ***(იცინის).*** სულ ვამბობ ხოლმე, მე სამყაროს მაშინ ვწყდები, როცა ცუდ ხასიათზე ვარ, მარტოობა მშველის და ვისვენებ. ასეთი დღეები კი ჩემს ცხოვრებაში არც ისე ცოტაა. ახლა რომ, წავალ საბერძნეთში, ვეცდები, ცუდი ხასიათები, ნეგატივები და ნეტავ, აქ რა ხდებაზე ფიქრები, აქ დავტოვო და მხოლოდ დასვენებაზე ვიფიქრო.



როცა დასასვენებლად მივდივარ, სულ მაქვს განცდა, რომ იმ დროს ვკარგავ

**– მე კი მეგონა, რჩეულ მამაკაცთან ერთად წახვიდოდი დასასვენებლად საბერძნეთში. სხვათა შორის, ბოლო დროს, გავრცელდა ხმები, რომ შენს ყოფილ შეყვარებულს დაუბრუნდი. ასეა?**

– ისეთი ადამიანი, რომლის მიმართ სიმპათიები მაქვს, ნამდვილად არის ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ჯერ ისეთი ურთიერთობაც არ გვაქვს, ერთად წავიდეთ საბერძნეთში დასასვენებლად. დროებით დავშორდებით ერთმანეთს და რომ ჩამოვალ, მერე უფრო მაგარ რომანტიკულ დღეებს მოვუწყობ ***(იცინის).*** ახლა არ მკითხოთ ვინ არისო. გიპასუხებთ, რომ არ არის ცნობილი, არც შოუმენია და არც სიმღერა ეხერხება ***(იცინის).*** რაც შეეხება ყოფილ შეყვარებულს, მასთან მხოლოდ მეგობრობა მაკავშირებს და მასთან ერთად ხშირად მნახავენ. ასე რომ, პირად ცხოვრებაში სიმშვიდეა. ზოგადად, როცა მიყვარს, უფრო მშვიდი ვარ და პერიოდულად რომანტიკული „გამოსვლებიც" მახასიათებს.

**– თუ საიდუმლო არ არის, მოგებული თანხა, ათი ათასი უკვე დახარჯე?**

– ჯერ არ დამიხარჯავს, უფრო სწორად, გარკვეული თანხა მოვიხმარე და დანარჩენი შენახული მაქვს. გეტყვით, რომ ამ პროექტში სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა. ეს კონკურსი არ იყო, უბრალოდ, მომღერლები სხვა, ცნობილი მომღერლების ტყავში „ვძვრებოდით". ხდებოდა გარდასახვა, არა ვიზუალურად, არამედ ვოკალურადაც და ეს ძალიან საინტერესო და სახალისო პროცესია. ორ-თვენახევარში, ცხრა ადამიანის, მათ შორის პრინცისა და ემინემის ტყავში „შეძრომას," თქვენ ეხუმრებით? თუმცა, ყველაზე მეტად კომფორტული ჩემთვის, ნინო ქათამაძედ გარდასახვა იყო. თავად ჩამიტარა ნინომ მასტერკლასები და ამისთვის მას დიდი მადლობა. რა ვიცი, როცა სცენაზე ნინო ქათამაძედ დავდექი, მეც კომფორტულად ვიგრძენი თავი და ნინოც დარბაზში, კმაყოფილი სახით მიყურებდა. აი, პრინცად რომ გარდავისახე, „შლაქსები", მაღალქუსლიანი მამაკაცის ფეხსაცმელი და ტოპი ჩავიცვი, გამეცინა. ვიფიქრე, რომელ საუკუნეში ვარ, ასე თუ ჩავიცვამდი, რას წარმოვიდგენდი-მეთქი ***(იცინის).*** ცხრაჯერ რომ გაგახდუნებენ და გაგასუქებენ, წარმოიდგინეთ, რა გადავიტანე, მაგრამ ამას სიამოვნებით ვიტანდი. ვგრძნობდი, ხალხიც როგორ მგულშემატკივრობდა. როცა ასეთ პროექტში იღებ მონაწილეობას, უნდა გაიხადო, ჩაიცვა და იმოძრაო ისე, როგორც შოუ მოითხოვს. ახლა, თუ არც სიმღერას უხდება სიშიშვლე და არც შენს გარეგნობას, იქ გარდასახვა კი არა, ნამდვილი კოშმარი იქნები, რაც არ უნდა კარგი მომღერალი იყო. გეტყვით, რომ ზოგადად, მიბაძვის წინააღმდეგი ვარ და სულ ვამბობ, ადამიანმა, მით უმეტეს შემოქმედმა საკუთარი უნდა შექმნა და დატოვო, მაგრამ ამ პროექტში, სხვა მომღერლად გარდასახვა ნამდვილად საინტერესო აღმოჩნდა. ვერ გეტყვით, რამდენჯერ ამიწიეს ცხვირი, შემიცვალეს ვარცხნილობა, თმის ფერი და დამამატეს ზედმეტი წონა გრიმიორებმა ***(იცინის).*** გრიმს რომ გამიკეთებდნენ და სარკეში ჩავიხედებოდი, ჩემი გარეგნობის მიკვირდა: ვა, რა მაგარია-მეთქი.

**– ქეთი, მახსოვს რუსულ და ინგლისურ ენაზე წერდი რომანებს. ამ მხრივ როგორ არის საქმე?**

– ამ საქმეს შევეშვი, რადგან მივხვდი, რომ ჯერ, საამისოდ ცხოვრებისეული გამოცდილება არ მყოფნის. არ მინდა, ვინმეს ჰგავდეს ჩემი ნაწერი და არც ის მინდა, რაიმე აკლდეს. ამიტომ, ჯობია, ცოტა მეტი ცხოვრებისეული დავაგროვო და მერე ჩავუჯდე წერას. მწერლობა ადვილი არ არის, არ გამომივიდა, ამიტომ ამ ეტაპზე, რაც კარგად გამომდის – სიმღერა, იმას ვაკეთებ. თან, ჩემს ასაკში, როცა ოცდაოთხი წლის ვარ და მწერალი მერქვას, ვფიქრობ, ადრეა. თუმცა, პოეზიაში ვარ „გადავარდნილი", ლექსებს ვწერ და ბევრ ჩემს ლექსზე სიმღერაც შეიქმნა.

**– ის თუა მართალი, რომ გიგა კვენეტაძეს მოსკოვში უგზავნი შენს რუსულ ენაზე დაწერილ ლექსებს. შემდეგ ის მუსიკას ქმნის და რუსულ მსმენელს ეს ძალიან მოსწონს?**

– დიახ, მართალია. გიგა კვენეტაძეს რამდენიმე ლექსი გავუგზავნე და მასზე ულამაზესი სიმღერა შექმნა. როგორც მითხრა, მოსკოვში ეს სიმღერები მოსწონთ და უსმენენ. სხვათა შორის, ჩემი სიმღერებიც, ჩემსავე ლექსებზეა შექმნილი, რაც ბევრმა არ იცის. ახლა სიმღერების წერაც დავიწყე, ცუდად არ გამომდის, მე მომწონს. თუმცა კომპოზიტორობაზე არ მაქვს პრეტენზია.

**ნონა დათეშიძე**

**როგორც ყველა „სვეცკი“ ქართველი ამბობს, მე ტელევიზორს იშვიათად ვუყურებ, მხოლოდ „ფეისბუქით“ ვიგებ ახალ ამბებსო (ამ დროს ნახევარ თბილისს პლაზმური ტელევიზორის კრედიტი აქვს დასაფარი). ჩემთვის კი სოცქსელი საზოგადოებრივი ინტერესის ინდიკატორია. გასულ კვირას, ტელეკომპანია GDS-ზე გასულ გადაცემა „ბინა 18-ში“ დუნდულებაწითლებული გოგონების ფოტო-ვიდეო მასალებმა მოიცვა ყველა ინტერნეტ-პორტალი და დღემდე მიდის განხილვა, რამდენად ესთეტური, მართებული თუ ამორალური იყო. აღნიშნულ თემაზე ყველას თავისი რეაქცია ჰქონდა, რაც ერთი სიტყვით „ერ-აქციით“ შეიძლება შეფასდეს. თითქმის არ დარჩენილა ადამიანი, ვისაც ამაზე საკუთარი მოსაზრება კომენტარის სახით არ დაეფიქსირებინოს. ზოგიერთმა ორგანიზაციამ ეს ქალთა უფლებების შელახვად და დაკნინებად შეაფასა, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, სამივე მხარე კი – მოგებული და ნასიამოვნები. ტელევიზიამ გადაცემის, გოგონებმა კი მათი სხეულის მრგვალი ფორმების რეიტინგი გაზარდა და მაყურებლების გარკვეულმა მასამაც ფანტაზიის რეალიზება მოახდინა. თუმცა, ჩემი დღევანდელი სტატია სულ სხვა პროფესიას ეხება, ეს არის ქალთა დისკრიმინაციის კიდევ ერთი გამოვლინება, რომელიც მჭიდრო კავშირშია სხეულით, ოღონდ პატიოსნად და სექსის გარეშე, ნაშოვნ ფულთან. ეს არის „ქალი მაგიდა“. მართალია, უცნაურად ჟღერს, მაგრამ ასეთი პროფესიაც არსებობს.**

**შესაძლოა, ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ერთადერთი ქართველი არ არის, რომელიც ამ საქმის პროფესიონალია, მაგრამ ისიც იმ ათასობით ქართველთა რიგებში მოხვდა, პუტინმა 2006 წელს რომ გამოასახლა.**

**აი, როგორია მოდელის კარიერის გასაკეთებლად რუსეთში ჩასული ქართველი გოგონას ისტორია:**

# როგორ აქირავებენ ქალები სხეულს სექსის გარეშე და რას ყვება რუსეთში მოღვაწე ექსმოდელი

– ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩემი ოჯახი რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად. მამას წლების განმავლობაში იქ პატარა ბიზნესი ჰქონდა და ჩემთვისაც უფრო დიდი პერსპექტივა იშლებოდა მოდელის კარიერის შესაქმნელად. მალევე ვიპოვე სააგენტო, რომელმაც ხელსაყრელი კონტრაქტი გამიფორმა და თვეში დაახლოებით 2 000 დოლარს გამოვიმუშავებდი.

**– ადვილად დათანხმდი თანამშრომლობაზე?**

– არა. სანამ „ქალი მაგიდის“ პროფესიას შემომთავაზებდნენ, თავიდან პირადი აგენტი მყავდა, რომლის წყალობითაც გამოვდიოდი სხვადასხვა ჩვენებაზე, ასევე, ვმუშაობდი მანეკენად საქორწინო კაბების მაღაზიაში.

**– ცოცხალი მანეკენები იდექით ვიტრინებში?**

– ყოველ ორშაბათს, 3 საათის განმავლობაში, შუშებიან ვიტრინაში ცოცხალი მანეკენებით პერფორმანსი იმართებოდა. გარდა ამისა, დილის ცხრიდან სამ საათამდე, ზოგჯერ სამიდან ცხრამდე, მორიგეობით ვმუშაობდი ამავე მაღაზიაში. ჩემი მოვალეობა იყო, კლიენტისთვის, რომელი კაბაც მოეწონებოდა, უნდა ჩამეცვა და პოდიუმზე გამევლო.

**– არ გიჭირდა დღეში რამდენჯერმე გამოცვლა და პოზირება?**

– პრინციპში, მომწონდა კიდეც. მაგრამ, ხშირად ერთი კლიენტისთვის მინიმუმ, 5 კაბის მორგება და პოდიუმზე გავლა მიწევდა, რაც ძალიან დამღლელი იყო, მით უმეტეს, თუ ჭირვეული კლიენტი შემხვდებოდა.

**– ცოცხალი მაგიდის შესახებ მომიყევი.**

– სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, თითქმის ერთი წელი ვიმუშავე ცოცხალ მაგიდად და 2006 წელს იმ ცნობილი გამოსახლების შედეგად, მეც გამომიშვეს. რაც შეეხება ცოცხალ მაგიდას, ეს რომ გავიგე, ბევრი ვიცინე და ჩემს აგენტსაც დავცინე, მაგრამ იმდენი მელაპარაკა, სანამ არ დავინტერესდი. დამარწმუნა, რომ ყველანაირად დაცული ვარ და რაც მთავარია, სექსუალური კონტაქტი კატეგორიულად იკრძალებოდა. დავინტერესდი და თითქმის ერთი თვე პრაქტიკას გავდიოდი. სხვათა შორის, საკმაოდ ძვირად ღირებული სასწავლო კურსია, რომლის ხარჯებსაც მთლიანად აგენტი იხდიდა.

**– რომ არ გამოგსვლოდა, ან ბოლო წუთს უარი გეთქვა, შენი აგენტი წაგებული რჩებოდა, თუ კონტრაქტით გქონდა რამე პირობები?**

– არა. როგორც ჩანს, ჩემი აგენტი კარგად მიცნობდა და დარწმუნებული იყო, რომ გავუმართლებდი, როცა მომზადებაში სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე გადაიხადა უზარმაზარი თანხა. მითხრა, შენ არაფერს კარგავ,



უბრალოდ, სცადე და თუ ვერ შეძლებ ან სურვილი არ გექნება, პრობლემა არ არისო.

**– ადვილად აითვისე?**

– მე უკვე მცირეოდენი გამოცდილება მქონდა, რადგან ზოგჯერ გაუნძრევლად ან მინიმალური მოძრაობით, ურეაქციოდ საათობით მიწევდა ვიტრინაში დგომა. ჩემთვის ძირითადი ბარიერი ფსიქოლოგიური მომენტი იყო, რომლის გადალახვაში ფსიქოლოგი დამეხმარა. ანუ, ფსიქოლოგიური ტრენინგები მიტარდებოდა.

**მკერდზე სიგარეტის ჩაქრობა, თმის მოჭრა, უამრავი ნაკბენი სხეულზე – დუნდულებზე ჩანგლის ჩარჭობაც კი. ამიტომ, საშიში იყო ამ პროფესიის გარეთ გამოყენება**

**– რა ტიპის დაწესებულებაში მუშაობდი და რა გევალებოდა – კონკრეტულად რომ ამიხსნა.**

– სტრიპტიზ-კლუბში ვმუშაობდი, სადაც მაგიდის ფუნქციას ვასრულებდი. ანაზღაურება დროისა და პოზების მიხედვით ხდებოდა, თუმცა ყველა შემთხვევაში, მაგიდის ფუნქცია ერთი და იგივე იყო. მთლიანად შიშველს მხოლოდ და მხოლოდ მაგიდის ფუნქცია უნდა შემესრულებინა. მაგალითად, მაგიდაზე შიშველი ვწვებოდი და ჩემს სხეულზე აწყობდნენ ხილს და ტკბილეულს, საიდანაც კლიენტები მიირთმევდნენ, ასევე, ოთხზე დამდგარს ზურგზე მეწყო.

**– ნასვამ კლიენტებს ცდუნების სურვილი არ უჩნდებოდათ?**

– ჯერ ერთი, ყველამ კარგად იცოდა წესები და მაგიდის წაბილწვა სასტიკად იკრძალებოდა. არ მახსოვს შემთხვევა, რომ დაცვის ჩარევა გამხდარიყო საჭირო. თუ ვინმეს ხელი წაუცდებოდა, მაგიდის წევრებივე აგვარებდნენ საქმეს.

**– მაგიდიდან მირთმევა მხოლოდ ხელით იყო შესაძლებელი თუ ტუჩებითაც შეიძლებოდა?**

– *(დაფიქრდა)* ზოგჯერ ასეც ხდებოდა, მაგრამ ზედმეტებში არ გადადიოდნენ *(იცინის)*.

**– როგორც ვხვდები, ეს პრივატულ ოთახში ხდება და კლიენტები მხოლოდ შიშველი სხეულიდან მირთმეული ხილით შემოიფარგლებოდნენ თუ სექსუალურ ფანტაზიებსაც აძლევდნენ გასაქანს?**

– ბუნებრივია, ისეთი კატეგორიის მამაკაცი, ვინც სტრიპტიზ კლუბში დადის და ცოცხალი მაგიდიდან სიამოვნებს მარწყვის ან დაჭრილი ბანანის მირთმევა, მხოლოდ ამით არ კმაყოფილდება და მისი ფანტაზია უფრო შორს მიდის, მით უმეტეს, როცა კაცს ბევრი ფული აქვს.

**– ანუ, შენ თვალწინ ორგიები იმართებოდა?**

– ორგიებიც და ოთხგიებიც ***(იცინის),*** რა თქმა უნდა, იმართებოდა, მაგრამ, როგორც წელან გითხარით, მაგიდის წაბილწვა იკრძალებოდა და ამ ყველაფერში მხოლოდ მაყურებლის სტატუსით ვიყავი ჩართული.

**– ყველაზე უცნაურ შემთხვევას რას გაიხსენებ?**

– ის, რაც ადამიანებისთვის უცნაურია, ჩემთვის ბუნებრივია და ამიტომ უცნაურობაზე საუბარი გამიჭირდება. ვიღაცისთვის მე თვითონ ვარ უცნაური და სხვა რაღაზე ვილაპარაკო. მაგალითად, თავიდან უცნაურად მეჩვენებოდა, როცა ცოლ-ქმარი მოდიოდა და ჩემ თვალწინ ვნების მორევში ეშვებოდა. ისინი სიამოვნებას იღებდნენ იმით, რომ ვიღაც უყურებდა და ეს სრულიად საკმარისი იყო მათი ბედნიერებისთვის. უყვარდათ, როცა ჩემს სხეულზე გასრესილ ბანანს აჭმევდნენ ერთმანეთს ან ფეხის თითებზე მიჭყლეტდნენ ფორთოხალს და იქიდან ჩამოსულ წვენს სვამდნენ.

**– კლუბის კლიენტები სახლში არ გეპატიჟებოდნენ?**

– კი. ასეთი შემოთავაზებები ხშირი იყო. უნდოდათ სახლში ან საუნაში შემესრულებინა მაგიდის როლი, მაგრამ ეს სარისკოა. ასეთ რისკზე არასდროს წავსულვარ. უფროსობაც ხშირად გვიწყობდა გამოცდებს და თუ კი ვინმე დათანხმდებოდა და ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე წავიდოდა, მეორე დღეს აუცილებლად რაღაც დაზიანებით მოდიოდა.

**– მაგალითად?**

– მაგალითად, მკერდზე სიგარეტის ჩაქრობა, თმის მოჭრა, უამრავი ნაკბენი სხეულზე და დუნდულებზე ჩანგლის ჩარჭობაც კი. ამიტომ საშიში იყო ამ პროფესიის გარეთ გამოყენება. თანაც, რაც არ უნდა დიდი ხნის და სანდო კლიენტი იყოს, ასეთ სიტუაციაში მის ტერიტორიაზე ხარ – შეიძლება, ისე შეიჭრეს როლში და ისე დაგაზიანოს, თავადაც ვერ მიხვდეს.

**– ასეთ რთულ სამუშაოში თვეში 2 000 დოლარი გქონდა ანაზღაურება?**

– არა. ეს იქამდე გამოვიმუშავებდი მაგდენს, სანამ „ცოცხალ მაგიდად" დავიწყებდი მუშაობას. ამ პროფესიით ყოველდღე არ ვიყავი დაკავებული, მაგრამ საათში 800 დოლარს იხდიდა კლიენტი, რომლის ნახევარიც ჩემი იყო. თუმცა, თვის განმავლობაში ჩემი საერთო შემოსავლის 30 პროცენტს პირად აგენტს ვუხდიდი, რომელიც, აგრეთვე, მთავარ სააგენტოს უხდიდა გარკვეულ პროცენტს.

**რომან საყვარელიძე**

**აჩიკო ზარნაძეს საქართველოში ნაკლებად იცნობენ. თუმცა, საკმარისია „იუ თუბიზე“ მისი სახელი და გვარი, ან უბრალოდ „salsageorgia“ აკრიფოთ და მაშინვე ნახავთ, აჩიკოს მიერ შესრულებულ არაერთ ცეკვას, რომელიც პირველი წამებიდან მოგხიბლავთ და გულგრილს არ დაგტოვებთ. აჩიკოს ცეკვის ნახვა ადამიანს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს, ამიტომაც ამერიკაში მისი ხელწერა განსაკუთრებულად მოსწონთ. გაკვეთილებს იღებენ მისგან და, პარალელურად, პროფესიონალები მას სხვადასხვა საერთაშორისო კონგრესზე ვორკშოპების ჩასატარებლად იწვევენ. გარდა ამისა, აჩიკო წერს მუსიკას, მღერის და ახლო მომავალში ამერიკაში პირველი ალბომის გამოშვებასა და კონცერტების ჩატარებას გეგმავს. თუმცა, ყველაზე მთავარი – ის პროფესიით გარემოს დაცვის მეცნიერია და აქტიურად ზრუნავს ამერიკის სხვადასხვა შტატის ეკოლოგიაზე.**

# რატომ სთხოვეს აჩიკო ზარნაძეს პატრიკ სვეიზის შოუში მონაწილეობა და როგორ მუშაობს ქართველი გარემოს დაცვის მეცნიერი ამერიკის ეკოლოგიაზე

**აჩიკო ზარნაძე:** ცეკვით თბილისში დავინტერესდი, ზუსტად არ მახსოვს, 1995 წელი იყო თუ – 1996. მეგობართან ერთად ქობულეთში ვისვენებდი. ზღვის პირას პატარა სცენა იყო, სადაც წყვილი სამეჯლისო ცეკვებს ცეკვავდა. ძალიან მომეწონა და მოგვიანებით, წავედი სამეჯლისო ცეკვების სტუდიაში. დაახლოებით, 6 თვე ვიარე. კონკურსზეც გამოვედი, გავიმარჯვე. შემდეგ სასწავლო პროგრამით ვაბარებდი გამოცდებს, გავიმარჯვე ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში და მათ შორის ამერიკა ამოვარჩიე. წავედი, სწავლა გავაგრძელე. ჯერ ვიყავი ინდიანას უნივერსიტეტში, 2001 წელს კი გადავედი ნიუ-იორკში. პროფესიით ვარ გარემოს დაცვის მეცნიერ-კონსულტანტი და ამჟამად ამ სპეციალობით ვმუშაობ. თბილისშიც ამას ვსწავლობდი ტექნიკურ უნივერსიტეტში – ჯერ ბაკალავრიატი დავამთავრე, შემდეგ მაგისტრატურა და ამ დროს პარალელურად, ვმუშაობდი მინისტრის თანაშემწედ საგარეო საქმეთა სამინისტროში. ჩემმა კოლეგამ შემომთავაზა: შენი პროფესიით სხვადასხვა პროგრამებია და მონაწილეობას ხომ არ მიიღებო. დავინტერესდი, რეკომენდაცია გამიწიეს, გამოცდები ჩავაბარე და სწავლის გასაგრძელებლად ამერიკაში წავედი. იქაც ავიღე მეორე მაგისტრი და დოქტორი უკვე ნიუ-იორკში გავხდი, სადაც დისერტაცია დავიცავი. ამას დიდი დრო დასჭირდა, რადგან თემა იყო დიდი.

**– რა თემაზე მუშაობდი?**

– ორგანული დამაბინძურებლების შესწავლა ნიუ-ჯერსის, ნიუ-იორკისა და პენსილვანიის მიდამოებში. მერე წიგნიც გამოვეცი, რომელიც ტექნიკურ ბიბლიოთეკებშიც არის და „ამაზონზეც.” ანუ, წიგნში წერია ის, რაზეც დოქტორის ხარისხი დავიცავი, ოღონდ „გაწიგნებული”... ერთ-ერთმა ამერიკულმა კომპანიამ შემომთავაზა გარემოს დაცვის სპეციალისტის ადგილზე მუშაობა და დღემდე იქ ვარ.

**– რა შედის შენს საქმიანობაში?**

– ჩვენი კომპანია იგებს გრანტებს, რომელიც შემდეგ ამერიკის ფედერალური ან საშტატო მთავრობიდან მოდის. არის ადგილები, რომელიც ძალიან დაბინძურებულია და მთავრობა ცდილობს მის გაწმენდას. მაგრამ ამას თვითონ ხომ ვერ გააკეთებს, ამიტომ დამხმარე კომპანიას ქირაობს და ეს ვართ ჩვენ. შემდეგ ვიღებთ სინჯებს, ანალიზებს ვაკეთებთ და ვადგენთ გეგმებს: როგორ გავასუფთაოთ.

**– მოკლედ, ამერიკის ეკოლოგიაზე აქტიურად ზრუნავ.**

– კი, სერიოზულად, თან ძალიან დაბინძურებულ ადგილებში. ანუ, ჩვენ ვადგენთ გეგმას, წარუდგენთ მთავრობას და ის ახორციელებს ჩვენ შეთავაზებულ ნიადაგზე წმედას, რაც ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. სამწუხაროდ, საქართველოში ამის საშუალება არ არის. თუ საქართველოში ცოტა ხანს მომიწევს ყოფნა, შევეცდები, ეს საქმე მაინც დაიძრას და შეიძლება, მეც, ამ საქმით დავკავდე. როდესაც განათლებას და გამოცდილებას ვიღებდი, პარალელურად ცეკვა იყო ჩემი ჰობი.

**– ამ ორ პროფესიას შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა.**

– ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ვიგონებ, რადგან ეს ორი პროფესია არ ჯდება ერთმანეთში. ალბათ, მე მოვახერხე დროის სწორად განაწილება. მიუხედავად იმისა, რომ სწავლაში საკმაოდ მაღალი შეფასება მქონდა, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ სულ წიგნებში ვიყავი თავჩარგული. პარალელურად, სხვა რაღაცეებსაც ვაკეთებდი და რა თქმა უნდა, მათ შორის ყველაზე მთავარი ცეკვა იყო. მახსოვს, კალიფორნიაში ვიყავი 2000 წლის ზაფხულში. კოლუმბიელმა თანამშრომელმა შემომთავაზა: წამოდი, „სალსაზე“ წავიდეთო. წავედით-მეთქი, კლუბში მივედით. იქ უეცრად ფეხსაცმლის გამოცვლა დაიწყო. რატომ აკეთებ-მეთქი, აქ „სალსაზე“ არ მოხვედიო, – მკითხა. კი და ვჭამოთ-მეთქი. რა უნდა ჭამოო. მე მეგონა, იცოდა ადგილი, სადაც ძალიან გემრიალი ჩიპსი „სალსა” იყიდებოდა. იმდენი იცინა, მგონი, დღესაც დამცინის. მოკლედ, შევედი და დავინახე საოცარი რამ: ჩემპიონატი იყო, სასწაულები ხდებოდა. ძალიან ეფექტური იყო და გადავწყვიტე, მესწავლა.



რომ დამთავრდა პერფორმანსი, პატრიკმაც დაამთავრა თავისი სიტყვა. მოვიდა ჩვენთან, ხელი ჩამომართვა, მითხრა: ძალიან მომეწონაო

იმ დროს სტუდენტი ვიყავი, ამიტომ ჯგუფურ ან პირად გაკვეთილებს ვერ ავიღებდი. ასე რომ, დღემდე არ მაქვს, როგორც ასეთი, გაკვეთილები აღებული. დავიწყე, ასე ვთქვათ, მეცნიერული ტვინის გამოყენება. სერიოზულად ვაკვირდებოდი მათ ცეკვას, შემდეგ ხდებოდა ტვინში ინფორმაციის დაიჯესტი. მუსიკა მესმის, მოძრაობაც, მგონია, რომ ვიცი, თუმცა „სალსა“ სამეჯლისო ცეკვებისგან რადიკალურად განსხვავებული ცეკვაა. ცოტა დიდი დრო დამჭირ-

**ის ქალი, ვინც ამ პროექტის ორგანიზატორია, მეცეკვა: აუ, ეს მოძრაობა მე არ მინახავს, ეს როგორ არისო**

და, მაგრამ გამომივიდა. თავიდან გოგონასაც ვერ ვეცეკვებოდი, რადგან ერთხელ ვეცეკვე, ფეხზე დავაბიჯე და გამიბრაზდა, დავკომპლექსდი. ამიტომ, ჩემთვის კუთხეში ვიდექი და ვაკვირდებოდი, მერე ვვარჯიშობდი და საბოლოოდ, რაღაც დონეზე ავედი. როდესაც ნიუ-იორკში ჩამოვედი, იქ ცოტა სხვანაირი სიტუაცია იყო. კლუბებში მივდიოდი, ვეცეკვებოდი გოგონას. მე მსიამოვნებდა ცეკვა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ სხვებსაც შეიძლება, მოსწონებოდა. მაგრამ, ვიღაცეებმა დამიწყეს: ცეკვა მასწავლეო. თავიდან მეგონა, ხუმრობდნენ, მაგრამ ბევრმა რომ მითხრა... შევქმენი კლასი, სადაც 30-მდე ადამიანი მოვიდა. ის, რომ მე თვითონ გავიგე „სალსას“ პრინციპი, ჩემით ავითვისე მოძრაობები, ამ მხრივ იყო კარგი ჩემი მეთოდები, მოძრაობები. მათთვის ეს უცხო იყო და ამიტომ, ბევრი მოსწავლე მყავდა. სკოლაც ჩამოყალიბდა „salsageorgia,” ჩვენი საიტიც გვაქვს: www.salsageorgia.com მოსწონს ხალხს ის მეთოდი, რაც მე მაქვს. გამოსვლებიც მქონდა და ახლაც მაქვს. ჩემი კონსულტანტებიც მყავდა. ერთ კოლუმბიელ ბიჭთან ერთად სოლო გამოსვლაც მქონდა – პერფორმანსი იყო, რომელიც ძალიან მოსწონდათ. გამოვდიოდით ნიუ-იორკის კლუბებში, პენსილვანიაში. ახლა კოსტა-რიკაში გვინდა, ერთად წავიდეთ. ჩემს მოსწავლეებსაც ჰქონდათ გამოსვლა ნიუ-იორკის კონგრესზე, სხვადასხვა ფესტივალზე გამოვდიდით. პრინციპში, ახლაც ვაკეთებ ამას, თუმცა, რადგან სამსახური მაქვს და სხვანაირი დატვირთვა – მუსიკაშიც ვარ ჩართული, ცეკვის მხრივ, რეგულარული პროექტები არ მაქვს. სხვადასხვა კონგრესიდან მაქვს მიწვევები და მათთან ვთანამშრომლობ. ახლახან ვიყავი ესპანეთში, რამდენიმე სტუდიაში ვატარებდი ვორკშოპებს. 1 აგვისტოს მიწვეული ვარ ალასკაზე, სადაც „სალსას“ საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება. იქ ვიქნები „სალსას“ ინსტრუქტორი, სამდღიანი პროგრამით ვასწავლი მოძრაობებს. ის ქალი, ვინც ამ პროექტის ორგანიზატორია, მეცეკვა – აუ, ეს მოძრაობა მე არ მინახავს, ეს როგორ... მოკლედ, დაინტერესდა ჩემით და მიმიწვია. კიდევ ვიყავი ფილადელფიაში, იქ მქონდა ვორკშოპები. ნოემბერში კოსტა-რიკაში მივდივარ. ანუ, ამ მხვრივ, არის შემოთავაზებები. მე ძირითადად უფრო პერფერომანსებს ვაკეთებ. თუმცა, ვყოფილვარ მსაჯიც და არაერთხელ, მაგრამ ასე მირჩევნია. თან, ვცდილობ ეს ყველაფერი ჩემს ძირითად საქმიანობას შევუთანხმო. მე მხოლოდ სამსახური რომ მქონოდა, შინაგანად ძალიან დათრგუნული ვიქნებოდი, რადგან ამერიკაში სწავლა და მუშაობა ძალიან დამთრგუნველია. ქვეყანა იმიტომ არის მაღალ დონეზე, რომ ყველაფერზე ძალიან დიდი მოთხოვნაა. ამიტომ ის, რასაც ვაკეთებ, თუ არ არის კარგი, აღარ გამიგრძელებენ კონტრაქტს. „სალსა“ იყო **escape,** ანუ, „გაქცევა“, ოღონდ კარგი გაგებით – გაქცევა პრობლემებიდან, ოღონდ ჯანმრთელი გზით და არა ნარკოტიკებით, ლოთობით. ჩემს მუსიკალურ ალბომსაც ასე ერქმევა. როდესაც „სალსას“ კარგად ცეკვავ, ყველაფერი გავიწყდება და რაც მაღალია ხარისხი, უფრო დიდ სიამოვნებას იღებ.

**(გაგრძელება 75-ე გვერდზე)**

# FRESCO ფრესკო
სუპერმარკეტების ქსელი

## ახალი სტანდარტი რითეილ ბაზარზე

### კორპორატიული შესყიდვები ყველაზე მოსახერხებელი პირობებით

- ყველაზე დაბალი ფასები საქართველოში
- უფასო კურიერული მომსახურება
- ყველა საჭირო საბუთით უზრუნველყოფა
- პროდუქციის ფართო არჩევანი
- პირადი მენეჯერის მომსახურება




577 31 20 06



კორპორატიული გაყიდვების მენეჯერი ამირან ქალანდია

**„ფრესკოს“ შესახებ**

სუპერმარკეტების ქსელი „ფრესკო“ საქართველოს ბაზარზე 2012 წლის იანვრიდან გამოჩნდა და დღეისათვის სამ სუპერმარკეტს ფლობს ვარკეთილში, მუხიანსა და ორთაჭალაში, რომელთა საერთო ფართი ჯამში 14,000 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

„ფრესკო" მომხმარებელს საქართველოში ყველაზე დაბალ ფასებს, მაღალი ხარისხის მომსახურებას, კომფორტულ გარემოს, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტსა და 24-საათიან მომსახურებას სთავაზობს.

**„ფრესკოს" კორპორატიული გაყიდვების შესახებ**

„ფრესკომ" კორპორატიული მომსახურება იურიდიულ პირებს 2013 წლიდან შესთავაზა და დღეისთვის დაახლოებით 500 მსხვილ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს.

ჩვენი კორპორატიული გაყიდვების მომხამრებლების სპექტრი ძალიან ფართოა. ვემსახურებით როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო ორგანიზაციებს, რესტორნებს, ბარებს, სასტუმროებს, სამინისტროებს, სკოლებს, ბაღებს, საავადმყოფოებს, სამშობიაროებს და სხვა დაწესებულებებს.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მათი მოლოდინი გავამართლოთ, შევუქმნათ მომსახურების სრული კომფორტი. „ფრესკოს" ქსელში არსებული სუპერმარკეტები 24 საათის განმავლობაში მუშაობენ და ნებისმიერი ორგანიზაციის წარმომადგენელს სუპერმარკეტში არსებულ კორპორატიულ სალაროსთან შეუძლია, განახორციელოს შესყიდვა, მიიღოს შესაბამისი დოკუმენტაცია და ამისთვის დახარჯოს მხოლოდ 10 წუთი.

**– როგორ უნდა გახდეს ორგანიზაცია თქვენი კორპორატიული კლიენტი?**



– კორპორატიული გაყიდვების სერვისით სარგებლობა შეუძლია, ყველა იმ იურიდიულ პირს, ვისაც სურს, მიიღოს მის მიერ შეკვეთილი ნებისმიერი პროდუქცია ოფისიდან გაუსვლელად, დაზოგოს დრო, ენერგია და რაც მთავარია, ფული.

პროცედურა საკმაოდ მარტივია: მომხმარებელი/კომპანია გვიკავშირდება და „ფრესკოსთან" აფორმებს ხელშეკრულებას, რომელიც არეგულირებს ანგარიშსწორებისა და მომსახურების პირობებს. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, კორპორატიული გაყიდვების მენეჯერი მომხმარებლისგან შეკვეთას იღებს ელექტრონული ფოსტით, ან ტელეფონის საშუალებით, ფორმირებას უკეთებს და კურიერის საშუალებით აწვდის მისთვის სასურველ ადგილას, მაქსიმუმ, 24 საათის განმავლობაში.

**– რა არის თქვენი მომსახურების უპირატესობა?**

– ჩვენი უპირატესობები ძალიან თვალსაჩინოა: „ფრესკოსთან" ურთიერთობით თქვენ იძენთ მუდმივ და სანდო პარტნიორს, რომელიც ზრუნავს თქვენზე, გიზოგავთ დროს, ენერგიას და რაც მთავარია გაძლევთ მნიშვნელოვან ფინანსურ სარგებელს. უფასო კურიერული მომსახურება, ანგარიშსწორების მოქნილი პირობები, ყველა საჭირო დოკუმენტით უზრუნველყოფა, პირადი მენეჯერის მომსახურება – ეს ყველაფერი „ფრესკოს" კორპორატიულ გაყიდვებს ნამდვილად განსხვავებულსა და შეუცვლელს ხდის.

**– კომპანიის სამომავლო გეგმები.**

– წლის ბოლომდე კიდევ სამი ახალი სუპერმარკეტის გახსნაა დაგეგმილი, საბურთალოზე (ვაჟა-ფშაველას გამზირისა და სანდრო ეულის კვეთა), ჩუღურეთში (ჩიქობავას ქ №22), ნაძალადევში (გურამიშვილის გამზირი №61), რომლებიც უკვე მშენებლობის პროცესშია.

2015 წლის განმავლობაში კომპანიაში იგეგმება ქსელის კიდევ უფრო გაფართოება, რაც დამატებით 4 ახალი სუპერმარკეტის გახსნას გულისხმობს და 2015 წლის ბოლოს „ფრესკო" ბაზარზე უკვე საკუთრებაში არსებული 10 სუპერმარკეტით იქნება წარმოდგენილი, რაც თავისთავად მეტ ადამიანს და ორგანიზაციას მისცემს საშუალებას გახდეს „ფრესკოს" მომხმარებელი.

ეს ყველაფერი კი არის საფუძველი ჩვენი განაცხადისა ვიყოთ №1 კომპანია საქართველოს რითეილ ბაზარზე.

ტელ:2 907 907 / 577 31 20 06 FrescoRetailGroup www.fresco.ge



# უნდა ვაკონტროლოთ თუ არა ქმარი და როდის გრძნობს ქალი ღალატს

**მარადიული თემა – ღალატი; მარადიული სამკუთხედი: ცოლი – ქმარი – სხვა ქალი; მარადიული კითხვა: რა უნდა ვქნათ, ვაპატიოთ და დავივიწყოთ თუ დავამთავროთ ურთიერთობა ადამიანთან, რომელიც ჩვენი ცხოვრების ნაწილია, გვიყვარს და მასთან განშორებაზე ფიქრიც კი ტკივილს გვგვრის? ერთგვაროვანი პასუხი, ამ შეკითხვებზე არ არსებობს და, ამიტომაც, ვერასოდეს ამოიწურება თემა. ადამიანები სხვადასხვანაირად ფიქრობენ, სხვადასხვანაირად აზროვნებენ და კონკრეტულ მომენტში, ხშირად სრულიად გაუთვალისწინებლად იქცევიან – იმპულსურად, ემოციის კარნახით; ან, პირიქით – უარს ამბობენ გრძნობაზე და საკუთარი თავის წინააღმდეგ მიდიან.**

**ია** *(36 წლის):* მე ახლა გამოუვალ მდგომარეობაში ვარ. დავიბენი და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ვნანობ, კარგად რომ არ დავფიქრდი, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი. მთლიანად ემოციის კარნახით ვიმოქმედე, მგონი, საკუთარი გრძნობის წინააღმდეგ წავედი და ახლა საკმაოდ რთულად არის საქმე. ან ყველაფერი ისე უნდა დავტოვო, როგორც არის, ან საკუთარ თავმოყვარეობას უნდა გადავაბიჯო და გავაკეთო ის, რაც მინდა. ცოტა გაუგებრად ვლაპარაკობ, მაგრამ, ჩემს ამბავს რომ მოგიყვებით, მიხვდებით. იცით, რა მიკვირს? რატომ გახდა ამ ბოლო დროს ღალატის თემა ასეთი აქტუალური? ჩვენს დედებსა და ბებიებს არ ღალატობდნენ, თუ, ისინი არ ლაპარაკობდნენ ამაზე?! საერთოდ, დუმდნენ და არ ხედავდნენ პრობლემას? საერთოდ, როცა არ ხედავ პრობლემას, ის არც არსებობს.

**– იქნებ, საქმე მამაკაცებშია?**

– იმის თქმა გინდათ, რომ ადრე უფრო ღირსეული მამაკაცები იყვნენ? სიმართლე გითხრათ, ზოგჯერ მეც მიჩნდება ხოლმე ასეთი აზრი, მაგრამ, არ მინდა, ვინმე გავლანძღო. შეიძლება, ჩვენც არ ვართ იდეალურები. ერთი მხარე არასდროს არ არის დამნაშავე. ჩემი შეცდომების დამალვას არ ვაპირებ. რა თქმა უნდა, შემეშალა, თანაც, საკმაოდ ბევრი შემეშალა. არ ხდება ისე, რომ ერთ წუთში იცვლებოდნენ ადამიანები, უზრალოდ, რისი დანახვაც არ მინდოდა, არ ვხედავდი. ქმრის ღალატის შესახებ ინფორმაცია ადრევე მქონდა, მაგრამ ეჭვი არ გამჩენია მის ერთგულებაში, ბრმად ვენდე. ის კი არა, კინაღამ მოვუბოდიშე კიდეც – სულ პატარა ეჭვიც კი როგორ გამიჩნდა-მეთქი. ამან კი მასში დაუსჯელობის სინდრომი გააჩინა.

**– თქვენს ქმარს გაუჩნდა დაუსჯელობის სინდომი?**

– რა თქმა უნდა! ყველას უჩნდება, თუკი ერთხელ დააშავებს, მეორედ, მესამედ, მეოთხედ და ყოველ ჯერზე შერჩება.

ჩემს ქმარს ყველაფერი ჰქონდა. ჩემი სიყვარულიც, ნდობაც; სულ თვალებში შევყურებდი და უსიტყვოდ მესმოდა მისი. ვერ ვიტყვი, რომ ცუდი ქმარი იყო. გარეგნულად ყველაფერი არაჩვეულებრივად ჩანდა. მეც კი დავიჯერე, რომ იდეალური ოჯახი მქონდა და მის მთლიანობას არაფერი დაემუქრებოდა. ეჭვი პირველად მაშინ უნდა გამჩენოდა, როცა ჩემმა ქმარმა ყველაფერი გააკეთა, მასზე დამოკიდებული რომ გავეხადე. ეს მიზანმიმართული, წინასწარ განზრახული ნაბიჯი იყო. ახლა უკვე ვიცი, რომ კაცი მაშინ ცდილობს, ცოლი მასზე იყოს დამოკიდებული, როცა „ცუდი" ჩანაფიქრი აქვს. არც ისეთი შტერები და გულუბრყვილოები არიან, როგორადაც თავს გვაჩვენებენ. ასეთების კატეგორიას მიეკუთვნება ჩემი ძვირფასი მეუღლეც. ძალიან დიდხანს იყენებდა ბოროტად ჩემს ნდობას.

**– გამოდის, ქმარს არ უნდა ენდობოდე.**

– რომ არ ენდობი, ეს კიდევ ცალკე უბედურება და კატასტროფაა. ყველა შემთხვევაში, მე ყოველთვის ამას ვამტკიცებდი: ქმარს უნდა ენდო და არ უნდა სდიო ფეხდაფეხ. ეს შეურაცხმყოფელია, დამამცირებელი და ურთიერთობის დამანგრეველი-მეთქი. მაგრამ, თურმე როგორ ვცდებოდი. რა დროს მორალი და მაღალი მატერიებია. ადამიანი, მით უმეტეს, მამაკაცი, ისეთი პრიმიტიული არსებაა, არ სჭირდება ფოფინი. რა მომცა მე ნდობამ და თვალების დახრმავებამ?! – კარგი არაფერი. დავრჩი მოტყუებული და გამწარებული. ისეთი საშინელი განცდით ვცხოვრობ, სიცოცხლე აღარ მინდა. ყველამ გაიგო, რომ ქმარს ღალატის გამო დავშორდი.

**– თქვენ ქმართან დაშორება გაწუხებთ თუ ის, რომ მისი ღალატის შესახებ ყველამ გაიგო?**

– ორივე, ისიც და ისიც. ჩვენ მაინც საზოგადოების ნაწილი ვართ. რამდენიც უნდა ვამტკიცოთ, რომ საზოგადოების კარნახით არ ვცხოვრობთ, მაინც დიდ გავლენას ახდენს ეს ყველაფერი ჩვენზე. მე ორმაგად მეტკინა ეს, რადგან საკუთარი თავი შეგნებულად ჩავიგდე ასეთ დღეში. მითხრეს, გღალატობსო და დამეჯერებინა, რა იქნებოდა?! ჩავიხვიე – ნდობაა მთავარი-მეთქი და დავრჩი ნდობის ამარა.

**– ნდობა კარგია, მაგრამ, ზომიერება, ალბათ, აქაც საჭიროა.**

– გეთანხმებით. ზღვარი უნდა იცოდე და კიდევ, ზოგჯერ მაინც უნდა გადაამოწმო, იმსახურებს თუ არა ნდობას ის, ვისაც ერთხელ უკვე დასდეს ბრალი ღალატში.

**– თქვენს მეუღლეს ბრალი დასდეს თქვენს ღალატში?**

– დიახ, თანაც აშკარად და მოურიდებლად. პირდაპირ მითხრეს: თვალები გაახილე და, სან-

**როგორც კი მოსალამოვდებოდა, მაშინვე ვურეკავდი და ვეკითხებოდი, სად ხარ-მეთქი**

ამ პირში ჩალაგამოვლებული დარჩენილხარ, ქმარს მიხედეო.

**– ვინ გითხრათ?**

– ამას აქვს მნიშვნელობა? კარგი, გეტყვით. ერთმა ქალმა. ახალგაზრდა ქალმა, რომელიც გავაბრაზე. გავაბრაზე იმით, რომ მოვიქეცი ისე, როგორც საჭირო იყო. საერთო საქმე ფუჭდებოდა. დაკონკრეტებას აზრი არ აქვს. მე კერძო ბიზნესი მაქვს. პატარა ბიზნესია, არაფერი განსაკუთრებული. არ დავუკარგავ დამსახურებას და ვიტყვი, რომ ჩემმა ქმარმა გამიკეთა ეს ბიზნესი. თავიდან კი შეეცადა, ჩემი ფული არ მქონოდა და გახარებული იყო, სამსახურიდან რომ წამოვედი, მაგრამ, მერე მიხვდა, რომ ისევ მისთვის აჯობებდა, რამეს თუ გავაკეთებდი.

**– ფინანსურად გაგიჭირდათ?**

– გაგიჭირდა არა, მაგრამ, ფული საკმარისი არასდროს არის. თანაც, სახლში უსაქმოდ ჩამჯდარი, მის თავისუფალ ნავარდს შევუშლიდი ხელს. ვერ წავიდოდა და წამოვიდოდა აქეთ-იქით თავის ნებაზე. როგორც კი მოსალამოვდებოდა, მაშინვე ვურეკავდი და ვეკითხებოდი, სად ხარ-მეთქი. ვთხოვდი, მალე დაბრუნებულიყო, რადგან ძალიან მწყინდებოდა მთელი დღე. გარეთ რომ არ გავდიოდი, ვღიზიანდებოდი. ერთი სიტყვით, ამ ყველაფერმა დისკომფორტი შეუქმნა, თან, ეტყობა, უკვე ჰქონდა იმ ქალბატონთან კავშირი და იმისი დასაქმებაც გადაწყვიტა. ამას ახლა ვვარაუდობ, ახლა გამიჩნდა ეჭვი, რომ ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. მისთვისაც კომფორტული იქნებოდა, თუ ცოლიც და საყვარელიც, ორივე ცხვირწინ ეყოლებოდა. ალბათ, ფიქრობდა, ასე უკეთესად გავაკონტროლებ სიტუაციასო. პრინციპში, თავიდან, გამოუვიდა კიდეც. იმიტომაც დაკარგა საფრთხის გრძნობა. მე არ ვიცი, რატომ ჰგონიათ მამაკაცებს, რომ ყოველთვის ყველაფერი შერჩებათ; რომ ცოლები უთავმოყვარეო, ღირსებაუარყოფილი არსებები ვართ, რომლებსაც ისე შეგიძლია, მოექცე, როგორც მოგეხასიათება. დაუსჯელობის სინდრომს მათში იმისი განცდა აჩენს, რომ ჩვენ, ცოლები, მათ გარეშე დავილუპებით. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

**– ფაქტია, რომ ძალიან ბევრი ცოლი მართლაც არის დამოკიდებული მეუღლეზე და ვერც წარმოუდგენიათ საკუთარი ცხოვრება ქმრის გარეშე.**

– გეთანხმებით. თუმცა ზოგი მარტო ღალატს კი არა, ცემა-ტყეპასაც კარგად უძლებს და იტანს.

**– ფინანსური დამოკიდებულების გამო თუ წასასვლელი არსად აქვთ?**

– ვერ ვიტყვი, რომ მარტო ეს ორი მიზეზია. წასასვლელი ყოველთვის არის და მშიერიც არავინ მოკვდება. ვიცი, ბევრი იტყვის ჩემზე, რა ენაღვლება, საკუთარი ბიზნესი ჰქონია, რატომ არ მიუხურავდა ქმარს ცხვირწინ კარსო. მაგრამ მგონია, ლატაკიც რომ ვყოფილიყავი, მაინც, ასე მოვიქცეოდი. თუმცა, დღეს გაურკვევლობაში ვარ – იქნებ, ჯობდა, მეპატიებინა?!

**– აი, მიზეზი, რატომაც ვერ ელევიან ცოლები ქმრებს...**

– სიყვარული? – შეიძლება. არ გამოვრიცხავ. ბრმა სიყვარულიც არსებობს – ყველაფრის მიუხედავად რომ გიყვარს და ყველაფერზე რომ ხარ თანახმა, ოღონდ კი შენ გვერდით იყოს. ქალებს უფრო გვახასიათებს ასეთი მაზოხიზმი. ცუდად ვიყავი მაშინ, როცა გავიგე, რომ მღალატა; ცუდად ვარ ახლაც, იმიტომ, რომ მონატრების განცდას ვერ ვიშორებ და ეს საშინელებაა.

იცით, რაზე ვწნარდები? – იმის მერეც, რომ გააგრძელა იმ უნამუსოსთან ურთიერთობა, რაც მის თვალწინ მოხდა. იქ იყო, როცა მითხრეს, შენი ქმარი გღალატობსო და ეს საკუთარი ყურით მოისმინა. ისიც კი მითხრეს, ვისთან მღალატობდა.

**– და არ დაიჯერეთ?**

– ჩემს ქმარს დავუჯერე, რომელმაც შესანიშნავად ითამაშა შეურაცხყოფილი კაცის როლი: მაგას როგორ უჯერებ! ვერ ხედავ, დაბოღმილია, სამსახურიდან რომ ვუშვებ და ყველანაირად ცდილობს, ორივე გაგვამწაროსო. როგორ გავბედავდი, საყვარელი აქ, შენს ოფისში გამეჩინა. წარმოგიდგენია მაინც, როგორ უნდა გამერისკა. ნუთუ, ასეთი სულელი გგონივარო?!

# დაკარგული კავშირი აღდგა. ვინ იპოვა ნათესავები რუსეთიდან საქართველოში

***50 წლის ვალერი ივანეს ძე ტიტოვი ეძებდა 47 წლის ვალერი არშაკის ძე გელაშვილს.***

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ნათესავს, 47 წლის ვალერი არშაკის ძე გელაშვილს და მისი ოჯახის წევრებს. დედაჩემის გარდაცვალებამდე ქართველ ნათესავებთან კავშირი მუდამ გვქონდა, მაგრამ, უკვე წლებია, რაც მათთან კონტაქტი დავკარგეთ. ძალიან მინდა მათი პოვნა და დაკარგული კავშირის აღდგენა. ამჟამად მე და ჩემი ოჯახი ბრიანსკის მხარის სოფელ ბატაგოვოში ვცხოვრობთ. თქვენი რუბრიკის დიდი იმედი გვაქვს და გიგზავნით დაკარგული ნათესავის სურათს – იქნებ ვინმემ იცნოს ჩვენი ნათესავები და გვაპოვნინონ ერთმანეთი.



**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია ჩვენმა მკითხველმა „თბილისელების“ ამა წლის №17-დან იცის. ვალერის ნათესავები გამოჩნდნენ. ისინი დღემდე საქართველოში ცხოვრობენ, ოღონდ, არა ხაშურის რაიონში (როგორც ეს განმცხადებელს ეგონა), არამედ, თბილისში. საბედნიეროდ, რუსეთში მცხოვრებ და საქართველოში მყოფ ნათესავებს შორის კავშირი აღდგენილია, დანარჩენს კი მკითხველი სტატიიდან თავად შეიტყობს.

***ინტერვიუ ნაპოვნ 27 წლის ლევან გელაშვილთან (ვალერი გელაშვილის ძმისშვილთან).***

**– ლევან, რა რეაქცია გქონდა, როდესაც გაიგე, რომ ბიძაშენსა და მის ნათესავებს რუსეთიდან ეძებდნენ?**

– თავდაპირველად ფოტოს მივაქციე ყურადღება, რადგან, ფოტოზე გადაღებულია მამაჩემი (რომელიც შუაშია). რა თქმა უნდა, მაშინვე დავინტერესდი და სტატია წავიკითხე. ვალერი გელაშვილი ბიძაჩემი იყო. სამწუხაროდ, ის ცოცხალი აღარაა. როგორც კი სახლში ვთქვი, რომ ჩვენ გვეძებდნენ, ყველა გაოცდა. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, რომ ნათესავებთან დაკარგულ კავშირს ასეთი ხერხით აღვადგენდით, ანუ, რა თქმა უნდა, ჩვენც გვინდოდა მათი მოძებნა, მაგრამ ამას ვერ ვახერხებდით. არც კი ვიცოდით, რომ ასეთი რუბრიკა არსებობდა, თორემ, ალბათ, ჩვენც მოგმართავდით. მამაჩემს ძალიან გაუხარდა. ახლა ის უბედნიერესი კაცია და ყველას უყვება ამ ამბავს. დიდი მადლობლები ვართ თქვენი. თქვენ არა მარტო გვაპოვნინეთ ერთმანეთი, არამედ დაგვაკავშირეთ კიდეც.

**– კიდევ ვის გაუხარდა ეს ამბავი და დაუკავშირდით თუ არა უკვე ერთმანეთს?**

– ეს ამბავი თითქმის ყველა ნათესავმა გაიგო და ყველას უხარია. ყველაზე მეტად კი ეს ამბავი მამაჩემს, ბეგლარ გელაშვილს გაუხარდა, რადგან მე იმ ხალხს არც კი ვიცნობ, მამა კი იცნობს. ამჟამად ჩვენ შორის კავშირი აღდგენილია და ერთმანეთს ხან ტელეფონით, ხან ინტერნეტით ვეკონტაქტებით. იმედი გვაქვს, რომ ერთმანეთს აღარ დავკარგავთ.



***ინტერვიუ ვალერი ტიტოვთან (ვინც ეძებდა):***

**– ვალერი, 20 წელია, ნათესავებთან კავშირი არ გქონდათ, ახლა, როდესაც მათთან კავშირი აღდგენილია, რას გრძნობთ?**

– პირველ ყოვლისა, ბედნიერი ვარ, ისინი რომ ვიპოვე. ძალიან მეწყინა ვალერი გელაშვილის ამბავი. თავიდან ვერც კი დავიჯერე, რომ ნათესავების პოვნა ასეთ მოკლე დროში შევძელი. რა თქმა უნდა, რომ არა თქვენი დახმარება, ამას ვერ მოვახერხებდი. ამჟამად ყველა ფიქრი იქითკენ მაქვს, რომ შევხვდე ნათესავებს, რომლებიც საქართველოში არიან. ახლა ივლისში ვგეგმავ საქართველოში, კერძოდ, ბათუმში ჩამოსვლას და ყველა ნათესავს მოვინახულებ, აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს. ამჟამად მე ქალაქ ბრიანსკში ვიმყოფები და, ერთი სული მაქვს, როდის მოვინახულებ ჩემს ნაპოვნ ნათესავებს.

**– მას შემდეგ, რაც ერთმანეთი იპოვეთ, ძირითადად, როგორ ურთიერთობთ?**

– ტელეფონითაც გვაქვს კავშირი და ინტერნეტითაც. მადლობა ღმერთს, ჩვენს დროში კომუნიკაციის ათასი საშუალება არსებობს და ჩვენც ჩვენთვის ყველაზე ხელსაყრელ მეთოდებს მივმართავთ. უკვე მაქვს ურთიერთობა ბეგლარის შვილთან – ლევანთან, ასევე, შორენასთან და, რა თქმა უნდა, თავად ბეგლართან, რომელიც, ჩემსავით, ძალიან ბედნიერია. მართლაც სასწაულია, როდესაც ამდენი წლის შემდეგ კვლავ იგებ შენი ნათესავების ამბებს და გაქვს საშუალება, მათ ესაუბრო; გაიგო, როგორ არიან, რას საქმიანობენ და ასე შემდეგ. მინდა, რომ ყველა ჩემსავით ბედნიერი იყოს, არაფერია იმაზე ძვირფასი, რომ აღადგინო დაკარგული ურთიერთობა.

**თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

იმ ქალბატონმაც მიამიტი გოგოსავით დაახამხამა წამწამები და ასლუკუნდა – როგორ მაკადრესო. თან, იცით, როგორი ტიპაჟია? რომ ვერ იფიქრებ მისგან ვერანაირ ცუდს. მომწონდა კიდეც. წყნარად, მშვიდად აკეთებდა თავის საქმეს, თვალებში მიყურებდა. როგორ წარმოვიდგენდი, რომ პარალელურად ჩემი ქმრის ლოგინშიც ერთობოდა. იტირა, როცა გაიგო, რომ მისი და ჩემი ქმრის ურთიერთობაზე მეუბნებოდნენ. შემეცოდა და ბოდიში მოვუხადე, ამ ინციდენტის მოწმე რომ გახდა. მერეც კი არ გამჩენია ეჭვი. პირიქით, იმ ქალზე ვბრაზობდი, ვინც ჩემი საქმის კურსში ჩაყენება სცადა. მართალია, მან ეს გაბრაზებულმა გააკეთა, ბოლმითა და სამაგიეროს გადახდის სურვილით, მაგრამ, არ მოვუტყუებივარ. რატომ აღმოვჩნდი ისეთი სულელი, რომ სულ პატარა ეჭვიც კი არ შევიტანე, გაუგებარია. რომელი კაცია სანდო, ან, ჩემი ქმარი რატომ იქნებოდა გამონაკლისი? გადამემოწმებინა, კიდევ რომ მივეცი ჩემი გაცუცურაკების საშუალება. სანამ ფაქტზე არ წავასწარი, მანამდე წარმატებით თამაშობდა „უდანაშაულო მსხვერპლის” როლს. ძველებურად დადიოდა მეგობრებთან ლუდის დასალევად და მეც მჯეროდა. უსიამოვნო ინციდენტის შესახებ საერთოდ დავივიწყე, „წავშალე” მეხსიერებიდან.

> **რატომ აღმოვჩნდი ასეთი სულელი, რომ სულ პატარა ეჭვიც კი არ შევიტანე, გაუგებარია, რომელი კაცია სანდო, ან, ჩემი ქმარი რატომ იქნებოდა გამონაკლისი**

**– ფაქტზე როგორ წაასწარით?**

– საშინელება იყო. ბავშვი ჩემს დედამთილს ჰყავდა წაყვანილი და მეც იქ ვაპირებდი დარჩენას. როცა მივედი, ბავშვს უკვე ეძინა. ჩემს დედამთილთან აღარ გავჩერდი და წამოვედი სახლში. გზად ღვინო და ჩემი ქმრის საყვარელი სალათა ვიყიდე.

ჩემმა ქმარმა იცოდა, რომ იმ ღამეს სახლში არ მივიდოდი. მეც აღარ დავურეკე – მინდოდა, სიურპრიზი მომეწყო მისთვის და კარგი სიურპრიზიც გამომივიდა...

**– თქვენ თუ იცოდით, როგორ აპირებდა იმ საღამოს გატარებას თქვენი მეუღლე, რა ჰქონდა დაგეგმილი?**

– მითხრა, ოფისში რაღაც საქმე მაქვს. ბარემ დავკეტავ კიდეც. მერე სახლში მივალ და დავიძინებ. უშენოდ მოწყენილი ვიქნები და მირჩევნია, გამოვიძინოო. სახლში, რომ მივედი, არავინ დამხვდა, მთლიანად ჩაბნელებული იყო იქაურობა. ჯერ დავაპირე, რომ დამერეკა მისთვის, მერე კი, რატომღაც ვიეჭვე. ეს ეჭვი სპონტანურად მოვიდა ჩემთან. რაღაცამ მაიძულა, პირდაპირ ოფისში მივსულიყავი და დავადექი კიდეც თავზე დივანზე. ისეთ პოზაში, რომ კითხვაც აღარ გამჩენია, ისედაც გასაგები და ნათელი იყო ყველაფერი. მეორე დღესვე, წავედი და განცხადება შევიტანე განქორწინებაზე.

**– იმ წუთში როგორი რეაქცია გქონდათ?**

– შეიძლება ითქვას, რომ არანაირი. დავმუნჯდი და გავშტერდი, მერე მუხლები ამიკანკალდა და გამოვიქეცი.

**– ქმარმა თავის მართლება არ სცადა?**

– არა. მითხრა, უჩემოდ მაინც ვერ იქნებიო, ამით ცეცხლზე ნავთი დაასხა და გავშორდი. ახლა მარტო ვარ. მითხრეს, რომ ჩემი ყოფილიც განიცდის ჩვენს დაშორებას, მაგრამ ამით მე არაფერი მემატება. ნეტავ საერთოდ არაფერი მცოდნოდა.

არ ვიცი, მართლა არ ვიცი. ფაქტი ის არის, რომ ახლა ძალიან ცუდად ვარ.

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**რატომ არიან მამაკაცები ასეთი უპასუხისმგებლოები და ეგოისტები?! ჯერ გეფიცებიან სიყვარულს, მერე უყურადღებო, გულგრილები და ინფანტილურები ხდებიან. ვერ გავიგე, რა არის ამის მიზეზი. ნუთუ, სულ ეს არის, რაც მათ სიყვარულში შეუძლიათ? რა ვუყო ჩემს ქმარს, რომელიც მგზნებარე, გადარეული შეყვარებული იყო, ახლა კი საშინელი პარტნიორია. ზოგჯერ დღეები ისე გადის, საერთოდ ვერ მამჩნევს. ნუთუ სხვა ჰყავს?! არ ვიცი, რა ვიფიქრო...**

**გამოხმაურება:** ხშირად, როცა კაცი მგზნებარე, გადარეული შეყვარებულია, მერე კი უცებ სასურველ ქალს მის საკუთრებად დაიგულებს, ინტერესს კარგავს და ინფანტილური ხდება. სამწუხაროდ, ეს საკმაოდ ბანალური შემთხვევაა. ალბათ, სულ ტყუილად ეჭვიანობთ, მაგრამ უყურადღებობასა და ინფანტილიზმზე თვალს მაინც ნუ დახუჭავთ. მოიშველეთ ქალური ხრიკები, გაალიზიანეთ და დააინტერესეთ. ცოტათი შეგიძლიათ, აეჭვიანოთ კიდეც. მოკლედ, თამაში მოგიწევთ მის შესაჯანჯლარებლად.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები" უკვე წლებია მაყურებლის ყურადღებას იპყრობს და მის სიყვარულს დამსახურებულად ინარჩუნებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი რესპონდენტი მკითხველს დააინტერესებს, რადგან, ხშირად გამიგონია, როგორ ეკითხებიან ერთმანეთს მასზე ვინ არის ისო. ალბათ, ხვდებით, რომ ჩვენი სტუმარი სერიალში მონაწილე მსახიობი არ არის, ის ჯინოა, „ჩემი ცოლის დაქალების" მხატვარი.**

# როგორ გახდა ჯინო არაბი შეიხი და რატომ არ რეაგირებს ის საკუთარ სახელზე

**– „ჯინო" ფსევდონიმია?**

– დიახ, ფსევდონიმია. დავით ჯინიუზაშვილი ვარ და ბავშვობიდან ჯინოს მეძახიან, რაც, გვარიდან გამომდინარეობს. ბევრმა ჩემი გვარი და სახელიც კი არ იცის. პროდიუსერებმაც, პირველი სერიის გასვლისთანავე, ტიტრებში ჯინო ჩაწერეს – უფრო მარტივად ჟღერს.

**– ბოლო წლებია, მუშაობთ სერიალზე „ჩემი ცოლის დაქალები." მანამდე რა ხდებოდა თქვენს ცხოვრებაში?**

– რამდენიმე პროფესია მაქვს: დოკუმენტური კინო, ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი, არქიტექტურა. ძირითადად, კერძო შეკვეთებზე ვმუშაობდი. დაწყებული პატარა საავარაკე სახლებით, დამთავრებული დიდი შენობებით. ჩემთვის რეკონსტრუქცია უფრო საინტერესოა, ვიდრე ნულიდან აშენება.




**მიყვარს შენება. ჩემი მეგობრებიდან ვინც კი რამეს აშენებს, 90 პროცენტი ჩემი დაპროექტებულია**

**– სერიალში როგორ მოხვდით?**

– დიდი ხნის წინ იყო „რადიო 105." მაგ პერიოდში გაზეთ „რეზონანსში" ვმუშაობდი, სადაც გამომშვები რედაქტორი ვიყავი, ყდის ვიზუალიზაცია მეხებოდა. პარალელურად იყო „მაქსი," „მინი," „კაცები" და მსგავსი ჟურნალები, სადაც ვმუშაობდი. ეს ყველაფერი ერთი ჰოლდინგი იყო და იმ პერიოდიდან ვიცნობ ბიჭებს. გარდა მეგობრობისა, მას შემდეგ ჩვენ ერთ სფეროში გვიწევს მუშაობა.

**– მართალია მხატვრის როლი სერიალში მნიშვნელოვანია, მაგრამ, ის მაინც ყოველთვის ჩრდილში დგას. მსახიობებს ყველა იცნობს, მხატვარს კი ვიზუალურად არავინ. ეს ყველაფერი დისკომფორტს ხომ არ გიქმნით?**

– ამაზე არასდროს მიფიქრია. პოპულარულობა ამ შემთხვევაში არის ჩვენი სერიალის და არა იმ ადამიანების, ვინც ამ სერიალის მიღმა დგანან და ქმნიან მას. ოპერატორებიც არასდროს ჩანან, ისევე, როგორც ვიზაჟისტები, გამნათებლები და ასე შემდეგ. ასე რომ, კადრს მიღმა ვინც ვდგავართ, თავს დაჩაგრულად არ ვგრძნობთ. სხვათა შორის, ჩვენს ერთ-ერთ ძველ სერიალში ვთამაშობდი მყუდროს მეგობარს – „გნიასა" ვიყავი. ჩემამდე ვინც იყო მხატვარი, ვახო კაკულია, მანაც ითამაშა რამდენიმე სერიაში გენიალურად.

**– „ჩემი ცოლის დაქალებში" ხომ არ მიგიღიათ მონაწილეობა რომელიმე სერიაში?**

– კი, მესამე სეზონში არაბი შეიხის პატარა როლი მქონდა. თან, ეს სულ შემთხვევით მოხდა: ამ შეიხისთვის ტანსაცმელი წამოვიღე, კოსტიუმების მხატვრისთვის რომ მეჩვენებინა. როცა მოვირგე, ისე მოეწონათ, რომ მე თვითონ მათამაშეს.

**– თქვენ შესახებ რას გვეტყვით, როგორია თქვენი ცხოვრების სტილი?**

– ძალიან აქტიური ცხოვრების სტილი მაქვს. როცა თავისუფალი დრო გამომიჩნდება, სულ ვცდილობ, ის კომპიუტერული პროგრამები შევისწავლო, რაც ჩემს პროფესიაში მჭირდება. სხვათა შორის, ბუდისტებს აქვთ ერთი კარგი გამონათქვამი – „ნუ დაანგრევ, დაამატეო" და ძალიან ჩამიჯდა ეს ტვინში. ძალიან მიყვარს ძველი ნივთების გაცოცხლება. ბევრს ეს ჩემი ავადმყოფობა ეგონა. ჩემი სახლი მუზეუმივითაა, ყველა ნივთს თავისი ისტორია აქვს.

**– კიდევ რა გატაცება გაქვთ?**

– ბავშვობიდან გატაცებული ვარ მოტოციკლის მართვით. მანქანით არ მიყვარს გადაადგილება, სულ მოტოციკლით ვმოძრაობ. ახლა რაღაც ნაწილს ველოდები და, ერთი სული მაქვს, როდის მოვიყვან მწყობრში. „ბაიკის" გარეშე მკვდარი ვარ. საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან ტაქსით მგზავრობას ფეხით სიარული მირჩევნია. ასევე, მიყვარს ბუნება, ტყე, ფერწერა, კინოების ყურება, როცა დრო მაქვს. ვარ სრულიად აპოლიტიკური. შეიძლება, ბევრმა იცინოს – ამან არ იცის, ვინ

**სამი გოგოს მამობა ძალიან კარგია, ამ მიმართულებითაც კმაყოფილი ვარ და ცოტა მეცოტავება კიდეც. ბავშვზე კარგი მხოლოდ ერთი რამ არსებობს – კიდევ ბავშვი, სხვა არაფერი**

ჰყავს პრეზიდენტიო. ვიცი, ეს არ ნიშნავს, რომ მე კარგი ტიპი ვარ და, შეიძლება, ბევრს ვკარგავ ამით, მაგრამ, მგონია, რომ გაცილებით მეტს დავკარგავ, თუ პოლიტიკაში დავიწყებ გარკვევას. არ მიყვარს ფეხბურთი. ვერ წარმომიდგენია, როგორ სხედან და უყურებენ ვილაც 22 ოფლიან ტიპს. შეიძლება, „ზა კამპანიუ" დავჯდე მეგობრებთან ერთად, მივირთვა ლუდი და ვუყურო, მაგრამ, ისე – არა. მიყვარს თანამედროვე მუსიკა და როცა ვინმე ახალი ჯგუფი ჩამოდის, ვცდილობ, მის კონცერტს დავესწრო. მიყვარს შენება. ჩემი მეგობრებიდან ვინც კი რამეს აშენებს, 90 პროცენტი ჩემი დაპროექტებულია.

**– ოჯახზე რას გვეტყვით?**

– მყავს მეუღლე და 3 გოგონა: ქეთი სექტემბერში 20 წლის ხდება, ნიაკო აგვისტოში ხდება 11-ის, ანიტა კი 3 წლისაა. უფროსმა რომ ჩააბარა ხელოვნებადმცოდნეობის ფაკულტეტზე, მითხრა: არ მინდა ზაფხულში დასვენება, ნებისმიერი სამსახური მჭირდება, ანაზღაურებას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, სახლში ტყუილად არ ვიყოო. ვუთხარი, ასისტენტად მოგსინჯავ-მეთქი და, მას შემდეგ, უკვე კარგა ხანია, ჩვენთან მუშაობს. შუათანა გოგოს რაც შეეხება, სცენარისტმა ნახა და, ერთხელაც, გადაღებაზე რომ მივედი, გადასაღებ მოედანზე დამხვდა, ასე რომ, მე მართლა არაფერ შუაში ვარ, პროტექციით ნამდვილად არ მომხდარა. ძალიან კომუნიკაბელური ბავშვია.

**– ანუ, ისიც „ჩემი ცოლის დაქალებში" მონაწილეობს?**

– დიახ, ნიაკოს თამაშობს. სინამდვილეშიც ნიაკო ჰქვია. მესამე, 3 წლის ანიტა, აბსოლუტურად განსხვავებულია დებისგან. სხვათა შორის, სამივე თვითმყოფადი ადამიანია.

**– როგორია სამი შვილის მამობა?**

– ჩემი ცხოვრება ათი წლით უკან რომ გადავახვიო, ვერ წარმოვიდგენდი, ამას თუ ვილაპარაკებდი. მინდა გითხრათ, რომ სამი გოგოს მამობა ძალიან კარგია, ამ მიმართულებითაც კმაყოფილი ვარ და, ცოტა მეცოტავება კიდეც. ბავშვზე კარგი მხოლოდ ერთი რამ არსებობს – კიდევ ბავშვი, სხვა არაფერი.

**– მეუღლეს რაც შეეხება?**

– ამჟამად რადიო „უცნობში" მუშაობს, თუ არ ვცდები. ასევე, რამდენიმე ჟურნალის მარკეტინგში. ადრე რადიო „რეზონანსის" წამყვანი იყო, სხვათა შორის, იქ გავიცანი. მოკლედ, ჩემი პირადი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ.

**– ამ ინტერვიუს საშუალებით მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეექმნება თქვენზე. რას ერტყვით მათ ინტერვიუს დასასრულს?**

– არ მინდა, რეკლამა გამომივიდეს, მაგრამ, როგორც ვიცი, სერიალი უნდა გაგრძელდეს, რაც ძალიან მიხარია. უკვე რამდენი სეზონია, სერიალი ეთერში გადის და ის უფრო და უფრო იმატებს ხარისხს. პროფესიონალურად იზრდება მთელი ჯგუფი. სერიალის მაყურებელს ერთს ვეტყვი: ჯერ სად არიან, მთავარი წინ არის. შეიძლება, მერე ბოლო სეზონი რომ შეადარონ პირველს, თქვან, ამასთან შედარებით ის რა უსუსურობა იყოო. ყველას კარგ დასვენებას, ბევრ სითბოს, ბევრ მზეს და, ასევე, ბევრ საქმეს ვუსურვებ.

**მარიკა ხიდურელი**

**ჩემი თაობის წარმომადგენლებს, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელმწიფო-დრამატული თეატრის მსახიობის, მარიკა სამანიშვილის სახელის გაგონებისას, ახსენდებათ ფილმი „ბამბაზიის სამოთხე". რომელშიც ის მაღალი მსახიობური ოსტატობით განასახიერებს ქართველ დედას – ელენეს, რომელიც დაკარგული შვილის საფლავის მოსაძებნად აფხაზეთში მიემგზავრება. არიან მსახიობები, რომელთა ხელოვნება ერთი ჟანრით მიემართება, რაც არ ითქმის ჩვენს რესპონდენტზე. კონტრასტისთვის სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები" მის მიერ ნათამაშებ ცნობისმოყვარე მადონას გაგახსენებთ. დღეს ქალბატონი მარიკა ჩვენი რუბრიკის სტუმარია.**

# რა მანძილი განვლო მარიკა სამანიშვილმა „ბამბაზიის სამოთხიდან" „ჩემი ცოლის დაქალებამდე" და როგორ მუშაობს ის ცნობისმოყვარე მადონას მანერებზე

– დავიბადე ინტელიგენტების ოჯახში. სადაც უყვარდათ და იცოდნენ წიგნის და წიგნიერების ფასი. ჩვენც ამ ფასეულობებზე ვიზრდებოდით. ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ ინტელექტით და ნიჭიერებით გამორჩეული ადამიანები – მწერლები, პოეტები, მსახიობები... მათი ყოველი შეკრება იყო იუმორის, ტრადიციებისა და ნიჭიერების ზეიმი. ამ სტუმართა შორის ერთ-ერთი გახლდათ იპოლიტე ხვიჩია თავისი ოჯახით. ჩვენს ოჯახებს იმდენად ახლო დამოკიდებულება ჰქონდათ, რომ მე და იპოლიტეს შვილიშვილები დეიდაშვილებად მოვიხსენიებდით ერთმანეთს. თუმცა, რა თქმა უნდა, ბიოლოგიურად ეს ასე არ იყო.

**– როგორ გახდით „მადონა", რომელიც ასე საყვარლად მიმართავს ნელიკოს?**

– ჩვენთან ახლოს, მეზობლად, ცხოვრობდა ქალბატონი ნელი გუმბარიძე, რომელიც, შეიძლება ითქვას, უდედობას არ მაგრძნობინებდა და სულ გვერდში მედგა. ძალიან უხაროდა, მოსწონდა, როდესაც „გოგოს" ვეძახდი. კარს რომ შევუღებდი, სიყვარულით, ზუსტად ისე შევძახებდი ხოლმე, როგორც მადონა ეძახის სერიალში ნელიკოს. როდესაც როლი მოვსინჯეთ მე, ბაია დვალიშვილმა და გიორგი ლიფონავამ, იქ ტექსტში ეწერა ჩვეულებრივად – „ნელიკო." მე გონებაში ბევრი ვჩხრიკე, ბევრი რამ გავიფიქრე და დავუძახე: „ნელიკოოო", – თან, ცალი თვალით გიორგის გავხედე, მისი ემოცია რომ წამეკითხა. მეორე დღეს სამსახურში რომ მივედი, „გამარჯობის" ნაცვლად, ყველა ასე, ბოლოში გაგრძელებულ „ნელიკოს" იძახდა ჩემს დანახვაზე. უკვე მივხვდი, რომ მივაგენი იმას, რასაც ვეძებდი. ახლა, ქუჩაში რომ გავდივარ, ყველა ან ნელიკოს იძახის ჩემს გასაგონად, ან, ვინც ჩემი პერსონაჟის სახელი იცის, მოდიან და მეკითხებიან: უკაცრავად, ქალბატონო მადონა, ნამდვილი სახელი რა გქვიათო.

რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა ქუჩაში გცნობენ და ამდენი გულშემატკივარი გყავს. სწორედ ეს არის ტელევიზიის მაგიური ძალის შედეგი: თეატრში ბევრი როლი შემისრულებია, მადონაზე ბევრად რთულიც, მაგრამ, ყველამ მადონას როლით დამიმახსოვრა, მასთან მაიგივებენ. თუმცა, რეალურ ცხოვრებაში მე და მადონა აბსოლუტურად განსხვავებული პიროვნებები ვართ.

**– როგორ გახდით ამ სერიალის პერსონაჟი?**

– ეკა მჟავანაძემ, რომელიც ჩემი შვილის მეგობარია, მიმიწვია ქასთინგზე. საკმაოდ ბევრი ადამიანი იღებდა მონაწილეობას და, მიხარია, რომ მე გავხდი მეზობელი მადონა. მე, მეზობლებთან არც ისე აქტიური შესვლა-გასვლით გამოვირჩევი, ჩემი პერსონაჟისგან განსხვავებით. ისეთი გრაფიკი მაქვს, ხანდახან ესემესებით მკითხულობენ მეზობლები. საერთოდ, მეუბნებიან, რად გინდოდა ამხელა პასუხისმგებლობა, უნდა იარო ქუთაისსა და თბილისს შორის. იცით რა, მე წლები მემატება და ის, რაც შეიძლება, გავაკეთო ახლა, მომავალში შესაძლოა, არც შემომთავაზონ. ამიტომ, რატომაც არ უნდა დავთანხმებულიყავი. არაფერი თავისტკივილი არაა. მსახიობი ვარ. ის გზაც, თბილისსა და ქუთაისს შორის რომ გავდივარ, სულ დაკვირვებებში, გამოლაპარაკებებში, მანერების გადაღებასა და ხანდახან ჩემი თანამგზავრების ფრაზების, ან კონკრეტული სიტყვების ჩაწერაში გადის.

**– მაგალითად?**

– მანერებს, ახლა ვერ გავიმეორებ. მადონა ხომ ასე აკრეფილ-მოგროვილი მანერების ნაკრებია. რაც შეეხება ლექსიკონს, ამ ბოლოს ჩავიწერე: „მუუხვიე". დედაჩემი ფსიქოლოგ-ფილოლოგი ქალი იყო და სულ სხვა ლექსიკონით გვესაუბრებოდა. ამიტომ, მადონას როლისთვის, მართლაც ბევრი ვიმუშავე.



**სამსახურში რომ მივედი, „გამარჯობის" ნაცვლად, ყველა ბოლოში გაგრძელებულ „ნელიკოს" იძახდა ჩემს დანახვაზე. უკვე მივხვდი, რომ მივაგენი იმას, რასაც ვეძებდი**

**– როგორც ვიცი, სტუდენტობის პერიოდში იპოლიტე ხვიჩიას ოჯახში ცხოვრობიდით.**

– ასე იყო. საერთოდ, ღვიძლ ბებია-ბაბუებს არ აქვს იმხელა ამაგი ჩემზე, რაც იპოლიტე ხვიჩიას. ამ ადამიანმა ჩემს ცხოვრებაზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა. ახლაც, როცა რამე მიჭირს, არ არსებობს, არ დამესიზმროს. ძალიან მაკლია.

სულ ხუმრობდა. გაჟონვა მარცხენა მხარეს მოუვიდა, რამდენიმე ხნის შემდეგ, მის მეუღლეს, ლუბას, მარჯვენა მხარეს დაემართა იგივე. იპოლიტე ამაზეც ხუმრობდა: კიდევ კარგი, მე და ლუბას ერთ მხარეს არ დაგვემართა გაჟონვა, თორემ, ხელს ველარ ჩავკიდებდით ერთმანეთსო.

**– როგორც მსახიობმა, ბევრი რამ ისწავლეთ მისგან?**

– მარტო რომ დავრჩებოდით, სულ თეატრზე ვსაუბრობდით. განსაკუთრებით უყვარდა ქუთაისის მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი და თავისი იქაური პარტნიორები.

**ბოლოში იპოლიტეს მინაწერია: ახლა კი ვაწერ ამ ხელწერილზე ხელს იმისთვის, რომ მეთამაშოთ, მაგრამ, თამაში თუ წავაგე, დედას გიტირებთო**

იქ მან 36 წელი გაატარა. თეატრი მისი ცხოვრება იყო. მართალია, იპოლიტე არ გახლდათ დიპლომიანი მსახიობი, მაგრამ, ისეთ რეჟისორებთან იყო ნამუშევარი და ისეთი სკოლა ჰქონდა გავლილი, როგორსაც ხუთი უნივერსიტეტი და ორასი ასპირანტურაც ვერ იძლევა, აღარაფერს ვამბობ მის ნიჭსა და პასუხისმგებლობაზე. სპექტაკლის წინ ერთი საათით ადრე მოემზადებოდა და მიდიოდა, ჯოხს დაეყრდნობოდა და იჯდა გაჩუმებული. ამ დროს მას ხმას ვერავინ გასცემდა – ის როლზე ფიქრობდა.

ლუი დე ფიუნესი უდავოდ დიდი კომიკოსია, მაყურებლის გასაცინებლად ათასნაირად იცვლიდა მიმიკას, რაც, რა თქმა უნდა, მისი ნიჭიერების შედეგია. იპოლიტე კი ერთს იტყოდა და მთელი დარბაზი ხოხავდა. ზოგი სიცილისგან ცუდადაც ხდებოდა. წარმოიდგინეთ, ის რომ თამაშობდა, თეატრთან პოლიცია და სასწრაფო მორიგეობდა.

არა მარტო დიდი მსახიობი, დიდი პიროვნებაც იყო, საოცრად მზრუნველი. გარდა თავისი დარიგებებისა და რჩევებისა, ის სხვანაირად ცდილობდა ჩვენს აღზრდას. მახსოვს, ერთხელ, მისი შვილიშვილები, მანანა და მაკა, მოსკოვში მიდიოდნენ – დიდ თეატრში სპექტაკლი უნდა ენახათ. პირველ კურსზე ვიყავი მაშინ. იპოლიტე ჩვენს ოჯახში მოვიდა და 150 მანეთი დატოვა – მარიკაც აუცილებლად უნდა წავიდეს ამ სპექტაკლის სანახავადო. იმ დროს მე თბილისისა და ქუთაისის გარდა არსად ვიყავი ნამყოფი. ძალიან გამიხარდა. ჩავფრინდით, თეატრში ბილეთები დაგვახვედრეს... რამდენი რამე შეიძლება გაიხსენო ამ არაჩვეულებრივ ადამიანზე!

**– ფეხბურთი უყვარდაო, ამასაც იხსენებენ ხოლმე.**

– ასე იყო. ფეხბურთი რომ იწყებოდა, შემოიკრებდა ფეხბურთელებს და ისე უყურებდა. ამ დროს არც ველაპარაკებოდით და არც იმ ოთახში შევდიოდით, სადაც ის იყო. თუ ისე არ მიმდინარეობდა თამაში, როგორსაც ის ელოდა, იქნევდა ხოლმე ჯოხს, იგინებოდა და ჩხუბობდა.

**– მართლა აჩუქა ედუარდ შევარდნაძემ სასტვენი?**

– ასე იყო. ფეოლას ნახვის შემდეგ შევარდნაძემ იპოლიტეს სასტვენი აჩუქა. სხვათა შორის, უკვე ავადმყოფობის პერიოდში მოითხოვა და მისი აივნის ქვეშ სტადიონი გააკეთეს. ათამაშებდა ბავშვებს ფეხბურთს და თვითონ აივნიდან მსაჯობდა ამ სასტვენით. ხანდახან განგებ დაატაკებდა ხოლმე ბავშვებს ერთმანეთს და ისინიც ამოცვივდებოდნენ სახლში, აყვირდებოდნენ. იპოლიტე ამაზე ხალისობდა. ბავშვები ძალიან უყვარდა.

**– ნარდის თამაშიც ჰყვარებია.**

– ღამეები გაგვითენებია ნარდის თამაშში. ლუბა ბებია გამოგვძახებდა ხოლმე – კიდევ არ გძინავთო?! იპოლიტე კი მანიშნებდა, კარი მიუხურე, ხმა არ გავიდესო და, ისე დაგვათენდებოდა, ვერ ვიგებდით. ნარდის თამაშის დროს სულ იტყუებოდა. თუ მიუხვდებოდი – ჩხუბობდა; თუ მოუგებდი – ბრაზდებოდა და იგინებოდა. ერთხელ გაგვაბრაზა და შევადგინეთ ხელწერილი თავისი პუნქტებით. ვუთხარით, თუ აქ ჩამოთვლილ პირობებს შეასრულებ – ხელი მოაწერე, თუ არა და, შენთან ნარდს აღარ ვითამაშებთო. რა ცუდია, რომ ამ ურთიერთობასა და ისტორიებს არ ვიწერდი. ეს ხელწერილი კი დღემდე შენახული მაქვს. ძალიან სასაცილოა თავისი შინაარსით: „მე, იპოლიტე ხვიჩია, ვიძლევი პირობას, რომ ნარდის თამაშის დროს დავაფასებ მოწინააღმდეგეს, მის ნიჭს, არ მოვატყუებ..." და ასე შემდეგ... ბოლოში კი იპოლიტეს მინაწერია: ახლა კი ვაწერ ამ ხელწერილზე ხელს, რომ მეთამაშოთ, მაგრამ, თამაში თუ წავაგე, დედას გიტირებთ.

ძალიან მხიარული კაცი იყო, თუმცა, თავისი ავადმყოფობის გამო შინაგან სევდას ვამჩნევდი, რომელსაც გულში იკლავდა. სტუმარი რომ მოვიდოდა, ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი აწუხებდა – ხუმრობდა, ანეკდოტებს ყვებოდა. გარდაცვალებაც ასეთი ჰქონდა: ლაღი, ხალისიანი, იუმორით სავსე – ანეკდოტი მოყვა და წავიდა...

**ანრი შავლაძე**

**ზაფხულის სიცხეში არა მხოლოდ საქმის კეთება, მუშაობა, ხშირად ლოცვა და ეკლესიაში სიარულიც გვეზარება. ეს მერე ჩვენში ცოდვის სახეს იღებს და ნელ-ნელა ვეჩვევით კიდეც. როგორია ამ საკითხის მიმართ ეკლესიის დამოკიდებულება, ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# როდის მიდის ადამიანი სულიერ აშლილობამდე და როგორი უნდა იყოს ქრისტიანის დასვენების დღეები

– ნებისმიერი ადამიანი უნდა ცდილობდეს, რომ ყოველთვის ადგეს ადრე და განსაზღვრულ დროს. თუ მას რამე განსაკუთრებული მიზეზი არ აქვს, კარგი იქნება, თუ შვიდ საათზე მეტს არ იძინებს, რადგან ეს უკვე მას სიზარმაცედ ექცევა, ძილში გაატარებს მთელ ღამეს, დღის გარკვეულ ნაწილსაც და, შესაბამისად, მას ლოცვაც დაეზარება და მუშაობაც. როგორც კი ადამიანი ადგება, მან მაშინვე ღვთისკენ უნდა აღმართოს გონება, მოწიწებით უნდა გამოისახოს პირჯვარი, მადლობა გადაუხადოს ღმერთს, რომ მშვიდობით აღადგინა: „გმადლობ შენ, ღმერთო ჩემო, მშვიდობით რომ აღმადგინე. მაკურთხე დღესაც, მომეცი შემწეობა, ეს დღეც ლოცვაში გავატარო, სიკეთე ვაკეთო და დამიფარე უხილავი და ხილული მტრებისგან”, მერე კი წარმოთქვას იესოს ლოცვა. ამის შემდეგ ყოველი ქრისტიანი დაუყოვნებლივ უნდა წამოდგეს და შეიმოსოს. სარეცელზე დიდხანს ნებივრობის უფლება არ უნდა მისცეთ საკუთარ თავს. რაც მთავარია, შემოსვის დროს ყოველ ქრისტიანს უნდა ახსოვდეს, რომ ღვთისა და მფარველი ანგელოზის წინაშე დგას, უნდა გაიხსენოს ადამის დაცემა, რომელმაც ცოდვის გამო დაკარგა სამოსელი უმანკოებისა და უნდა შესთხოვოთ იესო ქრისტეს, რომ სულიწმიდის მადლით შეგმოსოთ. ამის შემდეგ უნდა მოწესრიგდეთ და შეუდგეთ დილის ლოცვის კითხვას; მუხლმოდრეკილებმა, ყურადღებით, მოწიწებით და ღრმა სინანულის განცდით უნდა ილოცოთ და არა უყურადღებოდ და მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით. ჩვენი ყოველი დილა უფალთან ურთიერთობით უნდა იწყებოდეს, მას უნდა გადავუხადოთ მადლობა იმისთვის, რომ გაგვითენა ახალი დღე და შევთხოვოთ, რომ კიდევ ერთმა დღემ მშვიდობიანად ჩაიაროს ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისა და ახლობლებისთვის; კიდევ ერთხელ განვმტკიცდეთ რწმენაში, გავძლიერდეთ სარწმუნოებაში, სიყვარულში და დავითმინოთ განსაცდელები.



**ყველაფერი, რისი გაკეთებაც გიმძიმთ, შეასრულეთ როგორც ეპიტიმია თქვენი ცოდვებისთვის**

**– რაზე ფიქრითა და რისი თქმით უნდა იწყებდეს ქრისტიანი ყოველ დილას?**

– ყოველ დილას მადლობა უნდა შესწიროთ უფალს, რომ მან დაგიფარათ განვლილ ღამეს; რომ ჯერ ისევ ცოცხალი ხართ და არ მომწყდარხართ საკუთარ ცოდვებში. წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი წარდგა იმ ღამეს ღვთის სამსჯავროს წინაშე და თქვენთვის ეს დღე ჯერ არ დამდგარა. ყოველდღე უნდა ფიქრობდეთ იმაზე, რომ მხოლოდ ახლა იწყება და გსურთ, იყოთ ქრისტიანი და რომ წარსული დრო ტყუილად დაკარგეთ. ლოცვის შემდეგ, თუ ადამიანს აქვს დრო, სასურველია, წაიკითხოს სულისთვის სასარგებლო წიგნი და იკითხოს მანამ, სანამ მისი გული არ მოლბება და უფლის სიყვარულით არ აივსება; კითხვის დროს უნდა იფიქროს იმაზე, რას კითხულობს; დაუკვირდეს იმას, თუ რას ეუბნება უფალი. ამის შემდეგ უკვე შეიძლება საქმეების კეთება. რა თქმა უნდა, სასურველია, თუ ადამიანი საქმის კეთების დაწყების წინ წაიკითხავს სპეციალურ ლოცვას, რადგან ამის შემდეგ მისი საქმე უფლისგან იკურთხება და კარგი, კეთილი საქმის აღსრულებაში ხელი მოემართება. ასევე არსებობს ლოცვა საქმის დამთავრების შემდეგ, რომელიც ერთგვარი სამადლობელი ლოცვაა, უფლის წინაშე აღვლენილი. თავად უფალმა ბრძანა: „ჩემსა გარეშე არარა ძალგიძთ ყოფად არცა ერთი“. მუშაობისას ყოველთვის კეთილგანწყობილი იყავით და მისი წარმატება უფლის კურთხევას მიანდეთ. ყველაფერი, რისი გაკეთებაც გიმძიმთ, შეასრულეთ როგორც ეპიტიმია თქვენი ცოდვებისთვის. თუ საქმე წარუმატებლად დამთავრდება, იცოდეთ, რომ ესეც ღმერთმა დაუშვა და ასე იყო თქვენთვის საჭირო.

**– ეს ის პერიოდია, როდესაც ადამიანები დასასვენებლად მიდიან ზღვაზე, მთაში. ამ დროს თითქმის ყველაფრისგან ისვენებენ, ზოგჯერ ლოცვებსაც კი არ კითხულობენ და ეკლესიაშიც არ შედიან.**

– ადამიანმა დასვენების დღეები უნდა გაატაროს არა მცონარობაში, არა ულოცველობაში, უფლისგან განშორებაში, არამედ უნდა დაგეგმოს ყოველი დღე. ადამიანი იღლება, სჭირდება დასვენება. რადგან ზაფხულის ცხელ დღეებში ყველას უჭირს საქმის კეთება, ლოცვა, შრომა, შესაბამისად, ვისაც როგორც მისცა უფალმა წყალობა, ბუნებრივია, ისე უნდა დაისვენოს. თუმცა, ძალიან ბევრი ადამიანი, ვინც დასასვენებლად მიდის, იქიდან სულიერად მოუწესრიგებელი და აშლილი ბრუნდება. ისინი ისვენებენ ხორციელად და სულიერებას საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას. როდესაც ადამიანი მიდის სოფელში, მთაში ან ზღვაზე დასასვენებლად, როგორც ეძებს კაფე-ბარებსა და გასართობ საშუალებებს, სასურველია, ისევე მოიძიოს მოქმედი ტაძარი, მივიდეს, აღსარება თქვას და მიიღოს წმიდა ზიარება, რომ მისი დასვენება არ იყოს მხოლოდ ხორციელი და სულიერად არ დაზიანდეს. ეს ხშირად ემართებათ თანამედროვე ახალგაზრდებს. მათ ჰგონიათ, რომ დასვენება ნიშნავს ზნეობისგან, ლოცვისგან, უფალთან ურთიერთობისგან დასვენებას. ჩვენ რასაც ვაკეთებთ – ვშრომობთ, ვისვენებთ თუ ვლოცულობთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ უფალთან სიახლოვე უნდა გვქონდეს ცნობიერებაში, რადგან, არავინ იცის, როგორ წარიმართება ჩვენი დასვენება. სანამ წავა ზღვაზე საბანაოდ, მთასა თუ ტყეში გასასეირნებლად, სასურველია, წაიკითხოს ლოცვები, იმ წმიდანის მცირე ისტორია, რომლის ხსენებაც არის იმ დღეს; კალენდარში ნახოს, რომელ დღეს რომელი სახარება იკითხება და ის მონაკვეთი წაიკითხოს. ამას მაქსიმუმ ნახევარი საათი სჭირდება, დანარჩენი დრო კი გაატაროს ხორციელ დასვენებაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლოცვებისგან თავისუფალი არასდროს ვართ. ნუ დავშორდებით უფალს და ნუ მივეჯაჭვებით ხორციელ სიამოვნებას. რატომღაც, ზოგიერთი ფიქრობს, რადგან თერთმეტი თვე იმუშავა, იშრომა, ამიტომ, კომპენსაცია უნდა გაუკეთოს საკუთარ სხეულს. რა თქმა უნდა, უნდა გაუკეთოს, მაგრამ, არა სულის ხარჯზე. თუ ჩვენ ამით სულიერებას დავიზიანებთ და უფალს განვეშორებით, ეს დასვენება არ იქნება. დასვენება ნიშნავს ცოდვებისგან განშორებას და არა მათ დაგროვებას, რაც ჯერ ხორციელად გვამძიმებს და მერე – სულიერად, რაც აშლილობას იწვევს და შემდეგ ხელახლა გვიწევს ახსნა, რომ აღსარება უნდა თქვან, ეზიარონ. გვიჭირს მათი გაჩერება ეკლესიაში, რადგან უსაქმურობას, ლხენას, ხორცის მსახურებას მიეჩვივნენ.

**– და ადამიანი ცოდვის ჩადენასაც ეჩვევა?**

– წმიდა ამბა დოროთე წერს: კაცმა სინდისი უნდა დაიცვას ღვთის, მოყვასისა და ნივთების მიმართ. ღვთის მიმართ არ უნდა უგულებელყოს მისი მცნებები, რასაც სხვები ვერ ხედავენ და, რის გამოც არავისი ეშინიათ, სინდისი იმაშიც დაიცავს. მაგალითად, ლოცვისას ბოროტი აზრი მოსდის და თავს კი არ იცავს მისგან, არამედ, განამტკიცებს; ან, ხედავს, მოყვასი რამეს ამბობს ან აკეთებს, ის კი განიკითხავს ამის და მსგავსი რამეების გამო. რასაც ღმერთის გარდა ვერავინ გაიგებს, სინდისის დაცვა იმაშიც ჰმართებს – ეს არის ღვთის მიმართ სინდისის დაცვა; რაც შეეხება მოყვასის მიმართ სინდისის დაცვას, კაცმა არ უნდა გააკეთოს ის, რითაც, იცის, რომ მოყვასს დააბრკოლებს: საქმით, სიტყვით, სახით თუ შეხედვით. მოყვასის დაბრკოლება შესაძლებელია სახითაც, შეხედვითაც და, თუ იცი, ამით მას დააბრკოლებ, მაშინ, ჯობია, არ გააკეთო – ეს არის მოყვასის მიმართ სინდისის დაცვა; ხოლო, საგნების მიმართ ის არის, რომ, არ გააფუჭოს ნივთები, გადაგდებულს თუ დაინახავს რამეს, აიღოს და თავის ადგილას დადოს, თუნდაც მცირე იყოს ის. არ გააფუჭოს თავისი სამოსელი. ძმებო, ყველაფერში სიფრთხილე გვმართებს, ყველაფერ ამისგან თავი უნდა დავიცვათ, რათა არ დავინთქათ, რადგან, თავად უფალი გვაძლევს ამ ყველაფერს მცნებად... არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველი დაბრკოლების ნამდვილი მიზეზი საკუთარი თავის უდანაშაულოდ მიჩნევაა. იმიტომ ვერ ვპოულობთ სიმშვიდეს, რომ ჩვენს თავს არ ვადანაშაულებთ. ამიტომ, არაფერი გვარგებს ისე, როგორც საკუთარი თავის დადანაშაულება. ამიტომ ვერ ვაღწევთ წარმატებას ვერანაირ სათნოებაში, ვერც სარგებელს ვპოულობთ, რადგან, თითოეული ჩვენგანი თავს ვიმართლებთ, ჩვენს თავს ვპატიობთ და არც მცნებებს აღვასრულებთ, მოყვასისგან კი მოვითხოვთ მცნებების აღსრულებას. ამიტომ ვერ ვხვდებით, რა არის კეთილი. თუ რამე მცირე სათნოებას აღვასრულებთ, მყისვე მოყვასისგანაც იმავეს მოვითხოვთ და ვამბობთ: რატომ ისიც არ აკეთებს? მამა ანტონმა თქვა: დიდი საქმეა, კაცმა მთელი შეცოდება თავის თავზე აიღოს ღვთის წინაშე და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მოელოდოს განსაცდელსო. გულისწყრომა არის გულში სისხლის ადუღება. როგორც წმიდა ბასილი ამბობს: „აი, ესაა გულისწყრომა, რომელსაც მწარედ გაფიცხება ეწოდება“. მისი ჩაქრობაც შესაძლებელია. როგორ მივაგებთ ბოროტებას ბოროტების წილ და ამას ვერ ვხვდებით? ბოროტების მიგება არა მარტო საქმით ხდება, არამედ, სიტყვითაც, სახითაც ან შეხედვითაც. ასეთ დროს ადამიანმა უნდა თქვას: „ღმერთო, შეეწიე ჩემს ძმასაც და მეც, დამიცავი მისი ლოცვით“. ეს არის ღმობიერება და სიყვარული მისი მხრიდან, რადგან, თავის ძმაზე ლოცულობს და მისი ლოცვით თავმდაბლად ითხოვს ღმერთის შეწევნას. სადაც ღმობიერებაა, იქ უძლურია გულისწყრომა, ღვარძლიანობა და სხვა რამე ვნება.

**ნათია უტიაშვილი**

# რა სასწაულები მოუვლინა უფალმა წმიდა მოწამე ტატიანას

წმიდა მოწამე ტატიანა დიდგვაროვან რომაელთა ოჯახში დაიბადა. მამამისი ფარული ქრისტიანი იყო და ასულიც ღვთის ერთგულებით აღზარდა. სრულწლოვანებას მიღწეულმა ტატიანამ გადაწყვიტა, ქალწულობა დაემარხა და უფლის სადიდებლად ეცხოვრა. მან დიაკონისად დაიწყო მსახურება ერთ-ერთ ტაძარში.

როცა რომში 16 წლის ალექსანდრე სევერუსი (222-235) გამეფდა, ქვეყნის მმართველობის სადავეები ქრისტიანთა უბოროტესმა მტერმა, ულპიანემ ჩაიგდო ხელში. შეიპყრეს დიაკონისა ტატიანაც. აპოლონის ტაძარში მიიყვანეს და აიძულებდნენ, მსხვერპლი შეეწირა კერპებისთვის. ქალწულმა გულმხურვალე ლოცვით შემწეობა სთხოვა უფალს. ლოცვის პასუხად უეცრად საშინლად შეიძრა მიწა, კერპი დაიმსხვრა, ტაძრის ნაწილი ჩამოიქცა და ქურუმები და წარმართნი ქვეშ მოიყოლა, შემდეგ საშინელი გოდების ხმა გაისმა და კერპში ჩაბუდებულმა ბოროტმა სულმა იქაურობა დატოვა. ყველამ ცხადად დაინახა, თუ როგორ გაიელვა ჰაერში მისმა ბნელმა აჩრდილმა.

გამხეცებულმა უსჯულოებმა სასტიკად გვემეს წმიდანი; თვალები დათხარეს, ის კი მოთმინებით იტანდა ტკივილებს და უფალს შესთხოვდა, თვალები აეხილა მისი მტანჯველებისთვის. ყოვლადსახიერმა ღმერთმა შეისმინა მხევლის ვედრება და ჯალათებმა ცხადად დაინახეს, თუ როგორ შემოერტყნენ მას მცველებად ანგელოზები. ამ სასწაულის მხილველმა უსჯულოებმა ჭეშმარიტი ღმერთი ირწმუნეს, ფეხებში ჩაუვარდნენ ტატიანას და პატიება სთხოვეს. რვავე ჯალათყოფილი ქრისტეს აღსარებისთვის სასტიკად აწამეს და სიკვდილით დასაჯეს.

მეორე დღეს ულმერთოებმა წმიდა ტატიანას ტანჯვა განაგრძეს: გააშიშვლეს, სასტიკად გვემეს და სხეული სამართებლით დაუსერეს. მაშინ მოხდა კიდევ ერთი სასწაული: ქრისტეს ტარიგის ჭრილობებიდან რძემ გამოხეთქა და ირგვლივ კეთილსურნელება დაიფრქვა. ჯალათებს ძალა გამოეცალათ და განაცხადეს, ვიღაც უხილავი რკინის ჯოხით გვცემსო. ცხრა მათგანი იქვე გარდაიცვალა.

წმიდა ქალწული საპყრობილეში ჩააგდეს, სადაც მთელი ღამე ლოცვად იდგა და ანგელოზებთან ერთად ადიდებდა უფალს. დილით ტატიანა კვლავ სამსჯავროზე გაიყვანეს. მტარვალები გაოგნდნენ, როცა იხილეს, რომ მას წამების კვალი არც ეტყობოდა, პირიქით, კიდევ უფრო გამშვენებული ჩანდა და პირისახე უწინდელზე მეტად უბრწყინავდა. ქალწულ მოწამეს მოსთხოვეს, დიანას კერპისთვის მსხვერპლი შეეწირა.

როცა საკერპოში მიიყვანეს, წმიდანმა პირჯვარი გადაისახა. უეცრად მეხისტეხამ გააყრუა იქაურობა და კერპი, წინაგამზადებული ძღვენი და ქურუმები,ზეციურმა ცეცხლმა დაანახშირა. ვერც ამ სასწაულმა მოიყვანა გონს ულმერთოები: მათ ტატიანა კვლავ საშინლად აწამეს და საკანში დააბრუნეს, სადაც ისევ უფლის ანგელოზები გამოეცხადნენ და დაუამეს წყლულები.

მეორე დილით მოწამე ცირკში მიიყვანეს და დამშეული ლომი გამოუშვეს მის დასაგლეჯად, მაგრამ მხეცმა მას მორჩილად აულოკა ფეხები. ამის შემდეგ ტატიანა კოცონში ჩააგდეს და როცა ცეცხლმაც არ დაწვა, წარმართებმა იფიქრეს, საქმე ჯადოქართან გვაქვსო.

ნეტარი დედისთვის „მაგიური ძალა“ რომ გამოეცალათ, მას თმები მოკვეცეს და ზევსის ტაძარში გამოკეტეს. მესამე დღეს წარმართთა ბრბოთი გარშემორტყმული ქურუმები მივიდნენ მსხვერპლშეწირვის აღსასრულებლად და კარი გააღეს, მაგრამ კერპი დამსხვრეული დაუხვდათ. ვერანაირმა სატანჯველმა ვერ მოდრიკა ქრისტეს მხნე აღმსარებელი. წმიდა ქალწულ მოწამესთან ერთად, თავი მოკვეთეს მის კეთილმსახურ მამასაც.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რას გამოვხატავთ პირჯვრის გადაწერით და აუცილებელია თუ არა ის?**

**პასუხი:** ქრისტიანი პირჯვრის გადაწერის გარეშე, იგივე მეომარია იარაღის გარეშე. მტერი მას იოლად დაჩაგრავს. ვინც პირჯვარს იწერს, ის უსიტყვოდ არის იესო ქრისტეს აღმსარებელი. ჯვრის გადასახვით მიმდინარეობს ყველა საღვთო საიდუმლოება, მითვე იკურთხება სასიცოცხლოდ აუცილებელი ყოველი საგანი. როდესაც პირჯვარს ვიწერთ, ბოროტი ძალა შიშისგან თრთის.

**კითხვა: როგორ უყურებს ეკლესია ქორწინების გარეშე შობილ ადამიანებს?**

**პასუხი:** ადამიანი ქორწინების შედეგად, კანონიერად არის შობილი თუ უკანონოდ, ეკლესიისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ყოველი პიროვნება ფასდება მხოლოდ და მხოლოდ მისი ზნეობრივი ღირსებებით.



**კითხვა: რა შემთხვევაში შეიძლება ხატის ხელმეორედ კურთხევა?**

**პასუხი:** ხატები სასულიერო პირისგან იკურთხება ერთხელ. ხელმეორედ მისი კურთხევა მიზანშეწონილია რესტავრაციის შემდეგ, თუ მისი იერსახე დაკარგული იყო.

**კითხვა: რატომ ხდება, რომ გასართობად და გულის გადასაყოლებლად მუდამ მზად ვართ, ღვთივსულიერი საუბრებისა და ეკლესიური ცხოვრებისთვის კი გვიჭირს განწყობის შექმნა?**

**პასუხი:** იმიტომ, რომ ეკლესიური ცხოვრება რთულია, თუმცა თუ ადამიანი ამ გზას აირჩევს, მას საღმრთო მადლი ექნება ყოველთვის და იმქვეყნადაც დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს. თანაც ეშმაკი უწყობს ხელს უქმადმეტყველებას და ის ყოველგვარი სულიერი დარიგების მტერია.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## უფლისთვის სათნოა ეკლესიის ხატებით შემკობა

ღირსმა ერაზმიმ, პეჩორის მონაზონმა (ცხოვრობდა მეთორმეტე საუკუნეში), ცათა სასუფევლის გვირგვინი მაკურთხევლის ხელიდან იმის გამო მიიღო, რომ წინაპრებისგან დანატოვარი მთელი თავისი სიმდიდრე ეკლესიის შესამკობად დახარჯა და პეჩორის ეკლესიაში მრავალი ხატი ვერცხლითა და ოქროთი მოაჭედვინა. ის თავის სულსაც ამშვენებდა, როგორც ცოცხალი ღვთის ეკლესიას და მის ხატებს, არა ნივთიერი ვერცხლითა და ოქროთი, არამედ წმიდა სიყვარულითა და სამონაზვნო წესის სხვა მადლმოსილი საქმეებით. მასზე ითქმოდა წინასწარმეტყველის სიტყვები: „კეთილი არს ჩემდა შჯული პირისა შენისაი უფროის ათასეულისა ოქროისა და ვერცხლისა“ (ფს. 118,72).

ამ ღირსს ამგვარი ცდუნება შეემთხვა: როდესაც ის გალატაკებული, ყველასგან მიტოვებული აღმოჩნდა, მაშინ ბოროტმა მაცდუნებელმა ეშმაკმა ცბიერებით იწყო მის გულში შესვლა, რომ მან მთელი თავისი სიმდიდრე ეკლესიის შესამკობად დახარჯა და ამით არავითარი სიკეთე არ მიიღო. ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა, ეს ყოველივე გლახაკთა მოწყალებაზე გაეხმარა. ღირსმა ერაზმიმ ცდუნება ვერ შეიცნო, სასოწარკვეთაში ჩავარდა და დაუდევარი, უგულისყურო ცხოვრება და დროსტარება დაიწყო. მაგრამ, გულუხვმა და მართლმსაჯულმა ღმერთმა, ახსოვდა-რა ნეტარის ადრინდელი კეთილქმედებანი, ის დალუპვას ამგვარად გადაარჩინა: მას მძიმე სენი შეჰყარა. ავადმყოფი უკვე სიკვდილის პირას იყო მისული, უმეტყველო, თვალებდახუჭული იწვა შვიდი დღე. მერვე დღეს მასთან ძმები მივიდნენ, ნახეს-რა მისი საშინელი აღსასრული, თქვეს: „უბედურება ეწვია ამ ძმის სულს იმიტომ, რომ მან სიზარმაცესა და ცოდვებში იცხოვრა, ხოლო ამჟამად ხედავს-რა რაღაცას, შეძრწუნებულია. ამიტომ სულ ეშინია სხეულიდან გამოსვლის!“ უეცრად ნეტარი ერაზმი, თითქოსდა სრულიად ჯანმრთელიაო, თავისი საწოლიდან წამოდგა და მათ უთხრა: „თქვენ, მამებო და ძმებო, ჭეშმარიტებას ამბობთ, მე ცოდვილი ვარ და არ მომინანიებია. მაგრამ, აი, ამჯერად გამომეცხადნენ მე ჩვენი ღირსი მამები – ანტონი და ფეოდოსი და მითხრეს: „ჩვენ შენზე ვთხოვეთ უფალს და მან გიწყალობა დრო მოსანანიებლად“. შემდეგ ვიხილე ყოვლადწმიდა ქალწული ღვთისმშობელი და უამრავი წმიდანი მასთან. მან მე მითხრა: „ერაზმ, რადგან შენ ჩემი ეკლესია შეამკე და იგი ხატებით განადიდე, ამიტომ მე ჩემი ვაჟის საუფლოში შეგამკობ და განგადიდებ დიდებით, რამეთუ გლახაკები თქვენ გვერდით გყავთ, ჩემი ეკლესია კი – არა. მაშ ასე, ამდგარმა მოინანიე და დიადი ანგელოზებრივი იერი მიიღე, ხოლო მე მესამე დღეს შენ – სუფთას, ჩემი სახლის კეთილსახიერების შემყვარებელს, ჩემთან წაგიყვან“. ნეტარმა ერაზმმა, მოუყვა-რა ეს ყოველივე ძმებს, დაუფარავად, ყველას წინაშე თავისი ცოდვების მონანიება იწყო. შემდეგ ადგა, წავიდა ეკლესიაში და სქემით (ბერ-მონაზვნის ტანსაცმელი) შეიმოსა. მესამე დღეს კი გახარებული მიებარა უფალს. ამგვარად, ყველასთვის ნათელი შეიქნა, რომ ეკლესიის ხატებით შემკობა ღმრთისთვის სათნო იყო.

**მოამზადა რევაზ ტომარაძე**

# 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის რეკორდები და გმირები

*2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში რამდენიმე საინტერესო რეკორდი დაფიქსირდა, მათ შორის ისეთები, რომელთა დამყარებას რამდენიმე წლის განმავლობაში ელოდნენ. გთავაზობთ მუნდიალების ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ტურნირის რეკორდებს.*

**მიროსლავ კლოზე – ერთადერთი და განუმეორებელი**

მიროსლავ კლოზე ოფიციალურად გახდა მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა. გერმანიის ნაკრების 36 წლის ფორვარდმა, ჯერ გერდ მიულერის რეკორდი მოხსნა და ყველაზე მეტი გატანილი გოლის ავტორი გახდა გერმანიის ნაკრების ისტორიაში, ხოლო გასულ მუნდიალზე მან ლეგენდარული რონალდოს რეკორდი დაამხო და მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირის ტიტულის მფლობელი გახდა 16 გატანილი გოლით.



**ტიმ ჰოვარდი – ადამიანი-ობობა**

ამერიკის შეერთებული შტატების მეკარე ტიმ ჰოვარდი უნიკალური რეკორდის ავტორი გახდა. მის ანგარიშზე ყველაზე მეტი „სეივია“ ერთ მატჩში – ეს არის საუკეთესო შედეგი მუნდიალების ისტორიაში 1966 წლიდან, ანუ, მას შემდეგ, რაც „ფიფამ“ მოგერიებული ბურთების დათვლა დაიწყო. ჰოვარდმა ბელგიასთან მატჩში 16 „სეივი“ გააკეთა და უმალ გახდა „ნაციონალური გმირის“ ტიტულის მფლობელი. საგულისხმოა, რომ ჰოვარდის თავგანწირვამ ამერიკელებს ვერ უშველა.

**ფარიდ მონდრაგონი – უბერებელი ფარიდი**

კოლუმბიის ნაკრების მეკარემ, ფარიდ მონდრაგონმა, სულ 5 წუთი გაატარა მსოფლიო ჩემპიონატზე, იაპონიასთან მატჩში, თუმცა, ეს დრო საკმარისი გამოდგა, რომ ის სამუდამოდ გამხდარიყო მუნდიალების ლეგენდა. იაპონელებთან მატჩის დროს ფარიდ მონდრაგონი 43 წლის და 3 დღის იყო, რითაც მან არანაკლებ ლეგენდარული კამერუნელი როჟე მილას რეკორდი მოხსნა, რომელიც 1994 წელს 42 წლის ასაკში გავიდა მოედანზე. ცნობისთვის ფარიდ მონდრაგონი 1994 წელს ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატზეც გახლდათ კოლუმბიელების განაცხადში.



**რავშან ირმატოვი – იღბლიანი მსაჯი**

ბრაზილიის მუნდიალზე კიდევ ერთი საინტერესო რეკორდი დაფიქსირდა – ერთგვარი რეკორდის მფლობელი გახდა უზბეკი რეფერი რავშან ირმატოვი, მის ანგარიშზე ყველაზე მეტი მატჩია, სადაც ის მთავარი მსაჯი იყო. ირმატოვმა ბოლო ორ მსოფლიო ჩემპიონატზე საერთო ჯამში ცხრა მატჩში იმსაჯა და ამით რეკორდი დაამყარა. ცნობისთვის, ირმატოვი ფინალის მთავარ მსაჯადაც განიხილებოდა „ფიფას“ მიერ, თუმცა, საბოლოოდ, არჩევანი იტალიელ ნიკოლა რიცოლიზე გაკეთდა.

## კარტოფილის შუშხუნა სასმელი „კოკა-კოლას“ შეცვლის

„მიკოლა“ – ასე დაარქვეს გაზირებულ სასმელს, რომელიც ბელორუსიის ნაციონალური აკადემიის ცენტრის ლაბორატორიაში შექმნეს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ახალი სასმელი ბაზარზე ამერიკულ „კოკა-კოლას“ შეცვლის. ის მთლიანად ნატურალური პროდუქტისგან – კარტოფილისგან მზადდება და გემოთი ხორბლის ბურახს მოგვაგონებს.

დასაწყისისთვის მეცნიერებმა ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფერადი კარტოფილის 7 0 ჰიბრიდი გამოიყვანეს, რომლებიც განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევა, რადგან, ანტოციანინებსა და კარატინოიდებს შეიცავს. შემდეგ კი მისგან სასმელი შექმნეს და პირველად 2010 წელს გამოიტანეს გასაყიდად. მაშინ ცდა ჩავარდა, რადგან პროდუქტის შენახვის ვადა მხოლოდ 7 დღე იყო. ახლა კი „მიკოლას“ შემქმნელები მარკეტოლოგებს მის სამ ნაირსახეობას სთავაზობენ: კლასიკურ კოლას, ნაზახუსევის საწინააღმდეგოს და ანთების საწინააღმდეგოს.

მეცნიერები მიღწევით არ კმაყოფილდებიან, მუშაობას განაგრძობენ და იმედი აქვთ, რომ ბელორუსიული კარტოფილის ბრენდის გემოს „ახალ ჰორიზონტებს“ შესძენენ. ასევე, ცდილობენ, მოიძიონ და დააინტერესონ კომპანია, რომელიც ამ სიახლეს დიდი ბაზრისთვის დაამზადებს.

## ტყვია მიზანს ეძებს

ამერიკის პერსპექტიული დაცვის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სააგენტომ (DARPA) გამოაქვეყნა 50-კალიბრიანი თვითმართვადი ტყვიის პირველი გამოცდის შედეგები. ვიდეორგოლზე, რომელზეც ეს ექსპერიმენტია დაფიქსირებული, ნაჩვენებია არასწორი ტრაექტორიით გასროლილი ტყვია, რომელიც მიზნამდე მისაღწევად თავად განსაზღვრავს მიმართულებას და ორჯერ იცვლის ტრაექტორიას.

მაღალი სიზუსტის უსაფრთხო სნაიპერული სროლის სისტემის შემუშავების პროგრამა (EXACTO) 2008 წლის ნოემბერში ამუშავდა. „ჭკვიანი ტყვია“ 2012 წელს წარმოადგინეს, თუმცა, ახალი ვიდეომასალა მოწმობს, რომ ტექნოლოგია მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული: სისტემა საშუალებას აძლევს ტყვიას, სასურველ ადგილამდე მისასვლელად ტრაექტორია შეიცვალოს სხვადასხვა ფაქტორების – ძლიერი ქარისა და ქვიშის ქარიშხლის დროსაც კი, დააზიანოს რთული, მოძრავი მიზანი, გაიაროს გაცილებით მეტი დისტანცია და, ამასთან, არ გასცეს თავისი მდებარეობა.

## „ფორბსის“ ყველაზე გავლენიანი სპორტსმენები

გავლენიანმა ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ მსოფლიოს 100 ყველაზე გავლენიანი ცნობილი ადამიანისგან შემდგარი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელთა შორისაც სპორტულ სამყაროში სახელგანთქმული ათლეტებიც მოხვდნენ. რეიტინგში სულ 16 სპორტსმენია, რომლებიც შემდეგნაირად გადანაწილდნენ: ლებრონ ჯეიმსი – კალათბურთი; ფლოიდ მეივეზერი – კრივი; კობი ბრაიანტი – კალათბურთი; როჯერ ფედერერი – ჩოგბურთი; ტაიგერ ვუდსი – გოლფი; რაფაელ ნადალი – ჩოგბურთი; კრიშტიანუ რონალდუ – ფეხბურთი; კევინ დიურანტი – კალათბურთი, პეიტონ მენინგი – ამერიკული ფეხბურთი; ნოვაკ ჯოკოვიჩი – ჩოგბურთი; ფილ მიკელსონი – გოლფი; ლიონელ მესი – ფეხბურთი; დუეინ უეიდი – კალათბურთი; მარია შარაპოვა – ჩოგბურთი; სერენა უილიამსი – ჩოგბურთი; ნა ლი – ჩოგბურთი.

## ირინა შეიკის გულახდილი ფოტოსესია

ცნობილი მოდელი და კრიშტიანუ რონალდუს საცოლე კვლავ მოექცა ყურადღების ცენტრში – ირინა მამაკაცებისთვის განკუთვნილი ჟურნალ „მაქსიმისთვის“ გაშიშვლდა. თეთრქვიშიან სანაპიროზე ირინა შეიკ გულახდილ საცურაო კოსტიუმში წარდგა ფოტოგრაფის წინაშე. „სიმართლე გითხრათ, ჩემთვის სულერთია, რას იფიქრებს ჩემზე ხალხი. ეს ჩემი ბიზნესია და არა ჰობი და მე მზად ვარ ნებისმიერი კრიტიკისთვის,“ – განუცხადა ჟურნალისტებს ირინა შეიკმა, როდესაც მისი გულახდილი ფოტოები საზოგადოებამ არაერთგვაროვნად მიიღო.



## ხამეს როდრიგესი – მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი

კოლუმბიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი ხამეს როდრიგესი ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენა გახდა. 1991 წელს დაბადებული ხამესი ამჟამად „მონაკოს“ ღირსებას იცავს, თუმცა, მისით უკვე დაინტერესდა მადრიდის „რეალი“ და, სავარაუდოდ, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდის დასრულებამდე, ის სამეფო კლუბის ფეხბურთელი გახდება. ხამესის შესახებ ცნობილია, რომ მას რამდენიმე მეტსახელი აქვს: ჯეიმს ბონდი, ბანდიტი, ბამ-ბამი და ჯესი ჯეიმსი. ხამესის მეუღლე ყოფილი ფრენბურთელია, ის კოლუმბიის ნაკრების მეკარის, დავიდ ოსპინას დაა, რომელთანაც ხამესს ჰყავს ქალიშვილი – სალომეა. ხამეს როდრიგესი ბულვარული პრესის ფურცლებზე ჯერჯერობით არ გამოჩენილა; მის შესახებ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ პირველი ხელფასით მან ბებიასა და ბაბუას კერძო სახლი უყიდა.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# ლეონარდო დიკაპრიო – ჰოლივუდის უოსკარო ლეგენდა

***დიდი ხანია, რაც ლეონარდო დიკაპრიო თინეიჯერი გოგონების საყვარელი მსახიობიდან მსოფლიო კინოკრიტიკოსების ფავორიტ მსახიობად იქცა. სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულ მსახიობს წელს 40 წელი უსრულდება და გთავაზობთ მისი ცხოვრებიდან საინტერესო ფაქტებს.***

* ლეონარდო ვილჰელმ დიკაპრიო დაიბადა 1974 წლის 11 ნოემბერს, ლოს-ანჯელესში (კალიფორნია). ლეონარდოს მამა იტალიურ-გერმანული ფესვების მქონე ოჯახიდან იყო, ხოლო დედა, ირმელინ დიკაპრიო, ქალწულობაში ინდერბირკენი, დასავლეთგერმანულ ორ-ერკენშივკში იყო დაბადებული. მისი მამა, ვილჰელმ ინდერბირკენი, გერმანელი იყო, ხოლო დედა – ელენა სმირნოვა რუსი. საკუთარ თავს ლეონარდო დიკაპრიო ნახევრად რუსად მიიჩნევს – რუსეთის პრეზიდენტთან, ვლადიმირ პუტინთან შეხვედრის დროს მან განაცხადა, რომ ნახევრად რუსია და ამაყობს ამ ფაქტით.



* სახელი ლეონარდო შვილს ცნობილი იტალიელი ფერმწერისა და გამომგონებლის, ლეონარდო და ვინჩის პატივსაცემად დედამ დაარქვა. ფეხმძიმობის დროს ირმელინ დიკაპრიო ერთ-ერთ გამოფენას დასწრებია და და ვინჩის ნამუშევართან გაჩერებულა, რა დროსაც მუცელში მყოფი ჩვილისგან დარტყმა იგრძნო. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, რომ შვილისთვის, თუკი ბიჭი დაიბადებოდა, ლეონარდო დაერქმია.

* ლეონარდო დიკაპრიოს ნათამაშები აქვს ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ტელესერიალში „სანტა-ბარბარა“, რომელშიც ის მთავარი გმირის, მეისონ კეპველის ბავშვობას განასახიერებდა.

* ლეონარდო დიკაპრიო „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ ქომაგია და საყვარელი გუნდის თამაშის გამო არაერთხელ გაუცდენია წვეულებები.

* დიკაპრიოს ოცნებაა, შეასრულოს იოსებ სტალინის როლი, თუმცა, მისი თქმით, ჯერაც ვერ ნახა შესაბამისი სცენარი.

* ლეონარდოს საყვარელი ფილმია „ნათლიმამა”.

* მსახიობმა ბენ კინგსლიმ, რომელიც „შინდლერის სიაში” ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულებით არის ცნობილი, ლეონარდო დიკაპრიო საუკეთესო რომეოდ დაასახელა, რომელიც ოდესმე კი უნახავს კინოეკრანზე.

* დიკაპრიოს სიმაღლე 183 სანტიმეტრია.

* ბავშვობაში ლეონარდო ბეისბოლის ბარათებსა და კომიქსებს აგროვებდა. მამამისი, ჯორჯ დიკაპრიო, კომიქსების ავტორი იყო.

* 90-იან წლებში ლეონარდო დიკაპრიო დანიელ მოდელ ჰელენა კრისტენსენს ხვდებოდა, 2000-2005 წლებში – ბრაზილიელ მოდელ ჟიზელ ბიუნდჰენს, 2006-2009 წლებში – ებრაელ მოდელ ბარ რაფაელის, 2009 წლის ბოლოს – რუს მოდელ ანა ვიალიცინას; 2010-2011 წლებში ლეონარდო კვლავ ბარ რაფაელის დაუბრუნდა, თუმცა წყვილმა ქორწინების ნაცვლად საბოლოოდ დაშორება გადაწყვიტა; 2011 წლის ივნისიდან ლეო მსახიობ ბლეიკ ლაივლის ხვდებოდა, მაგრამ, წლის ბოლოს ისინი მეგობრებად დაშორდნენ ერთმანეთს. გავრცელებული ცნობის თანახმად, ამჟამად ლეონარდო დიკაპრიო „ვიქტორიას სიქრეტის” მოდელს, ერინ ჰიზერტონს ხვდება. ხანგრძლივი ურთიერთობების გარდა, დიკაპრიოს მცირეხნიანი რომანები ჰქონდა შერონ სტოუნთან, ვირჯინია ლედუაიენთან, ქეით უინსლეტთან და კრისტინ ზენგთან.

# მხოლოდ ფაქტები

* კოსტა-რიკა მდიდარ ნაპირს ნიშნავს.

* ბიზანტიელები შესანიშნავად იცნობდნენ ალტაის მხარეს და ალათაუს „ოქროს მთას“ უწოდებდნენ.

* შვეიცარიის ერთ-ერთ პატარა ქალაქში, ქუჩებში ინტენსიური მოძრაობის საპროტესტოდ, სახლებს ფანერების ცხვირი და ყურები აქვს გაკეთებული.

* მე-20 საუკუნეში ტექნიკის ისტორიის გერმანელმა სპეციალისტმა ფელდჰაუზმა გამოაქვეყნა წიგნი „ყველაზე დიდი ტექნიკური მოვლენები“. მასში შესულია უდიდესი მშენებლობები, გამოგონებები. სიაში პირველ ნომრად წერია – სამყაროს შექმნა.

* 80-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა პოლიციაში შემოვიდა ტერმინი „სკამის პოსტი“, რაც სახაროვის შინაპატიმრობაში ყოფნისას მეთვალყურე პოლიციელების შტატს უწოდეს.

* 1913 წელს ბენიტო მუსოლინიმ მიტინგი მოაწყო, მაგრამ მისი მომხრეების ჩექმების ხმამ შეგროვილი ხალხი დააფრთხო და გაიქცნენ – მათ ეგონათ, რომ მიტინგის დასარბევად კავალერისტები მოდიოდნენ.

* მატარებლის ადვილად დაძვრისა და დამუხრუჭებისთვის, მოსკოვის მეტროს გვირაბების შუა ნაწილი უფრო დაბლაა გაყვანილი, ვიდრე სადგურები.

* პაბლო პიკასოს ახლო მეგობარი, პირველი მსოფლიო ომის ვეტერანი, რენე იშჩე, მასავით გამოეხმაურა 1937 წლის გერნიკის დაბომბვას და შექმნა სკულპტურა – მეომარი, რომელსაც, ისევე როგორც პიკასომ „გერნიკა“ უწოდა.

* ივრითზე სასაფლაოს ერთ-ერთი სახელია: „სიცოცხლის სახლი“.

* აბებე ბიკილამ ფართო საზოგადოების ყურადღება მარტო იმით კი არ მიიქცია, რომ 1964 წლის ოლიმპიური თამაშების მარათონი მოიგო, არამედ იმითაც, რომ მან მთელი დისტანცია ფეხშიშველმა გაირბინა.

* ხელყუმბარა მეთექვსმეტე საუკუნეში გამოიგონეს.

* ნაპოლეონის პოლიციის მინისტრს, ფუშეს, მიაწერენ სიტყვებს: „ეს უფრო მეტია, ვიდრე დანაშაული, ეს შეცდომაა“.

* უინსტონ ჩერჩილი ცეკვების დროს, ქალთა ოთახში დაიბადა.

* არისტოტელეს ლიცეუმის შესასვლელში ეწერა: „ღიაა ყველასთვის, ვისაც სურს, პლატონის ცრუ წარმოდგენები გაფანტოს“.

* ძველი ბერძნები ლირის დასამზადებლად კუს ბაკანს იყენებდნენ, მასზე ორ თხის რქას ამაგრებდნენ და სიმებს ჭიმავდნენ.

# არსენი იაცენუკი – უკრაინის ახალი პრემიერ-მინისტრი

***უკრაინაში ახალი ხელისუფლება მოვიდა, რომელსაც ურთულეს პერიოდში უწევს ქვეყნის მართვა: რუსეთის მიერ ყირიმის პირდაპირი ანექსია, რუსი ჯარისკაცების ყოფნა უკრაინის ტერიტორიაზე, შიდა არეულობები აღმოსავლეთ უკრაინაში, ფინანსური პრობლემები და სხვა უამრავი პრობლემა, ამ ყველაფერთან არსენი იაცენუკსა და მის თანაგუნდელებს უწევთ ჭიდილი. სწორედ ისინი გეგმავენ, ააშენონ ახალი, ევროპული უკრაინა. არსენი იაცენუკი საკმაო გამოცდილების მქონე სახელმწიფო მოღვაწეა, რომლის შესახებ რამდენიმე საინტერესო ცნობას მოგაწვდით.***

* არსენი იაცენუკი დაიბადა 1974 წლის 22 მაისს, ქალაქ ჩერნოვციში, რუსეთის, გერმანიისა და ლათინური ამერიკის ისტორიის მასწავლებლის, პეტრე იაცენუკისა და ფრანგული ენის მასწავლებლის, მარია იაცენუკ-ბაკაის ოჯახში. 1991 წელს არსენი იაცენუკმა ვერცხლის მედალზე დაამთავრა პანას მირნის სახელობის სპეციალიზებული ინგლისურენოვანი სკოლა და იმავე წელს მოეწყო ჩერნოვცის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, შემდგომ კი სწავლა კიევის ნაციონალურ სავაჭრო-ეკონომიკურ უნივერსიტეტში განაგრძო. უნივერსიტეტში სწავლას იაცენუკი იურიდიულ ფირმაში მუშაობას უთავსებდა. მას საკუთარი იურიუდიული ფირმა ჰქონდა, რომელიც ჩერნოვეცკის ოლქის გუბერნატორის, ვალენტინ გნატიშინის შვილთან ერთად დააფუძნა. 1998 წლიდან იაცენუკი კიევში გადავიდა საცხოვრებლად და პოლიტიკაში წასვლამდე სხვადასხვა ბანკში მუშაობდა.



* სხვადასხვა პერიოდში არსენი იაცენუკი იყო ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონიმიკის მინისტრი. ასევე, სხვადასხვა წლებში იკავებდა უკრაინის ეკონომიკისა და საგარეო საქმეთა მინისტრის, ასევე, უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარის თანამდებობებს.

* არსენი იაცენუკს რამდენიმე მეტსახელი აქვს – „ბაჭია” და „სენია”. „ბაჭია” გაზეთმა „უკრაინულმა კომსომოლსკაია პრავდამ” უწოდა – იაცენუკი მულტფილმ „ვინი პუჰის” გმირ ბაჭიას შეადარეს. ჟურნალისტები კი მას „სენიას” ეძახიან. 2014 წლის დასაწყისში ინტერნეტით გავრცელდა აუდიოჩანაწერი, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანი, ვიქტორია ნულანდი, არსენი იაცენუკს „იაცად” მოიხსენიებდა.

* არსენი იაცენუკს ჰყავს უფროსი და – ალინა იაცენუკი. ალინა პროფესიონალი მთარგმნელია და ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, პოლონურ და გერმანულ ენებს. 1999 წლიდან ალინა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სანტა-ბარბარაში ცხოვრობს. მისი მესამე მეუღლე ამერიკელი, უძრავი ქონებით მოვაჭრე ჯონ სტილია, რომელთანაც ერთი ვაჟი შეეძინა, ხოლო პირველი ქორწინებიდან მას ჰყავს ქალიშვილი – ულიანა.

* არსენი იაცენუკის მეუღლე ტერეზა იაცენუკია. წყვილს ორი ქალიშვილი ჰყავს – კრისტინა და სოფია. ოჯახი 2003 წლიდან კიევთან ახლოს, ნოვიე პეტროვციში ცხოვრობს, უკრაინის აწ უკვე ექსპრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის რეზიდენციის მეზობლად.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**



## რამდენი ლიტრი წყალი უნდა დალიოთ დღეში და რა კავშირშია მისი ხარისხი ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობასთან

სასმელი წყლის გასინჯვისას, როგორც წესი, უპირატესობას გემოს ვანიჭებთ. ამგვარი შერჩევა შემთხვევითი არ არის. სხვადასხვა წყაროს წყალს დამახასიათებელი ნიშნები და განსხვავებული გემო აქვს. გემრიელი წყალი იწვევს არა მხოლოდ დადებით ემოციებს და კლავს წყურვილს, არამედ, უზარმაზარ ინფორმაციას შეიცავს დედამიწის წიაღის მდგომარეობის შესახებ.

დადგენილია, რომ სასმელი წყლის ხარისხისა და ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. ვინაიდან სასმელი წყლის ძირითადი წყარო მდინარეები და მიწისქვეშა წყლებია, მისი დაბინძურების რისკი მაღალია. ვისაც ბუნებრივ წყაროებზე ხელი არ მიგიწვდებათ და სამრეწველო წესით ჩამოსხმული მინერალური წყლის შეძენასაც ვერ ახერხებთ, შეგიძლიათ, სახლის პირობებშიც დაამზადოთ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო წყალი: საყინულეში მოათავსეთ ცივი წყლით სავსე ქვაბი. ექვსი საათის შემდეგ წყლის ნაწილი, რომელიც გაუყინავი დარჩა, სხვა ჭურჭელში გადაასხით და ხელახლა შედგით საყინულეში, ყინული კი გადააგდეთ. ოთხი საათის შემდეგ ქვაბი გამოიღეთ მაცივრიდან, სითხე გადაღვარეთ, ყინული კი ოთახის ტემპერატურაზე გაადნეთ. ასეთი წესით მომზადებული წყალი მინარევებისგან გაწმენდილია და, ამავე დროს, შეიცავს ორგანიზმისთვის საჭირო ყველა ნივთიერებას. მისი სამკურნალო მოქმედების საიდუმლო კი ისაა, რომ გამდნარი წყლის მოლეკულის დიამეტრი ზომით იდეალურად შეესატყვისება უჯრედების მემბრანების ხვრელებს, რაც სითხეს საშუალებას აძლევს, ადვილად შევიდეს ქიმიურ რეაქციაში, რის შედეგადაც ნივთიერებათა ცვლის პროცესი აქტიურდება და ორგანიზმი ზოგავს ძალასა და ენერგიას.

წყალგაყვანილობების წყალი შეიცავს ქლორს, ფტორსა და სხვა ნივთიერებებს, რომლებიც დუღილის პროცესში ჯანმრთელობისთვის მავნე ნაერთს წარმოქმნის. ამისგან თავი რომ დაიცვათ, სანამ წყალს ადუღებთ, ერთი დღე-ღამე თიხის, სპილენძის ან მინის ჭურჭელში დატოვეთ, რომ ფტორი და ქლორი „გაქრეს."

მოზრდილი ადამიანის ორგანიზმი დაახლოებით 40 ლიტრ სითხეს შეიცავს, რომლის აუცილებელი რაოდენობა მუდამ უნდა შენარჩუნდეს. უმნიშვნელო გაუწყლოების დროსაც კი, სისხლის პლაზმა და სხვა უჯრედგარეშე სითხე შესქელებას იწყებს და მათში მარილების რაოდენობა იმატებს. წყალი უჯრედებიდან დიდი კონცენტრაციის ზონაში მიემართება, შედეგად, უჯრედები ნაოჭდება, რაც მთელი ორგანიზმის ნაადრევ დაბერებას იწვევს. გარდა ამისა, ადამიანთა უმეტესობა წყალს არასწორად სვამს, ხოლო მოსახლეობის თითქმის ნახევარი სითხეს გაცილებით ნაკლებს იღებს, ვიდრე საჭიროა.

წყალი უნდა დალიოთ ნელა, ყლუპ-ყლუპით, არანაკლებ 2 ლიტრისა დღეში, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ სისხლძარღვთა სისტემის სერიოზული დაავადებები არ გაწუხებთ და თირკმელებიც ნორმალურად მუშაობს.

## რა დაავადებებს შველის ცაცხვის ყვავილის ნაყენი

ხალხურ მედიცინაში ცაცხვის ყვავილი გამოიყენება გაციების, ციებ-ცხელების, ბრონქიტისა და გრიპის დროს. ის არის ოფლმდენი, შარდმდენი, კუჭის სეკრეციის გამაძლიერებელი და ამოსახველებელი საშუალება.

თუ გაცივდით, ოფლის მოდენის მიზნით დალიეთ შემდეგი სახით დამზადებული ნაყენი: 2 ჩაის კოვზ ხმელ ცაცხვის ყვავილს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 20 წუთის განმავლობაში და დალიეთ თბილი, თითო ჭიქა, დღეში სამჯერ. ამ დროს თბილად უნდა იწვეთ ლოგინში. ასეთი ნაყენი დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე ნებისმიერი სირთულის გაციებისას, ასევე, თირკმელებისა და ფილტვების დაავადებების დროს.

დამამშვიდებელი ნაყენის მოსამზადებლად კი, 2 წილ ცაცხვის ყვავილს, 4 წილ ბარამბოსა და 4 წილ ასკილის ნაყოფს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ ორი საათით, შემდეგ შეათბეთ და დალიეთ 2 სადილის კოვზი საღამოს, დაძინებამდე 1-2 საათით ადრე.

ზედა სასუნთქი გზების დაავადებების დროს ასეთი ნახარში მოამზადეთ: აურიეთ ერთმანეთში 1 წილი ცაცხვის ყვავილი, 2 წილი მუხის ქერქი ან 2 წილი გვირილა. 1 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჩაის კოვზი თაფლი და 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. წამოადუღეთ დაბალ ცეცხლზე, გადაწურეთ და დღეში რამდენჯერმე გამოივლეთ ყელში.

სტომატიტის, ანგინის, ლარინგიტის, გარეგანი ანუ ჰემოროიდული კვანძების ანთების, რევმატიზმისა და პოდაგრის დროს, 6 სადილის კოვზ ნედლეულს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და 10 წუთით გააჩერეთ. გამოივლეთ ყელში დღეში 3-ჯერ.

ცაცხვის ყვავილის ნაყენს იყენებენ ნერვული დაავადებების დროს აბაზანის სახით. 2 კილოგრამ ცაცხვის ყვავილს დაასხით 6 ლიტრი ცივი წყალი, თავდახურული გააჩერეთ ერთი დღე-ღამე, შემდეგ ადუღეთ 20 წუთით და ჩაასხით თბილ აბაზანაში. ჩაწექით ნახევარი საათით, ძილის წინ.

## კარტოფილს სამკურნალო თვისებები გააჩნია

კარტოფილის წვენს აქვს ანთების საწინააღმდეგო და პერისტალტიკის გამაძლიერებელი მოქმედება. ის აქვეითებს საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების სეკრეციას. აცეტილქოლინის შემცველობის გამო კი, თუ კარტოფილის წვენს ხანგრძლივად მიიღებთ, ქვეითდება არტერიული წნევა. ახალგამოწურული კარტოფილის წვენი ეფექტურია გასტრიტებისა და წყლულოვანი დაავადებების დროს. თუ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე მიიღებთ წვენს, ეს გააუმჯობესებს საჭმლის მონელებას და აწესრიგებს ნაწლავების ფუნქციას.

კარტოფილის ბოლქვები, განსაკუთრებით კი – კანი, შეიცავს მაღალაქტიურ გლუკოალკალოიდ სოლანინს, რომელიც ანტიანთებით მოქმედებას ავლენს, მაგრამ ტოქსიკური ეფექტი აქვს. მისი დიდი ხნის განმავლობაში მიღების შემთხვევაში, მწვანე ბოლქვებში სოლანინის შემცველობა, შეიძლება, მოწამვლის მიზეზი გახდეს. დიდი დოზით მიღებისას სოლანინი თრგუნავს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციას. უხარისხო კარტოფილით მოწამვლისას ვითარდება პირღებინება, დისპეფსია, ქოშინი, გულის ფრიალი, კრუნჩხვა და გონების დაკარგვაც კი.

თუ მუცლის შებერვა გაწუხებთ, დილით, უზმოზე დალიეთ 1 ჩაის ჭიქა ახალგამოწურული კარტოფილის წვენი, წამოწექით ნახევარი საათი და შემდეგ ისაუზმეთ. მკურნალობის კურსი ერთი კვირაა.

## სიცხეში შეამცირეთ ფიზიკური დატვირთვა და სწორად შეარჩიეთ საკვები პროდუქტი

პაპანაქება სიცხე განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს ჰიპერტონიითა და გულით დაავადებულ ადამიანებზე. ამ დროს მეტი დატვირთვით მუშაობს გული და ადამიანს დისკომფორტის შეგრძნებას უქმნის.

ზაფხულის ცხელ დღეებში განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეარჩიოთ საკვები, რადგან, ასეთ პერიოდში ხშირია კვებითი მოწამვლა და ნაწლავური ინფექციები.

სიცხეში შეამცირეთ ფიზიკური დატვირთვა, განსაკუთრებით მაშინ, თუ გული გაწუხებთ და ხვდებით, რომ სუსტად გრძნობთ თავს. ჯობია, დილა-საღამოს იმუშაოთ, შუადღისას კი ჩრდილში დაისვენოთ.

ასევე, ზაფხულის პაპანაქებაში უნდა მოერიდოთ სტრესულ და მღელვარე სიტუაციაში ყოფნას. ამ დროს ემოციური დატვირთვა ძალიან საშიშია.

მოერიდეთ ცივ წყალში ბანაობას, რადგან ტემპერატურის მკვეთრმა ცვალებადობამ, შეიძლება, სისხლძარღვთა სპაზმი გამოიწვიოს. დღის განმავლობაში სვით სითხეები. აჯობებს, თუ მინერალურ წყალს დალევთ, რადგან ის მიკროელემენტების ბალანსს აღადგენს ორგანიზმში.

სიცხეში საგრძნობლად ქვეითდება იმუნიტეტი და ამტანობა. ჩვენ უამრავ ენერგიას ვხარჯავთ მცხუნვარე მზის დროს და ეს ენერგია აუცილებლად უნდა აღვიდგინოთ.

## თუ ღამით ცუდად გძინავთ

ბევრს უჭირს ღამით დაძინება, რის შედეგადაც დილით თავს შეუძლოდ გრძნობს და საწოლიდან თავის აწევა უჭირს. თუ ღამით ცუდად გძინავთ, აუცილებლად გაითვ-

ალისწინეთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები, რომლებიც ამ პრობლემის დაძლევაში დაგეხმარებათ:

* დაძინებამდე ერთი საათით ადრე გაიკეთეთ მასაჟი ყურის ბიბილოებზე. აქ განლაგებულია სპეციალური რეფლექსური ზონები, რომლებიც პასუხისმგებელია ორგანიზმის მოდუნებაზე.

* თუ რთული დღე გქონდათ და განერვიულებული ხართ, ძილის წინ დალიეთ 1 ჩაის ჭიქა რძეში გახსნილი 1 სადილის კოვზი თაფლი; ასევე, კარგი შედეგი აქვს პიტნისა და გვირილის ჩაის.

* უძილობის დასამარცხებლად უებარია შემდეგი სახის აბაზანები: აავსეთ აბაზანა თბილი წყლით, წყალში ჩაყარეთ გვირილის ხმელი ყვავილი, ნაძვის წიწვები და ჩაწექით დაახლოებით 15-20 წუთით.

ღამით არანაკლებ 8 საათი უნდა გეძინოთ მშვიდ და წყნარ გარემოში. არც ზედმეტი ძილი ვარგა, რადგან ასე ორგანიზმის ბიოლოგიური რიტმი ირღვევა. ძილის წინ კი არ დაგავიწყდეთ ოთახის განიავება, რადგან, სუფთა ჰაერი მშვიდი ძილისთვის აუცილებელი პირობაა.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ყივანახველა როგორ პირობებშია გადამდები? შეიძლება თუ არა მესამე პირისგან გადადება და რამდენი დღეა საინკუბაციო პერიოდი?**

**პასუხი:** ინფექცია გადაეცემა ჰაერ-წვეთოვანი გზით, უშუალოდ ავადმყოფებისგან. გადადების პიკი არის კატარულ პერიოდში და ხველითი კრუნჩხვების დროს. მიკრობი აქტიურია ავადმყოფის ორგანიზმში 30-45 დღე. 45 დღის შემდეგ დაავადებული გადამდები აღარ არის. ინკუბაციური (დაავადებისთვის დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენამდე) პერიოდი გრძელდება 3-15 დღე.

**კითხვა: დიაგნოზი – წითელი ქარი დასვა ანგიოლოგმა. მაინტერესებს, ხომ არ უსწრებს რამე კონკრეტული ინფექციური დაავადებები წინ, ხომ არ არის ის გამოწვეული ღვიძლის დაავადებებიდან?**

**პასუხი:** წითელი ქარი კანის ზედაპირული ბაქტერიული ინფექციაა. ის, ჩვეულებრივ, კანის ლიმფურ სისტემაში ვრცელდება. დაავადების განვითარების უმთავრესი ეტაპია კანის მთლიანობის დარღვევა, რის შედეგადაც მასში ინფექციის გამომწვევი მიკროორგანიზმი იჭრება. ინფექციური პროცესის განვითარებას ხელს უწყობს ადგილობრივი ფაქტორები – ვენური უკმარისობა, დაწყლულება, კანის ანთებითი დაავადება, სოკოვანი ინფექცია, მწერის ნაკბენი, ქირურგიული ინფექცია. გარდა ამისა, დაავადების განვითარებას ხელს უწყობს შაქრიანი დიაბეტი, ალკოჰოლიზმი, შიდსი, ნეფროზული სინდრომი და სხვა ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც იმუნური სისტემაა დაზიანებული.

**კითხვა: 14-15 წლის ასაკში (7 წლის წინ) გავიკეთე ტეტანუსის და დიფტერიის აცრა. 3 დღის წინ დამკაწრა კატამ, აუცილებელია ტეტანუსის შრატის გაკეთება?**

**პასუხი:** ტეტანუსის აცრა ტარდება 2, 3, 4, 18 თვის, 5 წლის, 14 წლის ასაკში და შემდეგ ყოველ მე-10 წელს 55 წლამდე. ასე რომ, იმუნიტეტი 10 წლის განმავლობაში ნარჩუნდება.

**კითხვა: მაინტერესებს, ცოფის ვაქცინის გაკეთების შემთხვევაში, რამდენი დღის შემდეგ შეიძლება გარუჯვა?**

**პასუხი:** ცოფზე ვაქცინაციის პერიოდში და მას შემდეგ, ექვსი თვის განმავლობაში უნდა ვერიდოთ გადაღლას, გადაციებასა და გადახურებას. ამ პერიოდში იკრძალება ძლიერი ფიზიკური დატვირთვა, დაბალი ტემპერატურის პირობებში და მზეზე დიდხანს ყოფნა. ერთი სიტყვით, უნდა ერიდოთ მიზეზებს, რომლებიც ორგანიზმის იმუნურ ძალებს დაასუსტებს.

**კითხვა: „სენადეს" დალევა თუ შეიძლება მუდმივად? რა გვერდითი მოვლენები შეიძლება, მოჰყვეს? უკვე წელიწადზე მეტია, ვსვამ.**

**პასუხი:** „სენადე" და მისი მსგავსი პრეპარატების მიღება, მხოლოდ დროებით ეფექტს აძლევს პაციენტს, და ხშირად, ხანგრძლივად მიღებისას, ის კარგავს ეფექტურობას. ეს არ არის მკურნალობა. საჭიროა, პრობლემის გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაცია, რის შემდეგაც მიიღებთ სასურველ და რაც მთავარია, ხანგრძლივ თერაპიულ ეფექტს. ექიმთან ვიზიტამდე, იზრუნეთ კვების ისეთ ცვლილებაზე, რომ თავიდან აიცილოთ ყაბზობა. ამისთვის აუცილებელია ბოჭკოთი მდიდარი საკვები – ხილი, ბოსტნეული, მწვანილი, სალათები ზეთის დამატებით, შავი პური. ამასთან ერთად, უნდა იაროთ ფეხით, სულ ცოტა 30 წუთი, მიიღოთ 2 ლიტრამდე სითხე.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

## ეგზემით დაავადებულებს ჟოლოსა და ნესვის ჭამა ეკრძალებათ

ეგზემისთვის დამახასიათებელია კანზე სხვადასხვა ზომის წითელი ლაქების გაჩენა. მათ ზედაპირზე ჩანს გამჭვირვალე სეროზული ან სეროზულ-სისხლიანი სითხით სავსე წვრილი ბუშტუკები, რომელთა გახეთქვისას გაშიშვლებული, ეროზიული ზედაპირი მოჩანს.

დაავადების გახანგრძლივებისას პროცესი კანის მნიშვნელოვან უბნებს მოიცავს და ამ ადგილებში კანი მკვრივდება. ეგზემას თან ახლავს ძლიერი ქავილი, რაც მოსვენებას არ აძლევს ადამიანს. ქვეითდება მისი შრომისუნარიანობაც. დაავადების განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნერვულ-ენდოკრინული და იმუნური სისტემების მოშლილობა, ნივთიერებათა ცვლის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციონირების დარღვევა, დისბაქტერიოზი; ასევე, მდგომარეობას ართულებს სხვადასხვა ალერგენისადმი მომატებული მგრძნობელობა, ნერვული სტრესები, უარყოფითი ემოციები, ფიზიკური და გონებრივი გადაძაბვა, არასწორი კვება. ამიტომ, ეგზემის მკურნალობა კომპლექსური უნდა იყოს და ის დარღვეული პროცესების ნორმალიზებას უნდა მოიცავდეს.

ეგზემის დროს კარგია შრომისა და დასვენების რეჟიმის დაცვა, სეირნობა სუფთა ჰაერზე. ოთახის მტვრის მავნე გავლენის თავიდან აცილების მიზნით, ურიგო არ იქნება, თუ უარს იტყვით ხალიჩებზე, რომლებიც მტვერს აგროვებს, მათი დასუფთავების დროს კი ალერგიული რეაქციები ვითარდება. მოერიდეთ სარეცხ საშუალებებთან, წებოსთან, საღებავებთან და სხვა საყოფაცხოვრებო ქიმიურ საშუალებებთან კონტაქტს.

სახლში, სადაც ეგზემით დაავადებულია, არ შეიძლება სიგარეტის მოწევა. ეგზემის დროს უნდა ერიდოთ სტრესულ სიტუაციებს. ასევე, რეკომენდებულია დამამშვიდებელი საშუალებების მიღება. ამ დროს კარგია მცენარეული ნაყენი, რომელიც მზადდება ვალერიანის ძირების, ორკბილას, გვირილის ყვავილების, კალენდულას, ძირტკბილას, უკვდავასა და ფარსმანდუკისგან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი თანაბრად შეურიეთ ერთმანეთს, 1 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და დაახურეთ თავსახური. ნახევარი საათის შემდეგ კი მიიღეთ ნახევარი ჭიქა ნაყენი, 2-ჯერ დღეში.

ეგზემის გამწვავების პროფილაქტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დიეტის დაცვას. დაავადებულის საკვები უნდა იყოს სრულფასოვანი და საკმაო რაოდენობით შეიცავდეს ვიტამინებსა და მიკროელემენტებს. რაციონიდან უნდა გამორიცხოთ ციტრუსი, მარწყვი, ჟოლო, ანანასი, ნესვი, ყავა, კაკაო, შოკოლადი, რძე, შებოლილი თევზი, მანანის ბურღული, მწარე და ცხარე კერძები და ალკოჰოლი. მენიუში ჩართეთ ვეგეტარიანული საკვები, საქონლის ხორცი, რძემჟავა პროდუქტები, მზესუმზირის ზეთი, ბოსტნეულის



სალათები; ხილიდან კი – ვაშლი, ქლიავი და ალუბალი.

მკურნალობის მნიშვნელოვანი ეტაპია ორგანიზმის გაწმენდა წიდებისა და ტოქსინებისგან, ამიტომ, ყურადღება მიაქციეთ კუჭ-ნაწლავის მუშაობას. რძემჟავა პროდუქტები, ჭარხალი და ნიახური საამისოდ კარგი საშუალებაა.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# რა აკავშირებს ბაადურ წულაძეს ვაჟა-ფშაველასთან

***„ქართველებს უცნაური ჩვევა გვაქვს – სულ წარსულს მივტირით. დღევანდელი დღით უნდა იცხოვრო. მინდოდა თუ არ მინდოდა, ასე მოხდა. ყველას თავისი ბიოგრაფია აქვს. თითქოს ყველაფერი ჩემ წინააღმდეგ იყო მომართული, მაგრამ არავისთვის არაფერი დამიბრალებია, პირიქით, ჩემზე მეტი და მხიარული მეგობარი თბილისში არავის ჰყავდა“, – ამბობს ბაადურ წულაძე, რომლის ცხოვრებაშიც წარმატება და წარუმატებლობა ერთ ზღვარზე გადიოდა. მისი ბედის ბორბალი სულ წაღმა-უკუღმა ტრიალებდა, ბოლოს კი არაჩვეულებრივი სამყაროს – კინოს კართან გაჩერდა, საიდანაც მისი შემოქმედება თავისებურად საინტერესო კინოკადრებად დავინახეთ.***



„დავიბადე ბათუმში. 2 წლის ვიყავი, მამაჩემი რომ გადაასახლეს. ჩემი და ჯერ დაბადებულიც არ იყო, გამოძიების დროს გაჩნდა. გამომძიებელმა მიულოცა: გოგონა შეგეძინათ, მაგრამ, სამწუხაროა, რომ ვერასდროს ნახავთო. მანამდე, საქართველოში აჯანყება რომ იყო, მისმა უფროსმა ძმამ, ბაგრატმა, საზღვარზე გადასვლა მოასწრო და პარიზში ამოყო თავი. მამაჩემმაც დააპირა, მაგრამ, ვინც ბიძაჩემი გადაიყვანა, მან ჩაუშვა და საზღვარზევე დაიჭირეს. მაშინ 21 წლის იყო. მთელი ახალგაზრდობა ციმბირში გაატარა. ბაბუაჩემი მღვდელი გახლდათ, ფოთის გიმნაზიაში ქართულ და რუსულ ლიტერატურასა და ენას ასწავლიდა. ძალიან კარგად იცნობდა ვაჟა-ფშაველას. მე მაქვს შენახული ვაჟას ნაჩუქარი სათუთუნე, რომელიც მან ბაბუაჩემს აჩუქა. ბაბუაზე წიგნებია გამოცემული და საეკლესიო წიგნშიც არის შეტანილი, როგორც მოწამე. ანაფორა რომ არ გაიხადა, ღამით დახვდნენ და მოკლეს. მეორე ბაბუა, დედის მხრიდან, სოფელში ასევე ძალიან პატივსაცემი კაცი გახლდათ. დედაჩემი ბუღალტერი იყო და ოცდაოთხი საათი მუშაობდა, ამიტომ მთელი დღე კატო მამიდასთან ვიყავით, რომელიც ჩვენ გამო არ გათხოვდა, მთელი თავისი ცხოვრება ჩვენ მოგვახმარა. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭანჭათში, რომელიც მთებშია, ბაბუაჩემს სახლში უშველებელი ბიბლიოთეკა ჰქონდა. თურმე, პეტერბურგიდან იწერდა წიგნებსა და ჟურნალებს. გადმოცემით ვიცი, რომ ერთხელ შვიდი თუ რვა ურემი შეიყვანეს ეზოში, წიგნებით დატვირთეს და, სად წაიღეს, ღმერთმა იცის. სახლს პატარა სხვენივით ჰქონდა, სადაც ერთი დიდი სკივრი იდგა, მახსოვს, იქ ავიპარებოდი, რომელშიც წიგნები იყო შემორჩენილი. ვკითხულობდი და ვკითხულობდი. იმ წიგნებით აღვიზარდე... მანდარინის სეზონი რომ მოვიდოდა, მთელი ოჯახი ვისხედით, შიგნიდან თეთრი კანი რომ აქვს, იმას ვაცლიდით და ციტრუსის გადამმუშავებელ კომბინატში ვაბარებდით. იქ მანდარინის კანისგან ჯემები მზადდებოდა და ერთ-ორ კაპიკს ვიღებდით. როგორც დამთავრდებოდა სკოლა, მაშინვე ბებიასთან (დედაჩემის დედასთან), სოფელში გვიშვებდნენ, რადგან ქალაქში შიმშილი იყო. სოფელში კი, სიმინდის ფქვილი, მჭადი, რძე, ყველი, ხორცი – ყველაფერი იყო. დილიდან ძროხას გამატანდნენ ხოლმე საბალახოდ, თან, წიგნს წავიღებდი, შებინდებამდე მინდორში ვიჯექი და ვკითხულობდი. მერე დოქით წყაროზე გამაგზავნიდნენ. ჭა გვქონდა, მაგრამ ჭის წყალს არ გვასმევდნენ. მოკლედ, სოფელმა გადაგვარჩინა. იქიდან რომ ვბრუნდებოდით, ბებია ყველაფერს გვატანდა. კიდევ უფრო დიდი გაჭირვება ომის შემდეგ დადგა. მართლა არაფერი იყო. პურის წიგნაკები გვქონდა, მაგრამ, რად გინდათ – პური იყო ტალახივით. მერე დედაჩემმა იმდენი მოახერხა, რომ თეთრი პურის ტალონი მოგვცეს. მოსატანად რომ წავედი, გზაში შემომეჭამა. ძალიან ადრე, სკოლაში წასვლამდე, უნდა ავმდგარიყავი და პურის რიგი დამეკავებინა, თორემ, აღარ შეგვხვდებოდა. მერე, ბათუმში გახსნეს დიდი მაღაზია „ოსობტორგი”, ანუ, „განსაკუთრებული სავაჭრო ცენტრი.” მთელ ქალაქში ერთადერთი მაღაზია იყო, სადაც აბსოლუტურად ყველაფერი ეწყო, მაგრამ, საოცრად დიდი ფასები ჰქონდა. სკოლისკენ გზად მიმავალი, შევივლიდი იმ მაღაზიაში, დახლებს ჩამოვუვლიდი და ვყნოსავდი, რადგან, ვიცოდი, ვერასდროს ვეღირსებოდი იმის ყიდვას, რაც იქ იყო. ბიძაჩემი, დედას უფროსი ძმა, ცოტა უფრო შეძლებული გახლდათ. ერთხელ, ჩამოვიდა და მე და ჩემი და იმ მაღაზიაში წაგვიყვანა – ჩაისთან მისაყოლებელი ძეხვი და ორი ნაჭერი ნამცხვარი გვიყიდა. ის გემო ახლაც მახსოვს, იმაზე გემრიელი არაფერი გვიჭამია.





...მაშინ ასეთი ბინები არ იყო, როგორიც დღესაა. ბარაკისებურ ბინებში ვცხოვრობდით. ერთი დიდი დერეფანი იყო გადატიხრული, ყველას თითო ოთახი ჰქონდა ერთმანეთში გამავალი კარებით, რომლებიც გაუქმებული გახლდათ. ტუალეტი კი ეზოში იყო. მეგობარს ვერ დაპატიჟებდი, ამიტომ, სულ ქუჩაში ვეგდე, სანამ დაბნელდებოდა. თუმცა, ქუჩას ჩემთვის კარგის მეტი არაფერი უსწავლებია – მასწავლა, რომ სუსტი არ უნდა სცემო; რომ ორი ერთს არ უნდა დაესხას თავს... დედაჩემი ჩვენ გამო რას არ აკეთებდა. ყველაფერს ახერხებდა, სულ გაპიწკინებულები დავყავდით მე და ჩემი და. ყოველ კვირას დავდიოდით კინოში – ეს ჩემთვის დიდი ზეიმი იყო. მერე რადიოლა მიყიდა. ჩვენ გარდა არავის ჰქონდა. სახლის სახურავზე ავძვერი, მიკვირს, როგორ არ გადმოვვარდი და უშველებელი ანტენა დავაყენე. საღამოობით ჩავრთავდი და ვუსმენდი. არასდროს მიოცნებია მსახიობობაზე ან რეჟისორობაზე, არასდროს მივლია თვითშემოქმედებით წრეებზე. ჩემი და, კი ბატონო, ბალეტზეც დადიოდა, დრამატულ წრეზეც და, გვეგონა, ის გამოვიდოდა მსახიობი, მაგრამ, არქიტექტურის განხრით წავიდა. ჩვენი სკოლა ბათუმის ბულვარის წინ იყო. იქ რომ შესულიყავი, ვერავინ გიპოვიდა, ტყესავით იყო. პედაგოგები არ შედიოდნენ, რადგან, იცოდნენ, მაინც ვერავის იპოვიდნენ. „თხუთმეტი წლის კაპიტანი” სწორედ იქ გადაიღეს. ღია პავილიონი გააკეთეს, დეკორაციები. მივდიოდით და ვუყურებდით გადაღების პროცესს. მერე სადგურში წავიდოდით, „ელექტრიჩკას“ შევასხდებოდით, მწვანე კონცხზე ჩამოვდიოდით და მთელ დღეს ბოტანიკურ ბაღში ვატარებდით. საღამოსკენ სახლში ვბრუნდებოდით. სტადიონიც გვქონდა და ვთამაშობდით. აი, ასე დავდიოდით შატალოზე.

ერთი მეზობელი გვყავდა, ჟორაია – კინომექანიკოსი. საღამოობით მასთან მივდიოდი შეგირდად. აი, მაშინ ვნახე, რაც ვნახე, მაგრამ, არც მაშინ გამჩენია რეჟისორობისა და მსახიობობის სურვილი. დედაჩემი რაღაცას რომ იტყოდა, საბოლოოდ არჩევანს მაინც შენ გიტოვებდა. ჩვენს დროს, ვინც სკოლას ოქროს მედალზე ამთავრებდა, უგამოცდოდ ირიცხებოდნენ ინსტიტუტში. ძალიან უნდოდა, ინჟინერი ვყოფილიყავი, რაც მაშინ ყველაზე პრესტიჟული იყო. მეც აღარ შევეწინააღმდეგე. გადაწყდა, რომ საბჭოთა კავშირის მასშტაბით, სადაც ყველაზე მაგარი ინსტიტუტია, იქ ჩამებარებინა. ასეთი იყო მოსკოვის ბაუმანის სახელობის სასწავლებელი. ბევრს მშობელი გაჰყვა. დედას ამის არც თავი ჰქონდა და არც საშუალება. ჩემს მეგობარს მიჰყვებოდა დედამისი და მას ჩააბარა ჩემი თავი. ხუთი ადამიანი ნაქირავებ პატარა ოთახში ვცხოვრობდით. ბინის პატრონი მილიციაში საპასპორტო განყოფილებაში მუშაობდა. ინსტიტუტში საბუთებით რომ მივედი, დახედეს და, ყველაფერი რიგზეაო, – მითხრეს, – მაგრამ, ერთი პრობლემაა, საერთო საცხოვრებელი არ გვაქვს. ამიტომ, ცნობა მოიტანეთ, რომ მოსკოვში ჩაგწერონო. ვიცოდი, რომ ეს პრობლემა არ იყო, ჩვენი დიასახლისი ჩამწერდა. მომეცით საბუთები და ბარემ იმ ცნობასთან ერთად მოგიტანთ-მეთქი. წამოვედი, ჩავედი მეტროში, თავი ამოვყავი მეტრო-სადგურზე „პლოშად რევოლუციი”. იქვე, პატარა ჯიხური იდგა – ცნობათა ბიურო. ისე, უბრალოდ, ვიკითხე, აქ კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტი სად არის-მეთქი. აგერ, ცხრა ნომერ ტროლეიბუსს გაჰყევით და



ბოლო გაჩერებაზე ჩამოდითო. მივედი, ვხედავ, გამოკრულია მისაღები გამოცდების პირობები და ფაკულტეტები. რატომღაც, გადავწყვიტე, ყველაზე ადვილი ფაკულტეტი – სარეჟისორო ამერჩია. ვიფიქრე, გამოცდები აგვისტოშია, ჩავაბარებ – ჩავაბარებ, არ ჩავაბარებ და ისევ იმ „ბაუმანში" მივალ-მეთქი. რა ვიცოდი, თურმე, სად შევყავი თავი. დაიწყო ტურები. ერთ ადგილზე ორასი კაცია. გავიარე პირველი, მეორე, მესამე. დავრჩით ოცდაათი კაცი. აი, აქ, უკვე უპირატესობა ეძლეოდა მას, ვისაც რაღაც მაინც ჰქონდა გაკეთებული ამ დარგში და, ასე თუ ისე, ცხოვრება გავლილი ჰქონდა. ვერ გავედი. მეც გავჯიუტდი – არაფერი არ მინდა ამის გარდა-მეთქი. ბათუმში გულნატკენი, მაგრამ იმ იმედით დავბრუნდი, რომ მომავალ წელს, აუცილებლად ჩავაბარებდი. ჩემმა დამაც მოსკოვში, არქიტექტურულზე ჩააბარა. მარტში თბილისში ჩამოვედი. სიკო დოლიძე „ეთერის სიმღერას" იღებდა. კინოსტუდიაში მივდიოდი და ვუყურებდი. ვიღაცამ სთხოვა ჩემზე, ცნობა დაეწერა, ვითომ მასთან ასისტენტად ვმუშაობდი. რას ვმუშაობდი, ტყუილად დავდიოდი. სიკომაც დაწერა წერილი ჩვენი კურსის ხელმძღვანელის, დოვჟენკოს სახელზე: წულაძე ჩემთან ერთად მუშაობდა ფილმზე. მის გარეშე ამ ფილმს ვერ გადვიღებდიო. ასე ჩამრიცხეს ინსტიტუტში. ფილმი რომ გამოდიოდა ეკრანებზე, არ ვიცოდით, ვინ რეჟისორი იყო, ვინ ოპერატორი, ვინ მხატვარი – ეს არავის აინტერესებდა. მე ბრწყინვალედ ვიცოდი კლასიკური მუსიკა და ჯაზი, მაგრამ ჯაზზე ლექციებს იქ არავინ კითხულობდა. ჩემთან ერთად აბარებდნენ ოთარ იოსელიანი და გიორგი შენგელაია. გარდა იმისა, რომ გიორგი ნიჭიერი ბიჭი იყო, ყველამ იცოდა, ვისი შვილიც გახლდათ და, გასაგები იყო, რომ მას მიიღებდნენ. ვიფიქრე, მესამე ქართველს ვინ მიიღებს-მეთქი და მე მიმიღეს. არც ერთ კურსზე არ იყო სამი ქართველი. სხვათა შორის, კარგი სახელით ვსარგებლობდით, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე არეული ცხოვრება ჩვენ გვქონდა. ინსტიტუტში თითით საჩვენებლები ვიყავით – ესენი არიან, რაც არიანო... თბილისში რომ ჩამოვედი, ვიღებდი მოკლემეტრაჟიან ფილმს – „სამნი ზღვის პირას", რომელიც ჩემი სადიპლომო სურათი უნდა ყოფილიყო. ვიღაცამ რაღაც გადაიღო, ხრუშჩოვს არ მოეწონა და ამბები ატყდა – „ცეკას" მთელი დადგენილება ამ ფილმზე იყო. გავჩერდი, ვიყავი ასე უსაქმოდ, ტრამვაის ფულიც არ მქონდა. მერე მიშა კობახიძე ჩამოვიდა – სადიპლომო ფილმს ვიღებ და, მინდა, ჩემთან ითამაშო, ოღონდ, ფული არ მაქვსო. თანხმობა მივეცი. გადაიღო, მაგრამ, არ მოეწონა. ახალი სცენარი დაწერა და გადაიღო „ქორწილი". აქედან დაიწყო ჩემი მსახიობობა, ასე ვთქვათ, უსაქმურობამ გამხადა მსახიობი. მას მერე ხან სად, მეძახდნენ, ხან – სად. მაგრამ, ეს რას მიშველიდა. დიპლომს თუ არ დაიცავდი, ისე ვინ მოგცემდა დიპლომს? საგონებელში ჩავვარდი. ამ დროს შენგელაია ფილმში „რაც გინახავს, ველარ ნახავ" მთავარ როლს თამაშობდა. პარალელურად, მოკლემეტრაჟიან ფილმს – „ჯილდოს" იღებდა. მე სულ დაკავებული ვიქნები, მოდი, ჩემთან მეორე რეჟისორად იმუშავე და სადიპლომოში ჩაგეთვლება, თორემ, ისე შენ ფილმს არავინ მოგცემს, გამორიცხულიაო. ვმუშაობდი, თუმცა, დამდგმელი რეჟისორი მაინც გიორგი იყო. ვინაიდან „ვგიკში" უკვე კარგად მიცნობდნენ და პატივსაც მცემდნენ, დიპლომი მომცეს. ჩამოვედი, მაგრამ, მაინც არ მაძლევენ ფილმს. რეზო გაბრიაძე უკვე ცნობილი სცენარისტი იყო. მივედი და ვთხოვე, რამე ჩემთვისაც დაეწერა, რომ გადამეღო. „ფეოლას" მოკლე შინაარსი მომიყვა. ვუთხარი, დაწერე-მეთქი. რეზო რომ დასვა და დააწერინო, დიდი პრობლემაა. ასე, მიყვებოდა და მიყვებოდა. რაღაც პერიოდი კინოსტუდიასაც გაუჭირდა, გეგმას ვერ ასრულებდა. რეზოს ვუთხარი – აი, ახლა მაქვს შანსი, რომ გავძვრე და უნდა მიშველო-მეთქი. როგორც იქნა, დაწერა „ფეოლას" სცენარი. მიიღეს, მაგრამ, ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ჩემი საქმე – პირველ მასალას რომ გადაიღებ, თუ მოგვეწონა, მაშინ გააგრძელეო. გადავიღე პირველი ეპიზოდი, მოეწონათ. გავაგრძელე. ასე გავხდი რეჟისორი. („მოცურავე", „პეპელა"...) მერე გია დანელია ჩამოვიდა და „არ დაიდარდოში" გადამიღო.






საბჭოთა სისტემა საოცარი იყო: ბინას არ მოგცემდნენ, თუ თბილისში ჩაწერილი არ იყავი, მაგრამ, არ ჩაგწერდნენ თუ აქ ბინა არ გქონდა. ასე ვიყავი ცაში გამოკიდებული. მერე, ჩემმა დამ ინსტიტუტი რომ დაამთავრა, ბინას ვქირაობდით. 1976 წელს, როგორც იქნა, ერთი ჩვენი ნათესავის ნათესავთან ჩამწერეს. მანამდე თხუთმეტი წელი სად და როგორ ვცხოვრობდი, კაციშვილმა არ იცის. ასეთ პირობებში როგორ უნდა შემერთო ცოლი? მერე ეს ბინა ავიშენე, მაგრამ, პატარა ფართობია. რაღაცნაირად წავიდა ჩემი ცხოვრება. ახლა კი ვნანობ, მაგრამ, რა ვქნა, ასე აეწყო, ველარაფერს შევცვლი. რჩევა-რჩევაში დავრჩი ბულდანის ვირივით"...

**ეკა პატარაია**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის" ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის" დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი" 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის" სადისპეტჩერო 231-04-04



**როგორც ეზოთერიკოსები ამბობენ, ბუნებაში უკვალოდ არაფერი ქრება და ერთხელ შექმნილი გენეტიკური კოდიც არ ისპობა – ის რამდენჯერმე მეორდება და ბრუნდება დედამიწაზე სხვადასხვა ადამიანის სხეულში. ასევე, სახლში არსებობს ისეთი პათოგენური ზონები, რომლებიც ადამიანებს დიდ საფრთხეს უქმნის და, შესაძლოა, მათი სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს. როგორც დღევანდელი რუბრიკის რესპონდენტი, ქალბატონი მედეა ამბობს, რაც ადამიანს უწერია, ის არ ასცდება. მკვლელობა, თვითმკვლელობა და ამა თუ იმ დაავადების მიზეზიც კი შესაძლოა, სწორედ ადამიანის დაბადების მომენტში „ზემოდან“ ნაკარნახევი და დაწერილი კანონი იყოს.**

# რას ხედავს ადამიანი გარდაცვალების წინა პერიოდში და სად იწერება ჩვენი ბედისწერა დაბადების მომენტში

**მედეა**: სულ ვამბობ, რომ ბუნებაში უკვალოდ არაფერი ქრება. ერთხელ შექმნილი გენეტიკური კოდი აღარ ისპობა, ის რამდენჯერმე მეორდება დედამიწაზე სხვადასხვა ადამიანის სხეულში. თუმცა, არ არის აუცილებელი, ყოველთვის ადამიანში განმეორდეს. შეიძლება, ფრინველის, ცხოველის, მცენარის ან ისეთი არსების სხეულშიც მოხვდეს, რომლის შესახებ ჯერ არც კი გვსმენია მოკვდავებს. ამგვარი ჰიპოთეზა ამქვეყნად მიმდინარე მოვლენების ლოგიკური ანალიზია. პარალელური ველების არსებობა დღეს ჩვენს გაოცებას აღარ იწვევს. ცნობილი ფაქტია, რომ სიკვდილის წინ ადამიანებს ხშირად ეცხადებათ გარდაცვლილები. ზოგჯერ იმქვეყნად წასული სულები სიზმარში ცოცხლებს თავისთან იხმობენ. ყოფილა შემთხვევა, როცა ძილში მიცვალებულის მიერ თავისთან მოხმობილი ადამიანი მალე გარდაცვლილა. ეს ყველაფერი ბევრისთვის ამოუცნობი, ბევრისთვის მიუღებელი და დაუჯერებელია, მაგრამ, ასეთი რამ მართლაც ხდება და ამის უარყოფა, უბრალოდ, უაზრობა და თავის მოტყუებაა.

**– ეზოთერიკოსები ამბობენ, ადამიანს თავისი ბედისწერა დაბადების დღიდან მოჰყვება. მას „ზემოთ“ წერენ და ამას ვერავინ ასცდება. იქნებ, უფრო გასაგებად ამიხსნათ, რას ნიშნავს ეს?**

– მართალია, ადამიანს რაც უწერია, ის არ ასცდება. ჩემი აზრით, ყველა ჩვენი ფიქრი კოსმოსში მიდის, იქ ხარისხდება ცუდ და კარგ კატეგორიებად და იწერება ჩვენი ცხოვრების ფურცლებზე. ადამიანის სხეულის სიკვდილის შემდეგ ენერგეტიკული კოდი ორმოცი დღის განმავლობაში რჩება დედამიწაზე. აგროვებს გარშემო მყოფთა შესახებ ინფორმაციას და ამის შემდეგ ტოვებს დედამიწას. მისი ხელმეორედ მოსვლისთვის ბედისწერა წარსული ცხოვრების შედეგის მიხედვით იწერება, ანუ, როგორც წინა ცხოვრებაში იქცეოდა, იმის მიხედვით მიიღებს სამაგიეროს მეორედ მოსვლისას. მაგრამ, თუ ადამიანი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, მაშინ, დედამიწაზე მეორედ მოსვლისას, ის ფიზიკური დეფექტით იბადება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამქვეყნად ყველას თავისი მისია ეკისრება და ის სიცოცხლის ბოლომდე უნდა შევასრულოთ, ყოველ შემთხვევაში, ვეცადოთ მაინც.

**– თქვით, რომ ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი ენერგია ოჯახში ტრიალებსო. თუ ადამიანი სახლიდან შორს კვდება, ამ შემთხვევაში რა ხდება?**

– ადამიანის გარდაცვალების დროს პირველად კვდება მისი სხეული, მაგრამ, სპეციალური აპარატურა მის ენერგიას სახლში ორმოცი დღის განმავლობაში აფიქსირებს – ეს ხანგრძლივი კვლევის შედეგი და მეცნიერებისა და ეზოთერიკოსების მიერ დადასტურებული ფაქტია. ერთ მაგალითს დაგისახელებთ: ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც უცხოეთში იყო სასწავლებლად წასული, უეცრად, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა, მისი ენერგია კი სპეციალურმა აპარატურამ სამშობლოში, მის სახლში დააფიქსირა. აქედან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ენერგიისთვის მანძილი არ არსებობს და, შესაბამისად, არც გადაადგილებაა მისთვის პრობლემა. სიკვდილის დროს ხდება გენეტიკური კოდის გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში. ყველა ჩვენგანის კოდი სამყაროსთანაა დაკავშირებული. ანუ, უფრო გასაგებად რომ აგიხსნათ, ადამიანს სამყაროში ამ კოდით იცნობენ და მისი გარდაცვალების შემდეგ ეს კოდი ისევ განაგრძობს არსებობას, მაგრამ ჩვეულებრივ მდგომარეობაში მას ვერ ვამჩნევთ. გეტყვით იმასაც, რომ ადამიანის კოდი მის გარდაცვალებამდე გაცილებით ადრე იწყებს გარდასახვას.

**– ეს როგორ გავიგოთ?**

– ეს იმას ნიშნავს, რომ, ფაქტობრივად, უახლოვდება წინა პერიოდში გარდაცვლილი ადამიანების ენერგეტიკულ მდგომარეობას და მათ ერთმანეთთან დაკავშირების საშუალება ეძლევათ. სწორედ ეს იწვევს გარდაცვლილი ადამიანის ნახვას სიზმარში. ამიტომ ვამბობ ხოლმე, მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ რა მინიშნებას გაძლევენ ღამით ნანახი სიზმრები და იმქვეყნიდან სიზმრად მოვლენილი ახლობლები, კარგად გაიაზრეთ და გაითვალისწინეთ გარდაცვლილთა მინიშნებები-მეთქი.

**მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ რა მინიშნებას გაძლევთ ღამით ნანახი სიზმარი და იმქვეყნიდან სიზმრად მოვლენილი ახლობლები, კარგად გაიაზრეთ და გაითვალისწინეთ გარდაცვლილთა მინიშნებები**

**– ამბობენ, ადამიანის უეცარი სიკვდილი, შესაძლოა, სახლში არსებულმა გეოპათოგენური ზონიდან წამოსულმა უარყოფითმა ენერგიამაც გამოიწვიოსო. ამაზე რა აზრის ხართ?**

– შემიძლია, ფაქტები მოგიყვანოთ და თავად მიხვდებით, თუ რა საშიშია სახლში გეოპათოგენური ზონების გავლენა იქ მცხოვრები ადამიანებისთვის. მოკლედ, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში მიიწვიეს სპეციალისტი, რომ ოთახებში გეოპათოგენური ზონების არსებობა შეემოწმებინა. მან კედელთან ახლოს აღმოაჩინა ძლიერი გეოპათოგენური ზონა, მის მოპირდაპირე მხარეს კი ბავშვის საწოლი იდგა, სადაც ყველაფერი რიგზე იყო. მეცნიერმა მშობლებს აუხსნა, რომ კარგი ქნეს, საწოლი იმ ადგილას რომ, დადგეს და არა კედელთან. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მშობლებიც კარგად ერკვეოდნენ მსგავს საკითხებში. მანამდე ბავშვის საწოლი თურმე სწორედ იმ ადგილას ედგათ, სადაც გეოპათოგენური ზონა იყო და ბავშვი იმ პერიოდში ხშირად ჭირვეულობდა, ავადმყოფობდა, უჭირდა დაძინება და ძილშიც არ იყო მშვიდად. ბევრ ექიმსაც გაასინჯეს, მაგრამ ავადმყოფობის მიზეზი ვერ დაუდგინეს. საწოლი გადააადგილეს თუ არა, მაშინვე დაიწყო ბავშვმა გამოჯანმრთელება, ძილიც გამოუსწორდა, დამშვიდდა და ჭირვეულობამაც გაუარა. ეს იმის მანიშნებელია, რომ გეოპათოგენური ზონები ძალიან საშიშია ადამიანისთვის. თუ დიდხანს დარჩით ასეთ ზონებში, შესაძლოა, მან ისეთი დაავადება გამოიწვიოს, რომლის გართულებას სიკვდილიც კი მოჰყვეს. ყველა მშობელს ვურჩევ, ამ მხრივ განსაკუთრებული სიფრთხილე ბავშვების მიმართ გამოიჩინონ. აქვე გეტყვით, რომ ბავშვები ინტუიციით ხვდებიან და გრძნობენ მათთვის საშიშ ზონებს. მაგალითად, თუ ბავშვი ვერ იძინებს, ჭირვეულობს, ტირის და ცდილობს საწოლიდან გადმოსვლას, ან ღამით იღვიძებს და ტირილს იწყებს, ესე იგი, კოშმარები ესიზმრება. მისი მოუსვენრობისა და კოშმარული სიზმრების მიზეზი კი სწორედ გეოპათოგენური ზონის ზემოქმედებაა. დღეს უკვე ბევრს საუბრობენ და მსჯელობენ იმ სავალალო შედეგებზე, რაც გეოპათოგენური ზონების მოქმედებას მოჰყვება. თუ გეოპათოგენური ზონა გადის სამზარეულოზე, ეს ძალიან საშიშია. მას შეუძლია, პროდუქტების ენერგია შეიწოვოს, ასეთი პროდუქტის მიღება კი ადამიანში უარყოფით შედეგებს იწვევს. საერთოდ, ბევრი რამაა დამოკიდებული ამა თუ იმ ველის სიმძლავრეზე. ზოგიერთი გეოპათოგენური ზონის ნეიტრალიზაცია შეიძლება, ზოგიერთის კი – არა. სხვათა შორის, შავი მაგიის მიმდევარი ჯადოქრები სწორედ ისეთ გეოპათოგენურ ზონას იყენებენ პარალელურ სამყაროსთან ურთიერთობის დროს, რომლის განეიტრალებაც ძალიან რთულია. ველი იწოვს ადამიანის ცხოველქმედების უნარს, მაგრამ, თუ ამ ზონას რამდენიმე მეტრით მოაშორებთ საწოლს, სამუშაო მაგიდას და ასე შემდეგ, გეოპათოგენური ენერგიის აღარ უნდა გეშინოდეთ.

**– რა მანძილზე ვრცელდება საშიში ზონების არეალი?**

– საერთოდ, გვხვდება ძლიერი გეოპათოგენური ზონებიც, რომელთა გავრცელების არეალი რამდენიმე კილომეტრიც კია და ასეთ ადგილს უნდა მოშორდეთ. გეტყვით იმასაც, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ზონის გავრცელების სიხშირეზე. ადამიანზე გეოპათოგენური ზონის დიდხანს მოქმედებამ, შესაძლოა, მძიმე დაავადებები გამოიწვიოს. გეოპათოგენური ზონა მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე და უმეტესად იწვევს ონკოლოგიურ ან სხვა მძიმე დაავადებებს. გეოპათოგენური ველი არა მარტო საცხოვრებელ ბინებშია, არამედ, შეიძლება, ყველგან შეგხვდეთ და მისი ზემოქმედებისგან არავინაა დაცული. კარგად დააკვირდით, სად გრძნობთ თავს ცუდად, სახლის რომელ კუთხეში ხართ მოუსვენრად და ასე შემდეგ. ასევე, თუ ღამით ცუდად გძინავთ, შეუცვალეთ საწოლს ადგილმდებარეობა, რადგან, შესაძლოა, დიდი ხანია, გეოპათოგენური ზონის ქვეშ გძინავთ და ეს დიდ საფრთხეს შეგიქმნით მომავალში.

**ნონა დათეშიძე**

## მოთმინების ფასი

ფემინისტებში ქალის ეს თვისება დიდ პროტესტს იწვევს. რატომ უნდა მოითმინო, თუკი სქესს მნიშვნელობა არ აქვს და ყველა ადამიანი თანასწორია?! ფემინისტებს ლოზუნგიც კი აქვთ: „საკმარისია მოთმენა!“ მაგრამ, შეიძლება კი ჯანსაღი ურთიერთობა მოთმენა-დათმობის გარეშე?! ეს, პრაქტიკულად, შეუძლებელია. დიახ, დღეს ქალები სხვანაირები გახდნენ – ისინი ბევრად თავისუფლები, საქმიანები, მიზანდასახულები და დამოუკიდებლები არიან, შესაბამისად, გაცილებით აქტიურებიც და პარტნიორებადაც შემდგარი, საქმიანი მამაკაცები უნდათ, რომლებიც მათ ბოლომდე გაუგებენ და ზედმეტად არ შეაწუხებენ. მაგრამ, აბა, შეეკითხეთ მამაკაცებს, მათ ძალიან უნდათ ისეთი ცოლები, რომლებსაც აქვთ მოთმინების უნარი და იციან მისი ფასი? თუმცა, ფასს ვიხდით ჩვენ და არა ისინი – ქალები ითმენენ უხეშობას, დაუმსახურებელ საყვედურებს, პასუხისმგებლობის მთელ ტვირთს, ღალატს და, რაც ყველაზე ცუდია, მამაკაცების მხრიდან ამ მოთმინების არდანახვას. ანუ, კითხვაზე – ღირს, გვქონდეს მოთმენის უნარი? – ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს.

მოთმინება სარისკო საქმეა. უთმენ, უთმენ, უთმენ და... ბოლოს მიგატოვებს... მხარში უდგახარ, ყველაფერს აკეთებ მისი გულისთვის და – უკვე წარმატებული, სხვასთან გარბის... ანუ, პრობლემა მარტივი ნამდვილად არ არის. ამიტომ, თავად უნდა იპოვოთ ოქროს შუალედი და ის ზღვარი, რომლის იქითაც საკმაოდ ძვირის გადახდა მოგიწევთ, ისეთი ძვირის, რომ „ვალის გასტუმრებას“, შეიძლება, მთელი თქვენი დარჩენილი ცხოვრებაც არ ეყოს...

## ძლიერი და ინფანტილური

უცნაურია, რატომ არის მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა ქალისაზე ნაკლები. ისინი ხომ გაცილებით ინფანტილური არსებები არიან. აქედან მოდის ისიც, რომ არ შეუძლიათ ყურადღების კონცენტრირება. შეიძლება, წინდა ცხვირწინ ჰქონდეთ, მაგრამ მაინც გკითხოთ – სად არის ჩემი წინდა?.. და სამწუხაროდ, ეს მარტო წინდებს არ ეხება. ქალებს კი ალიზიანებთ, უფრო სწორად, აცოფებთ ასეთი, ერთი შეხედვით, მიამიტური და გულუბრყვილო შეკითხვები. ქალს ძალიან სჭირდება რეალური მამაკაცის რეალური მხარდაჭერა. რაც მათ უმრავლესობას არ ესმის. ჩნდება ბუნებრივი შეკითხვა – ყველა მამაკაცი თავიდანვე ასეთი იყო, თუ ძლიერი მამაკაცის სახეობა – აი, ისეთი, მასზე, როგორც კლდეზე დაყრდნობა რომ შეიძლებოდა, უბრალოდ, გადაშენდა?

გვინდა თუ არ გვინდა, რეალობა თუ მოცემულობა ასეთია: კაცები საკუთარ თავს ძლიერ სქესად რომ მიიჩნევენ, ხშირად არ არიან ადეკვატურები. ხშირად უპასუხისმგებლოდ, ბავშვებივით იქცევიან და ამით საკუთარ წისქვილზე ასხამენ წყალს. ზოგავენ ნერვულ სისტემას, არ ვნებენ ჯანმრთელობას და თავსაც არ იწუხებენ. საკმაოდ მავნე ტენდენციაა ის, როცა ვამბობთ – მამაკაცი დიდი ბავშვია. უნებლიეთ ხელს ვუწყობთ ჩვენზე უპასუხისმგებლო, ნებიერა არსების ბატონობას. იმიტომ რომ, თურმე, ბევრი რამ ეპატიება – ის ხომ ბავშვია, რომელიც, როცა უნდა, ძლიერი ხდება და ბატონობს. არც ინფანტილიზმისთვის უნდა შევაქოთ, რადგან ესეც მათ აძლევთ ხელს. რა თქმა უნდა, საშუალება იმისა, რომ იყვნენ ისეთები, რაც რეალურად არიან, მათ უნდა მივცეთ. მაგრამ, პასუხისმგებლობა – პასუხისმგებლობის წილ! აი, ჯანსაღი ურთიერთობის მთავარი პრინციპი.

## შენი სიმშვიდისთვის

ფსიქოლოგები გვირჩევენ, რომ თუ გვინდა, სრულფასოვანი ცხოვრება გვქონდეს, დროდადრო საკუთარ თავს ამოსუნთქვის საშუალება უნდა მივცეთ. დავივიწყოთ ყოველდღიური საზრუნავი, იმიჯი, რომლის შექმნაზეც ბევრს ვჯახირობთ და მოვიწყოთ პატარა, თუნდაც რამდენიმედღიანი დღესასწაული... ძალიან ბევრი ჩვენგანი შვებულების პერიოდში გეგმავს იმ პრობლემების (თუნდაც წვრილმანი) მოგვარებას, რომლებსაც სამუშაოს გამო ვერ ასწრებდა. პირდაპირ გეტყვით, ეს დანაშაულია საკუთარი თავის წინაშე. თქვენს თავს ძვირფას დროს პარავთ და ამით დიდ ზიანსაც აყენებთ. თუ არ დაიცლებით ემოციებისგან და არ მიიღებთ ახალ შთაბეჭდილებებს, გამოიფიტებით, დაიზიანებთ ნერვულ სისტემას, აღარ იქნებით შრომისუნარიანი. ერთი სიტყვით, მიხვალთ იქამდე, რომ ახალ პრობლემებს დაუმატებთ ძველს.

იმდენი მაინც მოახერხეთ, რომ ორი-სამი დღით ბუნებრივ, ბიოლოგიურ გარემოში გადით. ჯერ ერთი, მწვანე ფერი დამამშვიდებლად იმოქმედებს თქვენს ნერვულ სისტემაზე, მეორეც – ეს ის ადგილია, სადაც ბუნებას უბრუნდებით და ხდებით თავისუფალი. არავითარი სოციალური ნორმები და ჩარჩოები, არავითარი სტატუსი, ეტიკეტი და სტანდარტები... ის, ვინც ამას ახერხებს, გაცილებით ბედნიერია. გააკეთე შენც იგივე. მიეცი საკუთარ თავს და სულს თავისუფლად სუნთქვის საშუალება, ყველანაირი გაგებით და იგრძენი სიხარული... სლოგანივით ჟღერს, მაგრამ ეს ჩვენი სიმშვიდისთვისაა აუცილებელი.

## საშიში – თვითშეფასებისთვის

თუ მარტო ხართ, თუ ცხოვრების თანამგზავრი ჯერაც ვერ იპოვეთ, თუ არც ისეთი წარმატებული ბრძანდებით, ანუ, ვერ მიაგენით ნიშას, სადაც თავს კომფორტულად იგრძნობთ, ნუ დაიზოლირებით, დაიწყეთ თქვენი შინაგანი სამყაროს გაჯანსაღება. გარემოსაც აქვს მნიშვნელობა, თუმცა, გაცილებით ნაკლები. თანამედროვე ადამიანები სულ უფრო ხშირად და ადვილად გასცემენ ინფორმაციას საკუთარი თავის შესახებ სხვადასხვა საშუალებით – პირადი საუბრებით თუ ინტერნეტის მეშვეობით. ერთი მხრივ, ეს თითქოს კარგია, მაგრამ, მეორე მხრივ, არცთუ იშვიათად ხდება ისე, რომ შეუცნობლად ვაიდეალებთ სხვის ცხოვრებას და ისე ვითრგუნებით, ვერც კი ვამჩნევთ ამას. რატომ არ ფიქრობთ იმაზე, რომ, ის სხვა, შესაძლოა, ლამაზად ფუთავს თავის პირადს და ასე „გაბანტულ-გალამაზებულს“ გაწვდით. რასაც საერთო ბევრი არაფერი აქვს რეალობასთან. პრობლემები აქვს ყველას – ეს არის აქსიომა. თქვენ რომ გგონიათ, ვილაც უზრუნველად და მხიარულად ცხოვრობს, შეიძლება, პირიქით არის და ყოველდღე თავზესაყრელად აქვს სანერვიულო. უარი თქვით, იყოთ სხვისი „ზღაპრისა“ და ფერადი ოცნების „მომხმარებელი“ – ეს საშიშია თქვენი თვითშეფასებისთვის. ქალებს მამაკაცებზე დიდი წარმოსახვის უნარი გვაქვს და გაცილებით სენსიტიურებიც ვართ – იფიქრეთ ამაზე და ნუ შეუქმნით პრობლემას საკუთარ „მეს“! ნუ შეიყვანთ მას ჩიხში და ნურც დააკნინებთ, პირიქით, პატივი ეცით და ხშირად შეაქეთ – თქვენ ეს დაიმსახურეთ!

## მტერი?! – არა, მოკავშირე!

ქალების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქმრის მეგობრები მათი პოტენციური მტრები არიან. ამბობენ, მისი საძმაკაცო იმ ძვირფას დროს მპარავს და მართმევს, რომელიც მე და შვილებს გვეკუთვნისო და, შედეგად, ამის ნიადაგზე საკმაოდ ხშირია კონფლიქტები ცოლქმარს შორის. მამაკაცებს ისევე სჭირდებათ მეგობრები, როგორც ქალებს, უბრალოდ, მამაკაცური მეგობრობა განსხვავდება ქალურისგან და ბევრ ცოლს სწორედ ეს არ მოსწონს. მაგრამ, აუცილებლად წაგებული დარჩება ქალი, რომელიც ქმრის მეგობრებს მტრად დაისახავს და ომსაც გამოუცხადებს. ამ ომში ასპროცენტიანი მოგებული მხარე ვერც ერთი ვერ დარჩება; დაზარალდება მამაკაციც, მაგრამ ის პოზიციებს მაინც არ დათმობს. გაცილებით მომგებიანი ვარიანტია, თქვენ რომ მტერი გგონიათ, ის ადამიანი მოკავშირედ აქციოთ, ანუ, რაღაცნაირად თავად გახდეთ მათი საქმის ნაწილი. ეს არ არის რთული და მერე ძალიანაც მოგეწონებათ, როცა ისინი თავისად მიგიღებენ და თქვენი მისამართით კომპლიმენტებსაც არ დაიშურებენ. როგორი ურთიერთობა უნდა გქონდეთ ქმრის მეგობრებთან? – ისეთი, როგორიც პოტენციურ მოკავშირესთან აქვთ ხოლმე. კაცისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა მეგობრებს მისი პარტნიორი ქალი მოსწონთ და პატივს სცემენ. მოახერხეთ ისე, რომ ისინი ჯერ თქვენ გიმხელდნენ თავის გასაჭირს და მერე – თქვენს რჩევებს. არა უშავს, თუ ფეხბურთი არ გიყვართ და ლუდზეც არ გიჟდებით. ბოლოს და ბოლოს, ყოველდღე ხომ არ არის ეს ფეხბურთი და, არც ლუდია საშინელება. ერთი სიტყვით, ქალს უამრავი საშუალება აქვს, მტერი მოკავშირედ აქციოს – გამოიყენეთ ისინი...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# სასარგებლო და დიეტური პროდუქტების კალათა ამერიკელი დიეტოლოგისგან

ამერიკელმა პროფესორმა კოლინ კემპბელმა შეიმუშავა ვეგეტარიანული დიეტა და საზოგადოებას სთავაზობს პროდუქტების კალათას, რომელში შემავალი პროდუქტების მიღებაც ნებადართულია მხოლოდ



უმი, მოხარშული ან ორთქლზე დამუშავებული სახით.

***რეჟიმი***: კვებასა და კვებას შორის მინიმუმ 1, მაქსიმუმ 2 საათი; ბოლო კვება – 19 საათზე.

***საკვების რაოდენობა***: მინიმუმ 200, მაქსიმუმ 300 გრამი.

***სითხის რაოდენობა***: მინიმუმ 1,5, მაქსიმუმ 2,5 ლიტრი.

**მაქსიმალურად ჩართეთ მენიუში:**

***ხილი*** – ავოკადო, ფორთოხალი, საზამთრო, გრეიპფრუტი, მსხალი, ნესვი, მაყვალი, კივი, მარწყვი, ჟოლო, მანგო, პაპაია, ატამი, მოცვი, ვაშლი.

***ბაღჩეული*** – ბადრიჯანი, კიტრი, პომიდორი, ბულგარული წიწაკა, ყაბაყი.

***მარცვლეული და პარკოსნები*** – წიწიბურა, სიმინდი, ქერი, ჭვავი, ხორბალი, ბრინჯი.

***ფოთლოვანები, ბოსტნეული*** – არტიშოკი, ბაზილიკი, წყალმცენარეები, ყველა სახეობის კომბოსტო, ჭარხლის ფოთოლი, ისპანახი, ყველა სახეობის სალათის ფოთლები, სატაცური, ქინძი, ოხრახუში, ნიახური.

**მინიმალური რაოდენობით გამოიყენეთ:**

***რაფინირებული ნახშირწყლები*** – მაკარონი, ვერმიშელი, თეთრი პური, კრეკერები, შაქარი, მარილი, ნამცხვრები, ტორტი, ცომეული.

***მცენარეული ზეთები*** – სიმინდის, არაქისის, ზეითუნის, მზესუმზირის.

***თევზეული*** – ორაგული, თინუსი, ხეკი.

**გამორიცხეთ:**

***ხორცეული*** – ბიფშტექსი, ჰამბურგერი, ცხიმიანი ღორის ხორცი, ფასტფუდი.

ჩიპსები და შემწვარი კარტოფილი.

***ფრინველი*** – ქათამი, ინდაური.

***რძის პროდუქტები*** – ყველი, რძე, არაჟანი, იოგურტი.

# თუნდაც მხოლოდ 15 წუთი

არანაირი დიეტა, კრემები, ნილბები და ასე შემდეგ არ მოგცემთ სასურველ შედეგს ვარჯიშის გარეშე. არ არის აუცილებელი, დილიდან საღამომდე სატრენაჟორო დარბაზებში ღვაროთ ოფლი, დილა-საღამოს ორ-ორი საათი ირბინოთ ან საცურაო აუზს მიაკითხოთ ყოველდღე. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ძალიან კარგია, მაგრამ, ვინაიდან ქალბატონების უმრავლესობას საამისოდ არც დრო გააჩნია და არც ფინანსები, გთავაზობთ იოლ და უფასო ალტერნატივას: დაიწყეთ ყოველი დღე მარტივი ვარჯიშებით. ეს არც ბევრ დროს წაგართმევთ და თან დაგეხმარებათ, გაავარჯიშოთ კუნთები, გაიუმჯობესოთ სისხლის მიმოქცევა და ორგანიზმი მთელი დღის განმავლობაში დამუხტოთ მხნეობით. ვარჯიშის შემდეგ კონტრასტული შხაპი და მსუბუქი საუზმე კი სრულყოფილს გახდის თქვენს გარდასახვას.



აუცილებელი პირობა: ვარჯიშები შეასრულეთ აივანზე ან ღია ფანჯარასთან.

**ვარჯიში პირველი**: დადექით სწორად, ფეხები გადგით მხრების სიგანეზე. განზე გაშალეთ ხელები და გააკეთეთ წრიული მოძრაობა „პროპელერი" ჯერ თითოეული ხელით ცალ-ცალკე, შემდეგ კი ორივე ხელით ერთად, ჯერ ერთი, მერე კი მეორე მიმართულებით (3-5 წუთი).

**ვარჯიში მეორე**: ფეხები მიადგით ერთმანეთს და დადექით დონჯით. მაქსიმალურად დაიხარეთ წინ და ისევ მიიღეთ საწყისი მდგომარეობა; შემდეგ გადაიხარეთ უკან და კვლავ საწყისი მდგომარეობა მიიღეთ (შეასრულეთ 5-10-ჯერ).

**ვარჯიში მესამე**: დაწექით ზურგზე, ხელები გაშალეთ ტანის პარალელურად და ფეხები ნელი მოძრაობით ასწიეთ მაქსიმალურად ზევით, რამდენიმე წამით შეაჩერეთ და შემდეგ ისევ ნელ-ნელა დაუშვით (ჯერ თითოეული ფეხი ცალ-ცალკე, შემდეგ კი – ორივე ერთად). შეასრულეთ 10-ჯერ.

**ვარჯიში მეოთხე**: 3-5 წუთის განმავლობაში ატრიალეთ ჰულა-ჰუპი ჯერ მარცხენა, შემდეგ კი მარჯვენა მიმართულებით.

**ვარჯიში მეხუთე**: აიღეთ სახტუნაო და გაიხსენეთ ბავშვობა.

ზემოთ ჩამოთვლილი ვარჯიშების შესრულება სულაც არ არის რთული და არც დიდ დროს მოითხოვს, რომ აღარაფერი ვთქვათ ხარჯებზე. მთავარია, ყოველ დილით გაიმეტოთ საკუთარი თავისთვის თუნდაც მხოლოდ 15-20 წუთი და ეს რეჟიმი თქვენი ცხოვრების წესად აქციოთ. პირველივე ვარჯიშის შემდეგ იგრძნობთ ენერგიის მატებასა და ხალისიან განწყობას მთელი დღის განმავლობაში.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა**: **მაინტერესებს, რა არის ამ სეზონის მთავარი ტრენდი თმის ფერის თვალსაზრისით და განსაკუთრებით რას უნდა მივაქციოთ ყურადღება შეღებვის დროს?**

**პასუხი**: როგორც „ლორეალ პარიზის" საერთაშორისო კოლორისტ-კრეატორი კრისტოფ რობინი ამბობს, ამ სეზონის მთავარი ტრენდია ბუნებრივი ფერი. თმის შეღებვის დროს კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ თვალებს, ანუ, მთავარია, მიხვდეთ, რა მოუხდება თქვენს თვალებს (ფერს, ჭრილს; ასევე, გასათვალისწინებელია ასაკი და სახის კანის ფერი), რა შესძენს მათ განსაკუთრებულ სხივსა და იდუმალებას.

**კითხვა**: **რას ნიშნავს ტერმინი „ფოტოდაბერება" და როდის იჩენს ის თავს?**

**პასუხი**: ფოტოდაბერება არის ულტრაიისფერი სხივების უარყოფითი რეაქცია კანზე. ის თავს იჩენს მაშინ, როცა დაუცველი კანი ხანგრძლივად განიცდის მზის სხივების (ან სოლარიუმის) ზემოქმედებას. ამ დროს კანი შრება და იწყებს სწრაფად დაბერებას: ჩნდება წვრილი ნაოჭების ბადე, პიგმენტური ლაქები, კანი კარგავს ტონუსს. ყოველივე ამის შედეგად კი ქალი გამოიყურება გაცილებით უფრო ასაკოვნად, ვიდრე არის სინამდვილეში.

**კითხვა**: **რა არის პიგმენტაცია, დაბერების ნიშანი თუ კანის რაიმე სახის დაავადება და რა შეიძლება იყოს მისი გაჩენის მიზეზი?**

**პასუხი**: პიგმენტაცია უმრავლეს შემთხვევაში ჩნდება ულტრაიისფერი სხივების გადაჭარბებით მიღების შედეგად.



იაპონელი სპეციალისტების აზრით, პიგმენტაციის დარღვევა დაბერების გაცილებით უფრო სერიოზული ნიშანია, ვიდრე ნაოჭების გაჩენა ან კანის სიმკვრივის დაკარგვა. ავსტრიელმა მეცნიერებმა კი ახლახან დაადგინეს, რომ უსიამოვნო მოყავისფრო ლაქები სახეზე ვიზუალურად 10-15 წლით აბერებს ადამიანს.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

## არავის მივცემ დედაჩემის დაჩაგვრის უფლებას

ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ მუშაობას და როდის მექნება ჩემი შემოსავალი, რომ ერთი პატარა ბინა ვიქირაო, წავიყვანო დედაჩემი და ცალკე გადავიდე საცხოვრებლად.

ძალიან დიდ ბოდიშს გიხდით, ამას რომ ვამბობ, მაგრამ, არ მინდა, დედა ბოლომდე შევაჭმევინო ამ ურჩხულ ბებიაჩემს. რომ ჰკითხო, პროფესორი და დეკანია ერთ-ერთ ცნობილ უმაღლეს სასწავლებელში და იმასაც ტრაბახობს, ყველა მე მეკითხება რჩევასო, მაგრამ, რასაც მე მას სახლში ვუყურებ, ძალიან მეპარება ეჭვი, ვინმეს რამე ჭკვიანური ურჩიოს.

ვიცი, რატომაც აქვს ასე თავში ავარდნილი – თურმე ბაბუაჩემი ანებივრებდა, ხელისგულზე ატარებდა და მიწაზე ფეხს არ ადგმევინებდა. ის რომ გარდაიცვალა, მერე მისმა შვილმა, ანუ, მამაჩემმა განაგრძო დედის განებივრება და, როგორც დედოფალს მონა, ისე ემსახურებოდა. ისე ჰყავდა ამხელა კაცი ფეხქვეშ ამოდებული, შეეძლო, მეგობრების თანდასწრებით ფეხების დაბანა დაევალებინა და ისიც წარბშეუხრელად უსრულებდა ყველა სურვილს. გასაგებია, რომ დედას მოვლა და პატივისცემა სჭირდება, მაგრამ, არა ღირსების შელახვის ხარჯზე. ასეთ ბატონობას მიჩვეულმა, დედაჩემისგანაც იგივე მორჩილება და მონობა მოითხოვა, მაგრამ, ოდნავ წინააღმდეგობას რომ წააწყდა, მაშინვე დაიწყო ტყუილების გამოგონება და მამაჩემთან ენის მიტანა, თითქოსდა მისი ცოლი უზრდელად და უხეშად ექცეოდა, ლანძღავდა და ამცირებდა. მამაჩემს, ცხადია, მხოლოდ ბებიაჩემის სჯეროდა და ისეთ დღეს აყრიდა დედაჩემს, საწყალმა ქალმა რამდენჯერმე თავის მოკვლაც კი გადაწყვიტა. სანამ პატარა ვიყავი, ვერ ვერეოდი მათ ჩხუბში. რომ წამოვიზარდე, ბევრჯერ ვთხოვე დედას, წავიდეთ ამ სახლიდან-მეთქი, მაგრამ, ვერ ბედავდა – მგონი, მამაჩემის ეშინოდა.

ბებიაჩემი მე შედარებით უკეთესად მექცეოდა, რადგან, ერთი-ორჯერ სცადა ჩემი „დაჩმორება" და საკადრისი პასუხიც მიიღო, თუმცა, ჩემზე გაბრაზებული, დედაჩემს ეცემოდა ხოლმე ლანძღვა-გინებით – შენისთანა მათხოვარი რომ შემოვუშვი სახლში, იმიტომაც ჩავვარდი ამ დღეშიო. ხომ ასეთი აფთარი იყო რძალთან, მაგრამ, უნდა გენახათ, როგორი ნაზი და დახვეწილი ხდებოდა, სტუმარი თუ მოვიდოდა. თვალებს არ ვუჯერებდი ხოლმე – ნუთუ ეს ბებიაჩემია-მეთქი. დედაჩემს სულ „დედიკოთი" მიმართავდა, ულიმოდა და ეფერებოდა, რაც კიდევ უფრო მაღიზიანებდა და მის წინააღმდეგ განმაწყობდა. მის გამო მამასთანაც აღარ მქონდა ნორმალური ურთიერთობა, რადგან, ერთად ჩაგრავდნენ დედაჩემს.

ამიტომ, ძალიან მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, თუ წელს სტუდენტი გავხდი, სექტემბრიდანვე ვიშოვი რამე სამსახურს, რამდენიმე თვეში ცოტა ფულს დავაგროვებ და თუნდაც ერთ პატარა ოთახს ვიქირავებ ჩემთვის და დედასთვის. დედა ძალიან კარგად კერავს და ქსოვს; კიდევ, ფანტასტიკურად აცხობს და როგორმე გავიტანთ თავს, არ დავიკარგებით. მამაჩემს კი სხვანაირად მოვთხოვ პასუხს – თუ დედაჩემის მიმართ არ შეიცვლება, სამსახურში მივალ მასთანაც და დედამისთანაც და, ძალიან რომ მოაქვთ თავი, ორივეს თანამშრომლებს მოვუყვები, სინამდვილეში რას წარმოადგენენ. ვიცი, რომ ეს ძალიან ცუდი საქციელია, მაგრამ, რა ვქნა, თუ არჩევანს არ დამიტოვებენ, აუცილებლად გავაკეთებ ამას, თუნდაც მთელმა ქვეყანამ გამამტყუნოს და, მერე დადგნენ და იმართლონ თავი.

დედამ არ იცის, ამის გაკეთებას რომ ვაპირებ. არც ვეტყვი, რადგან, ვიცი, რომ არ მომცემს ამის უფლებას. არადა, სხვანაირად ვერ მოვერევი ორ არანორმალურს, რომლებსაც, სამწუხაროდ, მამაჩემი და ბებიაჩემი ჰქვიათ. მაგრამ, რაც არ უნდა გამამტყუნონ, როგორც არ უნდა დავზარალდე ამით, არც ერთს არ მივცემ უფლებას, ნელ-ნელა მომიკლან დედა, რომელსაც ვაჟკაცობა არ ჰყოფნის, თავი დაიცვას.

**მეგი, 17 წლის.**

## თურმე სიყვარული არ არსებობს

ყოველთვის მჯეროდა, რომ სიყვარული არსებობს, რომ ეს არის ყველაზე მშვენიერი და მარადიული გრძნობა; მეგონა, როცა ვინმე შეგიყვარდება, მნიშვნელობა არ აქვს, ვისი შვილია, მდიდარია თუ ღარიბი, მაღალი თანამდებობა აქვს თუ უბრალო სამსახური; ჩემთვის ყოველთვის მისი პიროვნული ღირსებები იყო მთავარი, მაგრამ, თურმე, ვცდებოდი. ჩემ გარშემო, თითქმის ყველა, ბიჭებიც და გოგოებიც, მარტო იმას ჩალიჩობენ, რომ მდიდარი მამიკოების მანქანიანი და ფულიანი შვილები გაიცნონ და დაუახლოვდნენ. შენი წესიერება, წიგნიერება, ინტელექტი და ხასიათი არავის აინტერესებს.

ერთხელ მეგობრის დაბადების დღეზე ერთი ბიჭი გავიცანი. რაიონიდან იყო ჩამოსული, მაგრამ, ძალიან კარგი გარეგნობის გამო უცბად გახდა გოგოებში პოპულარული. თან, ძალიან კარგად უკრავდა და მღეროდა და, ამიტომ, ყველაზე ცნობილი და განებივრებული გოგოებიც კი ეპრანჭებოდნენ. ისე მოხდა, რომ იმდენ გოგოში მე გამომარჩია და გვერდიდან აღარ მომშორებია, მერე სახლამდეც მიმაცილა, ტელეფონის ნომერიც გამომართვა და პაემანიც დამინიშნა. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, რადგან იქ ჩემზე ლამაზი გოგოებიც იყვნენ და ლამის ზედ ახტებოდნენ, რომ მისი ყურადღება მიექციათ, ის კი მხოლოდ მე დამტრიალებდა თავს. იმდენი ქნა, თავი შემაყვარა. ისე შემიყვარდა, ჭკუაზე აღარ ვიყავი. თვითონაც ყოველდღე სიყვარულს მეფიცებოდა. ერთ-ერთი შეხვედრის დროს კი მითხრა, ეტყობა, შენი მშობლები ძალიან მკაცრები არიან, რომ მანქანით სიარულის უფლებას არ გაძლევენ და არც ბრენდები გაცვიაო. მე გამიკვირდა და ვუპასუხე, რომ ჩვენ არანაირი მანქანა არ გვყავს და არც ბრენდული ტანსაცმლის ფული გვაქვს, თანაც, სულ არ ვგიჟდები ჩაცმაზე-მეთქი. ისე შეხტა ჩემს ნათქვამზე, შემეშინდა კიდეც. მერე დაეჭვებულმა გამომკითხა, ვინ იყვნენ ჩემი მშობლები და, როცა ვუთხარი, რომ დედა პოლიკლინიკის რიგითი ექიმია, მამა კი არქიტექტორია ერთ-ერთ საპროექტოშიმეთქი, ცინიკურად გაიცინა და მითხრა: მე ვიცოდი, რომ მამაშენი მინისტრის მოადგილე იყო, შენთვის ცალკე ბინა და მანქანა ჰქონდა ნაყიდი; ორი აგარაკიც შენს სახელზე ჰქონდა გაფორმებული და საფრანგეთში ვიღაც წინაპარმა ანდერძით დიდი ქონებაც დაგიტოვა. გამოდის, რომ ეს ყველაფერი ტყუილი ყოფილაო. გაოცებისგან პირი დამრჩა ღია – ასეთი სისულელეები ვინ გითხრა-მეთქი. გაირკვა, რომ ჩემს ერთ-ერთ თანაკურსელ გოგოს უთქვამს, სწორედ იმას, რომელსაც ადრე ზვიადი ჰყვარებია, მაგრამ, მის დაქალს წაურთმევია და, იმ დაქალისთვის რომ ჩამოეშორებინა, მე გამომიყენა იარაღად.

ზვიადმა იმ საღამოსვე მითხრა, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულიაო. მიზეზი რომ ვკითხე, არც დაუმალავს, პირდაპირ მომახალა, ჩემზე უარესი გაღლეტილი და გაჭირვებული ოჯახიდან გამოსული გოგო რა ჩემ ფეხებად მინდაო. ისეთი პრეტენზიები ჰქონდა მდიდარ საცოლეზე, თითქოს თვითონ ნავთობის მაგნატის შვილი იყო. მე თავიდანვე ვიცოდი, რომ თანასოფლელთან ერთად ჰქონდა დაქირავებული ოთახი თბილისის გარეუბანში და იმ თავისი წილის გადახდაც უჭირდა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ის კი თურმე ძმაკაცებსაც ქონების მიხედვით არჩევდა.

ძალიან განვიცადე ზვიადთან დაშორება, მაგრამ, ახლა, როცა, ასე თუ ისე, გადავიტანე ყველაფერი, ვფიქრობ, კარგიც არის, ასე რომ მოხდა და დროზე რომ გაირკვა, სინამდვილეში ვინ ბრძანდება, თორემ, მერე უფრო გამიჭირდებოდა. მაგრამ, სიყვარულის არსებობის ნამდვილად აღარ მჯერა, – დავრწმუნდი, ყველა გრძნობა და ურთიერთობა მაინც მატერიალურ მდგომარეობამდე მიდის.

**მაცაცო, 19 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ქალური შურისძიება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №1-28(707)**

***

დიმიტრიმ თვალი რომ გაახილა, მიხვდა, ისევ საავადმყოფოში იყო. ირაკლი ქებაძე წვეთოვანს ასწორებდა, მზია კი წნევას უზომავდა. ოდნავ შეღებული კარიდან გიორგი იყურებოდა და შეშინებული შესცქეროდა ექიმების ფუსფუსს.

– ბატონო ირაკლი, გადარჩება? – ჰკითხა პალატიდან გამოსულ პროფესორს აღელვებით.

– ამ ეტაპზე საშიშროება აღარ არის, დროულად მოასწარით მოყვანა, მაგრამ, ზოგადად, ცოტა გართულებულია მდგომარეობა. რამეზე ინერვიულა?

– პირიქით, ბოლო დღეების განმავლობაში განსაკუთრებით კარგ ხასიათზე იყო ჩემი და მზიას ამბის გამო, – მხრები აიჩეჩა გიორგიმ, – გონს მოვიდა?

– დიახ, მაგრამ, კითხვებზე პასუხს არ გვცემს, მხოლოდ იმას ჩურჩულებს, ყველაფერი გამახსენდაო, მერე კი საშინელი ტკივილით ეჭმუხნება სახე. ასეთი რა უნდა გახსენებოდა?

– წარმოდგენა არ მაქვს...

რამდენიმე საათის შემდეგ დიმიტრის მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა და მან მზიასთან და გიორგისთან საუბარი მოინდომა.

– თქვენი აღელვება არ შეიძლება, ხვალ დაელაპარაკეთ, – აუკრძალა პროფესორმა, მაგრამ დიმიტრიმ თავისი გაიტანა.

– ახლა უკეთ გამოიყურები, – გაამხნევა ძმამ.

– მისმინეთ, რასაც გეტყვით, – სუსტად ჩაილაპარაკა დიმიტრიმ, – ყველაფერი გამახსენდა... ახლა ზუსტად ვიცი, რატომ მითხრა გუგამ ერთით ერთიაო. მართალია, ჩემი ბრალია ყველაფერი, მაგრამ, ნანიტამ მაშინ მიღალატა, როცა ჯერ კიდევ არ ვიყავით გაყრილები, ამ არარაობაზე გამცვალა... თუ ოდესმე ფეხზე დავდგები, გუგას ჩემი ხელით მოვუღებ ბოლოს... მე ყველაფრის ღირსი ვარ, მაგრამ, ცოლის ღალატი მეტისმეტია, თანაც – ვისთან...

– არ უღალატია, – თქვა უცებ მზიამ.

– რა თქვი? – ყურებს არ დაუჯერა დიმიტრიმ, – შენ რა იცი?

– ვიცი, თვითონ ნანიტამ მიამბო.

– აბა, რა მოხდა?

– არ შედგა მათი პაემანი, – გუგამ არ დაამცირა ნანიტა.

– არ მატყუებ?

– არა, დედის საფლავს გეფიცები, – მზიამ თამამად დაიფიცა, რადგან, პრინციპში, სიმართლე უთხრა დიმიტრის.

ავადმყოფმა შვებით ამოისუნთქა, მაგრამ უცებ სახე შეეჭმუხნა და მკაცრად თქვა:

– თუმცა, მე მაინც ნაძირალა ვარ და ამას ვერასდროს ვაპატიებ საკუთარ თავს...

– არ შეიძლება შენთვის ნერვიულობა, – დაუტატანა მზიამ, – რაც იყო, იყო, მთავარია, რომ სინანულის გრძნობა გაგიჩნდა.

დიმიტრის მალე ისევ ჩაეძინა, მეორე დღეს კი ირაკლიმ გიორგი დაიბარა და უთხრა:

– მდგომარეობა საკმაოდ სერიოზულია.

– არსებობს რამე გამოსავალი? – შეშფოთდა გიორგი.

– სასწრაფოდ გერმანიაში ან ავსტრიაში წაყვანა, იქ სასწაულებს ახდენენ.

– გადაარჩენენ? – იმედი მიეცა გიორგის.

– ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე წლით ნამდვილად გაუხანგრძლივებენ სიცოცხლეს და ეს ცოტა არ არის, მაგრამ, ძალიან დიდ თანხაზეა საუბარი.

– რა საბუთები იქნება საჭირო? – თანხა არც კი უკითხავს გიორგის.

– მენეჯერს ვეტყვი და ყველაფერს ჩამოგიწერთ, – შეჰპირდა ქებაძე.

***

დიმიტრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამ მზიასა და გიორგის საქორწილო სამზადისი შეაჩერა. გიორგიმ პროფესორთან ბოლო საუბრისთანავე გადაწყვიტა, ძმა სასწრაფოდ წაეყვანა გერმანიაში ან ისრაელში და საჭირო საბუთების შეგროვებას შეუდგა.

დიმიტრი ძალიან უხერხულად გრძნობდა თავს და მზიას ყოველ წუთში ბოდიშს უხდიდა – ქორწილი ჩაგიშალეთო. მზია ამშვიდებდა, რომ დავბრუნდებით, მერე გადავიხდით ქორწილსაც და შენი გამოჯანმრთელების მალარიჩსაცო, მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახოდა – ყოველთვის ყველასთვის უსიამოვნება მომაქვსო და ძმას და სარძლოს უთხრა, ტყუილად ნუ წვალობთ, არსადაც არ წამოვალო. ამაზე გიორგი და მზია გადაირივნენ და ლამის სერიოზულ ჩხუბამდე მივიდა საქმე.

– ვის რაში ვჭირდები? – იმეორებდა დიმიტრი.

– ჩვენ გვჭირდები! – მკაცრად უპასუხა მზიამ.

– თქვენ ახლა ერთმანეთი გყავთ და მოსაველელი ავადმყოფი თქვენთვის ზედმეტი ბარგი იქნება, – არ ნებდებოდა დიმიტრი.

მზია მიხვდა, რომ ვერ დაიყოლიებდა გაკერპებულ პაციენტს და ძალიან სერიოზულად უთხრა:

– კარგი, ბატონო დიმიტრი, რადგან სხვა გზას არ მიტოვებ, ჩემიც მოისმინე: თუ უარს იტყვი უცხოეთში მკურნალობაზე, მაშინ, არც მე გავყვები ცოლად გიორგის, აღარც მოგხედავ და, საერთოდაც სხვაგან გადავალ სამუშაოდაც და საცხოვრებლადაც.

– ამას არ გააკეთებ, – შეცბა დიმიტრი.

– ხომ იცი, რომ გავაკეთებ, – წარბი არ შეიხარა გოგომ.

დიმიტრი დააფიქრა მზიას სიტყვებმა. დარწმუნებული იყო, რომ მუქარას შეასრულებდა და მცირეოდენი ფიქრის შემდეგ ძალიან მტკიცედ უთხრა:

– თუ გინდათ, რომ ყველაფერი დაგიჯეროთ, სამი სურვილი უნდა შემისრულოთ, ისე არაფერი გამოგივათ. თანახმა ხართ?

– რაც გინდა, გვთხოვე, – უთხრა ძმამ და მზიას გადახედა, – ნებისმიერი სურვილის შესასრულებლად მზად ვართ.

– მაშინ, გეტყვით. პირველი: დღეს ხუთშაბათია. შემდეგი კვირის ბოლომდე, ალბათ, მაინც ვერსად წავალთ. ამიტომ, კატეგორიულად მოვითხოვ, ამ შაბათ-კვირას ხელიც მოაწეროთ და ჯვარიც დაიწეროთ; პურმარილს კი, თუ გინდათ, ნუ გაშლით.

– ასე ორ დღეში რას მოვასწრებთ? – გაუკვირდა გიორგის.

– თუ მოინდომებთ, ყველაფერს მოასწრებთ. ისე, მოსასწრებიც ბევრი არაფერია, თითქმის ყველაფერი ნაყიდი გაქვთ. დათოს დავურეკავ, ჩემს ძმაკაცს და ისიც მოგეხმარებათ წვრილმანების მოგვარებაში, ნამდვილი „შანსპეპელაა". თან, ხომ შემპირდით, ყველა სურვილს შეგისრულებთო.

– კარგი, თანახმა ვართ, – უპასუხა გიორგიმ და მზიას ღიმილით გახედა, – ეს პირველი სურვილი იყო. მეორე სურვილი რა არის?

– ჩემი აქეთ-იქით ტარება და მკურნალობა საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, – დაიწყო დიმიტრიმ, მაგრამ ძმამ სიტყვა შეაწყვეტინა:

– ხარჯები შენ არ გეხება...

– მაცადე! – განაგრძო დიმიტრიმ, – ფული რომ არ მქონდეს, არ შემეხებოდა, მაგრამ, ამ წლების განმავლობაში ჩემმა ბიზნესმა საკმაოდ დიდი მოგება მომიტანა და რამდენიმე ბარათზე სოლიდური თანხა მაქვს ბანკებში შენახული. აი, ჩემი ბარათი, – დიმიტრიმ ბალიშის ქვეშიდან ბანკის ბარათი გამოიღო და ძმას მიაწოდა, – შენ გქონდეს. გამოიტან მაშინ, როცა საჭირო იქნება და იმდენს, რამდენიც საჭირო იქნება.

– მაქვს-მეთქი ფული, ხომ გითხარი! – სერიოზულად გაბრაზდა გიორგი.

– ან სამივე სურვილის შესრულება, ან არსად არ წამოვალ – ასეთი იყო პირობა, – არ შეეპუა დიმიტრი.

– იქიდან რომ დავბრუნდებით, მერეც დაგვჭირდება ფული, – კიდევ ერთხელ სცადა წინააღმდეგობის გაწევა გიორგიმ, მაგრამ დიმიტრი შეუვალი იყო:

– მაშინ, არ წამოვალ.

– კარგი, – გიორგიმ უხალისოდ გამოართვა ბარათი და საფულეში შეინახა.

– ახლა, რაც შეეხება მესამე სურვილს, – თქვა დიმიტრიმ და ისევ ბალიშის ქვეშიდან გამოაძრო თაბახის რამდენიმე ფურცელი და ძმას და სარძლოს გაუწოდა.

– შენ რა, ფოკუსნიკობა დაიწყე? – სიცილი აუტყდა მზიას, – მაგ ბალიშის ქვეშ უჩინარი სკივრი გაქვს დამალული?

– ჰო, სიკვდილის წინ პროფილი შევიცვალე, – უკბილოდ იხუმრა დიმიტრიმ.

– თუ მესამე სურვილი შენი იდიოტური ანგლობის მოსმენაა, ტყუილად გაქვს იმედი, რომ შეგისრულო, თუნდაც მართლა უარი თქვა მკურნალობაზე! – უყვირა გიორგიმ, – ვერც კი წარმოიდგენ, ისე მინდა, რომ ძალიან მაგრად გცემო, მაგრამ, ეტყობა, ეს ერთი ოცდაათი წლის წინ მაინც უნდა მექნა და ასეთი კრეტინი აღარ გამოხვიდოდი!

– კარგი, ჰო, დაწყნარდი, ამისთანა რა ვთქვი, – მოუბოდიშა გაცოფებულ ძმას დიმიტრიმ, – ადრე თუ გვიან ყველა მოკვდება.

– მზია აქ არ იყოს, გეტყოდი, რაც თქვი! – ისევ გაბრაზებით განაგრძო გიორგიმ.

– კარგი, ნუ ჩხუბობთ, – „მანდილი ჩააგდო" მზიამ, – საქმეზე გადადი, ბატონო დიმიტრი, თორემ, სული გადამელია და არც თქვენი კინკლაობის მოსმენაა მაინცდამაინც სასიამოვნო. თანაც, შენთვის ამდენი ემოცია და ლაპარაკი არ შეიძლება.

– გოგო, რამდენჯერ გითხარი, „ბატონოთი" ლაპარაკს თავი დაანებე-მეთქი? – სერიოზული ტონით უსაყვედურა ავადმყოფმა.

– კარგი, შევეცდები, – გაეღიმა მზიას, მერე ბალიშის ქვეშიდან გამოღებულ ფურცლებს მიაჩერდა და განაგრძო: – მესამე სურვილი მაგ ფურცლებზე გიწერია?

– ჰო, – დაეთანხმა დიმიტრი, – ოღონდ, სანამ გეტყვით, აქ რა მიწერია, ორივემ ყურადღებით მომისმინეთ, არც შემაწყვეტინოთ და არც ჭკუის დარიგება დამიწყოთ. მე ეს კარგა ხნის წინ გადავწყვიტე, ახლა არ მომიფიქრებია.

– გვაღირსე, თუ კაცი ხარ, – მოუთმენლად თქვა გიორგიმ.

– მოკლედ, ეს არის ჩემი ანდერძი, – მშვიდად თქვა დიმიტრიმ და მოკლე კომენტარი ჩაურთო: – ნათქვამია, ანდერძს კაცი არ მოუკლავსო. თანაც, ამის გაკეთებას ისედაც ვაპირებდი, ამ მდგომარეობაში რომც არ ჩავვარდნილიყავი: მე საკმაოდ დიდი ქონება მაქვს და საკმაოდ დიდი ტკივილი მივაყენე წლების განმავლობაში ჩემს ცოლ-შვილს. ლოგიკურად, კანონითაც და მორალური თვალსაზრისითაც, ყველაფერი, რაც გამაჩნია, მათ ეკუთვნით. ოღონდ, ამ ანდერძს თქვენ ორნი გააცნობთ ჩემს შვილებს მას შემდეგ, რაც უკან დავბრუნდებით. გასაგებია?

– გიორგის ერთი კარგი ჩხუბი ყველაფერს ერჩივნა, მაგრამ, კარგად რომ დაფიქრდა, მიხვდა, დიმიტრი სწორად იქცეოდა და ამიტომ უხმოდ დაუქნია თავი;

თანხმობა რომ მიიღო, დიმიტრიმ განაგრძო:

– ვიცი, რომ ნანიტა ჩემგან არანაირ არც მემკვიდრეობას, არც საჩუქარს არ მიიღებს, მაგრამ, ეს ბარათი ნუცას მიეცით, რომ თვითონ მოახერხოს რამე და დედამისს გადასცეს. ამ ბარათზე ოცდაათი ათასი ლარია, – დიმიტრიმ ბანკის ბარათი მზიას მიაწოდა, – დანარჩენს კი წაგიკითხავთ, რაც აქ მიწერია, – ფურცელი გადაშალა და კითხვა დაიწყო: – ჩემს ბიზნესს ვუტოვებ თორნიკეს. ჭკვიანი ბიჭია და შეძლებს გაძღოლას. ოფიციალურად ამ დღეებში გადავუფორმებ, ნოტარიუსი როცა მოვა.

– კი მაგრამ, ავარიის შემდეგ რომ აღარ მიგიხედავს მაგ შენი ბიზნესისთვის?! – სიტყვა შეაწყვეტინა ძმამ, – ალბათ, აღარც არსებობს...

– დათო პატრონობს იძაურობას ჩემი სახელით. ნუ გეშინია, ყველაფრის საქმის კურსში ვარ და სიტუაციას ვაკონტროლებ. დათკა მაგარია, არაფერი შეეშლება. ჩემს შვილს აწყობილი საქმე დახვდება და მერე მის ფხიანობაზე იქნება დამოკიდებული ყველაფერი, – თქვა დიმიტრიმ და რამდენიმეწამიანი პაუზის შემდეგ განაგრძო: – კიდევ, თორნიკეს ვუტოვებ ჩემი მშობლებისეულ ბინას ვერაზე; ნუცას ვაძლევ აგარაკს წავკისში და სამოთახიანი ბინის თეთრ კარკასს საბურთალოზე. პირადად მზიას საქორწილო საჩუქრად ვაძლევ ჩემს ახალ „ვოლვოს“, რომელიც ჯერ არც კი გამომიყვანია გარაჟიდან. ოღონდ, ჩამოსვლის შემდეგ კი არა, ხვალვე, – მერე დიმიტრიმ ღიმილით შეხედა გაწითლებულ და აღელვებულ სარძლოს და ჰკითხა: – მანქანის ტარება იცი?

– კი, ვიცი, მართვის მოწმობაც მაქვს. ტექნიკუმში რომ ვსწავლობდი, მაშინ ავიღე, მაგრამ, ასეთი ძვირფასი საჩუქარი ნამდვილად არ იყო საჭირო, – შეწუხდა მზია.

– ჯვრისწერა-ხელმოწერის ამბებს რომ მოამთავრებთ, ნოტარიუსი მომიყვანეთ და ყველაფერი ოფიციალურად უნდა გავაფორმოთ.

– კარგი, შევთანხმდით. ახლა კი დაისვენე, თორემ, ქებაძე მომკლავს, ნუ მიღლით ავადმყოფსო.

– ჰო, კიდევ ერთი რამის თქმა დამავიწყდა: ჩემს შვილებს არ გააგებინოთ, რომ სამკურნალოდ მივდივარ. რომ დავბრუნდებით, შეიძლება, თვითონაც დავურეკო. მაძლევთ პირობას? – ჰკითხა დიმიტრიმ ძმას და სარძლოს.

– ეს უკვე მეოთხე სურვილი იყო, მაგრამ, ამასაც შეგისრულებთ. ახლა კი წამალი უნდა დაგალევინო და ნემსი გაგიკეთო. შეეცადე, დაიძინო, რომ ხვალ უკეთ იგრძნო თავი.

დიმიტრიმ მორჩილად გადაყლაპა აბი, მაგრამ ამჯერად მკლავი მოიშიშვლა და მზიას აუხსნა:

– რაც ჩემი რძალი გახდი, რატომღაც, მრცხვენია ხოლმე.

ის იყო, დიმიტრის ჩაეძინა, რომ პალატაში ირაკლი ქებაძე შემოვიდა და გიორგისა და მზიას თავის კაბინეტში სთხოვა გაყოლა.

– კლინიკას მივაგენით ისრაელში, – თქვა გახარებულმა პროფესორმა, – იქ ჩემი ყოფილი სტუდენტი მუშაობს, ქართველი ებრაელი. აქაც ძალიან მაგარი ბიჭი იყო. უკვე ველაპარაკე და ორი კვირის შემდეგ გელოდებათ. ყველაფერი მზად გაქვთ?

– თითქმის, – უპასუხა გიორგიმ და მერე შეშფოთებულმა ჰკითხა, – ბატონო ირაკლი, მანამდე ხომ არაფერი მოუვა?

– ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს. სიმართლე გითხრათ, გულის მდგომარეობა იმდენად არ მაწუხებს, თითქმის წესრიგშია, თირკმელი მაფიქრებს. სასწრაფოდ ოპერაცია დასჭირდება.

– თუ ასე საჩქაროა ოპერაცია, ორი კვირის შემდეგ რატომ გველოდებიან?

– უფრო ადრე არ გამოვიდა, ძალიან დიდი რიგია. ესეც ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა მომიხერხა, თორემ, ორ თვეზე ადრე არ მოუწევდა რიგი ბატონ დიმიტრის, ეს კი უკვე დაგვიანებული იქნებოდა. თანხა კი მაქსიმუმ სამ დღეში უნდა გადარიცხოთ.

– გასაგებია, – თქვა გიორგიმ, – საბუთებთან დაკავშირებით რამდენიმე წვრილმანი დაგვრჩა მოსაგვარებელი, ფულს კი დღესვე გადავრიცხავ, პრობლემა არ არის. ოღონდ, ამ დღეებში სასწრაფოდ მოგვიწევს მე და მზიას ჯვრისწერა და ხელის მოწერა, – და გიორგიმ ღიმილით უამბო დიმიტრის კატეგორიული მოთხოვნის შესახებ.

– სწორი გადაწყვეტილებაა, – დაეთანხმა ქებაძე, – ხელს როდის აწერთ, ჯერ არ გადაგიწყვეტიათ?

– ალბათ, ამ შაბათ-კვირას, – უპასუხა მზიამ და მორიდებით დაამატა: – ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან, ბატონო ირაკლი.

– გისმენ, ჩემო კარგო. თუ რამე შემიძლია, ხომ იცი, უკან არ დავიხევ.

– მინდა, რომ საკურთხევლამდე თქვენ მიმიყვანოთ, როგორც მამამ...

– სიამოვნებით! – წამოიძახა ქებაძემ, – ეს დიდი პატივია ჩემთვის.

– დღეს და საათს ხვალ გაგაგებინებთ. სუფრა არ გვექნება, არ არის ამის სიტუაცია; პატარა ქორწილს კი, რომ ჩამოვალთ, მაშინ გადავიხდით, – თქვა გიორგიმ და წამოდგა, – მეტს აღარ შეგაწუხებთ, კარგად ბრძანდებოდეთ. დიმიტრის ხვალ დილამდე, ალბათ, არაფერი გაუჭირდება.



– მაგაზე ნუ დარდობთ, საიმედო ხელშია. ორივე შინ წადით და დაისვენეთ ხვალამდე.

***

პატარა, ძველთბილისური ეზოს ჭიშკართან შავი „ჯიპი“ გაჩერდა და იქიდან ორი მაღალი მამაკაცი გადმოვიდა, რომლებსაც რამდენიმე სავსე პარკი ეჭირათ ხელში. ეზოს შუამდე რომ მივიდნენ, ცოტა დაბნეული სახით მიიხედ-მოიხედეს და ხის ქვეშ, გრძელ სკამზე ჩამომჯდარი ხნიერი ქალი შენიშნეს, რომელსაც კალთაში პატარა ბიჭი ეჯდა და, ალბათ, ზღაპარს უყვებოდა, რადგან ბავშვი დიდი ინტერესით უსმენდა და თან გემრიელად მიირთმევდა ვაშლის მოზრდილ ნაჭერს.

– ქალბატონო, – მიმართა ერთ-ერთმა მამაკაცმა ქალს და მიუახლოვდა, – გუგა სანებლიძე ამ ეზოში ცხოვრობს?

– დიახ, შვილო, – უპასუხა ქალმა და მოსულებს ცნობისმოყვარე მზერა მიაპყრო, – უფრო სწორად, ცხოვრობდა.

– რას ნიშნავს „ცხოვრობდა“, რამე მოუვიდა? – შეშფოთებით ჰკითხა იმავე კაცმა.

– რა უნდა მოსვლოდა, შვილო, პირიქით, ასე კარგად, ალბათ, არასდროს ყოფილა.

– აბა, რა მოხდა, სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად?

– პრინციპში, ასე გამოდის... – ბოლომდე მაინც არ თქვა ქალმა.

– ხომ ვერ გვეტყვით, სად არის? – აშკარად მოთმინება ელეოდა კაცს, თუმცა, ცდილობდა, ბოლომდე თავაზიანი ყოფილიყო.

– რატომ ვერ გეტყვით... სად არის და, ტაძარშია.

– რომელ ტაძარში? – გაუკვირდა მამაკაცს.

– ზუსტად არ ვიცი, რომელში მაგრამ, რომელიღაც მონასტერში წავიდა მორჩილად, უკვე მეორე თვე დაიწყო. მგონი, სადღაც მთაშია ის მონასტერი.

– ან ტელეფონის ნომერი, ან წერილი ხომ არ დაუტოვებია ვინმესთვის გადასაცემად?

– წერილი არ დაუტოვებია, თავისი მობილური კი არ წაიღო თან, ჩემს ბიჭს დაუტოვა სახსოვრად. საერთოდ, რაც ციხიდან გამოვიდა, სულ სხვანაირი გახდა – ეკლესიაში დაიწყო სიარული, მოძღვარიც ჰყავდა, ბოლოს კი, სულაც, მორჩილად წავიდა. ერთხელ უთხრა ჩემს შვილს, იმდენი ცოდვა მაქვს ჩადენილი, მთელი დარჩენილი ცხოვრება სინანულსა და ლოცვაში უნდა გავატარო, იქნებ სული გადავირჩინოო. მგონი, ბერად აღკვეცა აქვს გადაწყვეტილი და, ალბათ, აღარც დაბრუნდება იქიდან. რა ცოდვებს გულისხმობდა, არ ვიცი, მაგრამ, ეგეთი წესიერი და კეთილი კაცი იშვიათად მინახავს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**1898 წლის 26 ივნისის დილა შემაძრწუნებლად გათენდა ქართველი საზოგადოებითვის – უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა უბადლო ლიტერატორი, შექსპიროლოგი და საზოგადო მოღვაწე – ივანე მაჩაბელი. ამ ფაქტიდან საუკუნეზე ბევრად მეტი გავიდა, ივანე მაჩაბელი კი კვლავ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. ჩვენი რესპონდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ელისაბედ ზარდიაშვილი, ვანო მაჩაბლის გაუჩინარებასთან დაკავშირებულ რამდენიმე ვერსიას მიმოიხილავს.**

# რამდენი ხანი გავიდა ივანე მაჩაბლის გაუჩინარებიდან და რომელი ვერსიაა სარწმუნო

**ელისაბედ ზარდიაშვილი:** ვანო მაჩაბლის გაუჩინარების ამბავმა ქალაქში ჭორების კორიანტელი დააყენა. გაზეთი „ცნობის ფურცელი" წერდა, რომ პოლიცია და ჟანდარმერია ღონეს არ იშურებს დაკარგულის მოსაძებნად. მენავეები და ცხენოსნები მტკვარში და მტკვრის პირზე დაეძებენ, მათ ეხმარება ნათესაობაც. იგივე გაზეთი მკითხველებს აცნობდა, რომ ღამის 4 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე ვანო მაჩაბელი რამდენიმე კაცმა ნახა. თითქოს მოწმეებიც გამოჩნდნენ, რომ ის მტკვარს მიჰყონდა დილის 5 საათზე, მაგრამ დღის 11 საათზე და 2 საათზე ის ნახეს ლორის-მელიქოვის ქუჩაზე და პუშკინის ბაღთან, ერევნის მოედანზე...

ამის შემდეგ კვალი იკარგება...

ეს საიდუმლო ამბავი დღემდე ბურუსით მოცული დარჩა, თუმცა, იმ პერიოდშიც და მერეც, ვანო მაჩაბლის გაუჩინარების უამრავი ვერსია გაჩნდა.

ერთ-ერთი ვერსია იყო, რომ ვანოს ურთიერთობა ჰქონდა „დუხობორებთან" და მათ გაჰყვა. იყვნენ თითქოს თვითმხილველებიც. არსებობდა აზრიც, რომ ის ნახეს პეტროზავოდსკში „დუხობორებთან" ერთად, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ფაქტის გადამოწმება შეუძლებელი გახდა, რადგან, ომის დროს ქალაქი გადამწვარა და ყველა საბუთი განადგურებულა....

ეს ყველაზე უხერხემლო და უინტერესო ვერსია იყო.

**– საზოგადოებაში ტრიალებდა უფრო მტკივნეული ვერსიებიც. მათ შესახებაც გვიამბეთ.**

– ვანო მაჩაბლის გაუჩინარებას ბევრი აკაკის აბრალებდა, ნაწილი – ვანოს არეულ საზოგადოებრივ საქმიანობას, ნაწილი კი – მის ავადმყოფობას. როგორც ცნობილია, ვანო მაჩაბელმა იმ ხანებში მძიმე ოპერაცია გაიკეთა. ამბობდნენ, ასეთი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა, თეორიულად, შეიძლებოდა, ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი მისი ცხოვრებიდან განრიდებისაო. სწორედ თვითმკვლელობის ვერსიაზე მინდა, გავამახვილო ყურადღება. მის დასაჯერებლად ძალიან მწირი ფაქტები რჩება, თუმცა, გამორიცხული ამქვეყნად არაფერია... ამ ვერსიაზე მსჯელობისას ერთი რეალობის გათვალისწინება მაინც მოგვიწევს: შეიძლება, ვანო მაჩაბელს შერყეული ჯანმრთელობის გამო ნერვები მთლად წესრიგში არ ჰქონოდა, მაგრამ, სულით ისეთ უძლიერესსა და უმტკიცეს კაცს, როგორიც იგი იყო, ნაკლებად სავარაუდოა, თავი მოეკლა. ვანო მაჩაბელმა მასზე ასეთი ფიქრის მიზეზი თავისი გამძლეობითა და ცხოვრებისადმი მყარი მიდგომით მოგვცა.

მკითხველისთვის ცნობილია მწვავე კამათი სათავადაზნაურო ბანკის გარშემო. ალბათ, ყველა ვხვდებით, რამდენად ძლიერი უნდა იყო ფიზიკურად, სულიერად, ინტელექტუალურად და ასე შემდეგ, რომ ილიას დაუპირისპირდე და ბრძოლას ისე გაუძლო, რომ სასწორი ხან ერთ მხარეს გადაიხაროს და ხან – მეორე მხარეს. მერე კამათში დამარცხდე და, სულით დაცემის ნაცვლად, ხელი მოჰკიდო ისეთ დიდ ეროვნულ საქმეს, როგორიც მისი დაარსებული გორის მაზრის სინდიკატი იყო... ასე რომ, ეს ვერსია, თვითმკვლელობას ვგულისხმობ, ფაქტობრივად, გამორიცხულად მეჩვენება. მით უმეტეს, არსებობს აკაკი წერეთლის წერილი, რომელშიც ის იხსენებს ვანო მაჩაბლის მდგომარეობას გაუჩინარების წინ და წერს, რომ იგი კარგ გუნებაზე იყო, მომავალზე საუბრობდა, ზაფხულში აბასთუმანში დასვენებას აპირებდა და სახლის დასაქირავებლად „ზეც" გაგზავნილი ჰქონდა...



**ყველაფერი იმიტომ დამალულა, რომ გადაერჩინათ ტასო მაჩაბლის იმიჯი, რომელიც გამჟღავნების შემთხვევაში, თავის მოკვლით იმუქრებოდა**

ვფიქრობ, საზოგადოებისთვის ყველაზე მტკივნეული იყო ვანო მაჩაბლის გაუჩინარების ორი ვერსია – საზოგადოებრივი მოღვაწეობა და ტასოსა და აკაკის სიყვარული, რადგან, ვანოს არეულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბანკის გარშემო დატრიალებულ ამბებს გულისხმობდნენ, რომელშიც, თავისთავად, ილია ჭავჭავაძე ფიგურირებდა; სიყვარულის ისტორიაში კი – აკაკი მონაწილეობდა. სწორედ ილიას და აკაკის მტრებს აძლევდა ხელს ეს ორი ვერსია.

**– რა გაძლევთ ასეთი ვარაუდის საფუძველს?**

– მოგახსენებთ. ძალიან მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ილიასა და აკაკის მორალური განადგურების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სხვა ავტორიტეტის დაბადება. თუმცა, ილიას განადგურება წინამძღვრის ტრაგედიით მთავრდება. ფაქტია, ამ ტრაგედიამდე „ვილაცას" განსაკუთრებით აძლევს ხელს ეს ორი ვერსია და ამიტომ ჭორები ელვის სისწრაფით გორდება და ვრცელდება. ეს „ვილაცა" თუ „ვილაცეები" ცდილობენ, ვანო მაჩაბლის გაუჩინარების ფაქტი ხელიდან არ გაუშვან, ტრაგედია ეროვნული მოღვაწეების კომპრომეტირებისა შეურაცხყოფისთვის, „მოღალატეებად" მათი შერაცხვისთვის გამოიყენონ...

მაგრამ, როგორც ილია იტყოდა, ისტორიის ქერქში უნდა ჩავსხდეთ და იმ ეპოქის მორალით აეწონ-დავწონოთ ყველაფერი. იმ პერიოდის თითოეულ მოღვაწეს პირადი სიამოვნება გვერდზე ჰქონდა გადადებული ქვეყნის ინტერესების გამო. მათი კამათი, როგორც თაობათა შორის, ისე თაობათა შიგნით, მხოლოდ ქვეყნის საკეთილდღეოდ იყო მიმართული – მამათა და შვილთა ბრძოლა, პოლემიკა არჩევნების გამო, კამათი სათავადაზნაურო ბანკის გარშემო, საგრამატიკო პაექრობა და ასე შემდეგ ძალიან მწვავედ მიმდინარეობდა, მაგრამ, ყოველთვის კორექტულ ხასიათს ატარებდა, რადგან, იცოდნენ, რომ მათ „ბევრი მოეთხოვებოდათ და ცოტა შეენდობოდათ"; რომ მათი გადადგმული ყოველი ნაბიჯი, საქციელი „საშვილიშვილო ტაბლად დაედგმოდა თითოეულ მათგანს" და არა მარტო თითოეულ მათგანს, არამედ, ერის ზნეობასაც ზოგადად.

ეს მხოლოდ სიტყვები არ არის. ამის უამრავი დოკუმენტური მასალა არსებობს, მაგრამ, ეს შორს წაგვიყვანს. ისიც საკმარისია, ალვინიშნოთ, რომ აკაკისა და იაკობ გოგებაშვილის კამათში (ზმნის ალგიარებ-გალიარებ ფორმათა სისწორის შესახებ) საზოგადოება და მედიატორები ჩაერთნენ, მაგრამ, გოგებაშვილის თავგანწირვაც ცნობილია აკაკის ავადმყოფობის დღეებში, ანდა, ზეადამიანურობისა და უწმინდესი მორალის ნიმუში არ არის, რომ ვანო მაჩაბელსა და ილიას შორის დაპირისპირების შემდეგ, ილია ხელმოუწერლად აქვეყნებდა დადებით რეცენზიებს შექსპირის ვანოსეულ თარგმანებზე. ასე რომ, მაშინდელი საზოგადოებრივი მორალი არც დღევანდელ დღეს იქნებოდა ურიგო. ამიტომ, ვანოსადმი ილიასა და აკაკის მტრობის დაჯერება ან სრულ უგუნურობას, ან განზრახ ბოროტებას შეეძლო და შეუძლია. ამიტომ, ილიაც და აკაკიც, დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, გაუჩინარების საქმის ვითარებიდან მკაცრად და კატეგორიულად გამოირიცხნენ.

ვერსიათა შორის, აქცენტირების ნაცვლად, მზაკვრულად მიჩუმათებული იყო და ვარაუდებში არ ფიგურირებდა ვანო მაჩაბლის მოღვაწეობის ერთი მნიშვნელოვანი სფერო.

**– კერძოდ?**

– გორის მაზრის სასოფლო-სამეურნეო სინდიკატის საკითხი. სწორედ ამ სინდიკატის წარმატებამ შესძინა ვანო მაჩაბელს უამრავი მტერი, რადგან, თუ მანამდე ქართლის ჭირნახული ჩალის ფასად გადადიოდა ჩარჩების ხელში, სინდიკატის გამო მათ უკვე მილიონები ეკარგებოდათ. სწორედ გაუჩინარების დღეს უნდა წაეღო ვანო მაჩაბელს სასოფლო-სამეურნეო იარაღები გორში. ამ ვერსიის რეალობას მხარს უჭერს აკაკი წერეთელიც, რომელმაც ვანო მაჩაბლის გაუჩინარების ტრაგიკულ დღეებში დაწერა სტატია, როგორც მეგობრის ცოცხლად ნახვის ბოლო მოწმემ. თუ გულდასმით გავჩხრეკთ მას, ვნახავთ, რომ აკაკის ყველა ფრაზა მრავლისმეტყველი და მრავლისმთქმელ მნიშვნელოვანია: „ვანო მაჩაბელი იმ საბედისწერო ღამეს კარგ ხასიათზე იყო, ტკივილები აღარ აწუხებდა, აბასთუმანში აპირებდა დასასვენებლად წასვლას, საზოგადოდ მომავალზე იმედები ჰქონდა..." და, ყველაზე მთავარი, რაც დაჟინებულ მინიშნებად მიმაჩნია: „იმ საღამოსვე მოვიდნენ ვილაცეები სინდიკატის საქმის შესახებ. მოელაპარაკა იმათაც და ისევ გამოვიდა ჩვენთან".

ამ წერილის (თუ ის რეალობას აღწერს) დეტალური გაანალიზებისას უამრავი კითხვა ებადება დაკვირვებულ მკითხველს.

მეგობრები ერთმანეთს საზოგადო საქმეების შესახებ არაფერს უმალავდნენ. რატომ ესაუბრა მოსულებს ცალკე? ნუთუ არაფერი უთხრა მათ შესახებ აკაკის? ვანო მაჩაბლის განწყობილება არ იცვლება, ამიტომ, ძნელი გასარკვევია, ვის ესაუბრა იგი იმ საბედისწერო საღამოს – მომხრეებს თუ მოწინააღმდეგეებს! მას აკაკისთან ყოფნა სიამოვნებს, რაც იქიდან ჩანს, რომ წასასვლელად მომზადებულ მეგობარს დარჩენას სთხოვს... აკაკი 10 საათზე იძინებს, ვანო – თერთმეტზე.

რატომ გავიდა ვანო მაჩაბელი ღამის 4 საათზე სახლიდან? კიდევ ხომ არ განმეორდა „ვინმეს ვიზიტი"? სად მიეჩქარებოდა იმ დროს ისე, რომ „გოროდოვოის" შეკითხვაზე პასუხიც არ გასცა, მხოლოდ თავი დაუკრა? ვის შეეძლო გაელო აკაკის ოთახის „განის კარი", რომელიც 6 საათამდე დაკეტილი იყო? ვანო მაჩაბელი დაბრუნდა უკან თუ სხვა ვინმე? და, კიდევ ერთი ბურუსიანი დეტალი: სახლში საათის, ძეწკვის და პერანგის ოქროს ღილების აღმოჩენა

**(გაგრძელება 71-ე გვერდზე)**

# როგორ გახსნა საბჭოთა უშიშროებამ თეირანში ფაშისტური შეთქმულება და რა სიურპრიზი მოუმზადა დაბადების დღეზე სტალინმა ჩერჩილს



1943 წლის ნოემბრის მიწურულს, ირანის დედაქალაქ თეირანში, ცნობილი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი. მსოფლიოს ამ წამყვან ქვეყნებს მათი ლიდერები წარმოადგენდნენ: სტალინი, შეერთებული შტატების პრეზიდენტი – ფრანკლინ დელანო რუზველტი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი – უინსტონ ლეონარდ-სპენსერ ჩერჩილი.

კონფერენციის ჩატარების დრო და ადგილი დიდ საიდუმლოს არ წარმოადგენდა და ამის თაობაზე ფაშისტური გერმანიაც იყო ინფორმირებული. ჰიტლერის დავალებით, გერმანულმა დაზვერვამ ზესაიდუმლო ოპერაციისთვის დაიწყო მზადება. ამ ოპერაციის მიზანი გახლდათ, სამივე სუპერსახელმწიფოს ლიდერის ერთდროული ლიკვიდაცია. ჰიტლერს იმედი ჰქონდა, რომ თუკი სტალინს, რუზველტსა და ჩერჩილს მოკლავდა, მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში გარდატეხას შეიტანდა და გაიმარჯვებდა.

ამ მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელების თარიღად 30 ნოემბერი იყო დანიშნული. იმ დღეს ჩერჩილს 69 წელი უსრულდებოდა. ფაშისტები ვარაუდობდნენ, რომ სამივე ლიდერი ამ დღეს ბრიტანეთის საელჩოში შეიკრიბებოდა დაბადების დღეზე.

საბჭოთა დაზვერვას უკვე გახსნილი ჰქონდა ეს შეთქმულება. ტერორისტს კუდზე ასხდნენ და მის გამოჩენას ელოდნენ. სტალინი ინფორმირებული იყო ყველაფრის შესახებ. ამიტომ, როდესაც 29 ნოემბერს, საბჭოთა საელჩოში გამართული სხდომის შემდეგ ჩერჩილმა რუზველტი და სტალინი მეორე დღისთვის დაბადების დღეზე დაპატიჟა, სტალინმა მას მიუგო:

– ბატონო პრემიერო, ხვალისთვის მე ორი სიურპრიზი მოგიმზადეთ.

1943 წლის 30 ნოემბერს, ჩეკისტებმა ტერორისტი ბრიტანეთის საელჩოს ქვეშ, გვირაბში დააპატიმრეს. ფაშისტს თან ჰქონდა სპეციალურად დამზადებული უხმო პისტოლეტი და ოფიციანტის უნიფორმა.

საზეიმო ვახშმის დაწყების წინ, ბერიამ სტალინს ტერორისტის დაპატიმრების შესახებ ამცნო და დიდი ბელადი კმაყოფილი სახითა და საზეიმო განწყობით შევიდა დარბაზში.

– ბატონო სტალინ, თქვენს სიურპრიზს ველოდებით, – შეახსენა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა სტალინს.

სტალინმა ბერიას რაღაც ანიშნა და ბერია გავიდა. საბჭოთა ბელადმა კი ჩერჩილს უთხრა:

– ბატონო პრემიერო, გილოცავთ სამოცდაცხრა დაბადების დღეს და გისურვებთ დიდი ხნის სიცოცხლეს. თქვენი ასი წლის იუბილეზე შევკრებილიყავით და ეს დიდებული თარიღი ერთად აღგვენიშნოს!

დარბაზში ამ დროს სამი ჩეკისტი შემოვიდა, რომლებსაც წინ ლავრენტი ბერია მოუძღოდა. საბჭოთა უშიშროების შეფს ლამაზად გამოყვანილი, ერთლიტრიანი, დაბეჭდილი ბოთლი ეკავა ხელში. ჩეკისტებს კი ყუთები ეჭირათ და თითოეულ ყუთში ოცდასამი ასეთი ბოთლი იყო ჩაწყობილი.

სტალინმა ბერიას ანიშნა და მან დაბეჭდილი ბოთლი გახსნა. შემდეგ სტალინის, ჩერჩილისა და რუზველტისთვის განკუთვნილ კონიაკის ფუჟერებში სითხე ჩამოასხა. სტალინმა ჭიქა ასწია და თქვა:

– ბატონი პრემიერი, ალბათ, არ მიწყენს, თუკი ტრადიციას ოდნავ გადავუხვევ და იუბილარის სადღეგრძელოს მაგივრად, საბჭოთა „ჩეკას" ვადღეგრძელებ.

დარბაზში შეკრებილ ადამიანებს სახეებზე დაბნეულობა დაეტყოთ. სტალინმა კი ღიმილით განმარტა:

– ერთი საათის წინ, საბჭოთა უშიშროებამ

> **ჩერჩილმა გურამ გეთიაშვილის გაცნობის სურვილი გამოთქვა და მისი სადღეგრძელო პირადადაც შესვა**

ფაშისტი ტერორისტი დააპატიმრა. მას ჩვენ, სამი სახელმწიფოს ლიდერები უნდა მოვეკალით და ასე რომ მომხდარიყო, ამ საუცხოო კონიაკს ვეღარ დავლევდით. გაუმარჯოს „ჩეკას"!

„ჩეკა", რუზველტმა და ჩერჩილმაც ადღეგრძელეს და კონიაკი შესვეს. დანარჩენმა შეკრებილებმა კი ჩერჩილის დაბადების დღისთვის სპეციალურად ჩამოსხმული, შოტლანდიური ვისკით ადღეგრძელეს „ჩეკა"!.. ჩერჩილს ალკოჰოლი ძალიან უყვარდა. ის ბრწყინვალედ ერკვეოდა სასმელებში. ამიტომ, კონიაკი რომ დალია, თავი გააქნია სიამოვნებისგან და სტალინს უთხრა:

– ეს ყუთები ამ ბანკეტისთვის მოიტანეს?

– არა. ეს ის მეორე სიურპრიზია, რომელზეც გუშინ ვამბობდი – თქვენი საჩუქარი.

– გმადლობთ, ბატონო სტალინ. ვფიქრობ, ამ საუცხოო კონიაკების სერია უპირველეს ადგილს დაიკავებს სასმელების ჩემს კოლექციაში, – თქვა ჩერჩილმა. თანაშემწეს სთხოვა, რომ სასმლით სავსე ყუთები წაეღოთ და სტალინს მიმართა:

– სამწუხაროა, ბატონო სტალინ, რომ ასი წლის არ გავხდი დღეს...

ჩერჩილი ბოთლების რაოდენობას გულისხმობდა. მას ხომ 69 წელი შეუსრულდა და 69 ბოთლი კონიაკი მიიღო საჩუქრად.

ჩეკისტებმა კიდევ ოცი ბოთლი კონიაკი შემოიტანეს. საუცხოო სასმელი ყველამ მიირთვა და ერთხმად აღნიშნეს მისი განუმეორებელი გემო. ჩერჩილი აღფრთოვანებული იყო და სტალინს ჰკითხა, თუ სად დამზადდა ეს სითხე.

საბჭოთა ბელადს გაეღიმა და ჩერჩილს უთხრა:

– ეს კონიაკი ჩემი მეგობრის, კახელი გლეხის, გურამ გეთიაშვილის დამზადებულია. ჯერ კიდევ ახალგაზრდა რევოლუციონერი ვიყავი, როცა კახეთში, ეს საქართველოს ერთ-ერთი კუთხეა, ისევე, მაგალითად, როგორც ინგლისში – სასექსი, კომუნისტურ აგიტაციას ვატარებდი. სწორედ იქ გავიცანი გურამი და სახლში რომ ვეწვიე, პირველად მაშინ გავსინჯე ეს სითხე...

ჩერჩილმა, გურამ გეთიაშვილის გაცნობის სურვილი გამოთქვა და მისი სადღეგრძელო პირადადაც შესვა.

ერთი წლის შემდეგ, 1944 წლის 30 ნოემბერს, ლონდონში, ბრიტანელი პრემიერის რეზიდენციაში ჩარჩილის სამოცდაათი წლის იუბილე გაიმართა. საზეიმო ვახშამზე სტალინიც იყო დაპატიჟებული, მაგრამ საბჭოთა ბელადმა მხოლოდ დეპეშით მიულოცა თავის ბრიტანელ კოლეგას იუბილე და ბოდიში მოუხადა, რომ ვახშამს ვერ ესწრებოდა. საზეიმო მიღებაზე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ მოლოტოვი მივიდა, რომელმაც ჩერჩილს ასი ბოთლი გეთიაშვილის ჩამოსხმული კონიაკი მიუტანა. მოლოტოვს, თავად 65 წლის გურამ გეთიაშვილიც ახლდა. როდესაც კახელი გლეხი ბრიტანელ პრემიერს წარუდგინეს, ჩერჩილმა მას მაგრად ჩამოართვა ხელი. კონიაკი დიდად შეუქო და საჩუქრად ოქროს საათიც უბოძა.

გურამ გეთიაშვილის კონიაკს ჩერჩილი სიცოცხლის ბოლომდე სვამდა და როგორც ამბობენ, ამ სასმელს ის არავის უნაწილებდა.

**ნიკა ლაშაური**

# როგორ შევძლოთ უცხო ენის ადვილად და უპრობლემოდ შესწავლა ჩვენი ზოდიაქოს ნიშნის გათვალისწინებით



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან".*

**კურტ ვონეგუტი**

*ასტროლოგია საშუალებას გვაძლევს, რჩევები მივცეთ სხვადასხვა ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს, თუ როგორ დაიმახსოვრონ ნებისმიერი ინფორმაცია, ან როგორ შეძლონ ადვილად უცხო ენის შესწავლა და ასე შემდეგ. მაგალითად:* **ვერძების** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულთათვის უცხო ენის შესწავლა აუდიოჩანაწერებით უფრო ადვილია, ვიდრე წიგნების წაკითხვით. ამიტომ, გირჩევთ, ხშირად უსმინოთ აუდიოჩანაწერებს და ასე აითვისოთ უცხო ენა; ასევე, შეგიძლიათ, თავად გააკეთოთ ჩანაწერები და შემდეგ რამდენჯერმე მოუსმინოთ – ასე გაცილებით სწრაფად და კარგად დაიმახსოვრებთ ნებისმიერ ინფორმაციას და შეისწავლით ნებისმიერ უცხო ენას.

**კუროს** ნიშნით დაბადებულები უცხო ენის შესწავლას კარგად შეძლებენ კომფორტულ, მშვიდ, ოჯახურ გარემოში. შეგიძლიათ, ნებისმიერი უცხო სიტყვა რაიმეს მიუსადაგოთ და ისე დაიმახსოვროთ. ასეთი წესით გაცილებით ადვილად აითვისებთ ახალ ინფორმაციასაც.

**ტყუპების** ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები ნიჭიერები, მაგრამ ზარმაცები არიან. უცხო ენის ათვისება მათთვის პრობლემა არ არის, თუკი მოინდომებენ. ისინი ნებისმიერ ახალ ინფორმაციას უსწრაფესად ითვისებენ. ტყუპებს ძალიან ძლიერი მეხსიერება აქვთ.

**კირჩხიბებისთვის** უცხო ენის ათვისება გაცილებით იოლი იქნება, თუ ამას სამუშაო გარემოში მოახერხებენ. ყოველთვის თან იქონიეთ უცხო ენათა ლექსიკონი და თავად ეძებეთ იმ სიტყვის განმარტება, რომელიც გჭირდებათ – ასე უფრო ადვილად შეძლებთ მის დამახსოვრებას. ასე რომ, კირჩხიბებს უცხო ენის შესწავლა შეიძლება, დიდხანს გაუწელოთ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ზემოთ მოყვანილი მეთოდით, ამასაც საფუძვლიანად შეძლებენ.

**ლომებისთვის** უცხო ენების ათვისება ძალიან ადვილია. ეს ყველაზე კარგად შეუძლიათ უცხოური ფილმების ცქერით, სიმღერების მოსმენითა და უცხოელებთან კონტაქტით. თავიდან, შესაძლოა, ეს გაგიჭირდეთ, მაგრამ, დროთა განმავლობაში ბარიერს დაძლევთ და ნებისმიერ ინფორმაციასა თუ უცხო ენას ადვილად დაეუფლებით.

**ქალწულის** ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანისთვის დამახასიათებელია ანალიტიკურობა. მათთვის ნებისმიერი ინფორმაციისა თუ უცხო ენის ათვისება ადვილია, თუ მას გულისყურით მიუდგებიან.

**სასწორისთვის** ყველაზე ადვილია უცხო ენის სწავლა უცხოელებთან კონტაქტით. შეგიძლიათ, ჩართოთ ტელევიზორი ან რადიო და უცხო ენაზე უსმინოთ ახალ ამბებს, გადაცემებს და ასე შემდეგ. თუ კარგად გაამახვილებთ ყურადღებას და დაძაბავთ გონებას, ნებისმიერ ინფორმაციას ადვილად აითვისებთ.

**მორიელის** ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს, სადაც მან უნდა ისწავლოს ან მიიღოს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. უმჯობესია, უცხო ენის სწავლა გრამატიკით დაიწყოთ. მორიელები ადვილად წვდებიან ადამიანის აზრებს და შესაბამისად, ადვილად იღებენ იმ ინფორმაციას, რაც მათთვის საჭირო და აუცილებელია.

**მშვილდოსნის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებს უცხო ენების ათვისების ფენომენალური ნიჭი აქვთ. მათ დიალოგის საშუალებითაც შეუძლიათ უცხო ენის შესწავლა. ასევე, არ უჭირთ იმ საკითხების გაგება და გაანალიზება, რაც ცხოვრებაში გამოადგებათ.

**თხის რქის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანს შეუძლია, დაჯდეს და მეთოდურად შეუდგეს უცხო ენის სწავლას. მისთვის აუცილებელია ჯერ უცხო სიტყვების ამოწერა-დამახსოვრება, შემდეგ გრამატიკაში გარკვევა და ბოლოს – საუბარი უცხოელებთან პრაქტიკის მისაღებად. საერთოდ, თხის რქებს უჭირთ სწორი ინფორმაციის მიღება ან მიღებული ინფორმაციის სისწორეში გარკვევა. ამიტომ, ამ მხრივ, ისინი მეტად ყურადღებიანები უნდა იყვნენ.

**მერწყულის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულები ძალიან ადვილად ითვისებენ ნებისმიერ უცხო სიტყვებს. კარგია, თუ ისინი ლექსიკონის დახმარებით შეძლებენ რამე წიგნის ან ჩანაწერის თარგმნას.

**თევზებისთვის** უცხო ენების შესწავლა, თუ მათ ეს მოინდომეს, ძალიან ადვილია. ისინი ცდილობენ, რამდენიმე უცხო ენას დაეუფლონ. ისინი, ასევე, ბეჯითები და ნიჭიერებიც არიან; შეუძლიათ, დამოუკიდებლად, წიგნით შეიძინონ ის ცოდნა და მიიღონ ის ინფორმაცია, რაც მათ სურთ და რაც მათ შემდგომში გამოადგებათ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1996 წლის 18 ივლისს, საღამოს საათებში. რომელი პროფესიებია ჩემთვის წარმატების მომტანი სამომავლოდ?**

**პასუხი:** თქვენთვის მისაღები და წარმატების მომტანი პროფესიებია: პედიატრია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ქორეოგრაფია, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმე, კომერცია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია.

**კითხვა: დავიბადე 1989 წლის 7 მაისს. უცხოეთის რომელ ქვეყანაში გამიმართლებს?**

**პასუხი:** გეტყვით, რომ უცხოეთი თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის, თუმცა, არც ცუდია. ქვეყნებიდან კი მისაღებია: უკრაინა, პოლონეთი, ირლანდია, კვიპროსი, შვეიცარიის ალმოსავლეთი მხარე, ბელგია, მოლდავეთი, არგენტინა, ესტონეთი, ფინეთი, ლატვია, ბულგარეთი, ისრაელი, კუნძული შრი-ლანკა, ბრაზილია, პორტუგალია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, სამხრეთ კორეა, კუნძული მალტა.

**კითხვა: ჩემი გოგონა დაიბადა 2005 წლის 28 ივნისს, დილის 6 საათზე. რა არის მისი კარმულ-კოსმიური მისია და რომელი პროფესიები აირჩიოს სამომავლოდ წარმატების მისაღწევად?**

**პასუხი:** მის კოსმიურ მისიაში შედის უცხოეთთან კონტაქტი, ამიტომ, აუცილებელია, ადრეული ასაკიდან დააწყებინოთ უცხო ენების შესწავლა. თუ იცხოვრებს სამშობლოში, აუცილებლად უნდა იმუშაოს უცხოურ ფირმაში და ჰქონდეს ურთიერთობა უცხოელებთან. თუ შანსი მიეცემა და დროებით უცხოეთში იცხოვრებს, იქ დაგროვილი ცოდნით, კაპიტალითა და გამოცდილებით, სამშობლოში დაბრუნებისას ადვილად შეძლებს წარმატების მიღწევას. ასევე, უნდა იყოს მებრძოლი, უშიშარი, შეუპოვარი, დაეყრდნოს საკუთარ ინტუიციასა და ცოდნის ბაზას; იყოს კომუნიკაბელური და ერთგული. რაც შეეხება წარმატების მომტან პროფესიებს, ასეთებია: პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, ტურისტული ბიზნესი, პოლიტიკის ფართო სპექტრი, იურისპრუდენცია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, საქველმოქმედო საქმე, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, სასტუმროების ბიზნესი და დასასვენებელი ინდუსტრია.

**კითხვა: დავიბადე 1995 წლის 26 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე. რომელ სფეროში მელის წარმატებები?**

**პასუხი:** თქვენთვის წარმატების მომტანი პროფესიებია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო ფართო სპექტრი; დიზაინი, სამოდელო სფერო, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა ან ბიზნესი, ხელოვნების ფართო სპექტრი, საარქივო, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო საქმიანობა, დეკორატიული მებაღეობა, მშენებლობა, სოციოლოგია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ტექნიკა-მექანიკა, ავიაციის ბიზნესი, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ვიდეო და მობილური სისტემები, საინჟინრო საქმე, სცენარისტობა, დრამატურგია, რეჟისურა, ქორეოგრაფია.

**კითხვა: დავიბადე 1975 წლის 30 მარტს. მინდა უცხოეთში წასვლა. ასტროლოგიურად რომელი ქვეყნებია ჩემთვის მეტად მისაღები?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კოსმიური მისიაა, ქვეყნებიდან კი მეტად მისაღებია: ესპანეთი, პორტუგალია, ავსტრალია, სერბეთი, სლოვენია, ბრაზილია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფინეთი, კუნძული მალტა.

**მსახიობ ასმათ ტყაბლაძეს მაყურებელი სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებიდან" იცნობს, რომელშიც ის მკაცრი დედამთილის როლს თამაშობს. ცოტა ხნის წინ ის საზოგადოებამ პოლიტიკური კუთხითაც გაიცნო, როგორც „ლეიბორისტული პარტიის" წარდგენილი მერობის კანდიდატი, სადაც ის დამარცხდა, თუმცა, ქალბატონი ასამთი პოლიტიკური აქტიურობით მანამდეც გამოირჩეოდა – მაშინაც, როცა თბილისში უდენობა, უგაზობა და, ზოგადად, სრული განუკითხაობა იყო, მსახიობი გამოსვლებს მართავდა, საკმაოდ ხმამაღლა ამბობდა სათქმელს, გაჭირვების ჟამს ხალხს გვერდით ედგა და ამის გამო ის დაისაჯა კიდეც – საყვარელი თეატრიდან გაათავისუფლეს, რაც მისთვის დღემდე ყველაზე მტკივნეული თემაა პირადი ცხოვრების შემდეგ, თუმცა, მისი ცხოვრება ჩვეულებრივ გაგრძელდა. ამჟამად ასმათ ტყაბლაძეს ვერაზე, პეროვსკაიას ქუჩაზე, აქვს ძალიან ლამაზი პატარა კაფე-ბარი, ჰყავს ქალიშვილი და შვილიშვილი; საოჯახო თუ საგარეო საქმეებსაც ისევ ისე უძღვება, როგორც აქამდე უძღვებოდა და მამაკაცური საქმეებიც, დიდი ხანია, საკუთარ თავზე აქვს აღებული.**

# როგორ იგერიებდა ცოლშვილიან კაცებს ასმათ ტყაბლაძე და რა ჩამოჰქონდა მას უცხოეთიდან გასაყიდად

**– ქალბატონო ასმათ, საზოგადოებას აინტერესებს, როგორ ცხოვრობს ეკრანს მიღმა ასმათ ტყაბლაძე, რა გზა აქვს გამოვლილი, რა სირთულეები ჰქონია, როგორ გახდა მსახიობი...**

– სკოლაში ხშირად ვმონაწილეობდი ღონისძიებებში, ვცეკვავდი, ვმღეროდი, მხატვრულად ვკითხულობდი. რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე საქართველოს მასშტაბით სამჯერ ავიღე პირველი ადგილი. ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები" რომ წავიკითხე, პიონერთა სასახლეში უმაღლესი ხარისხის ჯილდო – ოქროს მაჯის საათი და მხატვრული კითხვის ოსტატის წოდება გადმომცეს. სკოლა მედალზე დავამთავრე. სკოლის პარალელურად, არაყიშვილის სახელობის სამუსიკო ტექნიკუმში ვსწავლობდი. ძალიან მინდოდა თეატრალურზე ჩაბარება, მაგრამ, ასევე, მინდოდა ექიმი გამოვსულიყავი. ბოლოს ორივეზე ჩავაბარე. თეატრალურში 12 აბიტურიენტი იყო და ყველაზე მეტი ქულა მე დავაგროვე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ოცდაათი წელი ვიმუშავე მარჯანიშვილის თეატრში. ყველამ კარგად იცის, რომ ეს იყო გენიალური თეატრი, სადაც იყვნენ: ვასო გოძიაშვილი, სესილია თაყაიშვილი, კოტე მახარაძე, იაშა ტრიპოლსკი, ელენე ყიფშიძე, მარინე თბილელი (მერე გადავიდა რუსთაველის თეატრში), ზურაბ ლაფერაძე, სოფიკო ჭიაურელი, ტარიელ საყვარელიძე, მზია მახვილაძე... ძალიან მალე დავუმეგობრდი ყველას. თავიდან უშტატოდ ვიყავი, მაგრამ, გამოსვლებზე 150 მანეთს ვიღებდი. ყველა სპექტაკლში ვიყავი დაკავებული. მერე შტატში ამიყვანეს და ხელფასი 100 მანეთი მქონდა. ბოლოს სხვანაირად დამთავრდა თეატრში ჩემი ყოფნა.

**– ბუნებრივია, ეს თქვენი ცხოვრების ერთ-ერთი რთული პერიოდი იყო. შეგიძლიათ, გაიხსენოთ თეატრიდან წამოსვლის ეპიზოდები?**

– ძალიან „ბუნტოვშიცა" ხარო. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა პირდაპირ მითხრა, ურჩი ხარო. ურჩი კი არა, გენიალური ადამიანი ვარ, შემიძლია, დავიცვა ჩემი მეგობრები, ადამიანები, ჩემი ქვეყანა. სიავით კი არა, სიკეთით და სიყვარულით ვაკეთებ ყველაფერს! წამოვხტი და ვთქვი: ამას ვერ გააკეთებთ, მე შეგებრძოლებით-მეთქი. მთელი ამბები იყო, ცხრა სასამართლო პროცესი მოვიგე. არა მარტო თეატრის ხელმძღვანელობას, მის დამცველებსაც ვებრძოდი. მელვინეთუხუცესსა და მის ცოლს ეგონათ, ყველაფრის უფლება ჰქონდათ. 35 კაცი დაგვითხოვეს. ძალიან ცუდი სიტუაცია იყო თეატრში საბუთების მხრივ, ზოგიერთი, შეიძლებოდა, ციხეშიც წასულიყო. შეეშინდათ და შემომითვალეს, ოღონდ გაჩერდი და რა როლიც გინდა და რა ხელფასიც, მოგცემთო. მე ვუთხარი ან ყველა დაბრუნდება, ან არავინ-მეთქი. უსინდისოდ მომექცნენ. მერე წავედი უცხოეთში, ჩამომქონდა საქონელი და ვაბარებდი. ვფიქრობდი, კიდევ რა შეიძლება გავაკეთო, რომ ოჯახს მივხედო-მეთქი. კრედიტი ავიღე და ვერაზე ეს ბარი გავხსენი. გარდა ამისა, შესანიშნავად ვკერავდი, ვქსოვდი და ჩემს ნახელავს ვაბარებდი. არასდროს გასჭირვებია ჩემს ოჯახს, პირიქით, მეგობრებსაც ვეხმარებოდი. შემიძლია, დიდ მშენებლობასაც ვუხელმძღვანელო.

**– თეატრთან დაკავშირებულ არასასიამოვნო მოგონებებს, ალბათ ბევ-**



**მამაკაცები სუსტები არიან, ძალა არ ჰყოფნით და ადვილად მართვადები არიან. სულ არ მჭირდება, ადვილად სამართავი კაცი მყავდეს გვერდით**

**რი სასიამოვნო მოგონებაც ახლავს.**

– რა თქმა უნდა. მე მინდა, ვასო გოძიაშვილი გავიხსენო, მართლაც გენიალური ადამიანი იყო. გვეჩხუბებოდა, გოგოები შარვლებით რომ დავდიოდით – მაშინ ახალი შემოსული იყო ქალზე შარვალი. ვემალებოდით, თეატრში უკანა შესასვლელიდან შევდიოდით. იქვე ჰქონდა საგრიმიორო. ან კაბით უნდა გამევლო, ან არ უნდა გამევლო. მივესალმებოდი, როგორ ბრძანდებით, ძია ვასო-მეთქი. ის კი მეტყოდა: აი, მალადეც, ქალურად გაცვია, ბიჭივით კი არ დადიხარო. მის სპექტაკლში – „მზის დაბნელება საქართველოში," ბოშა გოგოს ვთამაშობდი. დამდგმელი ქორეოგრაფი ჯანო ბაგრატიონი გახლდათ. რეპეტიციაზე რომ შევედი და ვნახე, არა, ეს არ მინდაო, – თქვა გოძიაშვილმა. მისი მეუღლე, ჟენია, პიანისტი იყო. ჟენია, შენ დაუკარიო, – უთხრა, მერე სცენაზე ავიდა და ბოშა ქალის ცეკვა შეასრულა. თხუთმეტი წუთი ვუკრავდით ტაშს. გული მწყდება, რომ მაშინ ვიდეოკამერები არ იყო, რომ გადაეღოთ. ძია ვასოს თავისი უცნაურობები ჰქონდა. სახლში არაჩვეულებრივად მიგიღებდა, გაგიმასპინძლდებოდა, მაგრამ, ცოტა ხელმომჭირნეობაც იცოდა. მისმა გერმა, ჟენიას შვილმა, ცოლი შეირთო და, უნდოდა, საჩუქარი ეყიდა. მთხოვა: შენ კარგი გემოვნება გაქვს და წამოდი, რამე ავარჩიოთო. თეატრის წინ უნივერმაღი იყო. წავედით. ახალგაზრდა მსახიობისთვის ვასო გოძიაშვილთან დალაპარაკება და გავლა პრესტიჟი იყო. ავარჩიე. ახლა მეკითხება, რა ღირსო. 70 მანეთი-მეთქი. ვა, შენ რაებს მიჭქარავ, ჩამოდი ქვემოთ, „დალშე" წავედითო. სხვა შევარჩიე. ეგ რა ღირსო, – ისევ მეკითხება. 50 მანეთი, ძია ვასო, – ვუპასუხე. ვა, რა ამბავია, კაცო, ორმოცდაათი მანეთი! ორმოცდაათი მანეთით შენ იცი, კაცმა რაები შეიძლება, ქნას? მთელი ოთხი სართული შემოვიარე და, ბოლოს, ხუთმანეთიან საჩუქარზე ჩამოვედით. აბა, როგორია, მოეწონებაო? როგორ არ მოეწონება, კარგია-მეთქი. ხომ არ ვეტყოდი, არ ვარგა-მეთქი. ის რა იყო, პირველად რომ მაჩვენე, რა მიქარვა იყოო, – მითხრა.

**– საკმაოდ სერიოზული, მკაცრი ქალბატონის შთაბეჭდილებას ტოვებთ, სინამდვილეში კი ხართ ლაღი, კარგი უმორის მქონე ადამიანი. ეს, ალბათ, ყველამ არ იცის. კიდევ მოგვიყევით რამე.**

– ექვსი წლის წინანდელი ამბავი მინდა გავიხსენო. სახლში მოხუცი დედა მყავდა და კონდიციონერი დავაყენე. ზაფხულში შეუძლებელია, არ ჩართო. ჩავრთე კონდიციონერი და წავედი საქმეზე. დამავიწყდა გამორთვა. მარტო დედა იყო სახლში. მეზობელს ვურეკავ – ლია, შენი ჭირიმე, ხომ გაქვს ჩემი გასაღები, გეხვეწები, ადი ჩემთან სახლში და კონდიციონერი გამორთე-მეთქი. ავიდა და რას ხედავს: დედაჩემი ზის, აცვია წინდები, პალტო, შალი აქვს მოხვეული წელზე და თავზე. ამ დროს კი გარეთ იწვის ყველაფერი, 42 გრადუსი სიცხეა. თამარა დეიდა, რა ხდება, თოვლი მოვიდა გარეთო? – უკითხავს ლიას. ლია სიცილით კვდებოდა, ამას რომ მიყვებოდა.

**– ელექტროენერგიაზე გამახსენდა: ერთხელ „თელასის" ხალხი შეგიშინებიათ სერიოზულად – როცა დავალიანებაზე მოგაკითხეს სახლში, თქვენ გითქვამთ, ერეკლე მეფემ გამათავისუფლა გადასახდებისგანო.**

– მაშინ, ამ ისტორიას წინაპრებით დავიწყებ: იცით, როცა ასეთი წინაპრები გყავს, თავს უფლებას არ აძლევ, უღირსად მოიქცე – ხომ არ შეარცხვენ შენს წინაპრებს, თან, გინდა, რომ შენც გამორჩეული იყო. მამით იმერელი გახლავართ, დედით – ფშაველი. ძალიან კარგი წინაპრები მყავდა დედის მხრიდან, გვარად ჭინჭარაულები. მათი ერთ-ერთი წინაპარი შატილიდან წამოვიდა ოჯახით, დასახლდა თუშეთის ერთ-ერთ სოფელში – ეგნისში. როგორც ვიცი, სისხლი ემართა და, ერთმანეთი რომ აღარ დაეხოცათ, იქაურობას გამოერიდა. დედაჩემის პაპის პაპა ერთ-ერთი სამასარაგველთაგანი იყო – კარგი მებრძოლი, თავის ქვეყანას ღირსეულად იცავდა, ხშირად იგებდნენ ბრძოლას. ერეკლე მეფე კარგი ბრძოლისთვის მებრძოლებს აჯილდოებდა: ზოგს აზნაურობას ანიჭებდა, ზოგს გადასახადებისგან ათავისუფლებდა. ჩემი წინაპრისთვისაც შეუთავაზებია, რომელი გინდაო. ხევსურები თავისუფალი ხალხია, მათთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა აზნაურობას. რად მინდა აზნაურობა, ხარკისგან თუ გამათავისუფლებთ, ყველაზე კარგი ეგ იქნებაო, – მიუგო მან და ერეკლემაც გაათავისუფლა. ჩვენმა ოჯახმა იცოდა ეს ამბავი, რომ ასეთი სახელოვანი წინაპარი გვყავდა, რომელიც ერეკლე მეფემ გადასახადებისგან გაათავისუფლა და მოხდა ასეთი რამ: ყველას გახსოვთ ის პერიოდი, როცა არც შუქი იყო, არც გაზი. ბავშვს პალტოსა და ხელთათმანებს ვაცმევდი, ქუდს ვახურავდი და ისე ვაძინებდი. გაოცებული თვალებით მიყურებდა და მეკითხებოდა – დედა, სად მივდივართო. არსად, შვილო, ვიძინებთ-მეთქი. ვერავინ მაჩერებდა, აქციას აქციაზე ვაწყობდი, გადაკეტილი მქონდა მთელი თბილისი. ვაკე რამდენიმე დღე გვქო-

(გაგრძელება 50-ე გვერდზე)

## ორშაბათი 21 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **8.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 02.00** "დღეს" **13.20 წყალბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირი: **მონტენეგრო – საქართველო** (პ/რ) **14.25** "ტელებლოგი" (გ/ჩვ) **15.00, 21.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **7** სერ. **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.30** მხ/ფ "**ბანზაი**" (პ.ვილაჯო) **22.00** სოციალური თოქ-შოუ (გ/ჩვ) **23.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" **01.00** მხ/ფ "**გორილას განკურნება**".

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა. **10.03** სერ."**ბედის ანაბარა**" **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. "**შურისმაძიებელი**" **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45**სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ. "**ბამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** მხ/ფ "**ეშმაკს პრადა აცვია**"(მ.სტრიპი) **00.10** მხ/ფ "**არტისტი**"(ბ.ბეჟო) **02.00** მხ/ფ "**სამეფო კარის რომანი**"(მ.მიკელსენი).

**06.30** სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** გააცინე და მოიგე **00.00** კომედის კონცერტი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** ქვიშით ნაამბობი **06.20** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** მხ/ფ "**ლუარსაბ თათქარიძე**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ბესამე**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.55** შვიდგზის ლოცვა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.05** ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან - ილია ჭავჭავაძე გად. VI **15.25** სპექტაკლი - "**ჯერ დაიხოცნენ,მერე იქორწინეს**" **16.50** კონცერტი - ლიზი ბათიაშვილი **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**აურზაური სალხინეთში**" **20.40** ძილი ნებისა **21.20** პატერიკი **21.25** სახლი ღვთისა **21.40** "თვენი" - წმინდა მოწამენი ქართლისა **22.25** დ/ფ "ზემო აჭარა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ღალიის ხატი - კვიპროსზე დაბრუნება" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.20** "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **8.40, 17.45, 22.00, 1.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30, 12.30, 1.20** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50** პრესის მიმოხილვა **.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.02 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 13.02, **14.03 სერიალი "ასი"** 15.40, 16.02, 17.02 **სერიალი "1001 ღამე"** 18.25, 2.20 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02 სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00 "ინ-ფაქტი/ **20.05 სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30 **სერიალი "სკანდალი"** 0.30 ბრძოლა წესების გარეშე.

## სამშაბათი 22 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 01.00** "დღეს" **14.20** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" (გ/ჩვ) **15.00, 21.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **8** სერ. **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **19.15, 03.00** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.00** მხ/ფ "**გაქცეული**".

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა. **10.03** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 16.50** SV - მარკეტი **11.30** სერ. "**შურისმაძიებელი**" **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ."**ბამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** იურმალა **2014 00.10** მხ/ფ "**როგორ გიპოვე შენ**"(მ.ბროდერიკი) **02.00** მხ/ფ "**ეშმაკს პრადა აცვია**".

**06.30** სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** გააცინე და მოიგე **00.00** კომედის კონცერტი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** "თვენი" - წმინდა მოწამენი ქართლისა **06.30** სპექტაკლი - "**ჯერ დაიხოცნენ,მერე იქორწინეს**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "ზემო აჭარა" **11.05** დ/ფ "ღალიის ხატი - კვიპროსზე დაბრუნება" **11.35** პატერიკი **11.40** სახლი ღვთისა **12.10** მხ/ფ "**აურზაური სალხინეთში**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.55** შვიდგზის ლოცვა **15.05** ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან - ილია ჭავჭავაძე გად. VII **15.30** კონცერტი - ნუკრი აბაშიძის საავტორო მუსიკის კონცერტი **17.00** ირაო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ./ფ. "**ოჯახი**" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** "ჩვენი ამბავი" **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **7.40** "უცნობი ისტორიები" (გამ.) **8.05** გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) **8.20** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში"(გამ.) **8.40, 17.45, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00,14.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.02 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული" 12.30, 1.35** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.02, 14.03 სერიალი "ასი"** 15.40, 16.02, 17.02 **სერიალი "1001 ღამე"** 18.25, 2.20 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02 სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00 "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30 SV **11** მაესტროზე **23.55 სერიალი "სკანდალი"** **0.45** ბრძოლა წესების გარეშე.

გაგრძელება 47-ე გვერდზე

# თეატრები

### საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37. ტელ.: 99-63-14.**

22, 25 ივლისი, **სამშაბათი**, **პარასკევი** 19.00 - **„პრემიერა"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ლუკა ჩხაიძე. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

### გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13, ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

25-26 ივლისი, **პარასკევი-შაბათი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

27 ივლისი, **კვირა** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

# კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი"
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**21 – 27 ივლისი**

*დარბაზი 1*

13.00, 16.30, 19.30, 22.30 - **„მაიმუნების პლანეტა: რევოლუცია"** 3D, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

*დარბაზი 2*

12.00, 20.15, 22.30 - **„ზღვარი"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;***

14.00, 16.00 - **„ხუთი ნახვით შეყვარება"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

18.00 - **„ტაქსი"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

*დარბაზი 3*

12.00, 15.00, 17.30, 19.45 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

22.30 - **„მილიონი შესაძლებლობა მოკვდე დასავლეთში"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;***

*დარბაზი 4*

12.00, 14.30 - **„მილიონი შესაძლებლობა მოკვდე დასავლეთში"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;***

17.15 - **„მაიმუნების პლანეტა: რევოლუცია"** 3D, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

20.00, 22.30 - **„22 ჯამპ სტრითი"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;***

*დარბაზი 5*

12.00, 15.30, 19.00, 22.30 - **„ტრანსფორმერები: გადაშენების ხანა"** 3D, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი)

### კინოთეატრი „ამირანი"
**კოსტავას ქუჩა №36.**
**ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.00, 16.00, 19.15, 22.30 - **„მაიმუნების პლანეტა: რევოლუცია"** 3D, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

*დარბაზი 2*

12.00 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

14.00, 16.30 - **„22 ჯამპ სტრითი"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;***

19.00, 22.30 - **„ტრანსფორმერები: გადაშენების ხანა"** 3D, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

*დარბაზი 3*

12.00 - **„მილიონი შესაძლებლობა მოკვდე დასავლეთში"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;***

14.30 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D (ინგლისურად), ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

17.00 - **„მილიონი შესაძლებლობა მოკვდე დასავლეთში"** (ინგლისურად), ***ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;***

19.45, 22.30 - **„მაიმუნების პლანეტა: რევოლუცია"** 3D (ინგლისურად), ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ქათამი ყველის სოუსში – „ჩიტის რძე“






**საჭირო ინგრედიენტები:** ცოტა წყალი, 4 კბილი ნიორი – თუ ცხარე არ გიყვართ, ნივრის რაოდენობა 1 კბილამდე შეამცირეთ. 400 გრამი მდნარი ყველი, 800 გრამი ბარკლის ძირი, მარილი, შავი პილპილი.



**მომზადების წესი:** ბარკლის ძირები მოათავსეთ ქვაბში და დაასხით იმდენი წყალი, რომ ხორცი 2 თითის დადებაზე დაფაროს. მოაყარეთ პილპილი. მარილი უმჯობესია, ბოლოს მოაყაროთ. საშუალო სიძლიერის ცეცხლზე შუშეთ ბარკლები, ხუფის ქვეშ, ერთი საათის განმავლობაში, რომ ხორცი მოიხარშოს. ბულიონი მოცულობაში რომ დაიკლებს, ჩაყარეთ მასში ყველის ფირფიტები და იქამდე ურიეთ, სანამ არ გადნება. გადმოდგით ქვაბი და გააჩერეთ თავდახურული, კიდევ 10 წუთი. დაუმატეთ დაქუცმაცებული ნიორი და გარნირად მოხარშეთ ბრინჯი. კარგია შემწვარ კარტოფილთან ერთადაც. შეგიძლიათ, მოაყაროთ დაჭრილი მწვანილი.

# დაბეგვილი ხორცი ცომში









**საჭირო ინგრედიენტები:** ქათმის ან ღორის რბილი ხორცი – 400-500 გრამი. 300 მილილიტრი წყალი, 300 გრამი ფქვილი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 100 გრამი მაგარი ყველი, 100 გრამი ისპანახი, 100 გრამი ქამა სოკო, 1 კვერცხი, 1 სადილის კოვზი არაჟანი, 1 ცალი ლიმონის წვენი, 1 ჩაის კოვზი მდოგვი, მარილი, პილპილი, ცოტა უცხო სუნელი.

**მომზადების წესი:** ორი სადილის კოვზი ზეთი და წყალი მიიყვანეთ ადუღებამდე. ფქვილი ჩაყარეთ ღრმა თასში და ჩააღრმავეთ. ჩაასხით ზეთიანი წყალი. უყავით ცოტა მარილი და ჯერ კოვზით, მერე კი ხელით მოზილეთ. გააჩერეთ გაღვივებამდე. ცივ ცომზე მუშაობა უფრო მარტივია. მოამზადეთ სატენი: სოკო დაჭერით წვრილად, დაასხით ლიმონის წვენი, უყავით მარილი, პილპილი და ცოტა ხანი გააჩერეთ. მერე მოშუშეთ და სულ ბოლოს დაუმატეთ ცოტა ფქვილი. ისპანახი წვრილად დაჭერით, შეურიეთ გახეხილი ყველი, დაუმატეთ კვერცხი, მდოგვი, არაჟანი და ყველაფერი ეს, კარგად აურიეთ მომზადებულ სოკოში. ხორცი კარგად დაბეგვეთ, მოზრდილი, მთლიანი ნაჭერი უკეთესია. თუ გულდასმით დაბეგვავთ ძალიან დიდი უნდა გამოვიდეს. მოაყარეთ მარილი, პილპილი და გაყავით ოთხად. დაუბრუნდით ცომს. გაყავით 8 ნაწილად. თითოეული თხლად გააბრტყელეთ და დადეთ ზედ ხორცი. შემდეგ გადაუსვით სოკოს ნაზავი და დააფარეთ მეორე ცომი. გვერდები ჩებურეკივით ამოუკეცეთ. დაამზადეთ 4 ცალი ასეთი ღვეზელი და შეწვით ზეთში ორივე მხრიდან. ჩანგლით ცოტა ჩაჩხვლიტეთ.

თუ ბრინჯმა მიიწვა, სუნის მოსაცილებლად ზემოდან ერთი ნაჭერი თეთრი პური დაადეთ.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# ფლავი ქათმით



**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ნაჭერი ქათმის ფილე, 1 კილოგრამი სტაფილო, 1 თავი ხახვი (დიდი ზომის), 1 ჭიქა ზეთი, 0,5 კილოგრამი ბრინჯი, 1 სადილის კოვზი მშრალი ქინძი, 5 კბილი ნიორი, მარილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** ფილე დაჭერით 3-4 სანტიმეტრი ზომის კუბიკებად. ხახვი დაჭერით მოზრდილ კუბიკებად. სტაფილო გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე. ნიორი გაარჩიეთ. უწვავძირიან ქვაბში გააცხელეთ ზეთი და მასში ხახვი ზუსტად ერთი წუთი შუშეთ. ჩაუმატეთ ქათამი. როცა ხორცი მოიშუშება და გათეთრდება, ჩაუმატეთ ნიორი, მარილი, ქინძი. მაშინვე ჩაყარეთ სტაფილო და აურიეთ. დაუმატეთ გარეცხილი ბრინჯი. დაასხით იმდენი წყალი, რომ ბრინჯი ერთი თითის სისქეზე დაიფაროს. საშუალო ცეცხლზე ხარშეთ, დავდახურულ მდგომარეობაში. 20 წუთის შემდეგ ახადეთ თავი და ნახეთ. აკურატულად ამოურიეთ და 3-4 წუთში გამორთეთ. დააფარეთ თავსახური და 20 წუთი გააჩერეთ. უგემრიელესია.

# მარწყვის ღვეზელი „ტირამისუს“ მსგავსად



**საჭირო ინგრედიენტები:** 6 ცალი „პეჩენია“ (ბისკვიტის ტიპის), 100 გრამი მარწყვი, 1 სადილის კოვზი „ფისტაშკები“ (არაქისიც შეიძლება), 1 ცალი კვერცხი, 200 გრამი მასკარპონე, 1 სადილის კოვზი შაქრის პუდრა, 150 მილილიტრი ნაღების ლიქიორი – „ბეილისის“ ტიპის (ან მარწყვის სიროფი), 1-2 სადილის კოვზი გახეხილი შავი შოკოლადი ან კაკაოს ფხვნილი.

**მომზადების წესი:** ორცხობილა – „პეჩენია“ და „ფისტაშკები“ დააქუცმაცეთ კომბაინით ან ჩანაყეთ. მარწყვი დაჭერით. გადაანაწილეთ პატარა, შუშის ლამბაქებში თანაბარ ულუფებად. მოასხით ნახევარ-ნახევარი ჩაის კოვზი ლიქიორი. მოაყარეთ მარწყვი. გააკეთეთ ასეთივე მეორე ფენა. ინგრედიენტები გადაანაწილეთ თანაბრად. მასკარპონე გასრისეთ კვერცხის გულთან და შაქრის პუდრასთან ერთად. შემდეგ შეურიეთ ცალკე ათქვეფილი კვერცხის ცილა. მოასხით დესერტს. მოაყარეთ ცოტა „ფისტაშკები“ და გახეხილი შოკოლადი. თავზე დააფარეთ ფოლგა და მოათავსეთ მაცივარში 10-12 საათის განმავლობაში. შეგიძლიათ, მასკარპონეს კრემი ფენებს შუაშიც წაუსვათ.



* კარტოფილის ან მაკარონის მოხარშვის შემდეგ დარჩენილი, გაგრილებული წყალი დაასხით მცენარეებს. ეს ყვავილებისთვის სასარგებლოა.

# მწვადი გიორგი სუხიტაშვილისგან



ღორის ხორცი დავჭრათ დიდ ნაჭრებად, მოვათავსოთ ბროწეულის წვენში, მოვაყაროთ პილპილი, წითელი წიწაკა, სვანური მარილი, სხვადასხვა სუნელი, დაფნის ფოთოლი. გავაჩეროთ 3-4 საათის განმავლობაში და ჩაბასტურმებული ხორცი შევწვათ შამფურზე ნელ ნაკვერჩხალზე, რათა მწვადი კარგად შეიწვას ორივე მხრიდან და ცვრიანი და გემრიელი გამოვიდეს.

ასე შემწვარ მწვადს ძალიან უხდება ახალი თონის პური, გუდის ყველი, კიტრისა და პომიდვრის სალათა, რეჰანით... და, რა თქმა უნდა, წითელი ღვინო და ბუნება.





სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

## ალუბლისა და ხაჭოს სოუსი



**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი უცხიმო ხაჭო, 0,5 ჩაის ჭიქა რძე, 1 შეკვრა ვანილი, 1 სადილის კოვზი შაქრის პუდრი, 4 ცალი ფხვიერი ნამცხვარი, 250 გრამი კურკაგამოცლილი ალუბალი.

**მომზადების წესი:** შაქრის პუდრი, ვანილი, ხაჭო და რძე მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში და კარგად აურიეთ, რომ კრემისებური მასა მიიღოთ. ფხვიერი ნამცხვარი დაამტვრიეთ. ალუბალი, კრემი და ფხვიერი ნამცხვარი ფენა-ფენა მოათავსეთ სასურველ ფორმებში და გააციეთ. მიირთვით, როცა ფხვიერი ნამცხვარი დარბილდება.

## სალათა ქათმითა და კვერცხით

**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი ქათმის ფილე, 5 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 6 ცალი კვერცხი, 3 ნაჭერი თეთრი პური, 1 კონა სალათის ფოთოლი, 2 კბილი ნიორი, 500 გრამი ცხიმიანი იოგურტი, 125 გრამი მაიონეზი, 2 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 100 გრამი ყველი პარმეზანი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცი გარეცხეთ და შეამშრალეთ. ტაფაზე გააცხელეთ 2 სადილის კოვზი ზეთი, ხორცის ნაჭრებს მოაყარეთ მარილი და პილპილი და ორივე მხრიდან შეწვით (5-5 წუთი ეყოფა). კვერცხი მაგრად მოხარშეთ, გადაავლეთ ცივი წყალი, გაფცქვენით და დაჭერით რგოლებად. თეთრი პური პატარა კუბიკებად დაჭერით და გაცხელებულ ზეთში შებრაწეთ, შემდეგ კი ხელსახოცზე დააწყვეთ დასაწრეტად. ნიორი წვრილად დაკეპეთ. იოგურტი, მაიონეზი და ნიორი აურიეთ. შეანელეთ ლიმონის წვენით, მარილითა და პილპილით. შემწვარი ქათმის ხორცი მოგრძო ნაჭრებად დაჭერით, ყველი მსხვილად გახეხეთ, სალათის ფოთლები კი ხელით დაანაწევრეთ. ყველა ინგრედიენტი ფენა-ფენა მოათავსეთ და მოასხით სოუსი.



ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# მარტივი და სასარგებლო



## ორიგინალური საყვავილეები

მწვანე ნარგავები ოთახს ძალიან ალამაზებს. ორიგინალური და სახალისო ქოთნები თქვენც შეგიძლიათ, დაამზადოთ პოლიეთილენის ბოთლებით. აიღეთ ბოთლი და ქვედა ნაწილში გადაჭერით დაახლოებით ძირიდან 1/3-ზე. ცალკე, თეთრი ფურცლიდან გამოჭერით დათუნიას ან კურდღლის თავი. მიაწებეთ ბოთლის გადანაჭერს და მერე მთლიანად შეღებეთ თეთრი საღებავით, ბოთლიანად. დაუხატეთ სახე, თვალები, ცხვირი. ყურებიც მიუხატეთ და მერე ბოთლი შეაფერადეთ თქვენი გემოვნებით. „ქოთანს“ ძირი ლურსმნით გაუხვრიტეთ. შეგიძლიათ, ცხოველის თავის ფორმა პირდაპირ ბოთლზე შემოჭრათ. ასეც შეიძლება. ასეთ ქოთანს გნებავთ, დადგამთ, გნებავთ, საკიდს გაუკეთებთ და აივანზე ჩამოკიდებთ.

აუცილებელი არ არის, ინტერიერსა და კედლებზე ლამაზი დეკორის გასაკეთებლად, დიზაინერი მოიწვიოთ. ორიგინალურად შეაფერადებთ კედლებს ცოცხის გამოყენებით. წაუსვით კედელს მუქი ფერის საღებავი და სველსვე ზემოდან ქვემოთ ჩამოუსვით ახალი ცოცხი – მჭიდროდ მიაბიჯინეთ და ისე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები. ორიგინალურია და ლამაზი.



* ბოსტნეულის ხარშვისას ქვაბში 2 ნატეხი რაფინირებული შაქარი ჩააგდეთ. მაშინ ბოსტნეული გაცილებით გემრიელი იქნება. ბოსტნეული წინასწარ ადუღებულ წყალში ჩააწყვეთ და თავდახურულ ქვაბში ხარშეთ – ვიტამინებს უკეთესად შეინარჩუნებს.

42-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 23 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00** "მოამბე" **10.30, 01.00** "დღეს" **14.30** "გურმანია" (გ/ჩვ.) **15.00, 21.00** ტ/სერ. **"დეტექტივი"** **9** სერ. **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **18.30** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი"- ცხოვრების აზრი **19.00** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. საკვალიფიკაციო ეტაპი (პ/რ) შესვენებისას: "მოამბე" **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: I სტუდია (პ/ე) **23.00** მხ/ფ **"უპირობო სიყვარული"** (რ.ევერეტი).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა. **10.03** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.45** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.50, 19.03** სერ. **"ბამბის ველი"** **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** იურმალა **2014** **00.10** მხ/ფ **"ზღვარ-ზე"**(მ.გონსალესი) **02.00** მხ/ფ **"როგორ გიპოვე შენ"**(მ.ბრო-დერიკი).

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** "ნანუკას შოუ" **23.00** გააცინე და მოიგე **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.(ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან - ილია ჭავჭავაძე გად. VII **07.05** ირაო **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.05** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ფ. **"ოჯახი"** **13.25** ქვიშით ნაამბობი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** მხ/ფ **"უფლისწული და მათხოვარი"** I ნაწ. **15.50** კონცერტი - ანდრე რიე **16.50** კვირიაკე **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ **"რე-კორდი"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ძელი ცხოვრებისა" **23.45** ქვიშით ნაამბობი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** გადაცემა "ID"(გამ.) **8.15** SV **11** მაესტროზე (გამ) **8.40, 17.45, 22.00, 1.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30, 12.30, 1.20** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.02** **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **13.02, 14.03** **სერიალი "ასი"** **15.40, 16.02, 17.02** **სერიალი "1001 ღამე"** **18.25, 2.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02** **სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00** "ინ-ფაქტი" **2020.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30** **სერიალი "სკანდალი"** **23.30** **სერიალი "მომავლის გაელვება"** **0.30** ბრძოლა წესების გარეშე.

## ხუთშაბათი 24 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 00.30** "დღეს" **14.20** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **15.00** ტ/სერ. **"დეტექტივი"** (გ/ჩვ.) **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **18.30** დ/ფ "წინასწარმეტყვე-ლი ფანტასტები" – ჰერბერტ უელსი II ნაწილი **19.15, 02.30** "შემოძახილი" **21.00** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. საკვალი-ფიკაციო ეტაპი (პ/რ) **23.00** "უცნობი მუსიკა".

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა. **10.03** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.45** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.50, 19.03** სერ.**"ბამბის ველი"** **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** იურმალა **2014** **00.10** მხ/ფ **"გზა წარმატებისკენ"** (ა.პიტი) **01.50** მხ/ფ **"უცხოები"**(ლ.ტაილე-რი) (ტიტ.).

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი ფ **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** პროფილი **23.00** გააცინე და მოიგე **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ. (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** ჩვენი ფონდი **07.10** მხ/ფ **"უფლისწული და მათხოვარი"** I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "ძელი ცხოვრებისა" **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"რეკორდი"** **13.15** ივერიის ეკლესია **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** მხ/ფ "უფლისწული და მათხოვარი" II ნაწ. **16.00** კონცერტი - ალი ზადე **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** "პორტრეტები" **20.15** მოკ./ფ. **"მუსიკოსები"** **20.40** ძილი ნებისა **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექსით ქებათა ქება **21.35** დ/ფ "დავით აღმაშენებელი" **22.25** "დრო და ტრადიციები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ"ხიდები სამშობლოსაკენ" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **8.40, 17.45, 22.00, 1.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30, 12.30, 1.20** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.02** **სერიალი "უკანასკნელი გა-ზაფხული"** **13.02, 14.03** **სერიალი "ასი"** **15.40, 16.02, 17.02** **სერიალი "1001 ღამე"** **18.25, 2.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02** **სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00** "ინ-ფაქტი" **20.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30** **სერიალი "მომავლის გაელვება"** **0.30** ბრძოლა წესების გარეშე.

## პარასკევი 25 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 01.30** "დღეს" **14.30** "შემოძახილი" (გ/ჩვ) **15.00** "სამოთხის ვაშლები" **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **18.30** მხ/ფ **"ზუსტად ის კაცი"** **21.00** ტ/სერ. **"დეტექტივი"** **22.00** თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **23.30** მხ/ფ **"ნახევრად პროფესიონალი"** (ვ.ჰ არელსონი).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა. **10.03** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.45** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.50, 19.03** სერ.**"ბამბის ველი"** **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** იურმალა **2014** **00.10** მხ/ფ **"დაწყევლილი სახლი"**(ჯ.ო'კონელი) **01.50** მხ/ფ **"გზა წარ-მატებისკენ"**(ა.პიტი).

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50** ეროვნული ლატარია **21.00** კურიერი **22.00** ვანოს შოუ **00.00** ქ. მხ/ფ. "**5** ნახვით შეყვარება" **02.00** მხ/ფ. **04.00** კურიერის დაიჯესტი **04.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "დები ტრევისის

მხიარული სახლი" **06.40** ეთნოგრაფია **06.55** დ/ფ "ხიდები სამშობლოსაკენ" **07.25** დ/ფ "დავით აღმაშენებელი" **07.50** "ჩვენი ამბავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** "დრო და ტრადიციები" **10.05** სახლი ღვთისა **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.10** მოკ./ფ. **"მუსიკოსები"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** მოკ./ფ. **"ზღარბი"** **15.30** კონცერტი - ნიკა რაჭველი, ლექსო თორაძე - გია ყანჩელი **16.55** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ზოგი ჭირი მარგებელია"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საქართველოს ისტორია **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე".

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) (გამ.) **8.10** გადაცემა "ფული და სურვილები"(გამ.) **8.45, 17.45, 22.00, 1.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30, 12.30, 1.20** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00**, ამბები მოკლედ **10.02, 11.02** **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **13.02, 14.03** **სერიალი "ასი"** **15.40, 16.02, 17.02** **სერიალი "1001 ღამე"** **18.25, 2.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02** **სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00** "ინ-ფაქტი" **20.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30** **სერიალი "მომავლის გაელვება"** **0.30** ბრძოლა წესების გარეშე.

## შაბათი 26 ივლისი

**08.00** საბ. ან. "სკუბი – დუ! აბრაკადაბრა - დუ" **10.00** მხ/ფ **"ფანტომასი სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ"** **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" **14.00** საქართველოს შეიარაღებული ძალებისადმი მიძღვნილი კონცერტი **15.00, 21.00** ტ/სერ. **"დეტექტივი"** **16.30, 00.30** "გურმანია" **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **18.00** ტ/ფ "რეკორდი" **19.00, 01.00** "ეტალონი" **22.00** "წითელი ზონა" **23.00** მხ/ფ **"ჯერ სკოლა დაამთავრეთ"** **02.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები".

**07.30** ან/ფ "სპანჯბობი"მე–**20** სერია **08.00** მხ/ფ **"ამაო გარჯა სიყვარულისა"** **10.15** ეკოვიზია **10.50, 16.50** TV - მარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ვაკანსია **12.00** სერ.**"მერლინი"** **13.00** EMERGENCY – სასწრაფო დახმარება **14.45** სერ. **"სიყვარული" ცა და მიწა"** **17.45** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.50, 19.03** სერ.**"ბამბის ველი"** **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** იურმალა **2014** **00.00** მხ/ფ **"აუტანელი სისასტიკე"**(კ.ზეტა-ჯონსი) **01.45** მხ/ფ **"დაწყევლილი სახლი"**(ი.ჰოფმანი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.25** ანიმაცია **08.30** მხ/ფ. **10.00** კომედი შოუ (**3** თვის წინანდელი გ/ჩ) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** იღბლიანი ბორბალი (კვირის გ/ჩ) **15.30** მხ/ფ. **"სამსახურის რომანი"** **18.45** სოციალური ცელი **15** ივლ. გ/ჩ **19.45** "ვინ დაამარცხებს ვასოს" **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "პლანეტა დედამიწა" **07.15** ეთნოგრაფია **07.30** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.50** კვირიაკე **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** მხ/ფ **"ზოგი ჭირი მარგებელია"** **13.30** საღვთისმეტყველო საუბრები **14.05** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - **"კარმენი"** **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თბილისის ტაძრები **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.20** "ჩვენი ამბავი" **22.30** ღირსი მამა დავით გარეჯელი **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ " გრაფი მონტე-კრისტო" I ნაწ.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **8.10** იუმორისტული შოუ -"**4X4**" (გამ.) **9.10, 11.00, 13.05, 16.00, 19.00** **სერიალი "თანაგრძნობა"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 2.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში" **15.30** NX სპიკერი **18.30, 0.15** "უცნობი ისტორიები" **20.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **21.30** გადაცემა "ფული და სურვილები" **22.00** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00** "თქვენი გადახდილია" **23.30** TV **11** მაესტროზე **0.00** "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) **0.45** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში"(გამ.).

## კვირა 27 ივლისი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ. ან. "სკუბი – დუ! ბანაკის საშინელებანი" **10.00** მხ/ფ **"მიფრთხილდი ლა ტურ!"** **11.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00, 02.00** "სამოთხის ვაშლები" **14.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **15.00** ტ/სერ. **"დეტექტივი"** **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **18.00** ქართ. მხ/ფ **"ორომტრიალი"** **20.30, 03.30** "ტელებლოგი" **21.20** **წყალბურთი**. ევროპის ჩემპიონატის ფინალი (პ/რეპ) **00.15** მხ/ფ **"ალბერტ ნობსი"**.

**07.30** ან/ფ "სპანჯბობი" **08.00** მხ/ფ **"ზურმუხტის ქვის რომანი"** **10.10** ადრენალინი (გ/ჩ) **10.50, 16.50** TV - მარკეტი **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. **"მერლინი"** **13.00** კულინარიული დუელი **14.30** იმედის გმირები **15.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **17.30** სერ. **"სიყვარულის სეზონი"** **3** სერ. **20.00** პანორამა (**60** წთ) **21.00** ღამის შოუ **22.00** იურმალა **2014** **00.00** მხ/ფ **"ლამაზი მერის ამბავი"**(ბ.სტილერი) **02.05** მხ/ფ **"აუტანელი სისასტიკე"**(კ.ზეტა-ჯონსი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.25** ანიმაცია **08.30** მხ/ფ. **10.30** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **14.00** ქერის უბანი (**6** ივნისი და **18** ივლისის გ/ჩ) **14.15** სიცილის ზონა **15.30** პროფილი გ/ჩ **18.45** "ბრავო" გ/ჩ **19.45** იღბლიანი ბორბალი **21.00** P.S. **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** კომედი შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.10** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** თბილისის ტაძრები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.55** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** მხ/ფ **"უკვდავების თეთრი ვარდი"** **13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** "ჩვენი ამბავი" **18.40** დროის ჩანაწერები **19.25** მხ/ფ **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** **21.30** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "მაცხოვარი ლატალისა" **00.30** პორტრეტები **01.30** მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო"** II ნაწ.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.00** "უცნობი ისტორიები"(გამ.) **8.20** "თქვენი გადახდილია" (გამ.) **8.50** TV **11** მაესტროზე (გამ.) **9.20, 11.00, 13.25, 16.00, 20.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 0.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50, 0.00** გადაცემა **"ID"** **13.10** გადაცემა "ურბანსპორტი" **15.30** NX სპიკერი **18.30, 0.20** ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი") **19.00** **სერიალი "თანაგრძნობა"** **21.00, 1.15** ვახო სანაიას რეპორტაჟი **22.00** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15** იუმორისტული შოუ -"4X4" **23.45** "აბების" კვირის ანეკდოტები.

## ვერძი

ეცადეთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე და არ გაღიზიანდეთ წვრილმანებზე. არ არის გამორიცხული, გეგმები შეგეცვალოთ. მიზნების მისაღწევად აქტიურობაა საჭირო. სასიყვარულო და საოჯახო ურთიერთობებში იყავით მეტად გულწრფელი და მოისმინეთ მათი აზრები. კარგია უცხოელებთან კონტაქტი.

## კურო

მიმდინარე მოვლენები და გარემოებები დადებითად შეცვლის თქვენს მიზნებსა და საქმიანობას. გამოავლინეთ შემოქმედებითი უნარი. იყავით მეტად აქტიური და თავისუფალი. მეტი იკონტაქტეთ და იმოგზაურეთ. გაიზრდება შემოსავალიც. პირად ცხოვრებაში ნუ გარისკავთ. გაითვალისწინეთ საყვარელი ადამიანის სურვილები.

## ტყუპები

ახლობლებთან ურთიერთობა სასიამოვნო და სახალისო იქნება, ახალი ნაცნობობა კი მომავალში დიდ დახმარებას გაგიწევთ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ნაკლები პასუხისმგებლობა აიღეთ საკუთარ თავზე. მეტი დრო დაუთმეთ პირადი ცხოვრების მოწყობას.

## კირჩხიბი

თქვენს ნებაზე ცხოვრება გაგიჭირდებათ, რადგან სხვისი ვალდებულებების საკუთარ თავზე აღება და სხვა ადამიანების სურვილების შესრულება მოგიწევთ. შესაძლოა, ადრე დაშვებული შეცდომები საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გამწვავების მიზეზი გახდეს. საქმეს სერიოზულად მიუდექით, რომ შემოსავლებმა არ იკლოს.

## ლომი

კომუნიკაბელური და მიზანდასახული იქნებით. იფიქრეთ გეგმების განხორციელებაზე, თუმცა, კარიერაში დიდი წინსვლების და ცვლილებების იმედი ნუ გექნებათ. ცვლილებებია მოსალოდნელი პირად ცხოვრებაში. კარგია ახალი საქმის დაწყება, მოგზაურობა და სამომავლო გეგმების დასახვა.

## ქალწული

მოერიდეთ გლობალურ ცხოვრებისეულ ცვლილებებს და ეცადეთ, იცხოვროთ მშვიდად და უკონფლიქტოდ. ამ პერიოდში ნუ დაიწყებთ პოლიტიკურ საქმიანობას. გააკონტროლეთ ხარჯები, რათა არ გაჩნდეს ფინანსური პრობლემები. მეტი ყურადღება დაუთმეთ ახლობლებს. მოერიდეთ შორეულ მოგზაურობას.

## სასწორი

გაგიჩნდებათ სამართლიანობისა და კომპრომისზე წასვლის გრძნობა. გაგიჭირდებათ ხელმძღვანელებთან ურთიერთობა. კარიერული წინსვლისთვის აუცილებელია ცოდნის გაღრმავება. დროულად წადით დათმობაზე. კარგია მეგობრებთან ერთად მოგზაურობა და დროის გატარება.

## მორიელი

პარტნიორულ ურთიერთობებში თავდაჯერებულად იგრძნობთ თავს. არ დაკარგოთ ზომიერების გრძნობა. მოერიდეთ კამათსა და იურიდიულ საქმიანობას. პირადი კონტაქტების სიმრავლე არ მოგცემთ მოდუნების საშუალებას. იმოქმედეთ დამოუკიდებლად. საყვარელი ადამიანი ბევრ სასიამოვნო წუთს გაჩუქებთ.

## მშვილდოსანი

ნუ მოექცევით გარშემო მყოფების გავლენის ქვეშ. ყველა ღონე იხმარეთ, რათა კონფლიქტური სიტუაცია კიდევ უფრო არ გამწვავდეს. კარგია ინფორმაციის მიღება, სწავლა, დასასვენებლად გამგზავრება. არ არის გამორიცხული, მოგზაურობისას ახალ სასიყვარულო კავშირს ჩაეყაროს საფუძველი. ხშირად განმარტოვდით და იფიქრეთ მომავალზე.

## თხის რქა

გაამარტივეთ ურთიერთობები და დაანახვეთ გარშემო მყოფებს თქვენი დადებითი თვისებები. საქმეში გამოიყენეთ შემოქმედებითი პოტენციალი და ამით გაამყარეთ თქვენი მატერიალური შემოსავლები. ძველმა რომანტიკულმა გრძნობამ, შესაძლოა, ძირფესვიანად შეცვალოს თქვენი პირადი ცხოვრება.

## მერწყული

მთელი ძალ-ღონე მოახმარეთ კარიერასა და პარტნიორულ ურთიერთობებს. იზრუნეთ დამატებით საქმეზე, რათა გაზარდოთ შემოსავლები. ეცადეთ, უყურადღებოდ არ დატოვოთ ოჯახის წევრები და გამოასწოროთ მათთან ურთიერთობა. კარგია მოგზაურობა.

## თევზები

ეს პერიოდი დასვენებისა და საოჯახო საქმეების მოგვარების დროა. ახალი იდეები საინტერესოსა და შემოქმედებითს გაგხდით. არ არის გამორიცხული, ახალმა ინფორმაციამ მთლიანად შეცვალოს თქვენი ცხოვრება. უცხოელებთან საქმიანი კონტაქტი მომავალში მეტ პერსპექტივას გიქადით.

**ახალმთვარეობა – 27 ივლისი, 22 სთ: 20 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი

ინტიმური კონტაქტების დღეა. გამახვილდება სექსუალური ენერგია. მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს და სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი, მწვანე, ნაცრისფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ტოპაზი, ონიქსი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, გართობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა, შემოქმედებითი მუშაობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული და სასუნთქი სისტემები, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### სამშაბათი

ნუ აჩქარდებით, რათა არ დაუშვათ საბედისწერო შეცდომები. იყავით მეტად დამოუკიდებელი და დაიცავით სამართლიანობა. ატარეთ ყვითელი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, კრემისფერი, ცისფერი ან იასამნისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, ნეფრიტი, აკვამარინი ან ლაბრადორი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. მოერიდეთ თმის შეჭრას, რემონტის დაწყებას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. კარგია საქმიანი კონტაქტები, ხელშეკრულებების დადება, საბანკო ოპერაციები, მშენებლობა. სუსტდება სასუნთქი სისტემა, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ნუ ილაპარაკებთ ზედმეტს. დაუფიქრდით მოქმედებებს, აკონტროლეთ აზრები და ფიქრები. კარგია სექსუალური კონტაქტები. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა, რემონტის დაწყება. ატარეთ ყვითელი, იასამნისფერი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, კრემისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ლაზურიტი, სარდიონი, ამაზონიტი ან ლაბრადორი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია საქმიანი კონტაქტები, მოლაპარაკებები, საბანკო ოპერაციები, სამეცნიერო კვლევა, ხელშეკრულების დადება. სუსტდება ბრონქები, ფილტვები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.***

### ხუთშაბათი

კარგია იმიჯის შეცვლა, შემოქმედებითი მუშაობა. აკონტროლეთ აზრები და სიტყვები. ატარეთ თეთრი, მწვანე, ვერცხლისფერი, იისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, ყვითელი იასპი, ჰელიოტროპი, რუხი ტოპაზი ან ამეთვისტო. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. კარგია ვაჭრობა, საოჯახო საქმეები, მცენარეების დარგვა-გადარგვა. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

დაეხმარეთ მეგობრებსა და პარტნიორებს. გადაამოწმეთ საბუთები და ხელი ისე მოაწერეთ, რადგან მაღალია ფინანსური შეცდომების დაშვების ალბათობა. ატარეთ თეთრი, ვერცხლისფერი, მწვანე, იისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, აქატი, ჯესპილიტი, ოპალი ან მარგალიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სახლის მშენებლობის დაწყება, სესხის აღება, ადგილმდებარეობის შეცვლა. კარგია საოჯახო-სანათესაო ურთიერთობები, ვაჭრობა, სასამართლო პროცესების დაწყება. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

გამახვილდება ინტუიცია. ნუ გათქვამთ საიდუმლოს. აკონტროლეთ ემოციები, აზრები და სიტყვები. მოერიდეთ ილუზიებს და იყავით რეალისტი. ატარეთ თეთრი, ცისფერი, მწვანე, ვერცხლისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, ოპალი, გიშერი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღებას ნუ მაიქცევთ სიზმრებს, რადგან სათუოა მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა სესხის აღება, სასიყვარულო კავშირები. სუსტდება კუჭი, ლიმფური და გულ-სისხლძარღვთა სისტემები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს ახალმთვარეობაა. მოჭარბებულია კოსმიური მძიმე ენერგიები. მოიმატებს ტრავმების, ავარიების, ცდუნებების, შეცდომების დაშვების, ეგოიზმის გამოვლენის, ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობა. იყავით ფრთხილი და წინდახედული. ატარეთ ყვითელი, შინდისფერი, ჩალისფერი, ლურჯი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, ქარვა, სარდიონი ან მთის ბროლი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია გართობა, ხელოვნებასთან ურთიერთობა. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თევზებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**გალუაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გალა**. ეს **გალაქტიონის** კნინობითი ფორმაა, რომელიც ცალკე სახელადაც დამკვიდრდა.

1823 წელს სოფელ ღოუბანში მოიხსენიება მიქაელ **გალუაშვილი** ოჯახთან ერთად.

საქართველოში 206 **გალუაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 155, გარდაბანში – 35, რუსთავში – 6. არიან სხვაგანაც.

**მესტვირიშვილი**

გვარის ფუძეა ხელობის აღმნიშვნელი სიტყვა **მესტვირე**, რაც **სტვირის** ხელოსანს ნიშნავს.

1781 წელს კოდაში მოიხსენიება ალთუნა აზიაშვილი – **მესტვირე** გრიგოლი. **მესტვირე** გრიგოლისგან წარმომდგარია გვარი მესტვირიშვილი.

1818 წელს სოფელ ვარდისუბანში მოიხსენიება ალექსანდრე **მესტვირიშვილი**.

პატარა ენაგეთში მცხოვრები, მართლმადიდებელი პეტრე **მესტვირიშვილი** 1875 წელს დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ნათლავს შვილს – მარიამს. მიმრქმელი იყო მისი თანასოფლელი ქრისტესაშვილი.

**მესტვირიშვილი** და გრიგოლაშვილი ერთი და იგივე გვარია.

საქართველოში 790 **მესტვირიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 372, თელავში – 150, თეთრი წყაროში – 112. არიან სხვაგანაც.

**ზადიკაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ზადიკა.**

საკუთარი სახელი **ზადია** გვხვდება გვარში – **ზადიაშვილი**. ვარაუდობენ, რომ გვარი **ზადიკაშვილი** აქედანაა ნაწარმოები.

1672 წელს დავითა **ზადიკაშვილი** მოიხსენიება მითარას მიერ ალავერნა საფარიშვილის სახელზე გაცემული მამულის ნასყიდობის წიგნში.

საბარათიანოში, ბატონის დედოფლის სახასოში, 1721 წელს მოიხსენიება პაპუა **ზადიკაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარები: **ზადიშვილი, ზვადიშვილი, ზადიაშვილი.**

საქართველოში 20 **ზადიკაშვილი** ცხოვრობს.

**ელიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ელია**, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა და




ქართულად მზიურს, მზიანს ნიშნავს. ქართულში დამკვიდრებულია კნინობითი ფორმები – **ილო, ილიკო.**

1721 წელს მოიხსენიება გერმანოზიშვილების ყმა – ივანა **ელიაშვილი**.

ამავე ძირისაა გვარი – **ელიავა.**

არსებობს დღესასწაული **ელიაობა**, რომელიც ამინდის ღვთაების – **ელიას** სახელობისაა.

საქართველოში 1 261 **ელიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 309, ქარელში – 286, გორში – 258. არიან სხვაგანაც.

**კონიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **კონა.**

**კონია** მოიხსენიება 1789 წელს გიორგისაშვილი სიმონას მიერ ვახტანგ ყაფლანიშვილისადმი გაცემულ ნასყიდობის წიგნში.

საქართველოში 359 **კონიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 138, საგარეჯოში – 132, კასპში – 52. არიან სხვაგანაც

**ტერტერაშვილი-ტერტეროვი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ტერტერა** (სომეხთა მღვდელსაც **ტერტერა** ჰქვია).

„ავთანდილ **ტერტერაშვილი** 1685 წლის ღალის ამოკვეთის წიგნში მიცემული იყო მუხრანის ბატონის შვილის, ბოვნელ ეპისკოპოსის ნიკოლოზის მიერ დოლმახა შანშიაშვილისადმი“.

1721 წლის აღწერით, **ტერტერაშვილები** ყაფლანიშვილების აზნაურებად მოიხსენიებიან. მათ უცხოვრიათ და ყმები ჰყოლიათ ქცია-ყარაბულაში, გარისის მიწაზე, სოფელ ლიპში.

„დათუნა **ტერტერაშვილი**, 1701-1711 წლების აღწერით, ყაფლანიშვილების მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა დილამაშენში“.

მოგვიანებით, **ტერტერაშვილები** რუსული დაბოლოებით – **ტერტეროვებად** გაუფორმებიათ.

საქართველოში 1 124 **ტერტერაშვილი** ცხოვრობს: გორში – 464, ახმეტაში – 350, საგარეჯოში – 86. არიან სხვაგანაც.

**გაბაძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გაბა.** ამავე ძირისაა გვარი **გაბაშვილი**.

1853 წელს სოფელ ბორბალოში მოიხსენიება კიკოლა **გაბაძე**.

1843 წლის აღწერაში, დიდ თიანეთში მოიხსენიება მაკარ **გაბაძე**.

საქართველოში 936 **გაბაძე** ცხოვრობს. საჩხერეში – 497, თბილისში – 203, ლაგოდეხში – 32. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

(41-ე გვერდიდან)

ნდა გადაკეტილი. ყველა მხედავდა ტელევიზორში, რომ ასე აქტიურად ვიბრძვი დენისთვის, გაზისთვის. მოუმატებდნენ გადასახადს და – მარეგულირებელ საბჭოში მივდიოდი დიდი ჩხუბით, რომ ტარიფისთვის დაეკლოთ. ამ პერიოდში ჩემთან სახლში მოდის ინკასატორი. სინათლე არ გვქონდა, მაგრამ, რაღაც გადასახადი მაინც იყო. ძალიან მოკრძალებით მეუბნება: ქალბატონო ასმათ, იცით, სინათლის ფული გაქვთ გადასახდელი და ამისთვის ვარ მოსულიო. მე არ ვიხდი გადასახადს, გათავისუფლებული ვარ გადასახადებისგან-მეთქი. შეცბა, რადგან მაშინ არავინ არ იყო გათავისუფლებული ამისგან და მკითხა, ვინ გაგათავისუფლათო. ერეკლე მეფემ-მეთქი. ამ კაცმა იფიქრა, დენსა და გაზზე ამდენი ლაპარაკით, ეტყობა, გააფრინა ამ ქალმაო. კი გენაცვალე, როგორ არაო, – მიპასუხა და გარბის. მოიცადეთ! – ვუძახი, – მართლა ვარ გათავისუფლებული გადასახადებისგან-მეთქი.

**– მართლია, არავის უყვარს პირად ცხოვრებაზე საუბარი, მაინც უნდა გკითხოთ: როგორია თქვენი სიყვარულის ისტორია? რატომღაც, მგონია, თქვენ ის ადამიანი ხართ, ვისაც დასამალი არც არაფერი აქვს.**

# როგორ იგერიებდა ცოლშვილიან კაცებს ასმათ ტყაბლაძე და რა ჩამოჰქონდა მას უცხოეთიდან გასაყიდად

– ხშირად მყავდა როგორც მსახიობი თაყვანისმცემლები, ისე დარბაზიდან. ზოგი ყვავილებს მიგზავნიდა, ზოგი სიმპათიებს მითვლიდა. პატარა სიმპათიები და რომანები გვქონდა მე და თენგიზ არჩვაძეს, რომელიც სპექტაკლ „თვალი პატიოსანის“ მერე გაჩნდა. მაშინ თენგიზი 37 წლის იყო, ცოლთან ოფიციალურად იყო დაშორებული და ამიტომ დავუშვი ეს, თორემ, არასდროს მიფიქრია, ცოლშვილიან კაცთან რომანი გამება. მანამდეც მოვწონდი ცოლშვილიან მამაკაცებს, მაგრამ, არავისთვის მიპასუხია. მერე თენგიზი ცოლს შეურიგდა. ეს იყო, უბრალოდ, ახალგაზრდული გატაცება და სხვა არაფერი. ასე დამთავრდა ყველაფერი, მშვიდად და ლამაზად დავშორდით ერთმანეთს. მას შემდეგ იყვნენ ადამიანები, რომლებიც მიყვარდა.

**– თქვენ გყავთ შვილი. თქვენი გადაწყვეტილება იყო, არ შეგექმნათ ოჯახი? ბევრი ქალი ვიცი, ვინც სულაც არ მიიჩნევს საჭიროდ, ჰყავდეს ქმარი, „ჩაჯდეს“ ოჯახში და რეცხოს და ხეხოს. რატომ არ გათხოვდით?**

– ამ თემაზე არ ვლაპარაკობ, არ არის საჭირო. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ბუნებით ძალიან ძლიერი ქალი ვარ და არასდროს შემშინებია, მარტო გამეზარდა ბავშვი. შვილი აუცილებელი იყო ჩემთვის. ქვეყანას მირჩევნია, აღარც კაცი მახსოვს და აღარც სიყვარული. შვილი საკმაოდ გვიან, ორმოცი წლის ასაკში გამიჩნდა. ძალიან კარგი გოგოა, მყავს შვილიშვილიც. პატარა რომ იყო, ჰკითხეს: თამუნა, როგორი მამა გინდა, გყავდესო და – მელ გიბსონი მომწონსო. მე რომ შევხვდები მელ გიბსონს, ვეტყვი და შენი ხათრით მითხოვს-მეთქი. ბრძოლის უნარი ყველაფერში მაქვს, პირად ცხოვრებაშიც, მეგობრობაშიც, ქვეყნისთვისაც. მამაკაცები სუსტები არიან, ძალა არ ჰყოფნით და, ამიტომ, ადვილად მართვადები არიან. სულ არ მჭირდება, ადვილად სამართავი კაცი მყავდეს გვერდით.

**ეკა პატარაია**

# გაქვთ მტკიცე ხასიათი?

*სიჯიუტე სულაც არ არის მტკიცე ხასიათი. ეს უფრო ნებისყოფა და პრინციპულობა – დასახული მიზნისკენ უკანმოუხედავად სვლა. რაც წარმატების გარანტია. იყავით გულახდილი თქვენს პასუხებში. პასუხები უნდა იყოს: „დიახ“, „არა“, „არ ვიცი“...*

**1. გაქვთ უნარი, დაასრულოთ საქმე, რომელიც საერთოდ არ გაინტერესებთ?**

**2. როცა ვინმე უნდა გალანძღოთ, გიწევთ შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევა?**

**3. როცა ძალიან გაბრაზებული ხართ, შეგწევთ უნარი, სიტუაცია ჯანსაღად შეაფასოთ – მშვიდად და ცივი გონებით?**

**4. თუ დიეტაზე ყოფნა დაგჭირდეთ, კულინარიულ ცდუნებას დაძლევთ?**

**5. როცა გადაუდებელი საქმე გაქვთ, შეგიძლიათ, რამდენიმე დღე დილით, ჩვეულებრივზე ადრე ადგეთ?**

**6. ქუჩაში, თქვენ თვალწინ უბედური შემთხვევა მოხდა. დაეხმარებით პოლიციას? დარჩებით ადგილზე მის მოსვლამდე?**

**7. კორესპონდენციებს სწრაფადვე პასუხობთ?**

**8. რაიმეს ფობიური შიშის გამო, ხომ არ შეგიცვლიათ საკუთარი გადაწყვეტილება საქმესთან დაკავშირებით?**

**9. ყოველთვის ითვალისწინებთ ექიმის ან კვალიფიციური სპეციალისტების რჩევებს?**

**10. მიცემულ პირობას ყოველთვის ასრულებთ? თუნდაც მან ბევრი საფიქრალი**



**გაგიჩინოთ?**

**11. გაქვთ დღის განაწესი, გეგმა და იცავთ მას?**

**12. როგორი საინტერესო ფილმი ან ტელეგადაცემაც უნდა იყოს, თქვენ მაინც არ გაგეფანტებათ ყურადღება და არ მოწყდებით საქმეს?**

**13. შეგიძლიათ, წყენა დამალოთ და შეურაცხმყოფელს პასუხი არ გასცეთ? გაქვთ თუ არა ამის ნებისყოფა?!**

*ყოველი დადებითი პასუხისთვის დაწერეთ 2 ქულა; „არ ვიცისთვის“ – 1 ქულა, „არა“ – 0 ქულა.*

**დათვალეთ და ნახეთ შედეგი:**

*0-12 ქულა: პასუხისმგებლობა თქვენთვის ფიზიკური ტკივილის ტოლფასია. საქმე მარტო ის არ არის, რომ სუსტი ნებისყოფა გაქვთ, ეგოისტიც ბრძანდებით. შეხედეთ საკუთარ თავსა და საქციელს უცხო თვალით. იქნებ მიხვდეთ, რა პერსპექტივა გაქვთ. ანუ, ის თითქმის არ გაქვთ.*

*13-20 ქულა: საშუალო ხარისხის ნებისყოფა გაქვთ – უპასუხისმგებლობას ვერავინ დაგწამებთ, მაგრამ პრინციპულობა გაკლიათ. ხშირად ეს უარყოფითად აისახება თქვენს პირად და საქმიან ურთიერთობაზე. გაავარჯიშეთ ნებისყოფა. თქვენ ეს გჭირდებათ.*

*21-26 ქულა: მტკიცე ნებისყოფა გაქვთ, საოცრად მტკიცე. თქვენი ნდობა ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება. რაც უნდა დაგავალონ, თქვენი გასაოცარი პასუხისმგებლობის გრძნობა ყველაფერს პირნათლად გასრულებინებთ. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ზოგჯერ მოეშვით და საკუთარ თავს იმის კეთების უფლებაც მიეცით, რაც მართლა უნდა.*

## ბულიონის კუბიკი – საჩუქარი დიასახლისთვის

1846 წელს შვეიცარიის პატარა სოფელში მეწისქვილის ოჯახში ბიჭუნა დაიბადა, რომელსაც იულიუსი დაარქვეს. მამა იტალიელი ჰყავდა, დედა – ციურიხელი მასწავლებლის ქალიშვილი. პატარას ოთხი და-ძმა ჰყავდა და ალბათ, ისიც მეწისქვილე გახდებოდა, რომ არა მისი მეოცნებე ბუნება. იულიუსმა კომერციული სასწავლებელი დაამთავრა და ფქვილის საწარმოში დირექტორის მოადგილედ დაიწყო მუშაობა. მამამაც მემკვიდრეობით თავისი წისქვილი დაუტოვა. საქმეები კარგად მიდიოდა და უკვე 1874 წელს იულიუსი სამ ფქვილის გადამამუშავებელ საწარმოს ფლობდა შაფჰაუზენსა და ციურიხში. იულიუს მაგი ძალიან განსხვავდებოდა სხვა მეწარმეებისგან. ის ზრუნავდა თავის დაქირავებულ მუშებზე. პირველად მან გამოაცხადა შაბათი დასვენების დღედ და შემოიღო შესვენება სადილისთვის. შრომისნაყოფიერება ამან ორჯერ გაზარდა. მოგვიანებით, როცა მაგნატი გახდა, ყოველწლიურად სერიოზულ თანხას ხარჯავდა მუშებისთვის ბინის აშენებაზე და მათში ცხოვრების ჯანსაღ წესს ამკვიდრებდა... ბევრი იფიქრა, როგორ გადაეჭრა ღატაკთა კვების პრობლემა. მოიწვია მეგობარი – ფიზიოლოგი ფრიდოლინ შულერი და მისგან გაიგო, რომ გამომშრალი ბოსტნეული არ კარგავდა თავის კვებით ღირებულებებს. აქედან გაუჩნდა იდეა, რომ დაეფქვა არა მხოლოდ ხორბალი, არამედ ბოსტნეულიც, შეერია მისთვის კონცენტრატი და დაემზადებინა მასალა ბულიონის სწრაფად და იაფად მოსამზადებლად. ეს იყო 1882 წელს. ერთ წელზე ცოტა მეტი დასჭირდა ტექნოლოგიის დახვეწას. პირველად ბულიონის ფხვნილის დამზადება დაიწყეს. მაგი კარგი მენეჯერი იყო. თავისი ახალი პროდუქტის პოპულიზაციისთვის დააარსა სააგენტო „რეკლამა და პრესა“, რომელშიც საკმაო თანხა ჩადო.

1890 წელს პროდუქტების მაღაზიებში გამოჩნდა ბულიონის ფხვნილები და კუბიკები სარეკლამო სლოგანით: „ქალებო, თქვენი პიროვნების რეალიზაციისთვის მეტი დრო გჭირდებათ. ნუ დაიღლებით სადილების კეთებით, მოამზადეთ ნოყიერი ბულიონი მარტივად“... იულიუს მაგის ამ გამოგონებამ ფურორი მოახდინა. 1947 წელს მისი კომპანია „იუ, გ და კო“ „ნესტლეს“ შეერწყა...

## დაუჯერებელი რეალობა

***ზოგიერთი ფაქტი მეტისმეტად უცნაურად ჟღერს და შეიძლება, არც კი დაიჯეროთ...***

* ქალები გაცილებით სწრაფად თვრებიან, თუ მუსიკა ჟღერს – ასეთია ბრიტანელი მკვლევრების დასკვნა. მათ თავიანთი მოსაზრება ხანგრძლივი ექსპერიმენტების შემდეგ გამოთქვეს.

* მამაკაცის ნაყოფიერებას დიდწილად განსაზღვრავს საკვები. უკვე ცნობილია, რომ იმ მამაკაცების სპერმა გაცილებით ხარისხიანია, რომლებიც თევზით იკვებებიან, ვიდრე იმათი, ვისი მენიუც ხორცითაა გაჯერებული. ხორცის, ბეკონისა და ძეხვეულის მოყვარულ მამაკაცების სპერმას განაყოფიერების უნარი 30 პროცენტით აქვს დაქვეითებული.

***

***გაინტერესებთ, რისი სჯერათ დღემდე ჩვეულებრივ ამერიკელებს?***

* ლი ჰარგი ოსვალდი მარტო არ იყო, კენედიზე თავდასხმის დროს.

* უცხოპლანეტელები რეალურად არსებობენ.

* ხელისუფლება მოქალაქეების ცნობიერებას ტელევიზიით აკონტროლებს.

* „თოვლის კაცი“ არსებობს.

* პრეზიდენტი ობამა ცუდი პრეზიდენტია და ურწმუნოც.

* ამერიკელები შესაძლოა, მართლაც არ ყოფილან მთვარეზე.

* გიგანტური რეპტილიები შეიძლება ისევ გაჩნდნენ დედამიწაზე.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# როცა ქალს უყვარს...

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №27-28(707)**

დეამ ხელები ღრმად ჩაიყო ქურთუკის ჯიბეებში და ნესტოებით ხარბად შეისუნთქა დილის ცივი, გამჭვირვალე ჰაერი. სიამოვნებდა აი ასე, მარტო, ფეხით სიარული, როცა არსად ეჩქარებოდა და არც საუბრის ვალდებულება ჰქონდა. ქალაქს უკვე ეღვიძა და აქტიურ ცხოვრებას იწყებდა. ადამიანები აჩქარებული ნაბიჯითა და საქმიანი სახეებით მიდი-მოდიოდნენ... დეასთვის ნაცნობი იყო ეს რიტმი, მაგრამ, თავისი ცხოვრების ამ ეტაპზე აჩქარებას არ ცდილობდა. ლინა არ ცდებოდა, როცა ეუბნებოდა, შენს თანატოლებს არ ჰგავხარ, დიდური სევდა და საზრუნავი მოჩანს შენს გამოხედვაშიო... მაგრამ ეს მისი საიდუმლო იყო, მხოლოდ მისი და სხვა არავისი. დეამ ერთბაშად გადაწყვიტა ეს დღეც მისი ყოფილიყო – ერთი დღე, საერთო კონტექსტიდან ამოგლეჯილი და განსხვავებული... ამ დღეს არაფერს დაგეგმავდა, არაფერს გააკეთებდა და ივლიდა, სანამ ფეხები არ დაეღლებოდა. იცოდა, მშობლებისთვის აუცილებლად უნდა დაერეკა, მაგრამ არა დღეს და არა ახლა, როცა სიმშვიდით და არაფერზე ფიქრით ნეტარებდა...

საკუთარი სახელი მოესმა – ვილაცამ აშკარად დაუძახა... თხელ ნისლში თანდათან გამოიკვეთა ბიჭის სილუეტი... დეას გულწრფელად გაუკვირდა და არც უცდია ამის დამალვა.

– თქვენ? ეს როგორ გავიგო? დიდი ხანია, უკან მომყვებით?

ბიჭი ჯერ შეყოყმანდა, მერე თავს მოერია და ოდნავ დარცხვენილმა აღიარა:

– პირველივე ნაბიჯებიდან... ოღონდ, არ გამიბრაზდეთ. მე ხომ შემეძლო, ტყუილიც მეთქვა, რომ ახლა შემთხვევით შეგხვდით. ნუთუ სიმართლის თქმისთვის დამსჯით?

დეას უნებლიეთ გაეღიმა.

– ვინ გითხრათ, რომ თქვენს დასჯას ვაპირებ? ან, როგორ დაგსაჯოთ, როცა მხოლოდ ერთხელ შეგხვდით... სჯიან იმას, ვინც უყვართ ან, პირიქით, სძულთ. თქვენ მიმართ ამ ორი გრძნობიდან ერთიც არ მაქვს. ასე რომ, ძალიანაც რომ მოვინდომო თქვენი დასჯა, მაინც არაფერი გამომივა... ისე კი, ძალიან საინტერესოა, ჩემს სახლთან ასე ადრიანად როგორ აღმოჩნდით.

სანდრო მიხვდა, რომ არ უბრაზდებოდნენ და ცოტა გული მოეცა.

– არ აღმოვჩნდი, მოვედი და გელოდებოდით, გარეთ როდის გამოხვიდოდით.

– მოიცა, თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ?

სანდრომ მორჩილად დაუქნია თავი:

– დიახ, აბსოლუტურად სერიოზულად.

– აღარ გეკითხებით, როგორ გაიგეთ, სად ვცხოვრობ; ისედაც ვხვდები, რომ ამ საქმეში თქვენი აქტიური მეგობრის ხელი ურევია, მაგრამ, ხომ შეიძლებოდა, დღეს საერთოდ არ გამოვსულიყავი სახლიდან? რას იზამდით, ასე, ფეხის მოუცვლელად იდგებოდით ქუჩაში?

– ფეხის მოუცვლელობის რა გითხრათ... აქვე ახლოს პატარა კაფე შევიგულე და იქ ვაპირებდი შესვლა-დაბანაკებას.

დეამ გამომცდელად შეანათა თავისი ჭაობისფერი, უსაშველოდ ღრმა და ცოტათი მართლაც ზღაპრული არსებებისთვის დამახასიათებელი თვალები...

– რატომ? – ჰკითხა ხმადაბლა, როგორც ბიჭს მოეჩვენა, გულში ჩამწვდომი ხმით.

– რა – „რატომ“? – ენა ძლივს მოაბრუნა სანდრომ, – საკმაოდ ცივა და ძალიან გავიყინებოდი...

– მაგას არ გეკითხებით... – დეამ ისევ ჯიქურ შეხედა. მშვენივრად ხვდებოდა, რომ თავისი მზერით აბნევდა ბიჭს, – საერთოდ რატომ გადაწყვიტეთ, გემორიგევათ ჩემს სახლთან-მეთქი.

– მე ხომ არ ვიცოდი, რომელ საათზე გამოხვიდოდით სახლიდან. თქვენი ნახვა მინდოდა. ძალიან მინდოდა და, გთხოვთ, ასე ნუ მიყურებთ, თორემ, ისეთი თამამიც არ ვარ, როგორიც ერთი შეხედვით ვჩანვარ.

– ჩემი ნახვა გინდოდათ... – გაიმეორა დეამ, – ასეთი შთაბეჭდილება მოვახდინე?

სანდრომ ამოიოხრა:

– ვთქვა?!

გოგომ მხრები აიჩეჩა:

– ისეთი გულახდილი მეჩვენეთ, ახლა გაჩერებას აზრი არა აქვს.

– ჰო, მართლა, რა აზრი აქვს თამაშს ან რამის უარყოფას. ასეა – მომეწონეთ, დავინტერესდი და მომინდა, კიდევ ერთხელ მენახეთ...



– მერე?

– მერე რა?!

– ხომ მნახეთ-მეთქი.

– გნახეთ და დავრწმუნდი... – სანდრომ შუბლზე მოისვა ხელი, – დავრწმუნდი იმაში, რომ კიდევ მომინდება თქვენი ნახვა, აუცილებლად... ძალიან თავხედი ხომ არ გგონივართ? დამიჯერეთ, ასეთი რამ პირველად მჭირს.

დეამ ნაძალადევად გაიცინა:

– ალექსანდრე, ხომ? არ მეშლება?

სანდრომ თავი დაუქნია და გამშრალ ტუჩებზე ენა მოისვა.

– მოკლედ გეტყვით: არ ფიქრობთ, რომ მეტისმეტად ჩქარობთ? – გოგომ ეს კითხვა მთელი სერიოზულობით წარმოთქვა და ამოიოხრა.

სანდრო მედარით მიაჩერდა:

– ასე გგონიათ? მაგრამ, მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ თქვენთან ურთიერთობა, თქვენი უფრო ახლოს გაცნობა მინდა...

დეას შეუმჩნევლად გაეღიმა და თემა შეცვალა:

– კარგად ლაპარაკობთ ინგლისურად.

– დიახ, ინგლისურად და არა ირლანდიურად. აქაური დიალექტი ჯერ კიდევ მიჭირს.

– რატომ ინგლისში არ წახვედით სასწავლებლად? აქ, ირლანდიაში რატომ გადაწყვიტეთ დარჩენა?

სანდრომ მხრები აიჩეჩა. აღარ უთქვამს, რომ ეს მისი კი არა, მშობლების გადაწყვეტილება იყო. თუმცა, თავადაც არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, თუ სახლიდან სადმე შორს გაემგზავრებოდა. დედ-მამის ერთმანეთთან დაპირისპირებამ ძალიან დაღალა.

– თქვენ ინგლისელი ხართ?

– ჰო, – მოკლედ მიუგო დეამ, – ლინა ჩემი ნათესავია. მამამისი და მამაჩემი დიდი ხანია, მეგობრობენ და, გადავწყვიტე, ამით მესარგებლა, ანუ, ირლანდიაში ჩამოვსულიყავი. მოგზაურობა მიყვარს.

– ეგ კარგია. მაშინ, საქართველოში მე დაგპატიჟებთ. მოგეწონებათ. შეიძლება, ისეთი შთამბეჭდავი არ იყოს, როგორც სხვა ქვეყნებია, მაგრამ, ეგზოტიკურია და საინტერესო.

– რატომ მეუბნებით ამას? ისე ხომ არ უნდა გავიგო, რომ მეპატიჟებით?

– ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, თუ ამ მიპატიჟებას მიიღებდით.

დეამ თვალები მოჭუტა და კიდევ უფრო ლამაზი გამოჩნდა. სანდროს გული შეუქანდა.

– ჭეშმარიტად რაინდული შემოთავაზებაა, მაგრამ, თუ ოდესმე მაგ ქვეყნით დავინტერესდები, როგორმე უთქვენოდაც გავართმევ თავს. მარტო მიყვარს მოგზაურობა და ჯერ არსად დავკარგულვარ.

– ლინასთან ხომ სტუმრობთ? – შეეკამათა ბიჭი და გააკვირვა თავისმა სითამამემ.

– ლინა სხვა საქმეა... იცით, რა, დავიღალე და მომშივდა... ხედავთ, რა მალე მოგეცათ ჩემი დაპატიჟების შანსი? სადმე ჩაის ხომ არ დამალევინებდით?!

სანდროს ერთიანად გაუბრწყინდა სახე.

– დიდი სიამოვნებით, მეც ძალიან მომშივდა.

– ჰოდა, ძალიან კარგი, არ მიყვარს შორეულ პერსპექტივებზე საუბარი....

დეამ ბიჭს ხელკავი გამოსდო და გზას დიდი ხნის ნაცნობებივით შეხმატკბილებულად გაუყვნენ.

***

ლენუკამ ფეხი ფეხზე გადაიდო, ყავა მოსვა და სიგარეტს მოუკიდა. კაფეს ვიტრინამ მისი სილუეტი აირეკლა. ჯერ კიდევ კარგად გამოიყურებოდა, ჯერ კიდევ შეეძლო, მამაკა-

ცების ცხოველი ინტერესი გამოეწვია. გარუჯულ სხეულზე უნაკლოდ ადგა ძვირფასი კოსტიუმი... მოკლე, ტანზე მოტმასნილი ქვედაბოლოდან ლამაზი მუხლისთავები მთლიანად მოუჩანდა... რამდენიმე ნაფაზი დაარტყა და საათს დახედა – თიკო აგვიანებდა. ის იყო, ნამწვი საფერფლეზე დაასრისა და მობილურიდან დარეკვა დააპირა, რომ კაფეში კისკისითა და ხელის ქნევით შემოვიდა საშუალო სიმაღლის, მაგრამ კარგი აღნაგობის, დიდმკერდიანი, ტუჩებდაბერილი, გაურკვეველი ასაკის ქალი და ლენუკას მაგიდისკენ გაემართა.

– სად ხარ აქამდე? მესამე ჭიქა ყავა დავლიე, – უკმაყოფილო ტონით უსაყვედურა ლენუკამ და მიმტანი თითით მოიხმო, – ხომ დალევ?

– რას? – დაბნეულივით იკითხა თიკომ და ისევ აკისკისდა, – დღეს რაღაც არეული ვარ. ყავას გულისხმობდი? კი, დავლევ. ვისკით შეუკვეთე, რა... ნამცხვარიც მინდა... გემრიელ ტორტის ნაჭერზეც არ ვიტყოდი უარს.

ლენუკამ გაოცებით შეხედა მეგობარს:

– დიდი ხანია, ტორტებს და ნამცხვრებს ჭამ?! ძალიან მოგილხენია.

– ჰო, რა ვიცი... რაღაცნაირად, აჟიტირებული ვარ და ტკბილი მომინდა.

– სად ბრძანდებოდი, მთელი ორმოცი წუთი რომ დააგვიანე?

თიკო შეაცბუნა ამ მარტივმა შეკითხვამ და უხერხულობის დასაფარად სიგარეტს დაუწყო სრესა.

– მასაჟზე ვიყავი...

– აკი მასაჟებს მორჩი? მეც არ მპირდებოდი, მიგიყვანო?! ამდენს რას იკეთებ, გაწყენს.

– ჰო, რა ვიცი... ამაზე მითხრეს, ძალიან მაგარიაო და...

– ქალია თუ კაცი? – მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა ლენუკამ...

– ახალგაზრდა კაცია.

– მაშინ, გასაგებია, – თვალი ჩაუკრა ლენუკამ, – ოღონდ, არ დაიწყო ახლა, რომ ეს მხოლოდ მასაჟია და მეტი არაფერი. ხომ იცი, გიცნობ.

– აუ, კარგი რა... მასაჟისტი რაში მჭირდება, ერთი საყვარელი მყავს და ყველანაირად მყოფნის. ხშირად არ მაწუხებს, კარგად მაფინანსებს და ნერვებსაც არ მიშლის.

ლენუკამ ამოიოხრა:

– მგონი, ქმრის ყოლას, მეც ერთი საყვარელი მყოლოდა, მერჩივნა. ჩემი ძვირფასი მეუღლე მარტო იმიტომ არსებობს, რომ ნერვები დამაგლიჯოს. არანაირი სარგებელი არ არის მისგან.

– კოტეზე ამბობ ამას? შენს კოტეზე?

– დიახ, სწორედ კოტეზე მოგახსენებ, ჩემს კოტეზე, – გამომწვევად გაიმეორა ლენუკამ, – ფულის მოცემაც აღარ უნდა! „მიჟოჟკავს“, წარმოგიდგენია? ეტყობა, ნაშებისთვის ველარ ჰყოფნის.

– მართლა? ვინმე ჰყავს? – ინტერესით ჰკითხა თიკომ და ყავა მოსვა.

– აბა, ეგ ისე გაჩერდება? მაგრამ, ფაქტზე ვერ გამოვიჭირე. მობილურსაც ვუჩითავ, ჯიბეებსაც, მანქანასაც, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე საეჭვო.

– გოგო, ეგებ მართლა არავინ ჰყავს.

– ვის, კოტეს? ჰმ, მასწავლი ჩემი ქმრის ხასიათს? როცა ახალგაზრდა იყო და უფულო, მაშინ აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს და ახლა შეაკავებს რამე?! უბრალოდ, ფრთხილობს – იცის, რასაც დავმართებ და ეშინია.

– კარგი რა, რას უზამ, გაეყრები? – ნაძალადევად გაიღიმა თიკომ.

– მარტო გაყრას არ დავჯერდები, გავანადგურებ. ყველაფერი ვიცი მაგისი საქმეების შესახებ, თან, ქონების დიდი ნაწილი ჩემს სახელზე აქვს გაფორმებული.

– მართლა? – ყურადღება დაძაბა თიკომ და ნაძალადევად გაიღიმა, – მაშინ, კოტეს საქმე რთულად ყოფილა; უნდა თუ არ უნდა, იძულებული იქნება, გაგიფრთხილდეს.

– არ გამიფრთხილდება და მისი აჯობებს! რაც ბავშვი წავიდა, სახლში დასაძინებლად მოდის და მაშინაც ვერ დაელაპარაკები – სულ იღრინება ან საერთოდ არ მცემს ხმას. გუშინაც ვიჩხუბეთ. სანდროსთანაც კი არ დაურეკავს. დედა ხარ და შენ დაურეკე; მე საქმეები მაქვს, ბევრს ვფიქრობ და ბევრს ვმუშაობ, თქვენ რომ არაფერი მოგაკლდეთო, – დამაყვედრა, წარმოგიდგენია?!

– შენც, შეეშვი... ეტყობა, მართლა ბევრი საქმე აქვს. ისე, სანდროსთან რატომ არ მიდიხარ? შენი ამბავი მაკვირვებს – გაისეირნებ და გაერთობი... ერთმანეთიც მოგენატრებათ.

– ჰმ, წავიდე, რომ ამან თავისუფლად იგულაოს? თანაც, ირლანდია პარიზი ხომ არ გგონია?! ერთი უჟმური ქვეყანაა. არ ვიყავი? სანდროს მე არაფერში ვჭირდები და რა ვაკეთო იქ? ეგეც ჩემი ჯიბრით გააკეთა მაგ საზიზღარმა. სორბონაში კი არ გაუშვა ბავშვი ან რომელიმე პრესტიჟულ უნივერსიტეტში, ირლანდიაში, ველურებში უკრა თავი. რასაც შევწვდი, ეს არისო... დეგენერატი! უჰ, აღარ მინდა კოტეზე ლაპარაკი. ათასი დოლარი მომცა. გავიაროთ, გარდერობი უნდა გავაახლო – ფერადი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი მინდა. გამყვები, ხო?! ისე, არც გითქვამს, როგორ გამოვიყურები. არ მითხრა, რომ ვერაფერს მამჩნევ?

– როგორ ვერ გამჩნევ... ეს მარტო ბოტოქსია თუ კიდევ გაიკეთე რამე?

– ცოტა ტუჩებზე დავიმატე და სახეზე გამაახალგაზრდავებელი კოქტეილები „მივირჭვე“. ვარცხნილობაც შევიცვალე და წონაში ვიკლებ ნელ-ნელა... კოტეს არ მივცემ იმის საშუალებას, თქვას, რომ მასზე ასაკოვნად გამოვიყურები.

მაგას როგორ იტყვის, როცა შენზე უფროსია...

– ნუ დარდობ, მაინც არ გაუშვებს შანსს ხელიდან, რომ ნერვები მომიშალოს. რომ ჰკითხო, გათხოვილი ქალის ერთი წელი ორ წელიწადს უდრისო...



– აუ, ეს კაცები ყველანი ერთნაირები არიან, რა... ძალიან კარგს ვშვრები, რომ არ ვთხოვდები.

– და, არც შენ საყვარელს მაცნობ. ძალიან მაინტერესებს, ვინ არის.

– არის რა... განსაკუთრებული არაფერი, – თიკომ სიგარეტს მოუკიდა, – შენ არ მოგეწონება...

***

სანდრომ კარი ღიღინით შეაღო, ქურთუკი საკიდზე ისროლა, დივანზე წამოგორდა და გაოგნებულ ტომს მხიარულად ჩაუკრა თვალი.

– რა იყო, რა გაშტერებული მიყურებ, ძალიან მეტყობა, რომ ბედნიერი ვარ?

– ბედნიერი ხარ კი არა, სად იყავი, ლამის პოლიციაში დავრეკე, – გაბრაზდა ტომასი და მობილური, ხელში რომ ეჭირა, მაგიდაზე დადო, – გირეკავ, არ პასუხობ... სახლში არ ხარ, დილაუთენია რა საქმე გამოგიჩნდა ამისთანა?

– დიანა! დიანა გამომიჩნდა... – თვალები აუციმციმდა სანდროს, – ვნახე და ჩაიც ერთად დავლიეთ... არაჩვეულებრივი გოგოა, დამიჯერე...

ტომასმა ამოიოხრა და მობილური გაუწოდა.

– აჰა, ჩვეულებრივი სილვია გირეკავს... უპასუხებ?! რა გეშველება შენ, უკვე ვდარდობ...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: რა სიხშირით უნდა მოვრწყათ ციპერუსი?**

პასუხი: ამ მცენარის ფესვები მუდამ ტენიანი უნდა იყოს. მოზრდილ მცენარეს ზაფხულში ბევრი წყალი სჭირდება, ამიტომ ქოთანი ღრმა ჯამში ჩადგით, საიდანაც მუდამ ექნება წყლის შეწოვის საშუალება. ზაფხულში, აქტიური ზრდის პერიოდში, ნიადაგი ბალანსირებული თხევადი სასუქით გაანოყიერეთ. მზეზე მყოფ მცენარეს მაღალი სინესტე სჭირდება, რათა ფოთლის წვეროები არ გაუხმეს.

**კითხვა: როგორ გავუხანგრძლივო ყვავილობა სპარსულ იას?**

პასუხი: დამჭკნარი ყვავილები რეგულარულად მოაშორეთ და ყვავილობის პერიოდი გაუხანგრძლივდება. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, ამ მცენარეს მით მეტი ტენი სჭირდება. თუ ბინაში მშრალი ჰაერია, სპარსული იის ქოთანი სველკენჭებიან ლანგარზე დადგით და ეცადეთ, ნათელი ადგილი შეურჩიოთ.

**კითხვა: რა ტემპერატურაზე ვამყოფო ლოტუსი?**

პასუხი: მისთვის საუკეთესოა ოთახის ნორმალური ტემპერატურა 18-24 გრადუსი, თუმცა ზამთარში 5-6 გრადუსსაც აიტანს. მთელი წლის განმავლობაში კაშკაშა სინათლეზე დადგით. ეს მცენარე იტანს მზის მწველ სხივებსაც. დაბალ ტემპერატურაზე იშვიათად მორწყეთ.

**კითხვა: ბინაში სპატიფილუმი მაქვს და არ ვიცი, როგორ მოვუარო. იქნებ ამიხსნათ, ამ დროს მცენარეს რა მოვლა სჭირდება, რომ ჯანსაღად იყოს?**

პასუხი: ზაფხულში მცხუნვარე მზეს უნდა მოარიდოთ, ხოლო ზამთარში სინათლეზე გაიტანეთ. წელიწადის ამ დროს მცენარე იტანს მინიმუმ 16 გრადუსს. იშვიათად მორწყეთ და მიწას შეშრობა დააცადეთ. გაზაფხულიდან შემოდგომამდე, აქტიური ზრდის პერიოდში კი, მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს.

**კითხვა: როგორ მოვუარო ფალენოპსისს?**

პასუხი: ფალენოპსისს სჭირდება სინათლე. ზამთარში, ყვავილობის ხელშესაწყობად, ხელოვნური განათებაც მიაშველეთ. მისთვის იდეალურია დაახლოებით 20 გრადუსი და მაღალი ტენიანობა. მოსწონს სიგრილეც: ღამით ტემპერატურა 3-4 გრადუსით დაბალი უნდა იყოს. ზამთარში იშვიათად მორწყეთ და სიმშრალეში ამყოფეთ. ზრდის პერიოდში კი უხვად მორწყეთ. ზაფხულში ორ კვირაში ერთხელ 5 წუთით გააჩერეთ ორქიდეებისთვის განკუთვნილ თხევად სასუქში, შემდეგ კი დაწრიტეთ. დაყვავილების შემდეგ, ღერო ქვემოდან მეორე კვირტის სიმაღლეზე გადაჭერით. შეგიძლიათ, ძველი ღერო მთლიანად მოაშოროთ.

**კითხვა: ბინაში ისეთი პირობები არ მაქვს, რომ ყველა მცენარის მოთხოვნილება დავაკმაყოფილო. მაინტერესებს, კაქტუსი თუ არის პრეტენზიული და თუ შეეგუება ისეთ პირობებს, სადაც არ არის მაღალი ტემპერატურა.**

პასუხი: რა თქმა უნდა, უმჯობესია, ყველა მცენარისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და მათ შორის კაქტუსისთვისაც, მაგრამ ეს მცენარე სულაც არ არის პრეტენზიული. კაქტუსი ცხელ დღეებსა და ცივ ღამეებსაც უძლებს. ის ზამთრის ბაღის ცვლად პირობებსაც აიტანს და მაღალ-დაბალი ტემპერატურაც მასზე ცუდად არ იმოქმედებს.

**მოამზადა
თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> ანატოლ ფრანსი

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, შესაძლებელია თუ არა საცხოვრებელ ბინაზე წარმოიშვას საკუთრების უფლება ზეპირი გარიგების დადებით?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ, ინდივიდუალური საკუთრების საგნის, ბინის ან/და არასაცხოვრებელი ფართობის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, სისხლის სამართლის პროცესში ვისი ხარჯით ხორციელდება პროცესში მონაწილე პირთა მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენია კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა ტურისტული ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ ტურისტის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს თვეს. ეს ვადა იწყება იმ დღიდან, როდესაც ხელშეკრულებით მოგზაურობა უნდა დამთავრებულიყო. თუ ტურისტი მოთხოვნებს წარადგენს ხანდაზმულობის ვადის დაწყებამდე, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება იმ დღემდე, რომელ დღესაც მოგზაურობის მომწყობი უარყოფს მოთხოვნას.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენად კანონიერია სასამართლოს განაჩენი, რომელსაც ერთადერთ საფუძვლად უდევს მხოლოდ ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. შესაბამისად, მხოლოდ აღიარებითი ჩვენების საფუძველზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი არის უკანონო.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რომელი თანამდებობის პირის კომპეტენციაა საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხის გადაწყვეტა?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ საგამოძიებო ქვემდებარეობას საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებით განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

# როგორ უნდა დავიცვათ ძრავა მოსალოდნელი პრობლემებისგან



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
მევლუდ მელაძე

***მძღოლებს ყველაზე მეტად ძრავას მწყობრიდან გამოსვლა აშინებთ. ნებისმიერი განსხვავებული ხმა ძრავას სექტორიდან, ჩვენს პანიკას იწვევს. ზოგ შემთხვევაში კი, შეიძლება, ეს სრულიად მარტივი გაუმართაობა იყოს, რაზეც პროფესიონალი მრბოლელი, მევლუდ მელაძე ისაუბროებს:*** ხშირად მისვამენ კითხვებს ძრავას შესახებ: ჩემს ძრავას ცივი ხმა აქვს, თბილი ხმა აქვს, უცნაურად

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

კაკუნობს და ხომ არ არის ეს, ეგრეთ წოდებული, „სტუკი“, ანუ ძრავას დაზიანება?.. ამის შიში ყველას აქვს, რადგან ამ აგრეგატის დაზიანება რთულად შესაკეთებელია და დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ ძრავა თავისი პრობლემების შესახებ, ყოველთვის გვაძლევს ნიშანს. ძრავას დაზიანება და მასთან დაკავშირებული პრობლემები რომ თავიდან ავიცილოთ, უნდა შევიძინოთ ისეთი ავტომობილი, რომელიც ბევრია საქართველოში, მაგალითად, „მერსედესი“, „ბეემვე“, „ოპელი“ და სხვა. ასეთი ავტომობილების დაუზიანებელი ძრავა, მეორადი ნაწილების ბაზრობაზე საკმაოდ ბევრია. შესაბამისად, მთლიანი ძრავაც იაფია. დაზიანების შემთხვევაში, მეორადი ძრავას ყიდვა და ახლის ჩადგმა, ბევრად მარტივი იქნება, ვიდრე მისი შერემონტება. რაც შეეხება თვითონ ძრავას დაზიანების სიმპტომებს – პირველი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სისტემატურად და დროულად უნდა ცვალოთ ზეთი. როგორი მაღალი ხარისხის ზეთიც არ უნდა ესხას ავტომობილში, თუნდაც სინთეტიკური, ათი ათასი კილომეტრის გავლამდე უნდა შევცვალოთ. ჩვენი გზები მტვრიანია, და ეს მტვერი კი ძრავას სექტორში შედის და მწყობრიდან გამოჰყავს ის. ძრავას დაზიანების ძირითადი მიზეზი სწორედ ზეთთან გულგრილი დამოკიდებულება ხდება. მერე კი, როცა ძრავა დაზიანდება, იმ ზეთს აბრალებენ, რომელიც ბოლოს ჩაასხეს და ილანძღებიან. პირველი ნიშანი – თუ დილით, ავტომობილის დაქოქვისას, ზეთის მაჩვენებელი ინდიკატორი მაშინვე კი არა, რამდენიმე წამის შემდეგ ქრება, ესე იგი ძრავა, მისი შიდა დეტალები უკვე საკმაოდ გაცვეთილია; მეორე ნიშანი – დილით დაქოქვისას, როცა ძრავა ცივია, ის წკრიალის ხმას გამოსცემს და სულ რამდენიმე წამი გრძელდება. თუმცა მერე კი იდეალურად იწყებს მუშაობას და მთელი დღე არანაირ ხმას აღარ უშვებს. ეს ნიშნავს, რომ ძრავა სულ მალე გამოვა მწყობრიდან, თუ დროულად არ მივხედავთ. დროული ყურადღება კი კარგი ხარისხის ზეთის ჩასხმაა; მესამე ნიშანი – იმ დროს იჩენს თავს, როცა ძრავას სერიოზული პრობლემა აქვს და ეს ხდება უკვე ავტომობილის, ანუ ძრავას გათბობის შემდეგ. ძრავას გახურების შემდეგ, ზეთი თხელდება, გათხელებული ზეთი კი ველარ ავსებს გარკვეულ დეტალებში გაჩენილ ღრიჭოებს. ამ ღრიჭოების არსებობა სერიოზული პრობლემაა და საშუალო ბრუნზე, ვთქვათ 2 500-დან 3 500-მდე, აქვს ყრუ წკრიალის ხმა, ანუ მოგუდული კაკუნის ხმა. ეს ხმა უკვე ნიშნავს, რომ ძრავა მწყობრიდანაა გამოსული და სხვა რაღაცაზე გადაბრალება აღარ გამოვა. ავტომობილი მაშინვე გააჩერეთ და გადაიყვანეთ პროფილაქტიკაში.

**– როცა ავტომობილი ბოლავს, ესეც ძრავას ბრალია?**

– ყოველთვის არა. ეს ძრავასთვის ყველაზე ნაკლები პრობლემაა. შეიძლება, მან ბოლი აუშვას, თან საკმაოდ დიდხანს, მაგრამ არ გაფუჭდეს. თუმცა, ამ დროს გარემო ბინძურდება და ამაზეც უნდა იფიქროთ. ამ დროს ავტომობილი ზეთს იმატებს. აქვე, ერთ რჩევას მოგცემთ – თუ ავტომობილი ზეთს იმატებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამოცვლა არ უნდა. დაკლების დროს ნამწვი ზეთში ხვდება და ფილტრს ძალიან იოლად აფუჭებს. ამიტომ ზეთი, როგორც წესია, ისე უნდა შეცვალოთ. ეს აბოლება ეგრეთ წოდებული „კოლიცოების“ ბრალია, რომელიც უნდა შეაკეთოთ. მაგრამ, ეს იმდენად საგანგაშო მდგომარეობა არ არის, რომ სადაც ავტომობილს ბოლი აუვა, იქვე გააჩეროთ. ბოლი, ხშირად „კლაპნის სალნიკების“ ბრალია. ეს პატარა დეტალები იოლი გამოსაცვლელია, თანაც იაფი. არადა, გერმანულ ავტომობილში ათასში ერთხელ, იაპონურში კი – მილიონში ერთხელ, შეიძლება გამოვიდეს ეს ნაწილი მწყობრიდან. კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც ძალიან ჰგავს „სტუკის“ – ყრუ კაკუნს, ოღონდ უფრო ცივს და ყველას აშინებს. რეალურად, ეს პატარა პრობლემაა, გამოსაცვლელია ეს ეგრეთ წოდებული „კლაპნების“, ანუ სარქველების, მიმწოლები – დეტალი, რომელიც სარქვლის გაღება-დაკეტვას უზრუნველყოფს. ის საკმაოდ იაფი ღირს და გამოსაცვლელადაც იოლია. თანაც, სხვას არაფერს აზიანებს. ის სრულიად უპროგნოზოდ – ხან ცივზე, ხანაც ცხელზე კაკუნობს და ამითაც მიხვდებით, რომ საქმე „სტუკს“ არ ეხება. ერთი სიტყვით, ძრავას „სტუკის“ თავიდან ასაცილებლად მთავარი წამალი კარგი ზეთი და მისი დროული შეცვლაა.

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

**კითხვა: მაინტერესებს, ყველაზე ხშირად რომელი საკვები იწვევს ძაღლებში ალერგიას?**

**პასუხი:** ძაღლებში ყველაზე ხშირად ალერგიებს იწვევს ხორცის ცილები, რადგან, არ არსებობს არაალერგენული ცილები. ალერგია არის მკაცრად ინდივიდუალური დაავადება, ზოგს ხორცის ცილაზე აქვს ალერგია, ზოგს კი – თევზის ცილაზე. ნებისმიერი ალერგიული დაავადების დროს აუცილებელია, გამოითიშოს საჭმლისმიერი ალერგიები, რადგან, აღნიშნული არ საჭიროებს მედიკამენტურ მკურნალობას.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად მთელი სიცოცხლის განმავლობაში დიეტოთერაპიაა საჭირო. გახსოვდეთ, როცა ძაღლი ტანს ხშირად იფხანს, უნდა დაადგინოთ, არის თუ არა ეს სიმპტომი კავშირში საკვებისმიერ რეაქციასთან.

**კითხვა: პირველად რომელი ბრძანების შესრულება უნდა ვასწავლოთ ძაღლს?**

**პასუხი:** პირველად ძაღლს აუცილებლად უნდა აწავლოთ რამდენიმე ბრძანება: დაჯექი! დაწექი! და დამელოდე! ხშირ შემთხვევაში, ბრძანება „დამელოდე” ძალიან გამოსადეგია. მაგალითად, სასურსათო მაღაზიაში ძაღლის შეყვანა არაჰიგიენურია, რამაც, შესაძლოა, ვინმეს დისკომფორტი შეუქმნას. ამიტომ, ძაღლი უნდა დააბათ და უბრძანოთ, რომ დაგელოდოთ.

ძაღლს თავიდანვე უნდა ასწავლოთ, რომ არავითარ შემთხვევაში რეაგირება არ ჰქონდეს კატაზე, რადგან, ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ძაღლს მანქანა დაეჯახა სწორედ მაშინ, როცა ის კატას მისდევდა. ამას გარდა, გახსოვდეთ ისიც, რომ ძაღლი არც ერთ ბრძანებას აღარ შეასრულებს, თუ მან კატა დაინახა და მასზე რეაგირება მოახდინა.

**კითხვა: მაინტერესებს, უნდა გავაკონტროლო თუ არა საკვების რაოდენობა, რომელსაც ძაღლი ყოველდღიურად იღებს?**

**პასუხი:** ძაღლის მიერ მიღებული საკვების რაოდენობა მუდმივად უნდა გააკონტროლოთ. ამ პროცესს ახორციელებენ ძაღლის მიერ ენერგიის დღიური გამოყენების აუცილებელი რაოდენობისა და საკვებ პროდუქტებში მისი შემადგენლობის გამოთვლის გზით. ძაღლისთვის განკუთვნილი საკვების რაოდენობა რეგულარულად უნდა აიწონოს. საკვების შერჩევისას უნდა გაითვალისწინოთ რა რაოდენობისა და სახის საზრდო ნივთიერებებს შეიცავს თითოეული მათგანი; როგორია მათი კალორიულობა და დანაკარგის პროცენტი გადამუშავებისას. ამით თქვენ ძაღლს არასასურველ სიმსუქნეს აარიდებთ.

**კითხვა: არის შემთხვევები, როცა ძაღლი ასაკის მატებასთან ერთად აგრესიული ხდება და უმიზეზოდ იკბინება, პატრონზეც კი იწევს.**

**პასუხი:** თუ ძაღლი მანამდე არ გამოხატავდა ანალოგიურ თვისებებს და ასაკის მატებასთან ერთად დაეწყო, მიმართეთ ვეტერინარს. საქართველოში, სამწუხაროდ, ცხოველების ნევროპათოლოგი არ არსებობს. შესაბამისად, ყველაზე კარგ შედეგს მოგცემთ ცხოველებითვის სპეციალიზირებული დამაწყნარებელი საშუალება. ვეტერინარი გამოუწერს თუ რა დოზით უნდა მიიღოს ძაღლმა პრეპარატი და ნერვული სისტემაც დაუწყნარდება. ასევე, აუცილებლად უნდა შეეცადოთ, იპოვოთ მიზეზი, თუ რატომ გახდა ძაღლი აგრესიული.

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# კაცობრიობის გადასარჩენად

## ნაწილი პირველი

თვითმფრინავი „დომოდედოვოს" აეროპორტში დაჯდა. მოსკოვის მიწაზე პირველად დავადგი ფეხი. როგორც „ფესიქიუთის", ანუ „დევნის" ჯგუფის რუსული ხაზის ხელმძღვანელმა, კარლ შეფერმა მითხრა, აეროპორტში „ჩვენი კაცი", მიხაილ კირსანოვი უნდა დამხვდეს.

სამგზავრო ჩანთაში ბევრი არაფერი მიდევს: „ფილიპსის" ელექტროსაპარსი, ოდეკოლონი, რამდენიმე ხელი ტანსაცმელი; ხოლო ჯიბეში – 2 ათასი ევრო და კონსპირაციული პასპორტი, ალექსანდრ ორლოვის სახელზე.

გამოსასვლელს ვტოვებ და ესკალატორით ქვემოთ ვეშვები. ფეხს ფილაზე ვადგამ თუ არა, ვიღაც მომმართავს:

– დღეს მოსკოვში გრილა!

დამხვდურს ვაკვირდები... მას, შეთანხმებისამებრ, იისფერი კაშნე უკეთია და მეც საპაროლო ფრაზით ვპასუხობ:

– მალე დათბება!

– მიხაილ კირსანოვი! – ხელს მიწვდის ჩემზე ოდნავ მაღალი, სიმპათიური მამაკაცი.

– ალექსანდრ ორლოვი!

– ახლა საით? – ვეკითხები, როცა „ნისანის" მარკის „ჯიპში", მის გვერდით ვჯდები.

– თქვენს ბინაში, აკადემიკოს სახაროვის ქუჩაზე. ეს მანქანაც თქვენია, ამ დღეებში ოფიციალურად გადმოვაფორმებ. რაც შეეხება ბინას – მას ქირაობთ.

– ჰო, რა თქმა უნდა, – მეღიმება, – მე ხომ რუსი ემიგრანტების შთამომავალი ვარ, რომელმაც ისტორიული სამშობლოს მონახულება გადაწყვიტა.

მიხაილსაც ეღიმება და ხშირ, ღია წაბლისფერ თმას თითებით ისწორებს.

– თქვენს რუსულს ძლიერი ინგლისური აქცენტი დაჰკრავს, – მიხაილი „სობრანიეს" შავ კოლოფს იღებს ჯიბიდან.

– დიახ, ერთწლიანი ლინგაფონური მეთოდის წყალობით, შესაძლებელია, ჩინურად გერმანული აქცენტით ილაპარაკო.



მიხაილი „სობრანიეს" კოლოფს მაწვდის.

– გმადლობ, მაგრამ ერთი წელია, აღარ ვეწევი.

ქუჩებს დაკვირვებით ვათვალიერებ. მოსკოვში გრილი აპრილი დგას. ნაწვიმარ ასფალტზე ჩქარი ნაბიჯებით მიდი-მოდიან ადამიანები. ფიქრები წარსულში მაბრუნებს და თბილისის ძველი, კოლორიტული უბანი მახსენდება, რომლის ქუჩებშიც ნაადრევად მოვიდა და ნაადრევადვე წავიდა ჩემი ცხოვრების გაზაფხული – ახალგაზრდობა.

***

მე, სანდრო გიორგის ძე ბურდული, სოლოლაკში დავიბადე და გავიზარდე. სკოლაში სწავლით თავი დიდად არ შემიწუხებია, თუმცა, როგორც ჩემი დაუმორჩილებელი ხასიათით შეწუხებული მასწავლებლები ამბობდნენ, ნიჭი მქონდა, ადვილად ამეთვისებინა სასკოლო საგნები, რასაც ზოგიერთები წიგნების რიგრიგობით ფურცვლითაც ვერ ახერხებდნენ. მაგრამ, იმის მაგივრად, რომ მერხთან ვმჯდარიყავი და პედაგოგებისთვის მაინც მომესმინა, სკოლის მიფარებულ კუთხეებში ვცდილობდი „გავლენის სფეროების" გაფართოებას. ამ მცდელობის „ფარგლებში" ბევრჯერ მიჩხუბია ავტორიტეტის მოპოვებისთვის ბრძოლის „ხიბლში" შესულ ჩემს თანატოლებთან და ჩემზე უფროსებთანაც. ამიტომ უბნის ინსპექტორის კაბინეტი ჩემთვის უცხო არ იყო. როგორც ძნელად აღსაზრდელი, სკოლიდან მაინც არ გამრიცხეს. ალბათ, იმიტომ, რომ დედაჩემი, მშვიდი და სათნო ადამიანი – ნელი ერისთავი ინგლისურის მასწავლებელი იყო იმავე სკოლაში. მამაჩემი – გიორგი ბურდულიც წესიერი და განათლებული ადამიანი გახლდათ და ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა მეცნიერ-მუშაკად. მღელვარე ტემპერამენტი ბაბუასი, მიშა ბურდულის გამომყვა. უცნაური კაცი იყო, მთელი ცხოვრება ქართული რესტორნების შეფმზარეულად მუშაობდა, მაგრამ ხშირად ითხოვდნენ სამსახურიდან... უსამართლობას ვერ იტანდა და ყველა ჩხუბის „თამადა" ის იყო. მკვდარი დარტყმა ჰქონდა, ხარს წააქცევდა.

პირველად ჩემი უცნაური განსაკუთრებულობა მაშინ ვიგრძენი, როცა ბიჭებმა სკოლის ეზოში „ბალახი" მოვწიეთ... მარტო ჩემზე არ იმოქმედა. მეგონა, „ტრუხა" შემოგვაჩეჩეს, მაგრამ ჩემს ძმაკაცებს რომ შევხედე, მივხვდი, როგორც ექიმები იტყვიან, რეზისტენტული ვიყავი „პლანის" მიმართ. ერთხელ ცნობისმოყვარეობის გამო, „წამალი" გავიკეთეთ, სუფთა მორფინი – არც იმან იმოქმედა. მივხვდი, რომ რაღაც ისე ვერ იყო.

უცხო ენების ინსტიტუტის მესამე კურსზე ვიყავი, როცა მამა ინსულტით დაიღუპა. იძულებული გავხდი, დაუსწრებელზე გადავსულიყავი და მუშაობა დამეწყო. ოჯახის დანაზოგით სამარშრუტო ტაქსი ვიყიდე და ხაზიც – მასთან ერთად. ასე დამთავრდა ჩემი უზრუნველი ცხოვრება. რა უნდა მექნა, ჩემი ძმა ჩემზე უმცროსი იყო – სწავლა უნდოდა. მე არ მგავდა, მშობლებისგან მშვიდი ხასიათი და გადაჭარბებული კეთილსინდისიერება გამოჰყვა. ოჯახის შესაქმნელადაც ვერ მოვიცალე და ჩემი ცხოვრება ერთფეროვნად, ულიმღამოდ მიედინებოდა, სანამ ერთმა საბედისწერო შემთხვევამ ყველაფერი თავდაყირა არ დააყენა... და ეს შემთხვევა ჩემი ძმის ქორწილში, რესტორანში მოხდა, როცა ჩხუბის დროს, შემთხვევით დამჭრეს. სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადამიყვანეს, საოპერაციოდ მომამზადეს და, როცა საქმე ანესთეზიამდე მიდგა, ექიმებმა საოცარი რამ აღმოაჩინეს – ნარკოზს არ ვექვემდებარებოდი.

სასწრაფოდ და საგანგებოდ მოწვეული ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგები ერთმანეთს შესცქეროდნენ და მხრებს იჩეჩდნენ. ბოლოს ქირურგს განუცხადეს: ჩვენს ხელთ არსებული ანესთატიკები – ინჰალაციურიც და არაინჰალაციურიც, აბსოლუტურად უეფექტოა!

– ეს შეუძლებელია! – ქირურგი ნერვიულად იქნევდა ხელებს, – ყველაზე ძლიერი და გამოცდილი ანესთეტიკები: ფტოროტანი და მეტოქსიფლურანი, მოსინჯეთ?!

– რა თქმა უნდა, მაგრამ, როგორც წესი, ნარკოზის მდგომარეობა იწყება, როცა მათი კონცენტრაცია ჩასასუნთქ ნარევში დაახლოებით 1 პროცენტია, ჩვენ კი ეს დოზა 2 პროცენტამდე გავზარდეთ.

– მაშინ, ინჰალაციური საშუალებები კიდევ გაზარდეთ და პარალელურად, გაააქტიურეთ ხელოვნური სუნთქვა.

– ბატონო ენვერ, – ბოლოს ექიმს გადამწყვეტად მიმართა ერთ-ერთმა ანესთეზიოლოგმა, – ავადმყოფი სანარკოზო საშუალებების მიმართ აბსოლუტურად მდგრადია. წესით, ანესთეტიკების ასეთი დიდი დოზით შეყვანის შედეგად, სახეზე უნდა გვქონდეს, სულ მცირე, ბრადიკარდია მაინც, ან – სუნთქვის შენელება, რაც, როგორც ხედავთ, არ განვითარებულა!

– ამას გარდა, გამოყენებულმა ტრანკვილიზატორებმა – რედუქსინმა, მეპრობამატმა, რომლებიც ნარკოზამდე შევიყვანეთ, არანაირი შედეგი არ მოგვცა. შესაბამისად, ჩვენ ვერ გადავლახეთ ანალგეზია, – განაგრძო მეორემ და ექიმს უმწეოდ შეხედა.

ეს ყველა სამედიცინო ტერმინი ჩემთვის ისეთივე უცხო იყო, როგორიც ჩინური დამწერლობა, მაგრამ ერთს კი მივხვდი, საქმე ცუდად იყო.

ბოლოს და ბოლოს გადაწყდა, ჭრილობა ანესთეზიის გარეშე დაემუშავებინათ. საბედნიეროდ, შინაგანი ორგანოები დაზიანებული არ მქონდა, თუ არ ჩავთვლით გულმკერდის რბილი ქსოვილებისა და პლევრის მცირე დაზიანებას. მეგონა, ცოცხლად მატყავებდნენ – სისხლი გადამისხეს, შოკსაწინააღმდეგო ღონისძიებები ჩამიტარეს. თუმცა, საშინელი ტკივილისგან ცრემლები თავისით მოჟონავდა, დასაკლავი ხარივით ვღმუოდი. საკუთარი ხმა მეუცხოებოდა. ზემოდან გამოკიდებულ, გაპრიალებულ სარკეებში ვხედავდი, როგორ მიმუშავებდნენ და მიკერავდნენ ჭრილობას. პულსი შემისუსტდა და გამიხშირდა,

მაგრამ გონება წამითაც არ დამიკარგავს.

ბოლოს სარეანიმაციო პალატაში გადამიყვანეს და გადაწყვიტეს, ჩემთან მნახველი არ შემოეშვათ.

მეორე დღეს კლინიკის მთავარი ექიმი ვიღაც უცნობ მამაკაცთან ერთად მეწვია. ჭრილობა მაწუხებდა და სიმწრის ოფლი მასხამდა. ის უცნობი ჩემთან ახლოს ჩამოჯდა სკამზე, ხოლო მთავარმა ექიმმა თბილად მკითხა:

– აქამდე ექიმისთვის არ მიგიკითხავთ?

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

– როგორ?! სტომატოლოგთანაც არ ყოფილხართ? – კვლავ ჩამეძია.

– სარძევე კბილები სულ ძაფით დავიძრე, ექიმო, მხოლოდ ერთხელ ამოვილე კბილი სტომატოლოგთან.

– მერე... გაგიყუჩეს?

– არ მახსოვს... მგონი, რაღაც ნემსი გამიკეთა... მაგრამ ის კი მაგონდება, რომ, როცა კბილი ამომაძრო, მეგონა, ყბაც ამომგლიჯა, – ძლივს შევძელი გაღიმება, – ღვთის წყალობით, ჯანსაღი კბილები მაქვს... რკინას დავღეჭავ.

– ჰო, ეს შესამჩნევია, – გაეღიმა ექიმსაც.

იმ მეორეს ხმა არ ამოუღია, ოღონდ ეგ იყო, დაკვირვებით მიყურებდა. მე კითხვით სავსე თვალებით მივაჩერდი ამ უკანასკნელს. ექიმი მიმიხვდა.

– ეს ბატონი ექიმი-ფსიქოთერაპევტია, ჰიპნოზის მდგომარეობის გამოწვევა შეუძლია. ახლა ვნახავთ, ჰიპნოზს თუ დაექვემდებარებით.

ჰიპნოზისტმა სკამი ისე დადგა, რომ ჩემთვის თვალებში ეყურებინა და მითხრა:

– ახლა მოდუნდით.

– შევეცდები, ექიმო, – ვუთხარი სრული სერიოზულობით, – რამდენადაც ტკივილი ამის საშუალებას მომცემს.

– აქ სწორედ იმიტომ ვარ, რომ ტკივილი შეგიმსუბუქოთ, – მითხრა და განაგრძო, – ხელები მოადუნეთ... ახლა მშვიდად ხართ, აზრები სუფთაა და მშვიდი. თავი გიმძიმდებათ, თვალები გეხუჭებათ... გეძინებათ... იძინებთ!

– ?! – ფართოდ გაღებული თვალებით შევყურებ ფსიქოთერაპევტს, რომელიც მთავარ ექიმს უყურებს და მხრებს იჩეჩს, მერე კი ისევ თავიდან იწყებს:

– სიმშვიდეს გრძნობთ! თვალები გეხუჭებათ, გეძინებათ... იძინებთ!

მე კვლავ ოდნავი გაკვირვებით შევცქერი ჰიპნოზისტს და, ცოტა არ იყოს, შერეკილი მგონია.

ბოლოს ფსიქოთერაპევტი ნებდება.

– იცით, მსგავსი შემთხვევები არსებობს... მაგრამ ანესთეზია რომ არ მოქმედებდეს და ტკივილი გონებას არ აკარგვინებდეს, ასეთი პრეცედენტი არ მახსენდება.

– საინტერესო შემთხვევაა! – ჩაილაპარაკა ბოლოს კლინიკის ხელმძღვანელმა და დაამატა: – სპეციალურ გამოკვლევას საჭიროებს!

***

საშინელი ორი კვირა გავატარე საავადმყოფოს პალატაში, სადაც არავის უშვებდნენ. ყველაფერი აუტანლად მეჩვენებოდა, თუ არ ჩავთვლი ჩემს მომხიბვლელ მედდას, რომელიც მოციმციმე ცისფერი თვალებით დამყურებდა და მის „შესაბმელად“ აწყობილ დიალოგში ხალისით მყვებოდა. ბოლოს საავადმყოფოს თეთრი კედლებით ისე დავიღალე, რომ ვერც იმ ექთანის ღიმილიანი გამოხედვა მშველოდა... კატეგორიულად მოვითხოვე, შინ, ბინაზე გადავეყვანე, მაგრამ კლინიკის ხელმძღვანელობა ჩემს გაშვებას არ ჩქარობდა და ამის მიზეზიც მალე გავარკვიე.

ორი კვირის მერე ბორბლებიან ეტლში გადამსვეს და სადღაც, ფართო კაბინეტში შემაგორეს, თუმცა ჩემითაც შემეძლო სიარული. იქ ორი თეთრხალათიანი და ორიც სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული კაცი დამხვდა. ერთ-ერთს აქაური იერი არ ჰქონდა და სუფთა ინგლისურით საუბრობდა.

– ოჰო, – გავიფიქრე, – ჩემი არაჩვეულებრივი „ავადმყოფობით“ უცხოელებიც დაინტერესდნენ.

– ახლა რაღაც ნემსს გაგიკეთებენ, – მომმართა ქართველმა თეთრხალათიანმა, რომელიც იმ უცხოელის თარჯიმნობასაც „ითავსებდა“.

მე არ შევიმჩნიე, რომ მათი ენა მესმოდა და კატეგორიული ტონით განვუცხადე:

– ექიმო, წინააღმდეგი ვარ, რომ საცდელ ბოცვერად გამომიყენონ და ჩემზე ექსპერიმენტები ატარონ!

– უთარგმნეთ! – ჩემი ტონით მიხვდა უცხოელი, რაც ვთქვი, ეს თქვენი ჯანმრთელობის და შემდგომი ცხოვრებისთვის აუცილებელი პროცედურაა. წარმოიდგინეთ, რომ, თუ ოდესმე კიდევ დაგჭირდათ ოპერაცია და ანესთეზიას არ დაექვემდებარეთ, ეს თქვენთვის შეიძლება, საბედისწეროც აღმოჩნდეს.

– კარგი, – ჩავილაპარაკე და ირიბად გადავხედე საკმაოდ მოზრდილ შპრიცს, რომელსაც ეს უცხოელი ექიმი ხელში ისე ათამაშებდა, როგორც შუა საუკუნეებში რაინდი მახვილს.

– თუ ამ ერთი ჩხვლეტით მოგვარდება ჩემი პრობლემა, მაშინ თანახმა ვარ!

ჩხვლეტა ძალიან არ მტკენია, მაგრამ იმდენი წამალი შემიშხაპუნეს ვენაში, მეგონა, სისხლძარღვი გაიბერა და საცა იყო, გასკდებოდა. ამის შემდეგ, დაახლოებით 10 წუთს, თითოეული მათგანი დაკვირვებით მომჩერებოდა. მე კი მხოლოდ ოდნავი თავბრუხვევა და ცოტა გულისრევის შეგრძნება დამეუფლა. უცხოელმა ჩაილაპარაკა:

– საოცარია, ეს ცხენსაც კი დააძინებდა... დიახ, მართალი ყოფილა – უჩვეულო მოვლენასთან გვაქვს საქმე.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, დამიყოლიეს, რომ გამოსაკვლევად გერმანიაში გავმგზავრებულიყავი. თანაც, ჩემით ერთ-ერთი ბერლინური კლინიკა დაინტერესებულა და ჩემი მგზავრობისა თუ მკურნალობის ხარჯებს მთლიანად „ფრიცები“ დაფარავდნენ. მეც რა მენაღვლებოდა, ევროპაში არასდროს ვყოფილვარ, თუ არ ჩავთვლი ვარშავასა და უკრაინის ორ-სამ ქალაქს, სადაც უფრო საქმის გამო მომიწია გამგზავრება.

ასე აღმოვჩნდი ბერლინის წამყვან სამედიცინო კვლევით ინსტიტუტში... სადაც ერთი თვე გაპრიალებულ ოთახში ვიწექი. ათასი პროცედურა – სისხლის აღებიდან დაწყებული, მაგნიტური ტომოგრაფიით დამთავრებული – ჩამიტარდა. ბოლოს, მთელი ეს ნემსები, აპარატები და წამლები, სამედიცინო „ვალაკიდა“ ყელში ამომივიდა და ვიფეთქე. მაგრამ ეს, ეტყობა, სერიოზულად არავინ მიიღო, სანამ პალატის ორი სქელი შუშა არ ჩავლეწე და ჩემს სანიტარს – გამხდარ და სვავივით კისერწაგრძელებულ ახალგაზრდას, პანღური არ ამოვარტყი უკანალში. ის იყო და ვიფიქრე, დეპორტს გამიკეთებენ და დავისვენებ-მეთქი, კლინიკაში ორმა შავადჩაცმულმა კაცმა მომაკითხა. ამერიკული ფილმის Men in Black-ის გმირებს ჰგავდნენ და რატომღაც სახელმწიფო დაზვერვის აგენტებად მივიჩნიე. ერთმანეთში გერმანულად ლაპარაკობდნენ და მათი საუბრიდან ვერაფერი გავიგე. როცა სამოქალაქო ტანსაცმელი მომიტანეს, მივხვდი, რომ ამ საშინელი კლინიკიდან სადღაც მივყავდი. საავადმყოფო და წამლების სუნი იმდენად მქონდა ყელში ამოსული, რომ იქ ყოფნას ყველაფერი მერჩივნა. ამიტომაც, რა თქმა უნდა, სიამოვნებით გავყევი იმ ორ კაცს, რომელთაც ხოჭოსავით შავ, ახალთახალ „სუბარუში“ ჩამსვეს და სადღაც წამიყვანეს. ბერლინში საღამო იწყებოდა. დაბურული შუშებიდან ვათვალიერებდი გაჩახჩახებულ მაღაზიებს და გამწვანებულ, ციმციმნათურიან სკვერებს. ბოლოს მანქანა მაღალ შენობასთან გააჩერეს და ლიფტით ბოლო სართულისკენ გავემართეთ. ამ ორმა შავოსანმა სადღაც, დიდ და ნათელ კაბინეტში შემიყვანა. ფართო მაგიდას სათვალიანი, ზომიერად ჩამრგვალებული, შემელოტებული შუა ხნის კაცი უჯდა. მივხვდი, ვიღაც სერიოზულ ფიგურასთან აღმოვჩნდი და ინგლისურად მივესალმე.

სალამი, რატომღაც, რუსულად დამიბრუნა, უხერხულობის მცირე პაუზით ისარგებლა, კარგად შემათვალიერა და მკითხა:

– რუსულად საუბრობთ?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. მან ხელით მის წინ მდგომ სკამზე მიმითითა. ის ორნი კი მოშორებით, გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ.

– რა პროფესიის ხართ? – მკითხა კვლავ.

– ინგლისურის სპეციალისტი გახლავართ!

– მეუღლე, შვილები გყავთ? – მაინც რუსულად განაგრძო. არა-მეთქი, ვიუარე და მან მოულოდნელად ასეთი რამ მკითხა.

– პოლიტიკა გაინტერესებთ?

მისმა კითხვამ დამაბნია. გავიფიქრე: – სად ჩემი უცნაური „ავადმყოფობა“ და სად – პოლიტიკა!“

ოდნავი დაგვიანებით ვუპასუხე:

– პოლიტიკა დიდად არ მაინტერესებს.

ჩაფიქრდა და კვლავ მკითხა:

– გვინდა, სამსახური შემოგთავაზოთ. ამაზე რა აზრის ხართ?

ყურებს არ დავუჯერე, მაგრამ სახეზე სერიოზული გამომეტყველება შევინარჩუნე და ვუთხარი:

– სამსახურს გააჩნია.

მან კი, როგორც სერიოზულ, სოლიდურ და პატიოსან ადამიანს სჩვევია, თვალებში შემომხედა და ჩვენი შემდგომი დიალოგი ასე წარიმართა:

– ჩვენთან თუ იმუშავებ, ფინანსურად და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფილი იქნებით. მაგრამ... დროებით უნდა დაი-



ვიწყოთ თქვენი მშობლიური ქალაქი, ოჯახი, თქვენი წარმომავლობა; სახელი და გვარი შეიცვალოთ, ერთწლიანი უმძიმესი წვრთნა გაიაროთ და, სადაც დაგვჭირდებით, იქ უნდა გაემგზავროთ... შესაძლოა – ალასკაზეც კი! როგორც კი დაკისრებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ, შინ დაბრუნდებით და 700 ათას ევროს გადმოგცემენ ჯილდოდ. ამასთან, ყოველთვიურად, სტაბილურად მიიღებთ 400 ევროს... ცხოვრების ბოლომდე. ეს ძალიან დიდი თანხა არ არის... მაგრამ, სამაგიეროდ, მისია, რომელიც უნდა შეასრულოთ, კეთილშობილური და სამართლიანია!

ალბათ, ელოდა, რომ ვკითხავდი, ჩემი მომავალი საქმიანობა საფრთხეს ხომ არ შეიცავს-მეთქი, იმიტომ რომ, როცა მოსაფიქრებლად დრო მოვითხოვე, სათვალე შუბლზე აიწია, დაკვირვებით ამათვალიერა და თავად მითხრა.

– საქმე საკმაოდ სარისკოა... მოსაფიქრებლად დროს მოგცემთ – ხვალ, შუადღემდე უნდა გადაწყვიტოთ! მაგრამ იცოდეთ, თუ დაგვთანხმდებით, მერე უკან დასახევი გზა აღარ იარსებებს!

– კაბინეტიდან გამომიყვანეს, მაგრამ შენობა არ დამიტოვებია – რომელიღაც ოთახში შემიყვანეს, რომელიც ძალიან ჰგავდა სასტუმროს ნომერს. როცა ღამე მშვიდობისა მისურვეს და კარი მომიხურეს, მერეღა მივხვდი, რომ გარედან საიმედოდ ვიყავი ჩაკეტილი. ასე რომ, მარტოდმარტო აღმოვჩნდი ჩემს ფიქრებთან... ფანჯარას მივუახლოვდი და ახმაურებულ ქალაქს გადავხედე. სადღაც მეხუთე-მეექვსე სართულზე უნდა ვყოფილიყავი. აივანზე გასვლა დავაპირე, მაგრამ... აივნის კარიც ჩარაზული დამხვდა. ფანჯრიდან გავყურებდი მწვანე ქალაქს, რომელიც ღამის საბანში ნელ-ნელა ეხვეოდა და ვფიქრობდი, რომ ევროპის ამ ყველაზე „ბრტყელ“, ანუ უბორცვო ქალაქში, ჩემი ბედი სამუდამოდ უნდა გადაწყვეტილიყო. თავში ფიქრები მიტრიალებდა, გულში – ნოსტალგია, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ჩემს მშობლიურ ქალაქში დიდი პერსპექტივა არ მელოდა: სამარშრუტო ტაქსის საჭის ტრიალი დღეღამეში 14-15 საათი და შრომის ანაზღაურება იმდენი, ქირასაც რომ ვერ გადაიხდიდი, თორემ ბინის ყიდვას ვინღა ჩივის. უკეთეს შემთხვევაში, რომელიღაც სკოლაში, ანუ ჩემთვის „საქათმეში“ უნდა მემუშავა, სადაც მასწავლებლად მხოლოდ ქალბატონები არიან... და შეიძლება ერთი-ორი „მამალიც“ გამოერიოს – სავარაუდოდ, დირექტორი და ფიზკულტურის მასწავლებელი. პედაგოგობა კი ჩემი საქმე არ იყო. დასაკარგავი არც არაფერი მქონდა. იმ სათვალიანის შემოთავაზებას მაშინვე დავთანხმდებოდი, მაგრამ ეს „იაფფასიანი“ საქციელი იქნებოდა და თანაც, მინდოდა, იმ ბიძას უფრო ჭკვიანი და დაფიქრებული მოვჩვენებოდი, ვიდრე სინამდვილეში ვარ.

ეს პირველი ღამე იყო, საავადმყოფოს და კლინიკაში გატარებული ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, რომელიც ნორმალურ საცხოვრებელ პირობებში გავატარე... თუმცა, კარებჩარაზულმა.

მეორე დღეს ორმა შავპიჯაკიანმა კვლავ მომაკითხა და იმ სათვალიანი ნახევრად მელოტის კაბინეტში წამიყვანეს.

– მოიფიქრეთ? – ისე მკითხა, არც მომსალმებია.

– ერთი პირობით!

– კი ბატონო, – თავი დამიქნია.

– უნდა ვიცოდე, რას... როგორ და ვის წინააღმდეგ მოვიმოქმედებ... მოკლედ, ყველაფერი უნდა ვიცოდე ჩემი მომავალი საქმიანობის შესახებ!

შუა ხნის მამაკაცი შეყოვნდა და მერე გადაჭრით მითხრა:

– გეცოდინებათ იმდენი, რამდენიც ამ ეტაპზეა საჭირო, – მერე თვალით მანიშნა, მის წინ, სკამზე ჩამოვმჯდარიყავი.

მეც არ დავაყოვნე... დავჯექი და თვალი თვალში გავუყარე. მზერა არც მას მოურიდებია. თითებგადაჯვარედინებული ხელები მაგიდაზე დააწყო და დინჯად დაიწყო:

– თქვენ დიდ ძალასთან მოგიწევთ დაპირისპირება... ეს ძალა ძალიან ბნელია და ბურუსით მოცული, იმდენად, რომ მასში შეღწევა ჩვენმა ჯგუფმა ვერ მოახერხა.

– ჯგუფმა?! რაზე ლაპარაკობთ?!. მეგონა, სერიოზული ორგანიზაციის წარმომადგენელს ვესაუბრებოდი...

– „ორგანიზაცია“ ჩვენთვის შესაფერისი კონსტატაცია არ არის. „ჩვენ“ სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენელთა არცთუ დიდი გაერთიანება ვართ... თუმცა, ჩვენც გვყავს ჩვენი „შეფი“ – ეს არის ოთხკაციანი საბჭო, მითითებებს ამ ჭკვიანი და სამართლიანი ადამიანებისგან ვიღებთ...

– მოიცადეთ! ვერაფერი გავიგე... რაღაც ფარულ ჯგუფსა თუ სექტაზე მელაპარაკებით, რომელიც საიდუმლოდ მოქმედებს... იქნებ – კანონსაწინააღმდეგოდაც?! თუ ასეა, სექტები მძულს და ჯობია, ახლავე უარი გითხრათ! – თითქმის ზიზღით გამოვთქვი ბოლო წინადადება, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, სათვალიანმა გამიღიმა, თითქოს ჩემი გაცხარება მოეწონაო და ასეთი მოულოდნელი რამ თქვა:

– თუ მართლა ასეა და სექტები გძულთ, მაშინ ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისთვის, რომ ჩვენთან ითანამშრომლოთ... რადგან ჩვენი სამიზნე სწორედ სექტებია!

გავოცდი, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე და მშვიდად ვკითხე:

– კიდევ ერთიო, თქვით... რას გულისხმობდით?

– იმ საქმიანობას, რაც თქვენ მოგიწევთ.

მისმა ახსნა-განმარტებამ არ დამაკმაყოფილა, ამიტომ ვცდილობდი, ბოლომდე გამერკვია, რას მთავაზობდა ეს ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანი.

– დამშვიდდით, – გაეღიმა ბოლოს სათვალიანს, – იმდენს გეტყვით, რამდენიც საჭიროა, რომ იცოდეთ. ხოლო, თუ თანამშრომლობაზე დაგვთანხმდებით, ყველაფერს დეტალურად შეიტყობთ.

– ახლავე თუ არ შევიტყვე, რის გაკეთება მომიწევს, მაშინ თანახმა არ ვარ! – სკამის საზურგეს მივეყრდენი და თითები უკმაყოფილოდ ავათამაშე მაგიდაზე.

– გონიერი ადამიანი ჩანხართ... ეს მახარებს, ამიტომ უნდა იცოდეთ, რომ დეტალების უცხო ადამიანის წინაშე გათვალსაჩინოება, ჩვენს სამართლიან საქმეს დააზარალებს. ხოლო, თუ ერთ-ერთი ჩვენგანი გახდებით, მაშინ სხვა საქმეა.

მივხვდი, რომ ჩემი კიდევ ერთი უარის შემთხვევაში, დამემშვიდობებოდა და ალბათ, იმ ორს თბილისში ჩემს გამომგზავრებას დაავალებდა. ამიტომ გავიფიქრე, რომ ძალიანაც ჩაძიება არ ივარგებდა... თუმცა, არც ცუდ საქმეში მინდოდა გარევა. მართალია, ამბობდა, ჩვენი საქმე სამართლიანი და კეთილშობილურიაო, მაგრამ ხშირად ქვესკნელის მეუფე სწორედ ამ იდეებს ეფარება, რათა თავისი ბოროტი საქმეები კარგად შენიღბოს. ამიტომ, ტაქტიკური სვლა გავაკეთე და შევეცადე, ჩემი პოზიცია უფრო შემერბილებინა.

– თქვენც გონიერი ადამიანი ბრძანდებით, ამიტომ გეტყვით, რომ, თუ მე თანხმობა განვაცხადე და მერე აღმოჩნდება, რომ ჩემთვის მიუღებელ საქმიანობას მავალებთ, უკან დახევა მომიწევს.... ეს კი არც ერთი მხარისთვის კარგი არ იქნება.

– სრული ჭეშმარიტებაა! – უცნობი მამაკაცი ჩაფიქრდა და იმ ორს გადახედა, რომლებმაც მასთან მიმიყვანეს და თვითონ მდუმარედ ისხდნენ მოშორებით, სკამებზე, – კარგი, ყურადღებით მომისმინეთ და დასკვნა თქვენ გააკეთეთ: მსოფლიო არახალმა, მაგრამ გაძლიერებულმა ციებ-ცხელებამ მოიცვა და ეს მომრავლებული რელიგიური სექტებია, რომლებიც თითქმის ყველგან ობობას ქსელივით მოედო.

ეს სახუმარო ამბავი არ არის, რადგან საქმე გაცილებით სერიოზულადაა, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია... მათ სათავეში, ხატოვნად რომ ვთქვათ, ქსელის შუაგულში, ობობა ზის. არც ვიცი, რა ვუწოდო – ადამიანი თუ არსება, რადგან ვერც ერთი სახელმწიფოს დაზვერვამ ვერ მოახერხა მისი ადგილსამყოფელის დადგენა და მისი პერსონის გაშიფვრა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# მიიღეთ ამანათი!

**■ დეიმონ რანონი**

ჯო სლეიტერს ხუმრობა უყვარდა და ბრონქსის ბნელ სამყაროში ეს ამბავი ყველამ იცოდა. ზოგს სწყინდა, ზოგს – არა. ჯოს შეეძლო, უტიფრად და თამამად გახუმრებოდა თვით ფრენკ „შეუბრალებელს“, ანუ, მისთვის ოინი მოეწყო. მაგალითად, ასეთი: მიჰპარვოდა ბარში ან რესტორანში საუბარში გართულს და მისთვის მაღალყელიან ფეხსაცმელში ცეცხლმოკიდებული ასანთი ჩაეგდო. ამას სხვა ვერავინ გაბედავდა, ჯოს გარდა. ფრენკამდე ვერავინ გადაუხადა ხუმრობისთვის სამაგიერო. კრიმინალური სამყარო გასუსული ელოდა, რას მოიმოქმედებდა ფრენკი.

ფრენკ შეუბრალებელს ბრუკლინში, სადაც ის ძირითადად ცხოვრობდა, წარმატებულ და პატივსაცემ მოქალაქედ იცნობდნენ, მხოლოდ ბრონქსში სცემდა შიშის ზარს ყველას და დარწმუნებულები იყვნენ, რომ მასთან ხუმრობა, მით უმეტეს, ისეთი ხუმრობა, როგორიც ჯო სლეიტერს უყვარდა, არ შეიძლებოდა. ფრენკს, ყველა სხვა უბედურებასთან ერთად, საერთოდ არ გააჩნდა იუმორის გრძნობა, მისი სიცილიც კი არავის გაეგონა. ოინი ჯომ ფრენკს პირდაპირ ბროდვეიზე, რესტორანში მოუწყო, რაზეც მან მხოლოდ ბოროტად შეხედა ჯოს, თქმით კი არაფერი უთქვამს – მხოლოდ მოგვიანებით რაღაც ჩაილაპარაკა იტალიურად – ფრენკი ხომ სიცილიიდან იყო წარმოშობით. იტალიურ ენაზე ჩალაპარაკება ისე სასტიკად ჟღერდა, რომ სხვას ყველას სისხლი გაეყინებოდა ძარღვებში, ჯოს გარდა, მან კი მხოლოდ თვალი ჩაუკრა ფრენკს და ეს ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასი იყო... მერე მოხდა ის, რომ ჯოს მეგობარ-თანამზრახველებს ძილი გაუტყდათ იმაზე დარდით, რას მოიმოქმედებდა ფრენკი. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ შურისძიების ობიექტი მარტო ჯო კი არა, თითოეული მათგანი გახდებოდა. ერთიორმა ჯოს მორიდებით უსაყვედურა, ძალიან შორს შეტოპეო, მაგრამ მან მხოლოდ ხელი ჩაიქნია, მერე კი სიცილი აუტყდა...

ჯომ ჰარლემში თავის ძმასთან ერთად პატარა ლუდის ბარი გახსნა და, როცა საქმეები ნორმალურადააწყო, ცოლმა მიატოვა. როზა – ასე ერქვა ჯოს ცოლს, რამდენიმე წლის წინ მიყრუებულ ბარში მღეროდა მიდნაიტის გვარით. ჯომ ის იქ ნახა, წუმპიდან ამოათრია და მასზე დაქორწინდა. ქალმა მაინც არ დაუფასა ამაგი – მიატოვა და ფრენკ შეუბრალებელთან წავიდა... არავინ იცის, ფრენკის შურისძიების ნაწილი იყო ეს თუ ქალმა დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ, ჯოსთვის აშკარად სულერთი იყო. ის ხუმრობით ყვებოდა, რომ ფრენკისთვის როზა ნამდვილი ბომბი იყო – ქალი იმდენს დაახარჯვინებდა, რომ აუცილებლად გააკოტრებდა. ბევრს ესეც ხუმრობად მიაჩნდა, მხოლოდ რამდენიმე ახლობელმა იცოდა, რომ ჯოს ჭკუის დაკარგვამდე უყვარდა როზა. ვიღაცამ უთხრა კიდეც, მებრალებიო. ჯომ, ალბათ, ცხოვრებაში პირველად, შეიკრა წარბი და უპასუხა: ჯობია, ფრენკი შეიცოდო და, თუ ეს არ გეყოფა, როზაცო... იმ სამყაროში, სადაც ჯო ხუმარა და ფრენკ შეუბრალებელი ცხოვრობდნენ, ისეთი საქციელი, როგორიც ფრენკმა ჩაიდინა, მიღებული არ იყო.

... ერთ დილით გაზეთებში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ბრუკლინში, ტომრებში იპოვეს ორი გაგუდული გვამი – ჯოს გარემოცვიდან ორი ბიჭი ვიღაცამ იმსხვერპლა. პოლიციას ერთადერთი ვერსია ჰქონდა, რომ თითქოსდა მათ ფრენკ შეუბრალებლის სავაჭრო ბიზნესს შეუქმნეს პრობლემა, მაგრამ ფრენკს ვერაფერი დაუმტკიცეს. ფაქტი იყო, რომ გვამები მას არ ჩაუტენია ტომრებში, თანაც, ტომარაში ჩაწყობილ გვამებს აქამდე მხოლოდ სენტლუისში პოულობდნენ. ერთი შეხედვით, ამაში განსაკუთრებული არაფერი იყო – მოკლეს და ტომარაში ჩატენეს, მაგრამ, მკვლელობის ამ ფორმას თავისი, არცთუ იოლი ტექნოლოგია ჰქონდა, რომელიც სერიოზულ ცოდნას და პრაქტიკასაც მოითხოვდა: ადამიანს ტომარაში ჩასმამდე ღრმად აძინებდნენ, ან, უბრალოდ, თავში ჩარტყმით თიშავდნენ. მერე მოკეცავდნენ შუაზე, როგორც დასაკეც დანას, კისერზე ჩამოაცმევდნენ მოშვებულ ყულფს, თოკის ბოლოს კი მუხლების ქვემოთ, ფეხებზე შემოახვევდნენ. ამ მდგომარეობაში ტენიდნენ ტომარაში და სადმე მიაგდებდნენ. როცა ადამიანი ილვიძებდა ან გონზე მოდიოდა, მაშინვე მისი ბუნებრივი რეაქცია იყო ტომრიდან ამოძრომის, თავის დახსნის მცდელობა – ის იწყებდა ფართხალს და მარყუჟი ისე მაგრად ეჭირებოდა კისერზე, რომ საბოლოოდ ახრჩობდა კიდეც... – ბოლოს პოლიცია ან ვიღაც გამვლელი პოულობდა ტომარას, რომელშიც იდო ყელზე თოკშემოჭერილი დამხრჩვალი გვამი.



კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ, ორი ბრუკლინელი, რომლებიც კლინტონ-სტრიტზე სეირნობდნენ, უცნობმა პირებმა ცელოფნის პარკებით გაგუდეს. ისინი ფრენკ შეუბრალებლის მეგობრები იყვნენ. პასუხად კიდევ ერთი გვამი აღმოჩნდა ტომარაში, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, ჯო „ხუმარას“ ძმა, საცოდავი ფრედი აღმოჩნდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბრუკლინელებს კარტოფილით სავსე ტომრის გახსნისაც კი ეშინოდათ... ყველა სულგანაბული იცდიდა, ვინ იქნებოდა შემდეგი და რას მოიმოქმედებდა ჯო, რომელმაც განაცხადა: ტომარაში მე თვითონ უნდა ჩავჯდე და ფრენკს ვეახლოო. ჩემი ძმა, ფრედი, როზამ ბრუკლინში ჩაიტყუა, რომ მე გაყრაზე დავეთანხმებინე. საცოდავს უყვარდა როზა, იმედი ჰქონდა, რომ შეგვარიგებდა და ამ კეთილშობილურმა განზრახვამ ამოაყოფინა თავი ტომარაში. იცოდა ეს როზამ თუ არ იცოდა, არაფერს ნიშნავს, ეს მაინც მისი ბრალია და მე აუცილებლად ოინს მოვუწყობო. აბა, ვინ შეეწინააღმდეგებოდა და ეტყოდა, მაგას ნუ გააკეთებო! ჯომ ისიც თქვა, როზას უბედურება მოაქვს და არც ფრენკს დააყრის ხეირსო და, ისე საზიზღრად გაიცინა, მის გარემოცვას პირველად შეეშინდა ჯოს სიცილის. პრინციპში, რა ხუმრობა იყო ტომარაში ჩაჯდომა?!. არავინ იცოდა რა განიზრახა ჯომ, თუმცა, რაღაც ჩანაფიქრი აშკარად ჰქონდა...

სენტლუისელი როუპს მაკგონგლი, რომელიც ფრენკს ტომრებთან დაკავშირებულ პრობლემებს უგვარებდა, ძალიან აღშფოთდა, როცა გაიგო, რომ ფრედი ჯოს ძმა იყო და არ უთხრეს, ისე დაავალეს მისი მოშთობა. სწორედ მისი იმედი ჰქონდა ჯოს. როუპსი პირადად ეწვია და უთხრა – ფრენკს შენი ნახვა უნდა ტომარაში და ორმაგს გადამიხდის ამაშიო... შეთანხმდნენ: ჯო ბრუკლინში ჩავიდოდა, როუპსი მას ტომარაში ჩასვამდა ფხიზელს და, ყულფის გარეშე და როცა ამ ტომარას ფრენკს მიართმევდნენ, იქიდან რევოლვერმომარჯვებული ჯო ამოხტებოდა...

ეს ისტორია იმით დასრულდა, რომ ფრენკ შეუბრალებელმა როუპსისგან ტომარა მიიღო, შემდეგ საკუთარი ხელით ჩაიტანა სარდაფში და გახსნა... ეტყობა, ჯომ ბოლო მომენტში შეცვალა ხუმრობის თემა, რადგან ფრენკს კარგად იცნობდა: შეუბრალებელმა ჯერ ცეცხლი გაუხსნა ტომარას, მერე კი გახსნა და იქ ჯოს ნაცვლად ხელფეხშეკრული როზა ნახა, რა თქმა უნდა, მისი ნასროლი ტყვიებისგან მკვდარი. ფრენკმა აზრზე მოსვლაც ვერ მოასწრო, ისე დაადგა პოლიცია თავზე, წინასწარ განზარახულ მკვლელობაში დაადანაშაულა, ხელბორკილი დაადო და დააპატიმრა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# მაფიის შვილობილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28(707)

სამშობიაროში ზუსტად პირველ საათზე მივედით. ორის ოცდახუთ წუთზე ბუდუ დაიბადა, ხუთი წუთის შემდეგ კი – სერგი.

ექთანმა ტყუპების დაბადება რომ მახარა



და გასამრჯელოს მისაცემად ჯიბეში ხელი ჩავიყავი, მაშინღა გამახსენდა, რომ საფულე სერგის მანქანაში დავტოვე. საფულეში სამასი მანეთი და მილიციის თანამშრომლის წითელი წიგნაკი მედო. საათს დავხედე – ორს ათი წუთი აკლდა. ცუდი წინათგრძნობა დამეუფლა. სამშობიაროს მისაღებიდან მილიციის სამმართველოს მორიგეს დავურეკე და ვუთხარი:

– გულბათი ვარ. სერგი ხომ არაა მანდ?

– გულბათ, ბოტანიკურ ბაღთან სროლა ყოფილა და ყველა იქ წავიდა.

– რა მოხდა?! – ვიღრიალე მე.

– არ ვიცი, ჯერ არ შეუტყობინებიათ. შენ სად ხარ?

ყურმილი აპარატზე დავდე, ქუჩაში გავვარდი და ტიტე ბუკიას მანქანით ბოტანიკური ბაღისკენ გავფრინდი. შენს მტერს, რაც მე იქ ვნახე. სერგი, ეს მთასავით ბიჭი, სისხლის გუბეში უსულოდ ეგდო და მთელი სხეული დახვრეტილი ჰქონდა. ხარივით ავბლავლდი, მუხლებზე დავეცი და მიწას მანამდე ვურტყი თავი, სანამ გონება არ დავკარგე. მძიმე ტვინის შერყევა მქონდა და სამი კვირა ბურანში ვიყავი. საავადმყოფოდან რომ გამომწერეს, სერგი უკვე დასაფლავებული იყო. ისეთ დეპრესიაში ვიყავი, შვილების ნახვაც კი არ მინდოდა და თავის მოკვლას ვაპირებდი. ჩემმა უფროსმა ძმამ გადამარჩინა – სვანეთში წამიყვანა და ექვსი თვე იქ გავატარე. როგორც იქნა, მოვმჯობინდი და უკან დავბრუნდი. ჯერ სერგის საფლავზე ავედი, შემდეგ ნათლია ასთამურს მივუსამძიმრე და ბოლოს სახლში მივედი. აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრს არ უნდოდა სამსახურში ჩემი დაბრუნება – ასე უთქვამს, გაუწონასწორებელიაო. თავდებში სამმართველოს უფროსი დამიდგა და მილიციაში დამაბრუნეს. იმ დროს ეს საქმე უკვე თბილისს ჰქონდა წაღებული. ვალიკო ჟღენტმა ორჯერ დამკითხა. რაც ახლა მოგიყევი, იმასაც ის ვუთხარი. ერთი სიტყვით, საქმე წინ არ მიიწევს. დეტალურად კი ნესტორი მოგიყვება ყველაფერს. აი, მივედით უკვე.

გულბათმა მანქანა მილიციის სამმართველოს ეზოში გააჩერა, შემდეგ მესამე სართულზე ავიდნენ და პესკასელის კაბინეტის კარი შეაღეს.

– შეიძლება, ნესტორ? – იკითხა მარგიანმა.

– შემოდი, შემოდი, რას მებოდიშები? – შეიპატიჟა ახალმოსულები პესკასელმა, მაგიდას შემოუარა და მოღიმარი სახით შეეგება მათ.

– ნესტორ, ეს მერაბ გამრეკელია და სერგის საქმე აინტერესებს. გცალია, რომ დაელაპარაკო? – უთხრა გულბათმა პესკასელს.

პესკასელმა მაგრად ჩამოართვა ხელი მერაბს, მხარზე ხელი მიუთათუნა და უთხრა:

– შენს გმირობაზე ბევრი მსმენია, ჩემო მერაბ. იმ ნაძირალამ რომ დაგჭრა, იმ დროს აქ არ ვიყავი და, რომ დავბრუნდი, უკვე თბილისში იმყოფებოდი. ძალიან მინდოდა შენი გაცნობა და ნატვრაც ამისრულდა. მოდი, დაჯექი და ვილაპარაკოთ. რით შემიძლია, გემსახურო?

გულბათ მარგიანი კაბინეტიდან გავიდა. მერაბი სკამზე დაჯდა და, პესკასელიც რომ მოკალათდა, უთხრა:

– სერგის მკვლელობის საქმეს პირველად ხომ თქვენ იძიებდით?

– მერაბ, მოდი, ვიმეგობროთ. შენობითაც ამიტომ მოგმართე. შევთანხმდით? – გაუღიმა პესკასელმა მერაბს.

– შევთანხმდით.

– ძალიან კარგი, – თქვა პესკასელმა, შემდეგ ამოიოხრა და სერიოზული სახით დაამატა: – სამი თვე ვიძიებდი იმ ვაჟკაცის ვერაგული მკვლელობის საქმეს. სამი თვე დღე-ღამეს ვასწორებდით მთელი პირადი შემადგენლობა, მაგრამ, ყოვლად უშედეგოდ. იმავე ღამეს გადავკეტეთ მთელი აფხაზეთი და საგუშაგოები გავაძლიერეთ. ერთი სიტყვით, ძალიან ოპერატიულად ვიმოქმედეთ, მკვლელები კი მაინც ვერ მოვიხელთეთ. ეტყობა, აფხაზეთიდან გასვლა მოასწრეს. შემდეგ ეს საქმე თბილისმა წაიღო და გენერალური პროკურატურის გამომძიებელი ვალიკო ჟღენტი იძიებს.

– ეგ ვიცი, ვალიკოსაც კარგად ვიცნობ. მე დეტალები მაინტერესებს.

– გადავიდეთ დეტალებზე. ძირითადი ვერსიით, სერგი შამბა გუდაუთაში გატაცებულ მწვანე „ჟიგულის“ დაედევნა. მანქანა, რომელიც საკონსერვო ქარხნის ტექნოლოგს, მიხეილ აგრბას ეკუთვნოდა, წინა დღით ქუჩიდან წაიყვანეს. აგრბას დაკითხვამ საგულისხმო ვერაფერი შესძინა გამოძიებას. როგორც კი შეიტყო მანქანის დაკარგვა, მაშინვე განაცხადა და სერია და ნომერი ყველგან დაგზავნეს. ნომერი იცოდა სერგიმაც და სწორედ ამიტომ დაედევნა გამტაცებლებს. დევნის დროს, როგორც გატაცებული მანქანის შემომწმებამ ცხყადყო, იმ ნაძირლებს ბოტანიკურ ბაღთან ბენზინი გამოლევიათ. სწორედ იქ წამოეწია მათ სერგი და მთავარი ტრაგედიაც იქ დატრიალდა. როგორც შემთხვევის ადგილის სურათის კრიმინალისტური ანალიზი გვიჩვენებს, სერგი არ მოელოდა, რომ შეიარაღებულ ბოროტმოქმედებთან მოუწევდა შეტაკება. ამ ვარაუდს ის ადასტურებს, რომ შემთხვევის ადგილზე სერგის ტაბელური იარაღიდან გასროლილი ერთი მასრაც კი ვერ აღმოვაჩინეთ. არადა, სერგი ძალიან სწრაფად ხმარობდა იარაღს, უზუსტესად ისროდა ყველა პოზიციიდან და მინიმუმ ერთ გასროლას მაინც მოასწრებდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სერგი ორმოცდაათი მეტრის დაშორებითაა მოკლული თავისი „ფიატისგან“, მაშინ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ბოროტმოქმედებს ფეხით გაეკიდა, თანაც ისე, რომ პისტოლეტის ამოღება არც კი უცდია. სერგის რვა ჭრილობა აქვს მიყენებული ორი პისტოლეტიდან, აქედან, სამი – „მაკაროვით“ და ხუთი „ტეტეთი.“ – „მაკაროვით“ ერთი ჭრილობა მიზჯენითაა ნასროლი მუცელში, ორიც – მარცხენა და მარჯვენა ბარძაყებში. „ტეტეთი“ ორი ზურგშია ნასროლი, ერთი – მკერდში და ორიც – თავში. ჭრილობების ანალიზი ასეთ სურათს გვაძლევს: ორმოცდახუთიოდე მეტრი რომ გაირბინეს ბოროტმოქმედებმა, მიმართულების მაჩვენებელ ისრებთან – ეს ისრები ექსკურსიის მარშრუტებს აღნიშნავენ – შუაზე გაიყვნენ, ანუ, ერთი მარცხნივ გაიქცა, მეორე კი – მარჯვნივ. როგორც ჩანს, მარცხნივ გაქცეულმა ნაძირალამ ვერ დაინახა ხუთასწლოვანი მუხის ამოწეული ფესვი, ფეხი წამოჰკრა და წაიქცა. სავარაუდოდ, სავარაუდოდ კი არა, ნამდვილად, სწორედ იქ წამოეწია სერგი წაქცეულს და თავზე წამოადგა. ამ დროს, ექსპერტკრიმინალისტის დასკვნით, სერგის „ტეტედან“ ზურგში ესროლა მეორე ბოროტმოქმედმა, შემდეგ კი წაქცეულმა მიზჯენით ესროლა „მაკაროვიდან“. ამის მერე, უკვე ძირს დავარდნილ და სასიკვდილოდ დაჭრილ სერგის, „მაკროვიანმა“ თითო ტყვია დაახალა ბარძაყებში. „ტეტეიანმა“ კი – ერთი მკერდში და ორიც საკონტროლო – თავში. ამის მერე მკვლელებმა სერგის ტაბელური „მაკაროვი“ გაიტაცეს. ჩასხდნენ მის „ფიატში“ და გაიქცნენ. „ფიატში“ იდო გულბათ მარგიანის საფულე სამასი მანეთითა და მისი სამსახურებრივი და პირა-

მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი

დობის დამადასტურებელი მოწმობებით. აი, ჩემო მერაბ, ასე ვერაგულად მოკლეს იმ გარეწრებმა ეს გოლიათი ვაჟკაცი.

– ესე იგი, ორი ბოროტმოქმედი იყო?

– შესაძლოა, სამიც. მათ შორის ერთი უიარაღო იყო ან იარაღი არ გამოიყენა.

– აგრბას მანქანის გატაცებაზე რა ვერსიას ამუშავებდით?

– ვერსია რამდენიმე იყო. ჩემი აზრით კი, ის გარეწრები „საქმეზე" მიდიოდნენ და მანქანა გასაქცევად სჭირდებოდათ. სწორედ აქედან გამომდინარე ვვარაუდობ, რომ სამნი იყვნენ. ორნი, ვთქვათ, საყაჩაღოდ, ერთი კი – მანქანაში. მძღოლი ხომ სჭირდებოდათ?!

– თუ „საქმეზე" მიდიოდნენ, ბენზინის ავზი ვერ აავსეს?

– სულ დამავიწყდა. საბარგულში მათ ბენზინით სავსე ორი კანისტრა ჰქონდათ. ასე რომ, საწვავი არ აკლდათ და, თუ ჩემი ვარაუდი სწორია, მათ, უბრალოდ, ავზის ავსება ვერ მოასწრეს.

– ბალისტიკამ რა უჩვენა, „ტეტე" და „მაკაროვი" ხომ არ ამოვარდნილა მასროთეკაში?

– აქაც ძალიან საგულისხმო დეტალებია. ორივე იარაღი მილიციელებს გასტაცეს. მათ შორის ერთი – მკვლელობის შემდეგ. „ტეტე" სამი წლის წინ აართვეს მილიციის ზემდეგ ჭოლა ქურციკიძეს, როდესაც ის თბილისში, კიკვიძის ბაღში, ღამის შემოვლაზე იმყოფებოდა. მას თავში არმატურა ჩაარტყეს, იარაღი წაიღეს და მიიმალნენ. ქურციკიძე გადარჩა, მაგრამ, დაინვალიდდა და მისი დაკითხვა შეუძლებელია – მას მეტყველებისა და სიარულის უნარი დაკარგული აქვს. აი, „მაკაროვი" კი, ორი წლის წინ, სერგის მკვლელობამდე სამი თვით ადრე აართვეს თბილისში, ფუნიკულიორის პლატოზე მოკლულ უფროს ზემდეგს, მალხაზ გვინჩიძეს. მასაც არმატურა ჩაარტყეს ღამით. სამწუხაროდ, ის მიყენებული ტრავმისგან ადგილზევე გარდაიცვალა. ერთი სიტყვით, მილიციელების მკვლელებთან გვაქვს საქმე. ძალიან დაუნდობელი და საშიში ხალხია. ასეთებისგან ყველაფერია მოსალოდნელი და არ უნდა დაინდო.

– სერგის „ფიატი" სად აღმოაჩინეთ?

– აი, ეს კი ამ საქმის ყველაზე იდუმალი დეტალია.

– იდუმალი რატომ?

– იმიტომ, მერაბ, რომ სერგის „ფიატი" შემთხვევის ადგილიდან სულ რაღაც ერთ კილომეტრში ვიპოვეთ – სუბტროპიკული ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელთან. რა გამოდის? ბოროტმოქმედები აორთქლდნენ თუ ცაში აფრინდნენ? სხვა მანქანა არავისთვის წაურთმევიათ, რომ იმით გაქცეულიყვნენ, რადგან, ასეთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. ნაკლებად სავარაუდოა ისიც, რომ მათ სხვა მანქანა ელოდებოდა და ისიც გამორიცხულია, რომ სოხუმში დაიმალნენ. მთელი აგენტურული ქსელი ფეხზე დავაყენეთ და, აქ რომ დარჩენილიყვნენ, აუცილებლად ვიპოვიდით. შემთხვევიდან ნახევარ საათში კი ყველა გზა შევკარით და ქალაქიდან ვერ გააღწევდნენ. ზღვით თუ გავიდოდნენ, მაგრამ, არც ეგ მგონია. კატერი შესამჩნევი რამეა და, ასე რომ ყოფილიყო, არ გამოგვეპარებოდა.

– აბა, რა იქნენ?

– ალბათ, ქალაქიდან გააღწიეს, მაგრამ, როგორ, არ ვიცი. როგორც გითხარი, ჩემთვის ამ საქმეში ყველაზე დიდი გამოცანა სწორედ ესაა. ფეხით შორს ვერ წავიდოდნენ. ნახევარი საათის მერე – ვერც მანქანით. ერთი იმედია მხოლოდ...



– რა იმედი?

– რა და, თუ მომავალში ეს წყეული იარაღები რომელიმე საქმეში გამოჩნდება, დამნაშავეებს თუ ჩავავლებთ და ამგვარად გავხსნით დანაშაულს.

– გამოდის, რომ ახალ ბოროტმოქმედებას უნდა დაველოდოთ?

– სამწუხაროდ, ასეა.

მერაბი უკვე დამშვიდობებას და წასვლას აპირებდა, რომ, პესკასელის კაბინეტის კარი გაიღო, ოთახში ახალგაზრდა კაცმა შემოიხედა და კაპიტანს მიმართა:

– ბატონო ნესტორ...

– მოიცა, პლატონ, ხომ გითხარით, ბატონს ნუ მეძახი-მეთქი! რაშია საქმე, მოხდა რამე?

– გაგრაში მკვლელობაა. ნახევარი საათის წინ მეზღვაურთა საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ ბინაში უცნობი მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. ოპერატიული ჯგუფი გასასვლელად მზადაა და გელოდებათ.

– მოვდივარ! – თქვა ნესტორ პესკასელმა, უჯრიდან ტაბელური იარაღი ამოიღო, შემოწმა, ქამარში გაირჭო და მერაბს უთხრა:

– ხომ გაგრაში მოდიხარ? წამოდი, ჩემი მანქანით წაგიყვან.

მერაბი დათანხმდა. მილიციელები კაბინეტიდან გამოვიდნენ და კიბეებზე დაეშვნენ. მეორე სართულზე მათ გულბათ მარგიანი შეხვდათ.

– გაგრაში მიდიხარ, ხომ, ნესტორ, მკვლელობაზე? – ჰკითხა პესკასელს გულბათმა.

– კი, – მიუგო კაპიტანმა.

– იცი, ვინ მოკლეს?

– ვინ?

– ის სახენაიარევი კაცი, ჩვენ რომ ვეძებდით. რა გვარია?

– რუბენ ჩოჩიანი? – თქვა პესკასელმა.

– ჰო, რუბენ ჩოჩიანი.

– შენ რა იცი?

– რიგითმა კალანდიამ დამირეკა და მითხრა. ის ახლა იქ არის, სურათით ამოიცნო.

– ვაა... აი, ახალი ამბავი! წავედით, წავედით... – თქვა პესკასელმა და სწრაფად დაეშვა კიბეებზე.

ეზოში რომ ჩავიდნენ, გულბათმა მერაბს თავის მანქანაში ჩაჯდომა შესთავაზა.

– გულბათ, მე ნესტორს გამოვყვები, რაღაც მაქვს დასაზუსტებელი, – უთხრა მერაბმა მარგიანს და პესკასელის მანქანაში ჩაჯდა.

პესკასელმა მანქანა ადგილიდან დაძრა და მერაბს უთხრა:

– მოკლულის ვინაობა ხომ არ გეცნობა?

– თუ მოკლული ნამდვილად რუბენ ჩოჩიანია, მაშინ, ის რუზგენის ბიძაშვილია. ექვსი თვის წინ მე და ჩემმა ბიჭებმა დავაპატიმრეთ თბილისში. რუზგენი მაშინ გაგვექცა. შემდეგ რუზგენიც ავიყვანე ლოტკინზე, მაგრამ, მალევე გაიქცა ციხიდან. მერე კი გაგრის ამბები მოხდა.

– რუბენ ჩოჩიანი ორი კვირის წინ გაიქცა ციხიდან და ვეძებდით. ინფორმაცია გვქონდა, რომ ჩვენს მხარეში იმალებოდა და გაგრაში არ ყოფილა?! – თქვა პესკასელმა.

– გამოდის, რომ ბანდიტ ჩოჩიანებს გაგრაში ვიღაც მფარველი ჰყავთ.

– სამწუხაროდ, ასე გამოდის, – დაეთანხმა პესკასელი მერაბს.

– ნესტორ, ერთი თხოვნა მაქვს, – უთხრა პესკასელს მერაბმა.

– გისმენ.

– არ შეიძლება, რომ მოკვლევას მეც დავესწრო?

– დიდად დამავალებ. მე თვითონ მინდოდა, შენთვის ეს მეთხოვა, მაგრამ, მომერიდა. აი, თითქმის უკვე მივედით. ახლა კოლონადას გავივლით და მეზღვაურთა საერთო საცხოვრებელიც იქვეა.

კოლონადას რომ ჩაუარეს, მერაბს წინა დღე გაახსენდა, როდესაც თამართან ერთად ღია კაფეში მიირთმევდა ნაყინს. მაიორს არც ის დავიწყებია, რომ თამართან ერთად სეირნობისას ვიღაცის უხილავი, ბოროტი თვალი უმზერდა.

ამასობაში შემთხვევის ადგილთან მივიდნენ. ხუთსართულიან შენობასთან ცნობისმოყვარეები იყვნენ შეკრებილები. მილიცია მათ იქ დგომას უშლიდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათი რიცხვი იზრდებოდა.

– კალანდია, სად მოხდა მკვლელობა? – ჰკითხა პესკასელმა მილიციის რიგითს, რომელიც ცნობისმოყვარეებს იგერიებდა.

– მეხუთე სართულზე, ამხანაგო კაპიტანო. ხელმარცხნივ, დერეფნის ბოლო ოთახში.

– მარგიანისთვის გითქვამს, მოკლული რუბენ ჩოჩიანიაო.

– დიახ, ისაა.

– რა იცი შენ?

კალანდიამ ჯიბიდან ფოტოსურათი ამოიღო, პესკასელს უჩვენა და უთხრა:

– აი, ამით ამოვიცნე. ნამდვილად ეგაა. მარჯვენა ლოყაზე დიდი შრამი აქვს.

– ვინ აღმოაჩინა გვამი?

– ჯემალ თაქთაქიშვილმა.

– ეგ ვინ არის?

– ლოთია ერთი. სარემონტოში მუშაობს მექანიკოსად და მეოთხე სართულზე ცხოვრობს. როგორც ყოველთვის, გამობრუჟული იყო და სართული შეეშლია. კარი ღია ყოფილა და, რომ შევიდა, პირდაპირ მოკლულს გადააწყდა. შიშისგან კისრისტეხით ჩამოურბენია ქვევით. ქუჩაში რომ გამოვარდა, იქ კი მე ვმორიგებობდი და შემატყობინა.

– ყოჩაღ, კალანდია, – სიტყვა გააწყვეტინა სრულიად ახალგაზრდა რიგითს პესკასელმა და მერაბს მიუბრუნდა: – წამოდი, დავათვალიეროთ.

– ამხანაგო კაპიტანო, – დაუძახა კალანდიამ პესკასელს.

– რა იყო, კალანდია?

– შენობაში ძალიან ბნელა. კიბეები მინგრეულ-მონგრეულია და ფრთხილად...

მილიციელები შენობაში შევიდნენ და ფეხ-



ით აუყვნენ ვიწრო კიბეებს. იქ მართლაც საშინელი სიბნელე იყო და პესკასელმა თქვა:
– ეს რომ მცოდნოდა, ფანარს წამოვიღებდი.
რიგითის გაფრთხილების მიუხედავად, მეხუთე სართულის ბოლო კიბეზე პესკასელს ჩამოტეხილ კიბეზე ფეხი დაუცდა და მუხლი დაიზიანა.
– შუქი ვერ გაუყვანიათ, ნამდვილი კუბოა, – თქვა კაპიტანმა, – აქ ხალხი როგორ მოძრაობს?
– მაგრად იტკინე? – ჰკითხა ნესტორს მერაბმა.
– ეგ არაფერი, ქორწილამდე გამივლის... წავედით.
შემთხვევის ადგილზე სოხუმის მილიციის სამმართველოს ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ და სურათებს იღებდნენ. მოკლული ტახტზე იწვა და სახეზე დიდი ბალიში ეფარა, რომელსაც ორი ნახვრეტი აჩნდა. იქვე ლუდის ცარიელი ბოთლი ეგდო. ოთახის დიდი ფანჯარა გაგრის ცენტრალურ ქუჩას გადაჰყურებდა და თვალწინ იშლებოდა ძალიან ლამაზი პანორამა.
პესკასელი ტახტზე დაიხარა, ბალიში ასწია, მოკლულს დახედა და ისევ დააფარა.
– „მაკაროვიდანაა“ მოკლული. ბალიში კი მკვლელმა „გლუშიტელად“ გამოიყენა, – უთხრა პესკასელს ექსპერტმა სარიამ.
– ჰილზები იპოვეთ? – ჰკითხა პესკასელმა სარიას.
– აგერ გვაქვს, – სარიამ ცელოფანში ჩაწყობილი „მაკაროვის“ სისტემის ორი ცალი ცარიელი ჰილზა დაანახვა ნესტორს.
– დაბეჭდეთ პაკეტი და ბალისტიკაზე გაგზავნეთ! – თქვა ნესტორმა და იკითხა: – რა სახის ჭრილობაა?
– „სკვაზნოია“, – მიუგო სარიამ და დაამატა, – თავში ორი ნახვრეტი აქვს.
– ტყვიის გულები იპოვეთ?
– ვეძებთ. დივანში იქნება გაჩხერილი.
– პათანატომები გამოიძახეთ?
– კი, მორგი გზაშია, – თქვა სარიამ. ტახტში გაჩხერილი ტყვიის გულა ამოაძრო და დაამატა: – აგერ, ერთი უკვე ვიპოვე.
რიგითმა კალანდიამ ოთახში სამოციოდე წლის, შეშინებული მამაკაცი შემოიყვანა და პესკასელს უპატაკა:
– ეს ჯონდო ხაჭაპურიძეა, საერთო საცხოვრებლის კომენდანტი. ვიფიქრე, დასჭირდებათ-მეთქი და მოგიყვანეთ, ამხანაგო კაპიტანო.
– ყოჩაღ, კალანდია! შენგან კარგი მილიციელი დადგება, აუცილებლად წარგადგენ სიგელზე. ახლა კი თავისუფალი ხარ, – უთხრა რიგითს პესკასელმა, ოთახიდან გაისტუმრა და ხაჭაპურიძეს მიუბრუნდა:
– ბატონო ჯონდო, მოყევით, რაც იცით.
– მე არაფერი ვიცი, ბატონო გამომძიებელო. წელან ცოლმა გამაღვიძა და მითხრა, შენს სამსახურში, მგონი, რაღაც ხდებაო. მე ჩავიცვი და წამოვედი. თქვენმა თანამშრომელმა კი თქვენთან მომიყვანა.
– ახლოს ცხოვრობთ?
– ქუჩის გადაღმა.
პესკასელმა მოკლულს ბალიში ააცალა, ხაჭაპურიძეს დაანახვა და ჰკითხა:
– იცნობთ?
ხაჭაპურიძემ თავი გააქნია:
– პირველად ვხედავ.
– ესე იგი, ეს ოთახი სხვისია?
– აქ ვიტია ტარკილი ცხოვრობს.
– ვინ? – ჩაეკითხა კომენდანტს პესკასელი.
– ვიტია ტარკილი. სარემონტოში მუშაობს მექანიკოსად.
– გასაგებია. მერე, სადაა ახლა ის?
– არ ვიცი, ბატონო გამომძიებელო, ბოლოს გუშინწინ ვნახე. აბა, ვიტიას თავს გაიგებს კაცი? ქარივითაა, ხან აღმაა, ხან – დაღმა.
– ამ ოთახში თუ შეგინიშნავთ რამე საეჭვო?
– რა მაქვს დასამალი და, თუ თვითონ მობინადრეებმა არ მთხოვეს რამე, მე მათ არ ვაწუხებ. მით უმეტეს, ამ სართულზე არ ამოვდივარ – აქ მარტო ვიტია ცხოვრობს, დანარჩენი ოთახები კი ცარიელია. ვერ ხედავთ, რა უკუნეთია, აქ ვინ იცხოვრებს?! კატაც კი კისერს მოიტეხს. განათება გამოვიწერე და მპირდებიან, გაგიკეთებთო. კიბეები ჩამტვრეულია და არავინ არემონტებს. პატრონი არ გვყავს, პატრონი...
პესკასელს გაეცინა, მუხლზე ხელი დაიდო და ხაჭაპურიძეს უთხრა:
– აქ რომ ამოვდიოდი, მეც კინაღამ კისერი მოვიტეხე. მუხლი დავიზიანე.
სანამ პესკასელი ხაჭაპურიძეს ჰკითხავდა, მერაბი ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია და ქუჩაში გადაიხედა. გაგრის ცენტრალური ქუჩა ხელისგულივით მოჩანდა. მაიორმა თვალი გააყოლა ქუჩას და მზერა იმ ღია კაფეზე შეაჩერა, სადაც წინა დღით თამართან ერთად ნაყინს მიირთმევდა. უცებ გამრეკელს ის უხილავი, ბოროტი მზერა გაახსენდა, რომელიც მთელი საღამო თან სდევდა.
– რას ათვალიერებ, მერაბ? – მოესმა მაიორს პესკასელის ხმა, რომელიც მას უკან ედგა.
მერაბი შებრუნდა და მიუგო:
– შეხედე, რა ლამაზი პანორამაა!
პესკასელმა ფანჯრიდან გაიხედა და თქვა:
– მართლა რა ლამაზია. აფსუსი არაა, რომ აქ ასეთი სოროა?
– რა ქენი, დაკითხე კომენდანტი? – ჰკითხა მერაბმა კაპიტანს.
– დავკითხე და რაღაც-რაღაცეებიც გავარკვიე. მოკლედ, ასე: ეს ოთახი ვიტია ტარკილისაა. კომენდანტმა მითხრა, ბოლოს ორი დღის წინ ვნახეო. ვიცნობ მე მაგ ვიტიას, ოცი წლის ბიჭია. სამი წლის წინ დაკავებული მყავდა და პირობით გავუშვი.
– რა დააშავა?
– ბევრი არაფერი, თავისი ყოფილი სკოლის დირექტორს „მოსკვიჩი“ მოჰპარა, იკატავა და მიაგდო. მოკლედ, შემეცოდა და გადავარჩინე. მამა არ ჰყავს, დედა გაუთხოვდა. ამიტომ, სახლიდან წამოვიდა და მექანიკურში მოეწყო სამუშაოდ. ჯარში არ წაიყვანეს დედისერთობის გამო. პირობითი ექვს თვეში გაუთავდა და მასზე ცუდი სიგნალი არ შემოგვსვლია. მუშაობდა ბიჭი. ნუთუ მკვლელობა მან ჩაიდინა?
– რატომ გგონია?
– აბა, რა ვიფიქრო? კომენდანტი ამბობს, ორი დღეა, არ ჩანსო, მის ოთახში კი „ტრუპს“ ვპოულობთ.
– მოკლული რუბენ ჩოჩიანი პირწავარდნილი ბოროტმოქმედი იყო, ტარკილს მასთან რა საერთო უნდა ჰქონოდა? გამოცდილი კაცი ხარ და კარგად იცი, რომ ოცი წლის ბიჭს ძალიან გაუჭირდებოდა ასე ხლადნაკროვნად ჩოჩიანის მოკვლა.
– პრინციპში, მართალი ხარ, მაგრამ, გამორიცხულიც არაფერია. ჯერჯერობით ვიტალი ტარკილი ამ საქმეში ერთადერთი ეჭვმიტანილია და მასზე ძებნა უნდა გამოვაცხადოთ, – უთხრა პესკასელმა მერაბს.
დერეფნიდან ხმამაღალი გინების ხმა მოისმა. ოთახში პათანატომი და პროზექტურის სანიტრები შემოვიდნენ. ერთ-ერთ სანიტარს წარბი ჰქონდა გახეთქილი და სწორედ ის ბილწსიტყვაობდა.
– მორგიც მოვიდა, – თქვა კრიმინალისტმა სარიამ, წარბგახეთქილი შეათვალიერა და უთხრა: – ფართო ნახეთქი, ღრმა ჭრილობა მარჯვენა წარბის მარჯვენა მონაკვეთში. მეხუთე სართულის კიბის ბოლო საფეხურზე ფეხი დაგიცდა და დერეფნის მარჯვენა კედლის კუთხეს შეასკდი, შოპენ?
წარბგახეთქილ სანიტარს „შოპენი“ ერთი შემთხვევის გამო შეარქვეს: ერთხელ გაგრაში მანქანამ ერთი მსუქანი კაცი გაიტანა. გვამი პროზექტურაში მიიტანეს. პათანატომმა სანიტარს მისი გარეცხვა დაავალა, რომ გაკვეთისთვის მოემზადებინა. სანიტარმა ცხედარი შლანგით გარეცხა. შემდეგ მიცვალებული საპროექციო მაგიდაზე წამოაჯინა, თვითონ გვამს უკნიდან ამოეფარა, თმაში ხელი ჩაავლო, თავი აუმოძრავა და რომელიღაც კინომელოდიის სტვენა დაიწყო. ისეთი ილუზია იქმნებოდა, თითქოს მკვდარი უსტვენსო. ამ დროს პროზექტურაში პრაქტიკანტი გოგონა შემოვიდა. წამომჯდარი მკვდარი რომ დაინახა, გარეთ გავარდა და გაჰკიოდა, მიცვალებული უსტვენსო... ყველაფერი რომ გაირკვა, პათანატომმა ოხუნჯ სანიტარს უთხრა:
– ეი, შოპენ! მორგში კი არა, კონსერვატორიაში უნდა გემუშავა.
იმ დღის შემდეგ სანიტარს ყველა „შოპენს“ ეძახდა და იმ ისტორიასაც ხშირად იხსენებდნენ ხოლმე.
სარიას გაეცინა და წარბგახეთქილის კოლეგებს უთხრა:
– გაუჩერეთ სისხლდენა, თორემ, კანტორაში ორი ტრუპის წაღება მოგიწევთ. დაჯდეს მერე შოპენა და უსტვინოს და უსტვინოს მელოდიები.
სანიტრებმა შოპენა საწოლზე დააწვინეს და სისხლი მოსწმინდეს. პათანატომი გვამს ზედაპირულად ათვალიერებდა. სარია კი ფანჯარასთან მოსაუბრე მილიციელებთან მივიდა და პესკასელს უთხრა:
– ორივე ტყვიის გულა ვიპოვე, მასრებიც აქაა. ყველაფერი დავლუქე და ბალისტიკურ ექსპერტიზაზე გავუშვებ. ანაბეჭდებიც ყველგან ავიღეთ. ფოტოებს, რომ მივალ, გავამჟღ-

ავნებ და დავბეჭდავ. დათვალიერების ოქმს კი საღამოს წარმოგიდგენ. წავედი.

სარია წავიდა, პესკასელმა კი მერაბს უთხრა:

– აქ უკვე მოვრჩით, ჩვენც წავიდეთ.

მილიციელები ფრთხილად დაეშვნენ ჩაბნელებულ კიბეებზე. ქუჩაში რომ გავიდნენ, კაპიტანმა მაიორს უთხრა:

– დილიდან არაფერი მიჭამია. წამოდი, ვისადილოთ.

– სხვა დროს რომ იყოს?

– გეჩქარება სადმე?

– მაინცდამაინც არა.

– წავედით, წავედით. ერთი კარგი ადგილი ვიცი, ყოველთვის ახალი ხორცი აქვთ და საუცხოო მწვადს წვავენ. აქვეა, ძველ გაგრაში, „ყალიჩავას დუქანს" ეძახიან.

ყალიჩავას დუქანში მართლაც საუცხოო სამზარეულო ჰქონდათ და მოშიებული მილიციელები მადიანად შეუდგნენ ჭამას. მედუქნე ისიდორე ყალიჩავა ციბრუტივით ტრიალებდა და ყურადღებას არ აკლებდა სტუმრებს.

– რას დალევთ, ბატონებო, ღვინოს, არაყს თუ კონიაკს? – ჰკითხა ყალიჩავამ მილიციელებს.

– მერაბ, რას დალევ? – ჰკითხა პესკასელმა მაიორს.

– ალკოჰოლს არა, – მიუგო მერაბმა.

– მაშინ, ლუდი მოგვიტანე, – უთხრა კაპიტანმა მედუქნეს.

– რომელს ინებებთ? გვაქვს „ჟიგულიოვსკი", სოჩის „რაზლივნოი", ბოჩკებით მოიტანეს წეღან, ყინულივით ცივია.

– საყინულეში რომ გიწყვია, ოთხი ბოთლი ის მოგვიტანე ჯერ.

– ხოხ, კინაღამ დამავიწყდა, – შეიცხადა ყალიჩავამ, – ჩეხური გნებავთ, ხომ? ახლავე მოგართმევთ.

მედუქნე გაქრა, პესკასელმა კი ღიმილით უთხრა მერაბს:

– ასეთი ჩალიჩა მეორე არ დადის ამქვეყნად. გაუჩენარს გაგიჩენს. რომ მოინდომო, ჩიტის რძესაც მოგიტანს. ათი ყუთი ჩეხური ლუდი უდევს საწყობში, სოჩის „სპეცსნაბჟენიიდან" გამოუგზავნეს.

– აი, ბატონებო, მიირთვით, – ყალიჩავამ ოთხი ბოთლი დეფიციტური ჩეხური ლუდი მაგიდაზე დააწყო და იკითხა: – კიდევ რამეს ხომ არ ინებებთ?

– ჯერჯერობით არაფერს. მადლობა, ისიდორე, სხვებს მიხედე, – უთხრა პესკასელმა მოღიმარ მედუქნეს.

ლუდი რომ მოსვეს, პესკასელმა მერაბს უთხრა:

– ეს ტარკილი თავიდან არ ამომდის. იმ „კატაობის" გარდა, სხვა არაფერში გვყოლია შემჩნეული. მუშაობდა, ერთი სიტყვით, არაფერს აშავებდა. რა საერთო ჰქონდა ამ მხეცთან? ან, თუ მან მოკლა, რატომ ჩაიდინა ეს? თავსა და ბოლოს ვერ ვაბამ.

– საეჭვოა, ძალიან საეჭვო, – დაეთანხმა მერაბი პესკასელს და კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ, ბოლო მომენტში თავი შეიკავა.

– საეჭვოში რას გულისხმობ, მერაბ?

– იმას, რომ ასეთი საშიში ბოროტმოქმედი ასე ცივსისხლიანად მოკლა ტარკილმა.

– ასე ვფიქრობ, რომ პისტოლეტი ჩოჩიანის იქნებოდა. საინტერესოა, რას ამოგვიგდებს ბალისტიკა. თუ ამ იარაღით სხვა დანაშაულიცაა ჩადენილი, იქნებ ხელჩასაჭიდი რამე ვნახოთ. მოკლედ, ჯერჯერობით ბუნდოვანი სურათია.

მილიციელები დუქნიდან რომ გამოვიდნენ, საღამოს 6 საათი სრულდებოდა. ისიდორე ყალიჩავამ ღიმილით გამოაცილა ისინი და უთხრა:

– არ დაგვივიწყოთ, ბატონებო, ხშირად მობრძანდით და ისიამოვნეთ. ნახვამდის...

მანქანასთან რომ მივიდნენ, პესკასელმა საათს დახედა და თქვა:

– ექვსი ყოფილა უკვე. ჩაჯექი, მერაბ, მიგიყვან და სოხუმში გაგქანდები. სარიას უკვე ყველაფერი მზად ექნება. თანაც, საქმეც უნდა აღვძრა.

– ფეხით გავივლი. ამ ყველაფერს მონელება ხომ უნდა. სადილისთვის კი დიდი მადლობა, – უთხრა მერაბმა.

– გეკადრება? რის მადლობა! ჯერ ხომ არ მიემგზავრები თბილისში?

– ჯერ არა. ალბათ, ორი კვირა დავრჩები.

– ჰოდა, ძალიან კარგი. ამ დღეებში სტუმრად უნდა მეწვიო სოხუმში, ჩემს ცოლშვილს გაგაცნობ. შარშან დავქორწინდი და ექვსი თვის გოგონა მყავს.

– ღმერთმა გაგიზარდოს.

– მადლობა. ამ დღეებში ძია ასთამურთან შემოგივლი. ახლა კი წავედი, – პესკასელმა ხელი მაგრად ჩამოართვა მერაბს, მანქანაში ჩაჯდა და სოხუმში გაემგზავრა.

მერაბი ფეხით გაუყვა გზას, თან რუბენ ჩოჩიანის მკვლელობაზე ფიქრობდა. მაიორი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ოცი წლის ვიტალი ტარკილი რუბენ ჩოჩიანს ვერ მოკლავდა. მერაბი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ამ საქმეში ვიღაც მესამე, ჯერჯერობით უცნობი პიროვნება იყო გარეული და ბოლო მომენტში ამ ვერსიის თქმისგან შეიკავა თავი.

„მოდი, ჯერ ვნახავ, რას იზამენ ჩემი ადგილობრივი კოლეგები და ამ ვერსიას მერე შევთავაზებ", – ფიქრობდა მერაბი.

მაიორს უცებ ერთი აზრი მოუვიდა. ფოსტაში მივიდა და კოტე სოხაძეს დაურეკა. მაიორი სოხაძე რუზგენ ჩოჩიანის საქმეს იძიებდა და, მეგობრის ხმა რომ გაიგო, ჰკითხა:

– როგორ ხარ, მერაბ? სად დაიკარგე...

– კარგად ვარ, კარგად. გაგრიდან გირეკავ.

– გულაობ, ხომ, გულაობ? რა ხდება მანდ, როგორ არიან რუსი გოგონები?

– კოტე, მომისმინე ერთი წუთით, საქმეზე გირეკავ.

– გისმენ.

– კოტე, რუზგენ ჩოჩიანის საქმე კარგად გახსოვს?

– ხუთიანზე. რა იყო?

– რაღაც დეტალები მაინტერესებს.

– ცხვირწინ მიდევს და, თუ რამე ვერ გავიხსენე, ვნახავ. რა გაინტერესებს?

– საქმეში თუ ფიგურირებს ვინმე ვიტალი ტარკილი.

– არა. ზუსტად ვიცი.

– მე რომ ბოლოს დავიჭირე რუზგენ ჩოჩიანი, რა თქვა, გაგრაში ვისთან ვიმალებოდიო?

– დაგავიწყდა, მერაბ? ანჟელა ბაბაიანის სახლიდან არ გაეკიდე?

– გავეკიდე ერთია, მაგრამ, მე მაინტერესებს, ის თუ თქვა, სად ვიმალებოდიო?



– სიმართლე გითხრა, ეს არც კი მიკითხავს.

– კოტე, სად ზის ახლა ჩოჩიანი?

– აქ, ჩვენთან. პადვალში გვყავს გამომწყვდეული.

– მაშინ, ახლავე ჩადი და ასეთი რამ უთხარი: ვიტალი ტარკილმა შენი ბიძაშვილი, რუბენ ჩოჩიანი მოკლა, გაიქცა და, ხომ არ იცი, სად იქნება დამალული-თქო. ნახევარ საათში დავრეკავ.

ნახევარი საათის შემდეგ სოხაძემ მერაბს უთხრა:

– ასე მითხრა, ასეთს არ ვიცნობო.

– კარგი. ნახვამდის.

– მერაბ, მართლა მოკლეს რუბენ ჩოჩიანი?

– კი. ამ დილით იპოვეს მოკლული. კარგი, კარგი, წავედი, ნახვამდის...

მერაბს რუზგენ ჩოჩიანის რეაქცია აინტერესებდა. დიდი იმედი არ ჰქონდა, რომ პირწავარდნილი ბოროტმოქმედი მილიციასთან ითანამშრომლებდა, მაგრამ, ბიძაშვილის სიკვდილით გამწარებულს, იქნებ რამე წამოსცდენოდა.

მაიორი ფოსტიდან რომ გამოვიდა, რვა საათს გადაცილებული იყო და მაშინღა გაახსენდა, რომ თამართან უნდა შეევლო საავადმყოფოში. მან ნაბიჯს მოუჩქარა და ოცი წუთის შემდეგ უკვე თამარს ელაპარაკებოდა.

– რატომ არ მოხვედი, მერაბ? ყველანი გელოდებოდნენ... მთავარი ექიმი ნახევარი საათის წინ წავიდა, – თქვა თამარმა.

– გაუთვალისწინებელი რაღაც მოხდა და შევყოვნდი. ბოდიში გიხდი.

– სად იყავი, ჩემთან არ ითქმის?

– როგორ არ ითქმის. თითქმის მთელი დღე ნესტორ პესკასელთან ერთად გავატარე.

– პესკასელთან მთელი დღე რა გინდოდა?

– დილით სერგის საქმეზე ველაპარაკე, იქიდან კი გაგრაში წამოვედით. მკვლელობა მოხდა და მოკვლევას ვესწრებოდი, – უთხრა მერაბმა თამარს და ყალიჩავას დუქანში ყოფნის ამბავი აღარ უხსენებია.

– გაიგე, რაც გაინტერესებდა?

– ბოლომდე არა, რაღაც-რაღაცები კიდევ გასარკვევია. სხვათა შორის, თავის სახლში დამპატიჟა, სოხუმში. ასე მითხრა, ჩემს ცოლ-შვილს გაგაცნობო. შარშან დაქორწინებულა და ექვსი თვის გოგონა ყოლია.

– ვიცი, – თქვა თამარმა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# სიკვდილმისჯილი, არალეგალი ქართველი ბიზნესმენი ორთაჭალის ჯურღმულიდან მილიონ მანეთად გააქციეს



### სასიკვდილო განაჩენი

„მიესაჯოს სიკვდილით დასჯა...“ – უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის ეს საშინელი ფრაზა თავიდან არ გამოსდიოდა 40 წლის მალხაზ კოდუას და როდესაც ორთაჭალის ციხის ერთადგილიან ჯურღმულში გამოამწყვდიეს, მხოლოდ მაშინღა გააცნობიერა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო. თუმცა, ერთი შანსი მაინც რჩებოდა – შეწყალება. 1964 წლის 10 ოქტომბერს კი ეს შანსიც გაქრა. ნიკიტა ხრუშჩოვმა ის არ შეიწყალა... მართალია, სამი დღის შემდეგ თავად ხრუშჩოვიც დაამხეს, მაგრამ განაჩენი ძალაში დარჩა.

უცებ, მალხაზს გაახსენდა, თუ როგორ უთხრა 3 ოქტომბერს თავის ადვოკატ ჯემალ ნარმანიას – 18 ნოემბერს ტაშკენტში თბილისის „დინამოს“ ჩემპიონობას მივულოცავო და თვალებზე ცრემლი მოადგა. 1964 წლის 18 ნოემბერს, უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს და საბჭოთა კავშირის საფეხბურთო პირველობის გამარჯვებულის ბედი გაერკვიათ. მალხაზ კოდუა „დინამოს“ თავგადაკლული გულშემატკივარი და ერთ-ერთი არალეგალური დამფინანსებელი იყო. ლაზიშვილებთან ერთად, მასაც დიდი წვლილი მიუძღოდა სლავა მეტრეველის გადმობირებაში და თავისი შემოსავლის ლომის წილს „დინამოელებს“ აძლევდა.

1924 წელს დაბადებული მალხაზ კოდუა თამბაქოს ფაბრიკის მთავარი ტექნოლოგი იყო და მილიციამ ის განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახელმწიფო თანხების მითვისებისთვის დააპატიმრა. ბინისა და აგარაკის სამალავებიდან კოდუას 3 მილიონი მანეთის ღირებულების ძვირფასეულობა ამოუღეს. გარდა ამისა, 2 მილიონი ნაღდი ფულიც. ჯერ კიდევ 3 ოქტომბერს მალხაზი დარწმუნებული იყო, დახვრეტას მიუსჯიდნენ კი არა, გამოუშვებდნენ და ტაშკენტის მატჩისთვის თადარიგს იჭერდა. ერთ კვირაში კი ის დასახვრეტთა საკანში მოათავსეს და ერთი თვის განმავლობაში უნდა დაესაჯათ...

### „დინამო“ ჩემპიონია

1964 წლის 1 ნოემბერს, მალხაზ კოდუა დასახვრეტთა საკნიდან მოულოდნელად გაქრა. მასთან ერთად კი გაუჩინარდა მაიორი არსენ კორინთელი, რომელიც იმ ღამეს ცვლის უფროსი იყო. გამოძიებით დადგინდა, რომ სიკვდილმისჯილი კოდუა სწორედ კორინთელმა გააქცია ციხიდან და მათზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა (კორინთელი 1999 წელს მექსიკაში გარდაიცვალა და თავის მემუარებში დაწერა, რომ კოდუას გაქცევისთვის მილიონი მანეთი გადაუხადეს).

კოდუას გაქცევამ, როგორც მრავალი წლების მერე გაირკვა, პირად საუბრებში, ყველაზე მეტად გაახარა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელები – მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი... გაქცეულის ძებნას აწარმოებდა მაიორი სურენ მარტიროსიანი. ის მაღალი კლასის მაძებარი იყო და ფეხბურთიც ძალიან უყვარდა. თუმცა, ჭირის დღესავით სძულდა თბილისის „დინამო“ და მისი სახელოვანი ვარსკვლავი ფეხბურთელები.

**შევარდნაძეს მიაჩნდა, რომ კერძო, პატიოსანი ბიზნესი სოციალიზმის დროსაც კი შეიძლებოდა**

როგორც ცნობილია, 1964 წლის 18 ნოემბერს, „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. მატჩის შემდეგ, ქართველთა გამარჯვების აღსანიშნავად, გრანდიოზული ბანკეტი გაიმართა ტაშკენტში. მოზეიმეთა შორის, იყვნენ გადაცმული მილიციელებიც, ანუ, მარტიროსიანის მაძებართა ჯგუფი, თავად სურენის მეთაურობით. გამოცდილმა მაიორმა ივარაუდა, რომ ბანკეტზე, გაქცეული მალხაზ კოდუაც იქნებოდა და არც შემცდარა. მსუბუქად შენიღბული, ნასვამი მალხაზ კოდუა ტუალეტიდან გაიტაცეს მილიციელებმა და თბილისში ჩამოაფრინეს...

როგორც მოგვიანებით ამ ოპერაციის ერთ-ერთმა მონაწილემ თქვა, თურმე გატაცებულ კოდუას თვითმფრინავში რომ სვამდნენ, მას მაიორისთვის უთქვამს: „შეგედო სურენ?! „დინამო“ ჩემპიონია!“

### ლეგენდარული მატჩი

1965 წლის იანვარში, საბჭოთა კავშირის სამართალწარმოებაში უპრეცედენტო რამ მოხდა. 20 იანვარს სიკვდილმისჯილი მალხაზ კოდუა შეწყალებულ იქნა... ამ საბუთს პირადად ლეონიდ ბრეჟნევმა მოაწერა ხელი და მანვე გააუქმა ხრუშჩოვის უარი კოდუას შეწყალებაზე. ბრეჟნევს მაშინდელმა საქართველოს „ცეკას“ პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ სთხოვა კოდუას შეწყალება.

46 წლის მალხაზი 1970 წელს, დროზე ადრე გათავისუფლდა პატიმრობიდან და კოოპერაციულ წარმოებაში ჩაება. ის იმ დროისთვის ნახევრად ლეგალურ ბიზნესს აწარმოებდა და თამბაქოს დამზადებით იყო დაკავებული. კოდუა კვლავ „დინამოს“ ფანატი იყო და სწორედ ამან დააახლოვა ის მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრთან, ედუარდ შევარდნაძესთან. მილიციის შეფმა კარგად იცოდა კოდუას ნახევრად ლეგალური საქმიანობის შესახებ, მაგრამ ორი ფაქტორის გამო ხუჭავდა თვალს. პირველი – შევარდნაძეს მიაჩნდა, რომ პატიოსანი ბიზნესი სოციალიზმის დროსაც კი შესაძლებელი იყო და კერძო წარმოებას ხელს უწყობდა. მალხაზ კოდუა კი კაპიკსაც აღარ პარავდა (როგორც ადრე) სახელმწიფოს. უბრალოდ, ის ჭკვიანურად აწყობილ საწარმოს მეთაურობდა და ბევრ ფულს შოულობდა. თანაც, ბევრი ადამიანი ჰყავდა დასაქმებული. მეორე – მალხაზ კოდუა, უკვე თავის პირად, პატიოსანი შრომით მოპოვებულ ფულს უხდიდა ფეხბურთელებს და შევარდნაძეც „დინამოს“ ფანატი იყო... სწორედ ამ ორი ადამიანის ძალისხმევამ დააყენა თბილისის „დინამო“ აღორძინების გზაზე და 1976 წლის 3 სექტემბერს, პირველად ქართული ფეხბურთის ისტორიაში, საბჭოთა კავშირის თასს დაეუფლა. მოსკოვში, „დინამომ“ ერევნის „არარატი“ დაამარცხა 3:0 და მთელი საქართველო გაახარა.

მოსკოვის ლეგენდარული მატჩის შემდეგ გამართულ ბანკეტს მალხაზ კოდუა უკვე ლეგალურად ესწრებოდა და მოწინააღმდეგე გუნდის ფანს, სპიტაკის მილიციის უფროსს, სურენ მარტიროსიანს, რომელიც აგრეთვე ესწრებოდა ბანკეტს, უთხრა:

– ეს ერთი და სხვა ათასი, ჩემო სურენ. ასეთ ამბებში ხშირად შევხვედროდეთ ერთმანეთს.

***P. S.** გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, მალხაზ კოდუა უცხოეთში გაემგზავრა და ბოლოს ავსტრალიაში დასახლდა ოჯახთან ერთად. იქ მან თამბაქოს ბიზნესი ააწყო, მილიონერი გახდა და 1998 წელს, 74 წლის ასაკში ქალაქ კანბერაში გარდაიცვალა...*

**ნიკა ლაშაური**

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**
აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.
დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.
**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**

# რის გამო მოუკლა მამაკაცმა ყოფილ შეყვარებულს დედა და შვილი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ რამდენიმე დღის წინ გაავრცელა ინფორმაცია ქალაქ ახალქალაქის სოფელ გოგაშენში, 2014 წლის 10 ივლისს მომხდარი მკვლელობის შესახებ.

1983 წელს დაბადებულმა გენადი ი-ძემ ცეცხლსასროლი იარაღიდან 5 გასროლის შედეგად, სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ახალხალაქის მკვიდრს, 1965 წელს დაბადებულ მელანია ქ-შვილს და მის შვილიშვილს, 2013 წელს დაბადებულ კატერინა ნ-ძეს, რომლებიც მიყენებული ჭრილობების შედეგად საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალნენ. ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, თუმცა სამართალდამცავების მიერ ჩატარებული ოპერატიული სამძებრო სამუშაოების შედეგად, ის რამდენიმე საათში, სოფელ გოგაშენთან, ტყეში დააკავეს.

გენადი ი-ძე 2011 წელს პასუხისგებაში იყო მიცემული სსკ-ის 151-ე მუხლით, მუქარის ბრალდებით. ბრალდებული გარდაცვლილი ქალბატონის ქალიშვილს ემუქრებოდა.

ამჯერად მას ბრალი ედება დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ფაქტზე. რაც ითვალისწინებს სასჯელს სსკ-ის 109-ე მუხლით.

იმ პიროვნებებზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, რომლებიც ამ საქმეში ფიგურირებენ, სოფელ გოგაშენის დეპუტატს, ბატონ დავით თავართქილაძეს მივმართეთ. მან შემდეგი ინფორმაცია მოგვაწოდა.:

– მომხდარ დანაშაულში ბრალდებული, გენადი ი-ძე, აჭარაში, სოფელ იაკობაძეებში დაიბადა 1983 წელს. მაგრამ 1989-1990 წლებში ის მთავრობამ ახალქალაქის სოფელ გოგაშენში ჩამოასახლა, იმის გამო, რომ მისი ოჯახი სტიქიით დაზარალებულთა შორის მოხვდა.

2011 წელს მან მოიხადა სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელი, რომელიც გარდაცვლილი ქალბატონის ქალიშვილისადმი მუქარის გამო დაეკისრა.

გარდაცვლილი ქალბატონი მელანო ქ-შვილი დაიბადა 1965 წელს და ცხოვრობდა ქალაქ ახალქალაქში. მკვლელობის დღეს ის სოფელ გოგაშენში, თავისი ძმის სახლში დასასვენებლად იყო ჩასული ქალიშვილთან, სიძესთან და შვილიშვილთან ერთად. მისი ქალიშვილი – გულიკო ქ-შვილი დაქორწინებულია რამაზ ნ-ძეზე. კატერინა – ბავშვი, რომელიც ამ შემთხვევის მსხვერპლი გახდა, მათი შვილია. ბავშვი გერმანიის მოქალაქეა, რადგან იქ დაიბადა. დედამისი, გულიკო ქ-შვილი დაახლოებით ორი წელიწადია, რაც გერმანიაში ცხოვრობს, თუმცა ჯერჯერობით მოქალაქე არ არის. ბავშვის მამა, რამაზ ნ-ძე კი უკვე დიდი ხანია, რაც გერმანიაშია. ის სოფელ გოგაშენშია დაბადებული 1982 წელს. დაახლოებით მეათე კლასში იყო, როცა ოჯახთან ერთად, საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდა. ამ ზაფხულს დასასვენებლად საქართველოში ჩამოვიდნენ. იმ დღეს, როცა მკვლელობა მოხდა, ის მეუღლესთან, შვილთან და სიდედრთან ერთად გოგაშენში ისვენებდა. როგორც ზემოთ გითხარით, სიდედრის ძმის სახლში იყვნენ სტუმრად.

გარდა ამისა, ამ საქმეში მონაწილე პირების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, გავესაუბრეთ მოსახლეობას და ერთ-ერთ სანდო წყაროზე დაყრდნობით, მოვიპოვეთ შემდეგი ინფორმაცია:

„როგორც ვიცი, დამნაშავე და მოკლულის ქალიშვილი ადრე შეყვარებულები იყვნენ, მაგრამ მერე დაშორდნენ. რატომ? – მიზეზი არ ვიცი. ეს გოგო რამდენიმე წლის წინ გერმანიაში წავიდა და იქ გათხოვდა, შვილიც ეყოლა. ახლა ზაფხულში, თავის ქმართან და შვილთან ერთად, ჩამოვიდა საქართველოში და გოგაშენში დასასვენებლად იყვნენ.

იმ საღამოს, არ ვიცი, საიდან და სახლში რომ ბრუნდებოდნენ, უკვე სახლთან ახლოს ყოფილან, მეზობელს დაუძახია გულიკოსთვის. ამ ქალს შვილი ქმრისთვის მიუცია და თვითონ მეზობელთან წასულა. ქმარს კიდევ სიდედრისთვის მიუცია ბავშვი. ამ დროს, თურმე, ბრალდებული სიბნელეში ჩასაფრებული ელოდა მათ, სახლთან ახლოს. აი, ზუსტად მაშინ, როცა ბავშვი ბებიას ჰყავდა, მან რამდენჯერმე გაისროლა, ჯერ ბავშვი დაჭრა, შემდეგ კი – ბებია. როგორც თქვეს, მას მათი მოკვლა არ უნდოდა, უბრალოდ, სიბნელეში ვერ გაარკვია, ვის ესროლა. ისიც თქვეს, თითქოს მკვლელი ნასვამი იყოო".

კიდევ ერთი სანდო ინფორმატორი გვაწვდის შემდეგ ცნობას:

„ადრე ეგ ბიჭი და ბავშვის დედა შეყვარებულები იყვნენ. თუმცა, მერე რა მოხდა, არ ვიცი. ერთხელ ამ გოგომ ეს ბიჭი სახლში დაიბარა, ვითომ ტელევიზორზე რაღაცის გასწორება უნდოდა, სინამდვილეში კი ბიჭები დაახვედრა და აცემინა. შემდეგ კი კიდევ თვითონ უჩივლა – სახლში შემომეჭრა და მემუქრებოდაო. ამის გამო ეს ბიჭი დაიჭირეს. შემდეგ თვითონ სხვაზე გათხოვდა. ამბობენ, ბრალდებულმა ეს დანაშაული შურისძიების მიზნით ჩაიდინაო".

ამჟამად, ბრალდებული – გენადი ი-ძე წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. სასამართლო პროცესი ჯერჯერობით არ დანიშნულა. საქმესთან დაკავშირებით, მიმდინარეობს გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში.

***P.S. „თბილისელები" შეეცადა დაკავშირებოდა დაზარალებულისა და ბრალდებულის მხარეებს, მაგრამ მათ კომენტარისგან თავი შეიკავეს.***

**ქეთი კაპანაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

**21 ივლისი**

1613 – რუსეთში გამეფდა რომანოვების დინასტია.

1773 – რომის პაპმა კლიმენტი მეთოთხმეტემ გააუქმა იეზუიტთა ორდენი.

1789 – ბრძოლა პირამიდებთან, ნაპოლეონ ბონაპარტემ დაამარცხა მამლუქთა არმია.

1969 – ადამიანმა პირველად დადგა ფეხი მთვარეზე.

**22 ივლისი**

1456 – ბელგრადის ბრძოლაში უნგრეთის სამეფოს რეგენტმა იანოშ ჰუნიადიმ დაამარცხა ოსმალეთის სულთანი – მეჰმედ მეორე და ამით თავისი ქვეყანა დაპყრობას გადაარჩინა (1526 წლამდე).

1796 – დაარსდა ქალაქი კლივლენდი (ამერიკის შეერთებული შტატები).

1898 – სოფელ შუშენსკოეში შედგა ვლადიმირ ულიანოვისა და ნადეჟდა კრუპსკაიას ქორწილი.

**23 ივლისი**

1901 – გერმანელმა მეცნიერმა რობერტ კოხმა დაადგინა, რომ შავი ჭირის გადამტანები არიან რწყილები, რომლებიც თავის მხრივ „გადააქვთ" ვირთხებს.

1944 – მაიდანეკი გახდა პირველი საკონცენტრაციო ბანაკი, რომელიც გაათავისუფლეს ანტიფაშისტურმა ძალებმა.

1995 – მიგელ ინდურაინი მეხუთედ გახდა „ტურ დე ფრანსის" გამარჯვებული.

**24 ივლისი**

1704 – ინგლისელმა ადმირალმა ჯონ რუკმა ხელში ჩაიგდო ესპანეთის ჰიბრალტარი (დღემდე ინგლისის სამფლობელოა).

1783 – გეორგიევსკის ტრაქტატი გაფორმდა ქართლ-კახეთსა და რუსეთის იმპერიას შორის.

1911 – ამერიკელმა არქეოლოგმა ჰაირემ ბინგჰემმა პერუში აღმოაჩინა ინკების „დაკარგული ქალაქი" – მაჩუ პიქჩუ.

1956 – რუსეთში დაარსდა ფიზიკოსთა ქალაქი – დუბნა.

**25 ივლისი**

1261 – ბიზანტიის იმპერატორმა მიხეილ მერვე პალეოლოგოსმა დაიბრუნა კონსტანტინოპოლი, გაუქმდა ლათინთა იმპერია.

1909 – ფრანგმა ლუი ბლერიომ პირველმა გადაუფრინა ლა-მანშს თვითმფრინავით.

1943 – იტალიაში დაემხო მუსოლინის ფაშისტური რეჟიმი.

1946 – ატოლ ბიკინზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აafეთქა თავისი პირველი წყალბადის ბომბი.

**26 ივლისი**

1788 – ბრიტანელმა კოლონისტებმა დააარსეს ქალაქი სიდნეი (ავსტრალია).

1847 – ლიბერია გახდა პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა აფრიკის კონტინენტზე.

1908 – ამერიკის შეერთებული შტატებში დაარსდა გამოძიების ფედერალური ბიურო.

1952 – ეგვიპტეში დაემხო მონარქია – მეფე ფარუქი გადადგა.

**27 ივლისი**

1794 – თერმიდორის გადატრიალებამ პარიზში წერტილი დაუსვა იაკობინელთა დიქტატურას.

1830 – პარიზში დაიწყო, ეგრეთ წოდებული, ივლისის რევოლუცია, რამაც დაამხო ბურბონთა დინასტია.

1953 – დასრულდა კორეის ომი. კორეა შუაზე გაყოფილი დარჩა.

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. თავით დაიწყეთ მელიის ხატვა



2. მიახატეთ ყურებიც



3. დაასრულეთ თავის ხატვა



4. მიახატეთ ტანიც



5. დაასრულეთ ნახატი



6. გააფერადეთ



თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ 10 განსხვავება





## იპოვე შესაბამისი ჩრდილები



## დაეხმარე გზის გაკვლევაში



# მშიერი ძაღლები

## (იგავ-არაკი)

დამშეულმა ძაღლებმა მდინარეში საქონლის ტყავი დაინახეს. წყალში შესვლა ვერ გაბედეს და მოითათბირეს: ჯერ წყალი დავლიოთ და მდინარე ამოვაშროთ, მერე ტყავსაც იოლად მივწვდებითო. სანამ იმ ტყავს დაითრევდნენ, ძაღლებმა იმდენი წყალი სვეს, მუცლები დაუსივდათ.

შეგონება: ხშირად ბევრის იმედით კაცი იმდენს შრომობს, რომ თავს ტყუილად იტანჯავს.

## რიცხვრებუსი

, 10,   2, ,   5, , ,   , , , 5

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| რძი ნაწარმი / საკმაზი | | პატარა ქათამი | | სხეულის ნაწილი |
| | | | | |
| | | | | |

ციებ-ცხელება / ქაჯანას და
1
ხატაეთის მეფე / დუქანი ევროპაში
ფართობის საზომი




იტალიის რეგიონი ემილია (......)
რაღაც ერთთან ერთად
ოპერის მომღერალი ....ჭყონია
დათვი / უარის ნაწილაკი
თვითმფრინავის კიბე
სასმელი / ფრანგ. ავტომობილი
2
ინდონეზიის კუნძული
რუსი პოეტი (......) ცვეტაევა
ასეთია გიგლა ლექსში
პროსპერ მერიმეს (........) ფალკონე
მიწისქვეშა ჰორიზონტალური გვირაბი საბადოში / ქონებას ამოწმებს
ცოტაც და გენიაკური იქნება
ქვითინი / ჩვენი კინოქალაქი
ცეცხლის ენა / მორჩილაძე
საკომუნიკაციო საშუალება
ესკორტი
საპირისპირო ხასიათი
სანათი საშუალება
წყლის ორმა
(.......) დელონი
მგოსანი
„როგორ" დას.ქართულად
დას.ქართული შეცხადება
3
ბურატინოს მამილო
გაეროს ყოფილი „შეფი"
სახელური
ცეცხლის წყარო
ჩრდილი / მწუხრი / მეშვიდე
ტარზანის გამზრდელი მაიმუნის და ბაიკალისპირა ქალაქის
ფართობის საზომი ერთეული
არის ასეთი პატარა ჩიტი
4
მჭრელი იარაღი
ძვ.მექსიკური სერიალის ქალი
შუა სს სპარსელი პოეტი
ქალის რუსული სახელი
ლექსშია / ჩვენი მთიელი
„ბითლზის" ....სტარი
კომედიის სახეობა
ქალაქი საფრანგეთში
რამინის სატრფო
ავადმყოფობის დროებით შეჩერება
ქალაქი გერმანიაში
ქიმიური ელემენტი
5
ბრძოლის ხაზი
ელექტრონების მოძრაობა
გერმანიის მდინარე
პოლონელი კინორეჟისორი
მოღალატე
ჩუქოტკის ქალაქი
თეთრი ლაქა რქოვანაზე
წესი, ხასიათი / აფრიკის ქვეყანა
6
სარეცხის ფხვნილი / ბანქოს ქალი
ყარაჩოღელების საკრავი
სოხუმთანაა
სალექი რეზინი
კინორეჟისორი (......) ღოღობერიძე
ბერძნული ანბანის ასო
7
ძვ.ბრაზილიელი ფეხბურთელი
შუა აზიის ზღვა
გაზი ზოგადად
საზღვარზე გადასახდელი
ნორჩი, ქორფა
„გამზრდელის" (......)-ხანუმი
შემოსაზღვრული რეგიონი
უუფლებო ადამიანი / გადასახდელი
დასვენების მაცნე
შხამიანი გველი
აშშ-ს შტატი
პანტერა ანუ? / ცხენის სიტყვა
8
მთიელთა სოფელი
აზიელის აფრიკელის
ვიეტნამის დედაქალაქი
კედლის სანათი
შუა აზიის ისტ. რეგიონი
დადუმების შორისდებული
ესპანელი ფეხბურთელი / ჩვენი ქალაქი / ბევრი ხალხი
9
შექსპირის მეფე
ორლეანელი ქალწული

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 2 | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | 6 | 8 | | 1 | | 1 | | 1 | 1 | 1 | 3 | |
| | | | | 1 | | 1 | 1 | | | | 10 | | | | | | 6 | 5 | 7 | 14 | 13 | 1 | 4 | 1 | 1 | 8 | 1 | 1 | |
| | | | 1 | 2 | 1 | 6 | 2 | 1 | 6 | 13 | 2 | 6 | 3 | 10 | 10 | 9 | 7 | 2 | 2 | 3 | 4 | 11 | 3 | 3 | 9 | 1 | 5 | 1 | |
| 1 | 1 | 1 | 6 | 1 | 3 | 4 | 5 | 4 | 3 | 4 | 6 | 12 | 17 | 7 | 9 | 10 | 3 | 4 | 3 | 2 | 1 | 3 | 4 | 6 | 2 | 1 | 1 | 1 | 24 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | 3 | 2 | 8 |
| | | | 4 | 5 | 3 |
| | | | 4 | 6 | 2 |
| | | | 3 | 8 | 1 |
| | 1 | 1 | 3 | 8 | 1 |
| | 1 | 1 | 4 | 9 | 5 |
| 1 | 1 | 3 | 4 | 6 | 1 |
| 1 | 1 | 3 | 4 | 5 | 1 |
| 1 | 1 | 3 | 4 | 5 | 1 |
| 1 | 1 | 3 | 3 | 4 | 5 |
| 1 | 1 | 2 | 4 | 4 | 1 |
| 1 | 1 | 1 | 3 | 4 | 1 |
| 1 | 1 | 1 | 3 | 8 | 1 |
| | | 4 | 4 | 10 | 1 |
| | | 4 | 3 | 12 | 1 |
| | 5 | 2 | 8 | 3 | 1 |
| | | | 14 | 3 | 1 |
| | | | 9 | 3 | 1 |
| | | | 12 | 4 | 1 |
| | | | | 17 | 1 |
| | | | 6 | 7 | 1 |
| | | | 8 | 4 | 1 |
| | | | 7 | 2 | 4 |
| | | | 6 | 2 | 1 |
| | | | 4 | 2 | 1 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | 3 | 6 | | 9 | 1 | | 4 |
| 8 | 9 | | 3 | 1 | | | 5 | |
| | 5 | | 4 | | 8 | 3 | | 9 |
| 6 | 8 | 9 | | | 1 | | 7 | |
| | | 5 | 7 | | | 9 | 1 | 8 |
| 3 | 1 | | 9 | 8 | | 4 | | |
| | 6 | | 8 | | 4 | | 3 | 1 |
| 7 | 4 | 8 | | 6 | | 2 | 9 | |
| | | 1 | 5 | 2 | 7 | 8 | | 6 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 3 | | | | 5 | | 7 |
| | | 1 | | | 4 | | 3 | |
| | 4 | | 3 | | | 9 | | 6 |
| 2 | | 4 | | | 9 | | | |
| | 7 | | 4 | 3 | | 2 | | 8 |
| | 6 | | | | 1 | | 5 | |
| | 2 | | 6 | | 5 | | 8 | |
| 3 | | | 9 | | | 1 | | |
| | 1 | | 8 | | | | 7 | 4 |

**დიდი ხანია, რაც ნიკა გრიგოლია ტელეეკრანზე აღარ ჩანს. ბოლოს, პროექტ „ნიჭიერში" იხილა მაყურებელმა და მას მერე საკმაოდ დიდი დრო გავიდა. როგორც გავარკვიეთ, ის „რუსთავი 2-ის" ტელეეკრანზე სულ მალე, აგვისტოში გამოჩნდება და „ეკივოკში" ლელა მებურიშვილს შეცვლის. ეს ის გადაცემაა, რომელსაც ყველაზე მეტად ბავშვები უყურებენ და ხალისობენ, ნიკა კი სწორედ ის ადამიანია, ვინც ამ გადაცემის ფორმატში, დამეთანხმებით, თავისი მანერებითა და ვიზუალითაც, საკმაოდ კარგად ჯდება. ასეა თუ ისე, ნიკა ეკრანს უბრუნდება და მომავალში თავის მაყურებელს კიდევ ბევრ სიურპრიზს ჰპირდება.**

# როგორი პრეზიდენტია ნიკა გრიგოლია და რომელი გადაცემის წამყვანად ვიხილავთ მას სულ მალე „რუსთავი 2-ზე"

**ნიკა გრიგოლია:** დიდი ხანია, ტელევიზიით აღარ ვჩანვარ. ხშირად ქუჩაშიც მაჩერებენ და მეკითხებიან, სად დაიკარგე, ვეღარ გხედავთ, აღარ დაბრუნდები „რუსთავი 2-ში"? მე არსად წავსულვარ. აგვისტოში ტელეეკრანზე გავა „ეკივოკი", რომლის ახალი წამყვანიც მე ვარ და ანი ხშირად მიხილავთ დიდებიც და პატარებიც *(იცინის)*.

**– თქვი, არსად წავსულვარო, თუმცა, არც არსად ჩანდი.**

– ვიგულისხმე, რომ გიორგი ხაბურზანიასთან და დემნა ჯაფარიძესთან ვთანამშრომლობდი. „ნიჭიერშიც" ხომ მნახეთ, როგორ მიმყავდა ლაივი? ამჯერად „ეკივოკის" წამყვანობა შემომთავაზეს და მეც დავთანხმდი. ბავშვებიც მიყვარს, გადაცემასაც, ვფიქრობ, ვუხდები და, ვნახოთ, როგორ მოგეწონებით წამყვანის ამპლუაში. ძალიან მიყვარს ბავშვებთან ურთიერთობა, მათი მოსმენა და მათთან ერთად სისულელეების კეთება. მათაც ძალიან ვუყვარვარ და, ამ გადაცემის ფორმატშიც, ჩემი ტიპაჟის გამო, კარგად ჩავჯდები. ჩემმა შვილმა, ნიკომ რომ გაიგო, „ეკივოკი" უნდა წამეყვანა, გაუხარდა, მაგრამ, გამოაცხადა, მე პოპულარობა და ტელევიზორში გამოჩენა არ მინდაო *(იცინის)*, თუმცა, სამსახურში სიამოვნებით დამყვება და მელოდება, სანამ გადაცემას ჩავწერთ. ჭკვიანი ბავშვია და ხვდება, რომ ტელევიზიაში მამის დაღლა საკმარისია და ამიტომაც არ უნდა თვითონაც ამ სფეროში მუშაობა *(იცინის)*.

**– ამ გადაცემისთვის შენი იმიჯის ცვლილება იგეგმება?**

– მე წამყვანის ამპლუაში იმავე იმიჯით ვიქნები, როგორსაც მიცნობთ: თავისუფალი, ლაღი, ბუნებრივი, ნატურალური და არა ხელოვნური, პიჯაკში გამოწყობილი.

**– ამ კონკრეტულ გადაცემაზე არ გეკითხები, მაგრამ, თუ მომავალში, სხვა გადაცემის წაყვანას შემოგთავაზებენ, რომლის ფორმატიც მოითხოვს პიჯაკს და, ზოგადად, აკადემიური ჩაცმის სტილს, მაშინ?**

– სანამ რამეს შემომთავაზებენ, ჩემზე კარგად იციან, მე რა შემიძლია *(იცინის)*. აკადემიურად, შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილი, ვიქნები ხელოვნური და ყალბი და ეს ვის მოეწონება?! არც სხვის ქორწილში მცმია პიჯაკი და არც ჩემსაში და, ახლა ვინ მაიძულებს მის მორგებას? *(იცინის)* სხვათა შორის, სკეტჩებში, როცა სხვებს განვასახიერებდი, კი მეცვა დიდი ზომის პიჯაკი, მაგრამ იმ შემთხვევაში მე ხომ ნიკა არ ვიყავი?! *(იცინის)*.

**– ნიკა, ათასი ჭორ-მართალი დადიოდა ეკრანიდან შენი გაუჩინარების შესახებ. რეალურად რა იყო „კომედი შოუდან" წასვლის მიზეზი?**

– მართალია, მეც ბევრი ჭორი გავიგე „კომედი შოუდან" წამოსვლის მერე, მაგრამ, რეალური მიზეზი იყო ის, რომ შემცირებაში მოვყევი. მერე კი იყო რაღაც შემოთავაზება, მაგრამ აღარ მივედი. ჯერ რომ კაცს ეტყვი, შემცირებაში მოყევი და, მერე ეტყვი, ახლა მოდიო, ცოტა არასერიოზულია. არ დაგიმალავთ, ნაწყენი ვიყავი. მართალია, ერთ შენობაში ვართ, მაგრამ, არანაირ დისკომფორტს არ განვიცდი, მათ კარგ გამარჯობასაც ვეუბნები და არც ის კარგი ურთიერთობები დამვიწყებია.

**– როგორ გგონია, რა დააკლდა „კომედი შოუს" შენი წასვლის მერე?**

– უბრალოდ, „კომედი შოუს" დააკლდა ჩემი ტიპაჟი და ხუმრობები, სხვა რა უნდა დაჰკლებოდა? ისევ ხუმრობენ და ისევ სასაცილო სანახავია დადგმული სკეტჩები. ის ჩემი საქმე იყო, წლების განმავლობაში ვაკეთებდი, ბევრი ახლო მეგობარიც მყავდა და ეს ყველაფერი კი მენატრება, მაგრამ არანაირი სურვილი არ მაქვს, იქ დავბრუნდე. ხშირად მეკითხებიან, ახლა თუ უყურებ „კომედი შოუს". ამ გადაცემას კი არა, ზოგადად, ტელევიზორს არ ვუყურებ.



არც სხვის ქორწილში მცმია პიჯაკი, არც ჩემსაში და ახლა ვინ მაიძულებს მის მორგებას?!

**– მოტოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი ხარ და, სიმართლე გითხრა, რომ გავიგე, გადაცემა უნდა წაგეყვანა, ვიფიქრე, ეს ექსტრემალურ სპორტზე იქნება-მეთქი, თუმცა, შევცდი. სიმართლე მითხარი, პრეზიდენტის რანგში როგორი ხარ?**

– საქართველოს მოტოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი ვარ 2009 წლიდან და პერიოდულად ღონისძიებებს ვატარებთ როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის გარეთაც. ეს სპორტი არც ისე პოპულარულია ჩვენთან და ბევრი მიმდევარიც არ ყავს, თუმცა, ძალიან საინტერესო და აზარტულია. მოტოსპორტი ჩემი საყვარელი საქმეა და ძალიან მიყვარს მოტოციკლით სიარული. ექსტრემალური სპორტის შესახებ საქართველოში გადაცემა რომ გააკეთო, მისი მიმდევრები ჩაწერო და ინვენტარი მოიძიო, ალბათ, სამ გადაცემას „გაქაჩავ" და, მერე?! თორემ, იდეა კარგია და არც ექსტრემი და არც მონდომება გვაკლია. ბოლოს სომხეთში ვიყავით შეჯიბრებაზე და ერთი მოტო დაგვიზიანდა. ავდექი და ჩემი მოტო ვათხოვე მეგობარს. მან მეორე ადგილი აიღო, ჩვენმა მეორე მეგობარმა კი – პირველი. ასე რომ, მონდომებულებიც ვართ და მომზადებულებიც ამ მხრივ. ბიჭები ჩვენი მოტოებით კვირაში ერთი ან ორი დღით ვიპარებით და გავდივართ ისეთ ადგილებში, სადაც ქვა, ღორღი და ტალახია. დავქრივართ ამ ტყე-ღრეში და ვერთობით. სხვათა შორის, ახლა დავფიქრდი, ასეთ ადგილებში იაღლიშები არ მომსვლია, თბილისის ქუჩებში – კი ბატონო!

**– სიმართლე გითხრა, ზოგადად, ისეთ მანევრებს აკეთებენ ავტომანქანების გვერდი-გვერდ მოტოციკლის მძღოლები, თუ გამოცდილი და სტაჟიანი მძღოლი არ ხარ, გაგიჭირდება მათი გვერდის აქცევა. სულ რამდენჯერ ხარ შენი მოტოციკლეტით ავარიაში მოხვედრილი?**

– არ დაგიმალავთ და, ოთხჯერ ვარ დალეწილი მაგრად, მაგრამ, არც ერთხელ ჩემი ბრალი არ იყო. სხვისი დაუდევრობისა და დანაშაულის გამო ლავიწის ძვალიც მოვიტეხე და ხელიც. არ დამავიწყდება, მანქანა დამეჯახა და ოც მეტრზე გავფრინდი. რამდენიმე წამით ადრე მივხვდი, რომ მეჯახებოდა და ვიფიქრე, მე ჯანდაბას, ნეტავ მოტოციკლეტი გადარჩეს-მეთქი და ამ დროს ავფრინდი *(იცინის)*. ლავიწის ძვალი რომ მოვიტეხე, საწოლში გავატარე გარკვეული დრო; ხელი რომ მოვიტეხე, მაინც ვმუშაობდი და სკეტჩებში, გადაბინტული ვჩანდი. მადლობა ღმერთს, კისერი მთელი მაქვს, თორემ, ჭინკების შემოსევას ხომ ვერ გავუძლებდი?! *(იცინის)*.

**– ვერ მივხვდი, კისერი და ჭინკა ერთმანეთთან რა კავშირშია?**

– თქვენ არ იცით, რომ დროდადრო ჭინკების შემოსევებს ვუძლებ? *(იცინის)* ჩემი კისერი ჩემი შვილისთვის ყველაზე საყვარელი ადგილია. მოკლედ, ჩემს შვილს და მე მოფიქრებული გვაქვს ასეთი თამაში: კისერი არის ჭინკის დასაჯდომი; შემომაჯდება, დავრბივარ და ვეძებ სარკეს, რომ ჩავიხედო, დავინახო ჭინკა და ჩამოვაბრძანო ჩემი კისრიდან. ადრე არ იყო მისი ტარება ძნელი, ახლა კი გაიზარდა, დამძიმდა და უჭირს ჩემს პატარა კისერს ამხელა ჭინკის დიდხანს ზიდვა.

**– ვხვდები, რომ კარგი მამა ხარ, აი, ისეთი, ყველაფერს რომ უსრულებს და ათამამებს შვილს. ხომ ასეა?**

– ესეც კარგი შვილია და, მეც, შეძლებისდაგვარად, კარგი მამა ვარ. რაც შემიძლია, ყველაფერს ვუსრულებ. მკაცრი არ ვარ, მაგრამ, ყოველთვის ვუთითებ, რა არის კარგი და რა – ცუდი. არ მიყვარს, ბავშვს რომ უტყუაუნებენ, არც მე გავუზრდივარ ასე ჩემს მშობლებს და არც მე შემიძლია შვილის ცემა. რაც არ უნდა დამეშავებინა, არ მახსოვს, მამაჩემს ჩემთვის დაერტყა, არც მე გავიმეტებ შვილს და არ დავარტყამ. თუმცა, თუ რამდენჯერმე მივეცი შენიშვნა, მაგრამ, არ დამიჯერა და იგივე გაიმეორა, დავუყვირებ. მოკლედ, შეიძლება ითქვას, კარგი, „სუპერ" მამა ვარ და, ვცდილობ, მსოფლიოში ყველაზე მაგარი მამა ვიყო. ყველაზე მეტად ვაფასებ ჩემს თავისუფალ დროს. დღეს მეტი დრო მრჩება იმისთვის, რომ, რაც მინდა ის ვაკეთო: სამსახურს დავუთმო ცოტა დრო და დანარჩენ ცხოვრებას კი – მეტი. ჩემს დაკისრებულ საქმეს კარგად შევასრულებ, მაგრამ ამას მინიმალურ დროს მოვანდომებ. ყველაზე დიდი ბედნიერებაა ჩემს შვილთან ერთად ყოფნა, თამაში, გართობა, სეირნობა და დღეს, ამას ვახერხებ. მე სიცოცხლე მიყვარს და დღეს მეტ დროს სიცოცხლის სიყვარულს ვუთმობ.

**ნონა დათეშიძე**

# ქართველი მოფარიკავეები იტალიიდან გამარჯვებულები დაბრუნდნენ

*ცოტა ხნის წინ იტალიის ქალაქ რაიანოში ჩატარდა მსოფლიოს თასის გათამაშება 1998 და 2000-2001 წლებში დაბადებულ მოფარიკავეთა შორის. საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ტიციან ტაბიძის სახელობის 43-ე საჯარო სკოლასთან არსებული, მსოფლიოს ჩემპიონის, ნიკოლოზ ანდრიაძის კლუბის შეგირდები: ანა აფრასიძე, მარიამ აფციაური, ნიკა შენგელია და ოთარ გიორგაძე, რომელთა მწვრთნელია ქალბატონი ქეთევან ერემეიშვილი.*



**ქეთევან ერემეიშვილი**: მეორე წელია, მონაწილეობას ვიღებთ ამ ჩემპიონატში. წელს გოგონებმა მესამე ადგილი აიღეს პირადში – ალჟირელებთან დამარცხდნენ, მაგრამ, მერე რევანში აიღეს გუნდურ შეჯიბრებაში, ჩემპიონები გახდნენ და გამარჯვებულები დაბრუნდნენ საქართველოში. რაც შეეხება ბიჭებს, გუნდურ პირველობაში მეორე ადგილზე გავიდნენ – იტალიელებთან 44:45 დათმეს. სამაგიეროდ, ნიკა გაემგზავრება ნანძინში ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და საამაყოა. ჩემი ოცნებაა, ნიკა სამეულში მოხვდეს. ასე რომ, წლევანდელი წელი ჩვენთვის კიდევ უფრო წარმატებული იყო.

**მარიამ აფციაური**: ყველაფერი ჩემი მწვრთნელის, ქეთევან ერემეიშვილის დამსახურებაა – ასე კარგად რომ არ გვავარჯიშებდეს, ნამდვილად ვერ მივაღწევდით წარმატებას. სანამ იტალიაში წავიდოდი, იმაზე ვფიქრობდი, ჩემი მასწავლებელი როგორ გამეხარებინა. შეჯიბრების წინა ღამეს ლოცვაში ჩამეძინა – კარგი შედეგი ვაჩვენო-მეთქი. ბრძოლის წინაც სულ მასწვლებელზე ვფიქრობდი და ძალიან გამიხარდა გამარჯვება.

**ანა აფრასიძე**: შეჯიბრებაში რვა გუნდი მონაწილეობდა, აქედან სამი – იტალიის გუნდი იყო, ორი დავარმაცხეთ და შემდეგ ფინალში ალჟირელებსაც მოვუგეთ. რაც პირადში ვერ გავაკეთეთ, ის გუნდურში მოვახერხეთ – ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**მოამზადა ნათია უტიაშვილმა**

(38-ე გვერდიდან)

სწორედ ამ საქმის ნათელი წერტილი და კვანძის გახსნა ხომ არ არის?!

**– არადა, ეს დეტალი საკმაოდ საინტერესო და ხელმოსაჭიდი უნდა ყოფილიყო გამოძიებისთვის.**

– ჯერ ერთი, ეს ფაქტი „ვინმეს“ მიერ სპეციალურად, იძულებით გაკეთებულს ხომ არ ჰგავს, რომ ყველაფერი წინასწარ განზრახულ თვითმკვლელობას დამსგავსებოდა?! და, მეორეც, იქნებ, სულ სხვამ მოიტანა ისინი, რაც ძარცვის უარყოფას და იქ მქოფთა (უფრო აკაკის) გაფრთხილებას ნიშნავდა?!

ძალიან საინტერესო დეტალს შეიცავს აკაკის ერთი ლექსი „საქართველოს დღევანდელი სახე“. მის ერთ-ერთ ავტოგრაფულ ვარიანტში ორი ასეთი სტროფაა:

„აქაც მოვცდი, ვერც იქ მივწვდი,
გავხიდურდი ორთა შუა,
და საყეფად ძალლებს დარჩა
ჩემი გრძნობა!... ჩემი ჭკუა!...
რაღა მეთქმის, მადლობა ღმერთს,
უნდა ყველა ავიტანო,
რომ მეც ისე არ დამლეჭონ,
როგორც დიმიტრი და ვანო“.

ამ სიტყვებს კომენტარიც კი არ სჭირდება, მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავ, რომ, ერთი შეხედვით, ლექსის თითქოს უმნიშვნელო დეტალი ხსნის ვანო მაჩაბლის გაქრობის მთელ საიდუმლოს. ბოლო ორი ფრაზით გასაგები ხდება აკაკის დამოკიდებულება მაჩაბლის გაუჩინარების ფაქტთან. პოეტი დიმიტრი ყიფიანის გვერდით აყენებს ვანო მაჩაბელს, რაც იმას მოწმობს, რომ იგი სამშობლოს მსხვერპლად, ზვარაკადაა გამოცხადებული. პარალელი დიმიტრი ყიფიანთან სწორედ ამას ნიშნავს.

გარდა ამისა, არსებობს გურამ შარაძის ვერსია და ამ ბოლო დროს თავი იჩინა კიდევ ერთმა ვერსიამ (პიესის სახით) როსტომ ჩხეიძის წიგნში „26 ივნისის საიდუმლო“ (თბ., 2011, „ჩვენი მწერლობა“).

**– რა ვერსიას გვთავაზობს ვანო მაჩაბლის გაუჩინარებასთან დაკავშირებით როსტომ ჩხეიძე?**

# რამდენი ხანი გავიდა ივანე მაჩაბლის გაუჩინარებიდან და რომელი ვერსიაა სარწმუნო

– ბატონი როსტომის წიგნის შესავალში ერთობ გონივრული ფრაზაა: „ვისაც ნებავს, მარტოდენ მხატვრულ სიმართლედ იწამოს, ვისაც ნებავს – ისტორიულ სიმართლედაც“. ამ ვერსიის მიხედვით, ვანო მაჩაბელი უნებლიე მსხვერპლი გამხდარა ღამით ტასო ბაგრატიონ-მაჩაბელთან მოსული ოფიცრისა... ეს ვერსია, როგორც ბატონი როსტომი აღნიშნავს, ოთარ ჩხეიძესა და ვახტანგ ჭელიძეს მოუსმენიათ შალვა დადიანის, თედო სახოკიასა და გერონტი ქიქოძისგან. ამ ფაქტის მხილველები კი ყოფილან აკაკი წერეთელი და სოსიკო მერკვილაძე. შემდეგ ეს გაუგია ილიას, მაგრამ, ყველაფერი იმიტომ დამალულა, რომ გადაერჩინათ ტასო მაჩაბლის იმიჯი, რომელიც, გამჟღავნების შემთხვევაში, თავის მოკვლით იმუქრებოდა.

**– თუ ასეა, გვამი სად გაქრა?**

– ბატონი როსტომის თხზულების მიხედვით, გვამი სოსიკო მერკვილაძეს თბილისის ცენტრში მდებარე საკირეში დაუწვავს.

ვანო მაჩაბლის გაუჩინარების ყველა ვერსიას, სანამ არ მიკვლეულა ჭეშმარიტება, აქვს არსებობის უფლება, თუმცა, ბევრი მათგანი ურთიერთგამომრიცხავია. მაგალითად, ამ შემთხვევაში, მე, როგორც ჩვეულებრივ მკითხველს, ან, თუნდაც მკვლევარს, მსურს აღნიშნული ვერსიის დაჯერება, მაგრამ, ამაში ხელს მიშლის შემდეგი ფაქტები: ანასტასია ბაგრატიონ-მაჩაბელი კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში, ის ცნობილი იყო თავისი კდემამოსილებითა და მედიდურობით. ტასო თავდავიწყებით იყო შეყვარებული მეუღლეზე და ასეთად დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. იგი სათუთად უფრთხილდებოდა თავისი ღირსეული ქმრის ხსოვნას, საკუთარ ავტორიტეტს, შვილების მომავალს... მემუარული მასალა და კერძო მიმოწერა ამას ადასტურებს. აი, ნაწყვეტი ტასოს წერილებიდან: „ბანკის ყრილობა იყო... წარმოიდგინეთ, რომ მხოლოდ ეხლა გაიგეს ვანოს სიმართლე – სულ, რასაც საცოდავი ვანო ამბობდა, რაზეც ცალკე აზრი ჰქონდა, ეხლა იმას ადგიან და ამბობენ, რომ ის მართალი იყოვო“...

„ვანოს შრომა და იმის კარგი (კაცობა) ეხლა უფრო გამოჩნდა. იმან ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ ეხლა იმის სახლობას ესე ხელს უწყობენ...“

„ასე, რომ ეხლა გაიყვანეს ის, რაც ვანოს პროექტი იყო. ის კი ველარ მოესწრო საცოდავი“.

„ზოგი ამბობს, ისეა ავად, როგორც ჩემი ვანო იყო“.

„ვანო ხომ ნაკლები არ იყო, ნაკლები კი არა, იმაზე დიდათ მაღლა იდგა, რითაც გნებავთ...“

„გადამიტანა ფიქრებმა... ღმერთო, როგორ ავიტანე იმისთანა კაცის დაკარგვა... თამამად ვუყურებ ყველას თვალებში, ზურგში გავსწორდი, იმიტომ რომ იმაზე ეხლა ცუდს არ იტყვიან, იმის სახელი დარჩა ჩირქმოუცხებელიო. ჩემზე კი, რაც ენებოთ, ილაპარაკონ. ღმერთი ხომ მოწმეა, რომ მე იმასთან დანაშაული არ მიმიძღვის.“

შეუძლებელია ერთ სტატიაში ყველა დოკუმენტის დაფიქსირება. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ, არ შეიძლება, მტყუან ადამიანს ფრაზაში არ გაეპაროს პატარა დეტონაცია მაინც, განსაკუთრებით იმ ადამიანთან საუბრისას, ვინც იცის მისი დანაშაულის შესახებ. ამ წერილებში კი მხოლოდ გულწრფელობა გამოსჭვივის.

ასე რომ, ვანოს გაუჩინარებიდან საუკუნეზე ბევრად მეტი გავიდა, ინტერესი კი ამ ფაქტისადმი კიდევ არ განელებულა. ჯერჯერობით საზოგადოებამ უნდა მიიღოს არსებული ვერსიები და ის დაიჯეროს, საითაც უფრო იხრება მისი მოსაზრება.

**ეკა სალაღაია**

**ალბათ, თითოეული თქვენგანი შეხვედრია თბილისის (და არა მარტო) ქუჩებში ახალგაზრდებს, რომლებიც მეტად ორიგინალური და მრავალრიცხოვანი სამკაულით (საყურე, პირსინგი და სხვა), შავი ფერის სამოსით, განსხვავებული მაკიაჟით, უცნაური, ფერადი ვარცხნილობითა და კიდევ სხვა მრავალ მიზეზთა გამო, იქცევენ თქვენს ყურადღებას.**

**ისინი გარკვეული სუბკულტურის წარმომადგენლები არიან. ასეთი მიმდინარეობების საკმაოდ მრავალფეროვანი სპექტრი გვაქვს, თუმცა ამჯერად თქვენს ყურადღებას, ეგრეთ წოდებულ, გოთებზე შევაჩერებ.**

**გოთიკობა ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ინგლისში – გოთიკური როკი სცენაზე, როგორც პანკ-როკის განშტოება. გოთიკური მიმდინარეობა გავრცელდა ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მუსიკაში და იქცა ცხოვრების სტილად ადამიანთა გარკვეული წრისთვის.**

**როდის შემოვიდა ეს სუბკულტურა საქართველოში, როგორი არის მათი ფილოსოფია და საერთოდ, რას წარმოადგენენ ქართველი გოთები, ამის გასაგებად გთავაზობთ ინტერვიუს მათ ერთ-ერთ წარმომადგენელთან – Mao black-თან.**

# რას წარმოადგენენ ქართველი გოთები და რის გამო ირჩევენ ისინი ამ გზას

**– როდის შემოვიდა გოთიკობა საქართველოში და რა იყო ამის განმაპირობებელი?**

– გოთიკობა საქართველოში, შეიძლება ითქვას, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იჩენს თავს. თუმცა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, მენტალური და საერთოდ, იმ ყველაფრის გამო, რაც ქვეყანაში სუფევდა, ხელს უშლიდა და ავიწროებდა Gothic – სუბკულტურის მიმდევრებს. თუ როგორ და რატომ გამოჩნდნენ გოთები საქართველოში, ეგ ცოტა რთული დასადგენია. სულის სიმშვიდეს ყველა სხვადასხვა რამეში ჰპოვებს. ჩვენთვის მაგის გარანტი გოთიკაა. ვფიქრობ, 90-იანებშიც, უბრალოდ, საკუთარი თავი იპოვეს მასში.

**– რა იციან საქართვლეოში ამ სუბკულტურის შესახებ და თქვენი აზრით, რა უნდა იცოდნენ?**

– უპირველესად, არ შემიძლია, არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ სუბკულტურას ბევრი მხოლოდ იმიჯის გამო მისდევს. მისი არსი კი საერთოდ არ გაეგებათ. საქართველოში მრავალი მცდარი ინფორმაციაა გავრცელებული. ხალხმა ან იცის არასწორად, ან საერთოდ არ იცის მის შესახებ. მინდა, რამდენადაც შევძლებ, გავაგებინო, რომ გოთიკა, ეს სულაც არ არის „კატის გამჭყლეტელთა სექტა“ და სატანაც არანაირ კავშირში არ არის ჩვენთან, როგორც ეს ხალხს ჰგონია. კარგი იქნებოდა, ოდნავ მაინც გაერკვეოდნენ. მაგრამ, იცი, რა? რამდენიც არ უნდა აუხსნა საზოგადოებას, დამოკიდებულება და რეაქცია მაინც იგივეა.



**არა მარტო ოჯახი, ყველა გარშემო მყოფი ადვილად შემეგუა. იყო თავიდან წინააღმდეგობა, მაგრამ ამის გამო წივილი არ დამიწყია**

**– რით განსხვავდება გოთიკა სხვა სუბკულტურებისგან?**

– გოთიკა ყველა, სხვა სუბკულტურის რადიკალია. მისი ფილოსოფია, მსოფლმხედველობა სრულიად განსხვავებულია სხვებისგან. არსებული სუბკულტურების სათითაოდ განხილვაა საჭირო, რომ იგრძნოთ სხვაობა გოთიკასა და დანარჩენ მიმდევრობებს შორის... არაერთი რეჟისორის შთაგონება ყოფილა გოთური ცხოვრება და არაერთი სიმღერა დაწერილა მათ ინდივიდუალურობაზე. საფრანგეთის საკეთედრო ტაძართა უმრავლესობაც გოთიკური არქიტექტურისაა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გოთიკა, ეს მხოლოდ creepy იმიჯი სულაც არ არის.

**– როგორია ეკლესიის დამოკიდებულება თქვენდამი?**

– ზოგადად, ეკლესიის დამოკიდებულება ჩემთვის არც ისე ცნობილია, რადგან სასულიერო პირების განწყობა უარყოფითი არასდროს ყოფილა ჩემს პრაქტიკაში. გადაცემებში ვნახე, როგორ საუბრობდა სასულიერო პირი სუბკულტურაზე. მანაც თქვა, რომ ამაში საგანგაშო არაფერია, უბრალოდ, საჭიროებს ცოდნას, თორემ მოზარდმაც თუ არასწორად გაიგო ამ სუბკულტურაზე, საზიანო იქნება მისთვის. სხვა გადმოცემებით არაფერი მსმენია. რატომღაც არ დავინტერესებულვარ.

**– რა გიზიდავთ ამ მიმდინარეობაში? ხომ არ არის ეს ერთგვარი პროტესტი საზოგადოებისადმი?**

– მასში მხოლოდ ერთი ან ორი კრიტერიუმი არ გიზიდავს. როგორ შეიძლება, ნახევარი სული გქონდეს. გოთიკა ერთ მთლიანობაში მიზიდავს და ეს პროტესტი ნამდვილად არ არის. მე უბრალოდ ვარ „ჩემს ნაჭუჭში“. ვიპოვე ჩემი თავი და ამას არ ვმალავ. თუმცა, ეს ხალხის ნერვებზე თამაშისკენ ნამდვილად არ არის მიმართული. უბრალოდ, პროტესტის გრძნობა უნებურად ილვიძებს და ეს ისევ და ისევ საზოგადოების არასწორი ქმედების გამო.

**– საზოგადოების ნაწილი გოთებისადმი უარყოფითად არის განწყობილი, გამოხატავენ თუ არა ამას ღიად და როგორ პასუხობთ თქვენ ამ დროს?**

– შენ წარმოიდგინე, „კაი ბიჭებმა“ წელს განიზრახეს შეკრება, და ჩვენი დევნა სისტემატურად *(იცინის)*. დევნა ეს, რბილად რომ ვთქვა, მაგრამ, რადგან დღემდე ცოცხალი ვარ, ჩაუვარდათ გეგმები *(იცინის)*.

ბევრი უტიფრად სოციალურ კითხვებს სვამს, რასაც არ ვიმჩნევ. ბევრი კი ზურგსუკან ბილწსიტყვაობს. არ ვამახვილებ ყურადღებას. ცოდვაში ხომ ისინი იგდებენ თავს ამ ყველაფრით.

**– ხშირად გადანაშაულებენ უარყოფით მოვლენათა პროპაგანდაში, როგორიცაა მოწოდება მარტოსულობისკენ, დეპრესიულობისა და სუიციდის მცდელობისკენ. უარყოფთ თუ არა ამ ბრალდებას?**

– სულ მეცინება მაგაზე. დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ არავის არაფრისკენ მოვუწოდებთ. ძალით გოთები ისედაც ყრია. სულაც არ მინდა, უბრალო გავლენებით კიდევ რამდენიმე დაემატოს მათ რიცხვს. ყველამ თავისი გზა თავად იპოვოს. რაც შეეხება დეპრესიას, ეს ნებისმიერს ემართება და ყველაზე ნაკლებად მე. სუიციდი? ეგ გოთებისგან შორს არის.

**– ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი ვიზუალური სტილით ან ცხოვრებისეული შეხედულებებით ობიექტურად იწვევთ საზოგადოების გაღიზიანებას?**

– გაღიზიანებას იწვევს. ზემოთაც აღვნიშნე, რომ ეგ მხოლოდ ხალხის უცოდინრობის გამოა.

**– ამბობენ, რომ გოთების იდეოლოგია და ცხოვრებისეული ფილოსოფია რთული ასახსნელია. შეგიძლიათ, მოკლედ ჩამომიყალიბოთ, რა არის გოთობა, თქვენი მთავარი მიზანი.**

– გოთი ადამიანია, მხოლოდ განსხვავებული მისწრაფებებით. მიზანი არ არსებობს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხასიათს, ესთეტიკას. მე ვიტყოდი, რომ გოთი ყველაზე ჩამოყალიბებული პიროვნებაა თავისი ხედვით.

**– არსებობენ ვამპირი გოთებიც, რომლებიც ადამიანების სისხლს სვამენ? რამდენად მისაღებია ისინი თქვენთვის და არსებობენ თუ არა ქართულ რეალობაში?**

– ქართულ რეალობაში საზრდოობისთვის სისხლი არავის სჭირდება. ბრიტანეთის ერთ-ერთი „ქალი ვამპირი“, რომელსაც ჰყავს მეუღლეც და ქალიშვილიც, გოთი სულაც არაა. ვამპირული სინდრომის ადამიანს გოთის იარლიყი არ უნდა მივაკეროთ. მე არც მომხრე ვარ მათი, არც ვეწინააღმდეგები. თუ ამით არავის უფლებას არ არღვევენ, გაიხარონ თავისუფლებით.

**– 22 მაისს თბილისში, ბოტანიკურ ბაღში გოთების საერთაშორისო დღე აღინიშნა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მისი მიმდევარი საქართველოში ბევრია?**

– ეს ნიშნავს, რომ გვეშველა *(იცინის)*. ბევრი არ გვყავს ნამდვილი მიმდევარი. გამიხარდებოდა, რომ რაოდენობრივად მეტნი ვიყოთ, მაგრამ ბევრ არასწორ გოთს, ისევ ერთი მირჩევნია. მე არ დავსწრებივარ ამ ღონისძიებას. თბილისში არ ვიყავი. წელს პირველად გაიმართა და იმდენად ცნობილი ფაქტი არ ყოფილა. ყველაფერი წინ არის.

**– ამ სუბკულტურის პოპულარიზებას ხელოვნების საკმაოდ ბევრი წარმომადგენელი ეწევა. ხომ არ იყო თქვენი არჩევანი ვინმეს გავლენის ან მიბაძვის შედეგი?**

– მიბაძვა არა, ვერც გავლენას დავარქმევდი. ყველა ოდესღაც იწყებს საიდანღაც. რამდენიმე წიგნმა ითამაშა დიდი როლი ჩემს დაინტერესებაში და როცა ჩავუღრმავდი, მივხვდი, რომ სწორედ აქამდე უნდა მოვსულიყავი ადრე თუ გვიან.

**– თინეიჯერების პერიოდი ბევრ რადიკალურ გადაწყვეტილებასთან ასოცირდება. თქვენი არჩევანიც ასაკმა ხომ არ განაპირობა?**

– ბევრი მიმეორებს, რომ ასაკის ბრალია და გადამივლის. პააა... არანაირად. მესმის ის ფაქტი, რომ თუ არსებობა გინდა, გჭირდება ფინანსები. ხომ შეიძლება, შესამჩნევი არ იყო ვიზუალის მხრივ, მაგრამ, რა შემიცვლის აზროვნებას? – ვერაფერი.

**– როგორ შეხვდა ოჯახი თქვენს არჩევანს?**

– არა მარტო ოჯახი, ყველა გარშემო მყოფი ადვილად შემეგუა. იყო თავიდან წინააღმდეგობა, მაგრამ ამის გამო წივილი არ დამიწყია. მე დავუჯექი და ავუხსენი მათ ყველაფერი. გავარკვიე და დღეს უკვე აღარ ფიქრობენ, რომ გოთიკა ცუდია.

**– გიქმნით თუ არა თქვენი არჩევანი დისკომფორტს პირად ცხოვრებაში ან პროფესიულ წინსვლაში. ანუ, ხომ არ ითვალისწინებს გოთიკობა გარკვეულ შეზღუდვებს?**

– პირადში არ მექმნება პრობლემები. სასწავლებელში არ ვიზღუდები, თუმცა, მაინც არის ზღვარი ისევე, როგორც სხვა ადამიანებს აქვთ რაიმე კონკრეტულ ადგილებში. ლაშქრობაზე ხომ ვერ წახვალ საღამოს კაბით?! *(იცინის)*.

**– როგორ ფიქრობთ, ბოლომდე ამ პრინციპის ერთგული დარჩებით, თუ ცხოვრებაში სხვა ინტერესებიც გაგაჩნიათ?**

– დარწმუნებული ვარ, რომ ბოლომდე ის ვიქნები, რაც ახლა ვარ. ინტერესები... გააჩნია, შეიძლება, ვიღაცას ვერ წარმოედგინოს, რომ მე მიყვარს სპორტული აქტივობები, მაგრამ მომწონს *(იცინის)*.

**ქეთი კაპანაძე**

**ცნობილი გამონათქვამია: კახელი ამბობს, თუ ჩაკრულოზე არ დაგბურძგლა, ქართველი არ ხარო... ჩემი აზრით, ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას შავფაროსნების გამოსვლებზეც... შავფაროსნებს წარდგენა აღარ სჭირდებათ. მათ ხელოვნებას უკვე, მთელი საქართველო იცნობს და არა მხოლოდ საქართველო.**

**„შავფაროსანთა" ფედერაციის წევრია ნიკა მურმანიშვილისა და ანი ცინცაძის ოჯახური წყვილი. მათი ოჯახური ისტორიაც სწორედ შავფაროსანთა ხელოვნების სიყვარულიდან იღებს სათავეს – მათ სწორედ ამის წყალობით იპოვეს ერთმანეთი. დღეს გიამბობთ, თუ რა ადგილი უჭირავს ამ ოჯახური წყვილის ცხოვრებაში „შავფაროსნებს" და როგორი ემოციებით დატოვეს მათ იტალია და ცოტა ხნის წინ – ირლანდია.**

# როგორია ანი ცინცაძისა და ნიკა მურმანიშვილის მშვილდიდან ისრის გასროლით დაწყებული სიყვარულის ისტორია

**– ნიკა, როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში მიამბო ანიმ, შეიძლება, დავასკვნა, რომ თქვენი „ოჯახის შექმნის ისტორიაში" შავფაროსანთა ხელოვნებას მართლაც დიდი წვლილი მიუძღვის. ასეა?**

**ნიკა**: მართლაც ასეა. რომ არა ჩვენი საქმიანობა, ერთმანეთთან შეხვედრის შანსი ნაკლები იქნებოდა, მაგრამ, შემთხვევით არაფერი ხდება და ეს ამბავიც ასე მოხდა.

**– პირველი შეხვედრა გახსოვთ?**

– ჩვენი პირველი შეხვედრა ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოხდა და მაშინვე მიიქცია ანიმ ჩემი ყურადღება. მეორედ უკვე თელავში შევხვდით ერთმანეთს, სადაც პირველად გავისაუბრეთ. ორივე შემთხვევაში, „მოძრაობის თეატრი," სადაც ანი მოღვაწეობს და შავფაროსნები, ერთობლივ ღონისძიებას ვმართავდით.

**ანი**: თელავში ერთ-ერთი შავფაროსანი მშვილდიდან ისრის სროლას მასწავლიდა. ამ დროს მოვიდა ნიკოლოზი და სთხოვა, მე ვასწავლიო. შეიძლება ითქვას, ჩვენი სიყვარული ისრის ერთი გასროლით დაიწყო.

**– ამ, ამურის ისრის სტყორცნის შემდეგ, ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება მალევე მიიღეთ?**

– არა, ძალიან დიდხანს ვფიქრობდი. ოთხი წელი გავიდა, სანამ დავქორწინდით ამ დროის განმავლობაში ხშირად ვკამათობდით და ვრიგდებოდით. ყველა გვგულშემატკივრობდა, ზოგს აღარც სჯეროდა, რომ ერთად ვიქნებოდით, მაგრამ, სიყვარულმა გაიმარჯვა *(იცინის)*.

**– როგორი ქორწილი გქონდათ, ისეთივე ტრადიციული, როგორიც თქვენი საბრძოლო ხელოვნებაა?**

**ნიკა**: რა თქმა უნდა, ტრადიციას არ ვუღალატეთ და ხელმწიფის დღეც განსაკუთრებული ავარჩიეთ: რაბათის ციხეზე „მოძრაობის თეატრი" და შავფაროსნები ერთობლივ ღონისძიებას ვმართავდით, სადაც ყველანი ძველ სამოსში, იარაღასხმულები ვიყავით. ღონისძიების დასრულების შემდეგ თეთრ კაბაში გამოწყობილ ანის თაიგულით ხელში მოაცილებდა მისი ძმა. შავფაროსნებიც და „მოძრაობის თეატრის" წევრებიც დიდი სიხარულით შევხვდით ამ მომენტს. ლამაზი და დასამახსოვრებელი წუთები იყო ნამდვილად.

**– როგორც ვიცი, ახლახან დაბრუნდით ირლანდიიდან. რა ემოციები ჰქონდათ ირლანდიელებს ქართული საბრძოლო ხელოვნების ხილვის შემდეგ, რა კომენტარებს აკეთებდნენ? ყველაფერი მაინტერესებს.**

– ჩვენს წარმოდგენებს და, ზოგადად, ქართული კულტურის წარდგენას ირლანდიაში დიდი რეზონანსი მოჰყვა. მოგეხსენებათ, ჩვენ მონაწილეობას ვიღებდით დუბლინის ერთ-ერთ სახალხო „ფესტივალში," რომელსაც „გემების ფესტივალით" მოიხსენიებენ. ჩვენს გარდა საქართველოს წარმოადგენდნენ ანსამბლები – „რუსთავი" და „სუხიშვილები;" ასევე, პარალელურად იმართებოდა ქართული რეწვის ნიმუშების, ქართული ტრადიციული ღვინისა და ყველის ნაირსახეობების გამოფენები, რამაც დიდი მოწონება და გაკვირვება გამოიწვია ირლანდიელებში. პირადად მე, არ ვიცოდი, რომ ქართველებს ორმოცდაათზე მეტი სახეობის ყველი გვაქვს, ამას გაფრთხილება და მეტი პოპულარიზაცია სჭირდება. ასევე, მღეროდნენ და ცეკვავდნენ იქ დაბადებული ქართველი ბავშვები; ინგლისიდან ჩამოსული იყო ანსამბლი, რომელიც ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებდა. რაც შეეხება ჩვენს გამოსვლებს, პირველი დღე მეცხრამეტე საუკუნის ფრეგატზე გვქონდა, სადაც, სიმბოლურად, „ოქროს საწმისის" მცველები ვიყავით და მოსულ საზოგადოებას ჩვენს საბრძოლო კულტურას ვაცნობდით. მეორე დღეს გადავინაცვლეთ სცენაზე და სპეციალურად ამ ფესტივალისთვის მომზადებული წარმოდგენა ვაჩვენეთ, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა და ადგილობრივი დაცვის სამსახური ცოტა შეშინდა კიდეც *(იცინის)*. ცალკე უნდა აღვნიშნო ქართველი ემიგრანტები, რომლებმაც დიდი სითბო და სიყვარული გამოამჟღავნეს.



**ანი: „ძალიან დიდხანს ვფიქრობდი. ოთხი წელი გავიდა, სანამ დავქორწინდით. ამ დროის განმავლობაში ხშირად ვკამათობდით და ვრიგდებოდით. ყველა გვგულშემატკივრობდა, ზოგს აღარც სჯეროდა, რომ ერთად ვიქნებოდით, მაგრამ, სიყვარულმა გაიმარჯვა"**

**– იტალიაში მოგზაურობის შესახებაც იმავე კითხვებს გისვამთ.**

**ანი**: იტალიაში ვიყავით რომის დაარსებისადმი მიძღვნილ ფესტივალზე, სადაც ის ქვეყნები იყვნენ მიწვეულნი, რომლებსაც ისტორიული შეხება ჰქონდათ რომის იმპერიასთან. მოეწყო მსვლელობა რომის ისტორიულ უბანში, დასკვნითი სანახაობა კი „ცირკო მასიმოსთან" ჩატარდა, სადაც იმართებოდა ისტორიული რბოლები და შერკინებები. ჩვენი გამოსვლები მქუხარე ტაშით დააჯილოვა ათასობით მაყურებელმა; გარდა ამისა, ჩვენით დაინტერესდა ადგილობრივი ტელევიზია. ისევე, როგორც ირლანდიაში, განსაკუთრებული ემოცია მოდიოდა ქართველი ემიგრანტებისგან – ეს დღე მათთვის პატარა საქართველოს ზეიმი იყო.

**– სხვაგან თუ ყოფილხართ, როგორც შავფაროსნები?**

**ნიკა**: მე და ანი ერთობლივად არა, მაგრამ, სანამ ანის გავიცნობდი „შავფაროსნებს" ჰქონდა პროექტები გერმანიაში, თურქეთში, პოლონეთში, სადაც ჩვენი საბრძოლო კულტურა წარვადგინეთ. ასევე, ყოველწლიურად ვმონაწილეობთ ჩვენს სახალხო ფესტივალ „არტგენში," რომლის წყალობითაც მთელი საქართველო გვაქვს შემოვლილი.

**– ალბათ, თქვენ მიერ დემონსტრირებულ სანახაობებს განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა თქვენი ჩაცმულობა და აღჭურვილობა. ჩაცმულობასთან დაკავშირებით რა კითხვებს გისვამდნენ?**

– ჩვენ ჩაცმულობა თავიდანვე განსაკუთრებული ნიშნით ავარჩიეთ – ძირითადად, ხევსურულ ტალავრებში ვართ გამოწყობილნი, რაც დაკავშირებულია ამ კუთხის განსაკუთრებულ საბრძოლო ტრადიციებთან და, თან, ტალავარი, მოგეხსენებათ, არის უძველესი ქართული სამოსი, რომელიც კარგად ასახავს ჩვენი კულტურის მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს. აქამდე ყველა გამოსვლაში ძველი სამუზეუმო ექსპონატები გვეცვა და დასანანი იყო, რადგან, მცირე დაზიანებას მაინც იღებს. რომში წასვლის წინ ლუდმა „მთიელმა," რომელიც ჩვენი გენერალური სპონსორია, „სამოსელი პირველის" დახმარებით, ძველი ტალავრების ნიმუშებზე დაყრდნობით, შეგვიკერა ახალი ტალავრები, რომლებიც ისეთივე ტექნიკით არის დაქარგული, როგორც უწინ იყო. იარაღი და აღჭურვილობაც ნაწილობრივ ლუდი „მთიელის" დახმარებით გვაქვს შექმნილი, ნაწილს კი ჩვენი ორგანიზაციის წევრები თავად ქმნიან ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით.

**– როგორ ცხოვრობთ რეალურ ცხოვრებაში, „შავფაროსნების" ფედერაციის მიღმა?**

**ანი** : მე „მოძრაობის თეატრის" მსახიობი ვარ, ვმონაწილეობ სხვადასხვა წარმოდგენაში; ასევე, ადამიანთა რესურსების განვითარების ფონდის სხვადასხვა პროექტში, როგორც ფსიქოლოგ-ტრენერი.

**ნიკა**: ანი, ასევე, კარგი დიასახლისიცაა, მოწონდებით კულინარია, რადგან, ძალიან გემრიელი კერძები გამოსდის.

**– მისი კერძებიც ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც მის მიერ დემონსტირებული ქართული საბრძოლო ილეთები?**

– შეიძლება ასეც ითქვას *(იცინის)*. რაც შემეხება მე სამედიცინო განათლება მაქვს მიღებული, ვარ ექიმი-რადიოლოგი. ძალიან საინტერესოა ორივე საქმიანობა, რადგან, ორივე დარგი ადამიანის შეცნობას ემსახურება და საკუთარ თავს გასწავლის.

**ეკა სალაღაია**

**„ის, რასაც თქვენ ჩემს ნახატებში ხედავთ, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ მომხდარა. მე ვხატავ ჩემს დამოკიდებულებას, პოზიციას რაღაცის მიმართ. ეს პოზიცია კი მიჩნდება ჯერ, როგორც ადამიანს და შემდეგ, როგორც მხატვარი ამ ყველაფერს სხვა სახეს ვაძლევ. ეს არის ჩემი ხასიათი, რომელიც ბავშვობიდან მომყვება: პრინციპული და ძალიან შეურიგებელი ყოველგვარი უსამართლობის მიმართ. რაც მთავარია, ამ ყველაფერს არა მხოლოდ ვხედავ, ვრეაგირებ კიდეც ისე, როგორც შემიძლია, ხშირად კი ფერწერის საშუალებით... შეიძლება, მხატვარი არც გაიცნო, მაგრამ, მის შემოქმედებას რომ ჩაწვდები, აუცილებლად დაინახავ მის სახეს, იმას, თუ რა აწუხებს, რას გრძნობს, განიცდის...“ – მხატვარი გულნარა წიკლაური უკვე დიდი ხანია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. მას არა მხოლოდ საქართველოში, ამერიკაშიც ბევრი სირთულის, განსაცდელის გადალახვა მოუწია, რადგან როგორც ხელოვანისთვის, არც „ოცნებების ქალაქში“ – ნიუ-იორკშია ცხოვრება ადვილი. მიუხედავად იმისა, რომ მისი არაჩვეულებრივი ნახატებიდან ბევრი ძალიან ცნობილი გახდა, პრესტიჟულ გალერეებში იფინება და კერძო კოლექციებშიც ინახება... გასაოცარია ის ემოცია, სილამაზე, ღრმა შინაარსი, რასაც ქალბატონი გულნარას ნახატების თუნდაც ინტერნეტში ნახვა აღძრავს. მაგრამ, ყველაზე საოცარი ის ძალაა, რომელიც ხელოვანის თითოეული შედევრიდან იგრძნობა...**

# როგორ მოხვდა მანჰეტენზე, ცნობილ გალერეაში გულნარა წიკლაურის ნახატები და რომელი ნამუშევრები აღმოჩნდა ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკასა და ბილ კლინტონის ფონდში

**გულნარა წიკლაური:** ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში დავდიოდი, როცა ბავშვთა ნახატების საერთაშორისო კონკურსებში ვმონაწილეობდი, ხშირ შემთხვევაში, ვიმარჯვებდი. მეშვიდე-მერვე კლასში ვხატავდი ჩიტებს, ცხოველებს, მცენარეეებს ბოტანიკის, ზოოლოგიის კაბინეტისთვის. წლების განმავლობაში ინახებოდა ეს ნახატები და მასწავლებლები გაკვეთილებზე იყენებდნენ. ფრიადოსანი მოსწავლე ვიყავი, მედლის კანდიდატი და არავის ფიქრობდა, რომ ხატვა იქნებოდა ჩემი ძირითადი პროფესია. სკოლა რომ დავამთავრე, ჩავაბარე კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე. ვსწავლობდი, მაგრამ პარალელურად, ვხატავდი, ოღონდ, მთელი ყურადღება სწავლაზე მქონდა გადატანილი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სწავლა ასპირანტურაში, ზოგადი ენათმეცნიერების ფაკულტეტზე განვაგრძე. შემდეგ ჩავაბარე უნივერისტეტში, ხელოვნების ფაკულტეტზე. დრეზდენსა და მადრიდში პრადოს მუზეუმთან ახლოს გავიარე კერძო გაკვეთილები. შემდეგ, 13 წლის განმავლობაში, ვიყავი ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, პარალელურად, გამოფენები მქონდა მოსკოვში, ისრაელში და ასევე, გამოვეცი საკუთარი გაზეთიც. ასე რომ, მრავალმხრივ საქმიანობას ვეწეოდი, მაგრამ, რასაც მთელი გულით ვაკეთებდი, ეს იყო მხატვრობა. პირველი ოფიციალური გამოფენა 1988 წელს მქონდა ქუთაისის კაკაბაძის სახელობის გალერეაში. იმდენი ხალხი მოვიდა, რომ დირექტორმა, ძალიან კარგმა ადამიანმა, მოქანდაკე გოგი ლომთაძემ მითხრა: გულიკო, რამე რომ დაემართოს გალერეას, იატაკი, რომ ჩაინგრეს, შენი ბრალი იქნებაო. მაგრამ იატაკიც გადარჩა და ბევრიც დაიწერა ამ გამოფენასთან დაკავშირებით. ჩემს სახელოსნოში მოდიოდნენ სტუმრები ამერიკიდან, საფრანგეთიდან, დელეგაციებს აძლევნდნენ ჩემს ნახატებს. ასევე, მქონდა ჯგუფური გამოფენები. 2000 წელს იყო ქრისტეს საიუბილეო გამოფენა, სადაც მე წარვადგინე კომპოზიცია „30 ვერცხლი“. კათოლიკოს-პატრიარქიც მოვიდა გამოფენაზე და კარგად მახსოვს: დიდხანს იდგა ჩემი ნახატის წინ. სხვათა შორის, მას არ ეგონა, რომ ქალი იყო ნახატის ავტორი და გაუკვირდა, როცა ჩემი თავი გააცნეს. საერთოდ, არავის ჰგონია, რომ ქალია ამ ნახატების ავტორი.



**– თქვენს ნახატებში ჭარბობს რელიგიური თემატიკაც, რომელიც პირადად ჩემზე საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს, ძლიერ ემოციებს იწვევს, განსაკუთრებით კი ნახატი, რომელზეც იესო ქრისტეა აღბეჭდილი. ასევე, ბევრ ნახატში ფიგურირებს მგელი.**

– მგელი კარგად გამოხატავს ადამიანის მგლურ ხასიათს. იმ ნახატში, რომელზეც მგელი თავზე გვირგვინს იდგამს, ჰქვია „პაიკი დედოფალი ხდება“. ჭადრაკში 12 პაიკია, ამ 12 პაიკიდან მხოლოდ ერთი ხდება დედოფალი და საერთოდ, მხოლოდ პაიკს შეუძლია გახდეს დედოფალი. ამ თორმეტში კი ის ხდება დედოფალი, რომელიც მგელია. მაქვს ასევე, მეორე ნახატი, სადაც მგლები წინ მიდიან და უკან ცხვრები დგანან. ამ ნახატს „დემოკრატია“ ჰქვია. ეს ნიშნავს იმ ადამიანთა ქმედებებს, დემოკრატობას რომ იბრალებენ. მე მათ ამ სახით ვხედავ, ცხვრები კი, ხალხია. მე არ ვარ მორალისტი და არ ვამბობ, რომ ხალხმა ჩემი ნახატების მიხედვით იაზროვნოს და დამეთანხმონ. ეს ჩემი პოზიციაა, ვიღაც დამეთანხმება და ვიღაც – არა. აქ პრესაშიც ხშირად მიწოდებენ მხატვარ-ფილოსოფოსს, ბევრი სტატია იბეჭდებოდა საქართველოშიც და იქაც წერდნენ: ეს არის ხელოვნება მოაზროვნე ადამიანებისთვის. ყოველი ნახატის დახატვის სურვილი გარკვეული მიზეზების გამო ჩნდება. რაღაც თემა მწიფდება ჩემში და შემდეგ მოდის მისი ტილოზე გადატანის სურვილი. პირველად, ქრისტეს პორტრეტის შექმნის სურვილი მაშინ გამიჩნდა, როცა იერუსალიმში, ქრისტეს საფლავზე ვიყავი. ისრაელს საოცარი სულიერება აქვს, იქიდან სულ სხვა ადამიანი დავბრუნდი... ამ ნახატს ვერასდროს შეველევი, სახლში მაქვს და როცა ვიღვიძებ, პირველად სწორედ მას ვუყურებ. საკმაოდ დიდია და გამოფენაზე რომ მიმაქვს, ზოგჯერ მანქანაში არ ეტევა და მეტროთი ვმგზავრობ. ქუჩაში ხალხი მაჩერებს და მთხოვენ, მასთან ფოტოს გადაღებას, თან პირჯვარს იწერნენ. საოცარ ინტერესს იჩენენ ჩემი ნახატების მიმართ ჩვეულებრივი ადამიანები.

სანამ ამერიკაში წამოვიდიოდი, მანამდე გერმანიიდან იყვნენ საქართველოში ჩამოსულები, ჩემზე მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადაიღეს და სამომავლოდ, გერმანიაში იგეგმებოდა ჩემი გამოფენა. რა თქმა უნდა, მეც ვემზადებოდი, მაგრამ მოვიდა ცნობა ამერიკიდან, რომ აგვისტოში, ბოსტონში ტარდებოდა ბიბლიოთეკების დირექტორებისა და საუნივერსეტიტო დარგის მუშაკთა მსოფლიო კონფერენცია. მე შემარჩიეს, როგორც ბიბლიოთეკის დირექტორი და 15 აგვისტოს გამოვფრინდი ბოსტონში. დავესწარი კონფერენციას, 11 სექტემბერს ჩამოვედი ნიუ-იორკში, იმ საღამოსვე უნდა გამოვფრენილიყავი საქართველოში. ეს იყო 2001 წლის 11 სექტემბერი, როცა ნიუ-იორკში დიდი ტრაგედია მოხდა... თაიმს-სქვერს ვათვალიერებდი, სადაც მხატვრები სხედან, მაინტერესებდა, რას ხატავდნენ და ამ თვალიერების დროს ატყდა პან-

**ქრისტეს პორტრეტი საკმაოდ დიდია და როდესაც გამოფენაზე მიმაქვს, ზოგჯერ მანქანაში არ ეტევა და მეტროთი ვმგზავრობ. ქუჩაში მაჩერებს ხალხი და მთხოვენ მასთან ფოტოს გადაღებას, თან პირჯვარს იწერენ**

იკა. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. სასწრაფოდ ჩასხდნენ მანქანებში, მეც ჩამსვეს, წამომიყვანეს. გზადაგზა ვხედავდი პანიკისგან დაშინებულ ადამიანებს, დავინახე, შენობის მე-100 სართულიდან როგორ ხტებოდა ხალხი – ოღონდ არ დამწვარიყვნენ და ასე ამთავრებდნენ სიცოცხლეს. სანამ ცოცხალი ვიქნები, ეს ჩემი თვალებიდან არასდროს ამოვა... მეორე დღეს არ მუშაობდა არც მეტრო, არც აეროპორტი, გამოფრენაზე ხომ საუბარი ზედმეტი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ მივიღე აქ დარჩენის გაწყვეტილება. რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება ჩემში დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა. ძალიან ბევრი სტრესი გადავიტანე საქართველოში, ბევრი რამ ჯანმრთელობის ფასად დამიჯდა. ამიტომ, არც იყო გასაკვირი ჩემი ეს გადაწყვეტილება. ისეთ გარე-



მოში მიწევდა ყოფნა, უკვე სული მეხუთებოდა, აღარ შემეძლო ამ გარემოში გაჩერება. ამიტომ, დავტოვე ყველაფერი და ნულიდან დავიწყე ცხოვრება. რა თქმა უნდა, ამერიკაში ბევრი სირთულის გადატანა მომიწია: არც ინგლისური ვიცოდი, არც ფული მქონდა, არც სამუშაო, არც ნაცნობი და მეგობარი მყავდა. ერთადერთი, ვიცოდი ის, რომ ჩემი ნახატები მოსწონდათ და ვიცოდი მასთან დაკავშირებით იმ დელეგაციების აზრი, რომლებიც ჩემთან ქუთაისში ჩამოდიოდნენ.



დავრჩი ამის იმედად... პირველი, რაც ამერიკაში დავხატე, ეს იყო 11 სექტემბერი. ამ ნახატის ფოტო დღეს კონგრესის ბიბლიოთეკაშია ვაშინგტონში. მან ბევრი გალერეა, გამოფენა მოიარა, ძალიან ცნობილი ნახატია. მის შესახებ ბევრი სტატიაა დაბეჭდილი. ამის შემდეგ ნელ-ნელა ვაწყობდი ცხოვრებას. ძალიან მძიმე პერიოდი გადავიარე. იყო ისეთი მომენტი, როცა არ მაძლევდნენ ხატვის უფლებას, რადგან ვისთანაც ქირით ვცხოვრობდი, მიაჩნდა, რომ საღებავის სუნი ჯანმრთელობას ვნებდა. ეს იყო ჩემთვის ყველაზე რთული პერიოდი. მერე ნელ-ნელა დავიწყე ხატვა, გავხდი სხვადასხვა სამხატვრო ორგანიზაციის წევრი. მათ დააფასეს ჩემი შემოქმედება და ინტენსიურად გამქონდა უკვე გამოფენებზე ნახატები. დღეს მაქვს იმის საშუალება, რომ რა პირობებზეც მაშინ ვთანხმდებოდი, ახლა აღარ ვთანხმდები. მაგალითად, ვერ გამოვფენ ჩემს ნახატს და ვერ დავტოვებ იქ, სადაც არ არის დაცვა. ამიტომ, გალერეაში უნდა იყოს დაცვა, ეს კი მხოლოდ დიდ, ცნობილ გალერეებშია შესაძლებელი. ამიტომაც, ბოლო სამი წელია, ასეთ გალერეაში ვიფინები, მანჰეტენზე.

**– თქვენი ნახატი – „საიდუმლო სერობა“ საკმაოდ ძვირად არის შეფასებული და რაც მთავარია, აქამდე არსებულ არც ერთ „საიდუმლო სერობას“ არ ჰგავს. საოცრად შთამბეჭდავი, ღრმა შინაარსის მქონე ნამუშევარია.**

– როცა „ფეისბუქზე“, ამ ნახატის ფოტო დავდე, მას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ერთმა ადამიანმა მომწერა: შეიძლება, თქვენ ამ ნახატის გამო ანათემას გადაგცენო. ქართველი ეკლესიის მსახურებიდანაც არავის გამოუხატავს მოწონება. აგრესიულად შეხვდნენ. მე არ ვარ ხატმწერი. ფერმწერი ვარ და მაქვს უფლება, ჩემი აზრი დავაფიქსირო. არავის ვთხოვ ის გაიზიაროს. თითქმის ყველა ასეთ ნახატზე არის ქრისტე და 12 მოციქული, ყველანი ახალგაზრდები არიან, მაგიდასთან სხედან. ჩემს ნახატაში მაგიდასთან დავტოვე მხოლოდ იუდა, რომელსაც ხელში ქისა უჭირავს 30 ვერცხლით. მას მეორე მხარეს მივუსვი ლუციფერი, რომელსაც კამათელი უჭირავს ხელში. მე ამით უარყოფითი ენერგია გავაძლიერე. ნახატზე არის კიდევ ორი პიროვნება, არ აქვს მნიშვნელობა, ის პეტრეა თუ პავლე, რაც მთავარია, მაგიდის უკან არიან, ზოგი შეშინებულია, ზოგი იმალება. ქრისტე მაგიდასთან კი არ ზის, ჯვარზეა გაკრული და ერთადერთი, რაც მისი ერთგული დარჩა, ეს ბიბლიაა, რომელიც წინ ნათელში დევს. ის, რომ ამ ნახატზე ყველა მოხუცია, ამით ხაზი გავუსვი დროს – ეს არის დრო, რომელიც ქრისტიანობამ დღემდე გაიარა. ბევრმა ადამიანმა შეაქცია ქრისტიანობას, ქრისტეს ზურგი და ამიტომაც გვაქვს დღეს „მაგიდასთან“ ასეთი მდგომარეობა. მე ამით იმ მდგომარეობის სიმძაფრე გამოვხატე, რაც დღეს ქრისტიანობაში შემაშფოთებლად მიმაჩნია. მე ქრისტეს მხარეს ვარ, მაგრამ ეს ვერ გაიგეს. და იცით, მე ამ ნახატის გამოფენა არ შემიძლია, ისევე, როგორც მთელი რიგი ნახატებისა. არ მაფენინებენ, რადგან აქ გალერეები ძირითადად სხვა რელიგიის წარმომადგენლების ხელშია და არ აინტერესებთ. ამიტომ, მხატვრის ბედი, რომელიც ასეთ ნახატებს ხატავს, არ არის იოლი...



**– ძალიან ბევრ მუზეუმშია დაცული თქვენი ნამუშევრები. თქვენი ნახატების კატალოგი კი ძალიან ბევრ ქვეყანაში იყიდება. ერთი პერიოდი, რამდენიმე ქვეყანაში ის ბესტსელერად იყო აღიარებული.**

– ბილ ქლინტონის ფონდშია ბილ ქლინტონის პორტრეტი. ასევე, ინახება ნახატები რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ისრაელის, საფრანგეთის, კანადისა და სხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში, ამერიკის რუსული ხელოვნების მუზეუმში. 2008 წელს შეიქმნა ჩემი კატალოგი, რომელიც თითქმის მთელ მსოფლიოში იყიდება. თუმცა, მე იქიდან არაფერს ვიღებ, რადგან ხელი ჩემმა სპოსნორმა მოაწერა. მან გადაიხადა თანხა და ფილიპინებში შეიქმნა ჩემი კატალოგი. თუმცა, დაიბეჭდა ამერიკაში. დღეში რამდენიმე საათი ველაპარაკებოდი ფილიპინელ დიზაინერებს, რომ ფერები ისე დაეცვათ, როგორც ნახატებში იყო. ეს იყო უმძიმესი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. შემდეგში კატალოგი მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარული გახდა, ახლაც იყიდება. რომ გამიჩნდება სახსრები, მინდა, ახალი კატალოგი დავბეჭდო. ასევე, ძალიან ცნობილი ტილოა „ანტისემიტიზმი“. ბევრ ებრაულ გაზეთში, ჟურნალშია დაბეჭდილი. გამოვფინე მნიშვნელოვან ებრაულ კონფერენციებზეც და დიდი მოწონება დაიმსახურა. გარდა ამისა, აქ ჩემი ნახატების კრებული ღია ბარათებად დაიბეჭდა.

**– ამერიკული პრესა, ტელევიზია მუდმივად ინტერესდება თქვენით, თქვენი ნახატებით.**

– რაც აქ ვარ, ამ წლების განმავლობაში ჩემზე დაახლოებით 140 სტატია დაიბეჭდა. ხშირად მიწვევენ პერსონალურ გადაცემებში. ასევე ხშირად იწვევენ სხვებს, რომლებიც ჩემს ნახატებზე, შემოქმედებაზე საუბრობენ. უყურადღებობას არ ვუჩივი, ჩემს გამოფენაზე ბევრი ხალხი მოდის, გარდა ქართველებისა... სხვათა შორის, რამდენიმე პიესაც მაქვს დაწერილი. „აღსარება“ ერთმოქმედებიანი ფსიქოლოგიური დრამაა, შარშან ფოთის სახელმწიფო თეატრში დაიდგა. ორ საერთაშორისო ფესტივალზე გაიტანეს, წელს „დურუჯზე“ 200 პიესიდან სამი შეარჩიეს და მე წარდგენილი ვიყავი, როგორც საუკეთესო თანამედროვე ქართული პიესის ავტორი. რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მეორე პიესაც მაქვს, ისიც ფსიქოლოგიური დრამაა – უფრო ხანგრძლივი, მეტი მოქმედი პირით, მინდა, დაიდგას, მაგრამ ჯერ არ ჩანს დამდგმელი.

**ნათია უტიაშვილი**

## რატომ სთხოვეს აჩიკო ზარნაძეს პატრიკ სვეიზის შოუში მონაწილეობა და როგორ მუშაობს ქართველი გარემოს დაცვის მეცნიერი ამერიკის ეკოლოგიაზე

(მე-18 გვერდიდან)

**– როგორი მასწავლებელი ხარ?**

– ძალიან მკაცრი. როცა ვიღაც იტყვის: აჩიკოს გაკვეთილი ავიღე, იქ ხარისხიც შესაფერისი უნდა იყოს. ჩემთან ისწავლება „სალსა“, „ბაჩატა“, „ჩა-ჩა“, კიდევ მინდა სხვა ცეკვები დავამატო. მინდა აღვნიშნო, რომ ის „სალსა,” რომელსაც მე ვცეკვავ და ვასწავლი, არ არის კლუბური „სალსა“, ეს ნიუ-იორკული სტილია და ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. უფრო უცხოა, ლამაზი, სოციალური ცეკვაა და ადამიანისთვის მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი. რაც მთავარია, ყველა ცეკვას ჩემი ხელწერა აქვს და ამიტომაც მოდიან, აინტერესებთ. ერთხელ, მახსოვს, ნიუ-ჯერსის ტელევიზიამ გააკეთა ჩემზე გადაცემა. ამის შემდეგ გარკვეული პერიოდი გავიდა და აგენტი დამიკავშირდა, რომელმაც მითხრა: პატრიკ სვეიზი ჩამოდის ნიუ-ჯერსიში. ერთ-ერთ დიდ ჰოსპიტალში სიტყვით უნდა გამოვიდეს იმასთან დაკავშირებით, რომ ცეკვა ძალიან კარგია გულის დაავადებისთვის. გვინდა, მის გამოსვლამდე შენ გააკეთო პერფორმანსიო. რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი, რამდენიმე თვის განმავლობაში ვმუშაობდი ჩემს მეწყვილესთან ერთად ნომერზე. მინდოდა, საუკეთესო გამოსულიყო. რომ დამთავრდა პერფორმანსი, პატრიკმაც დაამთავრა თავისი სიტყვა, მოვიდა ჩვენთან, ხელი ჩამომართვა, მითხრა: ძალიან მომეწონაო. ეს ადამიანი პროფესიონალი მოცეკვავე იყო, ჰოლივუდის სელებრითი და მისი შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. თან, ჩვენ მისი შოუს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ვიყავით.

**– მუსიკა შენი კიდევ ერთი ჰობია და ამ მხრივაც აქტიურად საქმიანობ.**

– ეს კიდევ ახალი ამბავია, ოჯახის წევრებმაც ვერ გაიგეს ვერაფერი. 18-19 წლის რომ ვიყავი, დანჯღრეული გიტარა მქონდა, ჩემთვის ვწერდი მუსიკას. მუსიკა არ არის ის თემა, ფული გააკეთო, თავი ირჩინო. ამიტომ, ამ საკითხს ასე მივუდექი: ჯერ უნდა ავსულიყავი სხვა დონეზე და მერე გამეკეთებინა მუსიკალური პროექტი. დაახლოებით 2-3 წლის წინ დავიწყე ამაზე მუშაობა. ჩემი საყვარელი ბენდია Coldpaly. მისი ჟღერადობა ძალიან მომწონს, ისევე როგორც სტინგი, ემი ვაინჰაუზი, მათი კომბინაცია მიზიდავს. ახალ მუსიკოსად მივიჩნევი, რადგან პირველ ალბომზე ვმუშაობ და მყავს მუსიკოსები, რომლებიც ჩემთან ერთად დაუკრავენ. თუმცა, ყველაფერზე მე ვმუშაობ, მათ მივცემ პარტიას და უბრალოდ, დაუკრავენ. მუსიკის არანჟირებაზე მეხმარება ჩემი ნათესავი მანანა არაბიძე, რომელიც ცნობილი კომპოზიტორია. რჩევებს მაძლევს. 10-11 სიმღერა მაქვს, რომელთაც საბოლოო სახეს მივცემთ და ალბომი ალბათ, სექტემბერში იქნება. ყველა სიმღერა ჩემი დაწერილია და მე ვიმღერებ. ამერიკაში მოხდა ჩემი ალბომის მარკეტინგი, პრეზენტაცია, თავისი კონცერტებით.

**ნათია უტიაშვილი**

# რა საგანძური დაუტოვა ქართველებს გიორგი მთაწმინდელმა და როგორ გახდა ის ათონის მთაზე ივერიის მონასტრის წინამძღოლი

გიორგი მთაწმინდელის (ათონელის) დამსახურება უდიდესია მისი საყვარელი ქართველი ხალხის წინაშე. ის გახლდათ მწერალი, მთარგმნელი, გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, ათონის სალიტერატურო სკოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, დიდი ეფთვიმე (ექვთიმე) მთაწმინდელის საქმის გამგრძელებელი.

დიდი გიორგი ათონელი პოლიტიკური მოღვაწეც გახლდათ, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების მიჯნაზე, სამცხეში ცხოვრობდა გავლენიანი ოჯახის შვილი, სახელად იაკობი. მისი უფროსი ძმები, როგორც ჩანს, დავით მესამე კურაპალატისა და ბაგრატ მესამის კართან დაახლოებული პირები იყვნენ. თვითონაც გარკვეულ მოვალეობებს ასრულებდა ბაგრატ მესამისა და გიორგი პირველის კარზე.



ერთხელ, მეფის დავალებით იაკობი სპარსეთს გაემგზავრა. გზად თრიალეთში, ერთ დაბაში გაჩერდა. იქ გაიცნო ღვთისმოსავი ცოლ-ქმარი, რომელთაც ერთადერთი შვილი ჰყავდათ, სათნო მარიამი. იაკობს ძალიან მოეწონა მშვენიერი, ნარნარი მარიამი და სთხოვა მის მშობლებს, სპარსეთიდან რომ დავბრუნდები, თქვენი ასული მომათხოვეთო. მშობლებს უძნელდებოდათ დედისერთა შვილთან განშორება, თორემ ქალიშვილის მთხოვნელები ბევრი ჰყავდათ. იაკობი შეჰპირდა, რომ საცხოვრებლად მათთან დამკვიდრდებოდა.

სპარსეთში იაკობმა კარგად შეასრულა დავალება და მეფე დიდად მოიმადლიერა. შემდეგ გაემგზავრა თრიალეთში და იქორწინა თავის გულისსწორზე.

მალე მარიამი დაფეხმძიმდა. მშობლებმა გადაწყვიტეს, შვილი ღმერთისთვის შეეწირათ. დაიბადა ასული, რომელსაც თეკლა დაარქვეს. როცა თეკლა 7 წლის გახდა, ტაძრისის მონასტერში მიაბარეს, აღთქმისამებრ.

კეთილმორწმუნე იაკობს და მარიამს სულ 6 შვილი შეეძინათ, სამი ძე და სამი ასული. თეკლას მერე შეეძინათ ვაჟი თეოდორე. იაკობმა და მარიამმა განიზრახეს, თუ კიდევ შეგვეძინება შვილი, ღმერთს შევწიროთო.

ღვთისადმი შეწირვა შვილისა მისგან განშორებას და მის მოცილებას, ან ზვარაკად შეწირვას კი არ ნიშნავს. არც საკუთარი ინტერესებისთვის შეწირვას და სამაგიეროდ, ღვთისგან რაიმეს მოთხოვნას. ეს შვილზე ზრუნვა იყო, რადგან სიყრმიდანვე ეკლესიაში იქნებოდა და სულზე იზრუნებდა. ქრისტიანული რწმენით, მშობლის უმთავრესი დანიშნულებაა შვილის სულზე ზრუნვა, მისი დაყენება ღვთის გზაზე, რათა სასუფეველში შესვლა დაიმსახუროს.

სწორედ ეს იყო მშობლების განზრახვის მიზეზი.

გარდა ამისა, ამგვარად, ბავშვობიდან ეკლესიის წიაღში მყოფნი, შესანიშნავ განათლებას იღებდნენ, ძალიან კარგ სასულიერო მოღვაწეებად ყალიბდებოდნენ და დიდ სამსახურს უწევდნენ ეკლესიასა და ქვეყანას. ცხოვრებაში მართლაც საოცარი რამ ხდება ხოლმე, სწორედ შეწირული ბავშვები ასრულებენ ხშირად დიდ მისიებს...

როგორც გიორგი ათონელის მოწაფე და მისი ბიოგრაფი გიორგი მცირე გვიამბობს, გიორგი მთაწმინდელის შობის წინ, დედამისმა, კეთილმორწმუნე მარიამმა სიზმარი ნახა, მას გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა: „შეგეძინებათ ძე, რჩეული ვერძი ღვთისა, უწოდეთ მას გიორგი და ღმერთს შესწირეთ!“

მარიამმა რომ გაიღვიძა, შიშით და სიხარულით ყველაფერი უამბო თავის ქმარს. იაკობსაც ძალიან გაუხარდა. რწმენაც უფრო განუმტკიცდათ და არც თავისი აღთქმა დავიწყებიათ.

მართლაც, ასე მოხდა, იაკობს და მარიამს ჩვენებიდან რამდენიმე დღეში ძე შეეძინათ და უწოდეს გიორგი.

ის დაიბადა 1009 წელს, თრიალეთში. ამ დროს საქართველო უკვე ერთიანი სახელმწიფო იყო.

საქართველოს ავტოკეფალიის მომავალი დამცველი სულ პატარაობიდანვე ავლენდა გამორჩეულ ნიჭს და ღმერთიც განსაკუთრებული მისიისთვის ამზადებდა.

პატარა რომ ყოფილა, სათამაშოდ იყო გასული მდინარე ქციის (დღევანდელი მდინარე ხრამი) ნაპირას. ღრმა წყალში დაინახა ცეცხლოვანი ჭაბუკი, რომელიც თავისთან იწვევდა წყალში: მოდი ვიმღეროთო. ის იყო ბავშვი უნდა გადამხტარიყო მდინარეში, რომ გამოეცხადა სპეტაკით მოსილი ჭაბუკი, ანგელოზი, ხელში ხელი წაავლო, არ გაუშვა და უთხრა: ჩემთან იყავი, მე უფრო უკეთესი მოყვასი ვარ შენიო.

7 წლის ასაკში ისიც ტაძრისის მონასტერში მიაბარეს. სამი წელი იქ იზრდებოდა პატარა გიორგი. ამ პერიოდში მისი ბიძები, მამამისის უფროსი ძმები – გიორგი მწერალი და

**მალე ბიზანტიამ მოახერხა სომხური სახელმწიფოებრიობის გაუქმება, ქართველებმა კი სისხლისმღვრელი ომებით სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნეს**

საბა ხახულის მონასტერში მოღვაწეობდნენ. მათ გაიგეს ტაძრისში მათი ძმისშვილის ყოფნის შესახებ და სთხოვეს უმცროს ძმას, იაკობს, ხახულში გადაეყვანა თავისი ძე.

იაკობმა 10 წლის გიორგი თავის ძმებთან, ხახულში, ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში ჩაიყვანა და მათ ჩააბარა. გახარებულმა ბიძებმა პატარა ძმიშვილი ლავრის წინამძღვარს, მამა მაკარის წარუდგინეს. იმავე მონასტერში მოღვაწეობდა ბაგრატ მესამის ძე, გიორგი მესამის ძმა - ბასილი, განთქმული მწერალი, მთარგმნელი და მწიგნობარი. ასევე, ხახულში მოღვაწეობდა ცნობილი მნათე – ანტონი. ყველამ დიდი სიხარულით მიიღო პატარა მორჩილი მონასტერში.

აღსაზრდელად და შეგირდად, ხახულელმა მამებმა პატარა გიორგი მიაბარეს ცნობილ ილარიონ თვალოელს (თუალელს), სახელგანთქმულ მთარგმნელსა და მწიგნობარს. მან შეასწავლა გიორგის ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, გალობა და საღვთო სჯული. რაც კი ქართულ ენაზე წიგნები იყო, ყველა მალე დაისწავლა და ბერძნულსაც დაეუფლა პატარა მორჩილი.

სასწაული ხახულის ლავრაშიც გადახდა ყრმა გიორგის. ერთხელ მონასტერში ხანძარი გაჩენილა. პატარა მორჩილს თურმე, ღრმა ძილით ეძინა. ამ დროს ის გააღვიძა სპეტაკით მოსილმა ჭაბუკმა, ხელი მოჰკიდა, გაიყვანა ცეცხლიდან უვნებლად და შეიყვანა ერთ-ერთ ეკვდერში, რომელიც ალმოდებული სენაკებიდან ერთი უტევანით – 143 ნაბიჯით იყო მოშორებული.

ერთხელ ხახულის მონასტერში მივიდა ფერის ჯოჯიკის ძე, მეფე გიორგი პირველის სიძე, რომელსაც ცოლად ჰყავდა მეფის და, ბაგრატ მესამის ასული. მან თავის კარზე, ტვარწატაფში, მიიწვია გიორგი მწერალი, ოჯახის მოძღვრად და მწიგნობრად. ბიძამ თან წაიყვანა პატარა გიორგიც, რომელიც მას ეხმარებოდა, გალობდა, მსახურებდა და ხმამაღლა უკითხავდა ტექსტებს, რადგან ბიძამისი უკვე მოხუცებული იყო.

ბაგრატ მეფის ასულმა ძალიან გაიხარა და შვილად გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის მომავალი მნათობი. მათი ოჯახი ამ დროს ბიზანტიის ქვეშევრდომად ითვლებოდა, რადგან დაპყრობილი ჰქონდათ ბერძნებს ეს ტერიტორიები.

ბასილი ბულგართმმუსვრელი, რომელიც ცდილობდა, კავკასიის ქვეყნების ჩაყლაპვას, არ ურიგდებოდა გიორგი პირველისა და ქართველების თავისუფლებისმოყვარე პოლიტიკას. როცა ბასილის ომები ჰქონდა ბულგარეთში, მეფე გიორგიმ ისარგებლა და დაიკავა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიები, რომლებიც მიტაცებული ჰქონდა ბიზანტიას. განრისხებულმა ბასილი ბულგართმჟლეტელმა საქართველოს დიდი არმიით შემოუტია.

რა თქმა უნდა, ქართველი ფერის ჯოჯიკის ძე საქართველოს მეფეს ემხრობოდა და ზურგიდან აუჯანყდა ბიზანტიის კეისარს. მას უნდოდა არზრუმის, ბასიანის, ტაოს, სპერისა და სხვა ძველი ქართული მიწების საქართველოსთვის დაბრუნება. გიორგი პირველმა ერთხელ კი შეძლო მრისხანე ბასილის დამარცხება, მაგრამ მეორედ ღალატის გამო წააგო ბრძოლა და იძულებული გახდა კეისარს დაზავებოდა და თავისი ძე, ბაგრატი მძევლად გააგზავნა კონსტანტინოპოლში. ბასილი კეისარი არ აპატიებდა ფერის ჯოჯიკის ძეს. მან შეიპყრო ის და თავი მოჰკვეთა. მისი მეუღლე კი, საქართველოს მეფის და, კონსტანტინოპოლში მძევლად წაიყვანა.

მეფის ასულსა და სხვა მძევლებს თან გაჰყვნენ გიორგი მწერალი და მისი ყრმა ძმისწული. ეს მოხდა 1022 წელს.

კონსტანტინოპოლში გიორგიმ გაიღრმავა

(გაგრძელება 86-ე გვერდზე)

**ჩვენს წელთაღრიცხვამდე ოცდამეორე-ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე მეფე ურნამუმ (ურის მესამე დინასტიის დამფუძნებელმა) და მისმა მემკვიდრეებმა ძველი მბრძანებლების მრავალი ტრადიცია აღადგინეს, მათ შორის სიკვდილშემდგომი განცხრომა. შულგის (ურნამუს შვილი) მიერ აშენებული მავზოლეუმის (როგორც ჩანს, მამისთვის) მიწისზედა ნაწილს დიდი ფართობი ეჭირა – 32 მეტრი სიგრძე და 26 მეტრი სიგანე, სათავსები მდიდრულად იყო მორთული ოქროთი. მიწისქვედა ნაწილი 9 მეტრ სიღრმეზე იყო განთავსებული და ორი უზარმაზარი ოთახისაგან შედგებოდა, რომელთაგან ერთ-ერთი მეფეს ეკუთვნოდა, მეორე კი – ამალას.**

# რატომ კლავდნენ მეფეს მესოპოტამიაში ახალი წლის დღესასწაულზე

ანალოგიურად იყო მოწყობილი მესამე დინასტიის სხვა მეფეთა აკლდამებიც და მათშიც არის ნაპოვნი მსხვერპლად შეწირული ადამიანების ნეშტები. მეფე ურნამუ, ისე, როგორც ადრე გილგამეში, გარდაცვლილ მეფეებსა და გმირებს საჩუქრებს უძღვნიდა, მაგრამ ამას იგი მხოლოდ თავისი სახელით აკეთებდა; უფრო მეტიც, საიქიოში მეფეს მაშინვე „მიუჩინეს" რამდენიმე მსახური ადრე გარდაცვლილ შუმერთა რიგებიდან, რაც იმისი ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ იმქვეყნიურ სამყაროში გადასულ მეფეს თავისი ამალა არ ჰყავდა, თუმცა, არქეოლოგიური კვლევები საპირისპიროზე მეტყველებს. დაახლოებით ამ პერიოდიდან შუმერებმა მეფეთა დაკრძალვის ცერემონიალებზე თვითდასახიჩრება – საკუთარ სხეულზე დანით სიმბოლური ჭრილობების მიყენება და სახის დაკაწვრა დაიწყეს, მაგრამ, მათ თავიანთ მბრძანებელთან ერთად სიკვდილი უკვე აღარ მოეთხოვებოდათ.

შუმერის, მოგვიანებით კი ბაბილონის ღმერთები არასდროს გამოირჩეოდნენ სისხლის განსაკუთრებული წყურვილით და, ამიტომ, ღმერთებისადმი ადამიანთა მსხვერპლშეწირვა ტიგროსისა და ევფრატის შუამდინარეთში არ დანერგილა. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ შორეულ წარსულში აქ შეიძლება, არსებულიყო მიწათმოქმედების კულტი, რომელშიც მომაკვდავი და მკვდრეთით აღმდგარი ღმერთის როლი (რომელიც მოკვდავობისა და აღდგომის სიმბოლიზაციას ახდენდა) ადამიანს ევალებოდა. ამასთანავე, როგორც ინგლისელი არქეოლოგი გორდონ ჩაილი წერს, ადამიანი, რომელიც წეს-ჩვეულების აღსრულების დროს ეკისრებოდა „მარცვლის (თესლის) მეფის" როლი, „მარცვლის მსგავსად, მიწაში უნდა იყოს ჩაფლული, რათა მოგვიანებით ხელახლა გაჩნდეს; ადამიანების მიმართ ეს ნიშნავდა, რომ ის უნდა მოიკლას და შეიცვალოს უფრო ახალგაზრდითა და ძლიერით."

ადამიანური სისხლი დღესასწაულებზე იღვრებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველა ცოცხალი რჩებოდა. უბრალოდ, ერთობ ეგზალტირებული ქურუმები სადღესასწაულო მსვლელობისას თვითგვემას (შეიძლება, თვითდასაჭურისებასაც) იწყებდნენ, მაგრამ, მთავარი ქმედება სამხიარულო და სიცოცხლის განმამტკიცებელი იყო; ტაძარში მდგარ ოქროს სარეცელზე კი ადიოდა ქალღმერთ იშთარის უმაღლესი ქურუმი ქალი, რათა უსისხლო მსხვერპლად მიეძღვნა თავისი სხეული ღვთაებისთვის.

ღვთაებრივი ქორწინებისგან არც სხვა ბაბილონელი ქალები იკავებდნენ თავს, ისინიც უძღვნიდნენ ღვთაებას მსხვერპლად თავიანთ სხეულს, სხვადასხვა ცნობის მიხედვით კი – ქალწულობასაც. ამ ჩვეულებას ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეში აღწერს ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე:



„აი, როგორი ყველაზე სამარცხვინო ჩვევა (ადათი) აქვთ ბაბილონელებს: თითოეული ბაბილონელი ქალი, ცხოვრებაში ერთხელ, უნდა დაჯდეს აფროდიტეს ტაძარში და ფულზე მიეცეს უცხოქვეყნელ მამაკაცს. ბევრი ქალი, რომლებიც ამაყნი არიან თავიანთი სიმდიდრით, შეუფერებლად მიიჩნევს სხვა ქალთა ბრბოში გარევას. ისინი დახურული ოთხთვალებით ჩამოდიან თავიანთ მრავალრიცხოვან მსახურებთან ერთად და ტაძრის მახლობლად ჩერდებიან. აფროდიტეს ტაძრის საღმრთო მონაკვეთში ბევრი ქალი ზის, რომლებსაც თავი წვრილი კანაფის სამაგრებიანი თავსაფრით აქვთ დაფარული. მათგან ზოგიერთი მოდის, ზოგიერთი მიდის. პირდაპირი გასასვლელები ყველა მიმართულებით აცალკევებს მომლოდინე ქალთა ჯგუფებს. ამ გასასვლელებში მიდი-მოდიან უცხოელი მამაკაცები და ირჩევენ ქალებს. აქ მჯდარ ქალს სახლში დაბრუნება მანამდე არ შეუძლია, სანამ რომელიმე მამაკაცი ფულს არ ჩაუგდებს კალთაში და წმიდა ადგილიდან დაშორებულ ადგილას არ შეუერთდება მას. ფულის კალთაში ჩაგდებისას მამაკაცმა მხოლოდ ეს უნდა უთხრას ქალს: „მოგიწოდებ ქალღმერთ მილიტეს მსახურებაზე!" მილიტეს ასირიელები აფროდიტეს უწოდებენ. გადასახადი შეიძლება იყოს სულ მცირედიც. ფულის აღებაზე უარის თქმა ქალს ეკრძალება, რადგან ეს ფული საღმრთოა. ქალი პირველივე მამაკაცს უნდა გაჰყვეს, რომელმაც ფული გაიღო – უარის თქმა გამორიცხულია. მამაკაცთან დამყარებული კავშირის შემდეგ, როდესაც აღსრულებული აქვს თავისი საღმრთო მოვალეობა ქალღმერთის წინაშე, ქალი მიდის სახლში და მეორედ ვერავითარი თანხის ფასად ველარავინ დაეპატრონება მას. ლამაზი და ტანადი ქალიშვილები მალე მიდიან სახლში, ხოლო შეუხედავებს დიდხანს უწევთ ცდა, სანამ ადათს არ აღასრულებენ და, მართლაც, ზოგიერთებს სამი-ოთხი წელიც კი უწევთ ტაძარში ჯდომა".

***

ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ბაბილონში რიტუალური სიკვდილი ემუქრებოდა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გახლდათ თვით მეფე და, შეიძლება, იმიტომ, რომ, სხვა ადამიანებისგან განსხვავებით ის ფლობდა ღმრთაებრივ ფუნქციებს. შესაძლოა, უხსოვარ დროში მესოპოტამიაში ახალი წლის დღესასწაულზე მართლაც კლავდნენ მეფეს, როდესაც ის ბერდებოდა და მისი საკრალური ძალა მცირდებოდა, – ასეთი წეს-ჩვეულება ბევრ ხალხში იყო გავრცელებული. გარდა ამისა, მეფე სიმბოლურად პასუხისმგებელი პირი იყო თავისი ქვეშევრდომების მიერ ჩადენილ ცოდვებსა და უბედურებებზე, რაც საკუთარი სისხლით უნდა ჩამოერეცხა. მაგრამ, იმ დროისთვის, რომელთა შესახებ შემონახულია წერილობითი ცნობები, ბაბილონში წარმოიშვა ტრადიცია, რომლის თანახმადაც, მეფე ახალი წლის ზეიმის დღეს, უმაღლესი ქურუმის წინაშე მუხლებზე იჩოქებდა, თავის სახელისუფლო ნიშნებს აძლევდა მას და იფიცებდა, რომ არასდროს არ შეუცოდავს სახელმწიფოს წინაშე. საპასუხოდ ქურუმი მეფის ლოყებზე შემოსცხებდა და ყურებს აუწევდა. ასეთი რიტუალით იცვლებოდა მბრძანებლის შესაძლო სასიკვდილო სასჯელი. ამის შემდეგ მეფეს უნდა ეტირა. ეს ნიშნავდა, რომ მარდუკმა (ქალაქ ბაბილონის მფარველი და ბაბილონის პანთეონის უმაღლესი ღვთაება) დაიჯერა მეფის ფიცი, ნება დართო, ეცოცხლა და შეუნარჩუნა მეფობა.

მაგრამ, ამგვარად მეფისთვის მხოლოდ რიტუალური სიკვდილის აუცილებლობა შეიძლებოდა აეცილებინათ. თუკი მას, წინასწარმეტყველების თანახმად, ნამდვილი სიკვდილი ემუქრებოდა, მეფეს დროებით ჩამოაშორებდნენ ტახტს და მის მაგივრად მეფედ „აკურთხებდნენ" ბოროტმოქმედს ან მონას, რომელსაც თავს ბედისწერის სასჯელი უნდა დასტეხოდა. თუ ბედისწერის ასეთი სასჯელი იგვიანებდა, ბაბილონელები თვითონ იღებდნენ წინასწარმეტყველების ფუნქციას. მაგალითად, თუ მეფეს უწინასწარმეტყველებდნენ ტახტზე ასვლიდან ასი დღის შემდეგ სიკვდილს, მეასე დღეს „მეფისნაცვალს" სიკვდილით სჯიდნენ, ხოლო ნამდვილი მეფე კვლავ ტახტზე ადიოდა.

**რევაზ ტომარაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შ | ი | შ | ი | | ა | | ც | | ს | ტ | ი | ქ | ი | ა |
| | ნ | | ლ | ა | რ | ს | ე | ნ | ი |  | | | | ი |
| ს | ა | დ | ა | ფ | ი | | მ | ო | რ | | | | | ც |
| | დ | | ხ | მ | ა | | ა | | ი | | | | | ა |
| გ | ზ | ი | რ | ი | | კ | | ი | ა | | | | | რ |
| | ა | მ | ა | ლ | გ | ა | მ | ა | | | | | | ე |
| ი | რ | ე | ჭ | | | ნ | ე | რ | უ | | | | | ტ |
| რ | | ლ | | | ი | ტ | ი | ვ | | ა | თ | ა | ს | ი |
| ს | ა | რ | ი | ს | კ | ო | | ე | | ფ | | | ა | ლ |
| ა | ნ | ა | ლ | | ი | რ | ო | ტ | ო | რ | | ბ | მ | ა |
| კ | ო | პ | ო | რ | ტ | ა | | ი | ნ | ი | პ | ა | შ | |
| | გ | | რ | | | | ე | | ს | კ | ო | ლ | ა | |
| | ო | | ე | დ | ო | ი | თ | ა | | ა | ლ | ე | ბ | |
| ა | გ | ე | დ | | ა | ლ | ი | ზ | ი | | ი | ტ | ა | პ |
| ნ | | | ნ | ი | კ | ე | ლ | ი | | ა | ვ | ი | თ | |
| ა | დ | მ | ა | | ა | ნ | ი | ა | რ | კ | უ | | ი | |
| | | ა | ბ | უ | კ | | | ტ | | ე | დ | ა | | ლ |
| ე | რ | შ | | შ | | ნ | ა | ი | | ლ | ე | ს | ი | ა |
| ლ | | ა | ნ | უ | კ | ა | | | ი | ა | ლ | ა | | ნ |
| დ | ა | ვ | ა | | ი | ვ | ა | ლ | ფ | | ი | მ | ე | ც |
| ა | რ | ე | ძ | | ტ | ო | მ | ა | რ | ა | | ი | ვ | ა |
| | ა | რ | ვ | დ | ს | ი | ლ | ფ | ო | | ც | | რ | |
| ი | კ | ა | ი | | ი | | ა | ი | ტ | ნ | ა | რ | ა | გ |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 6 | 5 | 3 | 8 | 1 | 7 | 4 |
| 4 | 3 | 5 | 1 | 7 | 2 | 8 | 9 | 6 |
| 7 | 1 | 8 | 9 | 6 | 4 | 2 | 5 | 3 |
| 2 | 6 | 3 | 4 | 8 | 5 | 7 | 1 | 9 |
| 8 | 5 | 4 | 7 | 9 | 1 | 6 | 3 | 2 |
| 1 | 9 | 7 | 3 | 2 | 6 | 5 | 4 | 8 |
| 5 | 7 | 2 | 8 | 4 | 3 | 9 | 6 | 1 |
| 6 | 4 | 9 | 2 | 1 | 7 | 3 | 8 | 5 |
| 3 | 8 | 1 | 6 | 5 | 9 | 4 | 2 | 7 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 9 | 5 | 8 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 3 | 2 | 7 | 1 | 5 | 6 | 9 | 8 |
| 6 | 1 | 8 | 9 | 3 | 2 | 7 | 5 | 4 |
| 5 | 2 | 4 | 3 | 7 | 1 | 8 | 6 | 9 |
| 3 | 8 | 7 | 6 | 5 | 9 | 4 | 1 | 2 |
| 9 | 6 | 1 | 2 | 4 | 8 | 5 | 7 | 3 |
| 8 | 7 | 3 | 1 | 9 | 6 | 2 | 4 | 5 |
| 1 | 4 | 6 | 5 | 2 | 3 | 9 | 8 | 7 |
| 2 | 5 | 9 | 4 | 8 | 7 | 1 | 3 | 6 |

### „თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები:

**1. მხატვრული ტანვარჯიში და სინქრონული ცურვა. 2. „კოკა-კოლას" სვამენ ოპტიმისტებიც და პესიმისტებიც. 3. ცაციებისთვის. 4. პინგვინები – ყინულის ნამტვრევებიდან ამოჰყავთ და უკან დაბრუნებამდე, ზოოპარკში, გალიებში ამყოფებენ. 5. ძვირფასი ქვების და მინერალების – სიმტკიცის (სიმაგრის) განსაზღვრის სკალა. 6. ნახატის ორიგინალობის დასადგენად – 1945 წლის, ანუ ატომური ბომბების აფეთქების შემდეგ შექმნილ ნიმუშებში ეს იზოტოპები ფიქსირდება. 7. აღსარების მიღება – ქალებს საიდუმლოს შენახვა არ შეუძლიათ. 8. სამუელ კოლტს – რევოლვერის გამომგონებელს. 9. „ბირთვული ტურიზმი" – ატომური აფეთქებების ცდები ისეთ ადგილას ტარდებოდა, რომ წარმოშობილი სოკოები კარგად ჩანდა სასტუმროების ფანჯრებიდან. 10. ადრიატიკის ზღვა.**

**როგორც მსახიობს, არაერთი როლი აქვს ზურა ნიჟარაძეს შესრულებული, მაგრამ პირველი, რაც ამ ბოლო დროს ასოცირდება მის სახელთან, „TV 11-ზე" მის მიერ განსახიერებული თამადაა გადაცემიდან „სადღეგრძელო".**

# რას სწერენ ზურა ნიჟარაძეს მის „სადღეგრძელოებზე" შეყვარებულები სოციალურ ქსელში და რას იხსენებს ის კოტე მახარაძის, გოგი ქავთარაძისა და გურამ საღარაძის თამადობებიდან

– მანამდეც, იყო ასევე „ღამის შოუს" პროდუქტი „შუა ქალაქში", სადაც ვთამაშობდი ბუნიკეთის გამგებელს და ახლაც, ხშირად მეძახიან „ბუნიკეთი" მოვიდაო. ამის შემდეგ იყო „რომ გადახვალ, გააჩერე", მერე – „თქვენი გადახდილია" და „სადღეგრძელო".

ჩემთვის ქართული სუფრა ძალიან ბევრს ნიშნავს. ოღონდ ჯანსაღი ქართული სუფრა და არა ისეთი, რომ დათვრებიან და ერთმანეთს ვერ ცნობენ. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და მე და ჩემი მეგობრები ძალიან კარგად ვქეიფობთ. იმიტომ რომ, თითქმის ყველა ჩვენგანი მღერის, ცეკვავს, ლექსებს კითხულობს – ასე კი დრო კარგად გადის და მიდის ისეთი ქეიფი, უკეთესი რომ არ შეიძლება.

რაც შეეხება გადაცემა „სადღეგრძელოს", მასში მანკიერ, ცუდ თამადებზეა აქცენტი გაკეთებული, რომლებიც საშინლად ამბობენ სადღეგრძელოს. ჩემთვის თამადა არის ორგანიზატორი, დირიჟორი, რეჟისორი, წამყვანი და ყველაფერი. თამადა რომ ხარ, არ უნდა დალალო ხალხი შენი ლექციებით, რაც არ უნდა განათლებული იყო. მე ასეთი თამადები მიყვარს. ხშირად ვმჯდარვარ ერთ სუფრაზე კოტე მახარაძესთან, მინახავს მისი თამადობა. ვუყურებდით და დალევა გვავიწყდებოდა, ისე საინტერესოდ საუბრობდა. ყველა კოტე მახარაძისნაირი თამადა ვერ იქნება, მაგრამ ცოტა იუმორი ჩართე, ცოტა ილაპარაკე, ცოტა მამღერე – საკურთხივით პატარ-პატარა ყველაფერი უნდა იყოსო, ხომ იცით, ნათქვამია და მაშინ გამოდის კარგი სუფრა.



მე ახლაც მიყვარს ის, ვინც მერე შემიყვარდება, ოღონდ ჯერ არ ვიცი, ვინ არის

**– თქვენი სადღეგრძელოების შემდეგ, ბერეჟიანის რეპლიკები გადაცემაში, საერთოდ ცალკე საუბრის თემაა.**

– გადასაღებ მოედანზე იბადება ეს ფრაზები: „მულის სულს გეფიცები", „ამას ისეთი მთხოვნელები ჰყავდა"... ეს დაწერილი არ არის... გადაღების პროცესში მოდის.

**– ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს თქვენს „თამადას". სამწუხაროდ, ზოგი არასწორად იგებს ამ გადაცემის არსს...**

– ამ ახალ წელს, ჩემმა ძმაკაცმა გამომიარა: გეხვეწები, ჩემს ახლობლებს უყვარხარ სიგიჟემდე, ხალხი ჰყავთ სტუმრად და ვეწვიოთო. მივედით: ჩვენი თამადა მოვიდა, ჩვენი საქართველოს თამადაო, მომაგებეს. საქართველოს თამადაზე, გამახსენდა, გულბაათ ჭავჭავაძე, შედან ჭილაძე, მე მათთან რა მოსატანი ვარ, მაგრამ მაინც მესიამოვნა, რომ გიცნობს ხალხი, კარგად მიგიღებს. მოდი, შენ გენაცვალე, შვილო... თამადა წამოდგა და ზუსტად ის სადღეგრძელო თქვა ახალ წელზე, ჩემი წარბის აწევით, ჩემი ინტონაციით, როგორც მე ვამბობ „სადღეგრძელოში"... რამდენჯერ ჰქონდა ნანახი, წარმოიდგინეთ, რომ ეს ყველაფერი დაიზეპირა. განსხვავება ის იყო მხოლოდ, რომ ბერეჟიანი არ ჰყავდა გვერდით. „რა კარგ სადღეგრძელოებს ამბობთ, ვინ იგონებს, მითხარით. „მალადეც" ძმაო, შენ გაგიმარჯოს ღმერთმა ეს არის ქართული..." რა უნდა ვუთხრა, იმას მე?!

**– მართლა, რა უთხარით?**

– ერთი ჭიქით, დაგლოცავთ, გავრბივარ, საშინლად მეჩქარება-მეთქი. ზუსტად ის თამადა იყო, ვის გაშარჟებულ ვარიანტსაც ვასახიერებ „სადღეგრძელოში". სამწუხაროდ, ზოგი ამ გადაცემის დატვირთვას სწორად ვერ იგებს. გეფიცებით, ძალიან ბევრს უთქვამს ჩემთვის, ვსწავლობ, ძმაო, თქვენს სადღეგრძელოებსო. უცხოეთიდანაც მწერენ ამას სოციალურ ქსელში: „მალადეც" გაგიმარჯოს ღმერთმა: ასე ძმაო, ქართულს მიაწექიო. ბერეჟიანზე მწერენ ხოლმე ხშირად – ნერვებს გვიშლისო. რა უნდა ახლა, რა კარგად აყალიბებ სადღეგრძელოს, რა კარგად ამბობ და ვითომ ახლა ეგ გალადავებს?! საერთოდ არ დასვა იმ სუფრაზეო *(იცინის)!*

**– თქვენ როგორი თამადა ხართ და მოგწონთ თუ არა თამადობა? ხმა და გაბარიტები ისეთი გაქვთ, უნდა გიხდებოდეთ...**

– იყო ბავშვობაში მომენტები, როცა ეს მომწონდა. იმიტომ რომ, მე გამზარდა გოგი ქავთარაძემ, გურამ საღარაძემ. ეს ხალხი, გინდა არ გინდა, სუფრასთან დაკავშირებულები იყვნენ. ვესწრებოდი მათ თამადობასაც. რადგან შემიძლია სმა, არ ვთვრები, შემიძლია სიმღერა და ლექსის წაკითხვა, ისე ხდებოდა, რომ 10 სუფრიდან, ცხრაჯერ მაინც მიწევდა თამადობა. ახლა დავიღალე, აღარ მინდა... მე მგონია, რაც ჩამოვთვალე, ეს თვისებები უნდა ჰქონდეს თამადას და თუ სუფრაზე ვიღაცამ ვიღაცას დაუძაბა, მე ჩემს თავს ვაბრალებ, იმიტომ რომ, ეტყობა, ყურადღება მოვაკელი. როგორც სცენაზეა, თუ ვინმეს ჩაეძინა, ან ცუდად თამაშობ, ან ცუდი სპექტაკლია. ყველა სხვადასხვანაირი სუბიექტია, ვიღაცას სჭირდება, რომ ლიტრანახევარი ღვინო დალიოს, ვიღაცას – 2, ვიღაცას – 1 ჭიქა. ისე უნდა დააბალანსო ეს, რომ არეულობა არ მოხდეს და 1-2 საათში არ იქცეს ქართული სუფრა „ბარდაკად".

**– თვითონ როგორი მსმელი ხართ?**

– კარგი. ადრე უფრო კარგად ვსვამდი – 5-6-7 ლიტრას. ღვინო თეთრი მირჩევნია. ყველაზე კარგი ღვინო ჩემთვის „ჩინურია" – ქართლის ღვინო. მართლაც საქეიფო ღვინოა. ახლა არ ვსვამ ამდენს, თუ ქორწილში ან სადმე არ მომიწია თამადობა. სასმელის მოპარვა არ მიყვარს. თუ ვსვამ, ვსვამ, თუ არა და... „არ მინდა დალევა, შენ გენაცვალე, მეტს ვერ დავლევ", – ტყუილს არ ვიტყვი.

**რა კარგ სადღეგრძელოებს ამბობთ, ვინ იგონებს, მითხარითო. „მალადეც" ძმაო, შენ გაგიმარჯოს ღმერთმა, ეს არის ქართული... რა უნდა ვუთხრა, იმას მე?!**

**– კარიერაში რა ხდება, ჯერ ქართულ სიახლეებზე მიამბეთ.**

– უკვე დიდი ხანია, ეს პროექტი არსებობს – მე და რამაზ ბლუაშვილი ვაკეთებთ. რამაზი არის რეჟისორი, პროდიუსერი. ამერიკაში მიიღო განათლება და მუშაობდა „იუნივერსალ პიქჩერსში". მერე ჩამოვიდა, პირველ არხზე იყო დოკუმენტური ფილმების რეჟისორი. ამერიკაში ყოფნის დროს მან ალექსანდრე ქართველის შესახებ მოიძია ყველა მასალა – როგორ იყო პენტაგონში, „ნასაში", ყველგან. ჩვენ ალექსანდრე ქართველზე ვიღებთ დოკუმენტურ ფილმს. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ეს ფილმი კარგი გამოვიდეს. დიდი თანხებია საჭირო. ამერიკაშიც იქნება გადაღება, საფრანგეთშიც. კახი კავსაძე განასახიერებს ალექსანდრე ქართველს. მე ვთამაშობ ალექსანდრე ქართველის მეგობარს ახალგაზრდობაში. ამას გარდა, ტელევიზიაში გაგრძელდება „თქვენი გადახდილია" და ალბათ „სადღეგრძელოც."

**– უცხოურ პროექტებზე თუ ვისაუბრებთ, ერთი გვახსოვს, თქვენ განასახიერეთ სტალინის ახალგაზრდა მეგობარი გურგენ ლაითაძე. სულ ახლახან დაბრუნდით და ვიცი, რომ 2 თვე გადაღებები გქონდათ მინსკში. ამ პროექტზე მიამბეთ და საერთოდ, საიდან მოხვდით ამ პროეტში?**

– არის ასეთი სააგენტო „არტათეული", საიდანაც დამიკავშირდა ვანო ცინაძე და მითხრა, აზერბაიჯანელი რეჟისორი და ოპერატორი არიან ჩამოსულები და ქასთინგზე მობრძანდითო. ქასთინგი საკმაოდ გაგრძელდა, მაგრამ ჩემთვის სასიხარულო გადაწყვეტილებით დასრულდა. ფილმს იღებს „აზერბაიჯანფილმი" და „ბელარუსფილმი" ერთობლივად. მეორე მსოფლიო ომზეა. მე ვთამაშობ სომეხს. სხვადასხვა ქვეყნიდან 4 წარმომადგენელის მაგალითზეა ნაჩვენები, თუ როგორ გადაიარა მათ თავზე ომმა. ამ ოთხიდან ორი – სომეხი და აზერბაიჯანელია. ფილმი ასე მთავრდება – აზერბაიჯანელი ბერდება და მოკლავენ ყარაბახის ომში, რის შემდეგაც იპოვიან მის დღიურს, სადაც წერს თუ როგორ უყვარდათ მას და მის სომეხ მეგობარს ერთმანეთი, როგორი ძმები იყვნენ...

**– მინდა, შეადაროთ ქართული და იმათი გადასაღები მოედანი?**

– შემიძლია ვთქვა, რომ მათთან გადასაღებ მოედანზე მსახიობი არის მეფე. ძალიან კარგი სიტუაცია იყო. მივხვდი, რომ არტისტი ვიყავი.

**– იყო კიდევ შემოთავაზებები?**

– კი, როგორ არა. „აზერბაიჯანფილმის" დირექტორმა მითხრა, მაქვს ახალი სცენარი და შენ ისევ მთავარ როლში მოიაზრებიო.

**– რა ჰქვია იმ ფილმს, რომელიც გადაიღეთ?**

– „შეწყვეტილი მოგონებები." გამოვა 9 მაისს, ომის დამთავრებიდან 70 წლის საიუბილეოდ.

**– როგორ ცხოვრობთ, როგორია თქვენი ოჯახური მდგომარეობა?**

– ცოლი არასდროს მყოლია და არც – შვილი. არც შეყვარებული მყავს.

**– არადა, დროა...**

– ეს ისეთი რამეა, ვერ იტყვი, რომ... 27 იანვრის შემდეგ უნდა შემიყვარდეს ვიღაცა. იყო ჩემს ცხოვრებაში დიდი სიყვარული რაღაც პერიოდი და მერე აღარ მოსულა.

**– თუმცა, ელოდებით...**

– რა თქმა უნდა. მე ახლაც მიყვარს ის, ვინც მერე შემიყვარდება, ოღონდ ჯერ არ ვიცი, ვინ არის.

**– ჩანს, სიყვარულში იმედგაცრუება გიგემიათ წარსულში.**

– კი.

**ეკა სალაღაია**

**„კაზანტიპი" – რეალობის რეალური ალტერნატივა. ეს არის 22–წლიანი მასშტაბური პროექტი, რომელიც მოიცავს სპორტულ, კულტურულ და მუსიკალურ მოვლენებს. ყოველწლიურად ღონისძიების სტუმარია 100 000–ზე მეტი ადამიანი, მსოფლიოს 106 ქვეყნიდან. წელს „კაზანტიპს" საქართველო უმასპინძლებს, რომელიც 20–30 აგვისტოს ანაკლიაში გაიმართება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, „კაზანტიპის" პრეზიტენტმა განაცხადა: „ჩვენ მზად ვართ, ანაკლია ვაქციოთ მსოფლიო ახალ მექად". 10 ივლისს ანაკლიაში ჟურნალისტებთან შეხვედრა გაიმართა, სადაც ორგანიზატორებმა პროექტის სამზადისსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. ექსკლუზიურად „თბილისელების" მკითხველისათვის, ჩვენი რესპონდენტი, „კაზანტიპის" პრეზიდენტი, ნიკიტა მარშუნოკია.**

# რა ღირს ვიზა ქვეყანა „კაზანტიპში", სადაც, კონსტიტუციის მიხედვით, ყოველი დღე დღესასწაულია

**– იმისთვის, რომ ქართველმა ხალხმა კარგად გაიგოს „კაზატიპის" არსი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იცნობდეს მის პრეზიდენტს, ფუძემდებელს. მოგვიყევით თქვენს შესახებ.**

– მზად ვარ, პასუხი გავცე ყველა თქვენს შეკითხვას, ყველაზე რთულსაც კი. მე საკმაოდ დიდი ხნისა ვარ, ამიტომ, ის, რაც მინდოდა, გამეკეთებინა, ავისრულე, ეს ისე. ვარ უკრაინელი. არ მომწონდა მასწავლებლები და არც ის, რასაც გვასწავლიდნენ – ეს იყო საბჭოთა კავშირის დროს. ამიტომ, გადავწყვიტე, წავსულიყავი ჯარში. სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ მივხვდი, რომ დიდ ქალაქში ცხოვრება არ მაინტერესებდა და ინჟინრის ხელფასი არ იყო ჩემთვის საკმარისი. დაკავებული ვიყავი იმით, რაც იმ დროისათვის იყო აქტუალური. შემდეგ გაჩნდა გლობალური ხედვები, რომელმაც შექმნა „კაზანტიპი". თავიდან მე და ჩემი მეგობარი აღმოვჩნდით ამერიკაში ფესტივალზე, სადაც შევიძინეთ ნაცნობები. დროთა განმავლობაში მუსიკის განვითარებასთან ერთად, მეგობრების რიცხვიც მატულობდა. ასე გავხდი ერთ-ერთი გლობალური ივენთის შემქმნელი. მესმის, რომ ყველა ადამიანს აქვს თავისი შეხედულება. შევეცადე, შემექმნა საზოგადოების ჩემეული მოდელი. ეს იდეა შევთავაზე მაშინდელ ხელისუფლებას, თუმცა არც შემითავაზებია, ვუთხარი მათ „კაზანტიპის" შესახებ. მთავრობას უარი არ უთქვამს და მე შევქმენი ბედნიერი ადამიანი ისეთი, როგორიც მომწონს.

**– რა არის „კაზანტიპი"?**

– „კაზანტიპი" ეს არის პატარა ამბიციური ქვეყანა, რომელიც არც ერთ რუკაზე არ არის, მაგრამ არსებობს. ის ჩემს წარმოდგენაში შევქმენი და დავარქვი Z სახელმწიფო, რომელსაც თავისი კანონმდებლობა გააჩნია. რესპუბლიკის კონსტიტუციაში წერია, რომ „კაზანტიპს" არ აქვს საზღვრები, არც ტერიტორიები. ის არის სახელმწიფო, რომელიც დროდადრო გადაადგილდება სივრცეში იქით, სადაც უკეთესია. წელს პირველად, პროექტი უკრაინის ფარგლებს გასცდა და ხორციელდება ანაკლიაში, შავიზღვისპირეთის თვალწარმტაც კურორტზე, 20-30 აგვისტოს. ყოველწლიურად რესპუბლიკის მოსახლეობა, რომელსაც დიდი ერი ეწოდება, თავს ერთად იყრის და აღნიშნავს Z- ის ახალ სეზონს. „რესპუბლიკა კაზანტიპი" მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიც კონსტიტუციის მიხედვით, ყოველი დღე დაკანონებულია, როგორც დღესასწაული. „კაზანტიპი" ეს არის ელექტრონული მუსიკის ღონისძიება, რომელშიც ასობით საუკეთესო მუსიკოსი მონაწილეობს. წელს მათ შორის წარმოდგენილი იქნება 10 ქართველი მუსიკოსი, გაიმართება 2 ივენთი 24-სა და 29 აგვისტოს, სადაც ქართველი დიჯეები დაუკრავენ.

**– როგორ ხდება ღონისძიებაზე დასწრება?**

– მონაწილეობისთვის საჭიროა რესპუბლიკის ვიზის გაფორმება. ვიზასთან ერთად, სტუმარი იღებს არა მარტო საშვს პროექტის ტერიტორიაზე შესასვლელად, არამედ ხდება კიდეც მისი უშუალო მონაწილე, რომელიც ჩაებმება თამაშის წესებში და გაიზიარებს პროექტის ფილოსოფიასა და იდეოლოგიას.



რესპუბლიკის „ვიზის" ღირებულება წელს 175– 262 აშშ დოლარს შეადგენს. ასევე, დავუშვით გამონაკლისი – უკრაინელი და ქართველი გოგონებისათვის დასწრება უფასოა. ჩვენი სიმბოლო არის ყვითელი ჩემოდანი, რომელიც მნიშვნელოვანი ატრიბუტია და რესპუბლიკაში უვიზოდ შემოსვლის ნებას იძლევა. ყვითელი ჩემოდანი თავად უნდა გააკეთო, ეს უნდა იყოს რეტრო სტილის, ანუ ძველებური, ოთხ შესაკრავიანი ჩემოდანი, რომელსაც შესაკრავები კარგად უნდა გაუპრიალო. აუცილებლად ყვითელი ფერის და შენებური დეკორაციებით გაფორმებული უნდა იყ-

**თუ ქართველები არ მიგვიღებენ ეს არ იქნება პრობლემა, მეტი გავიღიმოთ და დავტკბეთ ცხოვრებით**

ოს. ამის შემდეგ საჭიროა, ჩემოდანს გადაუღო ფოტო და საიტზე ატვირთო. თუ ის სპეციალურ კომისიას დააკმაყოფილებს, ამ შემთხვევაში, მის შემქმნელს გადაეცემა ვიზა. ეს არის ღონისძიებაზე დასწრების კიდევ ერთი შანსი. ვიზის ასაღებად „კაზანტიპის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გავლაა სავალდებულო. აქ გასათვალისწინებელია ასევე ისიც, რომ ღონისძიების მომატებასთან ერთად, ვიზის ფასებიც იზრდება. „კაზანტიპის" ტერიტორიაზე იგეგმება კარვების ქალაქის გაშენება, რაც ტურისტებისთვისაა ხელსაყრელი. ანაკლიაში თავისუფლად არის შესაძლებელი ბინის ქირაობა, თუნდაც საოჯახო სასტუმროში. ამიტომ, ამ მხრივ პრობლემა არ ასებობს.

**– პირველად ხართ საქართველოში?**

– დიახ, პირველად ვარ. საქართველოში შემთხვევით მოვხვდი. მივიღე მოწვევა, რომ მენახა ქვეყანა და მაშინვე შემიყვარდა. გულახდილად რომ ვთქვა, კავკასია სახიფათო რეგიონია, თუმცა საქართველოში ყოფნა ნამდვილად უსაფრთხოა. როდესაც გავიგე, თუ რა კანონები და წესებია საქართველოში, აქ გადმოსვლაზეც კი ვიფიქრე. ანაკლია მგონია ის ადგილი, რომელიც შექმნილია სპეციალურად ჩვენთვის, თითქოს ყველაფერი წინასწარ მოამზადეს.

**– როდის ჩატარდა პირველად ეს ღონისძიება და მასშტაბური როდიდან გახდა?**

– ისტორიულად პირველი პროექტი 1993 წელს ჩატარდა, როდესაც ზღვის პირას შევიკრიბეთ მეგობრები და ნაცნობები, იყვნენ მუსიკოსებიც. ყველა ძალიან კარგად გრძნობდა თავს. მასშტაბური სახე მიეცა, როცა გადმომცეს რეაქტორის გასაღები. ამის შემდეგ გამომივიდა და შევქმენი პირველი გლობალური ივენთი. იმ დროისათვის ეს სიგიჟეს ჰგავდა, რადგან ელექტრონული მუსიკაც არ იყო პოპულარული. ეს იყო სერიოზული რეზონანსი მუსიკალურ სამყაროში, რომელმაც ყურადღება მიიპყრო. მსოფლიოში. 5 წლის განმავლობაში ჩვენ შეგვექმნა სერიოზული რეპუტაცია, შეგვეძლო აგვერჩია საუკეთესო მუსიკოსები და მიგვეცა მათთვის საშუალება, გაემართათ საკუთარი კონცერტი. ამან გაზარდა კონკურენცია და ხარისხი. იყო დრო, როდესაც ხმები დადიოდა, თითქოს ეს რუსული პროექტია. მეცინებოდა ამაზე, მაგრამ ვრწმუნდებოდი, რომ ყურადღების ცენტრში ვიყავით. მე უნდა მესწავლებინა მსმენელებისთვის გასართობი მუსიკის იდეოლოგია. მუსიკა, რომელიც არ არის დინამიკური, არ შეიძლება, ჰქონდეს რაიმე ფუნდამენტური ხასიათი. „კაზანტიპი" ეს არის იდეოლოგია, ტრადიცია. ეს არის ძალიან მაგარი ივენთი, რომელიც აერთიანებს და აახლოებს უამრავ ადამიანს.

**– რა მოლოდინი გაქვთ წლევადელი ღონისძიებიდან? როგორ ფიქრობთ, გაამართლებს ანაკლია თქვენს იმედებს?**

– მე ვაცნობიერებდი ყველანაირ პასუხისმგებლობას, როცა მივიღე გადაწყვეტილება, ღონისძიება ჩატარებულიყო საქართველოში. ვაანალიზებდი მის შეუთავსებლობას გარკვეულ ტრადიციებთან და ასე შემდეგ. მე კარგად მესმის ასევე, ორგანიზების ყველანაირი სირთულე. თუმცა, მზად ვარ მათ გადასალახად და იმის საჩვენებლად, რაც 22 წლის განმავლობაში ვისწავლეთ. ვფიქრობ, „კაზანტიპთან" დაკავშირებით შეხედულებები შეიცვლება და გახდება უკეთესი. მოდი, ვნახოთ, რა იქნება. ვიცი, რომ სხვადასხვა წარმოდგენა არსებობს ამ ღონისძიებაზე და ბევრიც მისეულ ვერსიას ყვება. გავაგრძელოთ სიცილი და ეს ვაქციოთ მსოფლიო დღესასწაულად. ამას ვერ შევძლებთ მარტო, ეს უნდა გაკეთდეს გუნდურად. მიმაჩნია, რომ შევქმნით რაღაც ახალს. თუ ქართველები არ მიგვიღებენ, ეს არ იქნაბა პრობლემა. მეტი გავიღიმოთ და დავტკბეთ ცხოვრებით. მოკლედ, „კაზანტიპი" ეს არის ურთიერთობა, როდესაც შენ იქ მიდიხარ, იღებ დადებით ენერგიას ისეთი დოზით, რომ არ გტოვებს არასდროს. რაც მთავარია, დღესასწაული უკვე მზადაა. რომ ვილაპარაკოთ მოლოდინებზე, ისინი უცნაურია, თუმცა მოვლენებს წინ არ გავასწრებ.

**– როდესაც უკრაინაში მდგომარეობა დარეგულირდება, საქართველო აღარ უმასპინძლებს „კაზანტიპს"?**

– ჩვენ გავხდით პოლიტიკური მოვლენების ტყვეები. მომავალ პერსპექტივაში ვერ ვხედავ, რომ უკრაინა გახდება ისევ აქტიური. საერთოდ, მინდა, მშვიდობა ვუსურვო ამ ქვეყანას. მე ძალიან მიყვარს უკრაინა, თუმცა ჩვენი იქ დაბრუნება გრძელვადიანი პერსპექტივაა.

**ეთო ხურციძე**

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინდოელი სტუდენტი და სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი, 24 წლის კშიტიჯ კუმარი, ძალიან საინტერესო რესპონდენტი აღმოჩნდა. ჩემი მისდამი ინტერესი უპირველეს ყოვლისა სკაიპში მისმა სტატუსმა გამოიწვია, რომელიც, არც მეტი და არც ნაკლები ასე ჟღერს: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!"**

# როგორ მოიხიბლა ინდოელი კშიტიჯ კუმარი მეგრული ქორწილით და რას ფიქრობს ის ქართველ გოგოებზე

**– კშიტიჯ, სადაური ხარ და რას საქმიანობ საქართველოში ამჟამად?**

– მე ინდოეთიდან ვარ. აქ თბილისის სახელმწიფო სამედიციონო უნივერსიტეტიში ვსწავლობ, უკვე მეექვსე კურსზე ვარ.

**– საქართველოში როგორ მოხვდი?**

– საქართველო ინტერნეტის საშუალებით აღმოვაჩინე, სკოლა რომ დავამთავრე მაშინ ვიპოვე. მინდოდა, სადმე უცხო ქვეყანაში წავსულიყავი სასწავლებლად და ამ ძებნაში ვიპოვე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერიტეტი. გავარკვიე ჩემთვის საინტერესო ყველა ინფორმაცია, გავიგე, რომ კარგი უნივერსიტეტია, კარგი პროფესიები ისწავლება და სწავლაც მაღალ დონეზე მიმდინარეობს. ინფორმაცია უტყუარი აღმოჩნდა. ნამდვილად კარგი უნივერსიტეტია და კარგი პროფესორები არიან აქ.

**– როგორც შევიტყვე, აქტიური სტუდენტი ხარ.**

– დიდ ყურადღებას ვუთმობ სწავლას, მეცადინეობასა და დისციპლინას. ვარ სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი.

**– სამედიცინო უნივერსიტეტის ინდოელი სტუდენტების თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი?**

– დიახ. მე, ზოგადად, უცხოეთის თემაზე ვმუშაობ და არა მხოლოდ ინდოეთის. დღესდღეობით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 41 ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტები სწავლობენ და ეს ცოტა არაა. სულ 1 800 უცხოელი სტუდენტია. ჩემ გარდა კიდევ 2 ვიცე-პრეზიდენტია ამ უნივერსიტეტში, სულ სამნი ვართ.

**– რამდენი ინდოელი სწავლობს თბილისში?**

– ინდოეთიდან დაახლოებით 950-1 000 სტუდენტია ჩამოსული.

**– კარგად გისწავლია ქართული ენა. მშვენივრად მეტყველებ.**

– მადლობა, საქმემ მასწავლა. საქართველოში ქართული საჭიროა კომუნიკაციისათვის. ეს ძალიან კარგად მოსასმენი ენაა. მომწონს ქართული ენა, თუმცა, ბოლომდე კარგად მაინც არ ვიცი – მიჭირს ზოგიერთი თანხმოვნის გამოთქმა.

**– რა იცოდი საქართველოს შესახებ, სანამ აქ ჩამოხვიდოდი? რასაც მოელოდი ის დაგხვდა?**

– მე კარგად არ ვიცნობდი საქართველოს. ინტერნეტიდან მივიღე ძალიან ბევრი ინფორმაცია. სანამ ჩამოვიდოდი, ვფიქრობდი, რომ ცუდ პირობებში არ აღმოვჩენილიყავი, მაგრამ აქ რომ ჩამოვედი, პირიქით, ძალიან მომეწონა საქართველოს კულტურა, ტრადიციები. ძალიან მრავალფეროვანი და ლამაზი ბუნება გაქვთ. ქართველებს რომ აქვთ ისეთი ფოლკლორი და ცეკვა არსად მინახავს. კი არ ცეკვავენ, დაფრინავენ. არ მომბეზრდება ქართული ცეკვის ყურება როგორც ჩაცმულობით, ისე პლასტიკით, მოძრაობებით, შინაარსით.

**– ტრადიციებზე რას მეტყვი, მაგალითად, ქართულ ქორწილში ყოფილხარ?**

– ჩემი მეგობრის ქორწილი იყო გუშინ, სენაკში გადაიხადა. დიდი ქორწილი იყო, 500 კაცი ჰყავდათ დაპატიჟებული. ყველა სტუმარი რიგრიგობით მიდიოდა სიძე-პატარძალთან და ულოცავდა სათითაოდ. ძალიან მომეწონა სუფრა, თამადა, როგორ ერთობა ხალხი ქორწილში, განსაკუთრებით – ნეფე-დედოფლის ცეკვა, მეგრული კერძები ხომ, საერთოდ, ცაკლე საუბრის თემაა.



**ჩვენთან იმართება 500, ხანდახან 700-კაციანი ქორწილებიც, იმიტომ, რომ ნეფე-პატარძლის ოჯახები აკეთებენ ამ დღესასწაულს და ყველანაირ ხარჯს შუაზე იყოფენ**

**– მეგრული ხომ არ ისწავლე?**

– ჯერ ვერა... „მუჭორექ", „წიე" და ერთიორი სიტყვა კი ვიცი, მაგრამ...

**– ინდური ქორწილი როგორია?**

– იქაც ძალიან ტრადიციული ქორწილებია. სამდღიანი ქორწილები ვიცით ინდოეთში.

**– იქაც ბევრ ხალხს ეპატიჟებიან?**

– დიახ, ჩვენთან იმართება 500, ხანდახან 700-კაციანი ქორწილებიც, იმიტომ რომ, ნეფე-პატარძლის ოჯახები აკეთებენ ამ დღესასწაულს და ყველანაირ ხარჯს შუაზე იყოფენ. მეჯვარეები ჩვენთანაც არის, ასევე, გართობა, ცეკვა, სიმღერა და სხვადასხვანაირი კერძები.

**– გამიგონია, რომ, ინდოეთში, თუ გოგო გათხოვებაზე უარს იტყვის, მისი მთხოვნელი, სადედამთილო ან მათი რომელიმე ახლობელი უარის გამო გოგოს მჟავას ასხამს და მთელ ცხოვრებას უმახინჯებსო.**

– ეგ არაა სიმართლე. მე დელიდან ვარ, დედაქალაქიდან, იქ ასეთი არაფერი მოხდება. დელიში ძალიან თანამედროვე ხალხია და, სხვაგან – არ ვიცი. მაგას ვერ დავიჯერებ, თუ ჩემი თვალით არ ვნახე.

**– შენს ინდურ ოჯახზე მიამბე – რამდენნი ხართ, რას საქმიანობენ შენი მშობლები?**

– ორი ძმა მყავს: ერთი უფროსია, მეორე – ჩემზე პატარა. მამა ბიზნესმენია, დედიკო – დიასახლისი.

**– მამას რა ბიზნესი აქვს?**

– მამა სკოლების ინდუსტრიას ფლობს და კიდევ, გრანიტის ბიზნესი აქვს.

**– ალბათ, მამასაც, შენსავით, უცხოეთში აქვს განათლება მიღებული.**

– არა, ინდოეთში.

**– თამადა მომეწონაო, რომ თქვი, ინდოეთშიც იციან თამადა და სადღეგრძელოები?**

– არა, ინდოეთში მაგდენი ხალხი არ იყრის თავს სუფრასთან, მე კი ეს ქართული ტრადიცია ძალიან მომეწონა: საუბრობენ, ყველა ერთმანეთს უსმენს, პატივს სცემს, მანდილოსნების სადღეგრძელოზე ფეხზე წამოდგებიან. ლამაზი ტრადიციაა და, როგორც გავიგე – უძველესიც.

**– ესე იგი, სუფრის წამყვანი, თავი, თქვენთან არ იციან?**

– არა. საერთოდ, დალევა არ არის ჩვენთან ტრადიციული. ამ პერიოდში ან თანამედროვეობაში კი მიირთმევენ სასმელს, მაგრამ, თამადა და ასეთი რამეები არ იციან ინდოეთში.

**– კშიტიჯ, ალბათ, ინდოეთში ყველაზე სასურველ სასიძოდ ითვლები.**

– *(იცინის)* არ მიფიქრია მაგაზე.

**– არ გეუბნებიან მშობლები – შვილო, რომ ჩამოხვალ, ცოლს შეგრთავთო?**

– ჯერჯერობით არა, რადგან, მაგაზე ფიქრი ადრეა. ჯერ სწავლა, მერე მუშაობა და მერეა ეგ თემა. ცოლის შერთვა ჯერ ადრეა.

**– ქართველ გოგოებზე რას მეტყვი?**

– ძალიან კარგი გოგოები არიან ქართველები, საყვარლები, ლამაზები, კეთილები, ზრდილობიანები... რა ვიცი, კიდევ რა ვთქვა, სიტყვები არ მყოფნის *(იცინის)*; რაც მთავარია – პატიოსნები!

**– ინდურ კინოზე გადავიდეთ, რომელიც საქართველოში ბევრს უყვარს. ინდოელ ვარსკვლავზე, აიშვარია რაიზე, მთელი მსოფლიო გიჟდება.**

– ინდოელებს ძალიან გვიყვარს აიშვარია რაი, ის, გარდა მსახიობობისა, თავისი სილამაზითაც არის ცნობილი – აიშვარია რაი ხომ ერთ დროს „მის მსოფლიოც" იყო. ის ჩვენი სიამაყეა.

**– სამზარეულოზეც ვისაუბროთ. მსმენია, რომ ინდოელებს ძალიან უყვართ ცხარე კერძები, ასეა?**

– გააჩნია, რომელი კუთხიდან არიან. სულ 28 შტატისაგან შედგება ინდოეთი და ყველა შტატს თავისი გამორჩეული საკაზმები აქვს. თუმცა, თითქმის ყველგან უყვართ ცხარე საჭმელები, მაგრამ, ჩემს ოჯახში, მაგალითად, ცხარე საჭმელი არასდროს ყოფილა პოპულარული – არ გვიყვარს.

**– ქართულ სამზარეულოზე რას მეტყვი?**

– გემრიელი საჭმელები გაქვთ ქართველებს – საცივი, გოზინაყი, ჩახოხბილი... ბევრი ქართული კერძი გამისინჯავს. ყველაზე მეტად მომწონს ხაჭაპური, ლობიანი, „ოსტრი" და ღომი. სასმელებიდან კახური ღვინო მომეწონა ძალიან.

**– რამდენიმე კითხვას დაგისვამ და, დაუფიქრებლად მიპასუხე, პირველად რა გაგახსენდება ამ კითხვებზე.**

– აბა, ვცადოთ *(იცინის)*...

**– ქართული ცეკვა!**

– აჭარული, სვანური.

**– ყველაზე ცნობილი ქართველი!**

– სამედიცინოს რექტორი – ის არის ყველაზე მაგარი რექტორი *(იცინის)*.

**– ძვირია საქართველოში სწავლა სხვა ქვეყნებთან შეადრებით?**

– ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ ეგ იყო, როდესაც აქ ჩამოვედი. ახლა ასე აღარაა, მაგრამ, სტუდენტების ნაკადი მაინც მოდის საქართველოსკენ. მარტო ინდოეთიდან კი არა, შრი-ლანკიდან, თურქეთიდან, ერაყიდან... ევროპიდანაც ჩამოდიან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სასწავლებლად.

**– ესე იგი, მარტო ფასში არ ყოფილა საქმე. კშიტიჯ, შენი აზრით, რომელია ყველაზე ლამაზი ადგილი საქართველოში?**

– ყველაზე ლამაზია სვანეთი და ყაზბეგი. ექსკურსიით წავედით და ძალიან ვისიამოვნე. ასეთი სილამაზე სხვაგან არსად და არასდროს მინახავს, რა თქმა უნდა, ჩვენი ტაჯმაჰალის შემდეგ *(იცინის)*.

**ეკა სალაღაია**

## ბესიკ ქუთათელაძის გახსენება



ბოლო ათწლეულების ბობოქარმა ისტორიამ საქართველოს თავს უამრავი ქარტეხილი გადაატარა. სწორედ ასეთ ქარტეხილებში ჩანს ხოლმე ადამიანის ნამდვილი რაობა. სწორედ ასეთი ქარტეხილები წარმოაჩენენ სამშობლოსთვის თავდადებულ ჭეშმარიტ გმირებს, რომელთა სახელი რაც დრო გადის მით უფრო დასაფასებელი ხდება შთამომავლობისთვის.

ამ სიტყვების დადამტკიცებელი ფაქტია ის, რომ ახლახან საჩხერის სამთო სკოლას ბესიკ ქუთათელაძის სახელი მიენიჭა. კაცისა რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების სათავეებთან იდგა, კაცისა რომლის პირადი დამსახურებაცაა საჩხერის ბატალიონის შექმნა. ბესიკ ქუთათელაძე თავიდანვე ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში, და იბრძოდა საქართველოსთვის მუდამ თავგანწირულად და მიუკერძოებლად. იბრძოდა იქ, სადაც ქვეყანას ყველაზე მეტად უჭირდა, იბრძოდა სამაჩაბლოში რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ, მაგრამ როდესაც ქართველმა ქართველს ტყვია ესროლა, ბესიკ ქუთათელაძემ ქართველზე ხელის აწევა ვერ შესძლო...

იგი თავის თანამებრძოლებთან ერთდ, გორში ისევ რუსის ტყვიამ იმსხვერპლა. სამარადისო ხსოვნა ბესიკ ქუთათელაძეს და მის მსგავსად სამშობლოსთვის თავდადებულ ყველა ვაჟკაცს!

**მეგობრები**

## ვიქტორ მაღრაძის მონატრება



დედასთან წასვლა იჩქარე, ძმაო, გაგვიადვილე ეს გზა. ჩვენზე არ იფიქრე, რომ სასოწარკვეთილებს გვტოვებდი. არ გვემეტებოდი მიწისთვის, წახვედი იმქვეყნად და დაგვიტოვე დიდი ცრემლი, საფიქრალი და სიცარიელე. უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი. გვიყვარხარ, გვენატრები, გვჯერა, რომ სიზმრებში მოხვალ შენი სამარადისო სასუფევლიდან. გვანუგეშებ, გვაგრძნობინებ შენს უზომო სითბოსა და სიყვარულს. ნათელში იყავი, ძმაო!

**შენი ოჯახი**

## ციცო ბეგლარაშვილის გახსენება



მეორედ მოვიდა შენი დაბადების დღე უშენოდ... მეორე 15 ივლისია, რომელსაც შენ გარეშე, დიდი სინანულით ვხვდებით. დრო ვერ ახუნებს ტკივილს, დრო ვერ გავიწყებს ადამიანებს და, ამიტომაცაა, დღე ისე არ გავა, რომ არ გაგვახსენდე, არ მოგეფეროთ. ვიცით, რომ ამქვეყნიდან აღვლენილი ყველა ლოცვა შენთან მოდის, ყოველი სანთელი გზას გინათებს სასუფეველში... ეს ის იმედია, რაც შენი წასვლის შემდეგ უმსუბუქებს ტკივილს ყველას, ვისაც ძალიან დააკლდი. ამ პატარა წერილს მე ვაწერ ხელს, თუმცა, ჩემს უკან უამრავი ადამიანი დგას – ნანა და ჟანა, ილიკო და კახა, დალი და ლილი, ლელა და ნანა და კიდევ ბევრნი, ისინი, ვისაც შენი სიცოცხლით ცხოვრებას ულამაზებდი; სიკეთეს, იმედს, სიყვარულს ჩუქნიდი... ამიტომაცაა, რომ შენი გახსენება, შენი უძირო და ლამაზი თვალები და შენი თითოეული მანერა, ჩვენთვის კარგად ნაცნობი და მონატრებული, ახლაც ისე გვტკენს და გვიფორიაქებს გულსა და თვალებს, როგორც წელიწად-ნახევრის წინ, იმ ტკივილიან ახალ წელს...

**თამუნა**

## ნიკა სამნიძის მონატრება



ჩვენო საყვარელო ნიკა! ბევრი ტკივილიანი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც უეცრად და ჩუმად ჩაქრა შენი სიცოცხლე, როგორც ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი. მოუშუშებელი ჭრილობა დაგვიტოვე უამრავ ადამიანს; ძალიან გვაკლიხარ, უზომოდ გვენატრები, სიყვარულითა და სიკეთით სავსე ქართველო ვაჟკაცო!

უნივერსიტეტში ჩარიცხვის დღიდან როგორ ველოდებოდით იმ პირველ დღეს, როდესაც სკოლაში სწავლითა და ყოფაქცევით გამორჩეული, სპორტსა და მუსიკაზე უზომოდ შეყვარებული, შენს ახალ მეგობრებს გაიცნობდი, მაგრამ, ის დღე საბედისწერო აღმოჩნდა და ტრაგიკულმა სიკვდილმა ყველაფერი ხელიდან გამოგვაცალა.

გვენატრები, უსაზღვროდ გვიჭირს უშენობა. ვილოცებთ, რომ ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გზა გაგინათოს და სიმშვიდე დაუმკვიდროს შენს სულს მარადიულ სასუფეველში.

**ოჯახი**

## ქალბატონ მარინა ალექსაშვილის ხსოვნას!

*„სიკვდილო, კარგის მოკვლისთვის,*
*ნეტავ ვინ გეტყვის ქებასა...“*

დიდია სამყარო, დიდი და ამოუცნობი. ადამიანი ახელს თვალებს და ბინდი იწმინდება; ამოუცნობი ფერი ნათდება და იკვეთება, მისი ნამდვილი მნიშვნელობა კი არავინ იცის, დიახ, არავინ! ეს არის – მოკლე წუთისოფელი.

ჩვენი სამყაროს ზეცა კიდევ დიდხანს იქნება დაფარული მტირალა ღრუბლებით, რადგან ბევრ კარგ ადამიანს კარგავს დედამიწა და სწორედ ერთ-ერთი ასეთი ადამიანი იყო მარინა ალექსაშვილი, რომელსაც ჰქონდა საოცარი სიყვარულის უნარი, იცხოვრა პატიოსნად, იყო ძალიან ერთგული და შეყვარებული თავის ოჯახზე. მისი სიკვდილით გამოწვეულმა ტკივილმა ძალიან ბევრი ცრემლი დატოვა გულებში, რომელიც მერე მონატრებაში გადავა, გაუსაძლის მონატრებაში, აი, ისეთში, სისხლი რომ გაეყინება ადამიანს, საყვარელი ადამიანის სახე მოენატრება და ვერ დაკმაყოფილდება.

ახლა თქვენ სულ გარეთ ხართ და მუდმივად გაწვიმთ... გაწვიმთ... ნეტა შეიძლებოდეს მოშველება, რომ გამოჰყვეს ადამიანი ამ საწვიმარ ღრუბელს და თქვენთან ჩამოიშლებოდეს, თქვენ სითბოს იგრძნობდით!

თქვენ თქვენი ღირსება თქვენი ცხოვრებით გამოხატეთ და ეს ღირსებები სიკეთედ გადაიქცა.

ძნელია, არ გაგიხსენოთ და არ მეთქვა სიტყვა მოგონების, რომელიც ძალიან მშფოთვარეა და, სწორედ რომ, წრფელი და სევდიანია ჩემი თითოეული სიტყვა, თქვენ მიმართ მოძღვნილი.

თქვენმა ტკივილიანმა გახსენებამ ასე მოახდინა და მოირგო დაუვიწყარის სახელი, ამიტომ, შექსპირის სიტყვებს დავამატებ:

*„მე არ ვიკადრებ, შეგადარო ზაფხულის ფერებს,*
*შენი ხატება მეტად ნაზი, ზომიერია,*
*გასხივოსნებულს თვით სიკვდილის ვერგ ზით დაგრჩდილავს*
*და მძლავრ სტროფებში ეგ მშვენება მუდამ დარჩება,*
*სანამ კი ძალუძთ ძეხორციელთ მშვიდად ისუნთქონ,*
*ჩემს მძლავრ ლექსებსაც შეუძლიათ, გაგაუკვდავონ“.*

**დიდი პატივისცემით –**
**იზაბელა მღვდელაძე**

**მსახიობ დათო დარჩიას ცხოველებთან ურთიერთობა, არცთუ ისე სასიამოვნო ფაქტებს უკავშირდება და რომ არა, მისი ქალიშვილის დაჟინებული თხოვნა, გადაწყვეტილი ჰქონდა, სახლში ოთხფეხა აღარ გაეჭაჭანებინა. თუმცა, ახლა მას ორი წლის დეზი ჰყავს, რომელსაც მოფერებით დეზდემონას ეძახის და მასთან ურთიერთობა დიდ სიამოვნებას ანიჭებს. თუ რატომ ვერ აიტანა მან ტიბეტური მეცხვარის ჯიშის ძაღლი სახლში, ვინ დაუტოვა ფეხზე საკმაოდ დიდი ნაიარევი და რატომ უნდა შავი კოკერსპანიერების ყოლა, ამაზე თავად გიამბობთ.**

# როგორ გადაურჩა დაჭერას ლონდონელი „დეზის" გამო დათო დარჩია და რატომ ვერ ეტევა აკვარიუმში მისი თევზი „მაილი"

**დათო დარჩია:** ბავშვობაში, საკუთარ სახლში ვცხოვრობდით. მამამ „ავჩარკის" ჯიშის ძაღლი მოიყვანა და ის განცდა ახლაც მახსოვს. რექსი ერქვა და უსაყვარლესი ვინმე იყო – რადარცნაირად „დასტოინი". კარზე კი ეწერა: „ეზოში ავი ძაღლიაო", მაგრამ ასეთი ნამდვილად არ იყო. თუმცა, არ დამავიწყდება, სადღაც ვიყავით წასული და ვილაცეები შესულან ეზოში. რექსიმ კი შეუშვა ისინი, მაგრამ უკან აღარ გამოუშვა და დაატყვევა, სანამ მამა არ მივიდა. ეზოში გარგარი გვედგა და იმათ თავი უმართლებიათ, ამის საჭმელად შემოვედითო. მაგრამ, ფაქტია, შეიპარნენ და რექსი რომ არა, ვინ იცის, რას წაიღებდნენ სახლიდან.

ეს ძაღლი რომ მოკვდა, ის ტრაგედია ცუდად ჩამრჩა. მაშინ ვთქვი, ძაღლი სახლში აღარ მეყოლება-მეთქი და ამ სიტყვას ვასრულებდი.

**– მერე, რატომ გადაიფიქრე?**

– შვილმა, ელენიკომ ისე დაიჟინა, ძაღლი მიყიდეთო, უარი ველარ ვუთხარით. არადა ვიცი, როგორი მოვლა უნდა, სეირნობა, ჭამა, ბანაობა, აცრები და ამისთვის სად მცალია?! ელენიკომ დაგვარწმუნა, მე მოვუვლიო, წავიდა მაღაზიაში და იყიდა სამას ლარად ულამაზესი დეზი. ისე შემაყვარა თავი, ვერ წარმოიდგენთ. სხვათა შორის, დეზი ინგლისელია, დედ-მამა ბონი და კელი ჰყავს და ლონდონური მანერები აქვს *(იცინის).* ჯერ ჩემს გვარს არ ატარებს, პასპორტში დარჩია არ უწერია. მე არ ვაძლევ ჩემს გვარს. რომ გათხოვდება, ატაროს, ბატონო, იმისი გვარი. დეზი გოგოა და დეზდემონასავით იპრანჭება ხოლმე. ამიტომ, ხანდახან მოფერებით დეზდემონასაც ვეძახით.

**– თქვენს დეზდემონას, ოტელოსთან ურთიერთობაში როგორ აქვს საქმე?**

– დეზი ორი წლისაა და თავიდანვე მონდომებული იყო ოტელოებთან ურთიერთობისთვის, ყველას ეკიდებოდა. ახლა კი, რაც წლები მოემატა, ცოტა „დასტოინი" გახდა, თავს იფასებს. თავად მოწითალო ბეწვი აქვს და მინდა, შავ კოკერსპანიელთან შეჯვარდეს, იქნებ შავი ლეკვები გააჩინოს და ლამაზი ზანგების ბაბუა გავხდე *(იცინის).* სხვათა შორის, თევზიც გვყავს აკვარიუმში, მაილი ქვია. სანამ პატარა იყო, ეტეოდა აკვარიუმში, გაიზარდა და გაიჭედა. ახლა 200-ლარიანი აკვარიუმი უნდა და თუ ჩემი მთელი ფული ძაღლისა და თევზის მოვლაში წავიდა, რა ვაჭამო ოჯახს? *(იცინის).*

**– სიმართლე გითხრა, გამიკვირდა, კუდი რომ არ აქვს მოჭრილი. ზოგადად, ამ ჯიშის ძაღლებს კუდი არ აქვთ.**

– რომ მოვიყვანეთ, ორი თვის იყო და მითხრეს, ლონდონში აღარ აჭრიან კუდებს ამ ჯიშის ძაღლებსო. თან, ზაფხული იყო და ვიფიქრე, არ გაუმიზეზდეს-მეთქი. შემეცოდა კიდეც და არ მოვაჭრი. ახლა, ძალიან, მომწონს რომ ალაქუცებს თავის ლამაზ კუდს აქეთ-იქით. ძალიან წყნარი და ჭკვიანია. ისე შეგვაყვარა თავი, ამის მოფერებაში ვართ სულ. არადა, ყველა ძაღლს ვერ ავიტან. მაგალითად, არ დამავიწყდება, ჩემი მეუღლის მეგობარმა დაგვიტოვა ძაღლი, „ჩაო-ჩაო" – ტიბეტური მეცხვარის ჯიშის, სადღაც მივდიოდა და ცოტა ხანი მოუარეთო. არ მესიამოვნა, მაგრამ რაღას ვიზამდი. მთელი ღამე არ დამაძინა, ისე ხვრინავდა. ეს ავიტანე, მაგრამ აშკარად ვგრძნობდი, ჩემი ცოლის გარდა, ვერავის გვიტანდა. მე ხომ საერთოდ, ვერ მოუვედი თვალში. მოკლედ, ბიჭები მყავდა სახლში, დგას ეს ძაღლი და გვიყურებს. დავუყვირე, გადი-მეთქი, შემომიღრინა. მეც არ დავუთმე, ვის უღრენ შენ-მეთქი და ხელი ავუქნიე. უკან დაიხია, ვიფიქრე, შეეშინდა-მეთქი და მოვეშვი. თურმე, ასე იციან ამ ჯიშის ძაღლებმა, უკან იხევენ, რომ „აკრიფონ" და გამოქანდნენ. ეს ნაძირალა არ გამოვარდა მეცა ფეხზე? ისე ჩამასო კბილები ფეხში და მიკბინა, ახლაც „შრამი" მაქვს. ისე გავმწარდი და გავცხოველდი, ვიფიქრე, ახლა ამას შევჭამ-მეთქი, მაგრამ გადამირჩა. დამიჯერეთ, რომ არ დაენებებინა თავი დროზე, იქით შევჭამდი. არადა, მაშინ ისეთი დრო იყო, „შმოტკების" შოვნა ჭი-



მეგობარმა დაგვიტოვა ძაღლი, „ჩაო-ჩაო" – ტიბეტური მეცხვარის ჯიშის. მთელი ღამე არ დამაძინა, ისე ხვრინავდა

რდა. ახალი ამერიკული შავი „ლევისები" მქონდა ნაყიდი და ისე დავდიოდი, მიწაზე ფეხს არ ვადგამდი, არ დამესვაროს-მეთქი. იმ საზიზღარმა, არ გამომიბრდღვნა? ისე დავსაჯე, მტრისას, მაგრად მოხვდა. ერთი კვირა, ჩემი მონა იყო, რასაც ვეუბნებოდი მიჯერებდა. მერე, ისევ ღრენა დამიწყო. ვიფიქრე, ახლა, ამასათან თუ კიდევ ჭიდაობა მომიწია, სად მაქვს ნერვები-მეთქი, გავაღე კარი და გავაბრძანე გარეთ.

**– მერე, რა პასუხი გაეცი მის პატრონს, როცა აღარ დახვდა ციმ-ციმ ჩაბარებული ძაღლი?**

– უნდა გენახათ, ვითომ როგორ ვინერვიულე *(იცინის).* ვაიმე, როგორ გაიპარა, ეს რა დაგვემართა-მეთქი. გამოცხადდა საყოველთაო ძებნა და იპოვეს. აი, მაშინ კი ვთქვი, აქ აღარ დავინახო-მეთქი. რა ვქნა, ვერ შევიყვარე და ვერც იმან შემიყვარა. ვერ ვიტან ისეთ ძაღლებს, ტვინში რომ „უჭირთ". აი, დეზის, სხვანაირად უჭირს – მხიარულია. მირჩევნია, ასე უჭირდეს და არც ღამით ხვრინავდეს, არც იღრინებოდეს, არც შარვლებს მიბრდღვნიდეს და არც „შრამებს" მიტოვებდეს. ერთი მეგობარი მყავს, არაფრის ეშინია – ომში წავა, ტანკს დაუწვება, მაგრამ ძაღლების ეშინია. აი, დეზი ერთადერთი ძაღლია, რომელსაც ეფერება და არ ეშინია. არ დამავიწყდება, ერთხელ ნასვამი ვიყავი. ღამე იყო, გამახსენდა, რაღაცეების ყიდვა მინდოდა, თან ვიფიქრე, გავისეირნებთ-მეთქი. ელენე, მე და დეზი წავედით. ყაზბეგის გამზირის მეორე მხარეს უნდა გადავსულიყავით, უცებ გავარდა დეზი და არ გადაუარა დიდმა მანქანამ? აი, დამიჯერეთ, მაშინვე გამოვფხიზლდი. სამჯერ გადაუარა საწყალს და ვიფიქრე, დავილუპემეთქი, მაგრამ წამოხტა და შიშისგან გავარდა. სამი საათი ვეძებეთ და ვერ ვიპოვეთ. ლაპალუპით ჩამოდიოდა ცრემლი ამხელა კაცს. ეს ნამდვილი კოშმარი იყო. თან, გიჟივით ვიგინებოდი, ვყვიროდი, პოლიციაც კი მოვიდა. რაღას ვიზამდით, დავბრუნდით სახლში და ეზოში არ დაგვხვდა! საწყალი დასისხლიანებული იყო, თვალებიდან სისხლი მოსდიოდა. გავაქცუნეთ ექიმთან და ვუმკურნალეთ. მოკლედ, დაჭერასაც გადავურჩი და კარგი გვარიანი სტრესიც მივიღე დეზის გამო.

**– ერთ-ერთ ფილმში, ცხენზე ზიხარ და საკმაოდ კარგი მხედარიც ხარ. ამბობენ, თუ ერთხელ ჩახედა ადამიანმა ცხენს თვალებში, მისი არშეყვარება, შეუძლებელიაო. შენს შემთხვევაშიც ასე იყო?**

– ცხენი ძალიან მიყვარს, რადგან ჩემი პირველი როლი მას უკავშირდება. ხუთი წელი ვიღებდით ფილმს, „წარსულის აჩრდილები", რადგან აფხაზეთის ომს დაემთხვა. ცხენზე მიწევდა ჯდომა და ისე შემიყვარდა ჩემი ცხენი, რეჟისორს ვთხოვდი, არ მინდა „კასკადიორი" თავად შევასრულებ ტრიუკებს-მეთქი. მახსოვს, „ნარკოზა" ერქვა იმ ცხენს, ულამაზესი, მოწითალო ფერის იყო და შუბლი და ფეხები თეთრი ჰქონდა. არაბული იყო და უნდა გენახათ, როგორი დგომა ჰქონდა – აწეული კუდით. ვამაყობდი, რა მაგარი ვარ, ერთხელაც არ გადმოვვარდნილვარ ცხენიდან-მეთქი. არადა, ამბობენ, თუ ცხენმა ერთხელ მაინც არ გადმოგაგდო, კარგი ცხენოსანი ვერ იქნებიო. ერთ დღეს, ისეთი გადმომოვვარდი, ცხენოსნობას კი არა, კინაღამ სიცოცხლეს გამოვესალმე.

**– ნარკოზამ გიღალატა?**

– არა, ნარკოზამ კი არ მიღალატა, მოიპარეს და სხვა ცხენი მოიყვანეს. თან ბოლო კადრს ვიღებდით და თქვეს, მიაგავს ნარკოზას და ვერ მიხვდებიან, ის რომ არ არისო. მაგრად „გამიტყდა", მაგრამ რაღას ვიზამდი? შევჯექი, მაგრამ უზანგებში ფეხი არ გავყავი, მუხლებით ვიჭერდი თავს. სწრაფად გავარდა წინ, ვეცი ფაფარზე, მოვქაჩე, ჩავეჭიდე, სულ გადაირია და გაცოფდა. წინ დიდი ხრამი იყო და მივხვდი, წამებში უნდა მეაზროვნა. რაღაც მოძრაობა გავაკეთე, გადმოვხტი და ისე დავეხეთქე, ძლივს ამაყენეს. ცალი თვალით ვერ ვხედავდი, ვიფიქრე, დავბრმავდი-მეთქი, მაგრამ მინა მქონია შეყრილი. კოჭი კი ისე მტკიოდა, ვიფიქრე, ეტყობა მყესი დამეჭიმა-მეთქი და რომ დავხედე, სულ გადავირიე, ისე მქონდა მოტეხილი, ძვალი იყო გამოჩრილი კანიდან. მოკლედ, ძალიან კი დავილეწე, მაგრამ ბიჭებმა დამაიმედეს, შენ დღეიდან ნამდვილი ცხენოსანი ხარო *(იცინის).*

**ნონა დათეშიძე**

**უკვე წლებია, ია ფარულავას ირგვლივ ინტერესი არ ნელდება და მაყურებელი ყოველთვის ელის მის გამოჩენას ეკრანზე. მართალია ამჯერად იას პრესასთან ურთიერთობაში ტაიმაუტი აქვს აღებული, მაგრამ ინტერვიუ შედგა და მადლობა მას ამისთვის. ჩვენი რესპონდენტის ახალი წამოწყება, საკუთარ თავზე ექსპერიმენტია, სახელწოდებით – მინუს 15 წელი. როგორ გეგმავს ია 15 წლით გაახალგაზრდავებას და რა მეთოდებს მიმართავს ის საბოლოო ეფექტის მისაღებად, ამას უკვე მისივე ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რატომ თქვა ია ფარულავამ უარი მეზოთერაპიაზე და როგორ გეგმავს ის 15 წლით გაახალგაზრდავებას

**– ია, ძალიან კარგად გამოიყურები. რამე ახალი მეთოდი შეიმუშავე ამისთვის? „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე სტატუსიც დადე ცოტა ხნის წინ, სადაც წერ: „ვაბრუნებ დროს, მინუს 15 წელი, – ექსპერიმენტი დაწყებულია საკუთარ თავზე."**

– პლუს 5 კილო ვიყავი თუ მინუს 10 კილო, ყოველთვის მეუბნებოდნენ, რა კარგად გამოიყურებიო. მიუხედავად ამისა, იყო პერიოდი, როცა არ მომწონდა საკუთარი გარეგნობა. იმ კატეგორიას ნამდვილად არ მივეკუთვნები, რომლებიც ღამე მაკარონში ჩახეხილ ყველს მიირთმევს. ენდოკრინოლოგიული პრობლემები მქონდა, რომელიც ძალიან მაწვალებდა და არ მაძლევდა საშუალებას, წონაში დამეკლო.

შეიძლება, ვინმეს მოეჩვენოს, რომ 15 კილო მაქვს დაკლებული, მაგრამ რეალურად, დავიკელი 5 კილოგრამი. თავდაპირველად, ძალიან გამიჭირდა, თვე-ნახევარი სახლიდან ვერ გამოვდიოდი სიმწრისგან და ლოგინში ვეგდე. დიეტის გამო, ცენტრალური ნერვული სისტემა გაღიზიანებული მქონდა. მერე კი ორგანიზმიც შეეჩვია. მართალია, წონაში დავიკელი, მაგრამ ეს საბოლოო შედეგი ნამდვილად არ არის. წონა, რაც მინდა, რომ მქონდეს, ეს არის 67 კილოგრამი. სიმართლე გითხრა, არ ვიწონები, მე ვუყურებ, ტანსაცმელი როგორ მაქვს. გარდერობში, „რობერტო კავალის" ჯინსის შარვალი მაქვს. თუ იმაში ჩავეტიე, მართლა არ მაინტერესებს, რამდენი კილო ვიქნები. ასევე, სახლის პირობებში დავიწყე ვარჯიში. სპორტულ მაღაზიაში ვიყიდე სატრენაჟორო ველოსიპედი. ყველაფერი ძალიან მარტივია, დილას რომ ადგები, დალევ ყავას, მოიფეისბუქებ, მერე დაჯდები ველოსიპედზე, სამიანზე დააყენებ და ატრიალე და ატრიალე, თან უყურე ნიუსებს. ერთი საათი სავსებით საკმარისია, მერე ჩაიცვი და სადაც გინდა, იქ წადი. ძალიან ადვილია. გარდა ამისა სიარული დავიწყე იოგას კერძო გაკვეთილებზე. ძალიან მაგარი პედაგოგი მყავს, ახალგაზრდა ინდოელი ბიჭი – ვივეკი.

მოკლედ, ჩემი მინუს 15 წელი ნიშნავს იმას, რომ უნდა გამოვიყურებოდე ისე, ვითომ 32 წლის ვარ. ამ ყველაფერში კი, როგორც უკვე გითხარი, მეხმარება ვარჯიში, იოგა და კალორიების თვლა.

**– რაც შეეხება სხვა პროცედურებს?**

– ორი აზრი არ არსებობს, რომ ყველა ცივილიზებულმა ქალბატონმა თვეში ერთხელ სახე უნდა გაიწმინდოს მაღალკვალიფიციურ კოსმეტოლოგთან. ნუ მიანდობთ სახის კანს ვიღაცა ბონძლს. გარდა ამისა, ვიტარებ ლაზერულ პროცედურებს, რომელსაც ჰქვია ტრიაქტივი. რაც ასაკში შედიხარ, ნერვები უფრო გიფუჭდება და უკვე აღარ შემიძლია, ეს ნემსები და მეზოთერაპია. ამიტომ, ყველანაირი ნემსების გაკეთებას დავანებე თავი ჩემს ლამაზ სახეზე და გადავედი ტრიაქტივის პროცედურებზე, რომელიც ლაზერით, უმტკივნეულოდ კეთდება და ნახევარსაათიან პროცედურას ყოველ კვირას ვიკეთებ. სახის კანი გამილამაზდა, შეშუპებები მომეხსნა და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერთან ერთად, ვიყენებ მაღალი ხარისხის კრემებს. ჩემი ქმარი ჩემზე 10 წლით უმცროსია და მე ვალდებული ვარ, კარგად გამოვიყურებოდე.

**– ანუ, როცა მინუს 15 წელს შეასრულებ, ტარიელი 10 წლით პატარა კი არა, უკვე 5 წლით დიდი იქნება შენზე. კიდევ რა არის საჭირო მინუს 15 წლის მოსაპოვებლად?**

– ადრე ვიძინებ, ვცდილობ, შუადღესაც ცოტა წავუძინო. ყავას დღეში მხოლოდ ერთ ფინჯანს ვსვამ დილაობით. სიგარეტს მაინც ვეწევი, მაგრამ დღეში მხოლოდ 6 ღერს ოთხი საათის შემდეგ. ამავე დროს გავხდი ვეგეტარიანელი, ყველანაირი ხორცი ამოვიღე მენიუდან, თევზსაც კი ველარ ვეკარები. გადავედი ჯანსაღ კვებაზე. ეს არის ბოსტნეული, ხილი. აღმოვაჩინე ერთი ძალიან მაგარი სუნელი, რომელიც საოცარი თვისებებით არის გაჯერებული. ეს არის კურკუმა. ის ერთადერთი სუნელია, რომელსაც აქვს 100-პროცენტიანი ანტიკანცეროგენური თვისებები, ანუ პირდაპირი გაგებით კლავს კიბოს უჯრედებს. ეს დამტკიცებულია. ცოტა მომწარო გემო აქვს და ყვითელი ფერისაა, მაგრამ ყველაფერს უხდება. ზამთარში ჩემი ჯინჯერი, ლიმონი და თაფლი, ეს ცნობილი იყო, მთელი ოთხი წელი მაგას ვსვამდი დღის შოუს ეთერში. წყალსაც ვსვამ საკმაოდ ბევრს. შაქარი ამოვიღე საერთოდ. ტორტის გიჟი ვიყავი, მაგრამ ახლა საერთოდ აღარ ვჭამ. შეიძლება, სადმე თუ ვარ, ერთი კოვზი გავსინჯო. ეს იმიტომ კი არა, რომ მაგარი გოგო ვარ. ექიმებმა ამიკრძალეს. მე თუ შაქარი ვჭამე, დიაბეტს ავიკიდებ. ამიტომ, შაქარზე უარი ვთქვი. არ ვჭამ ასევე, ჩვეულებრივ მარილს. ამერიკიდან ვიწერ სპეციალურად კელტურ მარილს, რომელიც ცოტა მუქი ფერისაა. უარი ვთქვი ცომეულზეც, რომელიც შეიძლება, მჭადით ჩავანაცვლო. ამ ყველაფერს ზეპირად კი არ ვაკეთებ, თეორიულადაც მზად ვარ, უამრავ ლიტერატურას ვკითხულობ, ვეცნობი ამერიკულ და ევროპულ სტატიებს. მულტივიტამინსაც ვსვამ. ვიღებ მაგნეზიუმსა და ცელენიუმს თხევადი სახით, ასევე კალციუმს. დილაობით ძალიან მიყვარს მარგის ფაფის ჭამა. ვჭამ ბევრ მწვანილს. კუსკუსის სალათი მიყვარს ძალიან. საერთოდ სალათები მიყვარს ძალიან. ყველაზე საშინელება რა არის იცი? ეს ჩემი ქმარი ვერ დავიყოლიე, ღორის მწვადებზეა გადასული. ამდენი ხორცი არ შეიძლება.



**ძალიან მაგარი სუნელი – კურკუმა აღმოვაჩინე, რომელიც საოცარი თვისებებით არის გაჯერებული. ის ერთადერთი სუნელია, რომელსაც აქვს 100-პროცენტიანი ანტიკანცეროგენური თვისებები, ანუ პირდაპირი გაგებით, კლავს კიბოს უჯრედებს**

სხვათა შორის, რაც შინაგანი სულიერი სიმშვიდის მოპოვებაში ძალიან მეხმარება, ეს არის გულიდან ამოსული ლოცვა. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ლოცვის დროს სტრესი გეხსნება. ამას გარდა, საღამოობით სახლში ბახს ვუსმენ. საღამოობით დავსვამ ტარიელს, ჩემს მეუღლეს და ვეუბნები, ბახი დამიკრას. ის უკრავს, მე კი ვუსმენ. აბა, მითხარი, რომელი ტუსოვკა ან სიტუაცია შეცვლის ამ მდგომარეობას? აი, ეს არის ის ყველაფერი, რაც განტვირთვაში მეხმარება. აღარ ვურთიერთობ ნეგატიურ ხალხთან. კიდევ რა... არასოდეს დავთანხმდები ისეთ სამსახურში მუშაობას, სადაც ნეგატიური გარემოა. ჩემს ცხოვრებაში ყოფილა ასეთი სამსახურები, მაგრამ აღარ დავთანხმდები, არავითარ შემთხვევაში.

**– „ნიჭიერის" ახალი სეზონი დაიწყება მალე, ჟიურის წევრებს შორის თუ იქნები კვლავ? ამას იმიტომ გეკითხები, რომ „ნიჭიერი" შენ გარეშე უკვე წარმოუდგენელია.**

– ყველა ასე ამბობს. მეც დარწმუნებული ვარ, რომ ჟიურიში ვიქნები, მთავარია იყოს „ნიჭიერი."

**– ისევ მინუს 15 წელს დავუბრუნდები. როდის უნდა ველოდოთ ფინალურ ეტაპს?**

– პროგრამა უკვე დაწყებულია. ჩემთვის ყველაზე მაგარი იყო ორი კომპლიმენტი. ჩემმა იოგას ინსტრუქტორმა, რომელიც რუშიკეშიდან არის, ვკითხე რამდენი წლის ვიქნები-მეთქი. არ მინდა, გაწყენინო და ცოტა მეტს ვიტყვი, ალბათ 35 წლის იქნებიო, მიპასუხა. ეს ჩემთვის დიდი კომპლიმენტი იყო. მეორე კომპლიმენტს რაც შეეხება, მეგობართან ვიყავი ერთ-ერთ მაღაზიაში სტუმრად, სადაც აზერბაიჯანელი მამაკაცი შემოვიდა ქართველ ქალბატონთან ერთად, რომელმაც ჩემი თავი წარუდგინა, ეს ჩვენი ვარსკვლავია, გაიცანითო. ეს კაცი „კაგებეს" ყოფილი გენერალი იყო, რომელიც არ უნდა მოტყუვდეს. რა კარგად გამოიყურებითო, რომ მითხრა, რამდენი წლის ვიქნები-მეთქი, იმასაც ვკითხე. მიპასუხა 32-ისო. „კაგებეს" გენერალიც მოვატყუე და მეტი რა ვქნა? ახლა ისღა დამრჩენია, ჩემი თავიც მოვატყუო.

**– როგორია ზაფხულის გეგმები?**

– შოუში წავალ ერთი კვირით, სადაც კოტეჯი მელოდება. მერე შეიძლება, გერმანიაში წავიდეთ მე და ტარიელი. შეიძლება, იტალიაშიც წავიდეთ ერთი კვირით, არ ვიცი. რომ გითხრა, დასვენება დიდად მიყვარს-მეთქი, არა, ხუთ დღეზე მეტი ვერსად ვჩერდები. არ ვიცი, რატომ, მაგრამ თბილისში მიწევს გული. არ ვიცი, რამდენად გამოგვივა, მაგრამ მე და ტარიელს გვაქვს ერთი ძალიან ამბიციური პროექტი. სექტემბრიდან საქართველოს პატარ-პატარა ქალაქებში კონცერტების გამართვა გვინდა. ჩვენი მიზანი იქნება მსმენელს, განსაკუთრებით ბავშვებს, კლასიკური გიტარა შევაყვაროთ. ქალაქებში ყანჩელის საათი და 15-წუთიანი პროგრამით ჩავალთ. მე ამ საღამოების წამყვანი ვიქნები. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ხალხი ასეთ კონცერტებზე ივლის. ხალხის მოზიდვა ცოტა რთული იქნება, მაგრამ პირველ კონცერტს ვგეგმავთ გორში და ვნახოთ, რა იქნება.

**– ხალხს ია მოიზიდავს.**

– ხალხს ია მოიზიდავს და მერე ტარიელი რომ დაუკრავს, მიხვდებიან, რომ საოცრებასთან აქვთ საქმე. ეს ბიჭი მართლა გენიოსია და როგორც ნამდვილ გენიოსს, ძალიან ვუფრთხილდები.

**– ძალას აძლევ მას.**

– რა თქმა უნდა.

**მარიკა ხიდურელი**

# ბრძნული აზრები

**ლაროშფუკო**: არსებობს ცუდი თვისებები, რომელთა ერთობლიობაც დასაბამს აძლევს დიდ ნიჭს.

**ავრელიუსი**: ბიწი საერთოდ ვერ ვნებს სამყაროს, ერთი ნაწილის ბიწიერება კი – მეორე ნაწილს, რადგან, თუ ვნებს, მხოლოდ მას, ვისაც ძალუძს თავი დაიხსნას ბიწისგან, თუკი ისურვებს.

**მოცარტი**: ღმერთის შემდეგ მამა მოდის.

**ტოლსტოი**: რა არასასიამოვნოა სხვებისთვის მრისხანება და, უარესია, მისთვის ვინც განიცდის, რადგან ის, რაც მრისხანებაშია დაწყებული, სირცხვილით მთავრდება.

**საადი**: ის, ვინც რჩევებში მზეა და ომში – ლომი, გონებით იმორჩილებს მრისხანებას თავისას.

**სუხომლინსკი**: შვილის აღზრდის დროს, განამტკიცებ რა შენს ადამიანურ ღირსებას, საკუთარ თავსაც აღზრდი.

**რუსო**: იცით, რა არის ყველაზე ნამდვილი მეთოდი, რომ თქვენი ბავშვი უბედური იყოს? მიაჩვიოთ იმას, რომ არაფერზე უარი არ უთხრან.

**ბალზაკი**: არსებობისთვის ბრძოლა და ერთმანეთის სიძულვილი – ესაა ერთადერთი რამ, რაც ადამიანებს აკავშირებს.

**ესქილე**: ბრძენი ის არის, ვინც იცის საჭირო და არა ბევრი.

**ციცერონი**: სიბერეში ისე არაფერს უნდა მოვერიდოთ, როგორც სიზარმაცესა და უსაქმურობას.

**კამიუ**: სიბერე გრძნობიდან თანაგრძნობაზე გადასვლას ნიშნავს.

**კონფუცი**: წვრილმანებში თავშეუკავებლობას დიდი საქმის დაღუპვა შეუძლია.

**ჰიუგო**: სამშობლოს შერცხვენა მისი გაცემის ტოლფასია.

**პლატონი**: სამშობლოს უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე მშობლებს.

**ბრეხტი**: ხელოვნება უნდა იყოს აღზრდის საშუალება, ხოლო მისი მიზანი – სიამოვნება.

**დიდრო**: ხელოვნება არის ჩვეულებრივში არაჩვეულებრივისა და არაჩვეულებრივში ჩვეულებრივის პოვნის უნარი.

**ბიორნე**: ძალაუფლების საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ იცოდეთ: სხვები ჩვენზე უფრო მშიშრები არიან.

**შამფორი**: უბედურია ის, ვინც ჭკვიანია, მაგრამ, ამასთან ერთად, ძლიერი ხასიათი აქვს.

**პასკალი**: რატომ არის, რომ კოჭლი ადამიანი არ გვაღიზიანებს, ჭკუით კოჭლი კი გვაღიზიანებს? კოჭლს გაცნობიერებული აქვს, რომ ჩვენ დავდივართ სწორად, ხოლო ჭკუით კოჭლი ამტკიცებს, რომ, ის კი არა, ჩვენ ვკოჭლობთ.

**გარდნერი**: მამაკაცმა, რომელიც ქალს დახმარების მიზნით მკლავში ხელს ჩასჭიდებს, მეტწილად, ზუსტად არ იცის, სად მთავრდება მკლავი.

**გოლდსმიტი**: ქალის ხასიათი ხშირად მისი სილამაზის მიხედვით ყალიბდება.

# თუ გამოიცნობთ

1. **დაასახელეთ** ოლიმპიურ თამაშებში შესული სპორტის სახეობები, რომლებშიც მხოლოდ ქალები მონაწილეობენ.

2. „კოკა-კოლას" ერთ-ერთი რეკლამა ხუთი ფოტოსგან შედგება. ერთ-ერთზე გამოსახულია გრამფირფიტა „კოკა-კოლას" ლოგოთი, იმის მისანიშნებლად, რომ „კოკა-კოლას" სვამენ მუსიკოსები; შუაში გადალუნული თუნუქის „კოკა-კოლა" – სვამენ რომანტიკოსები; „კოკა-კოლას" ბოთლი, რომელსაც თავზე გვირგვინივით ადევს გადაბრუნებული დაკბილული სახურავი – სვამენ მეფეები... ბოლო ორ ფოტოზე კი „კოკა-კოლას" ნახევრად სავსე ბოთლია. **რას გამოხატავს ისინი?**

3. 1998 წელს სასაუზმე „ბურგერ ქინგის" ამერიკულმა ქსელმა გამოაქვეყნა რეკლამა, ჰამბურგერის ახალი სახეობის შექმნისა და მის გასაყიდად გამოტანის შესახებ, რომელიც შეიმუშავეს სპეციალურად, 32 მილიონი ამერიკელისთვის. **დაასახელეთ** ადამიანთა რა კატეგორიისთვის იყო განკუთვნილი სიახლე, თუ საბჭოთა კავშირში ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ისინი ქვეყანაში არ ყოფილიყვნენ.

4. ყოველ სექტემბერს ბრაზილიის სამხედრო საზღვაო ფლოტი ასობით მიგრანტს აბრუნებს სამშობლოში. ისინი თვეობით მოცურავენ იმით, რისი ნამტვრევებიდანაც ბრაზილიის ნაპირებთან ამოჰყავთ სამხედროებს. მათ გაზაფხულამდე გისოსებს მიღმა ამყოფებენ და გაზაფხულზე უკან აგზავნიან. **დაასახელეთ ისინი?**

5. 1802 წელს ერთმა ვენელმა ბანკირმა მრავალი მდიდრული კოლექცია შეიძინა და შესაფასებლად, კატალოგის შესადგენად, ახალგაზრდა გერმანელი – მოოსი მიიწვია. **რისი კოლექციები** შეიძინა ბანკირმა, თუ მისი შეფასებისას მოოსმა შეადგინა სკალა, რომელიც დღესაც გამოიყენება.

6. მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ცეზიუმ-137-ისა და სტრონციუმ-90-ის იზოტოპები, რომლებიც ატომური ბომბის აფეთქების დროს წარმოიშვება, ილექება ნიადაგში და გროვდება მცენარეებში. იმ მეთოდს კი, რომელსაც ეს აღმოჩენა დაედო საფუძვლად, წარმატებით იყენებენ მუზეუმებში. **რისთვის?**

7. ფრანსუა რაბლეს თქმით, რომის პაპმა იოანე მეთორმეტემ ქალთა მონასტერში სკივრი დატოვა. მასში საიდუმლოდ ჩიტი ჩაასმევინა, მონაზვნებს კი სთხოვა, მის მოსვლამდე შეენახათ. ინტერესიანმა ქალებმა სკივრს თავი ახადეს და ჩიტი გაუფრინდათ. დაბრუნების შემდეგ კი, პაპმა იოლად შეძლო აეკრძალა ქალებისთვის... **რა?**

8. ის პოლკოვნიკი იყო და მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოგონება მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, არმიაში არასდროს უმსახურია. ჩინი კი კონექტიკუტის შტატის გუბერნატორმა უბოძა. **ვის?**

9. მეოცე საუკუნის შუა წლებში ლას-ვეგასში იფეთქა ტურიზმის უცნაურმა სახეობამ. სტუმრებს შეეძლოთ, დაკვირვებოდნენ მოვლენებს, რომლებიც შესანიშნავად ჩანდა სასტუმროს ფანჯრებიდან. მათ სანახავად სპეციალურადაც კი ჩადიოდნენ, თარიღი კი წინასწარ ცხადდებოდა. **დაასახელეთ, როგორი ტურიზმი უწოდეს მას.**

10. ორცოლიანობა არასდროს ყოფილა მიღებული კათოლიკეებში. თუმცა, 1117 წელს რომის პაპმა ალექსანდრე მესამემ, ფილიპ ბარბაროსას წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად, უცნაური ქორწინება მოაწყო – დოჟი, რომელსაც უკვე ჰყავდა ცოლი, სახელად ცეცილია, სხვაზე დააქორწინა. **რა ერქვა მეორე ცოლს?**

***პასუხები იხილეთ 77-ე გვერდზე***

# ფსევდონიმები და ნამდვილი სახელები

**ვოლტერი** (ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი) – მარი ფრანსუა არუე.

**ჟან გაბენი** (ფრანგი მსახიობი) – ჟან ალექს მონკორჟე.

**კნუტ ჰამსუნი** (ნორვეგიელი მწერალი) – კნუტ პედერსენი.

**გრეტა გარბო** (შვედი მსახიობი) – გრეტა გუსტაფსონი.

**მაქსიმ გორკი** (რუსი მწერალი) – ალექსეი პეშკოვი.

**მარლენ დიტრიხი** (გერმანელი მსახიობი) – მარია მაგდალენა ფონ ლოში.

**ილია ილფი და ევგენი პეტროვი** (რუსი მწერალ-თანაავტორები) – ილია არნოლდის ძე ფაინზილბერგი და ევგენი პეტრეს ძე კატაევი.

**მარია კალასი** (ბერძენი მომღერალი) – მარია კალოგეროპულოსი.

**სოფი ლორენი** (იტალიელი მსახიობი) – სოფია შიკოლონე.

**მოლიერი** (ფრანგი დრამატურგი) – ჟან ბატისტ პოკლენი.

**მერლინ მონრო** (ამერიკელი მსახიობი) – ნორმა ჯინ ბეიკერი.

**ივ მონტანი** (ფრანგი მსახიობი და მომღერალი) – ივო ლივი.

**პაბლო ნერუდა** (ჩილელი პოეტი) – ნეფტალი რიკარდო რეიეს ბუსალტო.

**ო'ჰენრი** (ამერიკელი მწერალი) – უილიამ სიდნი პორტერი.

**ჟორჟ სანდი** (ფრანგი მწერალი) – ავრორა დიუპენი.

**მარკ ტვენი** (ამერიკელი მწერალი) – სემიუელ ლენგჰორნ კლემენსი.

**ტინტორეტო** (იტალიელი ფერმწერი) – იაკოპო რობუსტი.

**ტიციანი** (იტალიელი ფერმწერი) – ტიციანო ვეჩელიო.

**ელ გრეკო** (ესპანელი ფერმწერი) – დომენიკო ტეოტოკოპულოსი.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. 0-0-0!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



ქორწილი აზარტში შევიდა. ერთ-ერთი სტუმარი ადგა, სუფრას გადასწვდა და მოპირდაპირედ მჯდომს გემრიელი სილა გაარტყა.




– რატომ? – გაიოცა იმან.

– ქორწილია, ქორწილი! ვიღაცამ ხომ უნდა დაიწყოს!

***

მამაკაცი მაღაზიაში შევიდა და პირდაპირ მოლარეს მიადგა:

– იცით, გუშინ თქვენ ანგარიშში შეცდით, 10 ლარი...

– მაგრამ, თქვენ გუშინ უნდა გეთქვათ, დაგვიანებულია, ბოდიშს გიხდით, მაგრამ ვერაფერს მოვახერხებ. ფული სალაროსთან უნდა დაგეთვალათ და ისე წასულიყავით... შეგიძლიათ, მიბრძანდეთ, ვერაფრით დაგეხმარებით...

– ესე იგი, ეს 10 ლარი რომ გადმომაყოლეთ, დავიტოვო...

***

ნუ ნერვიულობთ, თუ თქვენი შვილი შუაღამისას იღვიძებს და ჭამას გთხოვთ... დადგება დრო, როდესაც თქვენ კმაყოფილი იქნებით, რომ ის ამ დროს სახლშია...

***

ვერანაირი ორგაზმი ვერ შეედრება ბუღალტრის გრძნობას, რასაც ის განიცდის, როცა წლიური ბალანსი ზუსტად ჩაჯდება.

***

ჯორჯ კლუნი, გრიგორი ლეპსი, ადრიანო ჩელენტანო – ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მსუბუქად გაუპარსავობა მიმზიდველი ყოფილიყო... თუმცა, ერთმა წვერიანმა მომღერალმა ყველაფერი წყალში ჩაყარა...

***

ცოლი კურორტზე წასასვლელად ემზადება – ჩაალაგა ჩემოდანში კაბები, ბლუსკები, მოდური შარვლები...

– „აა... დროს გატარებას აპირებს“... – გაიფიქრა ქმარმა და ცოლი რომ სხვა ოთახში გავიდა, ჩემოდნიდან ყველაფერი ამოალაგა და თავისი ძველი ქურთუკი ჩადო....

რამდენიმე დღის შემდეგ მოდის წერილი: „ყველა ნორმალური ქალი კინოში დადის, რესტორანში, ცეკვებზე... მე კი შენი კურტკით, ბუჩქებში მიმათრევენ ხოლმე“...

***

მოვწიე სიგარეტი „პრეზიდენტი“ – პრეზი-




დენტი ვერ გავხდი. დავლიე არაყი „პარლამენტი“ – ვერც პარლამენტარი ვერ გავხდი. დავლიე ლუდი „კაზელი“ და ვგრძნობ, მოქმედებს...

***

პირველკურსელებს ლექტორმა დასაწერად მისცა თემა: „მილიონი რომ გქონდეთ...“ აუდიტორიაში სიჩუმეა, ყველა წერას შეუდგა... მარტო მეგრელი არ წერს და უცბად ხელი აწია...

– პატივცემულო, 100 ათასს ვერ დამიმატებთ?!

***

– ალო, ეკა, სად გინდა, რომ იყო – ზღვაზე თუ მთაში?

– ვაიმე, საყვარელო!.. რა თქმა უნდა, ზღვაზე... სასტუმროში უნდა დავისვენოთ თუ ბინა შეიგულე?

– არა, ტუალეტის დეზადორს ვყიდულობ...

***

– მოშე, რა გჭირს, რამ ჩაგაფიქრა.

– გერმანიის და არაბების თამაშს ვუყურე...

– მერე, რომელს გულშემატკივრობდი?

– ბოლომდე მქონდა იმედი, რომ ორივე წააგებდა...

***

დღეს დილით, ჩემმა ცოლმა რომ მითხრა, ჩადი, მანქანაში დამელოდე, 5 წუთში ჩამოვალო, სანამ მოვიდოდა, გავარკვიე: ჩვენი სადარბაზოს თითქმის ყველა მეზობლის დილის საქმიანობა; დავადგინე, რომ საჭის დიამეტრი 32 სანტიმეტრია; მე შემიძლია სუნთქვის გარეშე 52 წამი გავძლო; დამაინტერესა, რამდენ ხანში ერთხელ ამოდის ჩასასუნთქად ვეშაპი ოკეანის ზედაპირზე; განვიხილე, მართალია თუ არა დარვინის თეორია...

***

– გაიგე, ჩვენს საარსებო მინიმუმზე გაცილებით მეტს პატიმრებს მხოლოდ საჭმელზე ახარჯებენ ციხეებში. მეც მინდა, ისე ვიკვებებოდე...

– რას ამბობ, მაგას დამსახურება უნდა...

## ცნობილი ადამიანთა ენამახვილური გამონათქვამები

სოლომონ პირველი, მეფე იმერეთისა, მინდვრად ბრძანებულა სასეირნოდ. თვალი შეასწრო თურმე ერთს გლეხკაცს, რომელიც სტიროდა და ჰყვიროდა ხმამაღლა. მეფეს გაუკვირდა და მივიდა მასთან ამბის შესატყობრად.

– რა დაგემართა, რომ ეგრე ჰყვირიო? – ჰკითხა მეფემ.

– ცხენი ბალახზედ მყვანდა გაშვებული და მე ჩამეძინა. ძილში ცხენი მომპარეს, შენი ჭირიმე, და იმას ვიცემ თავშიო.

– თუ ცხენი საპატრონებელი გყვანდა, რაღა გაძინებდაო? – უბრძანა მეფემ.

– მე მეგონა, თქვენ გღვიძავთ მეფეო, თორემ მე რა დამაძინებდაო.

***

სომეხმა ა...-მ უთხრა აკაკის:

– ქართველებს ერთადერთი კაცი გყავთ ჭკვიანი – ილია ჭავჭავაძე და ისიც იმიტომ, რომ დედა ჰყავდა სომხის ქალი.

– შენ რომ დედაც სომეხი გყავს და მამაც, რატომ ერთიორად იმაზე ჭკვიანი არა ხარ? – პასუხის მაგივრად ჰკითხა აკაკიმ.

***

ჩვენში ერთი მოსამსახურე იყო, დიდი ლოთი და დიდი მექრთამე. როცა გადააყენეს, წავიდა პეტერბურგს და იქ ცხოვრობდა თავისთვის. ერთხელ ამ გადაყენებულს დიდი წვეულება ჰქონდა პეტერბურგში და, სხვათა რიცხვში, შემთხვევით იქ მყოფი აკაკიც მოხვდა. მასპინძელმა სადილზე ტრაბახი დაიწყო, კავკასიაში რომ ვიყავი, ძალიან ვუყვარდი ხალხსაო! წამოსვლის დროს სადილი გამიმართეს და სახსოვრად საჩუქარიც მომცესო. გამოიტანა აზარფეშა, რომელზედაც „კოლხეთის ვერძი“ იყო დახატული. სტუმრებმა იკითხეს: რას ნიშნავს ეს ვერძი? ალეგორიული ხომ არა არის რაო?

– როგორ არაო, მიუგო აკაკიმ, – ჩვენში აზარფეშა ლოთობის ემბლემაა და ვერძი კი იმას ნიშნავს, რომ ბერძნებმა დიდძალი ფული გაიტანეს ჩვენი ქვეყნიდანო.

***

აკაკი შანიძესთან მიიჭრა მისი თანამშრომელი და უთხრა: ბატონო აკაკი, თქვენს ქალიშვილს „მაშინა“ დაეჯახაო.

– რამდენჯერ გაგისწორო: „მაშინა“ კი არა – „მანქანა“! – შემოსწყრა ბატონი აკაკი და, მაცნეს შეშფოთებულ სახეს რომ შეხედა, მერეღა გააცნობიერა მომხდარი ამბავი:




– ჰა, რა თქვი?!

# ვინ ჩაუშალა ქართველ მსახიობებს რუსი ლამაზმანების კონკურსი იალტაში

პირველი გამოსვლა უკრაინაში მქონდა. იღებდნენ მხატვრულ ფილმს „მეფეები და კომბოსტო“. სხვათა შორის, ფილმში დაკავებულები იყვნენ ბატონი ბორის წიფურია და შოთა გაბელაია – სულ ათი ქართველი ვიყავით.

გადაღებები ძირითადად იალტაში მიმდინარეობდა, ფეოდოსიაში და, ძალიან მხიარულ ვითარებაში – ზღვა... პლაჟი... რომანტიკა... უამრავი ხალხი იყრიდა თავს გადაღებაზე და – გოგოები... რომ იტყვიან, გოგოების ცვენა იყო. ჩვენც ახალგაზრდები ვიყავით და გოგოებს გულგრილად როგორ შევხედავდით. ოღონდ, ერთი კი იყო, როდესაც ამდენი გადასარევი გოგო დადიოდა ჩვენ გარშემო, არჩევა ჭირდა; როგორც გულუხვ სუფრაზეა – არ იცი, რომელი ერთი ჭამო, ასეთ დღეში ვართ.




გამოსავალს, როგორც ყოველთვის, ბორის წიფურიამ მიაგნო და ერთ მშვენიერ დილას გამანდო:

– სოსო, რა გვეშველება ახლა ჩვენ ამდენ ლამაზ ქალებში, თუ იცი შენ?

– წასულია ჩვენი საქმე, – ვუპასუხე სერიოზულად.

– არა, კაცო, ამდენ ქალში ერთი ვერ ამოვარჩიე ჩემთვის სერიოზულად. საქმეა ეს, თუ გიყვარდე? ხო, ხო, ხო, ხო, ესენი მომცა, სოსო თბილისში, მუშტაიდის ბაღში, რას მოვიმადლიერებდი ჩვენს ბიჭებს?! – ოხრავს ბორია.

– აბა, აბა... – ვეთანხმები.

– მოდი, რა ვქნათ, თუ იცი? – მოულოდნელად გამოცოცხლდა, – გამოვაცხადოთ კონკურსი, თითქოს კინოფილმისათვის ვარჩევთ გოგონებს – გადასაღებად, გასაგებია?!

ავიყოლიეთ შოთა გაბელაია, რომელსაც კინოოპერატორობა დავაბრალეთ. გამოვართვით კამერა ნამდვილ ოპერატორს (რა თქმა უნდა – ცარიელი) და გავედით პლაჟზე. მოიკალათა ბორიამ სავარძელში და დაიწყო „სინჯები“.

დადგა რიგი და რა რიგი... (ხომ იცით, რუსებს როგორ უყვართ პოპულარობა).

– აბა, თქვენ მობრძანდით, – აირჩია ერთ-ერთი ბორიამ. გოგონამ უხერხულად გაიარა სამი მეტრი, ფეხი გადაუბრუნდა და კინაღამ კისერი მოიტეხა.

– რას იტყვი შენ? – რუსულად მეკითხება „რეჟისორი” ბორია.

– რა უჭირს, – ავწიე წარბები.

– გახდილი აჯობებს, მე მგონი... მდაა (ჩაფიქრდა)... კი, ნამდვილად აჯობებს გახდილი.

– რაზდევაიტეს! – უბრძანა გაბელაიამ, რითაც გოგონა ძალიან დააბნია:

– „პრიამო ზდეს?“ – გაუკვირდა, მაგრამ, მტრის ჯინაზე მაინც გაიხადა.

წავიდა „ხელით სინჯვის“ მეორე ეტაპი.

– ხორცი უნდა იყოს მკვრივი და ჯანსაღი, – გვმოძღვრავს რეჟისორი (ვითომ რესტორანში აბარებდა სამწვადედ).

ასე ხელის სმა-სინჯვაში შემოგვადნა სამიოთხი საათი. ზოგი ავირჩიეთ და მეორე დღისთვის დავიბარეთ მორიგი ეტაპისთვის, დანარჩენები კი წალასლასდნენ დაღონებულები (ნე ვეზიოტ!).

მეორე დღეს „არჩეულები“ სასტუმროში გამოცხადდნენ შეთანხმებისამებრ – მესამე ეტაპისთვის. ახალი ეტაპი კი სასიყვარულო სცენა გახლდათ – ეტიუდის ფორმით, რომლის შინაარსი ლოგინიდან ერთი მეტრის მოშორებით მგრძნობიარე კოცნა გახლდათ. და, დაიწყო...

საშინელ მდგომარეობაში ვართ ამდენი რიგრიგობით კოცნებისგან. ჩვენი ცოდვით ქვა იწვის. რა ჯანდაბად გვინდოდა ეს ოხერი „კონკურსი“, ბორიაა მოსაკლავი ცოცხლად! მოკლედ, „გადაწვა“ არ აგვცდებოდია, რომ არა ერთი კურიოზული მომენტი, რომელმაც დაასრულა კიდეც ჩვენი საცოდავი „ოპერაცია“.

– ტანია პროტოპოპოვა (გვარ-სახელებსაც ვიწერდით, აბა, ისე სადაა, ძმაო!)! – გამოიძახა წიფურიამ ერთ-ერთი კონკურსანტი.

ცოტა ხანს არავინ გამოგვხმაურებია.

მეორედ რომ წაიკითხა გვარი „დიდმა რეჟისორმა“, მოულოდნელად, კარგა 70 წელს მიტანებული, მთლად „გაკრასკულ-გაპოხილი“ (ჩვენებურ ფუფალას წააგავდა) ქალი გამოცუნცულდა.

ჩვენ უხერხულად ავახამხამეთ წამწამები – ასეთი ვინმე ნამდვილად არ „გაგვისინჯავს.”

– მე ტანიას ბებია ვარ, ტანია ძალიან ავად გახდა და ვერ მოვა, ამიტომ, მე ვაკოცებ სოსოს ტუჩებში, რა მნიშვნელობა აქვს მაგისთვის? თავის დროზე მე ჩემს შვილიშვილზე ახალგაზრდა ვიყავი და კოცნაც ტანიაზე კარგი ვიცი, თუ არ გჯერათ, ა, ბატონო, აგერ მე და აგერ სოსო...

მაშინ კი ვიკადრეთ და აგვიტყდა ხარხარი, თუმცა, ერთი-ორი გოგო მართლაც ავიყვანეთ მასობრივი სცენებისთვის.

**მსახიობ სოსო ხაინდრავას ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# რა საგანძური დაუტოვა ქართველებს გიორგი მთაწმინდელმა და როგორ გახდა ის ათონის მთაზე ივერიის მონასტრის წინამძღოლი

**(76-ე გვერდიდან)**

ცოდნა ბერძნული ენისა და საფუძვლიანად შეისწავლა ბიზანტიური კულტურა. ეზიარა მაშინდელი მსოფლიოს საგანმანათლებლო ცენტრების მიღწევებს.

1034 წელს დაბრუნდა საქართველოში და ბერად აღიკვეცა ხახულის მონასტერში, მაშინ 25 წლის იყო.

ცოტა ხნით ადრე, საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე, რომელიც მამამისივით ებრძოდა ბიზანტიას, დაუზავდა კეისარს, რომანოზ მესამეს და ცოლად შეირთო მისი ძმის, ბასილის ასული – ელენე.

სხვათა შორის, მალე ბიზანტიამ მოახერხა სომხური სახელმწიფოებრიობის გაუქმება, ქართველებმა კი სისხლისმღვრელი ომებით სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნეს.

ამის შემდგომ, ახალგაზრდა ბერი გაემგზავრა უცხოეთში. ჯერ შავ მთაზე წავიდა, სირიაში და იქ ცნობილ ქართველ წმინდა მამას, გიორგი დაყუდებულს (შეყენებულს) დაუმოწაფდა. გიორგი დაყუდებული ზრუნავდა ნათარგმნი წიგნებითა და ორიგინალური ნაწარმოებებით გამდიდრებულიყო ქართული ეკლესიისა და ხალხის ბიბლიოთეკა და მისთვის ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდის ხილვა დიდი ბედნიერება გახლდათ.

მოძღვარმა სამი წელი რომანწმიდის მონასტერში გააჩერა გიორგი ბერი, განამტკიცა სიმდაბლესა და მორჩილებაში, სქემმონაზონად აკურთხა და შემდეგ იერუსალიმის მოსალოცად წარგზავნა.

უფლის საფლავის მოლოცვის მერე, ახალგაზრდა ბერი დაბრუნდა მოძღვართან. აქ კი გიორგი დაყუდებულმა გაუმხილა თავისი მიზნები უნიჭიერეს შეგირდს და სთხოვა, გამგზავრებულიყო ათონის მთაზე და გაეგრძელებინა დიდი ექვთიმე მთაწმინდელის საქმე, საღვთო წიგნების თარგმნისა და ორიგინალურების შექმნისა.

ახალგაზრდა სქემმონაზონი თავმდაბლად უარობდა, ეს მხოლოდ განმღრთობილთა საქმეაო, მაგრამ მოძღვარმა დაარწმუნა: ჩვენი ქართველი ხალხი ძალიან უყვარს და ეწყალვის ღვთისმშობელს და ის მოგიმართავს ხელსო...

მორჩილად გაემგზავრა ახალგაზრდა სქემმონაზონი ათონის წმინდა მთაზე, ივერთა მონასტერში, სადაც დიდი სალიტერატურო სკოლა არსებობდა და მალე სათავეში ჩაუდგა ამ მონასტერს.

გიორგი მთაწმინდელმა უდიდესი სამსახური გაუწია ქართველობას სხვადასხვა მიმართულებით და სანამ ქართველი ხალხი იარსებებს, იარსებებს მის მიერ დაცული ავტოკეფალია ქართული ეკლესიისა და ამ ეკლესიაში ყოველი ღვთისმსახურების დროს, ყოველდღე, უამრავ ტაძარში წაიკითხავენ მის მიერ რედაქტირებული ქართული სახარებიდან რომელიმე ნაწყვეტს და სხვა საეკლესიო ტექსტს.

**გიორგი მახობეშვილი**

# როგორ „აიწყვიტეს“ სტუმრებმა ლევან ჯავახიშვილის ქორწილში





25 ივნისს თბილისში, ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების საგამოფენო სივრცეში არსებულ რესტორან „აკადემიაში”, საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის” ყველაზე სიმპათიური წამყვანის, „ორი ვარსკვლავის” ფინალისტის, ლევან ჯავახიშვილის და „ტვ 3-ის” უმშვენიერესი ჟურნალისტის, მარიკუნა ოშხნელის ქორწილი შედგა. ექსკლუზიური ინფორმაცია ლევანის სიყვარულისა და მომავალი ქორწილის შესახებ „ეკა ხოფერიას თოქშოუდან” შეიტყო მაყურებელმა. „ორი ვარსკვლავის” ფინალისტებთან ერთად მოწვეული იყო მარიკუნა ოშხნელიც. ტელეკომპანია „იმედის” ხელმძღვანელობამ, „ეკა ხოფერიას თოქშოუმ” და „ორმა ვარსკვალვმა” ერთობლივად, პირდაპირ ეთერში წყვილს სიურპრიზი მოუწყო. ლევანი და მარიკუნა მაღაზია „ბრესლესისგან”, ფრანგული სილამაზის სალონ „ფრანკ პროვოსგან”, „მარი გოლდისგან”, რესტორან „აკადემიისგან”, ქართული საიუველირო წარმოება „ზარაფხანასგან”, ტურისტული კომპანია „ტური ჯისგან” და სამშენებლო კომპანია „დაგისგან” დასაჩუქრდნენ.





რესტორან „აკადემიის” მთავარი დიასახლისის, თაკო დოლაბერიძის დამსახურებით 25 ივნისს „აკადემიაში,” საღამოს 7 საათისთვის ყველაფერი ზღაპრულად მოეწყო, ეზო ლამაზი ყვავილებით იყო მორთული. განსხვავებული იყო ფურშეტიც – მრავალფეროვანი კერძებითა და სასმელებით. სტუმრებმა ნელ-ნელა დაიწყეს მოსვლა, ნეფე-პატარძალი კი აგვიანებდა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ „ორი ვარსკვლავის” მონაწილეები, „იმედის” თანამშრომლები და სხვა ტელეკომპანიების ცნობილი სახეებიც. ყველა მოუთმენლად ელოდა ნეფე-პატარძლის გამოჩენას. დაახლოებით 8 საათისთვის, ისინიც გამოჩნდნენ. ხელის მოწერის ცერემონიალი იქვე შედგა, მეჯვარეებს შორის იყვნენ ეკა ხოფერია და ინგა გრიგოლია. საჩუქრები, რა თქმა უნდა, ქორწილშიც გაგრძელდა. „თი ბი სი” ბანკმა ნეფე-პატარძალს ბათუმის ჯაზ-ფესტივალზე დასასწრები ბილეთები გადასცა. „ვარსკვლავებმა” ბევრი იმღერეს და იცეკვეს. „ორი ვარსკვლავის” მონაწილეებმა რუსა მორჩილაძის „პაჩკა პაჩკა დოლარები” შეასრულეს. ლელა წურწუმიამ ასევე რუსა მორჩილაძის ცნობილი სიმღერა „ალალ მე” იმღერა. იყო ტრადიციული თაიგულის გადაგდება, ტორტის გაჭრა, ფოიერვერკი. ანრი ჯოხაძე იმდენად ნასიამოვნები დარჩა ქორწილით, რომ ინგა გრიგოლიას რამდენჯერმე სთხოვა ცოლობა. ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ ლელა წურწუმია, რუსა მორჩილაძე და დალი ჩიტალაძე, რომლებიც ლელას ანეკდოტებსა და გამონათქვამებზე ხმამაღლა იცინოდნენ. წვეულებამ ღამის 2 საათამდე გასტანა.









**ეკა პატარაია**

*„თბილისელები” ულოცავს ლევანსა და მარიამს გაბედნიერებას და უსურვებს გამრავლებას!*

ბილაინი®

# ულიმიტო

## ბილაინ მიქსი

ყველაზე დაბალი ფასი!

# 25

ლარი

- ულიმიტო წუთები ადგილობრივ ქსელებზე
- ულიმიტო SMS-ი
- ულიმიტო ინტერნეტი

აქტივაციის კოდი ***110*250#**

11 01 01

www.beeline.ge